

წინასიტყვაობა

XVIII საუკუნის თვალსაჩინო მოღვაწისა და მწერლის ტიმოთე გაბაშვილის სამოგზაურო ჟანრის თხზულების „მიმოსლვის“ ტექსტის წინამდებარე გამოცემა რიგით მეორეა: პირველად „მიმოსლვა“ გამოსცა პლ. იოსელიანმა 1852 წელს (პლ. იოსელიანის გამოცემამდე „მიმოსლვის“ მხოლოდ მცირე ნაწილი დაბეჭდა დ. ჩუბინაშვილმა თავის „ქრისტომატიასი“).

ჩვენს გამოცემას პირველისაგან განსხვავებით საფუძვლად ავტოგრაფები უძევს. ავტოგრაფების მიკვლევამ შესაძლებელი გახდა „მიმოსლვის“ სამი სხვადასხვა რედაქციის დადგენა, ტექსტზე ავტორის მუშაობის ეტაპების გათვალისწინება და თვით ტექსტის ჭაბართვა ავტორისეული მართლწერის დაცვით.

ტექსტს ერთვის გამოკვლევა. გამოკვლევაში შევეცადეთ ფილოლოგიური გზით მოპოვებული დაკვირვებები აგვეხსნა იმ ისტორიული პირობებით, რომლებშიც ყალიბდებოდა ტიმოთეს მსოფლმხედველობა და პოლიტიკური სახე.

იმისათვის, რომ გვეჩვენებინა ის სიახლე, რაც ტიმოთემ თავისი „მიმოსლვით“ შეიტანა ქართული მწერლობის ისტორიაში, საჭირო გახდა ტიმოთეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი ბუნდოვანი მხარის შესწავლა და გაშუქება, ერთი მხრით, და იერუსალიმში ქართველთა მოგზაურობა-მოღვაწეობის გათვალისწინება, მეორე მხრით. მხოლოდ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი ტიმოთესთვის, როგორც საზოგადო მოღვაწისა და მწერლისათვის, მიგვეჩინა თავისი გარკვეული ადგილი XVIII საუკუნის სხვა ქართველ მოღვაწეთა შორის.

ელ. მეტრეველი

ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსღვა“

(გამოკვლევა)

I

ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსღვის“ ტექსტის შესწავლისათვის

„მიმოსღვის“ ავტოგრაფები

ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსღვის“ ხელნაწერებმა ჩვენამდე დიდი რაოდენობით მოაღწია. მართო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდებში დაცულია ოცამდე ნუსხა. ორი ნუსხა ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში¹, ხოლო სამი — საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილების ქართულ ფონდში².

„მიმოსღვის“ ნუსხების შედარებითმა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ტექსტები საგრძნობლად სხვაობენ ერთმანეთისაგან როგორც რედაქციულად, ასევე ვარიანტულად. ამან გაართულა გამოცემისათვის დედნის შერჩევის საკითხი. საჭირო გახდა დედნად მოძებნილიყო „მიმოსღვის“ ავტოგრაფული ნუსხა, ანდა ავტოგრაფთან ახლომდგომი ხელნაწერი, რომელიც გაარკვევდა ნუსხებში რედაქციულისა და ვარიანტული სხვაობების მომდინარეობის საკითხს.

მუშაობის პროცესში ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა ხელნაწერთა საცავეებში მიგვეკვლია ტიმოთეს „მიმოსღვის“ ავტოგრაფებისათვის. „მიმოსღვის“ სამი ავტოგრაფი აღმოჩნდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში, ხოლო ერთი — ავტორის ხელით ნასწორები ხელნაწერი — საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილების ქართულ ხელნაწერთა ფონდში. ეს ხელნაწერებია:

საქართველოს საბ. მუზეუმის ხელნაწერი H — 842, გამოცემაში A ლიტერით აღნიშნული;

¹ ქუთაისის მუზეუმი, № 415 და № 48.

² E — 31, E — 13, E — 68 (იხ. P. P. Орбели, Собрание грузинских рукописей Института востоковедения Академии Наук СССР. Ученые записки Инст. востоковедения, т. IX, 33, 44).

საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი Q — 80, გამოცემაშობ B ლიტერით აღნიშნული;

საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი S — 3244, გამოცემაში C ლიტერით აღნიშნული;

საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერი E — 31, D ლიტერით აღნიშნული.

ოთხივე ხელნაწერი წარმოადგენს მოგზაურობის დროს დაწერილ ტიმოთეს თხზულებათა კრებულს. კრებულები იწყება „მიმოსვლის“ ტექსტით¹. პირველი სამი ხელნაწერი (A, B, C) დაწერილია მხედრულით, D ხელნაწერი კი ნუსხურიით.

რა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ზემოთ დასახელებული ხელნაწერები ტიმოთეს ავტოგრაფებია?

ამის სასარგებლოდ ბევრი რამ ლაპარაკობს.

ავტოგრაფებად გულვებული ხელნაწერები ყველაზე ადრინდელია „მიმოსვლის“ მრავალრიცხოვან ნუსხათა შორის². A ხელნაწერის ქალაქს გააჩნია 1742 წლის თარიღიანი კვირნიშანი (იხ. A ხელნაწერის ფფ. 16 და 19),³ ხოლო B და C ხელნაწერების ქალაქს — 1753 წლის კვირნიშანი. სამივე ხელნაწერი დაწერილია ერთი ხელით.

საკვლევი ხელნაწერების ავტოგრაფულობას ამტკიცებს ხელნაწერთა პალეოგრაფიული შესწავლა. დღესდღეობით ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს საკვლევი ხელნაწერები შევადაროთ ტიმოთეს ხელმოწერილსა და, მაშასადამე, უეჭვო ავტოგრაფებს.

ჯერ კიდევ პლატონ იოსელიანმა მთაწმიდაზე მოგზაურობის დროს ყურადღება მიაქცია ივერიის მონასტრის ერთ-ერთ ხელნაწერს, რომელსაც ტიმოთე გაბაშვილის ნუსხური მინაწერი გააჩნდა⁴. ეს ხელნაწერი დღეს სამეცნიერო წრეებში ფართოდ ცნობილი „ათონის კრებულია“, რომელიც ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება⁵ (სურ. 1).

¹ ქვემოთ ჩვენ ამ ხელნაწერებს ლიტერებით დავიმოწმებთ.

² „მიმოსვლის“ არაავტოგრაფულ ნუსხათა უმრავლესობა XIX საუკუნისაა, მათ შორის მხოლოდ ერთია თარიღიანი — 1787 წელს გადაწერილი (იხ. „მიმოსვლის“ არაავტოგრაფიული ხელნაწერები“ გვ. 069).


³ ქალაქის ხმარების ფარგლები 10 — 15 წლით განისაზღვრება. მთაწმიდაზე შემონახული 1742 წლის ქალაქი ტიმოთეს გამოუყენებია 1756 — 57 წლებში.

⁴ მოხილუა წმიდათა და სხუთა აღმოსავლეთისა ადგილთა ტიმოთესაგან ქართლისა მთავარეპისკოპოსისა, თბილისი, 1852, გვ. 44, სქოლ. 24.

⁵ A — 558 ხელნაწერი საქართველოში ბენდიქტე ბარკალაიამ ჩამოიტანა (იხ. Ф. Ж о р а н и я, Описание рукописей Тифлисского Церковного Музея, кн. II, 1903). ამ ხელნაწერის მინაწერში იკითხება: „დმერთო მალალო და ხატო“

მეორე მხრით, იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ნაბეჭდი გამოცემის ერთ-ერთმა ნუსხამ შემოგვინახა ტიმოთე გაბაშვილის ვრცელი მხედრული წარწერა¹ (სურ. 2).

ტიმოთეს ჭავჭავაძის მიწვევებისა და ჩვენი საკლდევი ხელნაწერების პალეოგრაფიულმა შედარებამ დაგვარწმუნა, რომ ხელნაწერები ნამდვილად ტიმოთეს ავტოგრაფებია (სურ. 3 — 6).



სურ. 1

ამ ხელნაწერების ავტოგრაფულობის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის ფაქტიც, რომ ერთი ხელით არის დაწერილი 3 ერთმანეთისაგან რედაქციულად განსხვავებული ხელნაწერი. ხელნაწერთა

დიდებულ პორტიტისა, შეიწვალე ცოდვილი ქუთათელ-ყოფილი და არქიეპისკოპოსი ქართლისა ტიმოთე, რომელიცა მოვიწიე მთასა ამას, მონასტერსა ქართველთასა, ქრონიკონი იყო უ მ გ. 1755^ა.

¹ იხ. საქართველოს სახ. მუზეუმის ძველი ნაბეჭდი წიგნების კოლექცია

N XVII ძვ. ნაბეჭდ.

67

1 რ. ცნობა ამ წიგნის შესახებ მოგვაწოდა ქრ. შარაშიძემ.

იოანე დამასკელი დაიბეჭდა მოსკოვში 1747 წელს ბაქარის ბრძანებითა და იოსებ სამებელის წარსაგებლით. საფიქრებელია, რომ ტიმოთემ ეს წიგნი რუსეთში ყოფნის დროს მოიპოვა.

დაწერის ხელითვე გაკეთებულ ტექსტის მრავალრიცხოვან მინაწერებსა და შენიშვნებში. ასახულია დიდი მეცნიერულ-ლიტერატურული მუშაობა, რომლის ჩატარება ნხოლოდ ავტორს შეეძლო. ეს ხელნაწერები ერთმანეთს არ იმეორებენ, ვინაიდან თითოეული წარმოადგენს „მიმოსლვაზე“ ავტორის მუშაობის გარკვეულ ეტაპს, მაგრამ ამავე დროს ყოველ მათგანში გათვალისწინებულია წინა ხელნაწერში შეტანილი შესწორებები.

„მიმოსლვის“ ავტოგრაფულობაზე და მისი დაწერის ადგილსა და დროზე საინტერესო მასალებს გვაწვდის აქამდე ნაკლებად ცნობილი A ხელნაწერი. „მიმოსლვის“ ტექსტს A ხელნაწერში 9 — 66 ფფ. უკავია. ეს ტექსტი განსაკუთრებულია თავისი მოცულობითა და რედაქციული სახით. იგი შეიცავს „მიმოსლვის“ მხოლოდ ერთ ნაწილს, კერძოდ მთაწმიდის მოხილვას, ნაკლები შესავლით. „მიმოსლვის“ ტექსტს მოსდევს ორი „სწავლანი“, ერთი დოგმატიკურ-პოლემიკური ხასიათისა, ხოლო მეორე — „დღესასწაულისათვის ღმთისა გარდამოსლვისა“. პირველი „სწავლის“ შესავალში ავტორი განსაზღვრავს ამ წიგნის რაობას და გვამცნობს წიგნის დაწერის ისტორიას: „აღწერილი წიგნი, მსგავსი ებისტოლისა, ამბავთათვის წმიდათა მონასტერთა მთაწმიდისათა, თუ ვითარ და ვის მიერ აღეშენნეს, და ორნი სწავლანი სულ მოკლედნი, აღწერილი ტიმოთეს მიერ მონაზონისა მთაწმიდელთაისა, მიწერილი წინაშე ღმთისმოყვარეთა მეფეთა ჩვენთა ქართველთა უფლისა თეიმურაზისა, ძისა მათისა მეფისა უფლისა ირაკლისა. დაიწერა მონასტერსა ქართველთასა მთაწმიდით“ (A, 67r).

ამ შენიშვნელოვანი ცნობიდან ვგებულობთ, რომ „ებისტოლის მსგავსი წიგნი“, რომელსაც ავტორი განიხილავს, როგორც ერთგანუყოფელ კრებულს, შეიცავს მთაწმიდის მონასტერთა აღწერასა და 2 სწავლას. ეს წიგნი ტიმოთეს დაუწერია მთაწმიდის ივერიის მონასტერში თეიმურაზ მეფესთან და ერეკლესთან გასაგზავნად¹. თავის თავს ტიმოთე მთაწმიდის მონაზონს უწოდებს.

ხელნაწერი რომ ძირითადად მთაწმიდაზეა დაწერილი, ამას ებისტოლეს ტექსტის სხვა ადგილებიც მოწმობენ. პირველი სწავლის დასასრულს ვკითხულობთ: „ქართველნო, სულ მოკლე ესე და:

¹ „მიმოსლვის“ A ხელნაწერი რომ თეიმურაზისა და ერეკლესათვის იყო განკუთვნილი, ამას მოწმობს აგრეთვე „მიმოსლვის“ ტექსტში ჩართული „იროიკო მთაწმიდისა და იამბიკო მსოფლიო“, რომლის ორი უკანასკნელი სტროფი თეიმურაზისა და ერეკლეს შესხმას წარმოადგენს (იხ. რედაქც. და ვარიანტ., გვ. 115, 116 54).

უგბილი სწავლა სენაკსა მწირობისა ჩემისასა მთაწმიდით აღვსწერე და არა ღრმა ვყავ ზრახვა სიტყვათა“ (A, 117r).

ზოგიერთი ცნობით შეიძლება უფრო დაზუსტდეს A ხელნაწერის დაწერის დრო და ადგილი. მთაწმიდიდან წამოსულ ტიმოთეს ვერ მოუხერხებია მაშინვე იერუსალიმისაკენ გამგზავრება, ამასობაში დაზამთრებული და ტიმოთე იძულებული გამხდარა მგზავრობა გაზაფხულისათვის გადაედო, რის გამოც ის 7 თვის განმავლობაში კონსტანტინეპოლში დაყოვნებულია. თავისი „ეპისტოლე“ ტიმოთეს კონსტანტინეპოლში ჩასვლის უმაღლეს დაუმთავრებია, ვინაიდან კონსტანტინეპოლისა და მისი გარეუბნების აღწერა, რომელსაც B და C ხელნაწერებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი, A ნუსხაში სულ არ არის შესული.

„მიმოსლვის“ ტექსტი A ხელნაწერში თავდაპირველად შემდეგნაირად მთავრდებოდა: „...და მეძნელებოდა განსლვა კოსტანტინეპოლით და მოშორება სულიერთა მამათა. და ზამთარიცა მოიწია, და დავადგერით მუნვე, რამეთუ უმჯობეს ვიჩინეთ დაზამთრება მუნ. თვით ეს ქართველნი აღელნიც მუნ სრასა ჩემ თანა იყვნეს და ესენი მოახსენებენ აქაურსა და ჩვენსა ამბავთა. ხოლო ზაფხულისად გზისათვის იერუსალემისა ვიღვწით, ნუუკვე ღმერთმან არა უგულუბელს გვეყენს“¹.

ჩანს, ამ სახით სურდა ტიმოთე გაბაშვილს გაეგზავნა თავისი „ეპისტოლე“ ალელთა ხელით საქართველოში, მაგრამ ეს სურვილი არ განუხორციელებია². ხელნაწერი კონსტანტინეპოლში ყოფნის მთელ მანძილზე მას ხელთ ჰქონია, ვინაიდან, შემდეგ, დაუწერელ ფურცელზე, სხვა მელნით ავტორს მიუწერია კიდევ ერთი გვერდი, რომელიც კონსტანტინეპოლიდან იერუსალიმისაკენ გამგზავრების ფაქტსაც შეიცავს: „...ხოლო მე ვიყოფოდე კოსტანტინეპოლის, სახლსა მდიდრისა ძველისა თავადისა გიორგი ლოლოთეტისასა და ბიძისა მისისა იოანიკიოს ხალკიდონისა მიტროპოლიტის თანა, რამეთუ გიორგიმ ქართული უწყოდა კეთილად და იყო ფილოსოფოსი სრული, მეცნიერ ასტრონომიისა და ლეომეტრიისა და ფისიკისა, და ქართულად ვმზრახველობდით მრავალთა. და დავეთხოვე პატრიარქსა და მიტროპოლიტთა ნიკიისასა და ნიკომიდი-

¹ რედაქტ. და ვარიანტ. გვ. 119, პნ 62.

² შესაძლოა, მან ერეკლესა და თეიმურაზს გაუგზავნა A ხელნაწერის პირი, ხოლო დედანი დაიტოვა თვითონ, თუმცა A ხელნაწერის ტიპის მეორე ხელნაწერი ჯერჯერობით არ ჩანს.

ისასა და ხალკიდონისასა და წარვედით გზასა იერუსალემად მიმყვა-
ნებელსა, უკეთუ ნებავს უფალსა¹.

ამგვარად, ზემოთქმულის საფუძველზე აშკარაა, რომ 1742 წლის
ქალაქდზე დაწერილი A ხელნაწერი უძველესი ავტოგრაფია. A
ხელნაწერის უდიდესი ნაწილი დაწერილია „სენაკსა შინა“ მთაწმი-
დაზე ტიმოთეს მწირობის დროს, 1756 წელს. „მიმოსლვის“
უკანასკნელი გვერდი მიწერილია 1757 წლის გაზაფხულზე, ტიმო-
თეს იერუსალიმში გამგზავრების წინ¹. A ხელნაწერი კრებულია,
სადაც თავმოყრილია მთაწმიდაზე მოგზაურობის დროს დაწერილი
თხზულებები: „მიმოსლვა“ და 2 „სწავლა“. კრებულს ტიმოთე
„ებისტოლის მსგავს წიგნს“ უწოდებს².

ამის შემდეგ გასარკვევია, თუ სად და როდის იწერებოდა B
და C ხელნაწერები, რა მიმართებაში არიან ისინი ერთმანეთთან
და A ხელნაწერთან. დავიწყით უკანასკნელი საკითხით.

მოგზაურობის დროს შექმნილი ლიტერატურული პროდუქცია,
A ავტოგრაფის მსგავსად, B და C ავტოგრაფებშიც ერთად არის
თავმოყრილი³. ამ კრებულებს, მიუხედავად მასალის ნაირსახეობისა,
ერთი საერთო შესავალი აქვთ⁴.

¹ იხ. აქვე, გვ. 034.

² ხელნაწერი ნაკლულია, ამიტომ არ ჩანს, თუ რა სათაური ჰქონდა საკუთ-
რიც მოგზაურობის აღწერას. ჩვენ მას, დანარჩენი ხელნაწერების ანალოგიით,
„მიმოსლვას“ ვუწოდებთ.

³ ტიმოთეს თხზულებათა ამ ტიპის კრებულები არ გავრცელებულა. ყო-
ველ შემთხვევაში, ჩვენ ავტოგრაფებს გარდა კრებულის ტიპის მხოლოდ ერთი
ნუსხა გვეგულება (ქუთაისის ისტ. მუზ. ხელნაწერი №48), იმ დროს, როდესაც „მი-
მოსლვის“ მრავლმა ნუსხამ მოაღწია ჩვენამდე. ეს ასეც იყო მოსალოდნელი, ვინა-
იდან კრებულში შემავალი თხზულებებიდან თავისი შინაარსით ფართო მკითხველს
მხოლოდ „მიმოსლვა“ მიიზიდავდა. ამან გამოიწვია კრებულიდან „მიმოსლვის“
გამოყოფა და მისი ცალკე ნუსხებად გავრცელება.

⁴ ტიმოთეს კრებულის „შესავალი“ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში მი-
ჩნეული იყო, როგორც საკუთრივ „მიმოსლვის“ შესავალი, ვინაიდან არავტოგრა-
ფულ ნუსხებში, სადაც „მიმოსლვა“ ცალკეა გამოყოფილი კრებულის დანარჩენი მა-
სალისაგან, „მიმოსლვას“ ყველგან „შესავალი“ უძღვის წინ. სინამდვილეში ეს „შე-
სავალი“ მთელ კრებულს ეკუთვნის. ტიმოთეს ავტოგრაფულ კრებულებში „მი-
მოსლვა“ არ არის გამოყოფილი კრებულის დანარჩენი მასალისაგან. ტიმოთე ამ
კრებულს განიხილავს, როგორც მოგზაურობის დროს გარკვეული მიზნით შერჩე-
ულსა და დაწერილ მასალას და მთელ ამ მასალას ერთ საერთო შესავალს წარუშ-
იძვარებს, სადაც ასახელებს და განიხილავს კრებულის ყველა ნაწილს: ა. იერუ-
სალიმსა და მთაწმიდაზე მოგზაურობას, ბ. მოგზაურობის დროს ქართული ხელ-
ნაწერებიდან ამოწერილ უნიკალურ მასალას — მკარი მეგვიპტელის „სწავ-“

ტიმოთეს ავტოგრაფების ურთიერთ-შედარებამ დაგვარწმუნა, რომ A ავტოგრაფი საფუძვლად დასდებია ყველა დანარჩენ ავტოგრაფულ ხელნაწერს. A ავტოგრაფის მასალა, ძირითადად გამეორებული დანარჩენ ავტოგრაფებში, გადამუშავებულია და შეესებოდა იმ ახალი მასალით, რომელიც ტიმოთემ მოიპოვა იერუსალიმში მოგზაურობის დროს. B და C ხელნაწერებში „მიმოსლვის“ დამატებია იერუსალიმში მოგზაურობის ვრცელი აღწერა. ასევე დამატებია ახალი მასალა ორ „სწავლას“. ასე მაგ., მეორე „სწავლის“ ბოლოს ტიმოთეს A ხელნაწერში შეუტანია დიდი ექსპრესიით დაწერილი უსჯულოთაგან საქართველოს დაცვის ლოცვა. ქართველთა მეოხად ტიმოთე ამ ლოცვაში ქართველ წმინდანებს ასახელებს. A ხელნაწერში წმინდანებიდან დასახელებული არიან მოწამენი: დავით და კონსტანტინე, რაქდენი, აბიბოს ნეკრესელი, ქეთეონ დედოფალი, საპაკი და იოსები, კონსტანტი-კახი, დავით და ტირიქანი, ევსტათი მცხეთელი, შუშანიკი, შალვა და ბიძინა, ხოლო ე. წ. წმინდა მამებიდან: ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელები, გრიგოლ ხანძთელი, გაბრიელ მთაწმიდელი, ილარიონ ქართველი, გარესჯას წამებულნი წმინდა მამანი, მაქსიმე კათალიკოზი და დავით აღმაშენებელი (A, 154v — 155r).

ასეთივე ლოცვა-ვედრებით მთავრდება იგივე საკითხავი B და C ავტოგრაფებში იმ განსხვავებით, რომ აქ დამატებით დასახელებული არიან: ნიკოლოზ კლარჯეთელი, იგივე ნიკოლოზ დვალი, ლუკა ჯვარის მამა იერუსალიმელი, პროხორე ჯვარის მამა იერუსალიმელი და სალომე ჯვარელი (C, 302v). იერუსალიმში მოღვაწე ამ ოთხი ქართველის შესახებ ცნობები ტიმოთეს იერუსალიმის ხელნაწერებში მოუპოვებია. მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს მათ შესახებ ტიმოთე B და C ხელნაწერებში შესული „მიმოსლვის“ სრულ ტექსტებში გვაწვდის. აქვე მიუთითებს ტიმოთე ამ ცნობების წყაროზე: „ამათ მოწამეთა სვინაქსარიცა უწერია და დღესასწაულიცა განუწესებიათ“, ე. ი. ტიმოთეს გამოუყენებია იერუსალიმის ქართველ მოღვაწეთა სვინაქსარული ცხოვრებები და ამ მასალით გაუყ-

ლანსა“—და გ. მის მიერ დაწერილ „სწავლანს“: „და აღვსწერენით, რაოდენნი შეეიტყვენით იერუსალემისათვის და მთაწმიდისა და სხვათა მონასტერთათვის და ადგილისათვის საწამებელსა წმიდათა მოწამეთასა და სადგურთათვის ღირსთასა და სხვათა მრავალთა ადგილთა, ამბავნი ხილულნი და ანუ სარწმუნოდ სმენილნი აღვსწერენით. სხვანი მამათა მიერნი სწავლანი, დაკარგულნი სიქართველოთა შინა, მოვიძიენით და აღვსწერენით, და ზოგნი რამე მე ვიუხუბილემეტყველენ სწავლანი, დვირისა ვერა გამცდელმან წველისა ზრახვა რამე აღმოვთქვი“. მიმოსლვა, გვ. 4.

რცია და გაუმდიდრებია მთაწმიდაზე დაწერილი „სწავლანი“. ამავე დროს „სწავლანიდან“ ამოულია და B და C ხელნაწერებში აღარ შეუტანია ცნობა, რომ ეს შრომა მთაწმიდაზეა დაწერილი.

A ხელნაწერის პირველსა და მეორე „სწავლას“ B და C ხელნაწერებში სახელწოდებებიც შეცვლილი აქვთ. დოგმატიკური ხასიათის „სწავლა“ B და C ხელნაწერებში შემდეგ სათაურს ატარებს: „გარდამოცემული ერთობისთვის და სიყვარულისა წმიდათა ეკლესიათასა სარწმუნოებასა შინა ქრისტიანეთასა აღმომდინარისა მის ტკბილნაკადულისა წყაროსა, განწმედილი გულისკმის ყოფათასა წმიდათა წერილთაგან“ (B, 125r).

A ხელნაწერის მეორე „სწავლა“ — „დღესასწაულისათვის ღმთისა გარდამოსლვისა“ (A, 122r) — B ხელნაწერში აგრეთვე ვრცელი სათაურით არის წარმოდგენილი: „დღესასწაულისათვის უფროსად კურთხეულისა და დიდებულისა დედოფლისა ჩუენისა ღმთისმშობელისა მარიამისა და კვალად მისთვისე, თუ ვითა გაბრიელ ზეცისთა მკედრობათა მთავარი ქალწულსა შობასა ეგმანუილისასა უნანდვილებდა, და თუ ვითა მოავლინა სიტყუა თუხი და განგკურნა ჩუენ, და სიძისათვის და სძლისა მორფვა სიტყუათა, ამისდა მომართ სულ მოკლედნი ესე სწავლანი ყურად იღეთ“ (B, 223r).

ვუბრუნდებით პირველ საკითხს. რა მიმართებაა B და C ავტოგრაფებს შორის, როდის და სად იწერებოდა ეს ხელნაწერები.

B და C ხელნაწერების ურთიერთ-შედარებამ გაარკვია, რომ ეს ორი ხელნაწერი არა მარტო A ხელნაწერისაგან, არამედ ერთმანეთისაგანაც საგრძნობლად სხვაობს.

გაირკვა ისიც, რომ B ხელნაწერი „მიმოსლვაზე“ ტიმოთეს მუშაობის უფრო ადრეულ ეტაპს ასახავს, ვინემ C ხელნაწერი. ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ C ხელნაწერში გათვალისწინებულია და ძირითად ტექსტშია შეტანილი ყველა ის მინაწერი და შესწორება, რომლებიც ავტორს უფრო ადრე B ხელნაწერის ფურცლების კიდებზე დაუტანია¹. სანიმუშოდ მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს:

B ავტოგრაფის ძირითად ტექსტში ვკითხულობთ: „...მუნთვლეთ და მოვიწიენით ახშირსა, სამწყსოსა იკონიელისასა“ (6r), ხოლო ამის გასწვრივ კიდევ სწერია „...სადა ეწამა კვირიკე და ივლიტა“.

¹ „მიმოსლვის“ რედაქციათა ურთიერთობის საკითხი ვრცლად განხილულია გამოკვლევის ცალკე თავში: „ტიმოთე გაბაშვილის მუშაობა „მიმოსლვის“ ტექსტის რედაქციებზე“.

C ავტოგრაფში ეს მინაწერი უკვე ტექსტშია შეტანილი: „მუნით ვლეთ და მოვიწიენით სამწყსოსა იკონიელ ეპისკოპოზისასა, სადა წმიდანი მოწამენი კვირიკე და ივლიტა ეწამნეს“ (გვ. 9).

ანალოგიური შემთხვევების გამრავლება შეიძლება. მეორე მხრით, C ხელნაწერში არ არის შეტანილი ისეთი ადგილები, რომლებიც B ხელნაწერში ავტორს გარკვეული მოსაზრებების გამო გადაუშლია. ასე მაგ.:

B ხელნაწერი

წარმოვედით მონასტერსა ჩვენ ქართველთასა და დავადგერით მუნ კეთილსა მას და მიმდემსა ლოცვასა, და განკრძალულსა ღამისთევასა თანა ვიმყოფოდი უღირსი ესე.

[და იყო მუნ უმსჯაეროდ თურქთაგან ექსორია ქმნილი პატრიარქი კირილე ზემოხსენებული და ვიყოფოდი მის თანა მრავალ ჟამ კეთილმეუბარეობასა შინა]¹.

ამისა შემდგომად ვინებეთ აღსლვა კოსტანტინუპოლედ ხილვად პატრიარქისა პართენისა საქმისა რასათვისმე. და ხატისა პორტაიტისა წინაშე შემომიკრბენ მამანი მონასტრისანი და სამღვდელონი, პარაკლისნი წარმოვთქვით მეფეთა ჩვენთა თეიმურაზ და ერეკლესათვის.

B, 119v.

B ავტოგრაფი რომ წინ უსწრებს C-ს, ამას ისიც მოწმობს, რომ A ხელნაწერთან B უფრო ახლო დგას, ვინემ C. რიგი კომპოზიციური ცვლილებები, რომლებიც ავტორს C ხელნაწერში შეუტანია, არ არის ასახული A და B ხელნაწერებში.

¹ კვადრატულ კავებში ჩაწერილი ტექსტი გადაშლილია ავტორის მიერ.

ამგვარად, სამ ავტოგრაფს შორის ყველაზე ადრეულია A ხელნაწერი, დაწერილი 1756 — 57 წლებში მთაწმიდის ქართველთა საეპისკოპოსოს და კონსტანტინეპოლში; ამას მოსდევს B ავტოგრაფი, ხოლო კრებულის საბოლოო და შევსებულ რედაქციას წარმოადგენს C ავტოგრაფი. თითოეული ამ ავტოგრაფთაგანი რედაქციულადაც გარკვეული სახის მქონეა და ამ კრებულის განვითარების სამ ეტაპზე მიუთითებს. ამდენად, სამი ავტოგრაფი ამავე დროს ტიმოთეს თხზულებათა კრებულის 3 რედაქციას წარმოადგენს.

პირველი რედაქციის ჩამოყალიბების ქრონოლოგიური საზღვრები გარკვეულია. გასარკვევია, თუ როდის უნდა დაწერილიყო B და C ავტოგრაფები.

როგორც პირველი ავტოგრაფის შესწავლამ დაგვანახა, ტიმოთე „მიმოსლვის“ პირველ რედაქციას მოგზაურობის პროცესში წერდა და ავსებდა. წერის ამ მეთოდს ტიმოთემ არც შემდეგ უღალატა, ვინაიდან ამას მოითხოვდა „მიმოსლვის“ — სამოგზაურო წიგნის — ხასიათი.

მოგზაურობის დროს ტიმოთე ყოველ ახალ პუნქტში კრებდა სხვადასხვა ცნობებს, ზეპირგადმოცემებს, აგროვებდა მასალებს და ადგილზევე ახდენდა მათ ფიქსაციას. „მიმოსლვის“ B ავტოგრაფს აშკარად ეტყობა, რომ ტიმოთეს თავისი მოგზაურობის ბოლო ნაწილი გზადაგზა უწერია. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია მგზავრობის აღწერის შემთხვევებში. ავტორი ყოველ ახალ ადგილზე ჩასვლას შემდეგნაირად გვაპნობს: „და მიერითგან წარვედით...“, ან „მიერითგან მივიწიენით...“. საყურადღებოა, რომ B ხელნაწერში „მიმოსლვის“ ტექსტის ბოლო ნაწილის ყოველი ამგვარი დაწყება („მიერითგან“) განირჩევა წინა ტექსტისაგან მელნითაცა და ხელითაც, რაც გვაფიქრებინებს, რომ ახალი ტექსტი იწერებოდა გარკვეული ინტერვალის შემდეგ (იხ. ფფ. 119, 120, 122), ახალ პუნქტში ჩასული ტიმოთე განაგრძობდა თავის თხრობას. საინტერესოა ისიც, რომ ამავე ხელნაწერში ავტორს „მიმოსლვის“ უკანასკნელი აბზაცი დაუმთავრებელი დარჩენია. გუმიშხანაში ჩასული ტიმოთე წერს: „და მიერითგან მივიწიენით ქალდეას, აწ უკმობენ თურქნი გუმიშხანას, სადა ეწამნენ წმიდანი მოწამენი ვეგენი, კანდიდოს, ვალერიანე“ (გვ. 98). ამ წინადადებას აქვე, სხვა მელნითა და სხვა სიმქიდროვით დაწერილი შემდეგი ცნობები მოსდევს: „და მიერითგან განვიხილენით ეკლესიანი, და იყო აღშენებული ქართველთაგან. და ვიკითხვედი რა, იგინი მეტყოდენ, ვითარმედ გუმიშხანა საქართველოსა მეფეთი არისო, რამეთუ ვეცხლი გამოსავალი აქა-

ური საქართველოთი ყოფილაო, კოროხის წყლის სათავე, ეს არისო სამძღვარი საქართველო. და იქიდგან ვლეთ შვიდისა დლისა სავალი ეფერატის წყლის პირი და მოვიწიენით აზრუმაღ. და მიერიტგან გამოვლეთ ოლთისი და მოვედით ახალციხეს, და მუნითგან: მივიწიენით სურამაღ¹ (გვ. 98).

ტექსტის ბოლოს ავტორი სასვენ ნიშანს არ სვამს, და მოულოდნელად წყვეტს აქ წერას².

ტიმოთე „მიმოსღვის“ B რედაქციას გზადაგზა წერდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ B ხელნაწერი ტიმოთეს დაუწერია კონსტანტინეპოლიდან იერუსალიმისაკენ გამგზავრების დროიდან გუმიშხანაში ჩასვლამდე. დროის ამ მონაკვეთში უნდა გადაამუშავებულიყო A ხელნაწერის „მოაწმიდის მოხილვა“, უნდა დაწერილიყო: მოგზაურობა კონსტანტინეპოლიდან იერუსალიმამდე, იერუსალიმის „წმიდა ადგილთა“ აღწერა და, ბოლოს, მოგზაურობა იერუსალიმიდან გუმიშხანამდე. ტექსტის უკანასკნელი აბზაცი — მოგზაურობა გუმიშხანიდან სურამამდე — ავტორს სურამში უნდა მიეწერა.

B ავტოგრაფი რომ ნამდვილად მოგზაურობის უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ იწერებოდა, ამას კიდევ ერთი ფაქტი მოწმობს: B ავტოგრაფი უფრო დეტალურად გვაძენობს მოგზაურობის მარშრუტს და ასახელებს ტიმოთეს მიერ გავლილ ყოველ პუნქტს.

¹ ეს თავისთავად მეტად საინტერესო ისტორიული ცნობა ავტორს უკანასკნელსა და საბოლოოდ დამუშავებულ რედაქციაში არ შეუტანია, ხოლო ვინაიდან უკანასკნელი რედაქცია საფუძვლად დაედვა ნაბეჭდს, ამიტომ ეს ცნობა აქამდე ლიტერატურაში შეუმჩნეველი დარჩა. ამ ცნობის წყაროდ ტიმოთე ასახელებს გუმიშხანაში გაგონილ ამბავს: „იგინი მეტყოდენ...“. ამგვარად, ეს ცნობა გუმიშხანის ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებულ გადმოცემას გვაწვდის. შესაძლოა, ეს იყო ადგილობრივ ქართულ მოსახლეობაში შემორჩენილი ძველი გადმოცემის გადმონაშთი. ცნობა შეიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს: 1. გუმიშხანაში ტიმოთესათვის უჩვენებიათ ქართველების აშენებული ეკლესიები, 2. ადგილობრივ მცხოვრებთ გუმიშხანაში ქართული ეკლესიების არსებობა აუხსნიათ იმით, რომ გუმიშხანა საქართველოს მეფისა ყოფილა, და ამ უკანასკნელი ცნობის გასამაგრებლად კიდევ ერთი ცნობა მიუწოდებიათ ტიმოთესათვის: „ვეცხლი გამოსავალი აქაური საქართველოთი ყოფილაო“!

² ჩვეულებრივ აბზაცის დასასრულს სასვენ ნიშნად ტიმოთე ორ წერტილსა და ტირეს (: —) ხმარობს. ამ შემთხვევაში სასვენი ნიშნის უქონლობას შემთხვევითი გულმავიწყობით ვერ ავხსნით. ეს შეუძლებელია ნაშრომის დასასრულს, მით უმეტეს, რომ ტიმოთე სასვენ ნიშნების ხმარებაში ზედმიწევნით პუნქტუალურია. უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხილე ცალკე თავში: „მიმოსღვის ტექსტის დასასრულისათვის“ გვ. 030.

შემდგომ C ხელნაწერში ტიმოთეს ტექსტი გაუცხრილავს მეორე-
ხარისხოვანი პუნქტებისაგან და დაუტოვებია მხოლოდ მთავარი.
ასე მაგ., B ხელნაწერში სწერია:

„მიერთგან ნავით წარგვეზავენეს ქალაქსა და მონასტერსა
მთავარანგელოზისასა სერფოს. და მიერთგან ნავით მივედით
თერმიას, და თერზიიდან—ნავით ჯიას ქალაქსა, და მიერთგან
ქრისტიანეთა ნავითა წარგვეზავენეს სასელოვანსა მას ქალაქსა ათი-
ნას“¹. იგივე ადგილი C ხელნაწერში შემდეგნაირად არის შემო-
კლებული: „მიერთგან ნავით წარვედით ქალაქსა სერფოს,
მონასტერსა წმიდისა მთავარანგელოზისასა, რამეთუ ახლოდ იყვნეს
მუნ მონასტერნი დედათანი, კეთილად მგალობელნი და მედღესას-
წაულენი. და მიერთგან მივედით სასელოვანსა მას დედაქალაქსა
ათინას“ (გვ. 96).

ამგვარად, „მიმოსლვის“ პირველი რედაქცია დაიწერა მთაწმი-
დასა და კონსტანტინეპოლში 1757 წელს. B რედაქცია, გარდა დაუ-
მთავრებელი აბზაცისა, დასრულდა გუმიშხანაში 1758 წლის მიწუ-
რულსა და 1759 წლის დამდეგს. C რედაქცია, რომელიც B რედაქ-
ციის გადამუშავებულ სახეს წარმოადგენს, დამთავრდა საქართვე-
ლოში დაბრუნების შემდეგ, ე. ი. არა უადრეს 1759 წლისა².

ტიმოთეს „მიმოსლვის“ ავტოგრაფების დაწერის ადგილისა
და დროის გარკვევისათვის დამატებით მასალას გვაწვდის „მიმო-
სლვის“ ავტოგრაფებში ჩართული ილუსტრაციები და გეგმა-ნახა-
ზებიც.

A ავტოგრაფში „მიმოსლვის“ ტექსტს წინ უძღვის მთაწმი-
დის ივერიის მონასტრის გეგმა-ნახატი, სადაც გადმოღებულია
მთაწმიდის ქართველთა სავანის დიდი კომპლექსის ყოველი ნაგე-
ბობა (სურ. 11). ნაგებობებს ტიმოთეს ხელით მიწერილი აქვთ
აღმშენებელთა სახელები. ეს გეგმა-ნახატი, როგორც ჩანს, ტიმო-
თეს თვითონ შეუდგენია მთაწმიდაზე ყოფნის დროს³ და დაურ-
თავს საქართველოში გასაგზავნი წიგნისათვის, რომელიც, სხვა
თხზულებებთან ერთად, მთაწმიდის ქართველთა სავანის ისტო-
რიასაც შეიცავდა.

„მიმოსლვის“ B რედაქციის ავტოგრაფში ჩართულია იერუ-
სალიმის ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობიდან გადმოღებუ-
ლი და ფერებით შესრულებული სამი ქართველი მეფის—მირიანის,

¹ რედაქც. და ვარიანტ. გვ. 125, № 79.

² აქვე, გვ. 037.

³ აქვე, გვ. 092 — 093.

ბაგრატ კურაპალატისა და ვახტანგ გორგასალის—სურათი (სურ. 12—14) და პლატონისა და არისტოტელეს სურათები. ქართველ მეფეთა სურათებს წინ უძღვის ცნობა: „ესე სამნი საქართველოს მეფენი ვითა იქა ეხატნეს, ეგრეთვე აქა დავახატვინეთ“ (B, 104r).

მეფეთა სურათებს გააჩნიათ ქართული და ბერძნული წარწერები:

1. „ღირსი მირიან, პირველი კეთილმორწმუნე მეფე საქართველოსა, ხოსროიანი“.

2. „ბაგრატ კურაპალატი, მეფე საქართველოსა, დავითიანი, აღმაშენებელი ქუთათისისა საყდრისა“.

3. „სახელოანი დიდი ჯელმწიფე ვახტანგ გურგასლან, მპყრობელი და მეფე საქართველოსა და იერუსალიმისა, ხოსროიანი“.

პლატონისა და არისტოტელეს სურათებზე ბერძნულად წარწერილია ფილოსოფოსთა სახელები. ამის გარდა არისტოტელეს სურათზე ქართულად მიწერილია: „პლატონის ქვეყანას მივდიეთ ათინას და მისთვის დავახატვინეთ აქა დიდთა მათ ფილოსოფოსთა სახენი“ (116r).

სურათების წარწერებიდან ჩანს, რომ ტიმოთემ იერუსალიმში ქართველ მეფეთა ფრესკები გადმოალებინა, ხოლო ათინაში საბერძნეთის დიდი ფილოსოფოსების სურათები დაახატვინა.

C რედაქციის ავტოგრაფში შეტანილია შემდეგი სურათები:

1. ქართველთა კარის ეკლესიის ღვთისმშობლის (პორტიკის) ხატი, უწარწეროდ.

2. ზემოთ დასახელებულ ქართველ მეფეთა სურათები ნუსხური წარწერებით, ბერძნულის გარეშე:

ა. „პირველი წმიდა მეფე საქართველოსა მირიან ხოსროიანი, აღმაშენებელი სამთაეროსა“ (114r).

ბ. „მეფე საქართველოსა ბაგრატ კურატპალატი, აღმაშენებელი ქუთათისის საყდრისა, ჯვარის მონასტრისა იმრუსალემს და მთაწმიდას ქართველთ მონასტრისა“ (115r).

გ. „დიდი მეფე საქართველოსა და იმრუსალიმისა ვახტანგ ხოსროიანი, აღმაშენებელი მცხეთისა, გურგასლან“ (116r).

ვახტანგ გორგასალის სურათის მეორე მხარეს აგრეთვე წერია: „ეს სამნი საქართველოს მეფენი იერუსალიმს ასე ამ სახით ეხატნენ და გარდმოვახატვინე, ამათი სახე ქართლადარ...“ (116v); უკანასკნელი სიტყვა ცუდად იკითხება, ვინაიდან ფურცლის კიდე აკინძვის დროს ზომაზე მეტად შეუქრიათ: აქ უნდა ყოფილიყო ან არის, ან არ არის.

სამი ნახატის გარდა ამ ავტოგრაფში არის მეფე ლეონის დაუმთავრებელი სურათიც. ნახატი გაკეთებულია ფანქრით, ფერადი ფანქრითვეა შეფერილი ლეონის სამეფო წამოსახამი. ლეონის სურათს გააჩნია წარწერა: „ღმთისმოყვარე მეფე ლეონ ქართლისა და კახეთისა, აოჯრებულის იერუსალიმის დამკსნელი და ახლად აღმაშენებელი ქრისტეს საფლავისა და გოლგოთისა“ (გვ. 78, სქ.**). ლეონს ხელში უჭირავს ეკლესიის მოდელი წარწერით: „ქრისტეს საფლავი“.

სურათის მეორე მხარეზე სწერია: „ქ. საქართველოსა ზედა მეფე ცხებული ქართლისა და კახეთისა, ღირსად მოკსენებული მეფე, ლეონ, ახლად განმანახლებელი და აღმაშენებელი საფლავისა ქრისტესისა და გოლგოთისა და მღლისა კათოლიკე ეკლესიისა იერუსალიმისა აოჯრებულისა. თათართაგან მომყიდველი საფასითა თვისითა, რაჟამს წარმოგზავნა იოაკიმ ჯვარის მამა ქართველი და დაიქსნა. საქსენებელად საუკუნოდ მისდა და მომავალთა ნათესავთა (რამეთუ არს წარსრული წელი ეამსა მას აქეთ ს კ ზ) და კვალად აღმაშენებელი მთაწმიდას ფილოთეონის მონასტრისა, მამა მეფის ალექსანდრესი, პაპისა მეფის თეიმურაზისა. ესე თეიმურაზ იყო პაპა მეფის ერეკლესი, ცხებულის მეფის თეიმურაზის მამისა. ესე სწერია. გოლგოთას პატრიარქის ტახტის ფეჭით მარმარილოზე. იქ მისრულნი საქართველოსანი დაბრმობილნი ყოფილან, თუ რასათვის არა აღმოუკითხავს ესე და არ უუწყებია საქართველოსათაგანთა? მიკვირს ფრიად, თუ ვითარ არის ესე“ (გვ. 78, სქ.**).

გოლგოთას საპატრიარქო ტახტის ეს წარწერა, ოდნავ შემოკლებული, ტიმოთეს ტექსტშიც აქვს მოტანილი. მაგრამ არც სურათის წარწერიდან და არც ტექსტიდან არ ჩანს, რომ ლეონ მეფის გამოსახულება იერუსალიმის რომელიმე ქართული ტაძრის კედლის მხატვრობიდან იყოს გადმოღებული. ტიმოთეს ლეონის სურათი უკანასკნელ რედაქციაში მისი დამსახურებისათვის ჩაურთავს. ასევე არ ჩანს ორიგინალიდან გადმოღებულად C რედაქციის ავტოგრაფში შეტანილი პორტაიტის ხატი. ამგვარად, B რედაქციის ავტოგრაფისაგან განსხვავებით, მესამე რედაქციის ავტოგრაფში ავტორს დამატებით შეუტანია პორტაიტის ღვთისმშობლის ხატისა და ლეონ ქართლისა და კახეთის მეფის სურათები¹.

¹ B ავტოგრაფს აკლია „მიმოსღვის“ ტექსტის შესავლის ნაწილი. შეიძლება გვევარაუდნა, რომ პორტაიტის ღვთისმშობლის სურათი სწორედ ამ ნაკლულ ნაწილში ყოფილიყო მოთავსებული, მაგრამ ეს ვარაუდი არ მართლდება, ვინაიდან C ავტოგრაფში სურათი შესავლის შემდეგ არის მოთავსებული. გარდა ამისა, ჩვენ გაგვაჩნია B ავტოგრაფის ზუსტი პირი (H — 1014), სადაც არამც თუ ნახატების

ქმბალი ცხიდა თუ ერუსალმის ქვე მიწის ვეფქადმკვესე ქუ
იანეღმსიუღ. მარე: დს. ადგს შიგნითაგან განსჯილი დილე
ღსხა ლიონ ნმ გრეთმ წიკლიუ. შიგია ანეღმსიუღის წიგნი
სიგნათ. სქდინ გეყბლ განართიან იერვალეთ და დმატკიას
გან იერუსალემისათ. ღბეელს უღუკუაგს ღმსიუღს წიგნიდან
ნიღნები სტაულს ათყვეტს ივით. სხილ-ნიუ. გაკწინ-ნიუ. ან
ესკა გენემ ოსთ ადმკისე: ამაწინმა. ამახედ გაა
სწიეთ. ეს სტამბის ღმსიუღი. აღმსია დამკ

ქმბიბის. ან სიგნის წიგნი დამკ

უღმს მიღსილი რეს. ან წიგნი

ღმსი ადმკისე

ე. მს: ა. ა. ა. ა.

მეფეს სმე

ქვისა ღა

გს. გ. მს

წინა რე

იქა აქ ვაჩუხმა. ნაწიკი ხე ანეკ რმაქ
ეს წიგნის უღი იქ. მხილუ:

სურ. 2. ციმოთე გაბაშვილის მინაწერი იოანე დამასკელის წიგნზე
„გარდამოცემაჲ“

Երուրդատոս Դ լուսնի մեկնության դեկրատորն է ծննդատեսիկ
 լինելու մահնը և ծառ լինելու մաս կրնի ծնող և լինող
 և Երուրդատոսն է ախր և կրնի և կրնի մաքրող ծնող
 Երուրդատոսն է ծնողն է մահն է մահն է մահն է լինող
 Երուրդատոսն է լինողն է մահն է մահն է մահն է լինող
 Երուրդատոսն է լինողն է մահն է մահն է մահն է լինող
 Երուրդատոսն է լինողն է մահն է մահն է մահն է լինող

Երկրորդ տեսակի գրությունները կարող են լինել մեծաբանության
 մասին հիմնականում լինողի և լինողի մասին լինողի
 և լինողի մասին լինողի և լինողի մասին լինողի
 և լինողի մասին լինողի և լինողի մասին լինողի
 և լինողի մասին լինողի և լինողի մասին լինողի
 և լինողի մասին լինողի և լինողի մասին լինողի
 և լինողի մասին լինողի և լինողի մասին լինողի
 և լինողի մասին լինողի և լինողի մասին լինողի

დასამარს სხატკათი. დასამარს ხადაფი პრეთე აფეთ
თ ვი-ნგაბას ბრძინათ. აფთხოდას დასამარს ბრძინათ
მის თაფსა ზემანათს. დასამარს დასამარს ბრძინათ
დასამარს ბათს ზემანათს დასამარს დასამარს
დასამარს დასამარს დასამარს დასამარს დასამარს
დასამარს დასამარს დასამარს დასამარს დასამარს
დასამარს დასამარს დასამარს დასამარს დასამარს
დასამარს დასამარს დასამარს დასამარს დასამარს
დასამარს დასამარს დასამარს დასამარს დასამარს

ზემოთ ჩამოთვლილი სურათებიდან ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ქართველ მეფეთა სამ სურათზე, რომლებიც, ტიმოთეს თქმით, ზუსტი პირებია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობისა. ამ სურათებით შეიძლებოდა მსჯელობა მათ ორიგინალზე, მაგრამ სამწუხაროდ B და C ავტოგრაფების მეფეთა გამოსახულებები საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან პროპორციებით, ფორმებით, კოსტუმებით, ფერებითა და წარწერებით. ამავე დროს ორივე ხელნაწერი ავტოგრაფია და ორივეს გააჩნია ცნობა, რომ სურათები იერუსალიმური დედნების ზუსტი პირებია, გასარკვევია, თუ რომელია ნამდვილად ადგილზე, ე. ი. იერუსალიმში გადმოღებული, რომელია დედნის ნამდვილი პირი—B თუ C ავტოგრაფის სურათები.

ავტოგრაფების ანალიზის საფუძველზე ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ B ავტოგრაფი ძირითადად საქართველოს გარეთ არის დასრულებული, ხოლო C ავტოგრაფი — საქართველოში დაბრუნების შემდეგ. ეს დასკვნები უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ B ავტოგრაფის სურათები უნდა იყოს ადგილზე, ე. ი. იერუსალიმში, გადმოღებული და, მაშასადამე, დედნის პირებსაც ამ ხელნაწერის სურათები უნდა წარმოადგენდეს. ამ დებულების შემოწმების შესაძლებლობას გვაძლევს ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობის ზუსტი აღწერილობა, რომელიც ალ. ცაგარელმა გამოაქვეყნა. ალ. ცაგარელი, იერუსალიმში ყოფნის დროს, ყოველმხრივ სწავლობდა ქართულ სიძველეებს. მისი უკრადლება მიიქცია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობამაც. ამის თაობაზე ის წერს: „Наиболее замечательными представляются изображения трёх царей грузинских: первого христианского царя Грузии Миряна (IV в.), Вахтанга Горгасала (Vв.) и Баграта IV курапалата (XIв.), помещённые налево от входа в большой неф. Они нарисованы рядом, в одной раме, во весь рост, в старинных коронах, высота каждого рисунка $2\frac{1}{2}$ аршина. Рама вышиной $2\frac{3}{4}$ аршина, шириной $3\frac{1}{2}$ аршина. И эти рисунки пострадали: голова царя Баграта попорчена... Ноги всех их также попорчены немножко, но видно ясно, что они все обуты в красные с белыми пятнами носки и стоят на мутаках... Над их головами была, видно, большая надпись, большая часть которой теперь стёрта. Одевание их похоже на архиерейское облачение из красного бархата и

რაოდენობა, არამედ დედნის ფერებიც კი დაცულია. ამ ხელნაწერს დასაწყისი არ აკლია და არც პროტაიტის ლეთისმშობლის ხატის სურათი გააჩნია.

атласа светлосинего цвета, богато шитое золотой нитью белого и жёлтого цвета и украшенное разноцветными камнями. Меха вовсе нет на них. На Мириане верхняя риза (туника) из красного бархата с богатым широким золотым шитьём вокруг шеи, пояс широкий, шитый золотом и такой же орарь, спускающийся до ног, а под верхней ризой и поясом, синего цвета нижняя риза, похожая на священнический фелон, спускающаяся до ног, нижняя часть ризы богато обшита золотом.

На Баграте такое же облачение, только рисунок узоров на облачении несколько другой, чем на Мириане.

На Вахтанге же верхняя риза, в противоположность предшествовавшему, из синего атласа, а нижняя из красного бархата с узорами и богатым шитьём. Стоит сначала ближе к дверям Мириан, затем Вахтанг Горгасал, наконец Баграт IV. На всех них царские короны разных видов, золотые, унизанные драгоценными камнями.

Никаких других украшений и аксессуаров нет ни между царями, ни вокруг них, равно нет в руках Баграта изображений соборов Крестного монастыря и Кутаисского, которыми снабжены в рисунках Тимоте¹.

პროფ. ა. ცაგარელი აღწერს რა ჯვრის მონასტრის კედლებზე გამოხატულ ქართველ მეფეთა ფრესკებს, აღნიშნავს იმ დიდ განსხვავებას, რომელიც აღმოჩნდა მის ნახულსა და პლ. იოსელიანის მიერ გამოცემულ (ტიმოთეს გადმოღებულ) სურათებს შორის. აღ. ცაგარელი განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ არავითარი აქეს-სურათები და შეპყლობანი ორიგინალში არ არის, ასევე არ აქვს მაგრატ კურაპალატს ხელში ქუთაისისა და ჯვრის მონასტრის მოდელები². ხოლო პ. იოსელიანის გამოქვეყნებულ სურათებში გარ-

¹ А. Цагарели, Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае, ППС, т. IV, вып. I, 1888, გვ. 104.

² პლ. იოსელიანს „მოხილუის“ გამოცემისათვის ხელთ ჰქონდა C ავტოგრაფის პირი, დავით რექტორის გადაწერილი სურათებიანი დედანი, მაგრამ რატომღაც ისინი „მოხილუაში“ არ გამოუქვეყნებია. შემდეგ განუზრახავს ამ დანაკლისის შევება და „მოხილუის“ სურათები იონა გედევანიშვილის „მიმოსვლის“ ტექსტის გამოცემისათვის დაურთავს. ამის თაობაზე პლ. იოსელიანი „მიმოსვლის“ წინასიტყვაობაში წერდა: „ტიმოთეს მოხილუაში, წინარე ამისა დაბეჭდილსა წიგნში, იყუნენ დახატულნი: ხატი ივერიისა პორტიკისა ანუ კარისა ლუთისმშობლისა და ათონიკა სახენი ქართუშლთა, გარდამოღებულნი იერუსალიმსა და ათონისა მთასა თუთ ტიმოთესაკან“ (იონა გედევანიშვილი, მიმოსულა, გვ. 7).

ცნობა, თითქოს სურათების დედნები თვით ტიმოთეს გადმოღებული პირები, დამახინჯებული ვარიანტია C ავტოგრაფის მინაწერისა: „ეს სამნი საქართველოს მეფენი იერუსალიმს ასე ამ სახით ეხატნენ და გარდმოვანატვიენ. ამათი სახე ქართლად არ [იყო]“.

და იმისა, რომ ბაგრატი ს. გვერდით ორი ტაძარია დახატული, ყოველი სურათი ყოვლად უგემოვნო სამკაულებით არის შემკული: მეფეები დგანან მუთაქებზე, ხოლო მუთაქები საგანგებოდ მოხატულ იატაკზე დევს. ასევე უგემოვნოდ არის მიტმასნილი ბაგრატი სამოსელზე ყვაილი.

ამგვარ გადახვევებს დედნიდან ალ. ცაგარელი ტიმოთეს მიაწერს. პროფ. ალ. ცაგარელს, ჩანს, მიუჩნევია, რომ პლ. იოსელიანს იერუსალიმში ტიმოთესაგან გადმოღებული პირები ჰქონია ხელთ. სინამდვილეში ნაბეჭდი გამოცემის სურათებს თითქმის არაფერი აქვთ საერთო ტიმოთეს ავტოგრაფების სურათებთან. არც ზედმეტი აქსესუარები და არც იერუსალიმისა და ქუთაისის ბაგრატი ტაძრები ავტოგრაფებში არ არის, ყველა ეს დავით რექტორის ხელნაწერის (ნაბეჭდის დედნის) სურათების შემსრულებლის შემოქმედებითი ფანტაზიის შედეგია, რასაც გამომცემელმაც თავის მხრივ ზოგიერთი რამ დაუმატა. ამდენად პროფ. ა. ცაგარლის საყვედური ეხება დავით რექტორსა და მისი ნახატების გამომცემელს პლ. იოსელიანს და არავითარ შემთხვევაში ტიმოთეს.

ქართველ მეფეთა ფრესკების ალ. ცაგარლისეულ აღწერილობას თითქმის ზუსტად უდგება B რედაქციის ნახატები: მსგავსია ფიგურების დაყენება, ერთნაირია სამოსელი როგორც ხასიათით, ასევე ფერებით.

C რედაქციის ავტოგრაფის სურათები უფრო დახვეწილია. მათი ავტორი უფრო დახელოვებული მხატვარია, მაგრამ მას სრულიად არ დაუცავს B რედაქციის ავტოგრაფის სურათების კოლორიტი. წითელი და მოიისფრო ხავერდი, რომელიც B ავტოგრაფში სწორად გადმოსცემს დედნის ფერებს, ნესამე ავტოგრაფში შეცვლილია მწვანე ფერით, განსხვავებულია გვირგვინებიც.

რა თქმა უნდა, ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად კარგად არის გადმოღებული B ავტოგრაფის მხატვრის მიერ იერუსალიმის ფრესკების პირები და რამდენად დიდია მსგავსება, მაგრამ ერთი აშკარაა, რომ ავტორმა დიცივა კოსტუმის დეტალები და საერთო კოლორიტი. ამდენად მას თავისი ნახატის დედანთან დაახლოების სურვილი ჰქონია.

ამგვარად, უკეთესის უქონლობის გამო, დღესდღეობით ტიმოთეს „მიმოსღვის“ მეორე რედაქციის ავტოგრაფში ჩართული ქართველ მეფეთა სურათები შეიძლება მივიჩნიოთ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობის უძველეს (XVIII ს. 50 წლ.) პირებად. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმიტომაც, რომ

უკვე 1845 წელს იერუსალიმში ჩასული ნ. ჩუბინაშვილი აღნიშნავდა ამ ფრესკების, განსაკუთრებით კი მათი წარწერების, დაზიანებას¹. დღეისთვის ეს დაზიანება კიდევ უფრო გაიზრდებოდა. სწორედ ამიტომ განვიზრახეთ ამ ნახატების ტექსტთან ერთად გამოკვეყნება.

ამგვარად, B და C ავტოგრაფების მეფეთა სურათების ანალიზმაც აშკარა გახადა, რომ B ავტოგრაფი იწერებოდა და ფორმდებოდა საქართველოს გარეთ, უმთავრესად იერუსალიმში, ხოლო C: ავტოგრაფი — საქართველოში, მოგზაურობიდან ტიმოთეს დაბრუნების შემდეგ.

ვინაიდან C ავტოგრაფი შეიცავს „მიმოსლვის“ საბოლოოდ დამუშავებულ რედაქციას, ამიტომ წინამდებარე გამოცემის დედნად ეს ხელნაწერი შევარჩიეთ.

მოკლედ გვინდა შევეხოთ აგრეთვე D ხელნაწერს. D ხელნაწერი, მსგავსად B და C ავტოგრაფებისა, წარმოადგენს ტიმოთე გაბაშვილის მიერ მთაწმიდასა და იერუსალიმში დაწერილ თხზულებათა კრებულს. თხზულებათა თანმიმდევრობა აქაც ზუსტად ისეთივეა, როგორც წინა ავტოგრაფებში. „მიმოსლვა“, რომლითაც იწყება ხელნაწერი კრებული, თავნაკლულია. დაწერილია ხელნაწერი ნუსხურით. ხელნაწერის გადამწერი არ არის ცნობილი. ტექსტთან დაკავშირებული შენიშვნები, მიწერილი დედნისაგან განსხვავებული წვრილი ნუსხურით, ჩვენი ფიქრით, ტიმოთეს ხელით უნდა იყოს გაკეთებული. როგორც მინაწერების ხელი, ასევე ტექსტში შეტანილი შესწორებები გვაფიქრებინებს, რომ ტიმოთეს თვითონ გაუჩაღხავს საბოლოოდ D ხელნაწერი.

ხელნაწერი რედაქციულად მისდევს C ხელნაწერს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ C ხელნაწერის კიდებზე გაკეთებული მინაწერები, რომლებიც ტექსტში შესატანად იყო ნაგარაუდები, D ხელნაწერში უკვე ძირითად ტექსტშია ჩართული. გარდა ამისა D რედაქციაში ბევრად უფრო ვრცელია მაკარი მეგვიპტელის „სწავლანის“ ტექსტი. ტიმოთე გაბაშვილი ეცნობოდა რა მთაწმიდისა და იერუსალიმის ქართულ სიძველეებს, ამავე დროს არჩევდა ისეთ

¹ „დასავლეთიდან შემოსავალს დიდს კარებს შიგნიდან, ჩრდილოეთის მხარეს, დახატულ არიან სამნი მეფენი მოხუცებულნი გვირგვინ-შარავანდელითა და პორფირებითა: 1. მირიან, 2. ვახტანგ გორგასლან, 3. ბაგრატ კურატაალატი. ამათ ქართულადაც და ბერძულადაც აწერია მათი სახელები βασιλεὺς და სხვა, — სრულად ვერ წავიკითხეთ“. А. Сагарелы, Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, вып. III, გვ. 45.

მასალას, რომელიც მას საქართველოში არ ეგულებოდა და რომლის გავრცელება საქართველოში მას საჭიროდ მიაჩნდა. ასეთად ჩათვალა მან მაკარი მეგვიპტელის „სწავლანი“. ამ მასალის შემცველი ხელნაწერები ტიმოთეს უნახავს როგორც მთაწმიდის ქართველთა სავანეში, ასევე იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ხელნაწერთა შორის. ტიმოთეს ეს ტექსტი გადმოუღია და ჩაურთავს „მიმოსლვის“ B და C ავტოგრაფებში.

B და C ავტოგრაფებში მაკარი მეგვიპტელის 10 თავია შეტანალი. იგივე „სწავლანია“ ჩართული D ხელნაწერშიც, ოღონდ 37 თავის მოცულობით. „მიმოსლვის“ ტექსტში მაკარი მეგვიპტელის „სწავლანის“ გადიდებული მოცულობით შეტანა, როგორც ჩანს, ტიმოთეს საჭიროდ მიუჩნევია C ავტოგრაფის დაწერის შემდეგ.

საინტერესოა, რომ მაკარი მეგვიპტელის „სწავლანის“ პირველი 10 თავი D ხელნაწერის გადამწერის ხელითაა დაწერილი, ხოლო დანარჩენი 27 თავი — ტიმოთეს ავტოგრაფია. ასევე ტიმოთეს ხელითაა დაწერილი D ხელნაწერის მეორე ნაწილი მთლიანად („გარდამოცემული ერთობისათვის და სიყვარულისა“ და მეორე სწავლა „დღესასწაულისათვის... ღმთისმშობელისა ზარიამისა“).

D ხელნაწერი, საფიქრებელია, იწერებოდა საქართველოს გარეთ, ასტრახანში, სადაც გაატარა ტიმოთემ თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ D ხელნაწერი რაქის ერისთვის შეიღს დავითს მოზდოკში შეუქმნია¹.

მუხედავად იმისა, რომ D ხელნაწერი უკანასკნელია, რომელზედაც ავტორს გარკვეული მუშაობა ჩაუტარებია, ჩვენ გამოცემის დედნად მიიღო C ხელნაწერი ვარჩიეთ შემდეგი მოსაზრებით: C ხელნაწერი რედაქციულად არ სხვაობს D ხელნაწერისაგან. განსხვავება მხოლოდ მაკარი მეგვიპტელის „სწავლანის“ მოცულობაშია, ხოლო ამას ჩვენი მიზნებისათვის არ აქვს მნიშვნელობა, ვინაიდან „მიმოსლვაში“ ხელოვნურად ჩართულ მაკარი მეგვიპტელის ტექსტებს არ ვაქვეყნებთ. დანარჩენი განსხვავებული წაკითხვები კი უმთავრესად ვარიანტული ხასიათისაა. მეორე მხრით, C ხელნაწერს გააჩნია უპირატესობა D ხელნაწერთან; C ხელნაწერი მთლიანად ავტოგრაფია და ამდენად უფრო ზუსტად ასახავს ავტორის მართლწერას.

¹ „ეს ტიმოთიანი ბატონი კნიაზი რაქის ერისთვის შეიღის დავითისა არის. მოზდოკს ყოფნაში ქელათ უვარდა და იყიდა...“ (D 90r). შემდეგ ეს ნუსხა თეიმურაზ ბატონიშვილის საკუთრება გამხდარა. მას ეს ხელნაწერი ტიმოთეს ავტოგრაფად მიაჩნდა (M. Brosset, Histoire de la Géorgie, Additions et éclaircissements à l'Histoire de la Géorgie, Add. X, გვ. 208).

ტ. გაბაშვილის „მიმოსღვის“ ავტოგრაფებისა და არაავტოგრაფული ნუსხების შესწავლასთან დაკავშირებით დაისვა თხზულების სახელწოდების საკითხი. ტიმოთეს „მიმოსღვის“ როგორც ავტოგრაფებში, ასევე არაავტოგრაფულ ხელნაწერებში, თხზულების სახელწოდება სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი. ბუნებრივია, თხზულების სათაურის გარკვევა-დადგენაში გადამწყვეტი როლი ავტოგრაფებს უნდა ეკუთვნოდეს. სწორედ ამიტომ პირველ რიგში ავტოგრაფები გვინდა განვიხილოთ ამ თვალსაზრისით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტ. გაბაშვილის „მიმოსღვის“ უძველესი ავტოგრაფი და ამავე დროს ამ თხზულების პირველი რედაქციის შემცველი ხელნაწერი (A) დეფექტურია. მას აკლია დასაწყისი ფურცლები და ამდენად სათაურიც. ვინაიდან ეს ხელნაწერი ტიმოთეს „მიმოსღვის“ A რედაქციის უნიკალური ცალია, ამიტომ მისი დაკარგული დასაწყისისა და სათაურის აღდგენა ვერც სხვა ნუსხებით ხერხდება. ამ თხზულების სათაურზე პირობით შეიძლება მსჯელობა იმ ცნობის მიხედვით, რომელიც წინ უძღვის A ხელნაწერში შესულ პირველ „სწავლას“ (ამ ცნობაზე ჩვენ საგანგებოდ შევჩერდით ავტოგრაფების განხილვის დროს). წარწერაში ვკითხულობთ: „აღწერილი წიგნი, მსგავსი ებისტოლისა, ამბავთათჳს წმიდათა მონასტერთა მთაწმიდისათა, თუ ვითარ და ვის მიერ აღეშენნეს, და ორნი სწავლანი სულ მოკლენნი, აღწერილი ტიმოთეს მიერ მონაზონისა მთაწმიდელთაისა“ (67r).

ცნობაში დამოწმებულია A კრებულში შესული სამივე თხზულება. აქედან საკუთრივ „მიმოსღვა“ მოხსენებულია, როგორც „წიგნი, მსგავსი ებისტოლისა, ამბავთათჳს წმიდათა მონასტერთა მთაწმიდისათა, თუ ვითარ და ვის მიერ აღეშენნეს“. ეს უნდა ვივარაუდოთ პირობით „მიმოსღვის“ სახელწოდებად A ხელნაწერში.

სათაურის მიხედვით „მიმოსღვის“ ამ რედაქციის მიზანი ყოფილა მთაწმიდის მონასტრების დათვალიერება და მათი აშენების ისტორიის გადმოცემა. ამგვარად, თხზულების მიზანი, აღდგენილი სათაურით, ისტორიულ-მიმოხილვეითია.

B რედაქციის ავტოგრაფი, ისევე როგორც A რედაქციისა, თავნაკლულია. მას აკლია შესავლის პირველი ფურცელი. ამიტომ B რედაქციის სათაურის შესახებ მსჯელობა შეიძლება მხოლოდ ამავე რედაქციის არაავტოგრაფული ხელნაწერების მიხედვით. ჩვენამდე მოაღწია „მიმოსღვის“ B რედაქციის სამმა არაავტოგრა-

ფულმა ხელნაწერმა (ქუთ. 48, H—1014, S—4613). ამათგან ხელნაწერი H—1014 ავტოგრაფის ზუსტი პირია. ხელნაწერის გადმოწერის დროისათვის მისი დედანი, ავტოგრაფი, სრული ყოფილა (H—1014 თავნაკლული არ არის). ამ ხელნაწერის მიხედვით ირკვევა, რომ წიგნი იწყება შესავლით, რომელსაც სათაური არ უძღვის წინ, და ისევე როგორც ავტოგრაფში, ტექსტის სათაური შესავლის შემდეგ, ამბის წინ არის მოთავსებული. ეს ასეც იყო მოსალოდნელი, ვინაიდან შესავალი ეკუთვნის არა „მიმოსლვას“, არამედ მთელ კრებულს. „მიმოსლვა“ კი იწყება საერთო შესავლის შემდეგ.

B რედაქციას სათაურად წარწერილი აქვს: „მეტრფენი განშორებად და უცხოებად და მიმოსლვად უცხოთა ადგილთა და უცხოებასა შინა თხოვად ტკივილთმოყვარებით ღმთისაგან, რათა უვნებელად დაიცივას და საწადელსა თვისსა ღირს ყოს და იხილენეს სამართვირონი და ნიშებშემოსილნი ადგილნი წმიდათანი, და მუნ ბილულნი და სმენილნი აღეწერებოდდეთა სარგებელად და აღსაშენებელად სულთა მორწმუნეთასა, ამისთჳს წიგნსა ამას ეწოდების ეზო“¹. ამგვარად, B ხელნაწერის მიხედვით „მიმოსლვის“ სათაურია „ეზო“.

ავტორი გვამცნობს, რომ ეზო ამ ნაწარმოებს იმიტომ ეწოდება, რომ იგი განკუთვნილია „ერთა სარგებელად და აღსაშენებელად სულთა მორწმუნეთასა“. ამგვარად, B ავტოგრაფის სათაური არა მარტო ფორმულირებით განსხვავდება პირველისაგან, არამედ არსებითადაც, ვინაიდან B ავტოგრაფში ნაწარმოების მიზანი სრულიად ახლებურადაა წარმოდგენილი. თუ პირველ შემთხვევაში ავტორი თავის ნაშრომს უწოდებდა „წიგნი... ამბავთათვის წმიდათა მონასტერთა მთაწმიდისათა, თუ ვითარ და ვის მიერ აღეშენეს...“ და ნაშრომი ამისდა მიხედვით ისტორიულ-მიმოხილვით მიზნებს ისახავდა, მეორე შემთხვევაში მას ავტორი ეროვნულ-აღმზრდელობით მნიშვნელობასაც ანიჭებს.

B ავტოგრაფში სათაურისა და მიზნის შეცვლა გამოწვეულია მასში შეტანილი იმ ახალი მასალით, რომელმაც განსაზღვრა ამ რედაქციის ხასიათი. როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, A ავტოგრაფში მხოლოდ მთაწმიდის აღწერაა, ხოლო B ავტოგრაფში, რომელიც იერუსალიმში ყოფნის შემდეგ დაიწერა, შესულია იერუსალიმის „წმიდა ადგილთა“ მოხილვა და იერუსალიმის ქართულ სიძველეთა აღწერაც. „წმიდა ადგილთა“ მოხილვასთან

¹ მიმოსლვა, გვ. 6.

დაკავშირებით თხზულების ამ რედაქციაში შეტანილია ეპიზოდები საღვთო ისტორიიდან, მაკარი მეგვიპტელის სასულიერო „სწავლანი“, სქოლასტიკური წიაღსვლები, ასკეტიკური ხასიათის დამოძღვრა, იერუსალიმში მოღვაწე ქართველ წმიდათა ცხოვრებები და სხვ. ყველა ამის გამო ნაშრომი გაიზარდა, გაფართოვდა და გასცილდა იმ ფარგლებს, რაც პირველი ავტოგრაფის სათაურში იყო ნაგულისხმევი. ამიტომ B ავტოგრაფში ტიმოთეს თავის მოგზაურობისათვის სათაური შეუცვლია, ეზო უწოდებია, და ნაწარმოების ახალი მიზნის ჩამოყალიბებით დაუსაბუთებია ამ სათაურის შესატყვისობა ნაწარმოების შინაარსთან.

აშკარაა, რომ ეზო აქ შეიძლება მხოლოდ სიმბოლურ სახელად იქნას მიჩნეული. ტიმოთესა და მის თანამედროვეთათვის ნაწარმოებისათვის სახელწოდების შერქმევის ეს წესი ჩვეულებრივია. სიმბოლურ სახელწოდებას ატარებს ბესარიონ კათალიკოზის „გრდემლი“, ტიმოთე გაბაშვილის „მარწუხი“, ანტონ კათალიკოზის „სპეკალი“. ეზოს სიმბოლური მნიშვნელობა ავტორმა თვითონვე ახსნა: წიგნი დაწერილია „ერთა სარგებლად და აღსაშენებლად სულთა მორწმუნეთასა, ამისთჳს წიგნსა ამას ეწოდების ეზო“. ეზო აქ ზღუდის, გალაგნის მნიშვნელობით უნდა იხმარებოდეს. სულხან-საბა ეზოს განმარტავს, როგორც მოხრილ გალაგანს (იხ. ეზო); მეორე შემთხვევაში ეზო განმარტებულია სიტყვა ზღუდესთან — „ეზო არს არა გარე ზღუდედ მოვლებული, არამედ წინათ კერძო, ანუ გვერდით მოხრილი კედელი, რათა შუა ადგილი აქუნდეს“.

ეზო ტიმოთესთან იხმარება სარწმუნოებრივი გალაგნის, ზღუდის მნიშვნელობით. ეზოს სიმბოლური ხმარების სხვა შემთხვევებიც არის ცნობილი ლიტერატურაში. ამონიოს ერმესის ქართულ თარგმანში არისტოტელეს „კატეგორიათა“ განსაზღვრისას ვკითხულობთ: „ხოლო ვითარ მათთჳს აღთქმა იყო ფილოსოფოსისა სახმარ ყოფა ამის წიგნისა არისტოტელის კათილორიათა შინაცა, რომელნი გზანი და წინა ეზონი არიან ყოვლისა სიტყუთისა მიმართ, ყოვლისა ხედჳსა ფილოსოფოსთასა...“¹

¹ A — 250, ამონიოს ერმესი, პორფირის მოსაქცენებელი ხუთთა გამოთავი, 98r. „კათილორის“ ეს განმარტება ამონიოს ერმესის თხზულებიდან სულხან-საბას გადმოუღია და შეუტანია თავისი განმარტებითი ლექსიკონის B ნუსხაში: „კათილორია წიგნი არს, რომელი გზა და წინა ეზო არს ყოველთა ხედვათა და საფილოსოფოსთა მიმართ“.

ამგვარად, ტიმოტეს მოგზაურობის A და B ავტოგრაფის, ე. ი. I და II რედაქციის განსხვავებული სახელწოდებები ავლენენ, თუ როგორ იცვლებოდა და ფართოვდებოდა ავტორის მიზანი ამ რედაქციებზე მუშაობის პროცესში, და ამის შესაბამისად როგორ იცვლებოდა თხზულების სახელწოდება.

გადამწყვეტი მნიშვნელობა სახელწოდების დადგენისათვის, რა თქმა უნდა, საბოლოოდ გადამუშავებულ რედაქციას, ე. ი. C რედაქციას უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ის ტიმოტეს მუშაობის უკანასკნელ ეტაპს ასახავს. მაგრამ, სამწუხაროდ, C რედაქცია ამ საკითხის გადაჭრაში ვერ გვეხმარება.

C ავტოგრაფი არ არის ნაკლული. წინა ორი ავტოგრაფისაგან განსხვავებით მისი შესავალი სრულია. მაგრამ არც შესავალსა და არც თხრობას სათაური არ გააჩნია. შესავლის შემდეგ, თხრობის წინ ავტორს დაუტოვებია საკმაოდ დიდი ადგილი სათაურისათვის, რომელიც, ჩანს, ისევე როგორც B ავტოგრაფში, სინგურით უნდა ჩაწერილიყო.

სხვათა შორის, ასევე უსათაუროდ არის დატოვებული C ავტოგრაფში მეორე „სწავლანი“ (სახელწოდებისათვის აქაც, ისევე როგორც „მიმოსღვის“ შემთხვევაში, თავისუფალი ადგილია დატოვებული), რის გამოც დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში მეორე „სწავლა“ წინა თხზულების („გარდამოცემულის“) უკანასკნელ (მე-15) თავად იყო მიჩნეული¹. B და C ავტოგრაფთა შედარებამ აშკარა გახადა, რომ C ავტოგრაფში სათაურები რაღაც ტექნიკური დაბრკოლებების (სინგურის უქონლობის) გამო დარჩენილა ჩაუწერელი².

სავარაუდოა, რომ C ავტოგრაფში ავტორი ფიქრობდა B ავტოგრაფის სათაურების გატანას, მით უმეტეს, რომ თხზულების მიზანდასახულების თვალსაზრისით B და C ავტოგრაფებს შორის არ არის დიდი განსხვავება. ამგვარად, ჩვენ, თუ ზუსტად გავყვებით ტიმოტეს თხზულებათა ავტოგრაფების ტრადიციას, ტიმოტეს მოგზაურობის ერთადერთ სწორ სათაურად B ავტოგრაფში შემონახული ვრცელი სათაურად უნდა მივიჩნიოთ.

ქართულ მწერლობაში ყველაზე მეტად ტიმოტეს „მიმოსღვის“ C რედაქცია გაერცელდა. C ავტოგრაფი კი მოკლებულია

¹ კ. ქეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I², გვ. 328.

² ანალოგიურ შემთხვევებს ხშირად ვხვდებით ხელნაწერებში. შეიძლება სხვადასხვა დროის მრავალი ხელნაწერი დავასახელოთ, სადაც გამოტოვებულია ადგილი არა მარტო სათაურებისათვის, არამედ მოსახატავი მთავრული ასოები-დათვისაც, რომელთა დაწერა სინგურით ან სხვა ფერებით იყო ნაგარაუდგვი.

სახელწოდებას, ამიტომ სათაურის მხრივ ყველაზე დიდი მრავალფეროვნება C რედაქციიდან მომდინარე ნუსხებში გვიჩვენებს.

B რედაქციის ორ ნუსხაში (H — 1014 და S — 4613) ზუსტად არის დაცული B ავტოგრაფის სათაური. მაგრამ აქვეა აღსანიშნავი ერთი გარემოება, — ვრცელი სახელწოდების გვერდით S — 4613 ხელნაწერის გადამწერს საკვიროდ მიუჩნევია წიგნისათვის მოკლე სათაურის შერქმევა. ხელნაწერის თავფურცელზე ვკითხულობთ: „წიგნი ესე მლუღელმთავრის ტიმოთეს მიმოსლვისა“. ეს სახელწოდება სიმბოლოთა ყოველგვარი ამოხსნების გარეშე ამ წიგნის არსს გადმოსცემდა. ამ სახელწოდებისათვის კი მასალას B რედაქციის ვრცელი სათაური იძლევა, ვინაიდან სათაურის დასაწყისშივე სწერია: „მეტრფენი განშორებად და უცხოებად და მიმოსლვად უცხოთა ადგილთა და უცხოებასა შინა...“ ამგვარად, ოფიციალური ავტორისეული სათაურის გვერდით ხელნაწერ S — 4613-ში ჩნდება მეორე, მოკლე, პირობითად შერქმეული სახელწოდება „მიმოსლვა“, რომელიც ვრცელი სათაურის შემოკლებას წარმოადგენს..

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სათაურის მხრივ ყველაზე დიდი მრავალფეროვნება C რედაქციის ნუსხებში გვხვდება. C ავტოგრაფის ადრეული პირი, დავით რექტორის გადაწერილი ხელნაწერი, საფუძვლად დაედვა ნაბეჭდ გამოცემას. დავით რექტორის ხელნაწერს სათაური არ გააჩნია, ისევე როგორც მის დედანს, C ავტოგრაფს. თავის ანდერძში კი დავით რექტორი შემდეგნაირად იხსენიებს ტიმოთეს თხზულებას: „ეს წიგნი, გაბაშვილის ტიმოთე მთავარეპისკოპოსისაგან გაკეთებული, მთაწმიდისა და იერუსალიმისა და სხუათა ადგილთა მოხილვა, რომელი თვთ ეხილვა, ყოველივე აღეწერა და ერთა წიგნად ექმნა“¹. დავით რექტორი ტიმოთეს თხზულებას წიგნს უწოდებს, ვინაიდან არ იცის მისი სათაური, ხოლო შემდეგ განსაზღვრავს ამ წიგნის რაობას, საიდანაც ირკვევა, რომ წიგნი შეიცავს მთაწმიდისა და იერუსალიმის მოხილვას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ წიგნის მნიშვნელობის დავით რექტორისეული განმარტებიდან გამოკვეთა პლ. იოსელიანმა თხზულების სახელწოდება მის მიერ გამოცემული ტექსტისათვის: „მოხილუა წმინდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა ტიმოთესაგან ქართლისა მთავარეპისკოპოსისა“.

ტერმინი „მოხილუა“, რომელიც გვხვდება როგორც ნაბეჭდი ტექსტის თავფურცელზე, ასევე დავით რექტორის ანდერძსა და სხვა ხელნაწერ ნუსხებში, ტიმოთეს მოგზაურობის ტექსტიდანვე

¹ E—13, 86 r

უნდა იყოს ამოღებული. ტიმოთე ტექსტში „მოხილვას“ ხმარობს. დათვალე რების, ნახვის მნიშვნელობით: „ხოლო ამისა შემდგომად წარვედით მონასტრით ქართველთასა მოხილვად და თაყვანის-ცემად წმიდისა მონასტრისა ლავრისა ათანასე ათონელისასა, მთაწმიდელთა უბირველესისა მონასტრისა...“ (გვ. 24).

„მიმოსლვის“ C რედაქციის დანარჩენ ნუსხათა უმრავლესობაც დავით რექტორის ანდერძში ნახმარ სახელწოდებას იმეორებს. მცირეოდენი სხვაობით:

„მთაწმიდისა და წმიდისა იერუსალიმისა მოხილუა ტიმოთეს მიერ მთავარეპისკოპოსისაგან“ (H — 2107).

„მთაწმინდისა და წმინდისა იერუსალიმისა მიმოხილვა ტიმოთე მთავარეპისკოპოსისაგან“ (S — 36, H — 330, H — 507).

„მთაწმიდისა და წმიდისა იერუსალიმისა მიმოხილვა ტიმოთეს მიერ ქართველთა მთავარეპისკოპოსისა“ (S — 90).

„მთაწმიდისა და წმიდისა იერუსალიმის მიმოხილუა ტიმოთე მთავარეპისკოპოსისაგან“ (S — 3679, S — 3680).

„მიმომგზავრება ტიმოთეს მიერ ქარ[თლისა მთავარეპისკოპოსისაგან]“ (H — 1370).

„მიმოსვლა მიტროპოლიტისა და არხიეპისკოპოზისა ტიმოთესი სამთავროსი და გორისა“ (H — 2306).

ამგვარად, ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვის“ B რედაქციის ავტოგრაფმა და ამ ავტოგრაფისაგან მომდინარე ნუსხებმა შემოგვინახეს თხზულების ნამდვილი სათაური. C რედაქციის ავტოგრაფიდან მომდინარე ნუსხების სახელწოდებები კი, ისევე როგორც პლ. იოსელიანის მიერ გამოცემული ტიმოთეს „მოხილვის“ ტექსტის სათაური, ნებითადაა შედგენილი¹.

მიუხედავად იმისა, რომ ტექსტის წინამდებარე გამოცემას C რედაქციის ავტოგრაფი დაედვა საფუძვლად, წიგნის სახელწოდებისათვის B რედაქციის ავტოგრაფით ვისარგებლეთ. B ავტოგრაფის ვრცელი სათაური მოვათავსეთ შესავლის შემდეგ, როგორც ეს ავტოგრაფშია, ხოლო წიგნის თავფურცელზე გავიტანეთ შეშლკლებულად „მიმოსლვა“, ამავე B ავტოგრაფის სათაურიდან ამოღებული ტერმინი.

¹ მ. ბროსე, უწოდებდა რა ტიმოთეს მოგზაურობას „მოხილვას“, თან დასძენდა, რომ ეს პირობითად შერქმეული სათაურია, რომელიც მან დავით რექტორის ანდერძიდან ისახა: „Quand au titre que je donne à son livre, il ne se trouve pas en tête, mais bien dans la note du recteur Dawith“ (Addit. et écl. გვ. 205).

შესაძლებელია, უფრო ახლო ვიქნებოდით ხელნაწერთა ტრადიციის დაცვასთან, რომ შემოკლებულ სახელწოდებად ეზო გავეტანა. მაგრამ „მიმოსლვას“ ჩვენ უპირატესობა იმიტომ მივეციტ, რომ ავტოგრაფშივე ნახმარი ეს ტერმინი უფრო მკაფიოდ და პირდაპირ ასახავს წიგნის მნიშვნელობასა და შინაარსს, ვინემ სიმბოლური ეზო.

„მიმოსლვის“ სათაურის დადგენისათვის მნიშვნელობას არ არის მოკლებული ცნობა, რომელსაც იოანე ბატონიშვილი გვაწვდის თავის „მცირე უწყებაში“ „ტიმოთე ეპისკოპოზი ერისთავთ გვარისა, თავადი, კაცი მეცნიერი წარვიდა ტფილისილამ და მივიდა სტანბოლს. სულთანმან კარგად მიიღო და უბოძა თხოვისაებრ მისისა ფარმანი მოსალოცველად... და, სადაცა რაჲ იხილა, ყოველივე აღწერა კეთილად და მშვენიერად, რომელსა უწოდა წიგნსა მას ტიმოთიანი. და სხვანიცა სწავლანი შესძინა წიგნსა მას შინა. და კვლად მოვიდავე ქართლსა შინა...“¹.

აშკარაა, რომ იოანე ბატონიშვილს ხელთ ჰქონია ტიმოთეს ერთ-ერთი ავტოგრაფი, ვინაიდან მოგზაურობის დროს დაწერილი თხზულებები ერთად მხოლოდ ავტოგრაფებშია თავმოყრილი. შეიძლება უფრო დაზუსტებითაც ითქვას, რომ ეს უნდა ყოფილიყო C ავტოგრაფი, სადაც „მიმოსლვას“ სათაური არ გააჩნია. იოანე ბატონიშვილი, ისევე როგორც დავით რექტორი, არ იცნობს B ავტოგრაფში დაცულ „მიმოსლვის“ სახელწოდებას — ეზოს. ავტოგრაფ-კრებულს იოანე ბატონიშვილი უწოდებს „ტიმოთიანს“, ხოლო „მიმოსლვას“ განიხილავს, როგორც ამ კრებულის ერთ-ერთ ნაწილს.

„ტიმოთიანს“ უწოდებს D ავტოგრაფულ ნუსხას ამ ხელნაწერის მფლობელი რაქის ერისთვის შვილი დავითი².

ორივე შემთხვევაში ავტოგრაფები განხილულია, როგორც ტიმოთე გაბაშვილის თხზულებათა კრებული, ამის მიხედვით არის შერქმეული სახელწოდება „ტიმოთიანი“.

¹ იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, 1948, გვ. 196.

² აქვე, გვ. 021, სქ. 1.

„მიმოსღვის“ ტექსტის დასასრულისათვის

ავტოგრაფების შესწავლამ წამოჭრა ტექსტის დასასრულის საკითხიც. დანთავრებულად უნდა ჩაითვალოს თუ არა C რედაქციის ავტოგრაფის „მიმოსღვის“ ტექსტი?

ტიმოთე გაბაშვილი თავის მოგზაურობის ისტორიას იწყებს თბილისიდან გასვლით. თბილისიდან იგი მიემგზავრება ქვიშხეთს, ქვიშხეთიდან ახალციხეს, ახალციხიდან ბათომს, ხოლო ბათომიდან ტრაპიზონს და ასე შემდეგ. ბუნებრივია, მისი მგზავრობა საქართველოში დაბრუნებით, საქართველოში შემოსვლით უნდა დამთავრებულიყო. სინამდვილეში C რედაქციის ავტოგრაფი და ამ რედაქციიდან მომდინარე ყველა ნუსხა მოულოდნელად წყდება ტიმოთეს გუმიშხანაში ჩასვლით: „...და განვლეთ ამასია და მივედით კვალად კომანად და მიერ წარვემართენით და მივიწიენით ადგილსა მას, სადა ეწამნეს წმიდა ევსტრათი, ავქსენტი და ორესტი; და მიერ მივიწიენით მელიტონს სომხითისასა, სადა ეწამნეს წმიდანი ორმეოცდა ხუთნი მოწამენი. მიერთგან მივიწიენით ქალდეას, აწ უკმობენ გუმიშხანას, სადა ეწამნენ წმიდანი ევგენი, კანდილოს, ვალერიანე“¹.

ტექსტი, რომელიც ვრცელი შესავლითა და მოგზაურობის მიზნის მოხაზვით იწყება, თხოულობდა სხვაგვარ შემაჯამებელ დაბოლოებას, ყოველ შემთხვევაში, ტიმოთეს საქართველოში დაბრუნების აღწერას მაინც. ტექსტი იმ სახით, რა სახითაც ის შემოგვინახა C რედაქციის ავტოგრაფმა, აშკარად დაუმთავრებელ შთაბეჭდილებას ტოვებს². ეს გარემოება შეუძმჩნეველი არ დარჩენიათ ტექსტის გადამნუსხველებსაც. ასე მაგ., ბაგრატ ბატონიშვილის გადაწერილ ნუსხას, რომელიც C რედაქციას მისდევს, ბოლოს დართული აქვს გადამწერის შემდეგი სახის შენიშვნა: „ამ მთავარებისკოპოზისა ტიმოთეს მოხილვა მეტი აღარ ეწერა დედანში. ო რ ი წ ი გ ნ ი ვ ნ ა ხ ე და არც ერთში მეტი აღარ იყო, და

¹ მიმოსღვა, გვ. 98.

² ხელნაწერი სრულია, მას ფურცლები არ აკლია, ავტოგრაფს ბოლოდაკარგულად ვერ მივიჩნევთ, და ამით ვერ ავხსნით ტექსტის დაუმთავრებლობას.

ვინც ჰპოვოთ, გთხოვთ, ლეთის სიყვარულისათვის თქუცნც შეასრულოთ, მეფის ძე სენატორი ბაგრატი“ (H—2107, გვ. 277).

მიუხედავად იმისა, რომ ბაგრატი ბატონიშვილს C რედაქციის ჩვეულებრივი სრული ტექსტი ჰქონდა ხელთ, მას ის ბოლონაკლულად მიუჩნევია და ტექსტის შევსების მიზნით სხვა ორი ნუსხაც გაუსინჯავს, სასურველი დასასრული ვერც იქ უპოვია, მაგრამ იმედი არ დაუკარგავს, რომ ეს დასასრული ტიმოთეს „მიმოსლვის“ სხვა ნუსხებში აღმოჩნდებოდა, ამიტომ მიუშარათავს სხვა გადამწერთათვის: „გთხოვთ, თქუცნც შეასრულოთ“.

ტიმოთე გაბაშვილი, როგორც ჩანს, არ ვარაუდობდა თავისი მოგზაურობის აღწერის დამთავრებას გუმიშხანით. ამას მოწმობს არა მარტო C ხელნაწერის ბოლომოკვეთილი დასასრული, არამედ B რედაქციის ავტოგრაფიც, სადაც მოგზაურობა სურამამდე მიყვანილი¹. ის გარემოება, რომ „მიმოსლვის“ B ავტოგრაფის ბოლო ნაწილი გზადაგზა იწერებოდა, და რომ უკანასკნელი აბზაცი — გუმიშხანის აღწერა და გუმიშხანიდან სურამამდე მგზავრობა — დაუმთავრებელია, მოწმობს იმას, რომ ავტორს B ავტოგრაფის წერის დროს განზრახვა ჰქონია განეგრძო წერა და ბოლომდე, ესე იგი თბილისში დაბრუნებამდე, მიეყვანა თავისი მოგზაურობა. მაგრამ შემდეგ ეს სურვილი განუხორციელებელი დარჩენია. უადგილოდ შეწყვეტილი აბზაცი არ დაუმთავრებია, ხოლო ეს დაუმთავრებელი აბზაცი შემდგომ C რედაქციაში სულ აღარ შეუტანია.

თუ რატომ დარჩა ტიმოთეს „მიმოსლვა“ დაუმთავრებელი, ამას ჩვენ ცალკე ვეხებით ტიმოთეს ცხოვრება-მოღვაწეობის განხილვის დროს.

ამგვარად, „მიმოსლვის“ დასრულებას ტიმოთე ვარაუდობდა. ეს სურვილი ნაწილობრივ განხორციელებულია B ავტოგრაფში. სწორედ ამიტომ საჭიროდ მივიჩნით წინამდებარე გამოცემის ძირითად ტექსტში შეგვეტანა B ავტოგრაფის დაუმთავრებელი აბზაცი.

ტიმოთე გაბაშვილის მოგზაურობის წლები

სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული ტიმოთეს მოგზაურობის წლების შესახებ. საქართვე-

¹ მიმოსლვა, გვ. 98.

ლოდან გამგზავრების თარიღი ტიმოთეს „მიმოსლვაში“ აღნიშნული აქვს: „წელთა 1755, ოდეს განაგებდა საქართველოთა ცხებული ქრისტეს მოყვარე მეფე თეიმურაზ და პირმშო სახელოვანი ძე მათი ღმთისმსახური მეფე საქართველოთა უფალი ირაკლი, მოძქენებელი ვიქმენ მეფობისა მათისა და ვიჯმენ მუნით და მათ მიერთა საბოძერთა და ქარტითა — განმტკიცებისათვის უცხოებად შორმგზავრობისა ჩემისა — კმასაყოფელი აღვიღეთ და მოვიწიენით სამცხეს ქალაქსა ახალციხეს“¹. „მიმოსლვის“ B ავტოგრაფის მიხედვით შესაძლებელია გამგზავრების თარიღის დაზუსტება. ამ ხელნაწერიდან ვგებულობთ, რომ თბილისიდან ტიმოთე ქვიშხეთს ჩასულა და იქ აბაშიძეთა სახლში კვირიაკე ვენებისა და პასქა უდლესასწაულებია². 1755 წელს აღდგომა მოდიოდა 29 აპრილს³; მაშასადამე, თბილისიდან ტიმოთე აპრილის უკანასკნელ რიცხვებში გამგზავრებულია.

ტიმოთეს საქართველოში დაბრუნებას მკვლევრები სხვადასხვა დროს ვარაუდობენ. პლ. იოსელიანს მიაჩნდა, რომ ტიმოთე აუკუმოიქცა ქართლადვე 1757 წელს⁴. აკად. კ. კეკელიძე ტ. გაბაშვილის ქართლში დაბრუნების თარიღად 1756 წელს დებს⁵.

ტიმოთეს მოგზაურობის წლებს უფრო ზუსტად განსაზღვრავენ ნ. ჩუბინაშვილი და ალ. ცაგარელი. ორივე მკვლევარს მიაჩნდა, რომ ტიმოთემ იერუსალიმში დაყო 1757—1758 წლები⁶; მაშასადამე, 1758 წელზე ადრე ის საქართველოში ვერ დაბრუნდებოდა. ამავე საკითხის გადასაწყვეტად „მიმოსლვის“ ტექსტზე სერიოზული მუშაობა ჩაატარა აკად. მ. ბროსემ. ტექსტის ქრონოლოგიური გათვალისწინებით იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ 1759 წლის მიწურულამდე ტიმოთე საქართველოში ვერ დაბრუნდებოდა⁷. მ. ბროსეს კვლევის წესი უთუოდ მართებულია. ტიმოთეს მოგზაურობის წლების დადგენა შეიძლება მხოლოდ ტექსტის ცნობათა ქრონოლოგიური ანალიზის საფუძველზე.

¹ მიმოსლვა, გვ. 6—7.

² რედაქც. და ვარიანტ., გვ. 101, № 2.

³ ცნობა მოგვაწოდა აკად. კ. კეკელიძემ.

⁴ მოხილუა, გვ. 6.

⁵ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I³, გვ. 328.

⁶ Н. Чубинов, Описание Крестного монастыря..., Сведения..., т. I, вып. III, გვ. 44; А. л. Цагарели, Памятники, გვ. 84.

⁷ M. Brosset, Addit. et écl. გვ. 208.

ტიმოთე, გარდა ერთი შემთხვევისა (დასაწყისში), მოგზაურობის თარიღებს არსად არ გვაწვდის, მაგრამ ამავე დროს ის ასახელებს ყველა იმ დღესასწაულს, რომლებიც მისი მგზავრობის მანძილზე იდღესასწაულებოდა. ამის მიხედვით კი შესაძლებელი ხდება ტიმოთეს მოგზაურობის წლების განსაზღვრა.

ტიმოთე გაბაშვილის მოგზაურობის ზოგადი ქრონოლოგიური სურათი „მიმოსღვის“ მიხედვით შემდეგია: 1755 წლის გაზაფხულზე ტიმოთე გავიდა თბილისიდან. ვნების კვირა და აღდგომა (პასქა) მან ქვიშხეთში გაატარა. ქვიშხეთიდან ტიმოთე ახალციხეს გაემგზავრა, სადაც ერთხანს დაყოვნდა, ხოლო იქიდან, ზარზმის გავლითა და აქარის მთაზე გადასვლით, ქოროხის ხეობით ყასაბასა ბათომს ჩავიდა. ტოვებს რა საქართველოს საზღვრებს, რიზეს, ტრაპიზონს, ტრიპოლს, უნიას, ტიმოთე ნეოკესარიის გავლით მიემართება კომანასაკენ. კომანაში ტიმოთე ჩასულა 15 აგვისტოს: „და დავეყავით მუნ დღენი რაოდენიმე, და გარე ქალაქისა აღვედით და ვიხილეთ მონასტერი აღშენებული თეოდორა დედოფლისა მიერ, ფრიად პატიოსანი, ჟამი იყო აგვისტო ათხუთმეტი“¹.

კომანადან ტიმოთე ზმირინისაკენ (იზმირისაკენ) მიდის, რათა იქიდან ნავით იერუსალიმისაკენ გაემგზავროს, მაგრამ ზმირინში იერუსალიმისაკენ მიმავალი ნავები არ აღმოჩნდა და ამიტომ მას ურჩიეს კუნძულ ქიოსზე წასვლა: „რამეთუ ნაენი იერუსალიმად წარსრულ იყვნეს, ჟამნი იყვნეს ნოემბრისანი. და გვასწავეს, ვითარმედ ქიონად გეშოგოსთ ნავი წარმსლველი იერუსალიმად“². უფრო ზუსტად არის განსაზღვრული ქიოსზე ყოფნის დრო B რედაქციის ავტოგრაფში. „ჟამნი იყო ნოემბრისა ი ე“³. ტიმოთე ზმირინიდან უმაღვე კუნძულ ქიოსზე გაემგზავრა. მისი ქიოსზე ყოფნის დროს „მოიწია ტაძრად მიყვანების დღესასწაული“⁴, რომელიც 21 ნოემბერს (ძველი სტილით) იდღესასწაულებოდა.

ნავები ქიოსიდანაც წასული აღმოჩნდა. ქიოსზე ტიმოთე რამდენიმე დღეს დარჩა, დაათვალიერა ღირსშესანიშნავი ადგილები, ხოლო შემდეგ დასაზამთრებლად მთაწმიდისაკენ გაემგზავრა. ტიმოთე მთაწმიდას 1755 წლის მიწურულს ჩასულა. როგორც ჩანს, ჩასვლისთანავე გასცნობია ივერიის მონასტრის ქართულ ხელნაწერებს და ცნობილ „ათონის კრებულზე“ თავისი ჩასვლის აღსანიშნავად წარწერა გაუკეთებია: „ღმერთო მაღალო და ხატო

¹ მიმოსღვა, გვ. 9.

² იქვე, გვ. 11—12

³ B, 9r.

⁴ მიმოსღვა, გვ. 12.

დიდებულო პორტაიტისაო, შეიწყალე ცოდვილი ქუთათელ-ყოფილ¹ და არქიებისკობოსი ქართლისა ტიმოთე, რომელიცა მოვიწიე მთასა ამას, მონასტერსა ქართველთასა, ქრონიკონი იყო უმგ. 1755² (სურ. 1).

მთაწმიდაზე ტიმოთე რაპდენიმე თვეს დარჩა—1755 წლის დეკემბრიდან 1756 წლის გაზაფხულამდე. ივერიის მონასტერში ტიმოთეს ყოფნისას მოიწია შობის დღესასწაული³ (25 დეკემბერი) და ნათელთა განცხადების დღესასწაული, რომელიც 6 იანვარს ილღესასწაულება⁴. მარხვის დღეები ტიმოთეს ათანასეს ლავრაში გაუტარებია: „და განვათიეთ მუნ აღება, კრება და კვირიაკე მარხვისა თვედორობამდე“⁵ (თვედორობა ილღესასწაულება დიდმარხვის პირველ შაბათს). ვათოპედის მონასტერში ტიმოთე მისულა „თვით დღესასწაულსა მისსა ხარებასა ყოვლად წმიდისასა“, ე. ი. 25 მარტს ძველი სტილით. აღდგომასა და თომას კვირას (აღდგომის შემდგომი კვირაა) ტიმოთე შეხვდა მთაწმიდის სტავრონიკიტას მონასტერში⁶. აღდგომა კი ამ წელს 30 მარტს ყოფილა⁷. 1756 წლის მაისშიც ტიმოთე ჯერ კიდევ მთაწმიდაზეა. ამას მოწმობს სვიმეონ მესვეტის ცხოვრების ხელნაწერზე ტიმოთეს ხელით გაკეთებული მინაწერი: „მდაბალმან და ცოდვილმან, უღირსმან ეპისკოპოსობისა ტიმოთემან შევაკურევინე ესე წიგნი აღმომკითხველთა შენდობისა მოსარეწველად, რათა თქვენც უფალმან შეგინდოს შეცოდებანი. წელი იყო 1756, თთუშ მაისი 13“⁸. მაისის ბოლოს ტიმოთე მიდის მთაწმიდიდან კონსტანტინეპოლში, ხოლო ივლისში კვლავ ბრუნდება მთაწმიდაზე; „ივლისსა ხუთსა, დღესასწაულსა წმიდისა მამისა ჩვენისა ათანასე ათანელისასა“ ტიმოთე მთაწმიდის ათანასეს ლავრაშია⁹. ამ ჯერადაც ტიმოთე მთაწმიდაზე დიდხანს დაყოვნებულა: „შემდგომად დღესასწაულისა აღვედით მონასტრად ჩვენ საქართველთასა და ვიყოფოდე მუნ, და დავათიეთ მონასტერსა ჩვენსა ჟამნი რაოდენიმე. და წარვედით მიერ შკოლად კეთილ მეგობრისა ჩვენისა თანა, ევგენიოსის თანა“¹⁰, შემოდგომაზე ტიმოთე კონსტანტინე-

¹ მიმოსლვა, გვ. 22.

² იქვე, გვ. 23.

³ იქვე, გვ. 25.

⁴ იქვე, გვ. 49.

⁵ M. Brosset, Additions, გვ. 206.

⁶ ხელნაწ. S—3061, 1v (შეიცავს პლ. იოსელიანის მიერ შედგენილ ივერიის მონასტრის ზოგიერთი ქართული ხელნაწერის აღწერილობას).

⁷ მიმოსლვა, გვ. 54.

⁸ იქვე.

პოლისაკენ გამგზავრებულა, სადაც 1757 წ. გაზაფხულამდე დარჩენილა: „დავათივეთ თვენი შვილნი კოსტანტინეპოლედ ფრიადსა პატივსა და ამოდ ცხოვრებაში“¹. 1757 წლის აღრე გაზაფხულზე ტიმოთე შეუდგა იერუსალიმში გამგზავრების თადარიგს.

კონსტანტინეპოლიდან წამოსული ტიმოთე გზაში დიდხანს ყოვნდება. ულუმბოს მთის მიდამოებში, მედანიას, სიასა და სოფ. ტრილიაში გაატარა მან აღდგომის ნომდევნო კვირები²: „მივედით სოფელსა ტრილიას..., რამეთუ ამალღებად უფლისა მუნ ვიყავით“³ (ამალღება უფლისა მოდის აღდგომის VI კვირას). აქედან წასულმა ტიმოთემ განვლო დარდანელი და აილო კურსი იაფასაკენ. გზადაგზა ტიმოთე კუნძულებზე ჩერდებოდა. აგვისტოში პატმოსის კუნძულზე მივიდა: „და განვათიეთ მარხვა მარიამობისა მუნ და დღესასწაულიცა დაძინებისა მუნ აღვასრულეთ“⁴ (პირველ აგვისტოს იწყება მარიამობის მარხვა, ღვთისმშობლის მიძინება კი იდღესასწაულება 15 აგვისტოს).

ამგვარად, ტიმოთე პატმოსზე 15 აგვისტომდე დაყოვნებულა. პატმოსის შემდეგ განვლო კუნძულები: ლეროსი, კალა-ლიმონა, სტანკოვი, სუბეკი და ჩავიდა როდოსს, სადაც 16 დღეს დარჩა: „ხლო დავიყოვნეთ მუნ დღენი ათექვსმეტნი“⁵. როდოსიდან უკვე სექტემბრის თვეში მიემგზავრება ტიმოთე იაფასაკენ. მაგრამ იაფას ნაპირს მიახლოვებული ტიმოთეს ნავი ლელვამ უკუაგლო ნაპირიდან: „მოვაწიეთ რა ახლოდ იაფას, ნაპირსა იერუსალიმისასა, აღგვიდგა წინააღმდგომი ქარი ესოდენ ძლიერი, კნინლა დავინთქენით, სამ დღე, ვითარცა მთანი იალბუზისანი, ეგრეთ იხილვებოდა. და უკანად გვაქცივა ოთხასი მილიონი. მოწყალეზამან ღმთისამან დააცხრო რა ქარი, მივსულვიყავით უცხოსა რასმე ქვეყანას, არაბეთს ასურეთისასა“⁶. ლელვამ ტიმოთეს ნავი უკან, ტრიპოლისაკენ გადაისროლა. ტრიპოლიდან ტიმოთემ ხმელეთით განაგრძო გზა. იმგზავრა სამ დღეს. გაიარა მარონიტთა ქვეყანა და მივიდა „შვენიერსა მას ქალაქსა ბერუთას“⁷. ბერუთიდან ქალაქ სიდონისა

¹ მიმოსლვა, გვ. 56.

² აღდგომა 1757 წელს იყო 29 მარტს. ცნობა მოგვაწოდა აკად. კ. კეკელიძემ.

³ მიმოსლვა, გვ. 62.

⁴ იქვე გვ. 63.

⁵ იქვე, გვ. 64.

⁶ იქვე: გვ. 65.

⁷ იქვე.

და ტვიროსის გაგლით ჩავიდა პტოლომაიდას, სადაც ერთი თვე დაყოვნდა. პტოლომაიდიდან იაფის, არიმათიისა და ლიდიის გავლით ტიმოთე ჩავიდა იერუსალიმში.

ძნელია ზუსტად იმის განსაზღვრა, თუ რამდენ ხანს გაგრძელდა ტიმოთეს მგზავრობა იერუსალიმამდე. მგზავრობა მძიმე, სახიფათო და ხანგრძლივი ყოფილა. თუ ამას გავითვალისწინებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ პატროსის კუნძულიდან სექტემბრის ბოლოს წასული ტიმოთე 1757 წლის გვიან შემოდგომაზე ან ზამთრის პირას ძლივს მიაღწევდა იერუსალიმს.

იერუსალიმში ჩასული ტიმოთე ეცნობა ქართულ სიძველეებს, მონასტერ-ეკლესიებსა და წმიდა ადგილებს როგორც შიგ იერუსალიმში, ასევე მის მიდამოებში. ტიმოთე იერუსალიმში დარჩენილა 1758 წლის გაზაფხულამდე, ვინაიდან ბაიაობისა და აღდგომის დღესასწაულებს ის იერუსალიმში შეხვდა: „მოიწია დღესასწაული ბაიასა და პასქათა მუნ ქალაქსა იერუსალიმსა“¹. ამ წელს, როგორც თვითონ ტიმოთე აღნიშნავს, აღდგომა 19 აპრილს ყოფილა.

1758 წელს რომ ტიმოთე ჯერ კიდევ იერუსალიმშია, ამას იერუსალიმის ერთ-ერთ ხელნაწერზე ტიმოთეს ხელით გაკეთებული მინაწერიც ადასტურებს: „ძმანო საყუარელნო საქართველოსანო, მე ცოდვილი ტიმოთე, უღირსი მონაზონებისა, შემიწყალეთ და შენდობა ბრძანეთ, გვედრებით. ესე წიგნი მაკარისა საქართველოში არ არის. ნურავინ წარიღებთ, ვინც აქ მოსლვას ქართლით კვლად ეღირსოს, ქრისტეს აქეთ ჩღმიც (1758)“².

აღდგომის შემდეგ, როგორც ჩანს, ტიმოთე დიდხანს აღარ დაყოვნებულა იერუსალიმში, ვინაიდან მღვდელმთავრებმა ქრისტეს საფლავისათვის დახმარების აღმოჩენა სთხოვეს. ამისთვის კი საქირო იყო ხონთქართან და პატრიარქებთან შუამდგომლობა გადასახადების შემცირებაზე. ტიმოთეს უკისრია ეს საპატო მისია და იერუსალიმიდან კონსტანტინეპოლს გამგზავრებულა: „ხოლო მე, ვერ ურჩქმნილი მათი, ვიწყე ზრუნვად გაყრისათვის უცხოთა მისთვის აღგილისა წმიდისა“³. ტიმოთე იერუსალიმიდან წავიდა არიმათიას, იქიდან იაფას, ხოლო იაფადან ზღვით კუნძულ კვიპრზე. კვიპრედან ზღვითვე ალაიამდე იარა. განვლო პისიღია და მირონ ქალაქი, კასტელორიზოსა და როდოსის კუნძულები და მივიდა

¹ მიმოსლვა, გვ. 90.

² А. Пагарели, Памятники; დამატ. I, № 116.

³ იქვე; გვ. 99.

ქალაქსა ასტოპალეას. მიუხედავად იმისა, რომ ტიმოთე მიიჩქა-
როდა კონსტანტინეპოლში, მან მოგზაურობის თავის წესს არც-
ამ შემთხვევაში უღალატა. ის გზადაგზა ათვალიერებდა ღირსშესა-
ნიშნავ ადგილებს და აგროვებდა მისთვის საინტერესო ცნობებს.
ამის გამო გზა გაუხანგრძლივდა და ასტოპალეას ჩასულს დაზამ-
თრებია კიდევ: „მიერიტვან (წარვედით) ქალაქსა ასტოპალეას,
ციხესა მას ძველთა მეფეთასა. რამეთუ დაგვიზამთრდა და ამის-
თვის შორად ვერ უძლეთ წარსვლად, ახლო ქალაკითი-ქალაკად-
ვიდოდით...“¹.

ამგვარად, 1758 წლის ზამთარს ტიმოთე ეგეოსის ზღვის
კუნძულებზე შეხვდა. ასტოპალეას (ასტოპალეა) ქალაკის შემდეგ
ტიმოთემ გაიარა და დაათვალიერა კუნძულები: ნაქსია, ბაროსი,
სერფო და ჩავიდა ათინას. ათინადან ტიმოთე „არნაუტთა ქვე-
ყანაში“ გაემგზავრა ფერისცვალების დიდებულნი მონასტრის სანა-
ხავად. არნაუტთა ქვეყანას, როგორც „მიმოსლვის“ ტექსტიდან
ჩანს, ტიმოთე კორინთის მახლობლად დასახლებულ ალბანელთა
პროვინციას უწოდებს: „გამოვეთხოვენით დიდებულთა ათინელ-
თასა და წარვედით მათგან პატიოსნად ხილვად მონასტრისა მის-
დიდებულისა ფერისცვალებისასა ქვეყანასა არნაუტთასა. და მივე-
დით რა, მოგვეგებნენ მამანი არნაუტნი და შეგვიძლენენ მონასტრად-
წესისაებრ. და ვიხილეთ ეკლესია დიდი და შევნიერი და დავა-
დგერიით მუნ ჟამნი რაოდენიმე. მუნ იყო ახლოდ კორინთე“². კო-
რინთის სანახებიდან ტიმოთეს განუზრახავს კუნძულ კორფოზე³
გამგზავრება წმ. სპირიდონის ნაწილთა სანახავად: „რამეთუ გვე-
წადა წმიდისა სპირიდონისა ნაწილის ხილვა კორფოსად, არამედ
მოგვესმა ამბავი, ვითარმედ თურქთა და არნაუტთა ბრძოლა არს
გზათა ზედა, უკმოვიქეციით და მოვიწიენით ქალაქსა ანდროს...“⁴.
ტიმოთეს მტკიცედ ჰქონია გადაწყვეტილი არნაუტთა ქვეყნის ნახ-
ვა, მაგრამ თურქთა და არნაუტთა ბრძოლებმა ხელი შეუშალეს
მას ამ გადაწყვეტილების განხორციელებაში.

ანდროს ქალაკიდან ტიმოთე მთაწმიდას გაემგზავრა, სადაც
საკმაო ხანს დაყოვნდა: „და მოვიწიენით მონასტრად ჩვენ ქართ-
ველთასა და ვიყოფოდე მრავალ ჟამ მათ თანა“⁵.

¹ მიმოსლვა, გვ. 95.

² იქვე, გვ. 97.

³ კუნძული კორფო (კერკრა) ამ დროს თურქთა მფლობელობაში არ შე-
დიოდა.

⁴ მიმოსლვა, გვ. 97.

⁵ იქვე.

მთაწმიდიდან ტიმოთე კონსტანტინეპოლისაჲკენ გაეშურა, რათა ქრისტეს საფლავის გადასახადის თაობაზე იერუსალიმის პატრიარქთან მოლაპარაკება ეწარმოებინა: „შემდგომად ვინებეთ ხილვა პატრიარქისა იერუსალიმისა საქმისა რასათვისმე, და აღვიღეთ ლოცვა მამათაგან და წარმოვემართენით კონსტანტინეპოლად...“¹.

ჰქონდა თუ არა ტიმოთეს მოლაპარაკება იერუსალიმის პატრიარქთან და მიაღწია თუ არა ამ მოლაპარაკებით რაიმე შედეგს, ამის შესახებ ტიმოთე არაფერს წერს. საფიქრებელია, ამ მხრივ მისმა საქმიანობამ შედეგი ვერ გამოიღო, წინააღმდეგ შემთხვევაში ტიმოთე თავის თავს ასეთ დიდ ღვაწლს არ დაუკარგავდა.

ტიმოთე კონსტანტინეპოლში დიდხანს არ გაჩერებულა, მალე ზღვით გამოემგზავრა საქართველოსაკენ. ზღვით მივიდა სოფელ შილამდე და აქედან ხმელეთით — ევხატამდე. შემდგომ განვლო ქალაქები: სინოპი, სამსონი, კომანა და ჩავიდა გუმისხანაში.

გუმისხანაში ჩასვლით მთავრდება ტიმოთეს „მიმოსლვის“ C რედაქცია. B რედაქციის უკანასკნელი დაუმთავრებელი აბზაცის მიხედვით, გუმისხანიდან წამოსულ ტიმოთეს შვიდი დღე უვლია ეფესრატის წყლის პირას და ჩასულა არზრუმს, აქედან ოლთისის გამოვლით მოსულა ახალციხეს, ხოლო ახალციხიდან სურამს.

ამგვარად, ასტობალეას კუნძულიდან გამგზავრების შემდეგაც ტიმოთე კიდევ ხანგრძლივად დაყოვნებულა გზაში. მას შეუენებელი ინტერესით დაუთვალიერებია ყოველი ახალი ადგილი თავისი ღირსშესანიშნავი ძეგლებით. გაჩერებულა ათინაში, კორინთოში, მთაწმიდაზე. მოლაპარაკება უწარმოებია კონსტანტინეპოლში იერუსალიმის პატრიარქთან. ცოტა დროს არ თხოულობდა არც გზა კონსტანტინეპოლიდან არზრუმამდე (გუმისხანიდან არზრუმამდე ტიმოთე 7 დღეს მოუნდა). ეს ფაქტები მოწმობენ, რომ 1758 წლის მიწურულს ასტობალეას კუნძულიდან წამოსული ტიმოთე საქართველომდე 1759 წლის გაზაფხულზე ძლივს მოაღწევდა.

ამგვარად, ტიმოთეს უმოგზაურია ოთხი წლის განმავლობაში: 1755 წლის გაზაფხულიდან 1759 წლის გაზაფხულამდე.

¹ მიმოსლვა, გვ. 97.

ტიმოთე გაბაშვილის მუშაობა „მიმოსღვის“ ტექსტის რედაქციებზე

ტიმოთე გაბაშვილმა „მიმოსღვის“ სამივე რედაქცია სულ სამი-ოთხი წლის მანძილზე დაწერა. დროის ამ მოკლე მონაკვეთში „მიმოსღვის“ ტექსტებს საფუძვლიანი გადამუშავება განუცდიათ. ძნელია კანონზომიერების დანახვა ყველა იმ რედაქციულსა და ვარიანტულ ცვლილებაში, რომლებიც ავტორს „მიმოსღვაზე“ მუშაობის დროს ტექსტში შეუტანია, მაგრამ რიგ შემთხვევაში მაინც შესაძლებელია ავტორის მუშაობისათვის თვალის მიდევნება. და გარკვევა იმისა, თუ რა ამოძრავებდა მას ამა თუ იმ შემთხვევაში.

ჩვენ შეეჩერდებით „მიმოსღვის“ რედაქციების მხოლოდ ძირითად თავისებურებებზე და ამასთან დაკავშირებით ტიმოთეს მუშაობის ზოგიერთ პრინციპზე.

„მიმოსღვის“ B და C ავტოგრაფებს ერთმანეთისაგან ასხვავებს შემდეგი: ტიმოთე გაბაშვილს B რედაქციაში ვრცლად აღწერილი პირადი სამოგზაურო თავგადასავალი C რედაქციაში საგრძნობლად შემუშავებულია¹.

B რედაქცია

და წარმოვემართენი და მოვიწინით ქვიშხეთს, სახლსა აბაშიძეთასა, და კვირიაკე ენებისა და პასქა მუნ ვიდღესასწაულეთ. და მიერთი წიგნებითა და კაცითა, ბრძანებითა მეფეთათა, წარმოვემართენით და მოვიწიეთ ახალციხედ სახლსა ათაბაგთასა, სამცხეს. ხოლო ცნეს რა მისლვა ჩვე-

C რედაქცია

მოვიწინით სამცხეს, ქალაქსა ახალციხეს, სახლსა თაშა ათაბაგისასა. და ცნეს რა მისლვა ჩვენი, კაცნი მოგვაგებნეს და განგვიმზადნეს სავანერ და საზრდონი ჯერისაებრნი. და ამისა შემდგომად მოგვიწოდა თაშამ სადგურად და სრად თვისად და გვითავაზა, წესისაებრ

¹ A რედაქციის ტექსტს მოგზაურობის დასაწყისი აკლია, ამიტომ შედარებისათვის ვერ ვსარგებლობთ.

ნი, მოგვაგებნეს კაცნი და გვიბოძეს სასახლე და დღითი-დღე საზრდო. შემდგომად ფაშა ათაბაგმან გვიწოდა. მივედით სრასა მისა და ვიხილეთ რა, ფრიად პატივ-გვცა წესისაებრ მათისა. წდევითა თერმონათათა, კმევეითა სულნელთა, და სხურებითა ვარდის წყალთათა პატივ-გვცა.

გვ. 101, № 2.

მათისა, თითოფერითა ნუგეშითა... .

გვ. 7.

ტიმოთე C რედაქციას ცხრილავს ზოგიერთი დეტალისაგან, რომლებიც B რედაქციაში მოგზაურობის უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ იწერებოდა, და რომელთაც არსებითი მნიშვნელობა არა აქვთ თხრობის განვითარებისათვის.

B რედაქცია

ამა ფილადელფიას მივედით ადგილსა, და მიგვიძღვნენ ქრისტიანენი სასახლესა ეკლესიისასა და დაგვასადგურეს, რამეთუ ყოვლად სამღვდლო ფილადელფელი სხვაგან წარსრულ იყო, არამედ არქიმანდრიტი ანანია და სამღვდლონი მათნი მოგვეგებნენ და მოგვიკითხნეს და კეთილად შეგვიტკბნეს. და განვათიეთ მუნ დღენი ათნი და ვიხილეთ ეკლესია იგი ღმთისმეტყველისა მიერ აღშენებული ფილადელფისა, ესოდენ დაქცეული თურქთაგან, მცირედ ორნი სვეტნი და კამარნი ოდენ-ლა იდგნენ...

გვ. 101, № 6.

C რედაქცია

ამა ფილადელფიას მივედით, და მოგვეგებნენ ქრისტიანენი და დაგვასადგურეს სრასა ეკლესიისასა და კეთილად შეგვითვისეს. ვიხილეთ ძველი ეკლესია ღმთისმეტყველისა იოანესი ესრეთ დაქცეული, მცირედნი სვეტნი-ლა დარჩომილ იყვნეს...

გვ. 10.

მოყვანილი ადგილები განსხვავდებიან არა მარტო ცნობებისა თუ დეტალების რაოდენობით, არამედ მოვლენათა შეფასებით.

თაც. B რედაქციის ცნობით ფილადელფიის ლეთისმეტყველის ეკლესია თურქთაგან იყო დაქცეული და განადგურებული; C რედაქციაში დანგრევის ფაქტი თურქებს აღარ უკავშირდება.

თურქების ბარბაროსული საქმიანობით გამოწვეული აღშფოთება იგრძნობა „მიმოსღვის“ ტექსტის მთელ მანძილზე. ამ აღშფოთებას ავტორი სხვადასხვა ფორმითა და სიძლიერით გამოთქვამს.

ქრისტიანულ სიძველეთა განადგურების მძიმე სურათების ნახვით გამოწვეულ შთაბეჭდილებას დიდი ექსპრესიით აღწერს ტიმოთე „მიმოსღვის“ B რედაქციაში. ექსპრესია შენელებულია, ტონიც უფრო ზომიერია „მიმოსღვის“ C რედაქციაში.

B რედაქცია .

და მოვიწიებით შეიღთა მათ ღმთისმეტყველისა ეკლესიათაგანსა სარდოსს, საეპისკოპოზოსა წმიდისა მამისა ჩვენისა ეფთვიმი სარდიისასა, და ვიხილევდით ხილვასა საგლოელსა და ცრემლითა საფრქვევსა: სრულიად მოეოკრებინათ ესრეთ, ვითა მცირედნი ნაქცევნი ძვილ სადამე ჩნდეს ეკლესიისა, რამეთუ ქრისტიანენი სრულიად არღარა იპოებოდეს.

გვ. 102, № 7.

C რედაქცია

და წარმოვედით მიერ და მოვიწიებით შეიღთა მათ ღმთისმეტყველისა ეკლესიათაგანსა სარდოსს, სადა იჯდა წმიდა მამა ეფთვიმე სარდიისა ეპისკოპოზი. და იყო სრულიად აღოკრებულ, ვიდრე მცირედნი ნაქცევნი თულა დაშთომილ იყვნეს და კაცნი სრულიად არღარა იპოებოდეს.

გვ. 10.

თავდაქერილობა, რომელსაც ავტორი „მიმოსღვის“ C რედაქციაში იჩენს თურქების მიმართ, პოლიტიკური სიფრთხილით უნდა იყოს ნაკარნახევი. ავტორის ნამდვილი და შეუფერავი დამოკიდებულება თურქეთისადმი მოჩანს „მიმოსღვის“ B რედაქციაში. „მიმოსღვის“ წიგნი თურქეთისადმი ფარული სიძულელით არის გაფლენთილი. ყველა მოხერხებულ შემთხვევაში ავტორი ხაზს უსვამს იმას, რომ საქართველოს ტერიტორიის ერთი ნაწილი თურქეთის ხელშია (საქართველოს ძველ საზღვრად ტიმოთე ირიზას ასახელებს¹), რომ გუმიშხანის ვერცხლის საბადოები ძველად ქართველ

¹ მიმოსღვა, გვ. 7.

შეფეთა გამოსავალი იყო¹, რომ ქრისტიანული ეკლესია თურქეთის იმპერიის საზღვრებში მეტად შევიწროებულია და სხვ.

ამგვარი საერთო განწყობილების მიუხედავად, ავტორი ცდილობს B რედაქციაში მოყვანილი საჩოთირო ფაქტები C რედაქციაში შეარბილოს ან სულ ამოიღოს. ასე მაგ.: ვლახთ მეფის კონსტანტინეს შესახებ B რედაქციაში სწერია: „ექსორიაქმნილი სულთანისაგან ვლახეთის ზეფე კოსტანდინე“², C რედაქციაში კი კონსტანტინეს ექსორიობა უკვე აღარ არის დაკავშირებული სულთანთან: „ექსორიაქმნილი ვლახთ მეფე კოსტანტინე“³ — ვკითხულობთ C-ში.

სულ არ არის C რედაქციაში შეტანილი სულთნის ქრისტიანი დედის თავგადასავალი, რომელიც ტიმოთესთვის მოგზაურობის დროს უამბნიათ: „გვითხრობდენ, ვითარმედ დედა ჰელმწიფისა სულთანისა ამის იყო საიდუმლოდ ქრისტიანე. დღესა ერთსა შეესწრა ძე თვისი სულთანი, რამეთუ წინაშე ჯვარისა ილოცვიდა და პირსა ჯვარსა იწერდა. ხოლო სულთანი ეტყოდა: დედავ, ჩემთვის ჰყოფ ლოცვასა, ანუ მოსკოვისათვის? ხოლო დედა ეტყოდა: არა, ხელმწიფეო ჩემო, შენთვის არს ვედრება ჩვენი. და დასნეულდა რა დედა ჰელმწიფისა, სურვილისათვის ზიარებისა მიზეზ-იდგა, ვითარმედ ნავით სლვა მინებს, და შთაჯდა ნავსა და მღვდლისა ვისგანმე საიდუმლოდ ზიარება მიიღო, და მისრული სამყოფად მიიცვალა“⁴.

ტიმოთე გაბაშვილი „მიმოსლვის“ C რედაქციაში ამცირებს სასწაულების რაოდენობას და ყურადღების სიმძიმე გადააქვს ქართულ სიძველეთა აღწერასა და ისტორიულ მასალაზე. სასწაულებიდან კი არჩევს და შეაქვს მხოლოდ ის, რაც სარწმუნო კაცთაგან მოუსმენია. A რედაქციაში ავქსენტის სასწაულის ბოლოს ტიმოთე წერს: „ამისი (ავქსენტის სასწაულის) მხილველი მეც ვიხილე მრავალი... ჩემთა წერილთა შინა სასწაულნი და ამბავნი სხვადასხვანი რაოდენიცა აღვსწერენით, ვითაცა სარწმუნოთა კაცთაგან შევისმინეთ, ეგრეთ აღვსწერენით, რომელიც თვალთ ვიხილეთ, ის აღვსწერენით. ნაცილი და ჩემით რამე არარა შემიწყვიეს და აღმიწერიეს, სარწმუნოდ მოიხსენეთ“⁵. ამისდა მიუხედავად,

¹ მიმოსლვა, გვ. 98.

² რედაქც. და ვარიანტ. გვ. 102, № 10.

³ მიმოსლვა, გვ. 12.

⁴ რედაქც. და ვარიანტ. გვ. 118, № 61.

⁵ იქვე, გვ. 117, № 59.

სწორედ ეს სასწაული აღარ გადასულა A რედაქციიდან B და C რედაქციებში; ასევე ამოღებულია B და C რედაქციებიდან უზოლრაფის წმ. გიორგის ტაძართან დაკავშირებული ვრცელი სასწაული¹.

სულ აღარ ჩანს B და C რედაქციებში არც ის ფაქტი, რომ ივერიის მონასტერში ტიმოთეს ბერობის აღთქმა დაუდგია: „ხოლო ღირსთა მათ მამათა ყვეს კრება და მიმიწოდეს და მირჩევდენ აღთქმასა მონასტერსა მას შინა და არლარა წარსლვად მუნიოთ თვინიერ იერუსალიმესა, რათა ცქემა შევიმოსო და დავადგრე მუნ. ხოლო მე კეთილად აღმიჩნდა ესე გამორჩევა. და შემოკრბენ გუნდნი მამათანი, წარმიძღვენ წინა და გალობდენ „ღირს არსა“. და ვყავ მეტანია საუკუნო მონასტერსა მას შინა და აღთქმა, რათა არლარა გამოვიდე თვინიერ მონასტრისა საკმარისა და ბრძანებისა ძმათასა. და პირველ აღთქმისა შობად უფლისა მაწვიეს მსხვერპლისა შეწირვად“².

ამგვარად, როგორც ვხედავთ, C რედაქციაში, A და B-სთან შედარებით, ავტორმა შეამცირა სასწაულების რაოდენობა, გაათავისუფლა ტექსტი მოგზაურობის აღწერილობის ზოგიერთი დეტალი-სა და ისეთი ფაქტებისაგან, რომლებიც უშუალოდ არ იყო დაკავშირებული ამბის განვითარებასთან. ამოიღო ზოგიერთი „საჩოთირო“ ადგილი. ავტორმა იმუშავა ტექსტის სტილისტურ მხარეზეც, „მიმოსლვის“ B რედაქციის დახვეწის შედეგად C რედაქციის ტექსტმა უფრო კომპაქტური სახე მიიღო. მაგრამ C რედაქციის გადამუშავება მარტო ტექსტის შემცირებისა და დახვეწის თვალსაზრისით არ მომხდარა. ამცირებდა რა ერთი მხრით ტექსტს, მეორე მხრით ტიმოთე ურთავდა მას ახალ ფაქტებსა და ისტორიულ წყაროებს ქართულ სიძველეთა შესახებ, აზუსტებდა ისტორიულ ცნობებს, ასწორებდა წინა რედაქციებში დაშვებულ შეცდომებს. სანიმუშოდ მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს.

ტიმოთე „მიმოსლვის“ B და C რედაქციაში ასწორებს A რედაქციაში დაშვებულ შეცდომას:

¹ რედაქც. და ვარიანტ., გვ. 112, № 48.

² იქვე, გვ. 107, № 23.

A რედაქცია

C რედაქცია

ხოლო არს მონასტრისა საგანძურსა შინა წიგნნი ქართულნი მრავალნი: თარგმანება დაბადებისა, წიგნი „სამოთხე საშეებელისა“, ღრმა თქმული სოფრონის მიერ იერუსალიმელ პატრიარქისა და მოძღვრისა აშბა იოანეს მიერ ბრძნისა თქმული, რომელიცა თორნიკ-ყოფილსა იოანეს ქართველსა და ძმასა მისსა ვარაზ-ვაჩეს აღუწერინებიათ თარგმანებითურთ ჟამსა დავით აღმაშენებელის მეფობისასა.

გვ. 106 № 22.

წიგნის საცავსა მონასტრისასა არს ძველი ქართული წიგნნი მრავალი: თარგმანი დაბადებისა; კვალად წიგნი საშეებელი და „სამოთხე“, ღრმად თქმული და შეენიერად სოფრონის მიერ იერუსალიმელისა, და კვალად სხვანნი მოძღვრისა აშბა იოანეს ბრძნისა თქმული, რომელიცა თორნიკ-ყოფილსა იოანე მონაზონსა ქართველსა და ძმასა მისსა ვარაზვაჩეს აღუწერინებიათ.

გვ. 21.

A რედაქციის მცდარი ცნობა, თითქოს თორნიკე და იოანე ვარაზ-ვაჩე დავით აღმაშენებლის დროს მოღვაწეობდნენ, B და C რედაქციებიდან სულ ამოღებულია.

ისტორიული მასალის დაზუსტებასა და გავრცობაზე ტიმოთე გულდასმით მუშაობდა. დიდი შრომა გასწია ტიმოთემ პორტაიტის ხატის მომკედველისა და პორტაიტის ტაძრის განმარტებელ-მომხატველის პიროვნებათა დადგენისათვის. ამ მუშაობამ თავისი ასახვა პოვა „მიმოსღვის“ რედაქციებში. საკვლევი საკითხისათვის წერილობითი წყაროები ტიმოთემ პირველ რიგში ივერიის მონასტერშივე მოიპოვა, ხოლო შემდეგ ეს მასალა საკუთარი ვარაუდებითა და ძიებებით შეავსო.

პორტაიტის ხატსა და ტაძარზე „მიმოსღვის“ რედაქციებში ტიმოთე შემდეგ ცნობებს გვაწვდის.

A რედაქცია

B რედაქცია

C რედაქცია

ამისა შემდგომად მძიმედ მოუქედია (პორტაიტის ხატი) ათაბაგის ყვარყვარეს ძეს ქაიხოსროს, ათაბაგსა ქართლისასა და

ამისა შემდგომად მოუქედია მძიმედ ათაბაგსა და ამირსპასალარსა სამცხისასა, ჯაყელ-ციხის-ჯვარელსა, დიდის

ამისა შემდგომად მოუქედია მძიმედ ათაბაგსა და ამირსპასალარსა სამცხისასა, ჯაყელ-ციხის-ჯვარელსა, ყვარყვა-

ამირსპასალარსა სამ-
ცხისასა, ჯაყელ-ციხის-
ჯვარელსა. წელნი წარ-
სრულ არს მას აქეთ
263. და ზედ გუმბათი-
ანი მცირე ეკლესია
აღუშენებია აშოთანს,
თითონაც მას შინა სა-
ხია და ძე მისი ეზე-
კიელი. არა უწყოდი,
თუ რომელი ეზეკიე-
ლის მამამ აღაშენა
აშოთან.

გვ. 104, № 18.

ყვარყვარე ათაბაგის
ძესა ქაიხოსროს, დე-
დის-იმედის ძეს, წმი-
დის ქეთონ დედო-
ფლის დისწულს. მე
ეგრეთ ვგონებ, მარ-
თალიც არ უწყი.
ზედ საყდარი აღუ-
შენებია ხატისათვის
აშოთანს მუხრანის
ბატონსა. თვითონაც
შიგ ხატია და ძე მი-
სი ეზეკიელ გვერდით
უხატია. მე ეგრეთ
ვგონებ, ქეთევან დე-
დოფლის მამა აშო-
თან იყოს.

გვ. 105, № 18.

რე ათაბაგის ძესა
ქაიხოსროს, დედის-
იმედის, მუხრანის
ბატონის ასულის
ძესა (მე ეგრეთ ვგო-
ნებ, წმიდის ქეთონ
დედოფლის დის-
წულსა). და კარზედ
ხატისათვის გუმბა-
თიანი მცირე ტაძა-
რი აღუგია აშოთანს
მუხრანის ბატონსა,
თვითონაც შიგ ხა-
ტია და ძე მისი იე-
სე თან უხატია.

გვ. 19

„მიმოსლვის“ რედაქციების ეს ცნობები საგრძნობლად სხვა-
ობენ ერთმანეთისაგან.

A რედაქციის ცნობა პორტაიტის ხატის მოქედვის შესახებ
ამავე ხატის წარწერიდან უნდა მომდინარეობდეს¹. მაგრამ ამ წარ-
წერის გარდა ტიმოთეს უსარგებლია ივერიის მონასტრის ალაპე-
ბითაც², საიდანაც ამოულია თარიღი და დამატებითი ცნობები
ქაიხოსრო ათაბაგის ვინაობის შესახებ. ალაპებში ქაიხოსროს მამა
ყვარყვარე შემდეგი ტიტულატურით არის მოხსენებული: „დიდი
და სახელგანთქმული საქართველოსა ათაბაგი, სამცხისა სპასალა-

¹ ხატის წარწერა გამოაქვეყნა პლ. იოსელიანმა. წარწერაში ვკითხულობთ
„...ყოვლად უბიწოო ქალწულო მარიამ, შეიწყალე სული პატრონისა ჩემისა, დი-
დისა ყუარყუარას შვლისა ქაიხოსროსი, და მე, მონა შენი და ყოვლითურთ ულო-
ნო-ქმნილი საბრალო ამბროსი, გმადლობ, რომელმან ღირს-მჰყავ ღირსი ესე მო-
კედლასა და შემკობასა წმინდისა ხატისა შენისასა პორტაიტისა...“ იხ. „მოხი-
ლუა“, გვ. 38, შენ. 17.

² ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი ალაპებით, თბილისი,
1901 წ., გვ. 266. ალაპი შედგენილია ამბროსის მიერ და შეიცავს ცნობებს იმ
შესაწირავების შესახებ, რომლებიც ამბროსის მთაწმიდაზე ჩაუტანია ქაიხოს-
რო ათაბაგის სულის შესანდობლად.

რი, ჯაყელ-ციხისჯვარელი“. იმავე ტიტულებით იხსენებს ტიმოთე; ქაიხოსრო ათაბაგსაც, რომელიც, აღაპისავე ცნობით, ყვარყვარეს გარდაცვალების შემდეგ „ეპატრონა ყოველსა საჯელმწიფოსა მამისა მისისასა“.

ამავე აღაპიდან უნდა აეღო ტიმოთეს პორტაიტის ხატის მოკედლის თარიღიც. აღაპში მოყვანილი ყვარყვარე ათაბაგის გარდაცვალების თარიღით (1498 წ.) განსაზღვრა დაახლოებით ტიმოთემ ქაიხოსრო ათაბაგის მოღვაწეობის ხანა და ამისდამიხედვით ხატის მოკედლის დროც.

ამგვარად, „მიმოსლვის“ A რედაქციის მიხედვით, პორტაიტის ხატი მოუქედია ქაიხოსრო ათაბაგს 1493 (1756—263) წელს. მაგრამ ამით არ დამთავრებულა ტიმოთეს ძიება. გასარკვევი რჩებოდა პორტაიტის ტაძრის აღმაშენებლის აშოთანის ვინაობა და მისი ურთიერთობა ქაიხოსროსთან. „მიმოსლვის“ A რედაქციაში ტიმოთე ამის შესახებ წერს: „არა უწყოდი, თუ რომელი ეზეციელის მამამ აღაშენა აშოთან“. B რედაქციაში ავტორი ამის თაობაზე უკვე ვარაუდს გამოთქვამს: „მე ვგრეთ ვგონებ, ქეთევან დედოფლის მამა აშოთან იყოს“. აქვე დასძენს მეორე ვარაუდსაც, რომ ქაიხოსრო ქეთევანის დის დედისიმედის ძე უნდა ყოფილიყო. ამგზით გაიბა ნათესაური კავშირი XV ს. დამლევის მოღვაწის ქაიხოსროსა და XVI საუკუნის მოღვაწის აშოთანს შორის.

საფიქრებელია, რომ ქაიხოსროსა და აშოთანს შორის ნათესაური კავშირის ძიებისათვის ტიმოთეს საბაბი მისცა ერთი მხრით ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის კედლის მხატვრობამ, სადაც, ერთად არიან გამოსახულნი აშოთანი, ქაიხოსრო და მისი ძმა მზეკაბუჯი¹, ხოლო მეორე მხრით ქაიხოსროს დედის სახელმა დედისიმედმა, რომელიც ტიმოთეს გაუიგივებია მეორე დედისიმედთან, ქეთევანისა და აშოთან მუხრან-ბატონის ნათესავთან.

იმის შემდეგ, რაც ტიმოთემ ქაიხოსრო დაუნათესავა XVI საუკუნის მოღვაწეებს — დედისიმედს, ქეთევანსა და აშოთანს, ბუნებრივია, რომ „მიმოსლვის“ A რედაქციაში მოტანილი ხატის მოკედლის თარიღი უნდა შეცვლილიყო ან ამოღებულიყო. მართლაც, „მიმოსლვის“ შემდგომ რედაქციებში ეს თარიღი ტიმოთეს სულ აღარ შეუტანია.

¹ А. Натроев, Иверский монастырь на Афоне, в Турции, Тифлис, 1910, гл. 56; П. Успенский, Первое путешествие в афонские монастыри — часть I, отд. II, Киев, 1877, гл. 190.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, ტიმოთე, ჩანს, კვლავ დაბრუნებია ამ საკითხს და დამატებითი ძიების შედეგად C რედაქციაში აღარ შეუტანია თავისი უკანასკნელი ვარაუდი იმის შესახებ, რომ აშოთან მუხრან-ბატონი ქეთევანის მამა იყო.

როგორც ვხედავთ, „მიმოსღვის“ რედაქციებში აისახა ისტორიულ მასალაზე ტიმოთეს მუშაობის რამდენიმე ეტაპი.

მიუხედავად იმისა, რომ თავისი ვარაუდებით ტიმოთემ „მიმოსღვის“ A რედაქციის ცნობებში მხოლოდ ქრონოლოგიური არეულობა შეიტანა¹, მაინც მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას დიდი შრომა გაუწევია და ცდილა მის ხელთ არსებული მასალებით ათაბაგთა ბუნდოვან გენეალოგიაში გარკვეულიყო და მკითხველიც გაერკვია. აღსანიშნავია ის სიფრთხილეცა და პასუხისმგებლობის გრძნობაც, რომელსაც იჩენდა ტიმოთე თავისი ვარაუდების გამოთქმის დროს.

ზოგ შემთხვევაში „მიმოსღვის“ C რედაქციაში ქართულ სიძველეთა შესახებ მოულოდნელად ჩნდება ისეთი ცნობები, რომელთა შესახებ არაფერი იყო თქმული A და B რედაქციებში. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედლებზე გამოსახულ ქართველ მამათა და წმინდანთა სია. ქართველ მოღვაწეთა ამ სიას არ იცნობს „მიმოსღვის“ B რედაქცია.

ამგვარად, ტიმოთეს მუშაობა „მიმოსღვის“ რედაქციებზე იქითკენ იყო მიმართული, რომ „მიმოსღვა“ განტვირთულიყო სასწაულებისაგან, პირადი სათავედასავლო ამბებისაგან, უმნიშვნელო ეპიზოდებისაგან და ამის სანაცვლოდ გაზრდილიყო და მეცნიერულად დაზუსტებულიყო ისტორიული მასალა, განსაკუთრებით ის, რომელიც ასახავდა ქართველთა მოღვაწეობას მთაწმიდასა და იერუსალიმში.

„მიმოსღვა“ ტიმოთემ გადაამუშავა იდეოლოგიური თვალსაზრისითაც. ამ მხრივ საინტერესოა ის ცვლილებები, რომლებიც შეუტანია ტიმოთეს „მიმოსღვის“ რედაქციებში შ. რუსთაველთან დაკავშირებით.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ XVIII საუკუნეში რუსთაველის გარშემო გამართულ ბრძოლაში ტიმოთეს უკიდურესად რეაქციული პოზიცია ეკავა, და რომ ის, ანტონ I-თან

¹ „მიმოსღვის“ C რედაქციის ცნობათა ქრონოლოგიურ შეუთანხმებლობას ვრცლად იხილავს აკად. მ. ბროსე (Addit., et cl. გვ. 191, შენ. 2).

ერთად, რეაქციულ-კლერიკალური ბანაკის იდეური წარმმართველი იყო¹. ამ დასკვნებისათვის არსებობდა ერთი შეხედვით ურყევი საბუთი, წერილობითი დოკუმენტი, „მოხილუა“, სადაც ტიმოთემ ჩამოაყალიბა თავისი თვალსაზრისი რუსთაველზე. „მოხილუაში“ რუსთაველის შესახებ ვკითხულობთ: „ესე იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართულთა სიწმინდისა წილ ბოროტი ბილწება, და განპრყუნა ქრისტიანობა. ხოლო უწინარეს ჩუშნთა უმეცართა სამლუთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი; აღწერა ქალისა ვისთჳსმე თუალი მეღნისა, პირი ბროლისა, ლაწჳ ძოწისა; და ამის გამო დედანი საქართუშლოსანი ხატად ღუთისა შექმნილსა სახისა წილ ფერადთა წამალთა იცხებენ და მიცუალეზულთა თმათა მოიბმენ საფრთხედ სულთა“².

ეს სიტყვები, მართლაც, შეიცავს კლერიკალური ბანაკის ყველა ბრალდებას როგორც რუსთაველისა, ასევე მისი კომენტატორის ვახტანგ VI-ის მიმართ.

მაგრამ საკითხი ასე მარტივად მაინც ვერ გადაწყდება. „მიმოსღვის“ ავტოგრაფების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ამ მოწმობას სიფრთხილით მოპყრობა ესაჭიროება. მისი ამოგლეჯით განხილვა არ შეიძლება, საჭიროა გათვალისწინებული იქნას, თუ როდის და რა ვითარებაში წერდა ამას ტიმოთე და რამდენად შეეფერება იგი მის საზოგადოებრივ სახესა და მსოფლმხედველობას საერთოდ.

„მიმოსღვის“ ავტოგრაფების პარალელურმა შესწავლამ გამოარკვია, რომ ტიმოთეს მუშაობის პროცესში მრავალი ცვლილება შეუტანია „მიმოსღვის“ ტექსტში. ცვლილებები გამოწვეული იყო როგორც ახალი ისტორიული წყაროების მოპოვებით, ასევე ავტორის თვალსაზრისის შეცვლითაც რიგ საზოგადოებრივ მოვლენებზე.

სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა პირობებში დაწერილი ეს ხელნაწერები ტიმოთეს მუშაობის რამდენიმე ეტაპს ასახავენ „მიმოსღვის“ ტექსტზე.

¹ აღ. ბარამიძე, ბრძოლა რუსთაველის გარშემო XV—XVIII სს. ქართულ მწერლობაში, 1952, გვ. 9—11. ტრ. რუხაძე, „ალარძინების პერიოდის“ მწერლობის ცნობები შოთა რუსთველსა და „ვეფხისტყაოსანზე“. უნივერსიტეტის შრომები, III, გვ. 207—208; ტრ. რუხაძე, ვეფხისტყაოსანის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალურ-იდეური მოტივები: ა. ს. პუშკინის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1941, გვ. 87—88.

² მოხილუა, გვ. 154, სქ. 90.

ზემოთ მოყვანილი ცნობაც შოთა რუსთაველის შესახებ, „მიმოსლვის“ ავტოგრაფებში ერთნაირად არ არის წარმოდგენილი.

„მიმოსლვის“ A ავტოგრაფში ცნობა რუსთაველის შესახებ არ არის შესული, ვინაიდან ხელნაწერი მთაწმიდასა და კონსტანტინეპოლში მგზავრობის აღწერას შეიცავს მხოლოდ, რუსთაველი კი „მიმოსლვაში“ იერუსალიმის ქართველ მოღვაწეთა წრესთან არის დაკავშირებული.

არ არის ეს ცნობა „მიმოსლვის“ B და C რედაქციების ძირითად ტექსტებში, მიუხედავად იმისა, რომ იერუსალიმის მოგზაურობას ორივე ხელნაწერი შეიცავს.

შოთა რუსთაველის განმაქიქებელი ცნობა პირველად ჩნდება „მიმოსლვის“ C რედაქციაში მინაწერის სახით.

მაგრამ სანამ უშუალოდ ამ მინაწერის განხილვაზე გადავიდოდეთ, გვინდა მოკლედ შევჩერდეთ C ავტოგრაფის რედაქციულ რაობაზე.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში დაბრუნების შემდეგ დაწერილი C ხელნაწერი B-საგან რედაქციულად სხვაობს. საქართველოში ტიმოთეს გულდაჯერებით კიდევ ერთხელ გადაუმუშავებია ტექსტი. შეუვსია იგი ახალი წყაროებით. იერუსალიმში მოპოვებული ზოგი ცნობა შეუჯერებია ქართულ წყაროებთან. რამდენიმე სასწაული სულ ამოუღია. ზოგიერთი ისტორიული ამბავი გაუვრცია და შეუცვლია. მთელი ეს სამუშაო ავტორს ხელნაწერის გადაწერის პროცესში ჩაუტარებია. მაგრამ ამით არ დამთავრებულა C ხელნაწერზე მუშაობა. ტექსტის გადაწერის შემდეგ ტიმოთეს კვლავ შეუტანია ხელნაწერში დამატებითი ცნობები, შენიშვნები და შესწორებები, მაგრამ უკვე მინაწერების სახით.

C ხელნაწერში რამდენიმე გვარის მინაწერია: პირველი, რომელიც ტექსტთან ერთად იწერებოდა¹ და სქოლიოს ფუნქციას ასრულებდა; მეორე, — ავტორისეული შენიშვნები ამა თუ იმ მასალასთან დაკავშირებით. ეს შენიშვნებიც არ საჭიროებდნენ ტექსტში შეტანას. მათ სქოლიოში ჩასატანი ან ფრჩხილებში შესატანი კომენტარიების ხასიათი აქვთ².

¹ ამ რიგის მინაწერებია, უმთავრესად, ტექსტის საილუსტრაციოდ მოტანილი ციტატები საღვთო წერილიდან.

² ამ რიგის მინაწერია ქართველ-ესპანელთა ნათესაობის გადმოცემასთან დაკავშირებით აშიაზე მიწერილი ცნობა: „ორჯერ ვკითხე და სხვად მითხრამისთვის ორჯერ აღწერეთ შპანისათვის“ (გვ. 55).

... და პირველი საზღვარი ...
 ... ვინც არაა ...
 ... და რომელიც ...
 ... და რომელიც ...
 ... და რომელიც ...
 ... და რომელიც ...
 ... და რომელიც ...
 ... და რომელიც ...
 ... და რომელიც ...
 ... და რომელიც ...

...
 ...
 ...

...
 ...
 ...
 ...
 ...
 ...
 ...
 ...
 ...
 ...

...
 ...
 ...

სურ. 6. C პეტოგრაფის გვერდები (111 V—112 r) მიწაწელებით

Թագաւորն ի յայնպէս թանկն զայն թէ Լուսինի զցցողն
 Ինչպէս ան զայն թանկն զայն թէ Լուսինի զցցողն
 Ինչպէս թագաւորն ի յայնպէս թանկն զայն թէ Լուսինի զցցողն
 Թագաւորն ի յայնպէս թանկն զայն թէ Լուսինի զցցողն
 Ինչպէս թագաւորն ի յայնպէս թանկն զայն թէ Լուսինի զցցողն
 Ինչպէս թագաւորն ի յայնպէս թանկն զայն թէ Լուսինի զցցողն
 Թագաւորն ի յայնպէս թանկն զայն թէ Լուսինի զցցողն
 Ինչպէս թագաւորն ի յայնպէս թանկն զայն թէ Լուսինի զցցողն
 Թագաւորն ի յայնպէս թանկն զայն թէ Լուսինի զցցողն
 Ինչպէս թագաւորն ի յայնպէս թանկն զայն թէ Լուսինի զցցողն
 Թագաւորն ի յայնպէս թանկն զայն թէ Լուսինի զցցողն
 Ինչպէս թագաւորն ի յայնպէս թանկն զայն թէ Լուսինի զցցողն
 Թագաւորն ի յայնպէս թանկն զայն թէ Լուսինի զցցողն

+

Ինչպէս թագաւորն ի յայնպէս թանկն զայն թէ Լուսինի զցցողն
 Թագաւորն ի յայնպէս թանկն զայն թէ Լուսինի զցցողն
 Ինչպէս թագաւորն ի յայնպէս թանկն զայն թէ Լուսինի զցցողն
 Թագաւորն ի յայնպէս թանկն զայն թէ Լուսինի զցցողն
 Ինչպէս թագաւորն ի յայնպէս թանկն զայն թէ Լուսինի զցցողն
 Թագաւորն ի յայնպէս թանկն զայն թէ Լուսինի զցցողն
 Ինչպէս թագաւորն ի յայնպէս թանկն զայն թէ Լուսինի զցցողն
 Թագաւորն ի յայնպէս թանկն զայն թէ Լուսինի զցցողն
 Ինչպէս թագաւորն ի յայնպէս թանկն զայն թէ Լուսինի զցցողն
 Թագաւորն ի յայնպէս թանկն զայն թէ Լուսինի զցցողն

Իհ-9

Բայժտ:-

მესამე გვარის შინაწერებით ავტორს განზრახული ჰქონდა შეეცო ტექსტი ახალი მასალით¹. ეს შინაწერები ნავარაუდევია იყო ტექსტში შესატანად. შინაწერს თავზე ვარსკვლავი აქვს დასმული. ასეთივე ვარსკვლავით არის აღნიშნული ტექსტის ის ადგილი, სადაც ავტორი შინაწერის ჩართვას ვარაუდობდა. ამგვარად, სრულიად აშკარაა, რომ ეს შინაწერები იწერებოდა C ხელნაწერის დაწერის შემდეგ. ისინი C ხელნაწერზე მუშაობის ახალ ეტაპს ასახავენ. ავტორი, ჩანს, ვარაუდობდა, რომ C ხელნაწერის გადანუსხვისას შინაწერები ტექსტში ჩაერთვოდა.

ვარსკვლავით აღნიშნულ შინაწერებს C ხელნაწერში რამდენიმე ადგილას ვხვდებით².

ამ რიგისაა შოთა რუსთაველის გამკილავი შინაწერიც³ (სურ. 6).

C რედაქციაში შინაწერის სახით შეტანილი ეს ცნობა, ისევე როგორც ვარსკვლავით აღნიშნული სხვა შინაწერები, D ავტორიზებულ ნუსხაში ძირითად ტექსტშია შეტანილი. ასევე ძირითად ტექსტშია შეტანილი ეს შინაწერი C ავტოგრაფიდან მომდინარე რამდენიმე სხვა ნუსხაში.

D რედაქციაში გადამწერს უცვლელად ჩაურთავს შინაწერი მითითებულ ადგილას, მაგრამ შინაწერის ჩართვით დაურღვევია წინადადების სინტაქსური წყობა. ამის გამო ტიმოთეს იგი თავისი ხელით შეუსწორებია და სინტაქსურად გაუმართავს. გამართვის შემდეგ შინაწერმა D ხელნაწერში შემდეგი სახე ჰიიღო: „ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათს ქვეით სვეტნი გაუახლებია და დაუხატვინებია მთქმელსა ლექსთა ბოროტთასა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმიდისა წილ ბილწება და განრყენა ქრისტიანობა. ხოლო უწინარეს ჩვენსა უმეცართა საღმთოდ ეთარგმნეს ბოროტი ლექსი მისი, აღსწერს ქალისა ვისთვისმე: თვალი მელნისა, პირი ბროლისა, ლაწვი ძოწისა, და ამის გამო დედანი საქართველოსანი ხატად ღმთისა შექმნილისა სახისა წილ ფერადთა წამალთა იცხებენ და მიცვალებულთა თმათა მოიბმენ საბრთვედ სულთა,—შოთამს ვიტყვი რუსთველსა, მექურჭლეთ უხუცესს, თითონაც შიგ ხატია მოხუცებულ“⁴.

¹ ამ რიგის შინაწერით არის შეესებული ვახტანგ გორგასალის მოღვაწეობა იერუსალიმში „მიმოსლვის“ C რედაქციაში (იხ. „მიმოსლვის“ წყაროები, გვ. 0219 აგრეთვე სურ. 6).

² გვ. 10, 65, 74, 78, და სხვ.

³ მიმოსლვა, გვ. 80, სქ. 1.

⁴ იქვე.

ტიმოთე არ დაკმაყოფილებულა მარტო C ხელნაწერის შეესებოდა. მან C ხელნაწერის ზოგი მინაწერი, მისი თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, შემოკლებული სახით გადაიტანა B ავტოგრაფში, და ვარსკვლავით აღნიშნა მათი ტექსტში შეტანის აუცილებლობაც (შეად. სურ 6 და 7).

შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ ტიმოთემ C ავტოგრაფის მინაწერები კი არ გადაიტანა B ავტოგრაფში, არამედ პირიქით, B-სი გადაიტანა C-ში, მაგრამ ეს ასე არ არის. B ავტოგრაფი C ავტოგრაფის დედანია. C ავტოგრაფი B-სთან შედარებით გადამუშავებული და შევსებულია. C ავტოგრაფის დაწერის დროისათვის B ავტოგრაფს რომ ჰქონოდა ეს მინაწერები, ტიმოთე ამ ცნობებით შეავსებდა ძირითად ტექსტს, ისე როგორც ის სხვა შემთხვევაში მოიქცა და მას აღარ დასჭირდებოდა C ავტოგრაფში მინაწერისა და ძირითადი ტექსტის შესათანხმებლად უკვე დაწერილ ტექსტში ცვლილებების შეტანა.

ტიმოთეს რუსთაველზე მინაწერიც გადაუტანია B რედაქციაში, მაგრამ არა სრულად, არამედ შემოკლებული სახით, ამ ვრცელი მინაწერის მხოლოდ მთავარი აზრი.

შოთა რუსთაველი „მიმოსლვაში“ ორჯელ არის მოხსენებული. პირველად როგორც ჯვრის მონასტრის გუმბათის განმაახლებელი და მომხატველი, ხოლო მეორედ როგორც დეაწმომოსილი პიროვნება, რომლის სახე აღბეჭდილია სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად ჯვრის მონასტრის კედლებზე.

რუსთაველზე მინაწერი ტიმოთემ C ავტოგრაფში რუსთაველის პირველ მოხსენიებას დაუკავშირა, ხოლო B ავტოგრაფში, ტექნიკური მოსაზრების გამო, მეორეს მიაწერა¹.

B ავტოგრაფის 102r-ზე ვკითხულობთ: „მუნ (ე. ი. ჯვრის მონასტერში) ხატია შოთა რუსთაველი, მეჭურჭლეთ უხუცესი“. ამისთვის მიუწერია ტიმოთეს C ავტოგრაფის ვრცელი მინაწერის დედააზრი, ორი სიტყვით გამოხატული: „ბოროტი მელექსე“. ეს ორი სიტყვა მიწერილია სტრიქონის ბოლოს, სხვა ფერის მელნით, ტექსტის ნაწერისგან ოდნავ განსხვავებული, მაგრამ ავტორისვე ხელით, რაც მოწმობს იმას, რომ მინაწერი ტექსტის თანადროული არ არის (სურ. 8).

¹ B ავტოგრაფში მეორე ცნობა რუსთაველის შესახებ ცალკე სტრიქონად არის გამოყოფილი. ამიტომ მისი გაგრძელება, სიტყვების მიწერა მოსახერხებელი იყო.

ეს სიტყვები რომ ძირითად ტექსტში თავდაპირველად არ შედიოდა და მერმინდელი მინაწერია, შემდეგიდანაც ჩანს: რუსთაველი „მიმოსლვაში“ მეორედ მოხსენიებულია ჯვრის მონასტრის კედლებზე გამოსახულ ქართველ მოღვაწეებთან ერთად. „ჯვრის მონასტერში ხატიან დიდნი მეფენი“, — წერს ტიმოთე და ასახელებს მათ. ნეტეთა ჩამოთვლის შემდეგ ტიმოთე გადადის არასამეფო საგვარეულოს წევრების ჩამოთვლაზე და პირველ რიგში ასახელებს შოთა რუსთაველს, შემდეგ ლეონ დადიანს თავისი მეუღლით, აფხაზეთის კათალიკოზს მაქსიმეს, ელისე ტფილელს, თეოდოსი მანგლელსა და ჯვრის მამას ნიკოლოზს.

თითოეულ ამ ცნობას, რომელსაც ტექსტში თითო სტრიქონი უკავია, ავტორი ასრულებს ორი წერტილითა და ტირეთი (:—, ამგვარი ნიშნით აღნიშნავს ჩვეულებრივ ტიმოთე აბზაცის დასასრულს). იმის შემდეგ, რაც ტიმოთემ განიზრახა C ავტოგრაფის კვალობაზე შოთა რუსთაველის მოხსენიებისათვის მგოსნის შემოქმედების კვალიფიკაციის („ბოროტი მელექის“) მიწერა, საკირო გახდა დასასრულის ნიშნის მოშლა და ტექსტის გაგრძელება. ადგილის მოგებისათვის, და ამავე დროს ტირეს წაშლის ნიშნით, ტიმოთემ წერა დაიწყო იმ ვარაუდით, რომ დაფარულიყო ტირე და დარჩენილიყო მხოლოდ ორი წერტილი, რომელსაც ტიმოთე ჩვეულებრივ მძიმის მნიშვნელობით ხმარობს. „ბოროტი მელექის“ მიწერის შემდეგ ტიმოთემ ხელმეორედ დასვა „:“ და „—“, მაგრამ პირველ ტირეზე წარწერილი „ბოროტი“ ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს სიტყვა „ბოროტის“ პირველი ორი ასო გადაშლილი იყოს. სხვათა შორის, საქართველოს სახ. მუზეუმის ერთ-ერთი ხელნაწერის გადაწერს, B ავტოგრაფის ზუსტი პირის გადმოღებისას, სწორედ ასე წაუკითხავს ეს ადგილი და გადმოუღია გაუაზრებლად არა „ბოროტი მელექსე“, არამედ „როტი მელექსე“¹.

ამგვარად, ზემოთქმულის საფუძველზე ვასკენით: რუსთაველის გამკილავი მინაწერი „მიმოსლვის“ B და C ავტოგრაფების ძირითად ტექსტში შეტანილი არ იყო. პირველად ეს ცნობა ჩნდება C ავტოგრაფში მინაწერის სახით, ხელნაწერის გადამუშავებისა და დაწერის შემდეგ.

C ავტოგრაფის მინაწერის შემოკლებული ვარიანტი („ბოროტი მელექსე“) ტიმოთეს მიუწერია B ავტოგრაფში რუსთაველის მეორე მოხსენიებისათვის. ტექსტში შესატანად განკუთვნილი C

¹ H—1014, გვ. 152.

ავტოგრაფის მინაწერი D ხელნაწერის გადამწერს ტექსტში შეუტანია, ხოლო ტიმოთეს ტექსტში მინაწერის მექანიკური ჩართვით აზრის დარღვეული განვითარება და წინადადების სინტაქსური წყობა აღუდგენია D ხელნაწერის ტექსტის გასწორება-გამართვით. ამგვარად, მინაწერმა რუსთაველის შესახებ თავისი ადგილი და საბოლოო სახე მიიღო მხოლოდ D ხელნაწერში.

რუსთაველთან დაკავშირებული მთელი ეს სამუშაო ტიმოთემ ჩაატარა საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ე. ი. 1759-სა და მის შემდგომ წლებში.

იმის შემდეგ, რაც გაიკრვა ამ მინაწერის დაწერის დრო დავითარება, ბუნებრივია, ამასთან დაკავშირებით დაისვას რიგი საკითხები:

1. რამდენად უკავშირდება „მიმოსღვის“ C ავტოგრაფის მინაწერი იმ ცნობებს რუსთაველის შესახებ, რომელთაც ავტორი გვაწვდის „მიმოსღვის“ ძირითად ტექსტში, ე. ი. რამდენად ეთანხმება რუსთაველის განმაქიქებელი მინაწერი ტიმოთეს საერთო წარმოდგენას რუსთაველზე?

2. რატომ სწორედ საქართველოში დაბრუნების შემდეგ მიიჩნია საჭიროდ ტიმოთემ რუსთაველის ამ გამკილავი ცნობის მიწერა უკვე გადამუშავებული C ავტოგრაფისათვის?

დავიწყოთ პირველი საკითხით.

ტიმოთე გაბაშვილი შ. რუსთაველს ეხება „მიმოსღვის“ იმ ნაწილში, სადაც იხილავს ქართველთა სამფლობელოებსა და მოღვაწეობას იერუსალიმში. „უკეთუ იკითხვიდე, თუ იერუსალიმი ვითა ჯელ-ეყვის საქართველოთა, წერილ არს ესრეთ...“ აცხადებს ტიმოთე და ჩამოთვლის ქართველ მეფეებს: მ ი რ ი ა ნ ს, რომელსაც უშოვნია ჯვრის მონასტრის ადგილი; მ ე ფ ე ბ ა გ რ ა ტ კურაპალატს, რომლის საფასით პ რ ო ხ ო რ ე შ ა ე შ ე ლ მ ა ააშენა ჯვრის მონასტერი; ვ ა ხ ტ ა ნ გ გ ო რ გ ა ს ა ლ ს, რომელსაც მეგვიპტელთაგან მისცემია იერუსალიმი; გ ი ო რ გ ი მ ე ფ ე ს, რომელსაც აუშენებია იაკობ ალფესის მონასტერი იერუსალიმში; ლ ე ო ნ მ ე ფ ე ს, რომელსაც იოაკიმ ჯვარის მამის ხელით მრავალი საფასე წარუგზავნია და ახლად აუშენებია მარმარილოთი ქრისტეს საფლავი და გოლგოთა.

იერუსალიმის მფლობელთა და იერუსალიმის მთავარ ტაძართა და მონასტერთა აღმაშენებელ ქართველ მეფეთა ჩამოთვლის შემდეგ ავტორი გადადის ქრისტიანული ეკლესიისათვის არა ნაკლებ ღვაწლმოსილ პირებზე, რომელთაც განუახლებიათ დაძველე-

ბული და დანგრეული ქართული ჯვრის მონასტერი: „ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათს ქვეით სვეტნი გაუახლებია და დაუხატეინებია შოთამს რუსთველს, მექურქლეთ უხუცეს[ს]. თითონაც შიგ ხატია მოხუცებული. ამისა შემდგომად კვალად დაძველებულა და განუახლებია და აღუშენებია საკურთხეველის ზეითი კონქი დადიანს ლეონს და მეულღესა მისსა ნესტანდარეჯან დედოფალს, ქილაძის ქალს, ორნივე შიგ ხატიან. ამისი გამგე ჩოლოყაშვილი-ომანიშვილი მეტეხის წინამძღვარი და ჯვარის მამა ნიკოლოზ ყოფილა. დადიანს ამის ქელით გაუკეთებია. ჯვარის მამა ნიკიფორე თუ ნიკოლოზ შიგ ხატიან და თეოდორე მანგლელიც“¹.

აქ ჩამოთვლილ მეფეებს, ისე როგორც არა სამეფო გვარის საეროსა და სასულიერო პირებს, ტიმოთე საგანგებოდ გამოჰყოფს განსაკუთრებული დამსახურებისათვის არამარტო ქართული ქრისტიანული ეკლესიის თვალსაზრისით, არამედ ზოგადქრისტიანულითაც, ვინაიდან „წმიდა ქალაქის“ იერუსალიმის მუსულმანთაგან განთავისუფლება, მისი გაშენება, გოლგოთასა და ქრისტეს საფლავზე ზრუნვა და ქართველი მხედრების მიერ იერუსალიმის დაცვა სცილდებოდა ქართული ქრისტიანობის ნაციონალური ინტერესების საზღვრებს და ზოგადქრისტიანული ეკლესიის სამსახურად ითვლებოდა. ამავე თვალსაზრისით გამოჰყოფს ტიმოთე სხვა ქართული მონასტრებისა და ეკლესიებისაგან ჯვრისა და იაკობ ალფესის მონასტრებს, მათ აღმაშენებლებს, განმანახლებლებსა და მომხატველებს და მათ გოლგოთასა და ქრისტეს საფლავის გვერდით განიხილავს. ჯვრისა და იაკობ ალფესის მონასტრები, იერუსალიმის სხვა ქართული მონასტრებისაგან გამორჩევი, განსაკუთრებით სახელმოხვეჭილი იყო როგორც ადგილობრივ ქრისტიანთა, ასევე ჩამოსულ პილიგრიმთა შორის. ჯვრის მონასტერი ითვლებოდა „წმიდა ადგილად“, რომლის მოლოცვა ისევე სავალდებულო იყო პილიგრიმთათვის, როგორც გოლგოთისა და ქრისტეს საფლავისა².

„ნიმოსლვის“ ამ თავში ჯვრის მონასტრის სახელოვან მოღვაწეთა შორის პირველ ადგილას ტიმოთეს მოხსენიებული ჰყავს შოთა რუსთაველი.

¹ მიმოსლვა, გვ. 80.

² ალ. ცაგარლის ცნობით „Муджерелдин († 1521 г.) называет Крестный монастырь одной из четырех святынь Иерусалима (храм Гроба Господня, Воскресения и св. Иакова), наиболее чтимых христианами...“: Памятники, გვ. 95.

ამ თავს მოსდევს ცნობები ქართველთა სააღმშენებლო მოღვაწეობის შესახებ იერუსალიმში: „აქა, თუ ვის მიერ აღშენნეს იერუსალიმს მონასტერი“. აქ ტიმოთე ასახელებს იერუსალიმის 16 მონასტერსა და მათ აღმაშენებლებს. პირველ რიგში აქაც დასახელებულია გოლგოთა და ჯვრის მონასტერი, ხოლო შემდეგ დანარჩენი ქართული მონასტრები.

ამ ნაწილშიც რუსთაველი მოხსენიებულია იმ სახელოვან მოღვაწეთა რიცხვში, რომლებიც დიდი დამსახურებისათვის ჯვრის მონასტრის კედლებზე არიან გამოსახულნი. ესენი არიან ჯერ მეფეები— მირიანი, ვახტანგ გორგასალი, ბაგრატ კურაპალატი, ქართლის დედოფალი მარიანი—და შემდეგ—შოთა რუსთაველი მექურჭლეთუხუცესი, ლეონ დადიანი თავისი მეუღლით, აფხაზეთის კათალიკოსი მაქსიმე, ელისე ტფილელი, თეოდოსი მანგლელი, ჯვარის მამანიკიფორე, პაატა და ქაიხოსრო წულუკიძეები.

მეფეთა შემდეგ მექურჭლეთუხუცესი შოთა რუსთაველი აქაც პირველ ადგილას არის მოხსენიებული.

ამგვარად, რუსთაველი „მიმოსლვაში“¹ ორჯელ არის მოხსენიებული, ორჯელვე იერუსალიმისა და მის მთავარ სიწმიდეთა აღმაშენებელთა და დიდ მოამბაგეთა შორის.

ცნობებს იერუსალიმში ქართველთა მოღვაწეობის შესახებ ტიმოთე ადგილობრივ ეძებდა. მისი განცხადებები ლიტონი სიტყვები რომ არ იყო და წერილობით წყაროებს ეყრდნობოდა, ამას ტიმოთე მკითხველს დასაწყისშივე აუწყებდა: „უკეთუ გენებოს ცნობად, თუ ქართველნი ვითარ იპყრობდნენ იერუსალიმს, ესრეთ ვპოვენი თ მუნ წერილთა შინა“²!

მართლაც, ცნობები იერუსალიმის ქართველ მოღვაწეთა შესახებ საკმაო რაოდენობითაა დაცული იერუსალიმში დაწერილი ქართული ხელნაწერების ანდერძებში, სულთა მატრიანებსა და მოსახსენებლებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრივ ჯვრის მონასტრის ალაპები. გარდა ამისა, იერუსალიმში ტიმოთეს ყოფნის დროს ქართველების მიერ აშენებულ მონასტრებში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ზეპირი გადმოცემები მათ აღმაშენებელთა შესახებ და მონასტრებში მათი „სამარადისო მოქსენებაც“³ იკითხებოდა: „ამა მონასტერთა შინა მოქსენება არის სამარადისო აღმაშენებელთა მათთა. კანდელნი ზოგი გოლგოთას, ზოგი ქრისტეს საფლავზე კიდია მათი მოსაქსენებელი“⁴, წერს ტიმოთე.

¹ მიმოსლვა, გვ. 77.

² იქვე, გვ. 82.

რუსთაველის მიმართაც ტიმოთე გაბაშვილი ეყრდნობოდა როგორც წერილობითს, ისე ადგილობრივ გავრცელებულ გადმოცემებს. ამის საფუძველზე შემუშავდა ტიმოთეს თვალსაზრისი შ. რუსთაველზე.

ქართველთა მოღვაწეობას იერუსალიმში ტიმოთე, როგორც მართლმორწმუნე ქრისტიანი და სასულიერო პირი, დიდის გულისყურით ეკიდებოდა. ის აღტაცებული და განცვიფრებული იყო თავის წინაპართა და მათ შორის რუსთაველის გულმოდგინეობით: „წარვედ იერუსალიმად და მთაწმიდად, სამღვდელთა მათ წმიდათა ადგილთა, და ვიხილენით და აღმოვიკითხენით ჭირმრავლობით ნაღვაწნი მამათა ჩვენთა ქართველთანი და ფრიად განკვირებულ ვიყავ მათთვის, რამეთუ იგავადცა არა მსმენოდეს ესენი, რაოდენიცა მე აქა მათთვის აღვსწერენ“¹ — წერს ტიმოთე გაბაშვილი „მიმოსლვის“ შესავალში.

„მიმოსლვის“ ტექსტის ზემოთ მოტანილ ცნობებზე ჩვენ განზრახ ვრცლად შევჩერდით, რათა გვეჩვენებინა, თუ რა სახისა და მასშტაბის მოღვაწედ ესახებოდა ტიმოთეს შოთა რუსთაველი იერუსალიმში ნახული წერილობითი წყაროებისა და იქაურ საეკლესიო წრეებში დამკვიდრებული ტრადიციის საფუძველზე.

ბუნებრივია, აქვე დაისმის საკითხი, თუ რამდენად სანდოა ტიმოთეს წყაროები და იერუსალიმში გავრცელებული ტრადიცია, რომელიც ტიმოთემ უყოყმანოდ მიიღო და შეიტანა „მიმოსლვაში“.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტრადიციულ გადმოცემას იერუსალიმის ჯვრის მონასტერში რუსთაველის მოღვაწეობის შესახებ გარკვეული ისტორიული საფუძველი უნდა ჰქონოდა.

ძნელია იმის დაბეჯითებით მტკიცება, რომ შოთა რუსთაველი იგივე იერუსალიმში მოღვაწე და ალაპებში მოხსენიებული შოთა მექურქლეთუხუცესი იყოს. მაგრამ ამის სასარგებლოდ ზოგიერთი საბუთი მაინც ლაპარაკობს. პირველ რიგში კი ჯვრის მონასტრის ალაპების ტიშენდორფისეული ნუსხა, რომლის ფოტოპირები 1953 წელს ლაიპციგიდან მიიღო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა (იხ. ფ. ფ. № 126). ალაპების ეს ნუსხა უძველესი დედანია იმ გვიანდელი ნუსხისა, რომელიც სხვა მასალებთან ერთად, თავისი გამოცემისათვის ნ. მარშა გამოიყენა².

¹ მიმოსლვა, გვ. 4.

² ალაპნი ჯუარის მონასტრისანი: *Bibliotheca Armeno-georgica*, III, 1914, გვ. XXV.

ისტორიული და პალეოგრაფიული მონაცემებით ალაპების ტი-
შენდორფისეულ ნუსხაში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე პლასტი¹.
პირველი პლასტი თარიღდება XIII საუკუნით და შეიცავს XI ს.
II ნახევრისა და XIII ს. ქართველ მოღვაწეთა ალაპებს. მათ შო-
რის არის შოთა მექურქლეთუხუცესის ალაპიც.

შოთა მექურქლეთუხუცესის ალაპის დაწერის თარიღი შეიძ-
ლება შემოიფარგლოს XIII საუკუნის პირველი ნახევრით იმ ისტო-
რიული პირების მიხედვით, რომლებიც შოთასთან ერთად ალა-
პებში ერთ ჯგუფს ქმნიან. ამგვარად, ალაპებში მოხსენიებული შო-
თა მექურქლეთუხუცესი შოთა რუსთაველის თანამედროვეა. ეს კი
გვაძლევს უფლებას ვირწმუნოთ ტრადიცია, — შოთა მექურქლეთ-
უხუცესი შოთა რუსთაველთან გავაიგივეოთ და მივიჩნიოთ, რომ
გაწეული ზრუნვისა და დახმარებისათვის შოთა მექურქლეთ-
უხუცესი-რუსთაველი ჯვრის მონასტრის კედელზეც გამოსახეს და
ალაპიც დაუდევს.

ის გარემოება, რომ თამარის ისტორიკოსები თამარის დროის
მოღვაწეთა შორის არ მოიხსენიებენ შოთა მექურქლეთუხუცესს,
საკითხს უარყოფითად ვერ გადაწყვეტს. ასევე არავითარი ცნობა
არ შემოუნახავს მათიანეს აბულ-ასანის (თამარის დროის მოღვა-
წის) მექურქლეთუხუცესობის შესახებ, მაგრამ, ამავე დროს, ამ
ტიტულით არის მოხსენიებული აბულ-ასანი წმ. ანდრიას ხატის
წარწერაში².

განვიხილოთ იგივე საკითხი ტიმოთე გაბაშვილის მასალების
თვალსაზრისით.

„მიმოსღვის“ წყაროების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ტი-
მოთე ზეპირად არაფერს წერდა. მან დიდი შრომა გასწია იერუსალი-
მის ქართული კოლონიის ისტორიის შესწავლისათვის საჭირო ადგი-
ლობრივი მასალების მოსაპოვებლად. შოთა რუსთაველის იერუსა-
ლიმში მოღვაწეობის დახასიათებისათვისაც ტიმოთეს უსარგებლია
წერილობითი წყაროებით (ალაპებით, მოსახსენებლებით), მონასტ-
რის კედლის მხატვრობითა და ზეპირი გადმოცემებით.

რამდენად სანდო წყაროა ჯვრის მონასტრის კედლის მხატ-
ვრობა? ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობაში შოთა რუსთაველის
გამოსახულება არ შეიძლება მხოლოდ ეკლესიის მეორედ მომხატ-

¹ ჯვრის მონასტრის ალაპების ტექსტსა და გამოკვლევას ვამზადებთ გამო-
საკვეყნებლად. იქ ამ საკითხს უფრო დაწვრილებით ვეხებით.

² Е. Такайшвили, Арх. экск., разыск. и зам., II, გვ. 68—71; ვ. ბე-
რიძე, თბილისის ლურჯი მონასტერი: ქართული ხელოვნება, 2, გვ. 98—99.

ველის, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის შემოქმედების ნაყოფად მივიჩნით.

ფრესკის ერთ მხარეს წარწერაა: „ამის დამხატავსა შეუნდოს ღმერთმან, ამინ“, მეორე მხარეს კი—„შოთა რუსთველი“. ამ წარწერის გაგება ორგვარად შეიძლება. აქ ან სურათის უცნობ ავტორზეა საუბარი, ანდა შოთა რუსთაველზე, როგორც ეკლესიის მომხატველზე. მეორე ვარიანტს მხარს უჭერს ტიმოთე გაბაშვილი, რომლის ცნობით ჯვრის მონასტერი დაძველებულა და „გუმბათის ქვეით სვეტნი გაუახლებია და დაუხატვინებია შოთამს რუსთველს, მექუტუტეთუხუცესს, თითონაც შიგ ხატია მოხუცებული“.

როგორც ცნობილია, 1644 წელს ჯვრის მონასტერი მოახატვინა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა. ამ დროისაა შოთა რუსთაველის გამოსახულებაც. მაგრამ ვფიქრობთ, არ არის საფუძველს მოკლებული ალ. ცაგარლის ვარაუდი, რომ ჯვრის ეკლესია ადრეც იყო მოხატული¹, სწორედ XII—XIII საუკუნეებში, როდესაც მონას-

¹ А. Цагарели, Памятники, გვ. 95. ალ. ცაგარლის მოსახრება, რომ ჯვრის მონასტერი ადრევე ყოფილა მოხატული, დამაჯერებელია. საბუთად ალ. ცაგარელს მოჰყავს XII ს. რუსი მოგზაურის დანიილისა და XVI საუკუნის მოგზაურთა ჩუდისა (1519 წ.) და ბუშეს (1586 წ.) ცნობები მათ მიერ ნახული ჯვრის მონასტრის მოხატულობის შესახებ. ამიტომ ნიკიფორეს განკარგულებით მონასტრის ხელმეორედ მოხატვა არ ნიშნავს იმას, რომ მონასტრის კედლის მხატვრობის მოტივები მთლიანად ნიკიფორეს შერჩეული იყოს; აქ პირველ რიგში განახლდებოდა ყველა ის, რაც ტრადიციით დაკავშირებული იყო მონასტრის ისტორიასთან. ბუნებრივია, ჯერ განახლდებოდა მონასტრის კტიტორების, მომხატველებისა და მთავრების სურათები, ხოლო შემდეგ მხატვრობა შეიკეთებოდა ახალი მასალით.

XI—XVI საუკუნეთა მანძილზე ჯვრის მონასტერი რამდენიმეჯერ მოიხატა. ნიკიფორე ჩოლოყაშვილის განკარგულებით ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოები დეტალურად არის აღწერილი მონასტრის კართულსა და ბერძნულ წარწერებში და ხელნაწერთა ანდერძებში (А. Цагарели, Памятники, დამატ. III, გვ. 242). წარწერებში დასახელებულია იმ მხატვართა სახელებიც, რომელთაც ნიკიფორეს ბრძანებით მოუხატავეთ მონასტერი. ნიკიფორე დაკმაყოფილებულა მათი სახელების მოხსენიებით, დახატვის ღირსი კი არ გაუხდია. კედელზე დახატვის პატივი წილად ზედა ამ დიდი საქმის ინიციატორებს—ლევან დადიანს, მის მეუღლეს ნესტანდარეჯანს და თვით ნიკიფორეს, მეორე მხრით, მონასტრის მეტად საპატიო ადგილას, საკურთხევლის სვეტებთან გამოხატულნი არიან: 1. შოთა რუსთაველი, საერო მდიდრულ სამოსელში, წარწერით: „ამისა დამხატავსა შეუნდოს ღმერთმან. შოთა რუსთველი“. 2. შევწევროსანი კაცი შვილითურთ, მუხლმოდრეკილი წმ. საბასა და ეფთვიმის წინაშე, წარწერით: „ამის დამხატავსა არსენ ავრის (?), გრიგოლს და მისთა დედა-მამათა შეუნდოს ღმერთმან“ (ნ. ჩუბინაშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 45). 3. მღვდელმთავარი, წმ. პეტრესა და პავლეს შორის, წარწერით: „ამისა დამხატავსა დრანდელ მთავარეპისკოპოსსა

ტერს მეტი ეკონომიური შესაძლებლობა გააჩნდა საამისოდ. ეს ასეც რომ არ იყოს (ამას გაარკვევს ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობის ადგილზე შესწავლა), ერთი მაინც აშკარაა, მონასტრის კედლებზე, მეტად საპატიო ადგილას, შოთა რუსთაველის დახატვა ნიშნავს იმას, რომ ის კტიტორად, მეორედ აღმაშენებლად, მომხატველად ანდა მონასტრისათვის დიდად ღვაწლმოსილ პიროვნებად იყო მიჩნეული, თუნდაც ტრადიციით. მეორე მხრით, ის გარემოება, რომ ტიმოთე ჯვრის მონასტერში ჩატარებულ სამუშაოს ასე კონკრეტულად განსაზღვრავს, მოწმობს, რომ ტრადიციასაც გარკვეული ფაქტები ედვა საფუძვლად. ამისთვის საკმარისი არ იქნებოდა შოთა მექურჭლეთუხუცესის სახელზე დადებული ალაპი, ვინაიდან ჯვრის მონასტრის ალაპებში შოთასთან ერთად დამის გვერდით ალაპები დადებული აქვთ რუსუდან დედოფალს, ულუდავითს, ცოტნე დადიანსა და ამავე ეპოქის სხვა შეფეებსა თუ სახელმძღვანელებს სახელმწიფო მოღვაწეებს, მაგრამ მონასტრის კედელზე დახატვის ღირსად მხოლოდ შოთა რუსთაველი მიუჩნევიან, მიუხედავად იმისა, რომ, თუ ვისიმე დახატვისაგან უნდა შეეკავებინა თავი მონასტრის კარებულს—ეს მგოსანი შოთა რუსთაველი იყო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სურათის კომპოზიციის საშუალებით ეკლესიამ გარკვეული სიფრთხილე გამოიჩინა და ერთგვარად თავი დაიხლვია საერო პოეტის მონასტრის კედლებზე გამოხატვის უხერხულობისაგან. სურათში რუსთაველი მეოხად იწვევს და მუხლმოდრეკით შენდობას ევედრება მაქსიმე აღმსარებელსა და საშუალო

გაბრიელს და მამა-დედათა მისთა შეუნდოს ღმერთმან" (ნ. ჩუბინაშვილის დასახ. ნაშრ., გვ. 46).

ჩვენ ამ საკითხზე იმიტომ შევჩერდით, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში განმტკიცებულია აზრი, თითქოს შ. რუსთაველის სურათი იერუსალიმში გავრცელებული ტრადიციის საფუძველზე პირველად მონასტრის კედელზე ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა დაახატინა (ქ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, გვ. 107). აქვე აღსანიშნავია ერთი გარემოებაც. რუსთაველი ფრესკაში მდიდარი საერო სამოსელით არის შემოსილი. მაშასადამე, აქ არ არის ასახული ზუსტად ის ტრადიცია, რომლის მიხედვით რუსთაველი ცხოვრების უკანასკნელ წლებში ბერად აღიკვეცა და თავი შეაფარა ჯვრის მონასტერს.

ამგვარად, შოთა რუსთაველი მონასტრის კედლებზე გამოხატულია როგორც საერო პირი, რომლის ინიციატივითა და წარსაგებლით მოიხატა მონასტრის გუმბათი. შოთა მექურჭლეთუხუცესი კი მდიდარი შეწირულებისათვის მოხსენიებულია მონასტრის ალაპებში. იერუსალიმში გავრცელებული ტრადიციით მონასტერი მოახატინა შოთა რუსთაველმა, მექურჭლეთუხუცემამ. ვფიქრობთ, ეს ტრადიცია ფაქტურ მდგომარეობას ასახავს.

საუკუნეების უდიდეს სასულიერო პროექტს იოანე დამასკელს. ამ სახით მიიღო ეკლესიამ რუსთაველი და სახელოვან მოღვაწეთა გვერდით მას საპატიო ადგილი დაუთმო მონასტრის კედლებზე.

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, ფეიქრობთ, ვერ აიღებდა თავის თავზე გამბედაობას, დაეხატა რუსთაველი ჯვრის მონასტრის კედლებზე, მას რომ ამისთვის მტკიცე ჩვენებები არ ჰქონოდა.

რაკი შოთა რუსთაველი „წმიდა ქალაქის“ ეკლესიამ მიიღო და ერთი უდიდესი მონასტრის კედელზე დახატვით ქრისტიანობის წინაშე დამსახურებულ ადამიანად მიიჩნია, ტიმოთეს არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, მის მართლმორწმუნეობაში ეჭვი შეჰპარვოდა. ტიმოთე გაბაშვილმა „მიმოსღვის“ B და C რედაქციების ძირითად ტექსტში ასახა ის წარმოდგენა შოთა რუსთაველზე, რომელიც განმტკიცებული იყო იერუსალიმის ჯვრის მონასტერში.

იერუსალიმის მასალების საფუძველზე ტიმოთემ შოთა რუსთაველი ცალმხრივად, მხოლოდ როგორც იერუსალიმის მოღვაწე გააშუქა. მართალია, B ავტოგრაფის ძირითად ტექსტში გაკვრით ტიმოთე რუსთაველის მელექსეობასაც აღნიშნავს, მაგრამ მისთვის ამ მხარეს არ ჰქონდა იმ დროს მნიშვნელობა და ამიტომ მან გვერდი აუარა რუსთაველის, როგორც მელექსის, შეფასებას. ეს შეფასება, როგორც აღვნიშნეთ, პირველად ჩნდება C ავტოგრაფში მინაწერის სახით.

ქრისტიანული ეკლესიის ისეთ დიდ მოღვაწეს, როგორადაც „მიმოსღვის“ მიხედვით შოთა რუსთაველი წარმოგვიდგა, ვერაფრით ვერ უდგება მგოსნის ის შეფასება, რომელიც C ავტოგრაფის მინაწერში ჩამოაყალიბა ავტორმა. ვერ ეგუება ერთმანეთს ერთი მხრით ჯვრის მონასტრის თვალსაჩინო მოღვაწე, ხოლო მეორე მხრით მგოსანი, რომელმაც „ასწავა ქართველთა სიწმიდისა წილ ბილწება და განრყვნა ქრისტიანობა“. აქ აშკარა წინააღმდეგობაა. ძნელი წარმოსადგენი და დასაჯერებელია, რომ ორივე ცნობა ერთ ავტორს ეკუთვნოდეს, მაგრამ ფაქტი ჯიუტია: C ავტოგრაფის მინაწერისა და „მიმოსღვის“ ტექსტის ავტორი უეჭველად ერთია. მაშ რით უნდა აიხსნას ეს არა თანამიმდევრობა და წინააღმდეგობა?

ტიმოთე რუსთაველის შეფასებაში ბოლომდე თანაზიმდევარია „მიმოსღვის“ B და C ავტოგრაფების ძირითად ტექსტში. წინააღმდეგობა თავს იჩენს სრულიად მოულოდნელად C ავტოგრაფის მინაწერში, ხელნაწერის გადამუშავებისა და დაწერის შემდეგ. C ავტოგრაფის მინაწერი ლოგიკურად არ გამოდინარეობს ძირითადი ტექსტის შინაარსიდან. ის ხელოვნურად და ძალად მიტმსნილი ჩანს.

მინაწერის წარმოშობას კი, საფიქრებელია, თავისი მიზეზი ჰქონდა. ეს მიზეზი უნდა ვეძებოთ იმ დროსა და პირობებში, როცა აღებამაც აიძულეს ტიმოთე გაეკეთებინა მისი საერთო თვალსაზრისის საწინააღმდეგო განცხადება.

განვიხილოთ მოკლედ ეს პირობები¹. 1759 წლის გაზაფხულისათვის ტიმოთე გაბაშვილი ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ქართლში დაბრუნდა. ქართლში მას დაძაბული ვითარება დახვდა. ანტონ პირველის „მხილებისა“ და საქართველოდან მისი გაძევების შემდეგ (1755 წ.) ქვეყნის იდეოლოგიური მესაჭეობა ზაქარია გაბაშვილმა იღვა თავს. თავისი აღზევების მანძილზე ზაქარია ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ გაემტკიცებინა თავისი პოზიციები და გაენადგურებინა ანტონ პირველის მომხრეთა ჯგუფი. განსაკუთრებით შეუპოვარი გახდა ზაქარია იმის შემდეგ, რაც ანტონ პირველმა ვლადიმირიდან „ნიწყალეს“ თარგმანება გამოგზავნა და ამით, ერთგვარად, რეაბილიტაცია ითხოვა. ამ დროს ანტონის თანამოაზრისა და უახლოესი თანამოღვაწის ტიმოთეს ქართლში დაბრუნება ზაქარიას ჯგუფს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა. როგორც ირკვევა, განსაკუთრებით არც ტიმოთე მოისწრაფვოდა ქართლისაკენ, საფიქრებელია, მკაცრი ანგარიშსწორების შიშით².

ტიმოთე მოგზაურობის დროს კურსში იყო იმ იდეოლოგიური ბრძოლისა, რომელიც მისი წასვლის შემდეგ ქართლში გაიშალა. მეტის თქმაც შეიძლება, „მიმოსღვის“ წერისას ტიმოთე ანგარიშს უწყევდა ქართლში შექმნილ ახალ ვითარებას. ამიტომაც, რომ ერეკლესა და თეიმურაზ II-ის გვერდით მას არსად ჰყავს მოხსენიებული ანტონ I, რომელსაც სულ რამდენიმე წლით ადრე „სპეკალის“ წინასიტყვაობაში ქება-დიდებას ასხამდა. მაგრამ ტიმოთე არც ახლად ხელდასხმულ იოსებ კათალიკოსს მოიხსენიებს, ვინაიდან ის ზაქარია გაბაშვილის ჯგუფის კანდიდატი იყო. ღუმს რა ორივეზე, ტიმოთე „მიმოსღვაში“ ძლიერი ეპითეტებით ამკობს იმერეთის კათალიკოსს ბესარიონს.

ქართლში მომხდარი ამბების ღუმილით გვერდის ავლა და ანტონ პირველისა და იოსებ კათალიკოსის მოუხსენებლობა შემთხვევითი არ იყო. ქართლისაკენ მომავალმა ტიმოთემ დიპლომატიური თავდაპყერა არჩია. ამავე დროს გაფაციცებით აღევენებდა თვალ-

¹ ვრცლად ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 0116—0120.

² აქვე, გვ. 0119—0120.

ყურს მოვლენათა განვითარებას და ამისდაგვარად აწყობდა თავის მომავალ გეგმებსაც.

სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია ცნობებს იმის შესახებ, თუ რა ურთიერთობა დამყარდა ქართლში ჩამოსულ ტიმოთესა და ზაქარია გაბაშვილის ჯგუფს შორის. ამაზე მსჯელობა მხოლოდ შედეგებითაა შესაძლებელი. შედეგები კი ასეთი იყო: ქართლში დაბრუნებული ტიმოთე უეპარქიოდ აღმოჩნდა, რის გამოც მან თავი დავით გარეჯის უდაბნოს შეაფარა. ამგვარად, მთავარეპისკოპოსო-ყოფილი ტიმოთე ქართლში საზოგადოებრივ ცხოვრებას მოწყვეტილი, იზოლირებული აღმოჩნდა.

საფიქრებელია, რომ ქართლში ჩამოსული ტიმოთეს ლიტერატურული პროდუქციაც ვერ ასცდებოდა იდეოლოგიურ ფილტრს. მით უმეტეს, რომ, ტიმოთეს განცხადებით, მოგზაურობის დროს დაწერილი მისი წიგნი „სულთა მორწმუნეთასა აღსაშენებლად“ იყონავარაუდები. ამ წიგნის ავტორს „მერჩულეობის“ პრეტენზია ჰქონდა, რასაც ვერ შეურიგდებოდა ზაქარია გაბაშვილი.

ზაქარია გაბაშვილი, დახელოვნებული პოლემიკოსი და განათლებული ღვთისმეტყველი, მართლმადიდებლური სარწმუნოების სიწმიდის დაცვის მოტივით, ადვილად პოულობდა მკრეხელობას იქ, სადაც მას ამის დანახვა უნდოდა (ასე მოიქცა ზაქარია „მიწყალეს“ ანტონისეული თარგმანის მიმართ).

შესანიშნავად ახასიათებს ანტონ კათალიკოსი ზაქარია გაბაშვილის იქვიანსა და მიკერძობებით ხასიათს მისდამი მიწერილ საპასუხო წერილში: „ჯვარცმის ხატი გეთხოვა, ზეთით დახატული. და ეს ქვეყანა ევროპა არის, კინალამ ცხოველთმხატვარნი სულ ურთიერთას მსგავსებით ხატავენ, და რომ გამომეგზავნა, შენ იქვეული შეიქნებოდი, რომ მე დამიხატვინებია ისე მწვალებელთ მსგავსად და ჩემზედ ბოროტის შენგან იქვისა მიზეზი შევიქნებოდი...“¹.

ზაქარიას ყველა საბაბი გააჩნდა თითქოს იმისათვის, რომ ტიმოთე თავის მტრად შეეცნო და „იქვეული თვალი“ გადაეგლო „მიმოსლვისათვის“. ტიმოთესადმი მტრულად განწყობილ კლერიკალურ ბანაკს ზ. გაბაშვილის მეთაურობით არ გაუჭირდებოდა „საექვეო ადგილების“ აღმოჩენა „მიმოსლვაში“.

საფიქრებელია, რომ „მიმოსლვაში“ შოთა რუსთაველის საქრისტიანო მოღვაწეობაზე ყურადღების გამახვილება, მისი ცალმხრივი ობიექტივისტური შეფასება ტიმოთე გაბაშვილს ისევე ჩაეთვალა მკრე-

¹ საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი H—2510, 2 r-v.

ხელობად, როგორც ვახტანგ VI-ს ჩაეთვალა მკრეხელობად „ვეფხისტყაოსნის“ „საღმთო წიგნად“ გამოცხადება.

მხოლოდ ამ ბრალდების გაბათილების სურვილით შეიძლება აიხსნას „მიმოსღვის“ C ავტოგრაფისათვის, მისი საბოლოო გადა-
მუშავებისა და დაწერის შემდეგ, რუსთაველის განმაქიქებელი მინა-
წერის მიწერა. ტიმოთეს მხრივ ეს იყო მტერთან ბრძოლა მტრი-
სავე იარაღით და ამავე დროს თავისი თავის რეაბილიტაცია.

ამ მინაწერით უნდა დაეყუჩებინა ტიმოთეს თავისი „დროის
უფალნი“, ზაქარია გაბაშვილის რეაქციულ-კლერიკალური ჯგუფი,
ამ დროისათვის აღზევებული და ქვეყნის სასულიერო ცხოვრების
წარმმართველი.

ასე გვესახება ჩვენ ისტორია ამ მინაწერისა. ეს მინაწერი კი
იმის ერთადერთი საბუთია, რომ ტიმოთე გაბაშვილს რეაქციული
პოზიცია ეკავა რუსთაველის გარშემო ამტყდარ ბრძოლაში.

ტ. გაბაშვილის „მიმოსღვის“ პირველი გამოცემა

„მოხილუის“ წინასიტყვაობაში პლ. იოსელიანი გვაწვდის ცნო-
ბებს იმ ხელნაწერების შესახებ, რომლებიც მან თავის განოცე-
მას დაუღდა საფუძვლად: „წიგნი ესე, შემოწმებით ორთა სხუათა
ესევეთართა თანავე, დაიბეჭდა თანახმად იმა ძუძლისა დედანისა,
რომელიცა ეპპოვე გარდაწერილი 1787 წელსა თელავის სემინა-
რიის რექტორის დავით ალექსის ძისა ჯელითა“¹. უფრო ვრცლად
ამავე ხელნაწერის შესახებ პლ. იოსელიანი იქვე სქოლიოში წერს.

პლ. იოსელიანს ხელთ ჰქონდა „მოხილუის“ რამდენიმე ხელ-
ნაწერი, ამათგან უძველესი ყოფილა 1787 წელს დავით რექტო-
რის გადაწერილი ნუსხა, რომელიც მას გამოცემის დედნად
გამოუყენებია. ეს ხელნაწერი ნიკოლოზ იოსების-ძე ფალავანდი-
შვილის საკუთრება ყოფილა.

ამავე ხელნაწერის შესახებ პლ. იოსელიანი 1852 წელსვე გა-
მოცემულ იონა გედევანიშვილის „მიმოსღვის“ წინასიტყვაობაშიც
წერს: „თუთ ნამდვლი ჯელწერილი ტიმოთეს მოხილუსა (იხ. წინა-
სიტყუაობა დაბეჭდილისა) ახლავს აწ უგანათლებულესსა კნიაზს მ. ს.
ვორონცოვსა. იგი მიართუა მას თავადმან ნიკოლოზ ფალავანდოვ-
მან, დასაცუავად მისსა წიგნთსაცეში“². აშკარაა, ამ შემთხვევაშიც
პლ. იოსელიანი „მოხილუის“ წინასიტყვაობაში მოხსენებულ და-
ვით რექტორის გადანუსხულ ფალავანდიშვილისეულ ხელნაწერს

¹ მოხილუა, გვ. 7.

² იონა გედევანიშვილი, მიმოსულა, გვ. 7, სტ. 13.

გულისხმობს, რომელსაც ის ამჯერად, გაუგებარი მიზეზების გამო, ტიმოთეს „თუთ ნამდვილ კელწერილს“ უწოდებს. „მიმოსლვის“ ეს ნუსხა ამჟამად დაცულია ლენინგრადში, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილების ქართულ ფონდში (E—13). ის, ნ. ფალაფანდიშვილს, მ. ბროსეს თხოვნით, აკადემიისათვის გაუგზავნია¹.

ტიმოთეს ავტოგრაფთა შესწავლისა და ავტოგრაფთა რედაქციულ თავისებურებათა გარკვევის შემდეგ შესაძლებელია მსჯელობა უფრო კონკრეტულად ტიმოთეს „მიმოსლვის“ პირველ ნაბეჭდ გამოცემაზე და მის ხელნაწერ დედანზე.

დავით რექტორის გადანუსხული ხელნაწერი მისდევს ტიმოთეს „მიმოსლვის“ C ავტოგრაფს, ე. ი. უკანასკნელ რედაქციას.

საფიქრებელია, რომ C ავტოგრაფი დავითის ნუსხის დედანი იყო, ვინაიდან დავით რექტორის ნუსხას გააჩნია ოთხი ქართველი მეფის, პორტაიტის ხატისა და პლატონ-არისტოტელეს სურათები. სურათების ეს კომპლექსი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ C ავტოგრაფს გააჩნია.

მიუხედავად იმისა, რომ პლ. იოსელიანის გამოცემას ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვის“ C ავტოგრაფის პირი უდევს საფუძვლად, ის ამ ავტოგრაფს ზუსტად მაინც არ ასახავს.

განსხვავდება ნაბეჭდი ტექსტი C ავტოგრაფის ტექსტისაგან პირველ რიგში მართლწერით. ტიმოთეს ენისათვის დამახასიათებელი მართლწერისა და გრამატიკული ფორმების სიკრებლე პლ. იოსელიანის გამოცემაში ანტონ I-ის შემოღებული, უფრო სწორად, განახლებული მართლწერის ნორმებით არის შეცვლილი. ავტოგრაფი ჯერ დავით რექტორს უსწორებია გადანუსხვის დროს, ხოლო შემდეგ პლ. იოსელიანს.

მაგრამ, გარდა ორთოგრაფიული სხვაობებისა, ნაბეჭდ ტექსტში შეიმჩნევა როგორც დავით რექტორის უნებლიეთი შეცდომები და სტილისტურ აზრობლივი შესწორებები, ასევე შესწორებები და შეცდომები პლ. იოსელიანისა. ამის ნიმუშადაც მოვიყვანთ რამოდენიმე მაგალითს.

1. ნაბეჭდი გამოცემის შეცდომები, რომლებიც დავით რექტორის ნუსხიდან მომდინარეობენ:

¹ ხელნაწერის ზემო ყდის საცავ ფურცელზე სწერია: „Из книг кн. Н. Павландова, посланных в Академию Наук по просьбе Г. Броссе“.

<p>მიხილვედა, მგვემდა უწყალოდ და სიკვდილსა მექადოდა. გვ. 40.</p>	<p>თსისა მიხილვიდა რა, მგვემდა უწყალოდ და სიქადულსა მექადოდა. 32v.</p>	<p>სა თუსისა მიხილვიდა. რამეთუ მგუშმ-და უწყალოდ და სიქადულსა მექადოდა. გვ. 80.</p>
--	--	--

ამ შემთხვევაში ჯერ დავით რექტორმა ჩაუმატა ტექსტს წადილისა თუსისა, ხოლო შემდეგ პლ. იოსელიანმა რა ნაწილაკი დაქარაგმებულ სიტყვად მიიჩნია და გახსნა რამეთუ-დ. საბოლოოდ ორი რედაქტორის წყალობით ტექსტი საგრძნობლად დასცილდა ავტოგრაფს.

<p>ც ა ვ ტ ო გ რ ა ფ ი ნ უ ს ხ ა</p>	<p>და ვ ი თ რ ე ქ ტ ო რ ი ს</p>	<p>ნ ა ბ ე ქ დ ი ტ ე ქ ს ტ ი</p>
--	---------------------------------	--------------------------------------

<p>ვიხილეთ ძველი ეკლესია ღმთისმეტყველისა იოანესი ესრეთ დაქცეული, მცირედნი სვეტნი-ლა დარჩომილ იყვნეს. გვ. 10.</p>	<p>ვიხილეთ ძველი ეკლესია ღისმეტყველისა იოანესი, ესრეთ მცირედნი, სვეტნი ლა დაშო-მილ იყუნეს. 10 r.</p>	<p>ვიხილეთ ძუშლი ეკლესია ღუთისმეტყველისა იოანესი, ესრეთ მცირედნი, სუშტნი ღია დაშომილ იყუნეს. გვ. 20.</p>
--	--	--

აქაც, ისევე როგორც წინა შემთხვევაში, ნაბეჭდ ტექსტში გადმოვიდა დავით რექტორის ნუსხის შეცდომა (დაქცეულნი-ს დაკლება), ხოლო ამას დაემატა პლ. იოსელიანის დაშვებული შეცდომა: ლა ნაწილაკის ღია-თი შეცვლა. ამ შეცდომების გამო წინადადებას აზრი დაეკარგა.

2. უფრო ხშირია ნაბეჭდ გამოცემაში საკუთრივ პლ. იოსელიანის დაშვებული შეცდომები.

<p>ც ა ვ ტ ო გ რ ა ფ ი ნ უ ს ხ ა</p>	<p>და ვ ი თ რ ე ქ ტ ო რ ი ს</p>	<p>ნ ა ბ ე ქ დ ი ტ ე ქ ს ტ ი</p>
--	---------------------------------	--------------------------------------

<p>რა საკვირველად თლილითა მარმართა აღმართებულ იყვნეს სვეტნი და ზედ კამარანი მოჭრილნი ყვავილებად და ნახებად. გვ. 12.</p>	<p>რა საკვრველად თლილითა მარმართა აღმართებულ იყუნეს სვეტნი და ზედ კამარანი მოჭრილნი ყვავილებად და ნახებად. 11 v.</p>	<p>რა საკვრულად თულითა მარმართა აღმართებულ იყუნეს სუშტნი და ზედ კამარანი მოჭრილნი ყუავილებად და ნახებად. გვ. 24.</p>
---	--	--

ავტოგრაფისა და დავით რექტორის ნუსხის მართებული თ ღ ი -
 ლ ი თ ა მ ა რ მ ა რ ი თ ა შეცვლილია თ უ ა ლ ი თ ა მ ა რ მ ა რ ი თ ა -
 თ ი, რაც აზრობლივად სრულიად გაუმართავია. შეცდომა გამო-
 წვეულია სიტყვის არასწორი წაკითხვით.

ს ა ვ ტ ო გ რ ა ფ ი დ ა ვ ი თ რ ე კ ტ ო რ ი ს ნ ა ბ ე კ დ ი
 ნ უ ს ხ ა ტ ე ქ ს ტ ი

ტაძარი ალუგია აშოთანს მუხრანის ბა- ტონსა, თვითონც შიგ ხატია და ძე მისი იესე თან უხატია. მალალ- მან იმრავალმოწყალე- [ვ]ა ჩემ ზედა და მივრდომა ჩემი ჯერ- იჩინა. გვ. 19.	ტაძარი ალუგია აშოთან მუხრან-ბა- ტონსა, თვითონაც შიგ ხატია და ძე მი- სი იესე თან უხატია. მალალმან იმრავალ- მოწყალევა ჩემ ზედა და მივრდომა ჩემი ჯერ-იჩინა. 16 v.	ტაძარი ალუგია აშოთან მუხრან-ბა- ტონსა. თვითონაც შიგ ხატია და ძე მი- სი იესე თან უხატია მალლა.ამან იმრავალ- იმოწყალევა ჩემ-ზე- და და მივრდომა ჩემი ჯერ იჩინა. გვ. 39.
---	--	--

ნაბეჭდი ტექსტის შეცდომა, ისევე როგორც წინა შემთხვე-
 ვაში, სიტყვის არასწორი წაკითხვითა და ამის გამო წინადადების
 არასწორი გააზრებით არის გამოწვეული. პლ. იოსელიანს მ ა ლ ა -
 მ ა ნ ო რ ს ი ტ ყ ვ ა დ წ ა უ კ ი თ ხ ა ე ს — მ ა ლ ლ ა და ა მ ა ნ . პირველი სიტყვა
 აზრობლივად წინა წინადადებასთან დაუკავშირებია და მიუღია:
 „თვითონც შიგ ხატია და ძე მისი იესე თან უხატია მ ა ლ ლ ა“.
 ხოლო სიტყვის მეორე ნაწილით ა მ ა ნ -ით მეორე წინადადება და-
 იწყო: „ამან იმრავალმოწყალევა ჩემ-ზედა და მივრდომა ჩემი ჯერ
 იჩინა“.

სინამდვილეში, როგორც ამას ავტოგრაფიდან ვგებულობთ,
 აქ ერთი სიტყვაა მ ა ლ ა ლ მ ა ნ , რომლითაც იწყება ახალი აზრი.
 მალალი აქ იხმარება ღმრთის ეპითეტად; ღმერთმა იმრავალმო-
 წყალევა ტიმოთეზე და ახილვინა მას წმინდა ათონი.

ამგვარი წაკითხვა და გაგება მართავს ორივე წინადადებას.
 ხოლო ნაბეჭდი ტექსტის მიხედვით ორივე წინადადება გაუგება-
 რია: სად მ ა ლ ლ ა და უხატვინებია აშოთანს თავისი ძე იესე? ხოლო
 მეორე წინადადების ა მ ა ნ ვის გულისხმობს?

რიგ შემთხვევაში ნაბეჭდ ტექსტში ს ა ვ ტ ო გ რ ა ფ თ ა ნ შედ-
 რებით მთელი წინადადებაა გამოტოვებული.

ნ ა ბ ე კ დ ი

სულნი ჩუშნი (გვ. 15)
 გვწყუშვლა (გვ. 16)
 უნიჯად (გვ. 17)
 ანგანი (გვ. 21)
 სეროებულნი (გვ. 21)
 შულისაგანთა (გვ. 23)
 ოქროცუშბულისანი-(გვ. 24)

ნახუნი (გვ. 24)
 მდინარე (გვ. 26)
 სტრემლეოდის (გვ. 29)
 ძმისა (გვ. 46)
 ქუშმთხოველნი (გვ. 58)
 ბოსჯლიანი (გვ. 62)
 ბოლაისარს (გვ. 103)

და სხვა მრავალი.

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი

სლვანი ჩენი (გვ. 7₂₄)
 გვაწვევდა (გვ. 7₃₈)
 უნიად (გვ. 8₂₃)
 ანძანი (გვ. 11₁₀)
 ხუროებულნი (გვ. 11₁₆)
 შკოლისაგანთა (გვ. 11₃₄)
 ოქროცუტრეებულისანი
 (გვ. 12₃₆)

ნახჩნი (გვ. 12₃₆)
 მდინარი (გვ. 13₃₀)
 სტრემლოოდის (გვ. 16₆)
 ძისა (გვ. 22₂₁)
 ქვემოთხვილნი (გვ. 30₇)
 ბორჯლიანი (გვ. 32₆)
 ბოლაისარს (გვ. 51₂₇)

ყველა ნაკლის მიუხედავად ტ. გაბაშვილის „მოხილვის“ პლ. იოსელიანისეული გამოცემა საუკუნეზე მეტია ემსახურება ქართულ მეცნიერებასა და მკითხველთა ფართო წრეს.

„მიმოსლვის“ არაავტოგრაფული ხელნაწერები

„მიმოსლვის“ ავტოგრაფებს გარდა, ჩვენამდე დიდი რაოდენობით მოაღწია „მიმოსლვის“ არაავტოგრაფულმა ხელნაწერებმა. ამ ნუსხების უმრავლესობა დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა საცავებში. ორი ნუსხა ინახება საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში და ორი ნუსხა—ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში.

არაავტოგრაფული ხელნაწერებიც საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ისინი ნაწილდებიან ავტოგრაფების ირგვლივ და ქმნიან ორ რედაქციულ ჯგუფს.

„მიმოსლვის“ A რედაქციის ტექსტმა მხოლოდ ავტოგრაფული ხელნაწერის სახით მოაღწია ჩვენამდე. ასევე განცალკევებით დგას D ავტოგრაფი. ამდენად, არაავტოგრაფული ხელნაწერები მხოლოდ B და C რედაქციისა არიან.

„მიმოსღვის“ B რედაქციის ჯგუფი წარმოდგენილია ოთხი ხელნაწერთი.

1. G—80. ტიმოთეს ავტოგრაფი, თავნაკლული.

2. H—1014. გადაწერილია 1800—1804 წლებში გრიგოლ დადიანის შეკვეთით. ხელნაწერი ავტოგრაფის ზუსტი პირია. სიზუსტე დაკუთვლია ქართველ მეფეთა სურათებშიც. ხელნაწერის გადმოწერის დროს ავტოგრაფი სრული ყოფილა, ვინაიდან ხელნაწერის ტექსტი არ არის ნაკლული.

3. S—4613. გადაწერილია 1840-იან წლებში ილუმენ ბესარიონის მიერ. ხელნაწერი ზუსტად მისდევს B ავტოგრაფს. ხელნაწერის დაწერის დროისათვის B ავტოგრაფი თავნაკლული ყოფილა. ხელნაწერის ტექსტი ისეთნაირადვე იწყება, როგორც B ავტოგრაფისა.

4. ქუთაისის ისტ. მუზ. ხელნაწ. № 48. ხელნაწერი წარმოადგენს B ავტოგრაფის ტიპის ტიმოთეს თხზულებათა კრებულს, რომელიც „მიმოსღვით“ იწყება.

არაავტოგრაფულ ხელნაწერთა უმრავლესობა C რედაქციისაა.

1. S—3244. C რედაქციის ავტოგრაფი.

2. E—13. საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთ-მცრდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილების ხელნაწერი, დავით რექტორის მიერ 1787 წელს გადაწერილი. ხელნაწერი საფუძვლად დაედვა „მოხილუის“ პლ. იოსელიანისეულ გამოცემას.

3. ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერი № 415. დაწერილია 1788 წლის ქვირნიშნიან ქალალღზე.

ორივე ხელნაწერი ზუსტად გასდევს ავტოგრაფს.

ამავე რედაქციის სხვა არაავტოგრაფულ ხელნაწერებში შემიმჩნევა ტექსტებზე რედაქტორ-გადამწერების მუშაობის მეტ-ნაკლები კვალი, რის გამოც ამ ხელნაწერებში შეიძლება C რედაქციის რამდენიმე ქვეჯგუფი გამოეყო.

პირველი ქვეჯგუფის ხელნაწერები: H—2107, S—36, S—3679, S—3680. ოთხივე ხელნაწერი გადაწერილია XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ამ ქვეჯგუფის ხელნაწერების თავისებურებაა:

ა. „მიმოსღვის“ ტექსტის კიდევებზე მიწერილია ტექსტში მოყვანილი თარიღები, გეოგრაფიული პუნქტები და სიტყვათა განმარტებები. გადამწერთა მიერ სქოლიოებში შეტანილია ისტორიული ხასიათის დამატებითი ცნობები და შენიშვნები. ზოგიერთ შემთხვევაში პარალელური მასალაა მოტანილი იონა მროვლის „მიმოსღვისა“ და რადზივილის „მოგზაურობის“ ტექსტებიდან.

ბ. „მიმოსღვის“ ტექსტში დამატებით მასალად ჩართულია: „აქა მოვიხსენოთ ძველთა ქართველთა მთარგმნელთათჳსცა, წმიდათა მამათა და მეცნიერთა, რომელთაცა გარდმოიღეს ელინურიდამ სრულიად სამლოთო წერილნი და საეკლესიონი წიგნნი“¹.

გ. C ავტოგრაფის კიდებზე გაკეთებული მინაწერები, მათ შორის მინაწერი შოთა რუსთაველის ბოროტი მელექსეობის შესახებ, კავებში ჩასმით შეტანილია ძირითად ტექსტში.

C რედაქციის მეორე ქვეჯგუფად გამოიყოფა შემდეგი ხელნაწერები: H—507, H—330, A—1045.

მეორე ქვეჯგუფის თავისებურებაა:

ა. ტექსტიდან ამოღებულია მაკარი მეგვიპტელის „სწავლანი“.

ბ. შ. რუსთაველის ტიმოთესეული კვალიფიკაცია ტექსტში უადგილოდ და უაზროდ არის შეტანილი. ჯერ სწერია რუსთაველის შეფასება, ხოლო შემდეგ ცნობა ჯვარის მონასტერში მისი მოღვაწეობის შესახებ: „და განსწმიდეს ეკლესია და საფლავი უფლისა და გოლგოთა, და მონასტერნი დაეპყრათ ქართველთა ორმოცდარვაწელი. ეს იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ქართველთა სიწმიდისა წილ ბილწება აწვია და განჰრყუნა ქრისტიანობა.“ ხოლო უწინარეს ჩვენსა უმეცართა სამლოთოდ ჰსთარგმნეს ბოროტი ლექსი მისი—აღწერა ქალისათვის ვისმე: თვალიმელნისა, პირი ბროლისა, ღაწვი ძოწისა, და ამის გამო დედანი საქართველოსანი ხატად ღმთისა შექმნილსა სახისა წილ ფერადთა წამალთა იცხებენ და მიცუალებულთასა თმათა მოიბმენ. საფეხედ სულთა. კვალად ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათის ქვით სვეტნი განუახლებიათ და დაუხატვინებია შოთას რუსთაველს, მეჭურქელეთუხუცესს. თვითონაც შიგა ხატია მოხუცებული“².

ამგვარად, „მიმოსღვის“ C რედაქციის II ქვეჯგუფის ტიმოთესეული შენიშვნა დაუკავშირებელი რჩება როგორც წინა, ასევე მომდევნო ფაქტებთან. ამ ჯგუფის ხელნაწერებს ერთი დედანი უდევთ საფუძვლად. ეს დედანი კი გადმოწერილია ხელნაწერიდან, სადაც ტიმოთესეული შენიშვნა რუსთაველზე კიდევბა მიწერილი და ამ მინაწერის ტექსტში ჩართვის ადგილი სწორად არ არის მითითებული³.

¹ H—2107 (გვ. 225), S—36 (39v), S—3679 (51 r), S—3680, (51r).

² H—507, 58 r-v

³ „მიმოსღვის“ C ავტოგრაფის ტექსტშიც მინაწერის ჩართვის ადგილო არ არის სწორად მითითებული (სურ. 6). ამიტომ, თუ გადამწერი მექანიკურად, აზრის მსვლელობის გაუთვალისწინებლად შეიტანდა მინაწერს ტექსტში, შეცდომას ვერ ასცდებოდა.

„მიმოსღვის“ C რედაქციის შესამე ქვეჯგუფში ერთიანდება S—90 და H—221 ხელნაწერები. ამ ჯგუფის თავისებურებაა:

ა. ტექსტიდან ამოღებულია მაკარი მეგვიპტელის „სწავლანი“.

ბ. ტექსტიდან ამოღებულია რუსთაველის ტიმოთესელი შეფასება („მთქმელი ლექსთა ბოროტთა“).

„მიმოსღვის“ მეოთხე ქვეჯგუფში ერთიანდება H—2306 და H—2582 ხელნაწერები. ხელნაწერი H—2852 პირია H—2306-ისა. ეს უკანასკნელი დაწერილია 1813 წლის თარიღიან ქალალზე. ამ ჯგუფის თავისებურებაა:

ა. ხელნაწერები შეიცავენ მხოლოდ იერუსალიმის ქართულ სიძველეთა აღწერას. ტექსტი იწყება შემდეგნაირად: „უკეთუ გნებავსთ ცნობა, თუ ქართველნი ვითარ იპყრობდენ იერუსალიმსა, ესრეთ ვპოვენით წერილთა შინა ძველთა და არხივთა შინა იერუსალიმის პატრიარხისა“¹. ამ ხელნაწერის გადამწერ-რედაქტორს, ჩანს, მხოლოდ იერუსალიმში ქართველთა მოღვაწეობის საკითხები აინტერესებდა. მაგრამ იმისათვის, რომ ეს ტექსტი „მიმოსღვისაგან“ მოწყვეტილი არ ყოფილიყო და მისი ავტორიც გამოჩენილიყო, რედაქტორ-გადამწერმა მას პატარა შესავალი წარუძღვარა: „წარვემართე მოხილვად წმინდათა ადგილთა სად და² ცხოველს მყოფელსა ქრისტესსაფლავს იერუსალიმს მე მდაბალი მიტროპოლიტი და მთავარეპისკოპოსი ტიმოთე სამთავროსი და გორისა, და მოვიხილე ქრისტეს საფლავი, და სხვანი ქრისტეს ვნებისა ადგილნი და წმინდათა მონასტერთა შენობანი და განვეკირდი დიდად ესრეთსა მალალსა და ბრწყინვალესა შემკობილებასა, და ვიხილე წერილნიცა, რომელიმე ქვასა ზედა და რომელიმე რკინასა ზედა დაწერილი ქართულად საქართველოს ზეფეთაგან, რომელთაცა ჰქონებიათ დაპყრობილი“³.

ბ. ტიმოთეს შენიშვნა რუსთაველზე არც ამ ხელნაწერების ტექსტშია შეტანილი.

არაავტოგრაფულ ხელნაწერთა თავისებურებას თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება დავასკვნათ: თუ ჩვენამდე მოღწეულ „მიმოსღვის“ ავტოგრაფებში აისახა ტიმოთეს მუშაობის რამდენიმე ეტაპი, არაავტოგრაფული ხელნაწერების ძირითად სხვაობებში გამოჩნდა მკითხველ-გადამწერთა დამოკიდებულება და ინტერესი „მიმოსღვისადმი“ როგორც ისტორიულ-ლიტერატურული დოკუმენტისადმი, ერთი შეხედვით შემთხვევითი სხვაობები, თითქმის ყოველთვის,

¹ H—2306, 25r.

² სად და (ასეა!).

³ იქვე.

გარკვეული თვალსაზრისით, ძეგლისადმი წაყენებული გარკვეული მოთხოვნილებით არის შეპირობებული. ასე მაგ., „მიმოსღვის“ C რედაქციის პირველი ქვეჯგუფის ხელნაწერები, რომლებიც რუსეთშია გადაწერილი, გარკვეული მიზნით არის შევსებული. ტექსტის ათვისების გასაადვილებლად და ტიმოთეს მოგზაურობის მარშრუტის თვალსაზრისით კიდევზე მოწერილია ტექსტში დამოწმებული გეოგრაფიული პუნქტები, მოგზაურობის თარიღები და არქაულ სიტყვათა განმარტებები, ხოლო სქოლიოებში მოტანილია ისტორიული ხასიათის დამატებითი ცნობები ტექსტის ისტორიული ნაწილის გაღრმავებისა და შევსების მიზნით. მოვიყვანთ ერთ მაგალითს:

ტიმოთეს „მიმოსღვაში“ მოჰყავს ერთი სასწაულებრივი ამბავი „ქართლის ცხოვრებიდან“: „კვალად მომექსენების წერილი ქართლის ცხოვრებასა შინა, იტყოდის რა, ვითარმედ მეფემან სპარსთამან აწვია ლაშქრად ქართველნი და რაემს ვიდოდეს გზასა სპარსნი ლაშქარნი, ლამესა ერთსა დაკლულ იქნა მეფე სპარსთა. ამისთვის ცილი სწამეს ქართველთა, ვითარმედ მათ ყვესო; და შეიპყრნეს ერთობით ქართველნი და ენებათ წარკვეთა თავთა“¹. ამასთან დაკავშირებით ხელნაწერ H—2107-ის გადამწერი ბაგრატ ბატონიშვილი სქოლიოში შენიშნავს: „ჩალატას ნოინმა. ესე არს სასწაული აღიმუთსა შინა ქმნილი ღვთისმშობლისაგან“². ამგვარად, ბაგრატ ბატონიშვილმა „ქართლის ცხოვრების“ საშუალებითვე დააზუსტა ტიმოთეს მოთხრობილი ამბავი და ტექსტში ისტორიული და ქრონოლოგიური გარკვეულობა შეიტანა.

მეორე შემთხვევაში ბაგრატ ბატონიშვილი ზეპირად გაგონილი ამბით ავსებს და ადასტურებს „მიმოსღვაში“ მოყვანილ ფაქტებს.

ევგენიოს ბრძენთან საუბარში ტიმოთე ცდილობდა გაერკვია, თუ რატომ უწოდებენ ქართველებს „შპანიელებს“: „და კვალად ვკითხვედით: ვითარ და რასათვის ქართველთა შპანია ეწოდების და შპანიელთა ქართველი? ხოლო იგი უძველესისა ბრძნისა ვისმე მელეტოზისა წიგნისაგან აღმოიკითხედა და გვეტყოდა, ვითარმედ ჟამსა ალექსანდრე მაკედონელისასა შპანიელნი მრავალნი მისრულან ქართლად და კვალად ჟამთა ოჯრებასა ქართლისასა ქართველნი მეფე და დიდებულნი წარსრულან შპანიად, და მათნი მეფენი და მთავარნი ნათესავნი არიან ქართველთა, და მდინარესაცა მათსა ქართველთი ეწოდება. ხოლო მე მსმენოდეს ქართლით, ვითარმედ

¹ მიმოსღვა, გვ. 20.

² H—2107, გვ. 44.

ალექსანდრე მაკედონელმან აღიღო ქართლი და მცველნი ფრანგნი განაწესაო ქართლად, და აწ აზნაურნი და ნაშთომნი მუნიტგან არიანო, და შეეწამა ესენი ერთად“¹.

ამ ამბავთან დაკავშირებით ბაგრატ ბატონიშვილი სქოლიოში წერს: „ვითარცა პატრი ფილიპემ ფრანციცმან, პირველმან ექიმმან მამისა ჩემისა მეფის გიორგისამან, მომითხრა მე,—თუშნი მორულნი არიანო ევროპიით, დოსკანიიდან, და ქაფაჩნიცა ლეკნი. ეგრეთვე ვითარცა დღესაცა ჰქვიანო ადგილთა მათ დუსია და კოპაწი, ჩვენს ძველს ისტორიაში ასე სწერიაო. ხოლო ესეცა ემოწმების ამას. მეფის გიორგის ძე ბაგრატ“². ამგვარად, პატრი ფილიპესაგან ზეპირად მოსმენილი ეს ზღაპრული ამბავი ბაგრატ ბატონიშვილს ტიმოთეს მოტანილი ცნობების გასამაგრებლად მოჰყავს.

აქვე ბაგრატი აწვდის მკითხველს დამატებით ზუსტ ცნობებს ევგენი ბრძნის ვინაობის შესახებ, რომელსაც ტიმოთე როგორც უდიდეს ავტორიტეტს იმოწმებს: „ევლენი არხიერი მე მიხილავს ფრიად მოხუცებული პეტერბურხსა შინა, რომელიცა მოეყუანა იმპერატორიცა ეკატერინას და დაესადგურებინა ალექსანდრე ნევეცკის ლავრასა შინა. იყო რუსთაგან ფრიად პატივ ჰქცემული წელსა 1801, მყოფობასა ჩემსა მუნ. მეფის ძე ბაგრატ“³.

ბაგრატ ბატონიშვილი არ კმაყოფილდება „მიმოსღვის“ მასალის შევსებითა და დაზუსტებით. იგი ტიმოთეს „მიმოსღვას“ ადარებს იოანე გედევანიშვილის ანალოგიურ ნაშრომს („მიმოსვლას“) და ამ გზით ამოწმებს ტიმოთეს მოტანილ ფაქტთა სისწორეს.

ბაგრატ ბატონიშვილს მის მიერ გადაწერილ ხელნაწერში სრულიად გარეშე მასალაც შეუტანია: „აქა მოვიხსენოთ ძველთა მთარგმნელთათჳსცა წმიდათა მამათა და მეცნიერთა, რომელთაცა გარდმოიღეს ელინურიდამ სრულიად სამღთო წერილნი და საეკლესიონი წიგნნი“⁴. მთარგმნელთა ეს კატალოგი ჩართულია „მი-

¹ მიმოსღვა, გვ. 50.

² H—2107, გვ. 124.

³ იქვე, გვ. 84.

⁴ იქვე, გვ. 225. უძველესი ხელნაწერი, რომელშიც შესულია ამ კატალოგის გამარტივებული ვარიანტი, არის ვახუშტის ხელით 1750 წელს გადაწერილი და, საფიქრებელია, მის მიერვე შედგენილი კრებული (S—108). კატალოგი გვხვდება აგრეთვე ხელნაწერებში A—1580 და A—1767. ეს კატალოგი, როგორც ჩანს, ადრეც უნდა ყოფილიყო ცნობილი (იხ. ე. მეტრეველი, XI ს. ორიგინალური ჰიმნოგრაფიის იტორიისათვის: პუშკინის სახელობის პედ. ინსტიტუტის შრომები, IX, გვ. 194). კატალოგი გამოსცა ა. ცაგარელმა (იხ. Сведения I, вып. III, გვ. 267).

მოსლვის“ ტექსტის იმ ადგილას, სადაც ავტორი ჯვრის მონასტრის კედლებზე გამოსახულ ქართველ მოღვაწეებს ჩამოთვლის. ამ მოღვაწეთაგან ზოგი „მთარგმნელთა კატალოგშიც“ არის მოხსენებული. ამგვარად, ბაგრატ ბატონიშვილმა მთარგმნელთა კატალოგის ჩართვითაც „მიმოსლვა“ ახალი წერილობითი ცნობებით გაამდიდრა.

საინტერესო შენიშვნები და ცნობები აქვთ დართული S—3679 და S—3680 ხელნაწერებს. ორივე ხელნაწერი ერთი პირის გადაწერილი უნდა იყოს XIX ს. პირველ ნახევარში¹. საფიქრებელია, კომენტარიები და შენიშვნები გადამწერსვე ეკუთვნოდეს². გადამწერს, გარდა ქართული წყაროებისა, ხელნაწერების სქოლიოებში მოჰყავს ცნობები მისთვის ხელმისაწვდომი რუსული წყაროებიდანაც. განსაკუთრებით ვრცელი ამონაწერებია მოტანილი რადზივილის მოგზაურობიდან. „მიმოსლვის“ იმ ნაწილთან დაკავშირებით, სადაც მოთხრობილია, „თუ ქართველნი ვითარ იპყრობდნენ იერუსალიმს“. სქოლიოში რუსულად სწერია: «Сие подтверждают и иностранные путешественники ко св. местам прежде и после преосв. Тимофея, между прочим князь Радзивилл, бывший там в 1583-м году. Смотри путешествие его, напеч. СПб. 1787-м году. А из новейших напеч. СПб. 1835» (S—3679. 46r).

ხელნაწერის გადამწერ-რედაქტორს რადზივილის წიგნიდან მრავალი სხვა საინტერესო ცნობაც ამოუღია. მაგ., გიორგი ქართველთა მეფის მიერ იერუსალიმის განთავისუფლება და ჯილდოდ გოლგოთას ნაწილის მიღება; გადმოცემები ჯვრის მონასტრის ადგილისა და აშენების ისტორიიდან; ცნობა, რომ რადზივილის იერუსალიმში ყოფნის დროისათვის ქართული მონასტრებისა და ქონების დიდი ნაწილი მიტაცებული ჰქონდათ ბერძნებსა და სომხებს და სხვ.

¹ S—3679 და S—3680 ხელნაწერების ქალაღდის დამათარიღებელი ჰვირნიშანი 1828 წელი.

² ხელნაწერები ნ. ჩუბინაშვილის გადაწერილი უნდა იყოს. მასვე უნდა ეკუთვნოდეს მრავალრიცხოვანი სქოლიოები და შენიშვნები. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი: ხელნაწერთა გადამწერი ქართულ სიძველეთა შესწავლით მეტად დაინტერესებული ჩანს; ჰმავე დროს მან ზედმიწევნით იცის რუსული ენა. ამ ორ მოთხოვნილებას ერთდროულად აკმაყოფილებს ნ. ჩუბინაშვილი. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ არსებობს პირდაპირი ცნობა, რომ ნ. ჩუბინაშვილს თავისი ხელით გადაუწერია ტიმოთეს „მიმოსლვა“ და ეს ხელნაწერი თავის სხვა წიგნებთან ერთად 1837 წელს პეტერბურგიდან წამოსვლის წინ დ. ჩუბინაშვილისათვის დაუტოვებია (იხ. Список книг, оставленных Н. Д. Чубиновым у своего племянника Д. И. Чубинова в 1837 г. при отъезде своем из С.-Петербурга в Тифлис: Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, вып. III, გვ. 31).

ამ შემთხვევაშიც გადამწერ-რედაქტორი მოტანილი ცნობებით არა მარტო ადასტურებდა, არამედ ავსებდა კიდევ პირველწყაროებით ტიმოთეს მოწოდებულ მასალას.

ამგვარად, ბაგრატ ბატონიშვილი და ნ. ჩუბინაშვილი „მიმოსლვის“ განიხილავენ, როგორც საქართველოს ისტორიის მდიდარსა და სანდო ცნობების შემცველ ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის დოკუმენტს, და ცდილობენ თავის მხრით შეაესონ იგი მათთვის ხელმისაწვდომი ახალი მასალებით.

იერუსალიმის ქართული ცენტრები და იქ დაცული ქართული სიძველეები, როგორც ჩანს, საგანგებოდ იპყრობდა ქართველთა ყურადღებას. ქრისტიანულ აღმოსავლეთში ქართველთა კოლონიზაციას დიდ ადგილს უთმობს „ქართლის ცხოვრება“ და სხვა ქართული ისტორიული წყაროებიც. ამ საგანგებო ინტერესზე მიუთითებს აგრეთვე ტიმოთეს ხელნაწერთა IV ქვეჯგუფი, სადაც იერუსალიმის სიძველეთა მოხილვა და აღწერა „მიმოსლვიდან“ დამოუკიდებელ წიგნადაა გამოყოფილი.

„მიმოსლვის“ იმ ნაწილს, სადაც ტიმოთე აჯამებს ქართველთა მოღვაწეობას იერუსალიმში, C ავტოგრაფსა და აქედან მომდინარე სხვა ხელნაწერებში, შემდეგი სათაური აქვს: „უკეთუ გენებოს ცნობად, თუ ქართუელნი ვითარ იპყრობენ იერუსალიმს, ესრეთ ეპოვენით მუნ წერილთა შინა“. ტექსტის სხვა ადგილებშიც ტიმოთე არა ერთგზის აღნიშნავს, რომ ის ამ მასალისათვის იერუსალიმში მოპოვებული წერილობითი და ზეპირი ცნობებით სარგებლობდა. IV ქვეჯგუფის ხელნაწერთა რედაქტორს გამოუყვია რაცაღკე ეს ნაწილი, ნებითად შედგენილ შესავალში წერილობით წყაროებზე საგანგებოდ გაუმახვილებია ყურადღება: „...და მოვიხილე ქრისტეს საფლავი და სხვანი ქრისტეს ვნებისა ადგილნი და წმიდათა მონასტერთა შენობანი და განვეკირდი დიდად ესრეთსა მალალსა და ბრწყინვალესა შემკობილებასა, და ვიხილე წერილნი ცა, რომელნი მ'ე ქვასა ზედა და რომელნი მ'ე რკინასა ზედა და წერილი ქართულად საქართველოს მეფეთაგან, რომელთაცა ჰქონებიათ დაპყრობილი.

უკეთუ გენბავსთ ცნობა, თუ ქართველნი ვითარ იპყრობდენ იერუსალიმსა, ესრეთ ეპოვენით წერილთა შინა ძველთა და არხიეთა შინა იერუსალიმისა პატრიარხისა“¹. ამგვარად, C რედაქციის IV ქვეჯგუფის ტექსტის რედაქტორიც „მიმოსლვის“ ამ ნაწილს სანდო ისტორიულ პირველწყაროდ წარმოადგენს.

¹ H—2306, 25 r.

შეტად საინტერესოა სხვაობები „მიმოსღვის“ ხელნაწერების იმ ნაწილში, სადაც მოთავსებულია ტიმოთე გაბაშვილის გამკილავი ხასიათის მინაწერი შოთა რუსთაველზე. როგორც ჩანს, რუსთაველის ტიმოთესეული კვალიფიკაცია სხვადასხვაგვარად აღიქმეს და შეაფასეს ხელნაწერთა გადამწერ-რედაქტორებმა: „მიმოსღვის“ C რედაქციის I ქვეჯგუფში ტიმოთეს მინაწერი რუსთაველის შესახებ კავებში ჩასმით ტექსტშია შეტანილი, ხოლო C რედაქციის II ქვეჯგუფში მინაწერი უადგილოდ და გაუაზრებლად არის შეტანილი, რის გამოც რუსთაველს მოცილებული ეს შენიშვნა კარგავს თავის მნიშვნელობასა და აზრს.

C რედაქციის III და IV ქვეჯგუფის ხელნაწერებში ეს მინაწერი სულ არ არის შეტანილი. ამ მინაწერის შეუტანლობას გადამწერის დაუდევრობით ვერ ავხსნით, ვინაიდან ეს მოვლენა ხელნაწერთა მთელი ჯგუფისათვის არის დამახასიათებელი. აშკარაა, რომ ხელნაწერში შეუტანლობა ამ შეფასების გაუზიარებლობით არის გამოწვეული. ეს უნდა იყოს რუსთაველის „შემგინებელთა“ წინააღმდეგ პროტესტის გარკვეული ფორმა.

ამავე თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ჩვენ მიერ ჩუბინაშვილისეულად მიჩნეული „მიმოსღვის“ ნუსხა (S—3679). ამ ხელნაწერში, როგორც აღვნიშნეთ, ცნობა რუსთაველის ბოროტი მელექსეობის შესახებ კავებში ჩასმით ძირითად ტექსტშია შეტანილი. მაგრამ ამ ადგილისათვის ხელნაწერის გადამწერ-რედაქტორს თავისი მხრით მიუწერია: „ეს შოთას წიგნში არ არის, არამედ რუსუდანიანშია“ (46v).

რედაქტორული ჩაღხის შედეგად უნდა იყოს ამოღებული „მიმოსღვის“ ზოგიერთი ნუსხიდან მაკარი ზეგვიპტელის „სწავლანიც“. ჩანს, ზოგიერთ გადამწერს მიუჩნევია, რომ ხელოვნურად ჩართული „სწავლანი“ არღვევდა „მიმოსღვის“ კომპოზიციას, რის გამოც აღარ შეუტანია ტექსტში.

ამგვარად, როგორც დავინახეთ, „მიმოსღვის“ არაავტოგრაფული ხელნაწერების ტექსტებში რედაქციული ხასიათის სხვაობანი შემთხვევითი ხასიათისა არ არის. ისინი ასახავენ გადამწერ-რედაქტორთა თვალსაზრისს „მიმოსღვის“ მრავალფეროვან მასალაზე.

II

ტიმოთე კაბაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა

1

ტიმოთე კაბაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა საგანგებო შესწავლის საგანი დღემდე არ ყოფილა. არ დაწერილა მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია. ამის გამო არ იყო ბოლომდე გარკვეული მისი როლი XVIII საუკუნის საზოგადოებრივი აზროვნების, მეცნიერებისა თუ ლიტერატურის განვითარებაში. არ გააჩნდა ტიმოთე კაბაშვილს თავისი გარკვეული ადგილი XVIII საუკუნის ქართველ მოღვაწეთა შესანიშნავ პლეადაში.

ჩვენ შევეცადეთ ჩვენი მიზნებისა და შესაძლებლობის ფარგლებში წარმოგვედგინა ტიმოთე კაბაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სურათი, მისი საზოგადოებრივი სახე, რათა უფრო სრული ყოფილიყო მისი ლიტერატურული პროდუქციის — „მიმოსღვის“ — შეფასება.

პირველი ქართველი მოღვაწე, რომელიც შეეხო ტიმოთეს ცხოვრებასა და მოღვაწეობას, იოანე ბატონიშვილი იყო. მის „მცირე უწყებაში ქართველ მწერალთათვის“ გვითხულობთ: „ტიმოთე ეპისკოპოსი ერისთავთ გვარისა, თავადი, კაცი მეცნიერი, წარვიდა ტფილისიდან და მივიდა სტანბოლს. სულთანმან კარგად მიიღო და უბოძა თხოვისაებრ მისისა ფარმანი მოსალოცველად წმიდათა ადგილთა. და ესე წარვიდა მუნით და მოილოცა იერუსალიმი და გარემოს მისა წმინდანი ადგილნი. და მივიდა ათონის მთასა შინა და მუნცა მოილოცნა წმინდანი მონასტერნი. და სადაცა რაჲ იხილა, ყოველივე აღწერა კეთილად და მშვენიერად, რომელსა უწოდა წიგნსა მას „ტიმოთიანი“. და სხვანიცა სწავლანი შესძინა წიგნსა მას შინა. და კვალად მოვიდავე ქართლსა შინა და კეთილისა ცხოვრებითა განვლო წელნი თვისნი“¹.

¹ იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, 1948, გვ. 196.

იოანე ბატონიშვილის ცნობებიდან სანდოა მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც „მიმოსლვიდან“ არის ამოკრეფილი. საეკეკოა და საფუძველი არ უჩანს დანარჩენებს, კერძოდ, იმას, რომ ტიმოთე ერისთავთა გვარისა იყო და, რომ, მოგზაურობის შემდეგ ქართლს დაბრუნებულმა, აქ, „ქართლსა შინა და კეთილისა ცხოვრებითა განვლო წელნი თვისნი“.

ტიმოთე გაბაშვილის ბიოგრაფიის დაწერის პირველი ცდა პლატონ იოსელიანს ეკუთვნის¹. მაგრამ ეს ბიოგრაფიული ნარკვევი ლარბისა და, მრავალ შემთხვევაში, არაზუსტ ცნობებზეა აგებული.

პლ. იოსელიანის შემდეგ ტ. გაბაშვილის ბიოგრაფიის ფაქტური მხარე ბევრით არაფრით გამდიდრებულა.

საგანგებო შესწავლის საგანი არც ტიმოთე გაბაშვილის შემოქმედება ყოფილა. ტიმოთე გაბაშვილის თხზულების მოკლე მეცნიერული ანალიზი და შეფასება აკად. კ. კეკელიძეს ეკუთვნის².

ჩვენ ხელთ არსებული აქამდე ცნობილისა და უცნობი მასალების საფუძველზე ტიმოთეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის სრული სურათის აღდგენა ვერ ხერხდება. მისი ცხოვრების ზოგიერთი მხარე დღესაც ბუნდოვანია. არ ვიცით, თუ რომელ წელს დაიბადა ტიმოთე, რა გარემოში აღიზარდა და ვისგან განისწავლა.

აკად. კ. კეკელიძის ვარაუდით ტიმოთე ქართლის აზნაურთა იმ შტოს ეკუთვნოდა, რომლიდანაც ზაქარია და ბესარიონ გაბაშვილები გამოვიდნენ³.

ალ. ხახანაშვილის ცნობით ტიმოთე გაბაშვილი ბესარიონ კათალიკოზის მოწაფე იყო⁴. ამის თაობაზე წერილობით წყაროებში რაიმე მითითებას ვერ მივაგენით. ჩვენთვის ცნობილი მასალების მიხედვით შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ იმერეთში წასვლამდე ტიმოთე მოღვაწეობდა კახეთში და, შესაძლოა, დავით გარეჯის უდაბნოში, ე. ი. იქ, სადაც 1729 წლამდე ბერად იყო აღკვეცილი და სამწერლო მოღვაწეობას ეწეოდა ბესარიონ ორბელიშვილი. ამას ადასტურებს ტიმოთეს ხელით გადაწერილი ბესარიონ ორბელიშვილის „გრდემლი“⁵.

¹ მოხილუა წმინდათა და სხუთთა აღმოსავლეთისა ადგილთა ტიმოთესაგან, 1852, გვ. 5 — 8.

² კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I³, გვ. 328.

³ იქვე, ტ. II², გვ. 546.

⁴ А. Х а х а н о в, Очерки по истории Грузии, словесности, т. III, гв. 301.

⁵ Ф. Ж о р д а н и я, Описание рукописей Тифлисского Церковного Музея, № 1, № 119.

ამ ხელნაწერის უკანასკნელ გვერდზე, ტექსტის ბოლოს, ხე-
ული ნუსხურიტ სწერია: „უფალო, მოიხსენე მამა ბესარიონ, მთქმელი
ვრდემლისა ამის, მწვალებელთა მიმართ მშრომელი. ტიმოთე“
(გვ. 360). ხელნაწერი ტიმოთეს გადაუწერია ბესარიონის მამობას,
ე. ი. 1730 წლამდე, ვინაიდან ამ წელს აკურთხეს ბესარიონი კათა-
ლიკოზად¹. ამავე დროს ხელნაწერი იოანე ნათლისმცემლის მონას-
ტრის საკუთრება ყოფილა², საფიქრებელია, ამავე მონასტრის
კედლებში მოღვაწეობდა ხელნაწერის გადაწერიც. ამგვარად, მინა-
წერები შეიძლება გამოდგეს იმის საბუთად, რომ იმერეთში წა-
სვლამდე ტიმოთე ბესარიონ ორბელიშვილთან ერთად მოღვაწეობდა
იოანე ნათლისმცემლის მონასტერში.

30-იანი წლების დამდეგს ტიმოთე იმერეთში გადავიდა, სა-
დაც ის ქუთათელ მთავარეპისკოპოსად აკურთხეს. ამ წლებში იმე-
რეთში მომძლავრებული ოსმალეთი მეტად ავიწროებდა როგორც
ცენტრალურ ხელისუფლებას, ასევე ხალხსა და ეკლესიას. განსა-
კუთრებით ემტერებოდნენ ოსმალები ეკლესიას. იმერეთში ჩასულ
ტიმოთეს ქუთათლის საეპისკოპოსო ტაძარიც გუმბათმოქცეული
და „უწირველ-ულოცველი“ დახვდა. ბუნებრივია, რომ კათალი-
კოსთან ერთად ქუთათელი მთავარეპისკოპოსიც აქტიურად ჩაებ-
მოდა სახელმწიფოებრივსა და საეკლესიო საქმეებში. ამ ასპარეზ-
ზე მოღვაწეობით ტიმოთემ მალე იმერთა მეფის ალექსანდრე V-ის
ნდობა დაიმსახურა.

ისტორიულ დოკუმენტებში ტიმოთე ჩანს 1737 წლიდან, ე. ი.
იმ დროიდან, როდესაც ქუთათელი მთავარეპისკოპოზი ტიმოთე
იმერეთის მეფემ ალექსანდრე V-მ რუსეთში დიპლომატიურ ელჩად
გააგზავნა.

• XVIII საუკუნის, დამდეგიდან დასავლეთ საქართველოში
ოსმალთა გაძლიერება სახიფათო³ ხდებოდა.

„1723 წელს ოსმალებმა ფოთი დაიპყრეს, აქ ფაშა დასვეს
და ზღვის სანაპიროს მმართველად დანიშნეს. დაანგრის ძველი
რუხის ციხე და ანაკრიის ციხე ააშენეს. ოსმალთა ხელში იყო
ამავე დროს ბათომი, ციხისძირი, სოხუმი... ციხეები ტყვისმყიდველ-
თა ბუნაგად გადაქცეულიყო. ციხისა და მის გარშემო მდებარე
სოფლების მოსახლეობა თანდათან მაჰმადიანდებოდა. ოსმალები ამ

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I², გვ. 326.

² ხელნაწერის პირველი გვერზე XVIII საუკუნის მხედრული ხელით წარწე-
რილია „მრავალმთის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოას“.

ციხეებიდან ადვილად ერეოდნენ ფეოდალების ურთიერთობაში და ქვეყნის საბოლოოდ დასაპყრობად თანდათან გზას იკვლევდნენ¹.

დასავლეთ საქართველოში შექმნილი მდგომარეობის გამო, ჯერ კიდევ 1724 წელს, იმის შემდეგ, რაც ვახტანგ VI-მ თავისი ამალით დატოვა საქართველო, ხოლო უპატრონოდ დარჩენილ ქართლ-კახეთის საშეფოსაც ოსმალები დაეპატრონნენ, ალექსანდრე V-მ წერილი გააგზავნა პეტრე პირველთან, სადაც ის რუსეთის იმპერატორს იმერეთის მდგომარეობას აცნობდა და შევლას თხოვდა: „1726 году капитан поручик Дадриан сообщил Коллегии иностранных дел запоздалое письмо, от 1-го июля 1724 года, полученное им от имеретинского царя Александра, который жаловался на сиротство свое, после отъезда своего благодетеля, дяди, картадинского царя, уехавшего в Россию по повелению государя; просил жалования и печать, для доставления под оную грамот в Россию; упоминал о поручении, данном им митрополиту тифлисскому, касательно донесения посредством Дадриана о настоящем положении имеретинцев, мингрельцев, гурийцев, духовенство, шляхтичей, черпи, пребывающих в Кутаисе; ходатайствовал помощи государя, для водворения тишины в тамошнем крае, и даже посещения его величества тех стран, утверждая, что высочайшее присутствие будет иметь самое благодетельное действие; уведомлял о построении турками крепостей в Гегуте, Цуцхвате, Анакопии и других местах, и городов в Поти, Гурии, Чакви и Батуме, и о возможности построить еще таковые, если им в том не воспрепятствуют; он заключал известием о пленении и обращении многих христиан в магометанскую веру турками“².

მაგრამ ამ ელჩობას, როგორც ჩანს, შედეგი არ გამოუღია.

რუსეთთან დაახლოების პირველ ნაბიჯს მოჰყვა მეორე უფრო გაბედული.

ამჯერად ალექსანდრე იმერთა მეფე მარტო არ მოქმედებდამას მოკავშირედ ჰყავდა შანშე ქსნის ერისთავი, ქართლში ნადირ-შაჰის წინააღმდეგ აჯანყების ერთ-ერთი მესვეური.

1730—35 წწ. ირან-თურქეთის ბრძოლაში ქართველები ირანს მიემხრნენ და ქართლ-კახეთიდან ოსმალები განდევნეს. „ირანის ბატონობა მათ უფრო ნაკლებ ბოროტებად მიაჩნდათ, ვიდრე ოსმა-

¹ ბ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1946, გვ. 389.

² Переписка на иностранных языках груз. царей с российскими государями, СПб, 1861, гв. LXXX — LXXXI.

ლობა. მაგრამ ნადირ-შაჰმა ქართლ-კახეთში ირანული გადასახადები და ყიზილბაშური წყობილება შემოიღო. ეს არა ნაკლებ მძიმე გამოდგა, ვიდრე ოსმალთა იყო. მაშინვე ქართლსა და კახეთში აჯანყებები დაიწყო¹. ქართლის აჯანყებას სხვებთან ერთად შანშე ქსნის ერისთავიც მეთაურობდა.

1737 წელს აჯანყებულთა წინააღმდეგ ნადირ-შაჰმა თავისი ძმა იბრეიმ-ხანი და აზერბაიჯანის ლაშქარი გამოგზავნა. „აჯანყების მეთაურებმა დატოვეს ქართლი. შანშე იმერეთს გაიქცა. აქ მან იმერეთის მეფე ალექსანდრესთან ერთად ერან-ოსმალეთის მონობისაგან განთავისუფლების ფართო გეგმა დააწყო“². როგორც ქართლი, ასევე იმერეთი რუსეთის მთავრობაზე აპყარებდნენ მთელ იმედებს. „შანშე რუსეთს გაემგზავრა. მან თან წაიღო ქართლის თავადების ხელმოწერით საერთო თხოვნა. შანშესთან ერთად რუსეთს გაემგზავრა იმერეთის მეფის ელჩი ტიმოთეც. ქართლის თავადები რუს-ხელმწიფისაგან ბაქარს ითხოვდნენ; ალექსანდრე მეფე იმპერატორის ლაშქარს იმერეთში ოსმალთა წინააღმდეგ მოუწოდებდა“³.

1738 წლის მარტის პირველ რიცხვებში ტიმოთე და შანშე ჩავიდნენ მოსკოვს (შანშეს 36 კაცი ჰყავდა მხლებლად⁴. ასევე მხლებლებით იყო ტიმოთეც). შანშეს თამამ პოლიტიკურ გეგმებს რუსეთის მთავრობამ მხარი არ დაუჭირა და ირანთან ურთიერთობის გაფუჭების შიშით მოსთხოვა მას სასწრაფოდ დაეტოვებინა რუსეთი და დაბრუნებულიყო საქართველოში იმ გზითვე, რა გზითაც მოვიდა⁵. ტიმოთემ კი ანა იოვანეს ასულს წარუდგინა ალექსანდრე იმერთა მეფის გაგზავნილი რუკა და წერილი. წერილში ალექსანდრე მეფე აცნობდა რუსეთის იმპერატორს დასავლეთ საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ მდგომარეობას, მის ბუნებრივ საზღვრებს, და, ბოლოს, დასავლეთ საქართველოს ოსმალთაგან განთავისუფლების გეგმას სახავდა: „ჩვენა ზღვის გზები და მათი ნავთ-საყუდლები და თათართ ციხეები დაგვიხატავს და გვიახლებია, ან რაც ჩვენ ქვეყანაში ქანია, ვეცხლისა, თუ ოქროსი, თუ სხვისა მრავალ-

¹ ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1946. გვ. 375.

² ნ. ბერძენიშვილი, XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1944, ნაკვეთი 1, გვ. 195.

³ იქვე, გვ. 195 — 196, იხ. აგრეთვე, Грux. дела, 1738, № 1. პირები და-ცულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

⁴ Грux. дела, 1738, № 1.

⁵ იქვე, ფ. 61.

ფერის კალისა, სპილენძისა, ტყვიისა, რკინისა. სამრიგი ჰაშნიკი მომირთმევეა“¹. წერილის ამ ნაწილის შემდეგ, რომელიც დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეებით რუსეთის დაინტერესებას გულისხმობდა, ალექსანდრე გადადის ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის აღწერასა და იმ ახალი პერსპექტივების მოხაზვაზე, რომლებიც მას რუსეთ-ოსმალეთის ომთან დაკავშირებით ესახებოდა: „ჩვენის ქვეყნის საქმეც ასე მოგვიხსენებია, რომ ჰეროდოტეობა ხელმწიფისა შავს ზღვაზედ განმრავლდა შეწვევითა ღმერთთა. რუსულს ნავს არ ძალუძს იმერეთში მოაწიოს ზღვის პირსა აფხაზეთისა და ოდიშის დაუმარცხებლად, სადაც ციხენი არიან ანაკოფიისა, რომელიც ცარიელი არის, იქილამ სოხუმის ნავთ-საყუდელზედ, რომელი ჩვენი სამკვიდროა, აწ თათარნი მპყრობელობენ. იქ იქნება 100 კაცი და მცირე ჯაბახანა. ანაკლიას ციხე, რომელიც სოხუმის ფაშის ხელქვეითი არის, ჯარი არაფერი არ არის, აგების ათიოდ კაცი იყოს, ჯაბახანაც მაგდონი არ არის. ფოთის ციხე, რომელსაც 1723 უკან მპყრობელობენ, არის შიგ ფაშა და ორასამდინ კაცი, ჯაბახანა მომცრო, 50 დიდი თოფი ძევს. იმას ახლო მოსაშველებელი ჯარი არსადა ჰყავს. ახლა მოსაშველებლად ჯარი არსადა ჰყავს, აგრეთვე იმერეთში შემოსვლა თათართა ჰკუაში არა აქვსთ. თუმცა ნაპირისა ადგილები უჭირავსთ, იმერეთში ვერ შემოვლენ, იმისთვის რომ ყოვლის კუთხით მაგარია და გზები ავი არის“².

როგორც ჩანს, მარტო ამით არ ამოიწურებოდა ალექსანდრე მეფის სამხედრო-სტრატეგიული ცნობები, რომელთაც ის აწვდიდა რუსეთის მთავრობას. გარდა ზემოთ მოყვანილი წერილისა, ჩანს, უფრო ვრცელი დოკუმენტიც ყოფილა, რომელიც ფ. პლოენს თავის გამოკვლევაში გამოუყენებია: „Сии крепости³ и город, от коего есть дорога к первым, по свидетельству царя имеретинского, не имея возможности получить сухим путем провианта, могут доставать оный морем; но паши эти не имеют благоразумия на всякий случай запастись провиантом. Имеретия окруженная высокими горами, не должна опасаться соседственных народов; за сими горами есть еще город Ахалших, имеющий двух-бунчужного пашу, и от которого идет дорога в

¹ Переписка, გვ. 225.

² იქვე, გვ. 225 — 226.

³ იგულისხმება ანაკლიის, სოხუმის, ფოთისა და ანაკოპიის ციხეები.

Имеретию, трудная летом, непроходимая зимой. Кроме же сего города, близ Имеретии никаких турецких городов и крепостей нет; во внутренности же оной еще находится несколько турецких крепостей, о коих, вместе с другими делами, Александр приказал митрополиту донести словесно, сам же старался подтвердить возможность прибытия российских войск в Имеретию, доказательствами: он представлял как легко не допустить подкрепления от города Поти в крепости, если турки захотят послать туда таковые, и остановить войско их, хотя и многочисленное, в узком проходе от Ахалцыха до Имеретии“¹.

ალექსანდრე მეფის წერილის ბოლოს მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ელჩობის მიზანი: „ალექსანდრე ჰსთხოვს: დიდმან კელმწიფემ ახლანდელს კეთილნიკიანს დროს გამოისტუმროს რუსის განსწავლული ჯარი ოცი ათასი და ჯაბახანა, და ჩვენის საბრძანებელის ჯარით კელქვეშ მივცეთ დიდებულს კელმწიფეს. ამას დიდის სასოებით მოველით კელმწიფის ჯარით“².

თავის მხრივ ტიმოთე გაბაშვილიც თხოვნით მიმართავდა სახელმწიფო კანცლერს, რათა ალექსანდრე მეფეს „ძველი ულუფა უბოძონ, რომელიც რომ ძველითგან ჰქონებია“³. ამას გარდა ტიმოთე ალექსანდრე მეფის დავალებით დამატებით ცნობებს აწვდიდა რუსეთის მთავრობას დასავლეთ საქართველოს შესახებ და აფართოებდა იმ სამხედრო გეგმებს, რომლებიც ალექსანდრე მეფის წერილში იყო ჩამოყალიბებული: „По мнению Тимофея от завоевания сих крепостей, не требующего великих трудов, можно перейти будет в Анатолию, так же легко покорить оную, и потом, заключить мирный трактат, которым утвердить Имеретию в подданстве России“⁴.

ალექსანდრე მეფე და ტიმოთე გაბაშვილი ამ ელჩობაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. ისინი მოელოდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ რუსეთის საომარი მოქმედებების გაფართოებას და დასავლეთ საქართველოს ოსმალთა ძალადობისაგან განთავისუფლებას. მათი აზრით საამისოდ სწორედ ხელსაყრელი პირობები იყო (ივულისხმება რუ-

¹ Переписка, გვ. XC.

² იქვე, გვ. 226.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. XC.

სეთის ჯარის საომარი წარმატებები ყირიმის ფრონტზე), საკირო-
იყო მხოლოდ მომენტის დროული გამოყენება.

ტიმოთე გაბაშვილზე დაკისრებული მისია რთული და პასუხ-
საგები იყო. ტიმოთეს რუსეთის მთავრობისათვის უნდა გაეცნო-
ოსმალეთის წინააღმდეგ მიმართული, იმერეთის მეფის სამხედრო-
სტრატეგიული გეგმები, რომლებითაც იმერთა მეფე თავისი ხალხის
ბედს რუსეთის ხალხს უკავშირებდა.

ცხადია, ამ მისიის განსახორციელებლად სახელმწიფო ელჩს
მარტო ქუთათელ-მიტროპოლიტობა ვერაფერს უშველიდა. აქ სა-
კირო იყო ადამიანი, რომელიც გაწაფული იქნებოდა როგორც პო-
ლიტიკასა და დიპლომატიაში, ასევე სამხედრო საქმეშიც. ასეთ-
პირად იმერეთის სამეფო კარზე ტიმოთე გაბაშვილი მიუჩნევიათ.

ტიმოთე გაბაშვილი რომ მასზე დაკისრებული მისიისათვის
კარგად შერჩეული კანდიდატი იყო, ამას ერთი საინტერესო ფაქ-
ტიც მოწმობს: როგორც ირკვევა, ტიმოთე გაბაშვილი ალექსანდრე-
მეფის მიერ რუსეთის მთავრობისადმი გაგზავნილი სამხედრო რუ-
კის მარტო ექსპლიკატორი კი არ ყოფილა, არამედ ავტორიც. ¹

2

ვინაიდან 1737 წლის რუკის ხასიათს, მისი შედგენის წესსა და
მანერას დიდი მნიშვნელობა აქვს რუკის ავტორის ძიებისა და
დადგენისათვის, ამიტომ, სანამ უშუალოდ ავტორობის საკითხზე
გადავიდოდეთ, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ რუკის რაობაზე
შევიჩერდეთ.

იმერეთის 1737 წლის რუკა, რომელიც ამჟამად მოსკოვის
სამხედრო ისტორიულ არქივშია დაცული, დიდი ხანია, ცნობილია
სამეცნიერო ლიტერატურაში¹, მიუხედავად ამისა, რუკა საგანგებო

¹ გასული საუკუნის დამდეგს მოგზაურ გამბას ამ რუკის პირი პარიზის
სახლავო დეპარტამენტში უნახავს. რუკის ჰიდროგრაფიული სქემა და მნიშვნელო-
ვანი პუნქტები წარწერებითურთ გამბამ გამოაქვეყნა თავის მოგზაურობაში (*Voy-
age dans la Russie Méridionale, .. fait depuis 1820 jusqu' en 1824, par le
chevalier Gamba, consul du roi à Tiflis, ტ. I, 1826, გვ. 340*).

რუკა შეუმჩნეველი არც აკად. მარი ბროსეს დარჩენია. მან იგი ნახა პეტერ-
ბურგის ტაპოგრაფიულ დეპარტამენტში პეტრე დიდის დროინდელი რუკების
კოლექციაში. მ. ბროსემ გამოაქვეყნა რუკის მოკლე აღწერილობა, მნიშვნელოვანი
მინაწერები და გამოთქვა სწორი მონახრება რუკის თარიღის შესახებ. (იხ. *M.
B r o s s e t, Nouvelles recherches sur l' historien Wakhoucht, sur le roi Art-
chil et sa famille, et sur divers personnages géorgiens, enterrés a Moscou.*

შესწავლის საგანი ბოლო დრომდე არ ყოფილა¹. რუკა თავისი და-
ნიშნულების მიხედვით დიდმაშტაბიანი სამხედრო რუკაა². იგი
შედგენილია, როგორც გამოარკვია აკად. მ. ბროსემ, 1737 წელს³.
მისი ზომაა: 184 X 78 სმ; შესრულებულია ფერებით. შედგენილია
უპროექციოდ: რუკის „საყრდენი ბადის როლს ასრულებს ჰიდრო-
გრაფიული ქსელი, რომლის საშუალებითაც ამგვემავს შექმლო რა-
მდენადმე მართებულად გადაეტანა ქალაქზე ადგილმდებარე-
ობის ყველა ელემენტი მათი ურთიერთგანლაგებისა და შეფარ-
დებითი მანძილის დაცვით“⁴.

რუკაზე რელიეფურად არის გამოხატული მთები და მცენარე-
ული საფარი. თითოეულ მთასა და ხეს რუკაზე თავისი ადგილი
და სივრცე უკავია. ციხე-სინაგოგები, სრა-პალატები და ეკლესია-
მონასტრები რუკაზე აღნიშნულია არა პირობითი ნიშნებით, არა-
მედ ნახატებითა და გეგმებით (სურ. 9 — 10), მაგრამ ვინაიდან
მეორეხარისხოვანი ობიექტები სტერეოტიპული ან მსგავსი ნახა-
ტებითა და გეგმებით არის გადმოცემული, ამიტომ ეს ნახატები
ერთგვარად პირობითობას იძენენ. ნაგებობათა ნახატებსა და გეგ-
მებში ავტორი ცდილობს დაიცვას ობიექტის არა მარტო გარეგნუ-
ლი მხარე, არამედ მდებარეობაც, რასაც სამხედრო რუკისათვის
განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ციხის მდებარეობა
ხშირად განსაზღვრავს ციხის დაცვისა თუ ალების საშუალებებს.

რუკის სამხედრო დანიშნულების გამო ავტორის ყურადღების
ცენტრშია დასავლეთ საქართველოს ციხე-სინაგოგები. ავტორს
რუკაზე გადმოულია სხვადასხვა სიდიდისა და მნიშვნელობის არა

Bulletin des sciences historiques, philologiques et politiques de l' Acad.
Imp. de sciences de St. Pétersbourg, 1859, ტ. XVI, გვ. 164 — 165).

იმერეთის რუკას გაკვირთ შეეხნენ პროფ. ალ. ცაგარელი და აკად. ივ.
ჯავახიშვილი. ორივე მკვლევარი რუკას შეცდომით 1732 წლით ათარიღებდა
(იხ. Новые материалы для жизнеописания деятельности С. Д. Бурнашева,
бывшего в Грузии с 1778 по 1787 год, под редакцией проф. А. Шагаре-
я II, გვ. III, სქოლიო, და ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, 1919,
გვ. 4 — 5).

¹ ი. მათურელი, იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ის რუკა: ქუთაისის
ბედ. ინსტიტუტის შრომები, 1949.

² დასავლეთ საქართველოს რუკის ფოტოაირი (ნატურალური ზომისა) და-
ცულია საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში (ფ. კ. № 164).

³ M. Brosset, დასახ. ნაშრომი, გვ. 164.

⁴ ი. მათურელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 213. რუკის ტექნიკური აღწერი-
ლათვის იხ. იმავე ნაშრომის 207-ე გვ.

მართო ციხე-სიმაგრეები, არამედ სადაზვერვო კოშკებიც, რომლებიც რაქისა და აფხაზეთის რამდენიმე მდინარის ნაპირებზე ყოფილ- ჩამწკრივებული.

საინტერესოა, რომ შავი ზღვის ციხეები, რომელთა უმრავლესობა ოსმალთა ხელში იყო, რუკაზე გეგმებით არის წარმოდგენილი (სურ. 10), იმ დროს, როდესაც სხვა ციხე-სიმაგრეების მხოლოდ-სურათებია. სანაპირო ციხეების ამგვარი გამორჩევა სამხედრო რუკაზე სრულიად გამართლებული და მიზანშეწონილი იყო, ვინაიდან ამ ციხეებში იყო თავმოყრილი ოსმალთა მთავარი სამხედრო ძალები. ეს ციხეები იყო მათი საყრდენი პუნქტები დასავლეთ საქართველოში, ამიტომ მათი ზუსტი გეგმები, მდებარეობისა და შეიარაღების ცოდნა აუცილებელი იყო იმ გეგმების განსახორციელებლად, რომელთაც სთავაზობდა ალექსანდრე V რუსეთის იმპერატორს:


რუკაზე ციხეებს მიწერილი აქვთ სამხედრო მნიშვნელობის ცნობები: ვის ხელშია ციხე, როგორ არის იგი გამაგრებული (რამდენი იანიჩარი დგას შიგ) და რამდენი დიდი თოფით არის იგი დაცული. გარდა ამისა, უდგება თუ არა ციხეს სანაოსნო გზები და რა სახის ტრანსპორტით შეიძლება მასთან მისვლა: „შორაპანი თათარმა დაიჭირა. ყასაბა. ასი კაცი“. „საქილაოს ნავი ამ ყვირილის წყლით შორაპანამდის, [ცი]ხემდის ამოვა“, — ვკითხულობთ რუკის წარწერებში.

„ვარდის ციხე და [სა]სახლე. ვერცხლის ლითონი, დიად, კარგი და რკინის ქანი მრავალი. ახლად აღშენებული მეფის ალექსანდრესაგან. აქამდის მოდიდო ნავი ამოვა ღერძის“.


„ქუთაისის ციხე. თათარნი დგანან. ხუთასი კაცი დგას“. „ქ. ფოთის ციხე ქართულად. ძველად ქალაქიც ყოფილა. ფასუს ქვიან. ორი თუღიანი ფაშა ზის. 1723 ქკს ააშენეს თათართა. ორმოცდაათი თოფი ძეს დიდი, ორასი კაცი დგას“.

რუკაზე ფოთის ციხის გეგმაა მოცემული. ციხეს გააჩნია ოთხი კარი. დასავლეთის კარს, რომელიც ზღვისაკენ იყურება, აწერია „სტანბოლის კარი“, ხოლო აღმოსავლეთის კარს — „საქართველოს კარი“, ამავე დროს აღნიშნულია, რომ „ამ ციხეს ზეით ხომალდი შემოვა“, და მითითებულია რიონზე ადგილი, სადამდისაც „ფოთიდან ზარბაზნიანი ნავი მოვა“¹.

¹ რუკის ზოგიერთი მინაწერი ცუდად იკითხება და ბოლომდე გასაგები არ არის.



სურ. 9. ტიმოთეს მიერ შედგენილი იმერეთის ტუკის ერთი ნაწილი (გელათის კომპლექსი)



სურ. 10. ტიმოთეუს მიერ შედგენილი იმეფეთის რეჯის ერთი ნაწილი (სახეუმის ციხე)

„ანაკლიის ციხე თათართ უჭირავს. სოხუმის მყოფთ ხელ-
ქვეშეთა ათი კაცი დგა“.

„სოხუმის ციხე, ქართულად აყუ ქვიან. ორთულიანი ფაშა
ზის. 1723 ამ ქკს ააშენეს თათართ. სამოცი თოფი ძეს დიდი,
ასი კაცი“.

„სულჯახის ციხე, თათართ ააშენეს. არის მის ჟამის ქრისტეს
აქეთი 1723. ორთულიანი ფაშა ზის“.

„ანაკოფიის ციხე. ციხე ცარიელი არის. ნავთსაყუდელი“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარდა ციხე-სიმაგრეებისა, რუ-
კაზე აღნიშნულია ქალაქები, ცალკეული საერო ნაგებობები და
საკულტო ტაძრები. ქალაქები რუკაზე გამოსახულია ეკლესიისა და
რამოდენიმე საერო ნაგებობათა კომპლექსით. ქალაქის სიდიდეს
ავტორი გამოხატავს ნაგებობათა რაოდენობით და იმ ფართობით,
რომელიც უჭირავს ქალაქს რუკაზე. ასე, მაგ., ქუთაისს რუკაზე
უკავია ბევრად უფრო დიდი ფართობი, ვინემ ხონს. ხონს კი უფრო
დიდი, ვინემ ზუგდიდს და სხვ. მცირე ზომის დასახლებული პუნ-
ქტები რუკაზე ერთი შენობით არის გამოხატული (იხ. ონი, ღები,
ქობულეთი).

რუკაზე ფორმათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა საერო
ნაგებობები: მიქელაძეთა სასახლე, (სამიქელაოში), ფაღავათა სასა-
ხლე ბანძაში, ხუნწის სასახლე და სხვ. რუკის ავტორი, როგორც
ჩანს, ცდილობდა თავის ნახატებში მიახლოებით დაეცვა შენობათა
ნიშანდობლივი არქიტექტურული ფორმები. ასე მაგ., ავტორი
ცდილა საგანგებოდ გადმოეცა გეგუთის ციხე-დარბაზის დარბაზოვა-
ნი გადახურვა. გარდა ამისა, გეგუთის ციხე-დარბაზი რუკაზე ორ-
სართულიანია, ასეთი ყოფილა ის სინამდვილეშიც, როგორც ეს გა-
მოარკვია ამ უკანასკნელ ხანებში გეგუთში წარმოებულმა გათხ-
რებმა¹.

საინტერესოა ქუთაისის სასახლის კამარებიანი და სვეტები-
ანი წინხედი. ამავე სასახლესთან დაკავშირებით ავტორს შეუძინე-
ველი არ დარჩენია სასახლის ეზოს კედლები, რომელთა შესახებაც
ვახუშტი წერდა: „აქა არს სასახლე მეფეთაგან, დიდ-შენი შვენიერად,
რიონსა ზედა წაკიდებული. ასპარეზი მოზღუდული ვარჯად ქან-
დრით“².

¹ ვ ც ი ნ ც ა ძ ე, გეგუთის „ციხე-დარბაზი“: ქართული ხელოვნების ისტო-
რიის ინსტიტუტის IX სამეცნიერო სესია, თეზისები, 1955, გვ. 10.

² ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 157.

შეცდომა იქნებოდა სამხედრო რუკის ავტორისათვის მოგვე-
თხოვა, რომ მას აზომვის შედეგად ნაგებობათა ზუსტი გეგმები და
წინხედები დაეტანა რუკაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გეგმების
სახით რუკაზე მხოლოდ განსაკუთრებული სამხედრო მნიშვნელო-
ბის ნაგებობებია წარმოდგენილი და ეს გეგმებიც, რა თქმა უნდა,
შორს არის სიზუსტისაგან, ვინაიდან მათ ტოპოგრაფიული აზომვა
არ უდევს საფუძვლად. რაც შეეხება ნაგებობათა ნახატებს, აქ ავ-
ტორი უფრო ნაკლებ არის შეზღუდული სიზუსტის დაცვის აუცი-
ლებლობით, ვინემ ამას ადგილი ექნებოდა სამხედრო მნიშვნელო-
ბის ობიექტების გეგმების შედგენის დროს. ამიტომ ამ შემთხვევა-
ში ავტორი ცდილობს ნაგებობის მხოლოდ ნიშანდობლივი არქი-
ტექტურული თავისებურება დაიჭიროს და ამით გამოარჩიოს იგი
სხვა ნაგებობისაგან.

ვინაიდან საქართველოს გვიანფეოდალური ხანის საერო ნაგე-
ბობებმა ჩვენამდე მცირე რაოდენობითა და მეტად დაზიანებული
სახით მოაღწია, ამიტომ დასავლეთ საქართველოს რუკის ამ ნახა-
ტებს ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის თვალსაზრისით
გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება.

ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის თვალსაზრისით არ
არის ინტერესს მოკლებული რუკაზე დიდი რაოდენობით წარმო-
დგენილი სხვადასხვა სახის საკულტო ნაგებობანიც.

1. უგუმბათო ერთნაიანი ეკლესია (სალხინო, როკითი, აჯა-
მეთი, ღვანკითი).

2. უგუმბათო ერთნაიანი გალაენიანი ეკლესია (ნუნისი).

3. გუმბათიანი მცირე ზომის ეკლესია-მონასტრები (კაცხის
მაცხოვრის ეკლესია, დრანდისა და მოქვის ეკლესიები, წალენჯი-
ხის მონასტერი, ბედიის სამიტროპოლიტო ტაძარი, ხონის წმ.
გიორგის საყდარი და სხვ.).

4. გუმბათიანი დიდი ზომის ტაძრები (ქუთათლის საწიტრო-
პოლიტო ტაძარი, ბიჭვინთის საკათალიკოსო ტაძარი).

5. სამონასტრო ანსამბლები (გაენათის არქიტექტურული
კომპლექსი).

რუკაზე წარმოდგენილი საკულტო ტაძრების დიდი მრავალ-
ფეროვნება, რა თქმა უნდა, ნახატის ორიგინალთან დამსგავსების
სურვილით უნდა აიხსნას. მეორე მხრით, ამას წმინდა მხატვრული
მიზანიც ექნებოდა. ნაგებობათა განსხვავებული სურათებით ავტორი
რუკის მხატვრულ მრავალფეროვნებასაც აღწევდა.

უმდიდრეს მასალას შეიცავს რუკა ისტორიული, ისტორი-
ული გეოგრაფიისა და გეოლოგიის თვალსაზრისითაც. დასავლეთ

საქართველოს რუკის მხოლოდ მრავალმხრივი და სპეციალური შესწავლის შემდეგ შესაძლებელი გახდება მისი ნამდვილი შეფასება. ჩვენთვის კი ამჟამად ამ რუკასთან დაკავშირებით ორი რამ არის საინტერესო:

1. მრავალმხრივი და მდიდარი მასალის შემცველი სამხედრო რუკა მოწმობს, რომ მისი ავტორი ერთნაირად კარგად იყო გაცნობიერებული როგორც გეოგრაფიასა და კარტოგრაფიაში, ისევე ქვეყნის სამხედროსა და პოლიტიკურ საკითხებში.

2. ავტორი სამხედრო რუკაზე მუშაობის დროს არ იფარგლება მარტო კარტოგრაფიული მიზნებით. მას აინტერესებდა და იზიდავდა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებიც. ის მათ უყურებდა არა როგორც ტოპოგრაფი მხოლოდ, არამედ როგორც ხურო და მხატვარიც. ამიტომაც, რომ რუკაზე დატანილია არა მარტო სამხედრო მნიშვნელობის ნაგებობათა გეგმები და სურათები, არამედ ნახატები (ხშირად საკმაოდ დეტალურად დამუშავებული) ისეთი შენობებისა, რომელთაც სამხედრო რუკისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდათ.

3

რუკის შინაარსის გაცნობის შემდეგ, შესაძლებელია დაეუბრუნდეთ რუკის ავტორის საკითხს.

რუკის ავტორი სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი არ არის.

მითითება რუკის ავტორზე არ გვხვდება არც რუკის მრავალრიცხოვან წარწერებში და არც ალექსანდრე V-ისა და ტიმოთე გაბაშვილის დიპლომატიურ წერილებში.

ფრაზა ალექსანდრე V-ის წერილიდან, — „ჩვენა ზღვის გზები და მათი ნავთ-საყუდლები... დაგვიხატავს და გვიახლებია“, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ რუკა თვით ალექსანდრეს შედგენილია. ეს სიტყვები სამეფო პერსონის უფლების გამოხატულებაა მისი შეკვეთით გაკეთებულ რუკაზე. ძნელი წარმოსადგენია, რომ რუკა, რომელიც ძირითადი მარშრუტების დავლითა და ადგილზე მუშაობით უნდა გაკეთებულიყო, თვით ალექსანდრე მეფეს შეედგინა. გარდა ამისა, ჩვენამდე არ მოუღწევია რაიმე ცნობას, რომელიც მიათითებდეს ალექსანდრე V-ის საგანგებო ინტერესსა და მიდრეკილებებზე გეოგრაფიული, კარტოგრაფიული ან რომელიმე სხვა მეცნიერებისადმი.

ცნობას ავტორის შესახებ არც რუკის წარწერები შეიცავენ¹. მთავარი წარწერები, მოთავსებულნი ქუთაისის ციხის ქვეშ, შეიცავენ ცნობებს რუსეთში ელჩობის გაგზავნის შესახებ. ქართული წარწერა გადასულია და რუკის ფოტოპირზე, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ, ცუდად იკითხება. წარწერა დედნის მიხედვით ამოიკითხა და გამოაქვეყნა ი. მათურელმა. როგორც ჩანს, ეს წარწერა არც დედანშია კარგად დაცული, რის გამოც გამოქვეყნებული ტექსტიც ენობრივად და აზრობლივად ბოლომდე გამართული არ ჩანს. წარწერა გვამცნობს: „მეფე მელეთინწყისა ალექსანდრე მართლმადიდებელი, გვირგვინოსანი თანადგომითა² პატრიარქისა (ჩე)ენისა გრიგოლისათა და ყოველთა ერთათა დ(ა)... შითა ქარტასა მელეთინწყისასა მივართმევთ (რუსთა)სა კელმწიფესა იმპერატრიცას ანნას (ასულს) იოანნას კელითა მიტროპოლიტისა ტიმოთესითა“³.

რუსული წარწერა შედარებით უკეთ იკითხება: „Карта к Ея Императорскому Величеству отправлена с митрополитом Тимофеем кутатиским от милитинского царя Александра с согласия патриарха Григория и всех князей“. ამდენად, რუკის ავტორზე პირდაპირი მითითების ძიება ჯერჯერობით ამაო ჩანს. მაგრამ რუკას გააჩნია სხვა მონაცემები, რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ მისი ავტორი ტიმოთე გაბაშვილია.

საგანგებო შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ რუკის მრავალრიცხოვანი წარწერები ტიმოთე გაბაშვილის ხელით არის გაკეთებული. დღეს, როდესაც ტიმოთე გაბაშვილის რამოდენიმე ავტოგრაფული ხელნაწერი გაგვაჩნია, გაადვილებულია მისი ავტოგრაფის შეცნობა და დადგენა. ტიმოთე ორგვარად წერდა. ერთია მისი მსხვილი კალიგრაფიული მხედრული, მეორე კი გაკრული, კუთხოვანი ნაწერი. კალიგრაფიულ წერაზე, როგორც ჩანს, ტიმოთე ბევრდროს არ კარგავდა. ამგვარად წერდა ის მხოლოდ თავისი თხზულებების დასაწყისებს ერთი გვერდის მანძილზე, შემდეგ გადადიოდა

¹ აკად. მ. ბროსეს ცნობით ამ რუკის მეორე მხარეზეც ყოფილა წარწერა, რომელშიც თითქოს ავტორი უნდა ყოფილიყო მოხსენიებული, მაგრამ დაზიანების გამო არ იკითხებოდა: „Carte du pays d'Iméreth, écrite par... envoyée à S. M. Impériale“. მ. ბროსე, დასახ. ნაშრ., გვ. 165.

² ი. მათურელი კითხულობს „დანადგომითა“, იხ. მათურელი, დასახ. ნაშრ. გვ. 211.

³ ი. მათურელი კითხულობს: „ყოველთა მიტროპოლიტის ტიმოთესი“- იქვე, გვ. 211.

გაკრულ ხელზე (შეად. სურ. 3 და 7). რუკის წარწერების უმრავ-
ლესობა, მისი საგანგებო დანიშნულების გამო, კალიგრაფიული ხე-
ლით არის დაწერილი, თუმცა ადგილ-ადგილ რუკაზე ტიმოთეს
გაკრულ ხელსაც ვხვდებით¹.

ძნელი დასაშვებია, რომ სხედასხვა პირი ყოფილიყო რუკის
შემდგენელი და მისი წარწერების გამკეთებელი. ასე შორს შრომის
დიფერენციაცია ფეოდალურ საქართველოში არ მიდიოდა. მაგრამ
ტიმოთეს ავტორობას, რუკის წარწერებთან ერთად, რუკის სხვა
მონაცემებიც ამტკიცებენ.

რუკის ავტორი სასულიერო პირი ჩანს. ავტორი, მიუხედავად
რუკის ვიწრო სამხედრო მნიშვნელობისა, არ კმაყოფილდება მრავალრიცხოვანი ეკლესია-მონასტრების სახელწოდებათა აღნიშვნით.
წარწერებში ხშირად ისიც არის აღნიშნული, თუ რა ხარისხისაა
ესა თუ ის ეკლესია: საკათალიკოზოა, სამიტროპოლიტოა, საე-
პისკოპოსოა თუ უბრალო საყდარია. ყველაზე ვრცელ ცნობებს-
ამ მხრივ ავტორი გვაწვდის ქუთაისის ბაგრატის ტაძრის შესახებ,
ე. ი. ქუთათლის კათედრალური ეკლესიის შესახებ, რომელსაც
თვით ტიმოთე გაბაშვილი, ქუთათელ-მთავარეპისკოპოსი, განაგებდა.
აქ ვკითხულობთ: „ქუთათისის ეკლესია საარქიეპისკოპოსო თათართ
აქესთ უწირავ-ულოცავად. გუმბათიც მოაქციევს“.

რუსული წარწერა ძნელი ამოსაკითხია: „Содорная церковь,
Кутатисис, в котором сидел митрополит Тимофе“.

გარდა ამისა რუკის ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს იმ ტაძ-
რებს, სადაც დაცულია წმიდა რელიკვიები. მაგ.: „შემოქმედი,
ყოვლად წმიდის სარტყელი აქ ძეს ვლაქერნისა“. ანდა „ხოფის
მონასტერი, ყოვლად წმიდის პერანგი აქა ძეს“ და სხვ. ამავე
რელიკვიებს, როგორც უმნიშვნელოვანეს ქართულ სიწმიდეებს,
ტიმოთე ჩამოთვლის მის მიერ დაწერილ ღვთისმშობლის საკითხავ-

¹ დასავლეთ საქართველოს რუკაზე გვხვდება ტიმოთეს ხელისათვის დამა-
ხასიათებელი გადაბმები: და, ლი, ვი, ჩი, თი, რი-სი (იხ. რუკაზე სვიმეონ კანანელის
საფლავის, შემოქმედის მონასტრის, სოხუმის ციხისა და რიონის წარწერები).
გვხვდება აგრეთვე თავისებური დაწერილობის ცალკეული ასოები: თავშეუკვრელი
ხანი, თავქუდიანი ქანი, ჯანი. ტარი და სხვ. (იხ. ზუფის, წალენჯიხის, სუჯახის
ციხის, საჯავახოს წარწერები). რუკის წარწერებისა და ტიმოთეს ავტოგრაფების
მსგავსება განსაკუთრებით ჩანს რუკისა და „მიმოსღვის“ A ავტოგრაფის შედარე-
ბის საფუძველზე, ვინაიდან ეს უკანასკნელი, განსხვავებით სხვა ავტოგრაფული
კრებულებისა და მსგავსად რუკის წარწერებისა, წვრილი ხელით არის დაწე-
რილი.

ში: „რომელმან მცველად და საცხებლად წყაროდ ცხოვრებისად გვანიჲ კვართი შენი საუფლო და უხრწნელისა ქალწულისა სამოსელი და სარტყელი საუნჯედ წარუპარველად მოეც ქვეყანასა ჩვენსა“ (C, 301r).

და ბოლოს, რუკის ავტორი, ისევე როგორც „მიმოსლვისა“, მომცრო ქალაქის აღსანიშნავად ხმარობს ამ დროის მწერლობაში იშვიათად ხმარებულ არაბულ სიტყვას ყასაბას.

ტიმოთეს გეოგრაფიულ-კარტოგრაფიულ მუშაობას საეცებით ეთანხმება მისი სიყვარული მოგზაურობისადმი, ინტერესი ზუსტი მეცნიერებისა¹ და ხუროთმოძღვრებისადმი და მიდრეკილება მხატვრობისადმი.

მოგზაურობის დროს ტიმოთე გულდასმით ათვალეირებდა ახალ ადგილებს, უკვირდებოდა ქალაქების მდებარეობას, ქალაქების ნაგებობებს: ციხეებს, სრა-პალატებს, ეკლესია-მონასტრებს და აღწერდა მათ არა როგორც უბრალო ცნობისმოყვარე მოგზაური, არამედ როგორც ხუროთმოძღვრებითა და მხატვრობით საგანგებოდ დაინტერესებული ადამიანი. განსაკუთრებით ვრცლად აღწერს ტიმოთე ათონის ივერიის მონასტრს (იხ. გვ. 17—18).

ათონის ივერიის მონასტრის აღწერილობას მეტი თვალსაჩინოებისათვის ტიმოთემ მონასტრის გეგმა-სურათიც დაურთო. ეს გეგმა-სურათი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩართულია „მიმოსლვის“ A ავტოგრაფში, რომელიც მხოლოდ ათონზე მოგზაურობას შეიცავს და დაწერილია ტიმოთეს ათონსა და კონსტანტინეპოლში ყოფნის დროს (სურ. 11).

ივერიის სამონასტრო კომპლექსის გეგმა-სურათს, ისევე როგორც რუკას, არ უდევს საფუძვლად ტოპოგრაფიული აზომვა. ეს არის ნატურის ნახატი, სადაც ავტორს გადმოუღია გალავნით შემოზღუდულ ფართობზე სამონასტრო ნაგებობათა განლაგება, შენობათა გარეგნულ თავისებურებათა დაცვით. ეს სურათი, ისევე როგორც იმერეთის რუკის ზოგიერთი ნახატი, პერსპექტივაშია გაკეთებული. სამონასტრო ნაგებობებს გაკეთებული აქვს წარწერები, რითაც აღნიშნულია ტაძართა სახელწოდებები და აღმაშენებლები. წარწერები ტიმოთეს ეკუთვნის. ტიმოთეა გეგმა-სურათის ავ-

¹ მიმოსლვიდან ვგებულობთ, რომ კონსტანტინეპოლში გიორგი ლოლოთუტთან სტუმრობის დროს ტიმოთე მას ფიზიკასა, გეომეტრიასა და ასტრონომიაზე ესაუბრებოდა. ასტრონომია კი, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი დამხმარე დისციპლინა იყო გეოგრაფ-კარტოგრაფებისათვის.

ტორიც. ივერიის მონასტრის გეგმით, ისევე როგორც იმერეთის რუკით, აშკარად ჩანს ავტორის მიდრეკილება მხატვრობისადმი და მისი სურვილი და უნარი ქალაქში გადმოიტანოს ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა გეგმები.

ზემოთქმულის საფუძველზე ვფიქრობთ, აშკარაა, რომ დასავლეთ საქართველოს რუკისა და ივერიის მონასტრის გეგმა-სურათის ავტორი ტიმოთე გაბაშვილია. მაგრამ შეიძლება ამ დასკვნას მაინც სკეპტიკურად შევხედოთ და დაგვებდოს ეჭვი: ხომ არ არის ორივე შემთხვევაში ტიმოთე მხოლოდ წარწერების ავტორი, ხოლო მხატვარ-შემსრულებელი კი ვინმე სხვა? ამგვარი ვარაუდისათვის ერთი შეხედვით საფუძველიც კი არსებობს, ვინაიდან „მიმოსლვის“ B და C რედაქციებში ტიმოთეს ჩაურთავს სხვათა შესრულებული სურათები (ქართველ მეფეთა გამოსახულებები ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობიდან და პლატონისა და არისტოტელის სურათები)¹.

ის გარემოება, რომ „მიმოსლვის“ B და C ავტოგრაფებში ტიმოთე სხვათა მხატვრობას საგანგებოდ გამოჰყოფს, ზედმეტი საბუთია იმისა, რომ A ავტოგრაფის უავტოროდ დატოვებული ერთადერთი გეგმა-სურათი თვით ტიმოთეს ეკუთვნის. ბუნებრივია, ტიმოთე თავის ავტოგრაფში წარწერით არ გამოარჩევდა თავისავე ნამუშავეს, ვინაიდან აქ ყველაფერი მას ეკუთვნოდა. აღნიშვნა და გამოარჩევა იქ გახდა საჭირო, სადაც მის ნაშრომს სხვისიც შეერია, რათა ამ გზით გამიჯნულიყო ტიმოთეს ღვაწლი სხვათა ღვაწლისაგან.

როგორც ჩანს, ტიმოთეს თავი არ მიაჩნდა გაწაფულ მხატვრად. ის კარტოგრაფიულ სამუშაოსთან დაკავშირებით უმთავრესად ნაგებობათა გეგმა-ნახატების ხატვაში დახელოვნებულა, ამიტომაც, რომ მას ივერიის მონასტრის გეგმის დახატვა თვითონ უკისრია, ხოლო იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობის პირები და ბერძენ ფილოსოფოსთა პორტრეტების დახატვა სხვისთვის მიუხდევია.

¹ ჯვრის მონასტრის ფრესკების პირების შესახებ ტიმოთე წერს: „ეს სამნი საქართველოს მეფენი, ვითა ესატნეს, ეგრეთვე აქა დავახატინე“ (B, 104 r). სხვას გადაახატინა ტიმოთემ პლატონისა და არისტოტელეს სურათებიც: „პლატონის ქვეყანას მოუდით ათინას და მისთვის დავახატინეთ აქა დიდთა მათ ფილოსოფოსთა სახენი“. (B—116 r).

ივერიის მონასტრის გეგმა-ნახატისა და დასავლეთ საქართველოს 1737 წლის რუკის ავტორის ხატვის მსგავსი მანერა, ის გარემოება, რომ ორივე (რუკა და გეგმა) ტიმოთე გაბაშვილის მოღვაწეობასთან უმჭიდროესად არის დაკავშირებული და სავსებით უდგება თავისი ხასიათით მისი ინტერესებისა და ცოდნის სფეროს და, ბოლოს ისიც, რომ ივერიის მონასტრის გეგმისა და დასავლეთ საქართველოს რუკის მრავალრიცხოვანი წარწერები ტიმოთეს ხელითაა შესრულებული, ჩვენი ფიქრით, უეჭვოს ხდის, რომ დასავლეთ საქართველოს რუკისა და ივერიის მონასტრის გეგმა-ნახატის ავტორი ტიმოთე გაბაშვილია.

საინტერესოა და ტიმოთესათვის დამახასიათებელი „მიმოსლვაში“ ჯვრის მონასტრის ფრესკების პირების შეტანის ფაქტიც. ტიმოთე პირველი იყო, რომელმაც ათონისა და იერუსალიმის ქართულ სიძველეებს, ხუროთმოძღვრებისა და ფერწერის ნიმუშებს ისტორიკოსისა და მხატვრის თვალით შეხედა და შეეცადა ამ თვალსაზრისით შერჩეული მასალა ხელმისაწვდომი გაეხადა ქართველი მკითხველისათვის. ტიმოთეს მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ პროფ. შ. ამირანაშვილი წერს: „Особое внимание им было обращено на роспись монастыря Святого креста в Иерусалиме; это первое описание памятника грузинской живописи, и к чести автора нужно сказать, что оно довольно подробное и точное“¹. ამავე დროს „მიმოსლვაში“ შეტანილი ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობის პირები პირველი შემთხვევაა ქართული ფერწერის ნიმუშების ფიქსაციისა².

რუკასთან დაკავშირებული ეს ვრცელი მსჯელობა ემსახურებოდა იმის მტკიცებას, რომ ტიმოთე გაბაშვილი დასავლეთ საქართველოს 1737 წლის რუკის ავტორია. მაშასადამე, 1737 წელს იმერეთის სამეფოს დიპლომატიურმა ელჩმა ტიმოთე გაბაშვილმა

¹ Ш. Амيرانашвили, История грузинского искусства, т. I, 1950, გვ. 8.

² იქვე, გვ. 9. პროფ. შ. ამირანაშვილი ფიქრობს, რომ ტიმოთემ ხატვა არ იცოდა (ჯვრის მონასტრის ფრესკების პირები მან სხვას ვადმოალებინა), ამიტომ ამ საქმიანობაში ტიმოთეს მხოლოდ ისტორიული ინტერესი ამოძრავებდა. ზემოთ მოტანილი მასალები მოწმობენ, რომ ტიმოთეს თვითონაც ეხერხებოდა ხატვა და აინტერესებდა ქართული ხუროთმოძღვრებისა და ფერწერის ძეგლები, ამიტომ ფრესკების პირების ვადმოალებინას ტიმოთეს ისტორიულთან ერთად მხატვრული ინტერესიც ამოქმედებდა.

რუსეთის მთავრობას წარუდგინა ალექსანდრე იმერთა მეფის წერილი, დასავლეთ საქართველოს მადანთა ქაშნიკები და მის მიერ შედგენილი დასავლეთ საქართველოს სამხედრო რუკა.

ტიმოთე გაბაშვილის დასავლეთ საქართველოს 1737 წლის რუკა კარტოგრაფიული მეცნიერების განვითარების თვალსაზრისით აშკარად ჩამორჩება ვახუშტი ბაგრატიონის რუკებს¹ და ვახუშტის წინანდროინდელ, უფრო მარტივ საფეხურს ასახავს ქართული კარტოგრაფიის ისტორიაში. ამისდა მიუხედავად რუკას მაინც, თავისი სამხედრო დანიშნულებისა და მდიდარი ისტორიულ-გეოგრაფიული მასალის გამო² თავის დროს უთუოდ დიდი სამხედრო და პოლიტიკური მნიშვნელობა ექნებოდა არა მარტო საქართველოსათვის, არამედ რუსეთისთვისაც.

XVIII საუკუნის დამდეგიდან, პეტრე პირველისა და მისი შემდგომი სახელმწიფოს ნესვეურთა ფართო სახელმწიფოებრივ და სამხედრო-პოლიტიკურ გეგმებთან დაკავშირებით, რუსეთში დიდი ყურადღება მიექცა გეოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალების შეკრებას არა მარტო რუსეთის იმპერიის ვრცელი ტერიტორიის ირგვლივ, არამედ რუსეთის პოლიტიკურსა და ეკონომიურ ინტერესთა სფეროში შემავალ სახელმწიფოთა შესახებაც³.

ამ თვალსაზრისით დასავლეთ საქართველოს სამხედრო რუკა დიდ ინტერესს გამოიწვევდა და სამსახურსაც გაუწევდა რუსეთის პოლიტიკურსა და სამხედრო წრეებს. შემთხვევითი არ არის არც ის,

¹ ვახუშტი ბაგრატიონი და ტიმოთე გაბაშვილი თითქმის ერთდროულად ქმნიდნენ თავის რუკებს.

XVIII საუკუნის დამდეგიდან კარტოგრაფიულმა და გეოგრაფიულმა მეცნიერებამ ქართლში სწრაფად დაიწყო განვითარება. ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანმა ევროპაში გამგზავრების წინ დიპლომატიური მიზნებისათვის შეადგინა და შემდეგ ლუდოვიკო XIV-ის წარუდგინა საქართველოს რუკა. გეოგრაფიული და კარტოგრაფიული მეცნიერებისადმი დიდ დაინტერესებას იჩენდა ვახტანგ VI-ც. ვახტანგ VI-მ საგანგებოდ შეისწავლა ასტროლოგია, თარგმნა ულულბეგი. ანგარიშობდა გეოგრაფიული პუნქტების სიგრძე-სიგანედებს სტროლაბითა და ულულბეგის ცხრილებით. საფიქრებელია, რომ ტიმოთე გაბაშვილი სწორედ ქართლში ყოფნის დროს გაეცნო გეოგრაფიულსა და კარტოგრაფიულ მეცნიერებათა მიღწევებს, აქვე აღეძრა მას ამ მიმართულებით მუშაობის ინტერესი და სურვილი.

² რუკის ისტორიულ-გეოგრაფიული მასალა შეისწავლა უფ. მეცნ. თანამშრ. შ. ბუჩანაძემ («ლიბთ-იმერთის 1737 წლის რუკა, როგორც ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველწყარო», გამოუქვეყნებელი).

³ Д. М. Лебедев, География в России петровского времени, М.—Л, 1950, გვ. 4.

რომ ამ რუკის პირი XVIII საუკუნის ბოლოსათვის საფრანგეთში გაუტანიათ და საზღვაო დეპარტამენტისათვის გადაუციათ¹.

დასავლეთ საქართველოს 1737 წლის რუკა ახალ შუქს ფენს ტიმოთე გაბაშვილის პიროვნებასა და მის წოდებას. გასაგები ხდება, თუ რად დაეკისრა სწორედ ტიმოთეს რუსეთში დიპლომატიური ელჩობის რთული საქმე. მიუხედავად სასულიერო წოდებისა, ტიმოთე აქტიურად იყო ჩაბმული ქვეყნის საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში. იმერეთის სხვა პროგრესულ მოღვაწეებთან ერთად ტიმოთე გაბაშვილი გზებსა და საშუალებებს ეძებდა დასავლეთ საქართველოს თურქთა ბატონობისაგან დასახსნელად ამ მდგომარეობიდან კი ერთი გამოსავალი იყო: რუსეთის მფარველობის ძიება, მასთან კავშირი და რუსეთის ჯარის დახმარებით ოსმალთა გაძევება დასავლეთ საქართველოდან.

ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლისათვის სამზადისი კონსპირატიულად მიმდინარეობდა. ბრძოლის დაწყებისათვის საჭირო იყო დახმარება გარედან. ამ დახმარებას თხოულობდა იმერთა მეფე რუსეთისაგან და უგზავნიდა მას საიდუმლო სამხედრო ცნობებსა და გეგმებს. ტიმოთეს შედგენილი სამხედრო რუკა მოწმობს, რომ ტიმოთეს ხელთ ჰქონდა ცნობები დასავლეთ საქართველოში ოსმალთა სამხედრო ბაზების, სამხედრო საკურველისა და ძალების შესახებ, რომელთაც ის რუკის სახით რუსეთის მთავრობას აწვდიდა. მაგრამ ტიმოთე გაბაშვილის მისია მარტო ამით არ ამოიწურებოდა. ის მშვენივრად იყო გაწაფული საერთაშორისო-პოლიტიკურ საკითხებში, სამხედრო სტრატეგიაში და თავის მხრით გაბედულ სამხედრო-პოლიტიკურ გეგმებს სთავაზობდა რუსეთის მთავრობას.

* * *

1738 წელს იმერეთის მეფის ელჩი ტიმოთე გაბაშვილი საგანგებო საიდუმლო დავალებებით პეტერბურგში ჩავიდა. სინოდის კანცელარიის 1738 წლის 23 მარტის საქმეში ვკითხულობთ: „По донесению Московской Синодального правления канцелярии о прибытии в Москву митрополитов: Грузинского Арсения и Милитинского Тимофея и об отправлении их иностранной кон-

¹ XIX საუკუნის დამდეგს ეს რუკა უკვე მოგზაურმა გამზამ ნახა პარიზის საზღვაო დეპარტამენტში.

торой в С. Петербург. Первый из них, по заявлению пред собранием в Московской Синодальной правления канцелярии, прибыл для прошения о своих нуждах к ея императорскому величеству, а второй—с секретными письмами¹. მაგრამ, გარდა პოლიტიკური მისიისა, ტიმოთეს ალექსანდრე იმერთა მეფისაგან სხვა დავალებაც ჰქონია მიღებული.

ალექსანდრე მეფის დავალებით ტიმოთეს აღუძრავს საქმე გარდაცვლილი ვახტანგ VI-ის ოჯახის წევრების წინააღმდეგ, რომელთაც აბრალებდა ალექსანდრესაგან პეტრე პირველისათვის გაგზავნილი საჩუქრების (ოქროს გვირგვინისა და მარგალიტის მძივის) დაფარვას². ამ საქმეს მეტად უსიამოვნო ხასიათი მიუღია და გაუფუჭებია ვახტანგის ოჯახის წევრებსა და ტიმოთეს შორის დამოკიდებულება, რის გამოც ტიმოთემ ვერ დაამყარა კონტაქტი მოსკოვში მცხოვრებ ქართველებთან, ვახტანგ VI-ის კოლონიის წევრებთან.

პეტერბურგში ჩასულ ტიმოთეს წირვის უფლება მოუთხოვია³. სინოდს ტიმოთეს თხოვნა დაუკმაყოფილებია და მღვდელმსახურებისათვის ანდრია პირველწოდებულის ეკლესია (ვახსილივეის კუნძულზე) მიუჩენია⁴. სინოდის ერთ-ერთი საქმიდან ვგებულობთ, რომ 1739 წელს ტიმოთემ ანდრია პირველწოდებულის ეკლესიაში მღვდლად აკურთხა ველიკიელუკის დიაკვანი ვინმე დოროფეევი⁵.

¹ Описание документов и дел, хранящихся в Архиве святейшего правительствующего Синода, т. XVIII, საქმე №156, 1738 წლის 23 მარტი.

² Груз. дела, 1739 г., апр. 5, № 1. „Дело о привезенных грузинским архиереем Павлом из Имеретии, но не дошедших ко двору: 1. золотой короне, 2. перле крупного жемчуга, оставшихся в доме царя Вахтанга“.

³ „Митрополит Тимофей обратился к св. Синоду с ходатайством о разрешении ему служить литургию и о снабжении его ризницею и певчими“. Описание документов... Синода, т. XVIII, საქმე 156.

⁴ „Согласно распоряжению, составлена справка, из коей видно, что 29 августа 1733 г. выехавшим из Грузии: Роману митрополиту Самтаврйскому и Горийскому и Иосифу, архиепископу Самебельскому (которые тогда обретались в Москве), священнослужению по церковному чиноположению, отправлять позволено, почему и на этот раз служению разрешено просителю а к тому служению, когда оное случится, ризницу и певчих требовать ему, митрополиту, от обретающихся в С. Петербурге преосвященных архиереев, о чем объявлено просителю“, იქვე.

⁵ „Дорофеев... отослан был в С. Петербург к преосвященному Иосифу, архимандриту Юрьева монастыря, и что он, по посвящении в январе 1739 г. митрополитом Кутательским и Геутским (!) Тимофеем в церкви св. Андрея Первозванного на Васильевском острове при указе возвращен в Новгород...“ Описание документов Синода, т. XVIII, №—191.

ტიმოთეს რუსეთში დაყოვნება რუსეთ-ოსმალეთის ომის გახანგრძლივებაში გამოიწვია. ტიმოთეს იმედი ჰქონდა, რომ ომის მსვლელობაში ის რუსეთის მთავრობას იმერეთის ბედით დააინტერესებდა და ზავის დადების დროს რუსეთი თურქეთისაგან იმერეთს შოითხოვდა. მაგრამ, მიუხედავად რუსი ჯარის საომარი წარმატებებისა, განსაკუთრებით ომის დასასრულს, 1739 წლის ბელგრადის ზავი რუსეთისათვის არახელსაყრელი პირობებით დაიდვა¹. ცხადია, ასეთ პირობებში ალექსანდრე V-ის პოლიტიკური და სამხედრო პროექტების განხორციელებაზე ოცნებაც ზედმეტი იყო. ამიტომ ომის დასასრულისათვის დაისვა ტიმოთეს სამშობლოში დაბრუნების საკითხი. მაგრამ საქართველოში დაბრუნება ტიმოთეს არ ეჩქარებოდა. ომის დამთავრების უმაღლვე საქართველოსაკენ გამგზავრება მას სახიფათოდ მიუჩნევია და რუსეთში დარჩენის ნებართვა მოუთხოვია: „В следующем (1739) году, в июле месяце, как сообщил Кабинет его императорского величества, митрополит Тимофей докладывал Кабинету, что ему ныне отсюда возвратиться и в Милитинию проезжать от турок весьма опасно...“².

სამეფო კანცელარიაში შეიწყნარა ტიმოთეს თხოვნა, მას რუსეთში დარჩენის ნება დართო და საცხოვრებელ ადგილად მოსკოვის დონის მონასტერი მიუჩინა: „Ему высочайше разрешено было остаться в Российской империи, жить в Московском Донском монастыре и указано отвести пристойныя кельи, а пищу и прочее к содержанию давать ему против архимандрита“³. მაგრამ ტიმოთეს მოსკოვში ცხოვრება და ისიც დონის მონასტერში, სადაც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ქართველი ემიგრანტები ვახტანგ VI-ის ამალიდან, არ აწყობდა, საფიქრებელია, იმ კონფლიქტის გამო, რომელიც ჩამოვარდა ტიმოთესა და ვახტანგ VI-ის ოჯახის წევრებს შორის ალექსანდრე იმერთა მეფის საჩივრის გამო. ამიტომ დონის მონასტერში ცხოვრებაზე ტიმოთემ კატეგორიული უარი განაცხადა: „св. Синод решил объявить об этом указами и выдать митрополиту Тимофею паспорт до Москвы, но он отказался выслушать объявление, в виду неже-

¹ Новая история стран зарубежного Востока, т. I, под редакцией И. М. Рейснера и Б. К. Рубцова. М., 1952, гл. 61.

² Описание документов Синода, т. XVIII, საქმე № 156.

³ იქვე.

ლაპია ეო ჯიტი ვ დონსომ მონასტრე ი უჟე ვოზბუჟდენშიო ხო-
დათაიშთა ობ ოტპუსკე ვ ოტეჩესტვო ვ მილიტინიუ¹.

სინოდის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ტიმოთემ მეორე
განცხადება შეიტანა: „После получения от митрополита Тимофея
письменного заявления о возвращении его в отечество, согласно
новому определению, сообщено Кабинету, что он, митрополит,
оною ея императорского величества высочайшею милостию
(разрешением жить в Донском монастыре) доволен, однако ж
де по некоторым обстоятельствам (о чем в Коллегию иностран-
ных дел доношение от него подано) в Российской империи пре-
бывание иметь будет ли, неизвестно“².

ამგვარად, ტიმოთემ პირველი თავისი თხოვნა რუსეთში
დარჩენის შესახებ შეცვალა მეორით. მან დონის მონასტერში
ყოფნას სახიფათო მგზავრობა არჩია.

1740 წელს ტიმოთემ რუსეთის მთავრობისაგან მიიღო იმერ-
თა მეფისათვის განკუთვნილი საპასუხო წერილი³, საჩუქრები და
გამომგზავრა პეტერბურგიდან სამშობლოსაკენ.

1740 წ. გაზაფხულზე ტიმოთე პეტერბურგიდან ჯერ მოსკოვ-
ში ჩავიდა და ერთ ხანს იქ დაყოვნდა. პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის
მიკვლევული ერთი დოკუმენტის მიხედვით 1740 წ. აპრილში ტიმო-
თეს მოსკოვში მონაწილეობა მიუღია სომეხთა არქიეპისკოპოზ მი-

¹ Описание документов Синода, т. XVIII, № 156.

² იქვე.

³ წერილის მოკლე შინაარსი გამოქვეყნებული აქვს ფ. პლოენს „1740 г. грузинскому царю ответствовано было, что в настоящее время невозможно исполнить его ревностного желания по причине недавно заключённого мира с Портою оттоманскою; что при изъявлении должной благодарности за присланные им вещи, препровождаются к нему золотая парча, собольи мех и мягкая рухлядь; что касательно жалования, о коем ходатайствует он, Александр, выдать оное невозможно, по случаю великих издержек, причиненных недавно конченною войною и потребных еще на утверждение границ“. Переписка, гл. XС.

სხვათა შორის ამავე წერილში ალექსანდრე მეფეს ატყობინებენ, რომ ვახ-
ტანგის ოჯახის წევრების წინააღმდეგ აღძრული საქმე უსაფუძვლო აღმოჩნდა და
რომ ასეთი ცილისწამება დამამცირებელია ვახტანგის ოჯახისათვის, რის გამოც
ალექსანდრეს თავის გამართლება მართებთ.

ნასის მართლმადიდებლობაში მოქცევის საეკლესიო ცერემონიაში, რომელსაც ადგილი ჰქონია კრემლის მიძინების ტაძარში¹.

ტიმოთეს მოსკოვიდან გამომგზავრების ამბავსა და მის შემდგომ თავგადასავალს ვგებულობთ განცხადებებიდან, რომელთაც ის 1762 წელს ყიზლარში ჩასული უგზავნის ყიზლარის ციხის კომენდანტს, სინოდსა და საგარეო საქმეთა კოლეგიას. ვინაიდან ეს დოკუმენტები ტიმოთეს ცხოვრების ამსახველ საყურადღებო მასალას შეიცავენ, ამიტომ ჩვენ საჭიროდ ვცანით ვრცელი ამონაწერების მოტანა.

1762 წლის 12 თებერვალს ქართლიდან ყიზლარს ჩასული ტიმოთე რუსეთში ცხოვრების ნებართვას თხოულობს, რისთვისაც განცხადებას უგზავნის, პირველ რიგში, ყიზლარის ციხის კომენდანტს და აცნობს მას თავის თავგადასავალს 1737 წელს რუსეთში ელჩად წასვლის დროიდან ყიზლარში ჩასვლამდე:

„В 1737-м году во всероссийской его императорского величества империи от его высочества милитинского царя Александр

¹ ლ. მელიქსეთ-ბეგი, ქუთათელ ტიმოთე გაბაშვილის ბიოგრაფიისათვის: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მრამბე, ტ. 1, № 8: 1940, გვ. 638.

ლ. მელიქსეთ-ბეგის პატარა წერილი, ავტორის მიერ სინოდის არქივში მიკვლეული სინტერესო დოკუმენტის პუბლიკაციის გარდა, შეიცავს სქემატურად გადმოცემულ ტიმოთე გაბაშვილის ბიოგრაფიასაც. ამ შემთხვევაში ავტორი ეყრდნობა პლ. იოსელიანისა და კ. კეკელიძის გამოკვლევებს; მაგრამ ამთგან განსხვავებით გვაწვდის სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე უცნობ ერთ ფაქტს, თითქოს რუსეთში ყოფნის დროს ტიმოთე გაბაშვილს ორი წელიწადი სინოდში ემსახუროს. ამ ცნობების წყაროს ჩვენ ვერსად მივაკვლიეთ. ავტორი კი პლ. იოსელიანისა და კ. კეკელიძის მეტს არავის იმოწმებს. ბოლოს დაერწმუნდით, რომ ეს ცნობა გაუგებრობის შედეგია. ავტორი პლ. იოსელიანის ენას შეუყვანია შეცდომაში. პლ. იოსელიანი „მოხილუის“ წინასიტყვაობაში წერს: „ოდეს, ვითარ და სადა განვლო (ტიმოთემ.—ე. მ.) ხარისხნი მონოხონებისა, არა მსრანს წერილთაგან. მხოლოდ გუწვი ძუშლთა საქმეთაგან უწმინდესისა რუსეთისა სინოდისა, სადაცა განვევლე მე ორი წელი მსახურებისა, რომელ წარგზავნილ იყო იგი იმერეთით რუსეთად 1738 წელსა...“ ჩანს, ამ ადგილზე დაყრდნობით და ამ ადგილის არასწორი გაგების საფუძველზე წერს პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, რომ ტიმოთე ორ წელიწადს მუშაობდა სინოდში. სინამდვილეში კი პლ. იოსელიანი ამას თავის თავზე წერს, რომ ტიმოთეს შესახები დოკუმენტები მას უნახავს სინოდში, სადაც იგი—პლ. იოსელიანი—ორ წელიწადს მუშაობდა. სხვათა შორის პლ. იოსელიანი აქვე სქოლიოში მიუთითებს კიდევ, თუ რომელ წლებში მსახურობდა ის სინოდში (1843—1844 წლებში). ამგვარად, პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის ეს ცნობა გაუგებრობაზე აღმოცენებული.

Георгиевича находился для некоторого дела, а по исполнении, с милостивым ее императорского величества соизволением, в 1740-м г. обратно из свиты моею к его высочеству отправлен, о чем Государственной иностранной коллегии известно. Тогда прибыв в Кизляр, по известной от инородцов в проезде опасности, принужден оставя все и собственной мой экипаж, кроме отправленного со мною от высочайшего его императорского величества двора к его высочеству милитинскому царю письма, отправился с четырьмя моими сужителями в Мелетию, но иноверными противниками христианам на дороге моими людьми пойман и содержался шесть месяцев в их руках. А из людей моих означенными два проданы, а последних оставя у себя, куда употребили неизвестен. А потом, ночным временем ушед, чрез трои суток помощью божескою дошел до уезда Хрейта, откуда врученное мне от двора его императорского величества к его высочеству царю милитинскому уведомля и словесны мне приказания с надежным переслал, а сам несколько время во оном месте прожил и не имея надежного проезде обратно в Россию, поехал ко святому граду Иерусалиму...¹

ამგვარად, ტიმოთესავე ცნობით, ის მოსკოვიდან იმერეთისაკენ 1740 წელს გამოემგზავრა თავისი ოთხი მხლებლით. მას თან მოჰქონდა ალექსანდრე იმერთა მეფესთან ანა იოანეს ასულის წერილი, ზეპირი დავალებები და საჩუქრები. სახიფათო გზის გამო ტიმოთეს მთელი ავლადიღება და საკუთარი ეკიპაჟი ყიზლარში დაუტოვებია და ისე განუგრძია გზა. გზაში ტიმოთე მხლებლებითურთ „ურჯულოებს“ (ჩერქეზებს) ჩაეარდნია ხელში, სადაც მთვე დაუყვია ტყვეობაში, ხოლო შემდეგ ღამით გაპარულა და 3 დღის მგზავრობის შემდეგ ჩასულა ხრეიტას, საიდანაც ალექსანდრე იმერთა მეფისათვის სანდო კაცის ხელით წერილი გაუგზავნია, თვითონ კი რუსეთში დაბრუნება განუზრახავს, მაგრამ ვერ მოუხერხებია და წასულა წმიდა ადგილების მოსახილავად.

ავტობიოგრაფიული ხასიათის ეს განცხადება მეტად საყურადღებო ცნობებს შეიცავს და ავსებს ტიმოთეს ბიოგრაფიის ხარვეზებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ტიმოთე აქ ყველაფერს გულმართლად არ წერს, ზოგიერთ ფაქტს კი განზრახ ამახინჯებს თავისი ახალ

¹ ЦГИАЛ, ფონდი 796, 1762, № 88, 2 წ.

მიზნების შესაბამისად. ასე მაგ.: არ შეეფერება სინამდვილეს ის ცნობა, თითქოს ტიმოთე რუსეთიდან იმერეთში არ დაბრუნებულა, და არც ის, თითქოს ის გზიდანვე იერუსალიმისაკენ გაემგზავრა.

თუ რატომ დასკირდა ტიმოთეს სინამდვილის დამალვა, ეს გასაგები ხდება მეორე განცხადებიდან, რომელიც ტიმოთემ გაუგზავნა ამავე წელს სინოდს იმის შემდეგ, რაც საგარეო საქმეთა კოლეგიაში გაგზავნილ თხოვნაზე უარი მიიღო. ტიმოთე სინოდს სწერს: „Яко за состоянием в нынешнем году марта 21 числа именного указа, (которым выезд в Россию из за границ православно-христианского исповедания монашествующим, и определенне оных к монастырям запрещено было), мне с свитою к пребыванию в Санкт-Петербург и в Москву дозволение дать, и никакой на содержание жалованному дачи, за неимением в ведомстве своем доходов, определить не можно, разве не изыщети оная Коллегия по благорассмотрению своему удобного способа в рассуждении моего иностранства, известной старости и бедности, пребывание иметь мне по крайней мере хотя в Кизляре, в здешнем монастыре, с произвождением на пропитание по грузинскому штату жалованья, откуда надлежит. О чем в тое Коллегию и для ведома к преосвященному Мефодию епископу астраханскому из святейшего синода указы посланы, а к тому и в полученном и с помянутой Государственной коллегии иностранных дел в нынешнем месяце генерал-майором и кизлярским камендантом Ступишиным еѣ императорского величества указе объявлено: ежели мне зачем либо во отечество возвратиться невозможно, в таком случае пребывание иметь мне смиренному в Кизляре, токмо на своем содержании и о всем оном я будучи... уведомлен, следующее доношу...“¹. ამის შემდეგ ტიმოთე აღწერს ზემოთ უკვე მოყვანილ თავგადასავალს ოდნავ სახეშეცვლილი რედაქციით, გაბუქებულ ფერებში. ამ განმარტების მიზანია დაარწმუნოს სინოდი, რომ მას უნდა დართონ ნება ყიზლარში ცხოვრებისა, ვინაიდან სამშობლოში დაბრუნების არავითარი საშუალება არა აქვს. იგი წერს: „... В 1740 году от той Коллегии, с посланными от ея императорского величества ко оному царю Александру подарками, отправлен в Мелетию обратно. Но будучи в пути, первое несчастье

¹ იგივე საქმე, ფფ. 15 — 16.

повергло меня в иноверные неприятельские руки, в коих претерпя полугодичное время, едва спася жизнь свою и посланное от её императорского величества к реченному царю Александру писание,— в ночное время тайно ушел, а обаче по неким тогда неудобным приключениям не способился действительно видеть мое отечество и царя Александра (только что секретно высокопомянутое писание переслал) и не сыскав способа возвратиться в Россию, принял намерение и поехал ко святому граду Иерусалиму... потом сподобился быть в Назарете, на горе Кармелии... и в прочих многих святых местах, в котором несколько лет продолжался, но как оные области состоят во объятиях варварских, то в дальнейших по оным переездам претерпел я многие напасти и разорения, чему всяк благорассудный поверять может, а потому долговременному странствию в такое убожество пришел, что при остатке жизни моей, с находящеюся при мне свитою, здесь пропитания иметь не из чего и возвратиться во отечество (затем, что ныне в Мелетии, турок знатных людей не малое число, которые, во время послания меня в России видели и о порученном мне деле подозревали, чего ради я из Константинополя, дабы какой опасности подвержен не был, не выезжая во отечество мое не продолжаясь, сюда следовал), невозможно¹. ამის საფუძველზე ტიმოთე ითხოვს, რომ მას თავისი ამალითურთ პეტერბურგში წასვლის ნება მისცენ ანდა, თუ ეს შეუძლებელია, მაშინ დატოვონ ყიზლარში და დაუნისონ ჯამაგირი. ტიმოთე აშკარად წერს, რომ ზოგიერთი ამბის გამო (по неким тогда неудобным приключениям) მას უხერხულად მიუჩნევია მოსკოვიდან ყიზლარში ჩასვლს იმერეთში გადასვლა, ამის გამო კვლავ რუსეთში დაბრუნება განუზრახავს, მაგრამ ვერც ეს განუხორციელებია და გადაუწყვეტია წმ. ადგილების მოსახილველად გამგზავრება. თუ რა გზით წავიდა ყიზლარიდან კონსტანტინეპოლისაკენ, ამის შესახებ ტიმოთე არაფერს არ წერს. ამგვარად, იერუსალიმსა და წმიდა ადგილებში გამგზავრება, ტიმოთეს განმარტებით, სამშობლოდან გარიყული ადამიანის იძულებითი მოგზაურობა იყო.

¹ იქვე, ფფ. 15—16.

ტიმოთეს მიერ სინოდში გაგზავნილ თხოვნაში ის აზრიც არის გატარებული, რომ წმ. ადგილების მოლოცვის შემდეგაც ის. კონსტანტინეპოლიდან იმერეთში ვერ დაბრუნდებოდა, ვინაიდან იმერეთში ამ დროისათვისაც დიდი რაოდენობით იყვნენ თურქნი, რომელთაც იცოდნენ მისი რუსეთში ელჩად გამგზავრების ამბავი და ხედებოდნენ ამ ელჩობის ნამდვილ მიზეზს. ამიტომ „წმიდა ადგილთა“ მოხილვის შემდეგ, მას კვლავ რუსეთში დაბრუნება განუზრახავს, რისთვისაც კონსტანტინეპოლში ამის თაობაზე მოლაპარაკებია რუსეთის ელჩს დოლგორუკოვს: „Видя всероссийского посла князя Сергия Петровича Долгорукова, просил о взятии меня для поклонения святым мощам в киевские пещеры, а оттудаб для взятия оставленного экипажа в Кизляр, и хотя тем был обнадежен, но за болезнию мою там остаться принужден, а по выздоровлении, чрез отечество мое в Россию следовал и претерпев крайни напасти, под покров его императорского величества... радостно достиг...“¹.

ამრიგად, ტიმოთე გაბაშვილი რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიასა და სინოდში გაგზავნილ მოხსენებითს ბარათებში თავის თავგადნასავალს რუსეთიდან წამოსვლის დროიდან შემდეგნაირად წარმოადგენს: 1740 წელს ტიმოთე მოსკოვიდან იმერეთისაკენ გამოემგზავრა და ჩავიდა ყიზლარში. ყიზლარში მან დატოვა თავისი ეკიპაგი, მთელი ავლადიღებდა, და ისე განაგრძო თავისი მხლებლებითურთ გზა. გზაში ტიმოთე თავისი მხლებლებით ტყვედ ჩავარდნია ჩერქეზებს. ექვსი თვის ტყვეობის შემდეგ ტიმოთე ღამე გამოპარულა და სამი დღის მგზავრობის შემდეგ ჩასულა ხრეიტას მაზრაში, საიდანაც სანდო კაცის ხელით იმერთა მეფისათვის რუსეთის იმპერატორის წერილი გაუგზავნია, თითონ კი თურქების შიშით იმერეთში დაბრუნება გადაუფიქრებია და წმინდა ადგილთა მოსახილველად გამგზავრებულა. მოგზაურობაში ტიმოთეს მრავალი წელი დაუყვია (არანაკლებ 21 წლისა), ბოლოს ჩასულა კონსტანტინეპოლში. აქ კვლავ დასმულა საკითხი მისი იმერეთში დაბრუნების საშიშროების შესახებ. ამის გამო მას კონსტანტინეპოლშივე გადაუწყვეტია კვლავ რუსეთში გამგზავრება და ამის თაობაზე დაუწყია რუსეთის ელჩ დოლგორუკოვთან მოლაპარაკება. მისი რუსეთში

¹ იქვე, ფ. 2.

გამგზავრების ოფიციალური საბაზი ამჯერად კიევის პეჩერის ლავრის მოხილვის სურვილი იყო. დოლგორუკოვისაგან ტიმოთემ თანხმობა მიიღო, მაგრამ ტიმოთეს ავადმყოფობის გამო ეს გეგმა ვერ განხორციელებულა. ამისდა მიუხედავად რუსეთში დაბრუნების გადაწყვეტილება ტიმოთეს მაინც არ შეუცვლია. კონსტანტინეპოლიდან მას კურსი კვლავ რუსეთისაკენ აუღია და სამშობლოს გავლით, მაგრამ სამშობლოში გაუჩერებლივ, ყიზლარში ჩასულა 1762 წელს.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამ ვრცელი თავგადასავალის გადმოცემას ერთი მიზანი ჰქონდა: ტიმოთეს უნდა დაერწმუნებინა რუსეთის მთავრობა, რომ მისი პოლიტიკური განწყობილებისა და რუსეთში ელჩობის გამო მას იმერეთში დაბრუნების საშუალება მოესპო და, ამდენად, რუსული ორიენტაციის გამო ის სამშობლოდან გარიყული აღმოჩნდა. ამიტომ რუსეთის მთავრობას აკისრია მორალური ვალდებულება იზრუნოს მასზე და რუსეთის იმპერიის ფარგლებში მიუჩინოს მას საცხოვრებელი ადგილი და სარჩო.

ამ მიზნით გატაცებული ტიმოთე სულ არ უწევს ანგარიშს იმას, რომ მის თხოვნებში მრავალი დაუჯერებელი და შეუთანხმებელი ამბავი იყო მოტანილი. ამ ცნობების თანახმად მან 21 წელი მოანდომა წმინდა ადგილთა მოხილვას. ტიმოთე დარწმუნებულია, რომ ოფიციალურ პირთაგან არაეინ დაიწყებდა შორეული წარსულის გამოძიებას. არაეინ დაიწყებდა „მიმოსღვის“ ჩხრეკას, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი, თუ როგორ გაემგზავრა ტიმოთე 1755 წელს თბილისიდან ყოველმხრივ შეჭურვილი ერეკლე მეორისა და თეიმურაზ მეორის მიერ წმინდა ადგილების მოსახილავად.

ტიმოთე მალავს იმასაც, რომ იგი რუსეთიდან საქართველოში დაბრუნდა და ხანგრძლივად მოღვაწეობდა როგორც იმერეთში, ასევე ქართლში. მისი გადმოცემის თანახმად ის იმერეთში სულ არ ყოფილა, ხოლო ქართლი კონსტანტინეპოლიდან რუსეთისაკენ მიმავალმა მხოლოდ გზად გაიარა. იმისათვის, რომ არ გამომეღავენებულიყო მისი ქართლში მოღვაწეობის ფაქტი, ტიმოთე ოფიციალურ დოკუმენტებში თავის თავს ქართლის მთავარეპისკოპოსს არსად არ უწოდებს. ყველგან ხელს აწერს „მდაბალი მიტროპოლიტი ტიმოთე მელეთინისა“, იმ დროს როდესაც ათონსა და იერუსალიმში ის ქართლის მთავარეპისკოპოსის ტიტულით მოგზაურობდა. ასევე ქართლის მთავარეპისკოპოსს უწოდებს ტიმოთე თავის თავს ათონისა და იერუსალიმის ხელნაწერების მინაწერებში.

ამ წლებში ტიმოთეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის განსხვავებული სურათი გვესახება იმ ისტორიული საბუთებისა და მასალების მიხედვით, რომლებმაც ჩვენამდის მოაღწია.

სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია აზრი, რომ ტიმოთე რუსეთიდან ქართლში დაბრუნდა, სადაც მან ქართლის მთავარეპისკოპოსის კათედრა მიიღო¹. ეს სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს. იმერეთის სამეფო ელჩი, ბუნებრივია, რუსეთიდან იმერეთშივე დაბრუნდებოდა, მით უმეტეს, რომ მას მეტად პასუხსაგები მისია ჰქონდა დაკისრებული. ტიმოთე იმერეთიდან რუსეთში ქუთათელ მიტროპოლიტის წოდებით წავიდა. რუსეთიდან ჩამოსულს მასვე უნდა დაბრუნებოდა ეპარქია.

როდის დაბრუნდა ტიმოთე იმერეთში? ამ საკითხის გადაწყვეტაში გვეხმარება ხელნაწერის ერთი მინაწერი², ტიმოთეს ხელითვე დაწერილი, რომელიც შეიცავს ცნობებს ანტონის (შემდგომ კათალიკოსის) იმერეთში მოღვაწეობის შესახებ. მინაწერში ვკითხულობთ, რომ 18 წლის თეიმურაზ-ანტონი გაენათის მონასტერში აღიკვეცა ბერად. ხოლო „წლისა ოცისა მიტროპოლიტად კვლადანხმულ იქმნა აფხაზეთისა კათალიკოზისა გრიგოლის მიერ საყდარსა ზედა ქუთათისისა სეკდემბერსა კზ, დღესა შაბათსა“, ე. ი. 1740 წლის სექტემბერს ანტონი ქუთათლად უკუერთხებიათ. ამ დროისათვის ტიმოთე ჯერ დაბრუნებული არ იყო. იმავე მინაწერიდან ვგებულობთ, რომ ანტონმა 1742—43 წლის მიჯნაზე მიატოვა იმერეთი და ბერად შედგა დავით გარეჯის უდაბნოს იოანე ნათლისმცემლის მონასტერში. 1742—43 წლების მიჯნაზე ანტონისაგან „სამწყსოს დატეება“ და ქართლში წასვლა, საფიქრებელია ტიმოთეს იმერეთში დაბრუნებითა და თავის უფლებებში აღდგენით იყო გამოწვეული. ამას მხარს უჭერს იმერეთის ისტორიული საბუთების მასალაც. ჩვენამდე მოღწეულ იმერეთის საბუთებში. 1743—46 წლებში ქუთათელი არ ჩანს³. 1747 წლის ერთ-ერთ წყალობის წიგნში კი ქუთათლად ტიმოთეა მოხსენიებული⁴.

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1³, გვ. 328-329. „მოხილუა“, გვ. 6.

² საქართველოს სახ. მუხ. ხელნაწ. A—123, 121 v. შდრ. ტიმოთეს ავტოგრაფს. მინაწერი გამოქვეყნებულია (იხ. პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 142).

³ ამის მიზეზი მოღწეული დოკუმენტების სიმცირე უნდა იყოს. ცნობა მოგვაწოდებს ისტორიის ინსტიტუტის მეცნ. თანამშრომელმა ბ. ლომინაძემ და საქართველოს სახ. მუხუდების მეცნ. თანამშრომელმა შ. ბურჯანაძემ.

⁴ Hd—2215. საბუთზე მიგვითითა შ. ბურჯანაძემ.

ამგვარად, რუსეთიდან დაბრუნებული ტიმოთე 1742 წლის მიწურულისათვის კვლავ უბრუნდება თავის ეპარქიას და განაგებს მას 1747 წლის აგვისტომდე მაინც.

საფიქრებელია, რომ ტიმოთე ქუთაისის კათედრას უმიზეზოდ არ მიატოვებდა. XVIII საუკუნის 50-იანი წლების მიწურულში განსაკუთრებით გაძლიერდა თურქთა აგრესია, რამაც დააქინინა იმერეთის ეკლესია. საქუთათლოს შესახებ 1759 წელს სოლომონ პირველი პირდაპირ წერდა: „ქუთათისის ეკლესია... ჯელთ ეგდო. მძვინარეს აგარინანს და მიზეზითა ამით საქუთათლო მამული და სამრემლო მიმობნეულიყო და რომელიმე დაშთომილიყო, საეროთ გამხდარიყო და ქუთათელი აღარ იჯდა“¹. მხოლოდ 1759 წელს მოახერხა სოლომონ I-მა საქუთათლოს აღდგენა და ქუთათლის დასნა². თურქეთის აგრესიის გაძლიერების ხანაში რუსეთის ორიენტაციის მქონე ტიმოთეს გაჩერება იმერეთში სხვა მხრივაც სახიფათო იყო. ტიმოთე რუსეთიდან სულ რამდენიმე წლის დაბრუნებული იყო. რუსეთში კი ის ალექსანდრე V-მ საგანგებო მისიით გააგზავნა. ტიმოთემ, როგორც დიპლომატმა და პოლიტიკოსმა, ყოველი ღონე იხმარა, რომ დასავლეთ საქართველო როგორმე დაეხსნა თურქეთის ძალადობისაგან და რუსეთის მფარველობის ქვეშ შეეყვანა. ასეთ პირს კარგი არაფერი მოელოდა „მძვინარე აგარინისაგან“. საფიქრებელია, რომ ამ გარემოებაშიც აიძულა უეპარქიოდ დარჩენილი ტიმოთე მიეტოვებინა იმერეთი და ქართლს წამოსულიყო, სადაც მას ანტონ პირველი კათალიკოსად ეგულებოდა. ანტონი ტიმოთეს ქუთაისიდანვე კარგად იცნობდა და დახმარებას არ მოაკლებდა.

ქართლში ჩამოსული ტიმოთე, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დიდხანს უეპარქიოდ იყო. იგი დროებით გაუქმებული საქუთათლოს მთავარეპისკოპოსად ითვლებოდა და ქუთათელ მთავარეპისკოპოსის წოდებას ატარებდა მაშინაც კი, როდესაც სამთავროს საქმეებს განაგებდა. მას, როგორც ქუთათელ მთავარეპისკოპოსს, თეიმურაზ II-მ და ანტონ კათალიკოსმა საგანგებო ულუფა დაუნიშნეს.

¹ შ. ბურჯანაძე, სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი: სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები. ტ. LI, 1950, გვ. 86. დოკუმენტი გამოცემულია (იხ *Д. Пурцеладзе, Грузианские церковные иуджары*, 1881, გვ. 139. ს. კაკაბაძე, საეკლესიო რეფორმებისათვის სოლომონ პირველის დროს, 1913, გვ. 3).

² შ. ბურჯანაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 87.

ქართლის დოკუმენტებში ტიმოთე 1749 წლიდან ჩანს. საფიქრებელია, რომ ამ წელზე ადრე ის არც ჩამოსულა ქართლში, ყოველ შემთხვევაში, ეპარქია არ ჰქონია ჩაბარებული, ვინაიდან 1748 წელს ანტონ I-ის მიერ მოწვეულ საეკლესიო კრებაზე დამსწრეთა შორის ტიმოთე არ არის დასახელებული¹. ამ კრების დადგენილებას კი ხელს აწერენ ერეკლესა და ანტონ პირველის გარდა ქართლის მთავარეპისკოპოსი არსენი, ეპისკოპოსნი, მეფეთა მოძღვარნი და დეკანოზნი.

1749 წელს გაცემულ საბუთში ანტონ კათალიკოზი უბოძებს ტიმოთე მთავარეპისკოპოსს ოსმალობისა და ყიზილბაშობის შედეგად გაპარტახებული ბოლნისის ეპარქიის მამულების ღალასა და კულუხს².

საბუთში ტიმოთე მთავარეპისკოპოსად არის მოხსენიებული. მაგრამ არ ჩანს აქ მისი ქუთათლობა იგულისხმება, თუ ქართლის მთავარეპისკოპოსობა. ამის გარკვევაში გვეხმარება 1753 წლის ერთი საბუთი — „მოსახსენებელი წიგნი“³, — რომელიც ტიმოთე გაბაშვილს სამთავროს ღეთაების ეკლესიაში დაუდგია. საბუთი დაწერილი და დამტკიცებულია ქუთათელ მთავარეპისკოპოსის ტიმოთეს მიერ. მაშასადამე, ჯერ კიდევ 1753 წელს ტიმოთე ქუთათელ მთავარეპისკოპოსის წოდებას ატარებდა.

ამგვარად, 1753 წლამდე ტიმოთეს ქართლში საეპისკოპოსო კათედრა არ ეკავა. 1749 წელს, მას, როგორც მაღალი სასულიერო წოდების პირს, მაგრამ უმრევლო მთავარეპისკოპოსს, ანტონ

¹ ამ კრების დადგენილების მეტად მნიშვნელოვანი ტექსტი დაცულია საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ახალ ფონდში (Q—412, 1r-8r).

² „ქ. საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის მეფის ძის ანტონის იმედო, ვინცა ვინ ბატონის მოკვლეები იყვნეთ და ან ბოლნის საყდრის ყმანი იყვნეთ მღვდელნი ქართველნი, განჯელნი, თუ მანდ მკვიდრნი და ან მოსულნი იყვნეთ, რომორათაც მეფის ვახტანგის დროსა და ან ჯუმათლის-ბოვლენის დროს ბოვნელის ქელში ყოფილიყოს და ან საყდარს სკეროდეს, ისინი არც ერთი არ მოიშლება. ბიძა ჩვენმა მეფეთ-მეფემ თეიმურაზ და ჩვენცა ყოვლად სამღვდელს მთავარეპისკოპოსს ტიმოთეს უბოძეთ და დაუმტკიცეთ, თქვენც ბატონის მოკვლება დაანებეთ და საყდრისა ყმათაც ბატონ-ყმობით მოუდევით და მსახურით, და რომელიც ჯუმათლის-ბოვნელს უკან მამული ან გასყიდულა და ან გაცემულა ჟამთა ვითარებისაგან ოსმალსა და ყიზილბაშობის დროსა, იმისი ღალა და კულუხი ყველა საყდარსა და ბატონს ბოვნელს უნდა მოვრთვას. თუ ასე არ დაემორჩილებით, ჯორციელად მეფეს გაგიწყრომებთ და სულიერად ჩვენ გარდაგაქდევინებთ. ივლის გ, ჩ ღ მ თ.“ (A.d—653).

³ Qd—8536.

პირველმა სარჩოდ გამოუყო ბოლნისის გაუქმებული ეპარქიის მამულების შემოსავალი. ტიმოთე 1753 წლამდე ატარებდა ქუთათელ მთავარეპისკოპოსის წოდებას, მაგრამ ამავე დროს ის განაგებდა ქართლის მთავარეპისკოპოსის ეპარქიაში შენავალ სამთავროს მონასტრის საქმეებსაც. ანტონ პირველის „სპეკალის“ წინასიტყვაობაში ტიმოთე თავის თავს უკვე გორისა და სამთავროს მიტროპოლიტს¹ უწოდებს. ცხადია, რომ გორისა და სამთავროს მიტროპოლიტობა, რაც ამავე დროს ქართლის მთავარეპისკოპოსობას უდრიდა, მან ზემოთ მოტანილი საბუთის დაწერის შემდეგ მიიღო.

ქართლის მთავარეპისკოპოსის წოდებით ტოვებს ტიმოთე ქართლს 1755 წელს და მიემგზავრება მთაწმიდისა და იერუსალიმის მოსახილავად.

სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია აზრი, რომ ტიმოთეს საქართველოდან წასვლა ანტონ პირველის მხილებასთან იყო დაკავშირებული. პ. იოსელიანი წერდა: „ეპისა განდევნისა ქართლით რუსეთად დიდისა კათოლიკოზისა ანტონისა ლათინთა ეკლესიისა თანხმობისათჳს, ესე იგი 1754-სა, ამანცა ტიმოთემ, ვითარცა თანა-აღზრდილმან მისმან, ლტოლუა ჰყო საბერძნეთად, და ვჰგონებ, უნებლიეთ განეშორა ეპარხიასა თჳსსა. ანუ მიზეზითა მით წყენითითა, რომელ არა მას, უპირუშლესსა იერარხსა, მიენდო განმგეობა კათოლიკოზობისა, არამედ რუისისა არხიეპისკოპოსსა იოსებს“².

აკად. კ. კეკელიძე ტიმოთეს ქართლიდან წასვლას ანტონ კათალიკოსის ირგვლივ ამტყდარ შფოთს უკავშირებს³.

ტიმოთე თბილისიდან გაემგზავრა 1755 წლის ადრე გაზაფხულზე, აპრილის თვეში, ვინაიდან ქვიშხეთში იდღესასწაულა მან აღდგომა, ხოლო კათოლიკების დევნა თბილისსა და გორში (ტიმოთეს სამწყსოში) 12 დეკემბერს დაწყებულა⁴. 16 დე-

¹ „სპეკალის“ წერა, როგორც ეს წინასიტყვაობიდან ჩანს, ანტონს დაუმთავრებია 1752 წლის 14 ოქტომბერს. ტიმოთე გაბაშვილის წინასიტყვაობა კი დაწერილა უფრო გვიან, იმის შემდეგ, რაც მან გორისა და სამთავროს მიტროპოლიტობა მიიღო, ე. ი. 1753-ს ან მის მომდევნო წელს.

² მოხილუა, გვ. 6.

³ კ. კეკელიძე, ძველი მწერლობის ისტორია, 1³, გვ. 328.

⁴ იხ. მიქელ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა, გვ. 373. 1755 წელს კათოლიკეთა დევნის შესახებ ვრცელი ცნობები დაცულია პატრი ჯულიო ბონავენტურა ტრენტოელის მოხსენებაში, რომელიც 1757 წელს პატრმა რომის კარდინალს გაუგზავნა. დოკუმენტიდან ვგებულობთ, რომ ანტონმა კათოლიკური სარწმუნოება აღიარა გორის კათოლიკეთა უფროსის პატრი იერონიმე ნორჩელის

კემბერს კი პირველად გაასამართლეს ანტონ კათალიკოსი. ამ დროს ქართლის მთავარეპისკოპოსის თანამდებობა ეკავა ტიმოთეს შემცვლელ კირილეს. ტიმოთეს ქართლიდან წასვლის დროისათვის ჯერ გამომკლავნებული და გახმაურებული არ იყო ანტონის გაკათოლიკების ამბავი. ჯერ კიდევ 1755 წლის დამდეგს ანტონი მისთვის ჩვეული ენერგიით მოღვაწეობდა, აყალიბებდა თბილისში სემინარიას და ხელმძღვანელობდა ქართლის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას.

მეორე მხრით, შორეული და ხანგრძლივი მგზავრობის თადარიგისათვის ტიმოთეს რამდენიმე თვე მაინც დასჭირდებოდა. ამდენად, ტიმოთეს ქართლიდან წასვლის გადაწყვეტილება სრულიად არ იყო დაკავშირებული ანტონის ამბავთან, პირიქით, საფიქრებელია, რომ ერეკლესა და თეიმურაზთან ერთად ანტონი ამ საქმის ინიციატორი და ხელშემწყობი იყო. მხოლოდ მისი ნებართვითა და კურთხევით შეეძლო ტიმოთეს მიეტოვებინა ეპარქია და წასულიყო სამოგზაუროდ. და თუ ანტონი თეიმურაზთან და ერეკლესთან ერთად „მიმოსღვის“ შესაეაღში მოხსენიებული არ არის, მხოლოდ იმითომ, რომ „მიმოსღვის“ დაწერის დროისათვის (1756—57 წლები) ტიმოთემ უკვე იცოდა ანტონის გაძევების ამბავი და თავი მოარიდა მის მოხსენიებას.

„მიმოსღვის“ ტექსტიდინ ვგებულობთ, რომ ერეკლე მეორესა და თეიმურაზ მეორეს ენერგიული მონაწილეობა მიუღიათ ტიმოთეს სამგზავროდ მომზადებაში: „წელთა 1755, ოდეს განაგებდა საქართველოთა ცხებული ქრისტეს მოყვარე მეფე თეიმურაზ და პირშო სახელოვანი ძე მათი ღმთისმსახური მეფე საქართველოთა უფალი ირაკლი, მომწესნებელ ვიქმენ მეფობისა მათისა და ვიჯმენ მუნით და მათ მიერთთა საბოძერთთა და ქარტითა—განმტკიცებინა

წინაშე. რომ ანტონ კათალიკოსის გასამართლებას წინ უძღოდა კათოლიკეთა აწიოკება თბილისსა და გორში, რის შემდეგაც თბილისის კათოლიკეთა ეკლესია ჩააბარეს ერთ ქართველ მღვდელს, გორისა კი თეიმურაზმა გადასცა იკაურ არქიეპისკოპოსს (მ. თამარაშვილი, გვ. 373—75). ეს უკანასკნელი ცნობა დასტურდება ქართული წყაროებითაც. 1755 წლის ერთ ქართულ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ თეიმურაზ მეორემ განდევნა გორიდან კათოლიკენი, ხოლო მათი სახლი და ეკლესია გადასცა კირილუ არქიეპისკოპოსს, რომლის სამწყსოშიც შედიოდა გორი (იხ. *Д. Пурцеладзе, Грузинские церковные документы*, გვ. 51). ეს ის კირილეა, რომელიც ტიმოთეს წასვლის შემდეგ ქართლის მთავარეპისკოპოსად იქნა არჩეული.

სათვის უცხოებდად შორმგზავრობისა ჩემისა—კმასაყოფელი აღვი-
ღეთ და მოვიწიენით სამცხეს¹.

თეიმურაზმა და ერეკლემ ტიმოთეს უბოძეს „საბოძვარი კმა-
საყოფელი“ და „ქართა“ სამგზავრო. ამით ქვეყნის მესვეურებმა
უზრუნველყვეს ტიმოთე მატერიალურად, აიყვანეს ის თავის
მფარველობის ქვეშ და მისი მოგზაურობა მათ მიერ სანკციონირე-
ბულად გამოაცხადეს.

საფიქრებელია, ერეკლესა და თეიმურაზის შუამდგომლობითვე
მისცა ახალციხის ფაშამ ტიმოთეს სარეკომენდაციო წერილები:
„აღგვიწერა თურქთა ენითა ეპისტოლენი კოსტანტინეპოლედ:
ერთი ჯელმწიფისათვის სულთანისა, და ერთი ვეზირისათვის და
კარის კაცთა, სხვა—შეწყნარებისათვის ჩენისა და პატივისა. და
წარმოგვატანა ბეგი ერთი თათარი და წიგნები კმასაყოფელი“².

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თეიმურაზისა და ერეკლეს ზრუნვა
ტიმოთეს გამგზავრებაზე შემთხვევითი არ იყო. ამიერკავკასიაში
პირველობისათვის ბრძოლის პროცესში ერეკლე ფართო პოლიტი-
კურ გეგმებს სახავდა. ამიერკავკასიის მასშტაბით ქართლ-კახეთის
სახელმწიფოს ხვედრითი წონის ზრდასთან ერთად ფართოდებოდა
ევროპისა და აზიის ქვეყნებთან ურთიერთობა. თავისი გეგმების გან-
ხორციელებისათვის, მუსულმან დესპოტებთან აშკარა თუ ფარულ
ბრძოლებში, ერეკლე მოკავშირეებს ეძებდა როგორც ამიერკავკა-
სიაში, ასევე რუსეთსა და ევროპაში.

1753 წელს ერეკლე საგანგებო ელჩს აგზავნის რუსეთში, ხო-
ლო კათოლიკე მისიონერების საშუალებით კონტაქტს ამყარებს
ევროპის ქვეყნებთან. პოლიტიკური მიზნებისათვის ერეკლე მოგზა-
ურებსა და ვაჭრებსაც ფართოდ იყენებდა³. სამხედრო და პოლიტი-
კურ დავალებებს ღებულობდნენ „წმიდა ადგილებში“ შესაწირა-
ვებით გაგზავნილი სამეფო ელჩები და პილიგრიმები. პილიგრი-
მებისა და ელჩების ამ თვალსაზრისით გამოყენება ამ დროს საერ-
თო და ჩვეულებრივი მოვლენა იყო. „После завоевания турка-
ми Константинополя в 1453 году значительно сократилось ко-
личество частных русских путешествий в Палестину. Привыч-
ный путь через Царьград сделался затрудненным. Но в то же

¹ მიმოსლვა, გვ. 6—7.

² იქვე, გვ. 7.

³ როგორც ჩანს, პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა რ. დანიბეგაშვილის
მოგზაურობა ინდოეთში. რ. დანიბეგაშვილის საშუალებით უკავშირდებოდა ერეკ-
ლე მადრასში მოქმედ სომეხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის

время именно с XVI века начались нередкие посылки царских послов на христианский Восток для раздачи милостыни обедневшим под властью турок восточным патриархам и монастырям и для ознакомления с политическим состоянием дел Турции, под предлогом ознакомления с церковной практикой христианского Востока¹.

ტიმოთე ვაბაშვილის მიმოსვლა და „წმიდა ადგილების“ მოხილვაც, საფიქრებელია, ქვეყნის პოლიტიკურ ინტერესებსაც ემსახურებოდა: „Надо учитывать, — წერს პროფ. М. პოლიევკოვი, — что всякое путешествие в чужие страны и сообщения о таком путешествии почти всегда, прямо или косвенно, есть определенный социально-политический заказ в особенности в те эпохи, когда всякое такое путешествие превращалось в трудную и рискованную экспедицию“².

ქართლში თურქთა თარეში შორეული წარსული როდი იყო. თურქ-ირანისაგან თავდაცვა და მათგან საბოლოოდ განთავისუფლება ერეკლე II-ს სანუქვარი ოცნება იყო მუდამ. თურქთაგან იმერეთის ახორცილების მაგალითი, რომლის მოწმე და, შესაძლოა, მსხვერპლიც თვით ტიმოთე იყო, მრავლის მთქმელი და მომასწავებელი იყო.

თურქეთიც ერთი წუთით არ უშვებდა მხედველობიდან კავკასიას, მათ შორის აღმოსავლეთ საქართველოს, და XVIII ს. მეორე ნახევარშიც აშკარა თუ ფარული გზებით ცდილობდა იქ თავისი გავლენის განმტკიცებას.

„Турецкие султаны всё еще продолжали рассматривать Кавказ как подходящий объект для завоеваний. Сотни турецких агентов и представителей мусульманского духовенства были направлены к многочисленным кавказским ханам, бекам и князьям для агитации в пользу Турции“³.

ხელმძღვანელებს. „არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ დანიბეგაშვილების (მამისა და შვილის, იოსებისა და რაფიელის, თეიმურაზისა და ერეკლეს სამსახურში მყოფი პირების) ინდოეთში მგზავრობას იმ დროისათვის პოლიტიკური მნიშვნელობა უფრო ჰქონდა, ვიდრე კულტურულ-ეკონომიური“, წერს ს. იორდანიშვილი (რ. დ ა ნ ი ბ ე გ ა შ ვ ი ლ ი, მოგზაურობა ინდოეთში, თბილისი, 1950, გვ. IX—X).

¹ История русской литературы, т. II, ч. I. Изд. АН СССР. გვ. 511.

² По л и е в к о в, М., Европейские путешественники XIII—XVIII вв. по Кавказу, Тифлис, 1935, გვ. 2.

³ Новая история стран зарубежного Востока под редакцией И. М. Рейснера и Б. К. Рубцова, т. I, გვ. 67.

ასეთ პირობებში ერეკლე II-ს მუდამ სიფხიზლე მართებდა, მაშინაც კი, როდესაც თურქეთი მას აშკარად არ ებრძოდა. რაც უფრო აშკარა ხდებოდა ერეკლე II-ის პოლიტიკური კურსი, — ამიერკავკასიის გაერთიანება რუსეთის მფარველობის ქვეშ, — მით უფრო რთულდებოდა საქართველო-თურქეთის ურთიერთობა. ნადირ შაჰის სიკვდილისა და მისი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, თურქეთი აღმოსავლეთ საქართველოსათვის მუდამ რეალური საფრთხე იყო. თურქეთისაგან თავდაცვის ერთადერთ გზად ერეკლეს რუსეთთან კავშირი ესახებოდა. „რუსეთის დახმარებით ერეკლე ოსმალეთის მიერ მიტაცებული მესხეთის შემოერთებას, ქარ-ბელაქნის დაპყრობასა და ქართლ-კახეთში „ლეკიანობის“ მოსპობას აპირებდა“¹. რუსეთთან კავშირი დაიცავდა მას ირანისა და ოსმალეთის თავდასხმებისაგან. მეორეს მხრივ ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის მიერ დადებული სამხედრო კავშირით იზრდებოდა ქვეყნის შიგნით თურქ-აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლის უნარიანობა.

ბუნებრივია, ასეთ რთულსა და დაძაბულ პოლიტიკურ სიტუაციაში ტიმოთეს ნოგზაურობა თურქეთსა და „წმიდა ადგილებში“ ნარტო მგზავრობისადმი სიყვარულით, ანდა საკუთარ სულზე ზრუნვით არ იქნებოდა ნაკარნახევი, მით უმეტეს, რომ ეს მოგზაურობა მომზადებული და სანქციონირებული იყო ერეკლესა და თეიმურაზის მიერ.

ტიმოთე გაბაშვილი, როგორც გამოცდილი დიპლომატი, თურქეთის აგრესიულ პოლიტიკაში ღრმად ჩახედული ადამიანი, ამასთანავე თავისი დროისათვის დიდად განათლებული, თურქული, ბერძნული, რუსული და სომხური ენების ზეტნაკლებად მცოდნე²,

¹ ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, 1946, გვ. 393.

² თურქული ენა ტიმოთემ ზედმიწევნით იცოდა, ვინაიდან ამ ენაზე ესაუბრებოდა იგი განსწავლულ კაცებს სალეთისმეტყველოსა და ფილოსოფიურ საკითხებზე. ტიმოთემ ბერძნული ენაც იცოდა, მაგრამ სუსტად. ტიმოთეს მოუსმენია ევგენი ბულგარისის ქადაგება ბერძნულ ენაზე და ზოგი რამ გაუგია: „იწყუა დღესასწაულისათვის სიტყვად, ვითარმედ შემოკრებულნი საკვირველისა დღესასწაულისანი მდუმრიად მიეგებოდეთ, რამეთუ ამისთვის არა არს გამოთქმად კაცობრივთა სიბრძნეთაგან, ანუ თქმად გამოუთქმელთა ამათ, არამედ გაბრიელის თანა ვიტყოდით: „გიხაროდენ, მიმადლებულთ! უფალი შენ თანა“. ეს ო დენ მესწავლნეს ენა ბერძნული, ესენი მე გავიგონენ“. (მიმოსლვა, გვ. 32). ბერძნული ენის გარკვეულ ცოდნას გულისხმობს პროკლე დიადოხოსის ბერძნულ-ქართული ტექსტების შედარებითი შესწავლა, რომელიც ტიმოთეს უწარმოვ-

და დახელოვნებული ტომოგრაფი, ყველაზე შესაფერისი კანდიდატი იყო თურქეთში გასაგზავნად პოლიტიკურისა და სამხედრო დაზვერვებისათვის.

მართლაც, როგორც „მიმოსლვიდან“ ჩანს, ტიმოთე კონსტანტინეპოლში სულთანის კარის გავლენიან პირებს დაუქავშირდა, ხოლო კონსტანტინეპოლისა და იერუსალიმის პატრიარქებთან მისვლა-მოსვლა და მეგობრობა გააბა.

ეს მართლმადიდებელი პატრიარქები კი, მაჰმადიანურ გარემოცვაში მოხვედრილნი, ეხმარებოდნენ და საჭირო შემთხვევაში ცნობებსაც აწვდიდნენ კონსტანტინეპოლში ჩასულ ქრისტიან მისიონერებსა და ელჩებს. ასე იქცეოდნენ ისინი რუსი ელჩების მიმართ: „Русское правительство скоро убедилось, что константинопольские патриархи как живущие в столице султана и имеющие связи и знакомства среди высших правительственных лиц Турции, „могут, при случае, оказать содействие нашим послам своими знаниями и советами; могут, благодаря своим связям, так или иначе влиять в интересах России на турецких пашей, могут, при случае, сообщать русскому правительству нужные и драгоценные для него сведения о положении дел Турции“¹.

ტიმოთე გაბაშვილის მოგზაურობა ისტორიულსა და საეკლესიო მიზნებთან ერთად სამხედროსა და პოლიტიკურ მიზნებსაც ემსახურებოდა. ამას მოწმობს მისი დიდი ინტერესი არა მარტო ისტორიულისა და საკულტო ძეგლებისადმი, არამედ სამხედროსა და პოლიტიკური მნიშვნელობის ობიექტებისა და ფაქტებისადმი. მოგზაურობის დროს ტიმოთე აღწერს ყველაფერს, რაც კი იპყრობს ამ თვალსაზრისითაც მის ყურადღებას: გზებს, ქალაქებს, ნავსადგურებს, სრუტეებს, ციხეებს, საგანგებოდ აღნიშნავს საქართველოს ძველ საზღვრებსა და ქართველ მეფეთა ძველ სამფლობელოს გუმბაშხანას. შეუმჩნეველი არ რჩება ტიმოთეს ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა: ბუნებრივი სიმდიდრე, ვაჭრობა. აინტერესებს ქრისტიანული ეკლესიის მდგომარეობა თურქეთში, თურქეთში გა-

ბია (კ. კეკელიძე, ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I³, გვ. 328). საფიქრებელია რომ ტიმოთემ ცოტად თუ ბევრად რუსულიც იცოდა, ვინაიდან ის გაბმით 3—4 წელს ცხოვრობდა რუსეთში, წირავდა რუსულ ეკლესიებში. ქართულად შედგენილ განცხადებებს რუსულად აწერდა ხელს.

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი ვარაუდობს, რომ ტიმოთემ სომხური ენაც იცოდა (ლ. მელიქსეთ-ბეგი, დასახ. ნაშრ., გვ. 638).

¹ Б. М. Даницг, Из истории русских путешествий и изучения ближнего Востока в допетровской Руси. Очерки по истории русского востоковедения, 1953, АН СССР, Институт Востоковедения, гв. 213—214.

კიდული ქართველი ტყვეების ბედი, თურქეთში ექსორია ქმნილი ქრისტიანული მთავრების ბედი, არნაუტთა ბრძოლა თურქებთან და სხვა მრავალი¹.

ტიმოთეს დიდი შესაძლებლობა ჰქონდა მრავალმხრივ და ღრმად გაცნობოდა თურქეთის პოლიტიკურსა და ეკონომიურ ცხოვრებას. მან თავისი ფეხით გადასერა თურქეთის ვრცელი იმპერია და კონსტანტინეპოლშიც ხანგრძლივად ცხოვრობდა: „დავითით თვენი შვიდნი კოსტანტინეპოლად ფრიადსა პატიესა და ამოდ ცხოვრებაში“, — წერს ტიმოთე. თავისი მაღალი სასულიერო წოდებისა და სარეკომენდაციო წერილების საშუალებით, ტიმოთემ კონსტანტინეპოლში კონტაქტი დაამყარა როგორც სულთანის ვეზირებთან, ასევე კონსტანტინეპოლისა და იერუსალიმის პატრიარქებთან. ამ გზით ეცნობოდა და აგროვებდა ტიმოთე მისთვის საინტერესო ცნობებს.

კონსტანტინეპოლში ყოფნისას აღწერა ტიმოთემ მოგზაურობა ათონსა და კონსტანტინეპოლში („მიმოსლვის“ პირველი ვარიანტი) და კონსტანტინეპოლში მასთან ერთად მყოფი ალელების ხელით საქართველოში გამოგზავნა ერეკლე მეორისა და თეიმურაზ მეორისათვის გადასაცემად. გარდა „მიმოსლვისა“, ალელებს ზეპირადაც უნდა მოეხსენებინათ ზოგიერთი ცნობები ქართლ-კახეთის მეფეებისათვის: „თვით ეს ქართველნი ალელნიც მუნ სრასა ჩემ თანა იყვნეს და ესენი მოახსენებენ აქაურსა და ჩვენსა ამბავთა“². ზეპირ დანაბარებში უნდა ვიგულისხმობთ განსაკუთრებული მნიშვნელობის ცნობები, რომლის ქალაქზე გადატანა ტიმოთეს სახიფათოდ მიუჩნევია.

ამგვარად, თავისი მოგზაურობისა და საქმიანობის წერილობითი და ზეპირი ანგარიში ტიმოთემ საქართველოს მეფეებს ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლში ყოფნისას გამოუგზავნა³.

5

1755 წლის გაზაფხულიდან 1759 წლის გაზაფხულამდე ტიმოთემ მოგზაურობაში გაატარა. 1759 წლის გაზაფხულიდან ის უკვე ქართლშია. მოგზაურობიდან დაბრუნებული ტიმოთეს მოღვაწეობის შესახებ ქართლში თითქმის არაფერი ვიცით.

¹ აქ: ე. გვ. 0136 — 0138.

² რედაქც. და ვარიანტ., გვ. 119, №62.

³ ტიმოთეს საგანგებო ინტერესს თურქეთისადმი მისი მოგზაურობის მარშრუტიც მოწმობს. ტიმოთემ ბათომიდან უნიამდე ზღვით იმგზავრა, ხალხი უნიიდან იზმირამდე — ხმელეთით (იხ. მოგზაურობის რუკა). უკან დაბრუნებისას ტიმოთე

ქართლში ტიმოთეს დაძაბული მდგომარეობა დახვდა. ჯერ კიდევ არ იყო დაყუჩებული საზოგადოების კლერიკალურ ნაწილში ანტონის საქართველოდან გაძევებით გამოწვეული ვნებათა ლეღვა, რომ ვლადიმირიდან ანტონის გამოგზავნილმა „მიწყალეს“ თარგმანმა ხელმეორედ ააბორგა ანტონის მტრები. ზაქარია გაბაშვილი არ ერიდებოდა არაერთარ ხერხებს თავისი პოზიციების გასამაგრებლად. ამ დროს ანტონის თანამოღვაწისა და თანამოაზრის ტიმოთეს ქართლში ჩამოსვლა ანტონის მტრებს შეუშინებელი არ დაჩებოდათ. სიმპტომატურია, რომ ტიმოთე „მიმოსლვის“ B და C რედაქციებში ქართლში დაბრუნების ამბებს არ აღწერს, იმ დროს, როდესაც თბილისიდან ბათუმამდე მგზავრობას მან „მიმოსლვაში“ დიდი ადგილი დაუთმო. „მიმოსლვის“ B და C რედაქციები დაუმთავრებელ შთაბეჭდილებას ტოვებენ. B რედაქცია წყდება ტიმოთეს სურამში ჩასვლით. ამ რედაქციაში გუმისხანის აღწერა და მოგზაურობა გუმისხანიდან სურამამდე ერთ აბზაცშია მოქცეული. C რედაქციაში ტიმოთეს აღარც ეს აბზაცი შეუტანია. „მიმოსლვის“ ბოლოშეკვეცილი ტექსტი ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს ტიმოთე განზრახ დუმს და ცდილობს თავი აარიდოს ქართლში დაბრუნების აღწერას.

ტიმოთე გაბაშვილი ასევე დუმილით უვლის გვერდს მისი წასვლის შემდეგ ქართლში მოხდარ ამბებს—ანტონის ეკლესიიდან განკვეთასა და ქართლიდან მის გაძევებას, მიუხედავად იმისა, რომ ამ ამბებს ათონსა და კონსტანტინეპოლში მყოფ ანტონის თანამოაზრე ტიმოთეს მალევე აცნობებდნენ როგორც საქართველოდან ჩამოსული ქართველები, ასევე კონსტანტინეპოლის პატრიარქი და ეპისკოპოსები.

კონსტანტინეპოლში რამდენჯერმე ყოფნის დროს (1756 წლის დამლევიდან 1757 წლის გაზაფხულამდე), ტიმოთე თვითონაც ეცდებოდა კურსში ყოფილიყო ამ სარწმუნოებრივი-იდეოლო-

კონსტანტინეპოლიდან სამსონამდე ზღვით წავიდა, ხოლო შემდეგ ხმელეთით კომანამდე. კომანიდან ტიმოთე მოულოდნელად მელიტონისაკენ გაემგზავრა და ამით საგრძნობლად გაიგრძელა გზა. მელიტონიდან ტიმოთე გუმისხანის, არზრუმისა და ოლთისის გავლით საქართველოსაკენ გაემართა. საფიქრებელია, რომ თავდაპირველი მარშრუტის შეცვლა საქართველოს ძველი ისტორიული საზღვრების ნახვის სურვილით იყო გამოწვეული. მაგრამ ტიმოთე მარტო ნახვით არ დაკმაყოფილებულა. მან გუმისხანის ადგილობრივ მოსახლეობაში მისთვის საინტერესო ცნობებიც შეკრიბა. „მიმოსლვა“, გვ. 98.

გიური ბრძოლებისა, რომლებმაც ქართლში მეტად მწვავე ფორმები მიიღო. უნდა ვიფიქროთ, რომ ქართლში მომხდარი ამბების გაგრძელება იყო ის ფაქტი, რომელსაც გაკვრით ეხება ტიმოთე „მიმოსლვის“ პირველ (A) რედაქციაში; „იქ (კონსტანტინეპოლში) ყოფასა ჩვენსა შევიტყვეით: მაკარიოს, იმერეთს რომ იყო და ქართლს, პატრიარქის ბერი ქართლიდამ მოსული დაეპირათ, მრავალი კვერთხი ეცათ პატრიარქსა და ეპისკოპოზთა. რუსთა ელჩს შევედრებოდა და გაპარულიყო, და იქილამ გამოეყვანათ და მთაწმიდას ექსორია ექმნათ, იქ ვნახეთ¹“.

ცხადია, ტიმოთემ რაკი ნახა ეს ბერი და გაიგო მისი ცემისა და ექსორიობის ამბავი, იმასაც გაიგებდა, თუ რატომ ცემეს პატრიარქმა და ეპისკოპოსებმა ქართლიდან დაბრუნებული მაკარიოსი. მაგრამ ტიმოთე ფრჩხილებს არ ხსნის და განზრახ დუმს. თავის დამოკიდებულებას ამ ფაქტისადმი არ ამჟღავნებს, და ალბათ, გარკვეული მოსაზრებითვე აღარ შეაქვს ეს ცნობა „მიმოსლვის“ შემდგომ B და C რედაქციებში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტიმოთე აქ ლაპარაკობს პატრიარქის მიერ გაგზავნილ ერთ-ერთ ბერზე, რომელმაც სხვებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო 1755 წლის დეკემბერში თბილისიდან კათოლიკეების განდევნაში.

კათოლიკური ევროპის პოლიტიკური მეტოქე თურქეთი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ კათოლიკობა არ გავრცელებულიყო იმ მართლმადიდებლურ სახელმწიფოებში, რომლებიც მისი პოლიტიკური ინტერესების სფეროში შედიოდა. საამისოდ, რა თქმა უნდა, კონსტანტინეპოლის ეკლესიასაც იყენებდა. თურქეთი კათოლიკეებს აშკარად ებრძოდა თავის ვასალურ იმერეთში, ხოლო ფარულად კი ქართლში.

კონსტანტინეპოლის პატრიარქის მონაწილეობა 1755 წლის დეკემბერში ქართლს მომხდარ ინცინდენტში—ფაქტია. პატრიჯულიო ბონავენტურას მიერ რომში გაგზავნილ მოხსენებით ბარათში ვკითხულობთ: „აწინდელის კირილე მონაზონი პატრიარქის წინამოსაყდრე ავიდა თუ არა კონსტანტინეპოლის საპატრიარქო საყდარსა, ვერ მოისვენა და ყველანაირი საშუალება იხმარა, რათა კათოლიკეები საქართველოს ყველა ადგილებიდან გავედევნეთ. ამიტომ ყოველ წლივ კონსტანტინეპოლიდგან გზავნიდა ორ მონაზონს, რომელნიც მოწყალების მოკრეფის მიზეზით, ყველგან ჩვენ წინააღმდეგ არიგებდენ თვით პატრიარქის ხელმოწერილ

¹ რედაქც. და ვარიანტ., გვ. 117, № 57.

ცირკულიარ წერილებს¹. ამავე წერილში ჯულიო ბონავენტურა 1755 წლის დეკემბერში თბილისიდან კათოლიკეების განდევნის ისტორიასაც აღწერს: „კოსტანტინეპოლელი ბერძნის მონაზონები, რომელთაგანი ერთი ეპისკოპოსი იყო, თურმე ტფილისის ახლოს იყვნენ ფარულად. რა წამსაც გამოვედით ერთი მხრიდან (ტფილისიდან), იმ წამსვე შევიდენ ქალაქში მეორე მხრით, ეკკლესიაში საჯაროდ წაიკითხეს თავიანთი პატრიარქის წერილები, დაანგრიეს მთავარი ტრაპეზი, თავიანთებურად ეკკლესია აკურთხეს და ჩააბარეს ერთ ქართველ მღვდელს, რათა მოევლო²“.

აშკარაა, რომ „პატრიარქის ბერი მაკარიოსი“, ქართლიდან 1756 წელს დაბრუნებული, ერთი ზემოთ მოხსენებულ პირთაგანია. საფიქრებელია, რომ ეს ბერები გულმოდგინებაში ზომასა და საზღვარს გადავიდნენ, ანდა საკმაოდ ელასტიურად ვერ შეასრულეს მათზე დაკისრებული მისია, რის გამოც მაკარიოსმა პატრიარქისა და ეპისკოპოსთა ასეთი დიდი რისხვა დაიმსახურა.

ჩვენთვის საინტერესოა ამ შემთხვევაში ის გარემოება, რომ ტიმოთე მაკარიოს ბერის ამბავს არც ბოლომდე ხსნის და არც რაიმე შეფასებას აძლევს, ხოლო შემდეგ რედაქციებში ეს ცნობასულ აღარ შეაქვს.

ტიმოთე ქართლში მომხდარი ამბების კურსშია, ამიტომაც, რომ ერეკლესა და თეიმურაზის გვერდით ის არსად არ ახსენებს ანტონ კათალიკოსს, რომელსაც სულ სამიოდე წლით ადრე „სპეკალის“ წინასიტყვაობასა და „მზამეტყველების“ ბოლოსიტყვაობაში ქება-დიდებას ასხამდა. მაგრამ ტიმოთე გაბაშვილი ასევე არ ახსენებს ანტონის მოწინააღმდეგეთა ჯგუფს—ზაქარია გაბაშვილსა და ქართლის კათალიკოს იოსებს იმ დროს, როდესაც „მიმოსლვის“ B რედაქციაში საგანგებოდ ჩერდება იმერეთის კათალიკოს ბესარიონზე³.

მხოლოდ გარკვეული განზრახვით შეიძლება აიხსნას ქართლის მთავარეპისკოპოსისაგან ქართლის კათალიკოსის. მოუხსენებლობა და იმერეთის კათალიკოსის ქება. მით უმეტეს, რომ ბესარიონი ერთი იმათგანი იყო, რომელიც ბოლომდე ერთგული დარჩა ანტონის⁴.

¹ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 373.

² იქვე, გვ. 375.

³ რედაქც. და ვარიანტ., გვ. 124, № 77.

⁴ ანტონს და, საფიქრებელია, ტიმოთესაც ჯერ კიდევ იმერეთში ყოფნის დროიდან დიდი მახლობლობა ჰქონდათ ბესარიონ კათალიკოსთან. 1753 წელს

დაბოლოს, „მიმოსღვის“ A ავტოგრაფიდან ვგებულობთ კიდევ ერთ საინტერესო ფაქტს ტიმოთე გაბაშვილის ცხოვრებიდან, რომელიც აგრეთვე დაკავშირებული უნდა იყოს ქართლში მომხდარ ამბებთან. ირკვევა, რომ 1755 წლის მიწურულში (დღევანდელ უკანასკნელ დღეებში) ათონზე მისულ ტიმოთეს, ივერიის მონასტრის ბერების რჩევით, განუზრახავს სქიშით შემოსევა და ათონის ივერიის მონასტერში ბერად დარჩენა: „ხოლო ღირსთა მათ მამათა ყვეს კრება და მიმიწოდეს და მირჩევდენ აღთქმასა მონასტერსა. მას შინა და არღარა წარსლვად მუნით თვინიერ იერუსალიმისა, რათა ცქემა შევიმოსო და დავადგრე მუნ. ხოლო მე კეთილად აღმიჩნდა ესე გამორჩევა. და შემოკრბენ გუნდნი მამათანი და წარმიძღვენ წინა და გალობდენ „ღირს არსა“. და ვყავ მეტანია საუკუნო მონასტერსა მას შინა და აღთქმა, რათა არღარა გამოვიდე თვინიერ მონასტრისა სავმარისა და ბრძანებისა ძმათასა. და პირველ აღთქმისა შობად უფლისა მაწვიეს მსხვერპლისა შეწირვად“¹.

ეს ამბები მოხდა სწორედ იმ დროს, როდესაც „მრისხანების ჰუნესა ზედა“ მჯდომი ზაქარია გაბაშვილი დიდი სისასტიკით უსწორდებოდა ანტონ კათალიკოსსა და მის თანამოაზრეებს. ვფიქრობთ, რომ სწორედ ქართლში გართულებულმა მდგომარეობამ და მწვავე იდეოლოგიურმა ბრძოლამ გადააწყვეტინა ტიმოთეს გადაედგა ეს ნაბიჯი, რათა ზაქარიას მრისხანების მსხვერპლი არ გამხდარიყო ქართლში. ტიმოთემ ეს თავისი გადაწყვეტილება წერილობით აცნობა კიდევ ერეკლესა და თეიმურაზს (როგორც უკვე აღენიშნეთ, ებისტოლეს სახით დაწერილი ეს ავტოგრაფი ერეკლესთან და თეიმურაზთან გასაგზავნად იყო ნაწარაუდგვი). მაგრამ იერუსალიმიდან მთაწმიდაზე დაბრუნებულმა დაარღვია აღთქმა, გადაიფიქრა ივერიის მონასტერში დარჩენა, მაგრამ საქართველოში დაბრუნება პირველ ხანებში მაინც ვერ გადაწყვიტა. კონსტანტინეპოლში ჩასულმა ტიმოთემ დაიწყო მოლაპარაკება რუსეთის ელჩ დოლგორუკოვთან, რათა მისი საშუალებით კიევში წასულიყო ჰეჩერის ლავრის მოსახილავად. ამაზე დოლგორუ-

სინოდში გაგზავნილ წერილში ბესარიონი ანტონს თავის ძმას უწოდებს. ანტონი კი ბესარიონ კათალიკოსს თავის მოძღვარს, მასწავლებელსა და მეგობარს. როგორც ჩანს, ბესარიონ კათალიკოსი ერთი იმათგანია, რომელსაც ანტონის მხილებისა და გაძევების შემდეგაც არ შეუცვლია მისდამი დამოკიდებულება (იხ. ანტონ კათალიკოსის წერილი ბესარიონთან: H—2510, 7v).

¹ რედაქტ. და ვარიანტ., გვ. 107, № 23.

კოვისაგან თანხმობაც მიიღო, მაგრამ ავადმყოფობის გამო თავისი განზრახვა ვერ განახორციელა. დოღგორუკოვი უიმისოდ წავიდა რუსეთს, ტიმოთე კი იძულებული იყო საქართველოში დაბრუნებულიყო.

ყველა ზემოთქმულის საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ დროისათვის ქართლში აღზევებული ზაქარია გაბაშვილის ჯგუფი ქართლში დაბრუნებულ ანტონ კათალიკოსის თანამოაზრე ტიმოთეს გულლიად და სიხარულით არ მიიღებდა და არც ეპარქიას დაუბრუნებდა, ამიტომ არ უნდა იყოს სიმართლისაგან დაშორებული პლ. იოსელიანის ცნობაც, რომ „შემდგომად პალესტინისა და საბერძნეთისა მოხილვსა, უკუმოიქცა ქართლადვე 1757 წელსა და დაშთენილმან უეპარხიოდ აღირჩია სადგურად დავით-გარეჯისა უდაბნო და იწოდებოდა, ანუ უწოდებდა თვთ თავსა თვსსა იერუსალიმელად.

რაოდენთა წელთა დაჰყო აქა, არა ჰსჩანს, მხოლოდ დღესცა არს მას მონასტერსა საფლავისა მისისა ქუა, თვთ მისგანვე განზადებული. და დღესცა ძმათა ამა უდაბნოჲსა უწყიან მტკიცედ, რომელ მთავარ-ეპისკოპოსი ტიმოთე, რომელმანცა შეიმზადა თვსდა ქუა საფლავისა, არა არს მუნ დასაფლავებული“¹. მართლაც, ისტორიულ დოკუმენტებში ტიმოთეს დაბრუნების შემდეგაც ქართლის მთავარეპისკოპოსად კირილე ჩანს.

სხვა დოკუმენტები პლ. იოსელიანის ცნობების გასამაგრებლად არ გავაჩნია. ძნელი მისაგნებია ტიმოთე გაბაშვილის საფლავის უწარწერო ქვაც დავით გარეჯის მონასტერში, მაგრამ ეს ცნობა ისე ორგანიულად უკავშირდება ტიმოთეს ცხოვრების ამის წინა და ამის შემდგომ ამბებს, რომ იგი დამაჯერებელი ხდება.

ჩანს, ტიმოთეს ვარაუდი ქართლში მოსალოდნელი უსიამოვნების შესახებ გამართლებულა. ქართლში ჩამოსულს მას ეპარქია არ დაუბრუნდა. ის საზოგადოებრივი და საეკლესიო ცხოვრებიდან გარიყული აღმოჩნდა, რის გამო იძულებული იყო დავით-გარეჯის მონასტრის კედლებისათვის შეეფარებინა თავი. ამის თაობაზე ტიმოთე, გაკვრით, ყიზლარის ციხის კომენდანტთან გაგზავნილ განცხადებაშიც წერს: „По выздоровлению чрез отечество мое в Россию следовал и претерпел крайни напасти“.

¹ მოხილვა, გვ. 6.

ტიმოთემ რომ თავის თანამემამულეებზე გულნატკენმა და ტოვა ქართლი, ამას „მიმოსღვის“ უკანასკნელი D ავტოგრაფული ხელნაწერიც მოწმობს. ეს ხელნაწერი ტიმოთემ საქართველოდან წასვლის შემდეგ, 1760-იან წლებში გადააწერინა. ნაწილი თითონ დაწერა. ხოლო შემდეგ მთელი ხელნაწერი თავისი ხელით ჩაასწორა. ხელნაწერის ტექსტის სწორების პროცესში ტიმოთეს საგანგებოდ ამოუშლია „მიმოსღვაში“ რამდენჯერმე მოხსენიებული ერეკლე II-ისა და თეიმურაზ II-ის სახელები¹.

საფიქრებელია, რომ „მიმოსღვის“ ტექსტიდან ერეკლესა და თეიმურაზის სახელების ამოშლა, ისევე როგორც შორეული და ხანგრძლივი მოგზაურობიდან ქართლში ახლად დაბრუნებული ტიმოთეს ხელმეორედ სამშობლოდან გადახვეწა, შემთხვევითი არ იყო და მას თავისი ღრმა მიზეზები ჰქონდა. ამის ახსნა უნდა ვეძებოთ იმ გამწვავებულს იდეოლოგიურ ბრძოლაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა XVIII საუკუნის სამოციანი წლების ქართლში.

საფიქრებელია, რომ ერეკლემ ვერ დაიცვა ტიმოთე აღზევებული ზაქარიასგან ისევე, როგორც უფრო ადრე ვერ დაიცვა ანტონ პირველი. თეიმურაზ მეორე კი ტიმოთესათვის ცუდი ქომაგი იყო, ვინაიდან იგი ზაქარიას ინსპირებული და მისივე მომხრე იყო.

შესაძლოა, ერეკლე არც ტიმოთე გაბაშვილის მოგზაურობის დიპლომატიურმა და პოლიტიკურმა შედეგებმა დააკმაყოფილა და ესეც გახდა კონფლიქტის ერთ-ერთი მიზეზი.

6

1761 წლის დეკემბრის დამლევს ტიმოთე თავისი ოთხი მხლებლითურთ ტოვებს ქართლს და მიდის რუსეთში. 1762 წლის იანვარში ტიმოთე ყიზლარშია.

ყიზლარში ჩასულმა ტიმოთემ დაიწყო ზრუნვა იმაზე, რომ მისთვის რუსეთში ცხოვრების უფლება მიეცათ, მაგრამ ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა, ვინაიდან რუსეთის იმპერატორის 1762 წლის 16 თებერვლისა და 21 მარტის ბრძანებულებების თანახმად აიკრძალა საზღვარგარეთიდან, ე. ი. საქართველოდანაც, ჩასული ბერების რუსეთში მიღება და მათი მოწყობა რუსულ მონასტრებში. ტიმოთემ ნებართვის მისაღებად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვრცელი განცხადებები გაგზავნა საგარეო საქმეთა კოლეგიასა და

¹ რედაქც. და ვარიანტ., გვ. 107, № 23.

სინოდში. ტიმოთეს ეხმარებოდნენ და თავის მხრივ შეკითხვებსა და შუამდგომლობებს აგზავნიდნენ ყიზლარის ციხის კომენდანტი და ასტრახანის ეპისკოპოსი მეთოდე. საგარეო საქმეთა კოლეგიამ ტიმოთეს საქმე განსახილველად სინოდს გადასცა. 1762 წლის ოციდეკემბრის სინოდის ბრძანებულების თანახმად, ტიმოთესა და მის ამაღლას დაენიშნა ჯამაგირი და საცხოვრებელ ადგილად ასტრახანი მიეჩინა¹.

ტიმოთეს არ დაუყოვნებია ყიზლარიდან ასტრახანში გადასვლა.

ასტრახანის ეპისკოპოზმა მეთოდიმ ტიმოთესა და მის ამაღლას ასტრახანში საცხოვრებელ ადგილად მაცხოვრის ფერისცვალების მონასტერი მიუჩინა. ასტრახანში ამ დროს საკმაო რაოდენობით ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ქართველები. ტიმოთემ და მისმა მხლებლებმა მკიდრო კავშირი დაამყარეს ადგილობრივ ქართველებთან. ამას მოწმობს ერთი დოკუმენტი, საიდანაც ვგებულობთ, რომ ასტრახანში ყოფნის დროს ტიმოთეს საბა მთავარ დიაკვანისათვის ორი ქართული ხელნაწერი წიგნი გადაუცია, რათა მას ამ წიგნებით იქაური ქართველი ბავშვები განესწავლა².

ღრმად მოხუცებული ტიმოთესათვის მოგზაურობა ყიზლარიდან ასტრახანამდე საბედისწერო შეიქნა. მგზავრობის მძიმე პირობებმა, ასტრახანის ჰავამა და უსახსრობამ საბოლოოდ დაასწეულა და მოტეხა ტიმოთე.

1763 წლის ივნისში ტიმოთე კვლავ აგზავნის განცხადებას ასტრახანის ეპისკოპოზის სახელზე, სადაც ის აღწერს თავის ხელმოკლეობასა და ფიზიკურ უძლურებას, და მოითხოვს, რომ მას ჯამა-

¹ „По указу её императорского величества святейший Правительствующий Синод приказал: предреченному митрополиту Тимофею с его свитою, а именно с одним архимандритом, одним нероднякомом и двумя церковниками из Кизляра в Астрахань приехать дозволить, которым для жительства вашему преосвященству определить келли в монастыре по своему рассмотрению, священнослужение отправлять с дозволения вашего преосвященства и о том к вашему преосвященству о включении их в грузинский штат и о произвождении им по положенным окладом жалованья в штат-контору, а в пропуск их из Кизляра в Астрахань,—в Астраханскую канцелярию и для ведома в Иностранную коллегию послать указы“.

² აქვე, გვ. 125, სქ. 2.

გირი მისცენ საქართველოდან წამოსვლის დღიდან, რათა ამით მაინც გამოისწოროს თავისი ყოველმხრივ შერყეული მდგომარეობა¹.

1764 წლის 5 მარტს სინოდში გაგზავნილი ტიმოტეს განცხადებით ვგებულობთ, რომ მას და მის ამაღლას ამ დროისათვის უკვე დანიშნული აქვთ ჯამაგირები, მაგრამ ამან ვერ აღადგინა ტიმოტეს ჯანმრთელობა. განსაკუთრებით უმძიმდა ტიმოტეს ასტრახანის ჰავის ატანა. ამიტომ მან კვლავ გააგზავნა თხოვნა სინოდში, რათა მისთვის საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის ნება დაერთოთ².

¹ „Всепокорнейше прошу, дабы благовелено было мне именованному с свитою моею и с служительми за совершенною мяю от такого дального отъезда в Астрахань, и за непронзвождением как мне именованному с свитою моею, так и служителей моих жалованья, по совершенной глубокой моей старости пришел в скудность, то уже не от куда я дневной пищи себе не имею, и о том прошу вашего преосвященства о определении и о произвождении со отъезда моего из Милитин в Россию с прошлого 1761 года, декабря, откуда благоволено будет представить доношением, дабы я не мог, за производством не откуда себе жалованья, притти в великую нищету и скудность и о том требую от вашего преосвященства милостивой резолюции“. ЦГИА.Т-ის ზემოთ დასახელებული საქმე, ფ. 30.

² „Указ о получении жалованья получил (о чем имею вашему святейшеству принести за такое мене убогому неоставление покорнейшее со усердием благодарствование), при чем изображено, чтоб мне быть безотлучно в в городе Астрахани по состоявшемуся в то время от бывшего императора Петра Федоровича указу, чтоб всех приезжающих иностранных и других народа земель в Россию не впускать, також и из России в другие земли не пропускать, и по объявлении оногo указа, более потом ваше сиятельство о пропуске меня смиренного вверх и утрудять не смел (а из Милитинской земли в России других кроме меня никого не имеется), а я смиренный уже в то время находился в России, в городе Астрахани, от получения указа мне о жалованье чрез год во отведенных астраханским преосвященным Мефодием епископом в Спасопреображенском монастыре кельях, где и пребывание имею, но за неиривичностию моею к здешнему в низовом месте тяжкому от морского воздуху при нынешней моей древности и тяжелой болезни претерпеваю всекрайнюю нужду и во всем ошущаю телеси тяжесть, причем всепокорнейше вашему святейшеству имею предложить: прошлого 763 года прибывший в Астрахань из Грузии архимандрит Игнатий чрез краткое время от воздуха при мне умер, почему и я нахожусь от ежедневных припадков не без сумнения. Того ради святейшего Правительствующего Синода всепокорнейше прошу, за показанным тяжкого воздуха мне в болезни моей приключения и за протчими неспособности благоволеноб

ტიმოთეს განცხადების საპასუხოდ სინოდმა მას ნება დართო ასტრახანიდან მოსკოვში გამგზავრებულიყო, მაგრამ ეს თავისი დიდი ხნის ოცნება ტიმოთემ ვეღარ განახორციელა, ამავე წლის ივლისის თვეში იგი გარდაიცვალა. 1764 წელს სინოდში გაგზავნილი ცნობიდან ვგებულობთ ტიმოთეს გარდაცვალების ამბავს: „Понеже мишувшего июля, против двадцать осмого числа приежавшей из Грузии грузинской митрополит Тимофей Кутаинский, будучи здесь в Спасопреображенском монастыре, от приключившие ему по воле божией параличнoй болезни умре, которoй мною богомольцем со всем освященным собором тогож июля 29 числа в астраханском Успенском соборе и погребен“¹.

ტიმოთე გაბაშვილის გარდაცვალების შემდეგ მისი საკუთარი ნივთები მეთოდი ეპისკოპოსის განკარგულებით აიწერა. სია გადაიგზავნა სინოდში, ხოლო ნივთები გადაეცა ტიმოთეს ამალის ერთ-ერთ წევრს არქიმანდრიტ ალათონს².

было меня, низжайшего богомольца своего, святейшим Правительствующим Синодом с моею свитой для легчайшего в верховом месте воздуха, а болезни моей уповаю получить отвагу, уволить вверх и по сему моему доношению милостивое решение учинить“. ЦГИАЛ-ის დასახელებული საქმე, ფ. 33.

¹ ЦГИАЛ-ის დასახელებული საქმე, ფ. 50.

² ნივთების აღწერის სია მოგვეყვას სრულად, ვინაიდან იგი ასახავს ტიმოთეს მწიგნობრულ ინტერესებს და ქონებრივ მდგომარეობას მისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში: «Опись после умершего пресвященного митрополита кутаинского и милитинского Тимофея церковной утвари его собственной пажити.

А и м е н н о:

Шапка из зеленого бархату, опушена горностаем, наверху крест чеканной медной, обнизан половинчатыми зернами вокруг.

По сторонам четыре креста под коронами серебряны вызолоченные, с разными простыми каменьями и местами половинчатые зерна.

Поверх опушки горностаевой вокруг обнизано разноцветными простыми каменьями и половинчатыми зернами.

Сакас черной, полуобъяринной, старой, на оплечье с золотом и серебром кружево, на боках в один ряд и по подолу в два ряда сетка серебряная ветхая с восьмью малыми пуговицами серебряными.

Поручи парчевые ветхие с сеткою с разными шелковыми цветами с шестью малыми серебряными пуговицами.

Мантия полуобъяринная черная с источниками и два креста, шитые мишурю ветхой.

როგორც ვხედავთ, ჩვენს ხელთ არსებული მცირერიცხოვანი ცნობების მიხედვითაც ტიმოთეს თავგადასავალით მდიდარი და მღელვარე ცხოვრება გაუტარებია.

XVIII საუკუნის ოცდაათიან წლებში ტიმოთე დავით გარეჯის უდაბნოს მორჩილია, თანამედროვე და თანამოღვაწე ბესარიონ ორბელიშვილისა, განათლებული მწიგნობარი, ღვთისმეტყველებასა და ფილოსოფიას დაწაფებული. ამ დროს გადანუსხა ტიმოთე გაბაშვილმა ბესარიონ გაბაშვილის „გრდემლი“. დავითი გარეჯის უდაბნოს შემდეგ ტიმოთე იმერეთში მოჩანს.

Пара тряпкирии медные.

Три клобука черных, креповые, из оных один старой. Ряска одна из монателанова сукна с подбоем на полах качатным вышневым, ветхая.

Посох деревянной черной с костяным верхом белым и двумя яблоками с ширинкою базовою.

Другой посох архимандричей деревянной черной под лаком.

Две сумки, в одной рукописные письма на грузинском диалекте, а другая с четками.

Чашечка серебряная чихирная с подвеском.

Книга большая писменная на грузинском диалекте. Книга большая печатная Библия на грузинском диалекте.

Псалтырь греческая маленькая.

Четыре осьмушные книги греческие.

Служебник греческой.

Синописис на греческом языке.

Описание иерусалимских мест на греческом языке с приложением кунштов.

Книга болшая печатная на грузинском языке.

рукою его преосвященства писма на грузинском диалекте.

Орарь отласной голубой с мишурным красным псаументом.

Евангелие на грузинском диалекте печатное, без оклады в простом переплете.

Два ковра малые по красной земле с белой шерстью.

Платок белой, в котором завязаны разные рукописные собственной рукою его преосвященства писма на грузинском диалекте.

Две книги на грузинском диалекте, десь, которые отданы при жизни еще его преосвященства грузинскому иеродиакону Савве для обучения детей.

Апостол печатной на грузинском диалекте.

Актоих печатной же на грузинском диалекте, отданы ему ж при жизни его преосвященства.

იმერეთში ტიმოთე აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისი მრავალმხრივი განათლება, ენების ცოდნა და დახელოვნება ტოპოგრაფიულ საქმიანობაში ალექსანდრე V-მ თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენა. ტიმოთე გაბაშვილი ალექსანდრე V-სთან ერთად ადგენდა რუსეთის სამხედრო ძალების დახმარებით დასავლეთ საქართველოს თურქებისაგან განთავისუფლების გეგმას და ამ გეგმისათვის სამხედრო-სტრატეგიულ რუკას. ამ მასალით წარდგა ტიმოთე რუსეთის იმპერატორის წინაშე 1738 წელს.

ტიმოთეს ელჩობა და დიპლომატიური საქმიანობა რუსეთში მოწმობს, რომ ტიმოთე თავისი დროის პროგრესული მოღვაწე და პოლიტიკოსი იყო. ის შესანიშნავად ხედავდა, რომ თურქეთის გაძლიერებასთან ერთად, იზრდებოდა იმერეთის ეროვნული გადაგვარების საფრთხე, და რომ თურქეთის გაძლიერებული მადის შეკვეცა იმ დროს მხოლოდ რუსეთს შეეძლო. ხსნა მხოლოდ რუსეთთან კავშირში იყო.

რუსეთ-თურქეთის (1736—1739 წლების) ომის მსვლელობამ და თურქეთთან დადებულმა ზავმა ხელი შეუშალა იმერთა მეფის ალექსანდრეს გეგმების განხორციელებას.

1740 წელს ალექსანდრე იმერთა მეფისათვის განკუთვნილი წერილითა და საჩუქრებით ტიმოთე იმერეთისაკენ გამოემგზავრა. მძიმე და სახიფათო იყო მგზავრობა პეტერბურგიდან იმერეთამდე.

Пуховик в тиковой наволоке.

Подушка у которой одна половинка наволочки триповая полосатая.

Одеяло выбойчатое травчатое.

Шуба лисья старая, покрыта сукном.

Тулуп черной бараней, ничем не покрыт.

Палас синей суконной, старая.

Белая подушка одна в холстинной наволочке.

Полушубок лисей, покрытой сукном красным, старой.

Дорожная кошменная епанча серая.

Медной посуды:

Один котлик медной небольшой, круглой с крышкою.

Одна кострулка с ручкою и крышкою.

Одна малая кострулка с ручкою без крышки.

Рукомойник медной да лохань м с крышкою, небольшая.

Чашник черной с крышкою небольшой.

Одно блюдо глубокое, да шесть тарелок оловянные, две пары чашку чайных фарфоровых да одна пара красная худая.

Дошечка медная». ЦГИАЛ-ის დასახელებული საქმე, ფფ. 51—55.

იმერეთში მან მხოლოდ 1742 წლის მიწურულს ჩააღწია. იქ ის დაუბრუნდა თავის ეპარქიას და 1747 წლამდე როგორც ქუთათელი მოღვაწეობდა. 1749 წელს ტიმოთე უკვე ქართლშია. ამ წელს ანტონ პირველის განკარგულებით მას ბოლნისის სამწყსოს კულუხი და ღალა უბოძეს. ამ დროისათვის ტიმოთეს ეპარქია არ ებარა. 1753 წელს ტიმოთე განაგებდა გორისა და სამთავროს საეკლესიო საქმეებს. 1753—1755 წლებში ტიმოთე ქართლის მთავარეპისკოპოსია. ქართლში ტიმოთე აქტიურად იყო ჩაბმული ქვეყნის საზოგადოებრივსა და კულტურულ ცხოვრებაში, როგორც ანტონ პირველის უახლოესი თანამოღვაწე და თანამოაზრე. 1755 წლის გაზაფხულზე ტიმოთე გაბაშვილი ერეკლე მეორის, თეიმურაზ მეორისა და ანტონ პირველის ხელშეწყობითა და დავალებებით „წმიდა ადგილთა“ მოსახილველად გაემგზავრა. მოგზაურობაში ტიმოთემ ოთხი წელი დაჰყო. ამ მოგზაურობის ერთგვარ წერილობით ანგარიშს წარმოადგენს „მიმოსლვა“. „მიმოსლვის“ ტექსტის ანალიზი მოწმობს, რომ მის ავტორს ამ მოგზაურობაში მარტო „წმიდა ადგილები“ როდი იზიდავდა.

ტიმოთეს მოგზაურობისას ორი მთავარი მიზანი ჰქონდა დასახული პირველი—სამხედრო-პოლიტიკური დაზვერვები თურქეთის ტერიტორიაზე (ამ მხრივ ტიმოთე აგრძელებდა იმ ანტითურქულ საქმიანობას, რომელსაც ის ჯერ იმერეთში, ხოლო შემდეგ რუსეთში ეწეოდა). და მეორე—ათონსა და იერუსალიმში ქართული კულტურის უძველესი კერების ნახვა, არქეოლოგიური მუშაობის შედეგად ისტორიული ზასალის მოპოვება და ამ კერების ისტორიის დაწერა.

1759 წელს ტიმოთე ბრუნდება მოგზაურობიდან ქართლში. ტიმოთეს მოგზაურობის დროს ქართლში დიდი საზოგადოებრივი ხასიათის ცვლილებები მოხდა. ძლიერი იდეოლოგიური ბრძოლის შედეგად ქართლიდან გაძევებულ იქნა ეკლესიის მესაქე ანტონ კათალიკოსი და იდეოლოგიური ფრონტის მესვეურობა ზაქარია გაბაშვილმა იკისრა. ქართლში ტიმოთემ ვერც ეპარქია დაიბრუნა და ვერც მყუდრო ცხოვრება მოიპოვა. 1761 წლის დეკემბერს ტიმოთემ მიატოვა ქართლი და გაემგზავრა რუსეთს. 1764 წ. იგი ასტრახანში მიიყვალა.

ტიმოთეს ლიტერატურული საქმიანობა ძირითადად ქართლში გაიშალა. 1748—1749 წლებში იმერეთიდან ქართლში ჩამო-

სული ტიმოთე ენერგიულად ჩაება ქართლის საზოგადოებრივსა და კულტურულ ცხოვრებაში. ქართლ-კახეთის იდეოლოგიურსა და კულტურულ ცხოვრებას ამ დროს ანტონ პირველი მესვეურობდა. ანტონმა თავის გარშემო შემოიკრიბა განათლებული პირები: ფილოსოფოსები, მწერლები, მთარგმელები და მათთან ერთად ახორციელებდა თავის ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო გეგმებს. განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა ქართლსა და კახეთში სასკოლო მუშაობა. ერეკლე ნეფის მხარდაჭერით ანტონ პირველმა განიზრახა თბილისსა და თელავში სკოლების გახსნა. ამისათვის კი საჭირო იყო წინასწარი მუშაობის ჩატარება: სასწავლო სახელმძღვანელოების დაწერა თუ თარგმნა, მოძღვართა და მასწავლებელთა მომზადება, იმ მიღწევების გაცნობა, რაც გააჩნდათ ამ დარგში რუსეთსა და ევროპას. ანტონის სასწავლო-საგანმანათლებლო გეგმის განხორციელებაში ტიმოთესაც მიუძღვის გარკვეული ღვაწლი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სასწავლო მიზნით უნდა დაეწერა ტიმოთეს თავისი „მარწუხი“. „მარწუხი“ წარმოადგენს ერთგვარ ქრესტომათიას, თუ საცნობარო წიგნს ქრისტიანულ დოგმატიკაში. ის შეიცავს ცნობებს შვიდი მსოფლიო კრების შესახებ. წიგნში შვიდივე კრება ერთი და იმავე სქემით არის განხილული: იწყება იმ დროისა და ვითარების აღწერით, რომელშიც მიმდინარეობდა ესა თუ ის კრება; შემდეგ ავტორი გადმოგვცემს იმ მწვალებლობის დედა აზრს, რომელიც მსოფლიო კრებაზე იყო განხილული, ამასთან დაკავშირებით მოტანილია ექსცერპტები მწვალებლების თხზულებებიდან და, ბოლოს,—მწვალებლური დებულებების დამარღვეველი ციტატები საღმრთო წერილიდან და წმინდა მამათა ნაწერებიდან. წიგნის მარტივი გეგმა და სადა ენა, მოკლებული რიტორიკულსა და სქოლასტიკურ ლელარქნილობას (რომელიც ახასიათებს ტიმოთეს დოგმატიკური ხასიათის სხვა ნაშრომს), და წიგნის მიზანი გვაფიქრებინებს, რომ იგი სასწავლო წიგნად იყო დაწერილი. ამაზე ერთგვარად თვითონ ავტორიც მიუთითებს „მარწუხის“ წინასიტყვაობის ბოლოს, როდესაც მიმართავს წიგნის მკითხველს: „აწ, ყრმანო საქართველოსანო¹, ისწავლიდეთ რაჲ და იკითხვიდეთ, უცებად მჩხრეკელისა ქსენებასა ნუ უგულებელს ყოფთ“².

¹ ხელნაწერ A—120-ში სწერია: „აწ, მამანო საქართველოსანო“. აქ ადრესატი გაურკვეველია. ჩვენი აზრით, კონტექსტს „ყრმანო“ უფრო უხდება, მით უმეტეს, რომ აქ ავტორი ადრესატს სწავლისაკენ მოუწოდებს, რაც ყრმებს უფრო შეეფერება, ვინემ მამებს.

² ხელნაწ. A—119, გვ. 4.

ამგვარი წიგნის დაწერა მით უფრო აუცილებელი იყო, რომ ტიმოთეს თქმით ანალოგიური ნაშრომები საქართველოში აღარ მოიპოვებოდა: „მრავალგანთქმული ესე მართლმადიდებლობითა დიდი ივერა მრავალ გზის წარმართ[თ]ა ოჯრებითა შემციირებულ იყო ამა წიგნთაგან და ეკლესიათანი საგანძურნი დაცარიელებულ იყვნეს საღმთოფათა წერილთაგან, და კრებისა ესე წიგნი სრულე-ბით არღარა სადა იპოვებოდა“¹.

ქართლში დაწყებული სასწავლო-საგანმანათლებლო მუშაობა ტიმოთეს არც ასტრახანში შეუწყვეტია. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ასტრახანში ყოფნისას ტიმოთემ ერთ-ერთ თავის მხლებელს, არქიდიაკვან საბას, გადასცა ორი ხელნაწერი წიგნი ასტრახანში მცხოვრებ ქართველ ბავშვთა განსწავლისათვის².

ტიმოთე მარტო პრაქტიკული საქმიანობით როდი იყო დაკავშირებული. ანტონ კათალიკოსთან. ფილოსოფიასა და ლეთისმეტყველებაში დიდად განათლებულ მღვდელწათავარს აძლევდა ანტონი თავის ფილოსოფიურსა და დოგმატიკური ხასიათის თხზულებებს განსახილავად და შესაფასებლად³.

¹ A—120, 2v. „მარწუხი“ დაწერილი უნდა იყოს 1753 წელს. ამას გვაფიქრებინებს „მარწუხის“ ერთი ნუსხის (A—870) ანდერძი. „მარწუხის“ ავტორადფულ ხელნაწერს ჩვენამდე არ მოუღწევია. ცნობილია „მარწუხის“ ორი ძველი ხელნაწერი, ორივე გადაწერილია ვინმე ქრისტეფორეს მიერ. ერთ მათგანს (A—120) გააჩნია 1753 წლის მინაწერი, ამიტომ ზელნაწერი ამ თარიღზე გვიან ვერ დაიწერებოდა. ხელნაწერ A—870-ს, რომელიც აგრეთვე ქრისტეფორეს დაწერილია, გააჩნია ანდერძი: „აღიწერა და სრულ იქმნა სამლოთ ესე „მარწუხი“ წელსა 1753, დღესა მაისსა 30, საქართველოსა ზედან მეფობასა ცხებით გვრგვონისა მეფის ერეკლესა, ძისა თეიმურაზისა ზე და ძისა მათისა კახთა მეფისა ერეკლესასა საქართველოსა მამამთავრისა და უფროსად პატრიარქისა ანტონი მეფის იესეს ძისათა, მშრომელისა მმუშაკებელისა ქუთათელ მიტროპოლიტ ყოფილისა და ქართლის არქიეპისკოპოსის ტიმოთესსა“ (112r). ანდერძში თარიღის მესამე ციფრი გაურკვეველადაა დაწერილი, გავს ხუთიანსაც, სამიანსაც და შვიდიანსაც. ეს თარიღი მ. ჯანაშვილს ანოუკითხავს 1773 წლად (იხ. Описание рукописей Церковного Музея, წიგნი III, გვ. 111). მაგრამ ეს შეუძლებელი თარიღია ვინაიდან წიგნი დაწერილია თეიმურაზ II-ის ხეობაში. ხოლო ამ წელს თეიმურაზი და ტიმოთე გარდაცვლილნი იყვნენ.

² აქვე, გვ. 0122.

³ ტიმოთემ დაურთო შესავალი ანტონ I-ის „სპეკალს“ (A—1743) და ბოლოსიტყვაობა „მზამეტყველებას“ (იხ. მზამეტყველება, ქმნილი ანტონ I საქართველოს კათალიკოსისაგან, გამოცემული პ. კარბელაოვის რედაქციით, თბილისი, 1892).

ლიტერატურული პროდუქციის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი პერიოდი ტიმოთეს ცხოვრებაში თურქეთსა და პალესტინაში მოგზაურობის წლები იყო. მოგზაურობის დროს ტიმოთემ დაწერა სამი თხზულება: 1. „მიმოსლვა“—მოგზაურობის ენარის ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის თხზულება. 2. „გარდამოცემული ერთობისათვის და სიყვარულისა წმიდათა ეკლესიათასა სარწმუნოებასა შინა ქრისტიანეთასა აღმომდინარისა მის ტკბილნაკადულისა წყაროსა, განწმედილ გულისკმის ყოფათასა წმიდათა წერილთაგან, ვითარცა ძალ მედვა აღმოვსება, გაუწყეთ ელვა-მკრთომარე და ქეშმარიტი მცხინეარება სარწმუნოებისა ჩვენისა“,—დოგმატიკურ-პოლემიკური სასიათის თხზულება. 3. „დღესასწაულისათვის უფროსად კურთხეულისა და დიდებულისა დედოფლისა ჩუენისა ღმთისმშობელისა მარიამისა“—ღმთისმშობლის დღესასწაულზე სათქმელი სიტყვა თუ ქადაგება.

სამივე თხზულების წერა ტიმოთემ კონსტანტინეპოლსა და ათონზე დაიწყო, ხოლო მათ გავრცობა-შესწორებაზე სიცოცხლის ბოლო წლებამდე მუშაობდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოგზაურობის დროს დაწერილი ეს სამივე თხზულება ტიმოთეს ერთ კრებულად შეუკრავს და მისთვის ერთი საერთო შესავალი წაუძღვარებია. ტიმოთეს თხზულებათა ამ კრებულს შემდგდროინდელი ქართველი მოღვაწენი „ტიმოთიანს“ უწოდებდნენ. „ტიმოთიანში“ თავი იჩინა ავტორის ფართო განათლებამ და ძლიერმა პატრიოტულმა სულისკვეთებამ. ავტორი სამივე თხზულებისათვის სარგებლობდა როგორც სპეციალური ფილოსოფიური¹ და საღვთისმეტყველო ლიტერატურით, ასევე მრავალრიცხოვანი ზეპირი ცნობებით, რომლებიც მან მოგზაურობისას პატრიარქებთან, სხოლარებთან და „სიბრძნის კაცებთან“ საუბრებისა და სიტყვისგების დროს მოიპოვა. „ტიმოთიანის“ სამივე თხზულებას, მიუხედავად განსხვავებული ლიტერატურული ხასიათისა და დანიშნულებისა, ერთი საერთო მიზანი აერთიანებს: სამივე დაწერილია „ერის სარგებელად“ და გამსჭვალულია ანტი-მაჰმადიანური სულისკვეთებით. ამგვარად, ტიმოთე თავის ლიტერატურულ საქმიანობაშიც იცავდა იმავე პოლიტიკურსა და საზო-

¹ ამ თვალსაზრისით საინტერესოა „გარდამოცემულის“ ის ნაწილი, სადაც ავტორი იხილავს წარმართული სარწმუნოების ფილოსოფიურ საფუძვლებს. აქ ავტორი გადმოგვცემს დემოკრიტეს, ეპიკურეს, პლატონის, არისტოტელესა და სხვათა შეხედულებებს „არსთა ქმნილებაზე“.

გადობრივ შეხედულებებს, რასაც ახორციელებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

„მიმოსღვის“ მთელ მანძილზე ტიმოთე ყოველ მოსახერხებელ შემთხვევაში ცდილობს დაანახოს მკითხველს, თუ რამდენად არიან ქრისტიანული სახელმწიფოები და ქრისტიანული ეკლესია შევიწროებული თურქეთის იმპერიის საზღვრებში. იგივე გეზი აქვს აღებული ავტორს „ტიმოთიანის“ დანარჩენ ორ თხზულებაშიც.

„გარდამოცემულში“ ავტორი ვრცლად იხილავს სხვადასხვა სახის მწვალებლობებსა და სარწმუნოებრივ სისტემებს. თხზულების მეცხრე თავში კი საგანგებოდ ეხება მაჰმადიანობის რაობას. მაჰმადიანობა ტიმოთეს „უცხო“ სარწმუნოებათა შორის ყველაზე დიდ ბოროტებად მიაჩნია, „რამეთუ აგარიანთა მთავართა და ამირათა დაიპყრეს ქვეყნისა მრავალი ნაწილი და უმეტეს აზია და აფრიკა... მაჰმადის ცრუ მოძღვრება განისმა ყოველსა სოფელსა“¹. საქართველოსაც ტიმოთეს აზრით პოლიტიკურისა და კულტურული თვალსაზრისით ყველაზე დიდი საფრთხე აქედან მოელოდა, რის გამოც მან მაჰმადიანობის განქიქებას დიდი ადგილი დაუთმო.

„აგარიანთა“ წინააღმდეგ მიმართულ პოლემიკაში ტიმოთემ უარყო სარწმუნოების დოგმატიკურ-ფილოსოფიური ანალიზის მეთოდი, რომელსაც ის სხვა შემთხვევებში მიმართავდა, და აირჩია პოლემიკის უფრო მარტივი და თვალსაჩინო ხერხი: „აგარიანთა თანა სიტყვისგება ძალითა წერილთათა და სჯულისათა არა ეგების, რამეთუ სიტყვით აღიარებენ, ვითარმედ სახარება ქრისტესი ქეშმარტიია და საქმით უარყოფენ, ეგრეთვე საღმთოთა წერილთა. ანუ რაჲმე სიტყვა უგოთ მათ, განიცადეთ ცხოვრება და მოძღვრება მოციქულისა მათისა მაჰმადისი, თუ ვითარი იყო და ვითარისა საქმისა მოქმედი“, —წერს ტიმოთე და ამის შემდეგ ბოკაჩიოსათვის დამახასიათებელი მოურიდებლობითა და ნატურალიზმით აღწერს რამდენიმე ეპიზოდს მუჰამედისა და ფატმანის ცხოვრებიდან. მღვდელმთავრისათვის შეუფერებელი პორნოგრაფიული ამბების გადმოცემისათვის ტიმოთე რამდენიმე გზის იხდის ბოდიშს, მაგრამ ამ ფაქტების მოტანა მაინც სიჭიროდ მიაჩნია: „არა მნებაეს აღწერა მათისა მოძღვრებისა, ენა შეიგინების და სასმენელნი შეიგინებიან, არამედ სარგებელად ერისა ვიტყოდით, კეთილ არს და ქეშმარტი, ანუ ბოროტ თუ სიცრუვე, თვითვე განარჩევენ“².

¹ C, 203v—204r.

² A, 100v.

ტიმოთე მსგავსად იოვანე საბანიძისა ხედავს, რომ ძლიერია-
„აგარიანთა“ საცდური მუსლიმანურ გარემოცვაში მომწყვედულ-
და მუდამ მუსლიმანურ სახელმწიფოთა აგრესიის შიშის ქვეშ
მყოფი ქართველი ხალხისათვის. მან ისიც იცის, რომ „უმეცარნი“
ადვილად ეგებიან მაცდურობის ანკესზე, ამიტომ ბრძოლის ყველაზე
ეფექტურ საშუალებად მას მხილება მიაჩნია. მხილებისათვის კი ის
არ ზოგავს არც ღვარძლსა და არც ძლიერ გამოთქმებს, რათა-
„უმეცარნი და უწიგნონი ხედვიდნენ რა მათ (მაჰმადიანთ),
რამეთუ მდიდროან და სოფელთა შინა მთავრობენ და კელ-
მწიფობენ, არა დაბრკოლდებოდინან დღეკეთილობისათვის მა-
თისა, არამედ ქეშმარიტად ბეცნიერ იყვნენ საქმეთა მათთა და.
სჯულისდებათა... ხოლო სიცრუვისა და ზღაპრობისა მათისა.
თხრობათა ჯერ არს აღწერად, რათა მსმენელნი გულად ილებდენ-
და სცნან ქეშმარიტი, თუ ვითარნიმე არს“¹.

მუსლიმან აგრესორებისადმი დიდი სიძულვილი გამოსჰვი-
ვის „ტიმოთიანის“ მესამე თხზულებაში: „დღესასწაულისათჳს...
ღმთისმშობლისა მარიამისა“. განსაკუთრებით საინტერესოა ამ
თვალსაზრისით საკითხავის ბოლო ნაწილი, რომელსაც ავტორი-
ლოცვას უწოდებს. ლოცვა წარმოადგენს ღვთისმშობლისადმი მი-
მართულ ვედრებას საქართველოს ხსნისათვის. ვედრება შეიცავს
XVIII საუკუნის პირველ ნახევარში სპარს-ოსმალ-ლექთაგან აოხ-
რებული საქართველოს მდგომარეობის აღწერასაც. ავტორს მიაჩ-
ნია, რომ სპარს-ოსმალ-ლექთა სახით საქართველოს ღვთის რის-
ხვა მოევლინა. ღვთის რისხვა კი ქართველთა შორის ცოდვათა
გამრავლებამ გამოიწვია. ამის გამო ტიმოთე ჩამოთვლის და ამ-
ხელს მის დროს გავრცელებულ უწესობებსა და ცოდვებს².

მხილებას მოსდევს ვედრება ღვთისმშობლისადმი, რათა მან
იხსნას საქართველო „ქირისა და მწუხარებისაგან“, გააძლიეროს
მეფე თეიმურაზისა და ერეკლეს მკლავნი და შეეწიოს „მტერთა-
ძლევასა ზედა“. მეოხად ტიმოთე იწვევს ქართველ წმინდანებს,
როგორც ცნობილებს, აგრეთვე იმათ, „რომელი ჩვენ არა უწყით,
და კვალად რომელი ცოდვამან ჩვენმან მოსრნა და ტყვე ყო-
სპარსთა, თურქთა და ამა ლექთაგან“³.

¹ A, 92r-v. ამ თავში ტიმოთეს, გარდა ყურანისა და ზეპირად მოს-
მენილი გადმოცემებისა, მის მიერ ნახული ამბებიც გამოუყენებია: მაჰმადიანთა ამ-
პარტავნების ნიმუშად ტიმოთეს აღწერილი აქვს სულთნის სახეიმო გამოსვლა და
მსგელობა ისეთი დეტალებით, რომ აშკარაა, ამის მხილველი თვითონ იქნებოდა.

² B, 253r—259v.

³ იქვე, 258r.

ტიმოთეს ეს ლოცვა, სადაც პატრიოტულ-პოლიტიკური მოწოდებები პროვიდენციალიზმთან არის შეზავებული, მეტად დამახასიათებელია XVIII საუკუნის მოღვაწეთა მსოფლმხედველობისათვის. პროვიდენციალიზმი, რომელიც განსაკუთრებით ვრცელდებოდა ქვეყნის „წახდენისა“ და „უამთა სიავის“ დროს, საეკლესიო მოღვაწეთათვის ხშირად აუცილებელი ფორმა იყო, რომლის იქით იმალებოდა. მღელვარე, მოქმედი პატრიოტი. ამ მხრივ ტიმოთე თავისი დროისა და თავისი წოდების ტიპური წარმომადგენელი იყო.

ტიმოთე ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებაში ღრმად განსწავლული ადამიანია. მის ფილოსოფიურ განათლებას მოწმობს ის დიდი შრომა, რომელიც მას ჩაუტარებია იოანე დამასკელის „გარდამოცემას“ ნაბეჭდ წიგნზე¹ და პროკლე დიადოხოსის „კავშირის“ ქართულ თარგმანებზე.

ტიმოთე გასცნობია იოანე დამასკელის ნაბეჭდი გამოცემის ერთ-ერთ ცალს და წიგნის² თავისუფალ გვერდებსა და კიდევზე გაკეთებულ მრავალრიცხოვან წარწერებსა და შენიშვნებში თავისი დამოკიდებულება გამოუმჟღავნებია როგორც წიგნის რაობის, ასევე მისი გამოცემის პრინციპების მიმართ.

წიგნის თავფურცელზე მოთავსებულ ტიმოთეს ვრცელ მინაწერში ვკითხულობთ: „მდაბალი ტიმოთე იერუსალიმიტელი მივემთხვიე და აღმოვიკითხე ესე იოანე დამასკელი. მრავალს ალაგს მწერალთაგან განრყენილი ვიხილე და სხოლონად გარეთმოწერილიც შიგ იოანე დამასკელის წიგნში ჩაერთოთ. რაც ოდენ გვეძლო, გამართვას ვეცადეთ დოღმატიკითაგან იერუსალემისათა და ძველის უტყუარის დამასკელის წიგნისაგან. ნიშნები საცა აკლია, იქავე დაუსვით. სხოლონიც გავასწორეთ. აწ ვისცა გენებოსთ აღმოკითხვა ამა წიგნისა, ამაზედ გაასწორეთ ეს სტამბის დამასკელი. უიმისოდ არ იქმნების. ან სიტყვა მეტ-ნაკლებობით ვერას მიგახედენს, ან წვალებად აღმოვიკითხვის, რამეთუ ას და შეაცხრამეტეს ალაგს გამისწორებია. საცა უჯარი ზის ნაპირზე, ან კალამ აქვს წაქრული, იქ იხილე“³ (სურ. 2).

¹ იოანე დამასკელი, გარდამოცემა, უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისა, მოსკოვი, 1744 წ. წიგნი დაიბეჭდა ბაქარის ბრძანებით და იოსებ სამებელის წარსაგებლით. წიგნი დატულია საქართველოს სახ. მუზეუმის ბიბლიოთეკაში. შიფრი XVII ძვ. ნაბეჭდ.

² იოანე დამასკელი, დასახ. ნაშრომი, 14.

მართლაც, ტიმოტეს განათლებული ფილოსოფოსისა და გამოცდილი ფილოლოგის თვალთ წაუკითხავს და გაუმართავს. ტექსტი: ძირითადი ტექსტიდან გამოუყვია ციტატები და ტექსტთან არეული სხვათა სქოლიოები. რიგ შემთხვევაში ჩატარებული ოპერაციის დასაბუთებაც მიუწერია კიდევ. ტექსტში უწესოდ ჩართულ ერთ-ერთ სქოლიოსთან დაკავშირებით ტიმოტე შენიშნავს: „ამ სხოლიონის მწერალი მნათობს ეკლესიისას იოანე დამასკელს იტყვის და თვით ხომ არ დასწერდა თავის ქებას“?¹

იოანე დამასკელის წიგნზე ჩატარებული ეს დიდი შრომა ნებითი ოპერაციების ხასიათს როდი ატარებს. ტიმოტეს ნაბეჭდი ტექსტი შეუდარებია და გაუმართავს იერუსალიმურ დოგმატიკურ წიგნებსა და „ძველის უტყუარის დამასკელის წიგნზე“.

უნდა ვიფიქროთ, რომ 1744 წელს მოსკოვში დაბეჭდილი „გარდამოცემაჲ“ ტიმოტეს თან წაუღია იერუსალიმში და იქ უღარებია ხელნაწერებისათვის, ანდა, ისევე როგორც მკაარი მეგვიპტელის „სწავლანი“, დამასკელის ტექსტი იერუსალიმში გადმოუწერია და მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ ეს მასალა შეუღარებია ნაბეჭდი გამოცემისათვის.

საინტერესოა, რომ ტიმოტეს ჩატარებული მუშაობა ტექსტის მარტო ფილოლოგიურ გამართვას როდი გულისხმობდა. მისთვის მთავარი იყო წიგნის დოგმატიკური სიზუსტე. ცუდად გამართული ტექსტი, ტიმოტეს აზრით, ხშირად „წვალებად აღმოიკითხვის“.

კრიტიკული თვალი გადაავლო ტიმოტემ ფილოსოფიურისა და დოგმატიკური ხასიათის სხვა თხზულებებსაც. ამ მუშაობის შედეგად მიღებულ დასკვნებს ტიმოტე „გარდამოცემულის“ ერთ-ერთ თავში გვამცნობს: „ხოლო გეტყვი შენ, ძმანო და ერთსულნო საქართველოსანო, რამეთუ იკითხევდი რა წიგნთა საღმთოთა, შიშით განსჩხრეკდი და ყოვლითა კრძალულებითა დაიტევდი საქმართა გვედრები. წიგნთა უძველესთათვისცა ნუ ირწმუნებთ ყოველსავე, თუ სწორედ სარწმუნო არიან. რამეთუ მრავალთა მართმადიდებლობით აღუწერიათ და მრავალთა დაფარულად წვალებაცა შთაუსხამთ. და მრავალთა მთარგმნელთა ბერძენთა ენისა ვერ შეუწამებიათ ქართულნი და წვალებად გამოსრულ არს. მრავალთა მწერალთაცა გაურყენიათ. და კვალად პროკლეს დიადოხოსი პლატონისი წიგნი იპოვების საქართველოთა შინა. უკეთუ მართმა-

¹ იოანე დამასკელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

დიდებლობით სძებნიდე, ღმთისმეტყველება მაღალი და ქეშმარი-
ტი გეპოვოს, და უკეთუ ვერ კეთილად და უგულისწმოდ ეძიებდე,
ჰპოვნე მას შინა ლელენი და მთხრებლნი არიოზისნი და ორიგენ-
ისინი“¹.

აფასებს რა ტიმოთე გაბაშვილის მოღვაწეობას, აკად. კ. კე-
კელიძე წერს: „ადამიანი, უაღრესად მოყვარული თავისი სამშობ-
ლოსი... და ეროვნულ-კულტურული იდეალებით გატაცებული, ის
ამავე დროს მატარებელი იყო კრიტიკული სულისა, რომელიც
ულმობლად ამოთრახებდა და ამხილებდა ყოველგვარ ნაკლს თავი-
სი სამშობლოს წარსულისა და აწმყოსას. ასეთ კრიტიციზმს ის
იჩენდა განსაკუთრებით ლიტურგიკულ სფეროში, ამ მხრივ ის
წინამორბედი იყო იმ შესწორება-შედარებითი მიმართულებისა,
რომელიც დამყარდა ჩვენში, სამწუხაროდ, უფრო ვიწრო მასშტა-
ბით, ალექსი მესხიშვილისა და ანტონ კათოლიკოსის დროიდან.
ჩვენში რომ შესაფერი პირობები და ნიადაგი ყოფილიყო, შესა-
ძლოა, ტიმოთეს ჩვენს საეკლესიო-საზოგადოებრივ ცხოვრებაში
ისეთივე რამ გამოეწვია, რაც გამოიწვია რუსეთში პატრიარქი ნი-
კონის ანალოგიურმა სულისკვეთებამ ლიტურგიკულ მწერლობასა
და სფეროში“². ამას ჩვენი მხრით დაუემატებთ, რომ ტიმოთე
კრიტიკულ-შედარებითი მეთოდით სარგებლობდა ფილოსოფიურ-
დოგმატიკურისა და ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების კვლე-
ვის დროსაც და მას რომ შესაფერი პირობები ჰქონოდა და ნახე-
ვარი ცხოვრება თავშესაფარის ძებნისათვის არ მოენდომებინა, ეს
მრავალმხრივ განათლებული მღვდელმთავარი საგრძნობლად წას-
წევდა წინ განათლებისა და მეცნიერების საქმეს XVIII საუკ-
საქართველოში.

¹ C, 249r-v.

² კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I², 328.

III

ტიმოთე გაბაშვილი—მოგზაური-მწერალი

1

მოგზაურობის დროს ტიმოთეს დაწერილ ნაწარმოებთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია მისი „მიმოსლვა“. „მიმოსლვაში“ აისახა ავტორის პოლიტიკურ-დიპლომატიური მიზნები და ისტორიულ-ლიტერატურული ინტერესები. ამიტომ „მიმოსლვა“ ტიმოთეს მსოფლმხედველობის, პოლიტიკური განწყობილებებისა და ცოდნა-განათლების გასათვალისწინებლად მდიდარ მასალას შეიცავს.

„მიმოსლვაში“ ორი სახის მასალა უნდა გავარჩიოთ: ერთი მხრით, სამოგზაურო შთაბეჭდილებები, მეორე მხრით, მოგზაურობის დროს მოპოვებული ისტორიული მასალა, რომლის საფუძველზედაც ტიმოთემ საზღვარგარეთის ქართული კერების ისტორიის დაწერა განიზრახა. წინამდებარე თავში ჩვენ პირველი სახის ცნობებს ვეხებით.

მოგზაურის მრავალფეროვანი და უშუალო შთაბეჭდილებებით გამოირჩევა „მიმოსლვა“ „წმიდა ადგილების“ ჩვეულებრივი მოხილვისაგან. „მიმოსლვა“ უპიროვნოსა და გულგრილი მოგზაურის მშრალი დღიურები როდია. აქ ყველაფერში — ფაქტების შერჩევასა თუ კვალიფიკაციაში—ჩანს გარკვეული მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური განწყობილების ადამიანი.

„მიმოსლვის“ ავტორი დიდი პატრიოტი, ფართო განათლებისა და შესაძლებლობის მქონე საზოგადო მოღვაწე და დიპლომატი. მას მოგზაურობის დროს შეუმჩნეველი არ რჩება სულ უმნიშვნელო ფაქტიც კი, თუ ის მისი ქვეყნის საკეთილდღეოდ შეიძლება იქნას გამოყენებული. ძირითადად ამ თვალსაზრისით აინტერესებს მას სხვა ხალხების ყოფა-ცხოვრება, პოლიტიკა, ეკონომიკა, სარწმუნოება, კულტურა.

ბუნებრივია, რომ თურქეთს, რომელთანაც საქართველოს საუკუნეთა მანძილზე დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა, ტიმოთე ამავე თვალსაზრისით საგანგებოდ შეისწავლიდა. მართლაც, ის ათვალთვლებს და ეცნობა თურქეთის დიდ სავაჭრო ქალაქებს, სადაც „იყვნეს... ბალიონი საფრანგეთისანი, და იყო ქალაქი (იზ-

შირი) სავანედ მრავალთა დიდ ვაქართა უცხოთა¹. ეცნობა ტიმოთე თურქეთის სამხედრო თავდაცვის საშუალებებს და მკითხველს აწვდის ცნობებს დარდანელის შესახებ, „რომელსა თურქნი ბოლანისარს უწოდენ, ზღვასა მას იწროდ მდგომსა, ვითარ ნახევარ მილიონს სივრცესა“ და სადაც „გაღმა-გამოღმა დგას ციხენი და მიმომავალთა განიკითხვენ თურქნი“², „რათა არა მტერი აღვიდეს კოსტანტინეპოლედ“³.

ტიმოთე ცნობებს გვაწვდის თურქეთის სხვა ქალაქების გამაგრების შესახებაც: „ფრანგთა შიშისათვის მჭმიელნი და მცველნი ქალაქებთა შინა ციხეთა და ზღუდეთა მტკიცედ სცვენ“⁴. ორედაქციაში კი უფრო კონკრეტული ცნობაა: „გარემოს მთაწმიდისა ქალაქნი მტკიცედ იცვებიან მტერთა შიშისათვის, ვითა თესალონიკე, იზმირი, ლიმნა“⁵.

მაგრამ ტიმოთე მარტო ამ ცნობების მოტანას არ ჯერდებოდა. ის აგროვებს და მკითხველს აწვდის ანტითურქული განწყობილების გამოვლენის შემთხვევებს. მარტო ცნობისმოყვარეობით არ უნდა იყოს გამოწვეული ათინასა და კორინთეს დათვალიერების შემდეგ არნაუტთა ქვეყნისაკენ ტიმოთეს გამგზავრების სურვილი. როგორც ცნობილია, არნაუტთა ქვეყანა ანტითურქული ოპოზიციის ბუდე იყო. ტიმოთეს ამ ექსპედიციის განხორციელებასაც სწორედ თურქ-არნაუტთა მორიგმა ბრძოლამ შეუშალა ხელი.

სავანგებოდ აღნიშნავს ტიმოთე მალთისელთა ბრძოლასაც თურქების წინააღმდეგ: „გვესმა, რამეთუ ამა როდოსში ნასახლებულან მალთისნი, ხოლო აულია სულთანსა და გაუყრია კაცი იგი. და მისულან და დასახლებულან სხვასა ქალაკსა შორის და ამისათვის ემტერებიან მალთისნი თურქთა. და ვიხილეთ ციხე ძლიერი და კეთილი ნაშენნი, რამეთუ კარებთა ზედა ჯვარი და ხატნი მარმარისანი კვალადვე იყენეს“⁶. მართალია, ტიმოთეს ვერ გაუგია მალთისელთა და თურქთა მრავალხნინანი მტრობის ნამდვილი მიზეზი, მაგრამ თვით მტრობის ფაქტი შეუმჩნეველი არ დარჩენია.

ასევე დაინტერესებულა ტიმოთე იმ სავანგებო ვითარებით, რომელიც შექმნილა კალილიმნას კუნძულზე მცხოვრებ თურქთა

¹ მიმოსლვა, გვ. 11.

² იქვე, გვ. 51.

³ იქვე, გვ. 62.

⁴ ორედაქც. და ვარიანტ., გვ. 108, № 27.

⁵ იქვე.

⁶ მიმოსლვა, გვ. 64.

შორის. მისი ცნობით ამ კუნძულზე „თურქნი საიდუმლოდ ქრისტიანობდეს“¹.

მოგზაურობის დროს ტიმოთე ყურადღებას აქცევდა ქრისტიანული ეკლესიის მდგომარეობას თურქეთის იმპერიაში და დიდის-გულისტკივილით აღნიშნავდა ქრისტიანეთა შევიწროების მრავალრიცხოვან შემთხვევებს: „აიასოფია ტრაპეზუნტისა და სხვანი მრავალნი ეკლესიანი თურქთა დაეპყრნეს“², წერს ტიმოთე. ხოლო ფილადელფიის ეკლესია იყო „ესეოდენ დაქცეული თურქთაგან, მცირედ ორნი სვეტნი და კამარანი ოდენ-ლა იდგნენ“³. სარდესოში ტიმოთეს უნახავს „ხილვა საგლოელი და ცრემლითა საფრქვევი“, ვინაიდან „სრულიად მოეოჯრებინათ ესრეთ, ვითა მცირედნი ნაქცევნი ძვილ-სადამე ჩნდეს ეკლესიისა“⁴. იერუსალიმის ქრისტეს საფლავის ეკლესია კი თურქთა ხარკს ვერ აუდიოდაო⁵.

2

მოგზაურობის დროს ტიმოთე გულდასმით ეცნობოდა ბერძნულ სასწავლო დაწესებულებებს. მისი განსაკუთრებული ინტერესი სკოლებისადმი მოსალოდნელი იყო, ვინაიდან ქართლიდან წამოსვლის წინა წლებში ტიმოთე, ანტონ კათალიკოსთან ერთად, აქტიურად იყო ჩაბმული სასულიერო სასწავლებლის გახსნის სამუშაოში. ბერძნული სკოლების გაცნობით ტიმოთე ფიქრობდა ამ მიმართულებით თავისი ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრებას, რათა საქართველოში დაბრუნებულს ეს ცოდნა ქვეყნის სასიკეთოდ გამოეყენებინა.

ზმირინში (სმირნაში) ტიმოთე გაეცნო საფილოსოფიო აკადემიას: „ვიხილეთ მუნ აკადემია საფილოსოფოსო; და იეროთეოს ფილოსოფოსი, მონაზონი ვინმე, ასწავებდა მრავალთა მუნ შკოლი-საგანთა“⁶. ასეთივე ფილოსოფიური სკოლა უნახავს ტიმოთეს

¹ მიმოსლვა, გვ. 64.

² იქვე, გვ. 8.

³ რუდაქც. და ვარიანტ., გვ. 101, № 6.

⁴ იქვე, გვ. 102, № 7.

⁵ მიმოსლვა, გვ. 93. თურქების ბარბაროსულ საქმიანობაზე ს.-ს. ორბელიანი-ნიც მოგვითხრობს თავის წიგნში: „მოგზაურობა ევროპაში“. — „სადაც იათარს მიუღწევია, იქ ღვთის ნათელი აღარ დამდგარა. ამას გაულობრებია. ნეტავი ნახოთ და ვინც ნახავთ, ჩემს სიმართლეს მაშინ შეიტყობთ“ (მოგზაურობა ევროპაში, 1939, გვ. 144). საგანგებოდ ჩერდება საბა კუნძულ მალთაზე, როგორც ქრისტიანთა თავშესაფარზეც (შდრ. აღ. კიკვაძე, ს.-ს. ორბელიანი და მისი „მოგზაურობა ევროპაში“: ა. გორკის სახ. სოხუმის პედ. ინსტიტუტის შრომები, VII, გვ. 112). ტიმოთესა და საბას მსგავსმა პოლიტიკურმა განწყობილებამ განსაზღვრა ორივე ავტორის მიერ მოგზაურობის დროს მოპოვებული ცნობების მსგავსი შეფასება.

⁶ მიმოსლვა, გვ. 11.

პატმოსის კუნძულზე, სადაც აგრეთვე „ისწავლიდნენ მრავალნი შკოლისაგანნი“¹.

ყველაზე ვრცლად ტიმოთე ათონის ვათოპედის აკადემიაზე ჩერდება. ვათოპედის, ანუ ათონის აკადემია, ზემოთ დასახელებულ სასწავლებლებს შორის ყველაზე მეტად იმსახურებდა აკადემიის სახელს. ამ აკადემიამ სულ ოთხ წელიწადს იარსება (1753—1757 წწ.), მაგრამ მიუხედავად ხანმოკლე არსებობისა, სწრაფად გაითქვა სახელი მთელ საბერძნეთში. თავდაპირველად, 1749 წელს, ვათოპედის მონასტერში მონასტრის წინამძღვრის ინიციატივით სამონასტრო სკოლა ჩამოყალიბდა. შემდეგ კი კირილე პატრიარქის მეცადინეობით ის აკადემიად გადაკეთდა. კონსტანტინეპოლის პატრიარქმა კირილემ ვათოპედის მონასტერთან საგანგებო შენობა ააგო და 1753 წლიდან აკადემიის სათავეში ამ დროისათვის უკვე სახელმძღვანელო ფილოსოფოსი და ლეთისმეტყველი ევგენი ბულგარისი დააყენა. ევგენი ბულგარისის ავტორიტეტმა და მეცადინეობამ მრავალი მოსწავლე მიიზიდა აკადემიაში. გაფართოვდა სასწავლო პროგრამა, გაიზარდა მასწავლებელთა რიცხვი. თვით ევგენი ბულგარისი კითხულობდა ყველაზე პასუხსაგებ საგნებს: მეტაფიზიკას, ლეთისმეტყველებასა და ფილოსოფიას².

ევგენი ბულგარისს მისი თანამედროვე და შემდეგი დროის ისტორიკოსები ახასიათებენ როგორც თვალსაჩინო ფილოსოფოსს, ლეთისმეტყველსა და ეეროპის ახალ შეხედულებათა მიმდევარსა და დამცველს. ახალ ფილოსოფიურ მიმდინარეობათა დაცვა-გავრცელებისათვის ევგენი ბულგარისს რეაქციულ-კლერიკალურ წრეებში მრავალი მტერი ჰყავდა, რომლებმაც მას ჯერ ვათოპედის აკადემიის კედლები დაატოვებინეს, ხოლო შემდეგ აიძულეს წასვლა საბერძნეთიდან³: „Причина неудач Булгариса заключалась в том,

¹ მიმოსლვა, გვ. 63. პატმოსის აკადემია მთელი XVIII საუკუნის მანძილზე არსებობდა. იქ ხანგრძლივად სწავლობდა და მოღვაწეობდა ცნობილი რუსი მოგზაური ვ. გრიგოროვიჩ-ბარსკი, რომლის ცნობებს ამ აკადემიაზე დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა (იხ. А. П. Лебедев, История греко-восточной церкви под властью турок от падения Константинополя (в 1453 г.) до нашего времени, т. II, 1901, გვ. 421, 426).

² იქვე, გვ. 434.

³ ინტრიგების გამო ევგენი ბულგარისმა 1757 წელს დატოვა ათონის აკადემია და გადავიდა კონსტანტინეპოლში, სადაც სათავეში ჩაუდგა საპატრიარქო სკოლას. მაგრამ თავისი თამამი შეხედულებებისათვის მან პატრიარქის წყრომაც დაიმსახურა, რის გამო 1761 წელს მიატოვა კონსტანტინეპოლი და წავიდა ჯერ ჯერმანიაში, ხოლო შემდეგ ეკატერინე მეორის მიწვევით—რუსეთში. 1775 წელს.

• что он, как профессор, со своими воззрениями не подходил к тем требованиям, какие предъявляла тогда греческая школа к ее преподавателям. Булгарис стоял выше этих требований и за это страдал. Все греческие историки в один голос утверждают, что он вел преподавание наук сообразуясь с новыми западными взглядами на нее. Это многим не нравилось в тогдашнем греческом обществе. В Янине учителя школ, коллеги Булгариса по профессии, находили, что „учен то учен, да к сожалению атеист“¹.

ევგენი ბულგარისი თავისი დროის მოწინავე ადამიანი იყო². მის ხანმოკლე მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული როგორც ათონის აკადემიის, ასევე კონსტანტინეპოლის საპატრიარქო სკოლის აღორძინება.

XVIII საუკუნის ამ ერთ-ერთ უძლიერეს სასწავლოსა და სამეცნიერო კერას — ათონის აკადემიას — ტიმოთე გაეცნო ათონის მთაზე მოგზაურობის დროს და დაგვიტოვა მეტად საინტერესო წერილობითი ცნობები როგორც აკადემიის სტრუქტურისა და სასწავლო გეგმების შესახებ, ასევე თვით ევგენი ბულგარისის შესახებ.

• ეკატერინე მეორემ ის ზერსონისის ეპისკოპოსად დანიშნა. ევგენი ბულგარისი გარდაიცვალა 1806 წელს რუსეთში. დასაფლავებულია ნევის ლავრაში (ცნობები ევგ. ბულგარისის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოიპოვება პ. უსპენსკის წიგნში — *Первое путешествие в Афонские монастыри, г. II отд. II, М. 1880, გვ. 62—70*).

„მიმოსლვაში“ მოხსენიებული ევგენი სხოლარი რომ ნამდვილად ევგენი ბულგარისია, ამას ბაგრატ ბატონიშვილიც გვიდასტურებს. ბაგრატი მის მიერ გადაწერილ „მიმოსლვის“ ნუსხაში ევგენი სხოლართან დაკავშირებით შენიშნავს: „ესე ევლენი არხიერი მე მიხილავს ფრიად მოხუცებული პეტერბურხსა შინა, რომელიცა მოეყუანა იმპერატორიკა ეკატირინას და დაესადგურებინა ალექსანდრე ნევეცკის ლავრასა შინა. იყო რუსთაგან ფრიად პატივ ცემული წელსა 1801, მყოფობასა ჩემსა მუნ. მეფის ძე ბაგრატ“ (H—2107, გვ. 84).

¹ Лебедев, А., დასახ. ნაშრ. გვ. 438.

² ევგ. ბულგარისი ავტორია რიგი საღვთისმეტყველო, დოგმატიკურ-პოლემიკური ხასიათის თხზულებებისა. გარდა ამისა ის ბევრს თარგმნიდა. სხვათა შორის, მან თარგმნა ვოლტერის „Essai historique et critique sur les dissensions des églises de Pologne“, რომელსაც საკუთარი კომენტარებიც დაურთო. ევგენი ბულგარისს ეკუთვნის ვირგილიუსის ბერძნული თარგმანიც, რომელიც პეტერბურგში დაიბეჭდა 1786 წ. (იხ. პ. უსპენსკის დასახ. ნაშრ. გვ. 68). საფიქრებელია, რომ, ფრიდრიხ დიდის რჩევით, ეკატერინე მეორემ ევგენი ბულგარისი მიიწვია, როგორც დიდი მეცნიერი და ახალ საზოგადოებრივ დინებებს ზიარებული ადამიანი.

ვათოპედის აკადემიის შესახებ არსებულ ცნობათა სიმცირის გამო, ტიმოთეს, როგორც თვითმხილველის, ცნობებს პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება. ტიმოთეს ცნობები განსაკუთრებით ღირებულია იმის გამო, რომ ისინი მომდინარეობენ არა უბრალო ცნობისმოყვარე მოგზაურისაგან, არამედ ღეთისმეტყველებასა და ფილოსოფიაში განსწავლილი ადამიანისაგან, რომელიც არა მარტო უყურებს და ისმენს, არამედ სწავლობს, იძიებს და აფასებს ნახულსადა გაგონილს.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც, ანტონ პირველი და მასთან ერთად ტიმოთეც თავის სასწავლო საქმიანობაში ცდილობდნენ რუსეთისა და დასავლეთ ევროპის გამოცდილების გამოყენებას. ევროპული განათლების ახალი მიღწევების დანერგვას ათონის აკადემიაში ფიქრობდა ევგენი ბულგარისიც. ეს გარემოება კი განსაკუთრებით საინტერესოს ხდიდა ტიმოთესთვის ევგენი სხოლარის სასწავლო საქმიანობას.

ტიმოთე გაბაშვილი იმ განზრახვით მივიდა ვათოპედის აკადემიაში, რომ საფუძვლიანად გასცნობოდა მის მუშაობას, დასწრებოდა ლექციებს და მისთვის საინტერესო საკითხებზე პირადად ესაუბრა ევგენი ბულგარისთან: „სცნა რა ევგენიოს მისვლა ჩვენი, — ვკითხულობთ „მიმოსლეაში“, — მოგვეგება წინა და დიდად პატივს გვცა და შეგვითვისა, და უცხოთმოყვარებისა წესითა უმაღლესად დიდებულ გვყო და განგვიზადა შკოლასა მისსა სადგური. და განვათიეთ მის თანა დღენი რაოდენიმე და ზრახვითა და კითხვამიგებითა, მოწლითა მის საუბრითა მისითა განვნათლდებოდით. ხოლო შკოლისაგანნი ზარსა რეკდენ შემოკრებისათვის შკოლისაგანთა. და მოკრბიან რა პალატად, ბრძენი ევგენიოს შუასა აღვილსა მჯდომარე იყო, და მაწვევდენ მეცა და ვჯდი ღის თანა. ხოლო ორსავე მჯარესჲ მჯდომარე იყვნეს სტოლსა ზედა შკოლისაგანნი. და აღდგიან ერთი მარჯვენით მჯარისაგან და ერთი მარცხენით, და იწყიან სიტყვისგებად ურთიერთას მეთევვისიკურისა ღმთისმეტყველებისათვის თავისის რიგითა, და ზედასაზედა ფილოსოფოსი განუახლებდა მას და განუმარტებდა. დასასრულს, დასხდიან რა, სხვა წარმოდგის და უქის მათ სიბრძნე და პერიფრასულებ ქება შეასხის ძალსა ღმთისმეტყველებისა მათისასა. და ამისა შემდგომად სხვანი იმიერ და ამიერ ორნი წარმოდგიან და იწყიან სიტყვისგება ურთიერთას ღმთისმეტყველებისათვის განგებულებისა, და განუმარტებდა მათ ევგენიოს. და დასხდიან რა, კვალად სხვა ერთი ვინმე წარმოდგის და პერიფრასულებ ქება შეასხის მალალსა მას.

„ღმთისმეტყველებასა მისსა. და ამათსა შემდგომად სხვათა და სხვათა
სასიბრძნოთათვის წარმოდგინ მრავალგზის“¹.

აქვე ტიმოთე დასძენს: „აღუშენებია შკოლა დიდად ვრცელი
და პატოსანი ადგილსა რასმე მაღალსა. მრავალი უცხო სასახლე
და სარაია შენ არს მუნ, და შემოკრებულან მოსწავლენი საბერძნე-
თით, საფრანგეთით და რუსეთით და ყოველთაგან ქვეყანათა. და
ასწავებენ უფროსნი უმცირესთა მათ და მათი ზედანხედველი—
ბრძენი ევგენიოს. ხოლო საფასე და ხარჯი—ქვეყანა მოსცემს, და
როჟიკი გაჩენილი პატრიარქთაგან აქვს“².

ტიმოთემ ახლოს გაიცნო ევგენი სხოლარი: „ევგენიოსი მრავალ-
ფერად ნუგეში და მეგობარი იყო ჩემი“—წერს იგი³. საფიქრებე-
ლია, რომ ტიმოთესა და ევგენი სხოლარს, გარდა საერთო საღვთის-
მეტყველოსა და ფილოსოფიური ინტერესებისა, აახლოებდათ სა-
ერთო მიდრეკილებები ევროპის ახალი ფილოსოფიური მიმდინა-
რეობებისადმი და ამასთანავე ის კრიტიკული სული, რომლითაც
გამსქვალულია ორივე ავტორის შემოქმედება.

ტიმოთე გაბაშვილი ევგენი ბულგარისს იცნობდა, როგორც
ევროპის ახალ საზოგადოებრივსა და ფილოსოფიურ მიმდინარეო-
ბებს ზიარებულსა და ამავე დროს ძველისა და ტრადიციულისადმი
კრიტიკულად განწყობილ ადამიანს: „დიდი ფილოსოფოსი ევგე-
ნიოს, კაცი ქვეყანისაგან ვენედიკთასა, განსწავლულ სიბრძნითა და
ენითა ელლენებრითა და პრომაელებრითა, სახითა რაჟთმე უცხოთა
და ქცევითა პლატონურითა, რომელსა ძველთა მათ ფილოსოფოსთა
სიბრძნენი არარად შეერაცხა. და იტყოდენ მისთვის—ევროპიას
ძვირად სადმე პოვნილსა ვისმე შესადარად მისა“⁴. „მიმოსლვის“
A რედაქციაში ევგენი ბულგარისის შეფასებაში ტიმოთე უფრო
შორს მიდის: „მოიწია დღესასწაულისათვის დიდი ფილოსოფოსი
და ახალი პლატონ ევგენიოს ვენედიკელი, სახითა მო-
ნაზონი, გვართა საფრანგეთისა, განსწავლილი ენითა იტალიურითა
და ელენთათა, უცხო რამე სახითა და მაღალი ხედვითა
ესეოდენ, ვიდრე არარად შეერაცხა პირველთა ფი-
ლოსოფოსთა თქმული, არამედ თვით არკვევდა

¹ მიმოსლვა, გვ. 33.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 51.

⁴ იქვე, გვ. 32.

ახალსა რასმე შკოლასა თვისა. და იტყოდენ, ვითარმედ არა იპოვების ევროპას გინა აზიას შესადარი მისი¹.

როგორც ვხედავთ, ტიმოთე გაბაშვილი ევგენი სხოლარს დიდ ფილოსოფოსად მიიჩნევს და მის დამსახურებად თვლის იმას, რომ მას არარად „შეერაცხა პირველთა ფილოსოფოსთა თქმული“ და თვით არკვევდა „ახალსა რასმე შკოლასა“. ევგენი ბულგარისის, როგორც მოაზროვნის, ეს მხარეები, რომლებზედაც ტიმოთე ასეთი აღტაცებით ლაპარაკობს, გახდა მიზეზი ევგენის დევნისა მის თანამემამულეთაგან.

ტიმოთეს ევგენი ბულგარისი დიდ ავტორიტეტად მიაჩნია. მასთან წყვეტს ის რიგ რთულსა და ბუნდოვან საკითხებს როგორც დოგმატიკის, ასევე საქართველოს საეკლესიო ისტორიის სფეროდან. ევგენი ბულგარისისაგან მიღებული ცნობები, როგორც სანდო მასალა, ტიმოთეს უკომენტარიოდ და უცვლელად შეაქვს „მიმოსლვაში“.

ვათოპედის მონასტრის აკადემიაში ტიმოთე აკადემიის სხვა სხოლარებსაც გასცნობია. ერთ-ერთი მათგანია ვინმე კვიპრიანე, „განსწავლილი მრავლითა სწავლითა. და თურქთა ენისა იყო სწავლული, რამეთუ ღრამატიკა და არისტოტელურნი წიგნნი თურქთა ენასა ზედა ეთარგმნათ კეთილად“². ეს ის კვიპრიანე უნდა იყოს, რომელსაც პროფ. ა. ლებედევი აკადემიის მისწავლებელთა შორის მოიხსენიებს³.

მწიგნობრებსა და ფილოსოფოსებს ტიმოთე ათონის ივერიის მონასტერშიც გასცნობია: „იყვნენ მონასტერსა მას შინა მონაზონნი-ფილოსოფოსნი: იოაკიმ, ფილოთეოს და მელეტი“, რომელთაც ტიმოთე ესაუბრებოდა მისთვის საინტერესო საკითხებზე: „მონაზონთა მათ ფილოსოფოსთა ზედასა-ზედან ვეზრახებოდი სამეცნიეროთა და საძიებელთა, და იგინი მითარგმნიდენ. რამეთუ ბერძნული ენა არა მესმოდა და თათრულეებ შემოეღოთ. და ეთარგმნა

¹ რედაქც. და ვარიანტი, გვ. 109, № 32.

² იქვე, გვ. 54.

³ Помощников по части преподавания у него (у Булгариса) было больше, чем сколько полагалось по штату... К числу таких сверхштатных учителей относится, кажется, векто Киприан Александринец, из числа прежних учеников Булгариса. Он занимал должность второстепенного значения... учительствовал в Академии очень не долго" (А. Лебедев, დასახ. ნაშრ. გვ. 435 და 435, სქ. 1).

კირიტს ვისმე ფილოსოფოსსა ღრამატიკა, პორფირი და სხვა სა-
ფილოსოფოსო, და თათრულად შემასმენდენ¹.

ამგვარად, ათონის მთაზე მოგზაურობა ტიმოთემ მაქსიმალუ-
რად გამოიყენა სასწავლო და სამეცნიერო მიზნებისათვის.

3

მაღალმა სასულიერო წოდებამ, სარეკომენდაციო წერილებმა,
ფართო განათლებამ და თურქული ენის ცოდნამ ტიმოთეს სა-
შუალება მისცა გასცნობოდა არა მარტო სასწავლოსა და სამეცნიერო
წრეებს, არამედ მაღალი თანამდებობისა და წოდების პირებს სა-
სულიეროსა და საერო სფეროდან. ამ გზით გაეცნო ტიმოთე ქვეყ-
ნის პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას და ზოგ შემთხ-
ვევაში ისეთი კუნძულებიც განჰკრიტა, რომელთა ნახვა მხოლოდ
სახელმწიფო წრეებთან ახლო მდგომ ადამიანს შეეძლო.

დიდია ტიმოთეს ნაცნობების წრე. მას საქმიანი და მეგობ-
რული ურთიერთობა ჰქონდა გაბმული კონსტანტინეპოლისა და
იერუსალიმის პატრიარქებთან და მიტროპოლიტებთან.

კონსტანტინეპოლში ჩასული ტიმოთე დამკვიდრებულა გიორგი-
ლოლოთეიტან, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა სულთ-
ნის კარზე. გიორგი ლოლოთეტი განათლებული ადამიანი ყოფილა,
მასთან მრავალი სასაუბრო თემა გამოიწია ტიმოთემ. გიორგისთან
საუბარსა და ურთიერთობას აადვილებდა ის გარემოება, რომ იგი
ქართულადაც მეტყველებდა: „მე ვიყოფებოდე კოსტანტინუპო-
ლის, სახლსა მდიდრისა ძველისა თავადისა გიორგი ლოლოთე-
ტისასა და ბიძისა მისისა იოანიკიოს ხალკიდონისა მიტროპოლიტის
თანა, რამეთუ გიორგიმ ქართული უწყოდა კეთილად და იყო ფი-
ლოსოფოსი სრული, მეცნიერ ასტრონომიისა და ლეომეტრიისა და
ფისიკისა, და ქართულად ვმზრახველობდით მრავალთა“².

საყიზას კუნძულზე ტიმოთემ ნახა სულთნისაგან ექსორია-
ქმნილი ვლახთ მეფე კოსტანტინე, რომელიც ტიმოთეს საქართვე-
ლოზე ესაუბრებოდა: „გვკითხევდა საქართველოთათვის და სხვათა
მრავალთა საუბართა შევექცეოდით“³. ლემნოსის ჰალაქზე კი ტიმოთეს.

¹ რედაქც. და ვარიანტ., გვ. 106, № 22.

² ვრცელი ცნობები გიორგი სპათარისა და მისი მამის, „ბულდანის მეფის.
ვექილის სტავრაკის“ შესახებ შემოგვინახა „მიმოსლვის“ A რედაქციამ. იქვე,
გვ. 119, № 63.

³ მიმოსლვა, გვ. 12.

უნახავს „ყაენის შვილი ცხვირგადაკვეთილი თამაზისაგან, მუნ დაეყენებინათ თურქთა“¹.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის ტიმოთე „მიმოსლვაში“ აექსენტი მონაზონის შესახებ, რომლის გამოჩენამ და საქმიანობამ დიდი აურზაური გამოიწვია თურქეთში.

1751 წელს ნიკომიდის თემის დაბა კატირლიში გამოჩნდა ვინმე ბერი აექსენტი, რომელმაც დაიწყო ლათინთა წინააღმდეგ ქადაგება და მოითხოვდა, რომ მართლმადიდებლობის მიღების შემთხვევაში ლათინნი და სომეხნი ხელმეორედ მონათლულიყვნენ. აექსენტის მრავალი მიმდევარი აღმოაჩნდა. მან თავისი ქადაგებით, მაცდურობით და მოხერხებულობით სასწაულთმოქმედის სახელი მოიპოვა და დიდი პოპულარობით სარგებლობდა ფანატიკურად განწყობილ მოსახლეობაში. კირილე, კონსტანტინეპოლელი პატრიარქი, თავს არიდებდა წასთან კონფლიქტებს და ამიტომ არც ებრძოდა ამ „ახალ მოციქულს“. 1752 წელს საპატრიარქო კათედრა დაიკავა პაისი II-მ, რომელმაც სცადა აელაგმა აექსენტი და მოესპო კომფესიონალური შუღლი, რომელსაც ასე მოხერხებულად აღვივებდა აექსენტი. მაგრამ აექსენტისთან ბრძოლა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. საქმე ამბოხებამდე მივიდა. საქირო გახდა აექსენტის მიმდევრების დაშოშმინება. ამ საქმის მოწესრიგებაში სულთანის მთავრობა ჩაერია. ვინაიდან აექსენტის აშკარა მოსპობა დიდ აღშფოთებას გამოიწვევდა, ამიტომ არჩიეს მისი მოტყუებით თავიდან მოცილება.

ერთ ღამეს კატირლიში გაემგზავრა სულთანის წარჩინებული პირი, რომელმაც აექსენტი დიდ ვეზირთან მიიპატიჟა. აექსენტი დათანხმდა კონსტანტინეპოლში წასვლაზე, მაგრამ ჩაჯდა თუ არა კონსტანტინეპოლისაკენ მიმავალ ნაჟში, ის მოახრჩეს და მისი გვამი გადააგდეს ზღვაში. ამ ამბავმა აექსენტის მიმდევრებში დიდი მღელვარება გამოიწვია. ამბოხებულმა ხალხმა ხელში ჩაიგდო პატრიარქი პაისი და ცემით სიკვდილის პირამდის მიიყვანა. ბოლოს, მოითხოვა მისი გადაყენება და კვლავ კირილეს არჩევა პატრიარქად. კირილე კვლავ დაუბრუნდა საპატრიარქო ტახტს და თავისი მოღვაწეობა იქითკენ წარმართა, რომ აექსენტის მიმდევრებთან მორიგების გზა გამოენახა. მან გასცა ბრძანება, რომ მართლმადიდებლობის მიღების შემთხვევაში კათოლიკენი და სომეხები ხელმეორედ მონათლულიყვნენ, ე. ი. განახორციელა ის, რასაც მოითხოვდა აექსენტი. მაგ-

¹ მიმოსლვა, გვ. 16.

რამ კირილეს მხარი არ დაუჭირეს მიტროპოლიტებმა, წინ აღუდგნენ მას და 1757 წელს ამავე მიზეზით გადააყენეს იგი პატრიარქობიდან¹.

ჩვენ ეს ვრცელი ისტორია იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ავქსენტის ამბავი ვრცლად და საკმაოდ ზუსტად ტიმოთესაც მოჰყავს თავის „მიმოსლვაში“.

ტიმოთე ახლოს იცნობდა კირილე პატრიარქს, რომლის გარშემო გაიშალა მთელი ეს ისტორია. ის კარგად იცნობდა მთავარ მიტროპოლიტებს, რომლებიც წარმართავდნენ საპატრიარქო საქმეებს, სხვათა შორის კიზიკიის მიტროპოლიტსაც, რომელიც კირილე პატრიარქის უყველაზე დიდ მოწინააღმდეგედ ითვლებოდა. ერთი სიტყვით, ტიმოთე კურსში იყო ყველა საპატრიარქო ინტრიგებისა, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ტიმოთეს კონსტანტინეპოლში ყოფნის დროს. ამით აიხსნება ისიც, რომ ტიმოთე ასე ვრცლად ჩერდება ავქსენტის ამბებზე. როგორც ჩანს, ავქსენტისთან დაკავშირებით, როგორც მის სიცოცხლეში, ასევე მისი გარდაცვალების შემდეგ, მრავალი გადმოცემა იქმნებოდა და ვრცელდებოდა. მის შესახებ სასწაულები მოუსმენია ტიმოთე გაბაშვილსაც. „მიმოსლვის“ A რედაქციაში ვკითხულობთ: „მოგვესმა ვისთვისმე შეყენებულია მონაზონისა, სახელით ავქსენტისა, ვითარმედ მრავალთა სასწაულთა იქმსო“²,—წერს ტიმოთე და მოგვითხრობს რამდენიმე სასწაულს; ერთ-ერთი ეხება ავქსენტის სასწაულებრივ გადარჩენას: „ვითარ იგი მოვიდა კონსტანტინუპოლედ და ესმა რა მისთვის ხონთქარსა, წარავლინა კაცნი, რათა შეიპყრან. და მივიდნენ კაცნი და შეიპყრეს, და ბორკილი შეასხეს ფერჯთა და ნავითა მიყვანდათ,—მსწრაფლ იხილეს ავქსენტი ჯმელად, და ბორკილი ნავსა დაურჩათ“³. აშკარაა, რომ აქ ავქსენტი ბერის მოკვლის ერთ-ერთი ვარიანტია გადმოცემული. ამ გადმოცემის მიხედვით ბოროტმოქმედებმა ვერ მოახერხეს თავისი განზრახვის განხორციელება. სასწაულის ძალით ავქსენტი გადარჩა.

როგორც ჩანს, თქმულებები ავქსენტის შესახებ ტიმოთეს საგანგებოდ უგროვებია და ამ ცნობათა სისწორეც შეუმოწმებია. ავქსენტის სასწაულის ბოლოს ტიმოთე წერს: „ამისი (სასწაულის) მხილველი მეც ვიხილე მრავალი. კაცი არს მონაზონი, დია-

¹ ავქსენტის ვრცელი ისტორია მოგვყავს ლ. ლებედევის ზემოთ დასახელებული წიგნის მიხედვით., ტ. I, გვ. 318—23.

² რედაქც. და ვარიანტი., გვ. 118, № 62.

³ იქვე, გვ. 117, № 59.

⁴ იქვე, გვ. 117, № 59.

კონი კურთხევითა, არამედ დიდისა მარხვითა და მოღვაწებითა გან-
ლუული, დღესაცა საიდუმლოდ კონსტანტინეპოლედ იქცევის¹. ამას
კი დასძენს: „ჩემთა წერილთა შინა სასწაულნი და ამბავნი სხვადა-
სხვანი რაოდენიცა აღვსწერენით, ვითაცა სარწმუნოთა კაცთა-
გან შეგისმინეთ, ეგრეთ აღვსწერენით, რომელიც თვალთ ვიხილეთ,
ის აღვსწერენით. ნაცილი და ჩემით რამე არარა შემიწყეიეს და
აღმიწერიეს, სარწმუნოდ მოიხსენეთ“². მართლაც, ამ სასწაუ-
ლებრივ ამბავს, როგორც დავინახეთ, საფუძვლად უდევს აქ-
სენტი ბერის მეტად გახმაურებული თავგადასავალი. ტიმოთეს
კონსტანტინოპოლში ყოფნის დროს აქსენტის ისტორია ბერძნებს
ჯერ კიდევ ალღევებდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი დაღუპვიდან
ხუთი წელი იყო გასული.

აქსენტის ისტორიასთან დაკავშირებით ტიმოთე ვრცლად
ჩერდება პატრიარქი კირილეს გადაყენება-გაძევებაზე. ოქრო ქალაქში
ყოფნის დროს ტიმოთემ გაიგო კირილე პატრიარქის გადაყენების
ამბავი და სწრაფად მიაშურა კონსტანტინეპოლს, სადაც ამ დროს
კალინიკეს პატრიარქად კურთხევის ცერემონიალი მიმდინარეობდა.
ტიმოთე დაესწრო ცერემონიალს და გამოიკითხა კირილეს გა-
დაყენების მიზეზი: „მსწრაფლ აღველ ნავითა და მიველ კათოლიკე
ეკლესიად. და ვიხილენ, რამეთუ მღვდელთმთავარნი და მდიდარნი
ერისანი შემოკრებულ იყვნეს და კალინიკეს ჯელთა დაასხმიდეს. და
ვიკითხევი მიზეზსა, თუ რასათვის განაძეს კირილე. იგინი მომიგებ-
დენ, ვითარმედ იტყოდაო, რამეთუ ფრანგთა და სომეხთა ნათლის-
ლება არა აქესთო, მეორედ ჯერ-არს ნათლისცემაო. რამეთუ ჩვენ
ამისთვის წინააღმდეგით და განვაძეთ“³.

ტიმოთეს კირილე კონსტანტინეპოლელი პატრიარქის ბედი
აინტერესებდა და აწუხებდა. ევგენი ბულგარისის საშუალებით მან
ახლო გაიცნო კირილე და მასთან ხშირი მიმოსვლაც ჰქონდა. იერუ-
სალიმიდან დაბრუნებული ტიმოთე საგანგებოდ გაემგზავრა ათონზე,
რათა ენახა ამ დროს ათონზე ექსორიაქმნილი კირილე. ტიმოთეს
სიმპათიები კირილე პატრიარქისადმი აშკარად ჩანს „მიმოსვლის“
ჩ რედაქციაში. მიუხედავად იმისა, რომ საეკლესიო კრებამ იგი
გაამტყუნა და დამნაშავედ მიიჩნია, ტიმოთეს მისი ექსორიობა მაინც
უმსჯავრობად მიუჩნევია: „და იყო მუნ (ათონზე.— ე. მ.) უ მ ს ჯ ა ვ-
როდ თურქთაგან ექსორია ქმნილი პატრიარქი კირილე“³.

¹ რედაქც. და ვარიანტ., გვ. 117, № 59.

² მიმოსლვა. გვ. 58.

³ რედაქც. და ვარიანტ., გვ. 125, № 80.

ტიმოთეს ამ ცნობაში ერთი გარემოებაც იპყრობს ყურადღე-
ბას. ჩანს, ტიმოთეს მიაჩნდა, რომ კირილე პატრიარქის ბედი სულ-
თანმა გადაწყვეიტა და არა საეკლესიო კრებამ, ე. ი. ამას პოლი-
ტიკური სარჩული ედვა საფუძვლად და არა დოგმატიკური. B რე-
დაქციის ცნობა, სადაც ტიმოთე ავლენს თავის დამოკიდებულებას
ამ ფაქტისადმი, „მიმოსღვის“ C რედაქციაში ტიმოთეს აღარ გა-
დაუტანია, საფიქრებელია, იმიტომ, რომ ამ საკითხზე ტიმოთეს.
თვალსაზრისი განსხვავდებოდა ოფიციალური თვალსაზრისისაგან.

როგორც ვხედავთ, ტიმოთე გაბაშვილი „მიმოსღვაში“ დიდი
სიზუსტით აღწერს რიგ საეკლესიო და საზოგადოებრივი მნიშვნე-
ლობის ფაქტებს, რომლებიც ალელვებდა იმდროინდელ საზოგადო-
ებას. ამ ფაქტების აღწერაში ის ავლენს თავის დამოკიდებულება-
საც მოვლენისადმი. მოვლენის ტიმოთესეული კვალიფიკაცია ხში-
რად სცილდება ოფიციალურ წრეებში გავრცელებულ შეფასებას
და მოწმობს ტიმოთეს დიდ დაკვირვებას იმ ქვეყნების საზოგა-
დოებრივსა და პოლიტიკურ ცხოვრებაზე, რომელთაც ის, როგორც
მოგზაური, ეცნობოდა.

4

ტიმოთე მოგზაურობის დროს მრავალფეროვან ცნობებს აგ-
როვებს. განსაკუთრებით აინტერესებს მას ქართველთა მოღვაწეო-
ბის ამსახველი ცნობები და მასალები. უმისაკენ მიმავალმა ტიმოთემ
გზაზე მამა ხარიტონის აშენებული მონასტერი ნახა. ამ მონასტერმა
ტიმოთეს ყურადღება მიიქცია, ვინაიდან ოდესღაც „ქართველნიცა
მრავალნი ცხოვრებულან ზუნ“¹. იზმირში (სმირნაში) ტიმოთეს ათონის
ივერთა მონასტრის სასახლე დაუთვალეიერებია², ხოლო კუნძულ ქი-
ოსზე (საყიზაში)—ამავე მონასტრის მეტოქი³. კუნძულ პატმოსზე ტი-

¹ მიმოსღვა, გვ. 10. ქართველების მოღვაწეობის შესახებ მცირე აზიის ხა-
რიტონის მონასტერში სხვა ცნობა არ გვევლება. ქართველები ხანგრძლივად
მოღვაწეობდნენ პალესტინის ხარიტონის მონასტერში, ე. წ. პალაერაში. ამ მო-
ნასტერში მრავალი ქართული ხელნაწერი გადაიწერა. ტიმოთე უთუოდ იცნობდა
ხარიტონის მონასტერს, როგორც ქართული კულტურის ერთ-ერთ უძველეს
ცენტრს. შესაძლოა, ტიმოთე ამ მონასტრის მდებარეობის დადგენაში შეცდა და
მცირე აზიის ხარიტონის მონასტერი პალესტინის პალაერად მიიჩნია. მეორეს
მხრით, ქართველთა მოღვაწეობა მცირე აზიის მონასტრებშიც სავეებით შესაძლე-
ბელი იყო.

² მიმოსღვა, გვ. 11.

³ იქვე, გვ. 12.

მოთეს მონასტრის მდიდარი სალარო გაუსანჯავს, სადაც, სხვათა შორის, უნახავს „ჯვარი მურასა მძიმე, ოქროსი, ქართველთაგან შენოწირული“¹.

ტიმოთე მოგზაურობის დროს მოპოვებული ცნობებით ხშირად ამოწმებს საქართველოში ნახულსა და გაგონილს. ასე მაგ.: კონსტანტინეპოლში ტიმოთემ დაათვალიერა პატრიარქის სალარო და იხილა „ძველი სამოსი ეპისკოპოზთა: თავსახურავად შლაპა იისფერი და ჯუბა, და იწრო პაიჭი და მაშია... რამეთუ იტყოდენ მოხუცებულნი მათნი, ვითარმედ ასი ოდენ წელი არსო გარდასრული იმის უწინ, ეპისკოპოზთ ეს ემოსათო. ახლა მონაზვნის კუნკული დააწესესო. მომეტსენა—ქართლს, მცხეთას, სვეტიცხოველზედ დახატული კათალიკოზი სამზეურით, და აფხაზეთის კათალიკოზის მურასა სამზეური ქეშმარიტი ყოფილა“². ტიმოთეს ეს ცნობა ზუსტია. მართლაც, სვეტიცხოვლის „სვეტის“ ან სამირონეს მოხატულობის ერთ-ერთ კომპოზიციაში („მეფე და სამღვდელობა“) ხატია საბერძნეთიდან წარმოგზავნილი სამღვდელობა. წინა პლანზე მოჩანს მათი წინამძღვარი—ეპისკოპოსი, ფართოფრთიანი ქუდით³.

მოგზაურობის დროს ტიმოთე ხშირად ხედებოდა თავის თანამემამულეებს, რომელთაგან ნაწილი თავისი ნებით წასულიყო ათონის მთაზე სამოღვაწეოდ, ზოგი—გასასყიდ ტყვეებად ჩამოყვანათ თურქეთში, ზოგი კი, ტყვეობიდან დახსნილი, თურქეთის ქალაქებში დარჩენილიყო საცხოვრებლად.

ვრცელსა და საინტერესო თავგადასავალს მოგვითხრობს ტიმოთე ერთ-ერთი ქართველი ტყვის თევდორეს შესახებ, რომელსაც ათონის დიონისიოს მონასტერში შეხვედრია: „მუნ (დიონისიოს მონასტერში) ყოფასა ჩვენსა, — ვკითხულობთ „მიმოსლვაში“, — მოვიდა მონაზონი ვინმე შეყენებული. და მე ეგრეთ ვგონებდი, არს ბერძენი, ხოლო იგი ქართულად მეზრახებოდა. და ვეტყოდი, თუ ვინ ხარ, მამაო? ხოლო იგი მეტყოდა, ვითარმედ: ქართველი ვარ სოფლისაგან უსისტყისა, ყმა საყდრისა სამთავისისა; ოჭრებასა ქართლისასა ლეკთაგან დატყვევებულ ვიქმენ. და მომიყვანეს კონსტანტინეპოლის და მიყიდა თურქმან ვინმე უკეთურმან და წარმი-

¹ მიმოსლვა, გვ. 63.

² იქვე, გვ. 98.

³ ვ. ბერიძე, მცხეთის კათედრალის „სვეტიცხოველი“ და ქართლის მოქცევის სიუჟეტები მის ფრესკებში: მუზეუმის მოამბე, XV B, გვ. 152, სურ. 3.

ყვანა სახლად თვისად, და მიიძულებდა დატევებასა სჯულისასა¹. ამას მოსდევს თევდორეს პირით მოთხრობილი მისი თავგადასავალი, თუ როგორ წინაღუდგა ის თურქს და მტკიცედ იცავდა სჯულს, და ბოლოს, როგორ იხსნა იგი სასწაულებრივმა ძალამ თურქის ძალადობისაგან.

ეს ამბავი პატარა ზომის, მაგრამ კომპოზიციურად დასრულებული ჰაგიოგრაფიული მოთხრობაა. ორიგინალური ჰაგიოგრაფიის ძეგლებს, როგორც ლიტერატურულ მასალას, ტიმოთე სხვა შემთხვევებშიც იყენებდა (იერუსალიმის ქართველ მოღვაწეთა დახასიათებისათვის). ათონზე კი ტიმოთეს შესაძლებლობა მიეცა ზეპირად მოესმინა თევდორესაგან მისი თავგადასავალი. ზეპირად მოსმენილი და ლიტერატურულად გაფორმებული ეს ამბავი, ტიმოთემ „მიმოსლვაში“ შეიტანა.

ამავე მონასტერში ტიმოთეს სხვა ქართველებიც უნახავს: „გვითხრობდენ, ვითარმედ არიან აქა სხვანიცა ქართველნი ნამანი და ვიხილე გაბრიელ მონაზონი იმერელი, ღვანკითელი, და ლეონტი დაღეთელი და სერაბინ ქართველი²“.

რამდენიმე ქართველი ტიმოთემ ნახა ათონის კათსოკალიაში. „და იყო მუნ დაყუდებული ქართველი, ანთიმოს ჯავახი, შორად მყოფი სენაკებსა. ესე არა გამოვიდოდის სენაკით ფრიადისა შიშვლობისა და უპოვარებისა მისისათვის. და იყო სხვა ქართველი, გერასიმე ატოცელი სამარლანიშვილი, და კვალად ფცელი გერასიმე და იმერელი, საქარელი ხრისტოდულო, და კვალად პატიოსანი და დაყუდებული კახი, საალავერდო გრიგოლი, ფრიად პატიოსანი მონაზნებითა³“.

მდიდარია „მიმოსლვა“ სამოგზაურო შთაბეჭდილებებით. ერთნაირი ცნობისმოყვარეობით უკვირდება ტიმოთე როგორც ახალციხის ფაშის კარზე სტუმრის პატივისცემის ცერემონიალს, ასევე სანტა ირინას კუნძულთან მოქმედ ვულკანს. ტიმოთეს საპიროცოდნაც გააჩნია იმისათვის, რომ გააჩიოს განსაკუთრებული ჩვეულებრივისაგან. ასე მაგალითად, საყიზის ეკლესიაში მას მოუსმენია გალობა: „ხოლო მგალობელნი მათნი არა გალობდენ ბერძულებ, არამედ ნოტითა იტყოდიან⁴“. ცხადია, ტიმოთე იცნობს ორი

¹ მიმოსლვა, გვ. 40.

² იქვე, გვ. 41.

³ რედაქც. და ვარიანტ., გვ. 109, № 30.

⁴ მიმოსლვა, გვ. 13.

სახის გალობას—ბერძნულს ანუ ნევემატურს და ნოტიო გალობას, ამიტომ არჩევს კიდევ მათ.

დიდი გულისყურით ეცნობა ტიმოთე ანტიკური კულტურის გადმონაშთებს. ამ შემთხვევაშიც ტიმოთეს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბერძნული წარმართული კულტურისადმი მისი ინტერესი არარის დაჩრდილული და შეზღუდული ვიწრო კომფესიური თვალსაზრისით. აქ გამოჩნდა განათლებული ადამიანის სიყვარული და პატივისცემა გარდასული დროის დიდებული კულტურისადმი. ტიმოთე ათინაში საგანგებოდ გაემგზავრა, რათა გასცნობოდა „სახელოვანსა დედაქალაქსა ათინას“.

თავის ცოდნისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ტიმოთე ადვილად პოულობდა მისთვის საჭირო ადამიანებსაც: „მივედით ათინად, და შორად გამოგვეგებენ სამღვდელონი მათნი და წესისაებრ გვითავაზეს და შეგვიძღვნენ საღვურად პერიპატოსა ათინელთასა და დაგვასადგურეს მუნ. ამისა შემდგომად მოვიდნენ ხილვად ჩვენდა მთავარნი და ფილოსოფოსნი ათინელთანი და ამოდ მოგვიკითხნეს და ვითარობა მგზავრობისა ჩვენისა იკითხეს...და ზედასაზედა გვეუბნარებოდენ და გვკითხევდენ ქვეყანისა ჩვენისათვის, და ვ[ი]კითხევდით სანეცნიეროთა და სასიბრძნოთა მათგან. და ფრიად ვიდრემე კეთილად შეგვიტკბეს და გვიჩვენეს შკოლა პლატონისი და სხვათა ფილოსოფოსთა და ათორმეტნი ღმერთნი ქვით გამოქანდაკებულნი ათინელთანი. და ვიხილეთ ეკლესიანი და პალატნი ქვითა მარმარითა დაჩრდახებულნი, ქვითა დაფიცრულნი, განსაკვირვებელნი, და სვეტნი მარმარისანი აღმართულნი, დიდად მაღალნი, მეფისა ქსერქსისანი...და ვიხილეთ მუნვე არიოპაგე ახლოდ, ხარისხი იეროთეოს და დიონისიოს არიოპაგელთა. და კვალად აკადემია—სასწავლო მათი. და განვიცდიდით რა ადგილთა სიუცხოვესა და მსგავსსა ედემისასა, ცალ კერძო—ზღვითა მოზღუდვილ და ცალ კერძო—ჭალანი ზეთისხილთა და ვენაჯოვანთა და ბალთა-ბალჩათაგან მომალნარებულ და შიგან მომდინარენი წყალნი, და მითთა და ჰავითა ფრიად განშვენებული და ნანდვილ ბრძენთაგან და ფილოსოფოსთაგან გამორჩეული ქვეყანა“¹.

მაგრამ მარტო ათინას დათვალეირებით არ დაკმაყოფილებულა ტიმოთე. გზადაგზა ის ათვალეირებდა იმ ადგილებს, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ წარმართულ სამყაროსთან. ათინიდან ტიმოთე გაემგზავრა თივაიდს, რომელიც იყო „სოფელი პინ-

¹ მიმოსლვა, გვ. 96.

დაროზ ბრძნისა“¹. ხოლო შემდეგ ინახულა „ზღვის კერძო ტან-ტალა, სოფელი ოვრეტოს ბრძნისა“². განვლო მან აგრეთვე ალექსანდრე მაკედონელის ქალაქი მაკედონია, სადაც ნახა ალექსანდრე მაკედონელის რქიანი ცხენის ბუციფალის ახური³.

მდიდარი იყო შთაბეჭდილებებით გზა იაფიდან იერუსალიმამდე. სმირნიდან იაფისკენ ზღვით მიმავალი ტიმოთე ზღვის ლელვამ ტრიპოლში გადაისროლა, საიდანაც ის ხმელეთით იერუსალიმისაკენ გაემგზავრა. გზა და გზა ტიმოთე ეცნობოდა ახალ ქვეყნებსა და ხალხებს, მათ ზნე-ჩვეულებას, სარწმუნოებას. მრავალეროვნებიან და ტიმოთესთვის უცხო სარწმუნოების მქონე არაბეთის მოსახლეობაში მას არაბ ქრისტიანთა სახით მფარველები აღმოაჩნდა; განსაკუთრებით ადვილი იყო მგზავრობა იქ, სადაც თურქნი „არა მპყრობელობენ“: „ქრისტიანეთა დიდად გემსახურეს, რამეთუ ბერუთასა თურქნი არა მპყრობელობენ“⁴.

ბერუთი ტიმოთესათვის სხვა მხრივაც აღმოჩნდა საინტერესო. აქ შეაგროვა მან ცნობები ბერუთსა და ლიბანის მთებში მცხოვრებ დრუზების შესახებ: „მათა მათ შინა არიან უცხო თესლნი, სახელად დურძნი ეწოდებათ, და იგინი არიან მპყრობელ ქალაქისა მის. ხოლო დურძნი ესევეთარნი არიან, რამეთუ ილოცვენ ეკლესიათა ჩვენთა და რწამთ და არცა წინა დაიცვეთენ, და კვალად თურქთა მეჩიტთაჲ შევლენ და ილოცვენ“⁵. დრუზების ამ მოკლე დახასიათებაში ტიმოთემ მოახერხა სწორად გადმოეცა მათი სარწმუნოების ეკლექტიკური ხასიათი.

ტრიპოლიდან მომავალმა ტიმოთემ გადასერა მარონიტთა ქვეყანაც. მარონიტნი, ისევე როგორც დრუზნი, ლიბანის მთებში ცხოვრობდნენ: „მთასა მას (ლიბანისა) შინა მჯდომარე იყო პატრიარქი მარონიტთა მწვალებელთა. და სავსე იყო ქვეყანა იგი მარონიტთაგან, რამეთუ სრულიად ლატინთა ეკლესიასა გაერთეოდეს მარონიტნი“⁶. აქაც ისევე, როგორც დრუზების შემთხვევაში, ტიმოთემ განსაზღვრა მარონიტთა სარწმუნოების თავისებურება. ტიმოთეს ინტერესი ლიბანის მთებში მცხოვრებ მარონიტებისა და დრუზებისადმი შემთხვევითი არ იყო. ეს ხალხი ყოველთვის იზიდავდა

¹ მიმოსლეა, გვ. 96.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 97.

⁴ იქვე, გვ. 65.

⁵ იქვე.

⁶ იქვე.

მოგზაურთა ყურადღებას თავისებური იერით, ყოფით და სარწმუნოებით¹.

ცოცხლად და საინტერესოდ აღწერს ტიმოთე იმ სიძნელეებს, რომლებიც თან ახლდა მოგზაურობას რუმლიდან იერუსალიმისაკენ: „რუმლს ყოფასა ჩვენსა შემოკრბეს თურქნი და მთავარნი არაბთანი, მცველნი გზისანი, რამეთუ შიში ფრიადი იყო გზათა შორის. და წარვემართენით გზასა იერუსალიმად მიმყვანებელსა მრავალნი სულნი. და იყო დიდი სატანჯველნი არაბთაგან, რამეთუ მას წელსა ფაშა თურქთა არა იყო მჯდომი და ზისთვის ლაღობდეს არაბნი. რამეთუ გზათა ზედა არაბნი ურიცხენი ჩამომდგარიყვნეს და ეპყრათ კვერთხნი, მუსმართა მიერ მომუსმურნი რკინითა, და სცემდენ ქრისტიანეთა და იყო ძახილი და ვაება, და ითხოვდენ საფასეთა“².

ამ დროს გზა რუმლიდან იერუსალიმამდე. მართლაც მეტად სახიფათო ყოფილა. მოგზაურ-მლოცველებზე თავდასხმა მათი გაძარცვის მიზნით ჩვეულებრივი ამბავი იყო. გზის ამავე მონაკვეთზე თავდასხმები განუცდია მოგზაურ ბინოსსაც.

5

ზემოთ თქმულიდან აშკარაა, რომ ტიმოთე ცნობისმოყვარე, მეცნიერი ტურისტია, რომელმაც მრავალ საინტერესო დაკვირვებებსა და მასალას მოუყარა თავი და ამით „მიმოსლვას“ მხატვრულ-დოკუმენტალური პროზის სახე მისცა. მაგრამ ეს „მიმოსლვის“ მხოლოდ ერთი მხარეა. სამოგზაურო შთაბეჭდილებებისა და წიაღსვლების გვერდით ტიმოთემ სხვა მასალაც შეიტანა, ეს არის: ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობები, რომლებიც ხშირად მეცნიერული დაკვირვებებისა და გამოკვლევების ხასიათს ატარებენ, და „წმიდა ადგილთა“ აღწერა—თავისებური გზამკვლევი მოგზაურთათვის.

მასალის მრავალფეროვნებამ განსაზღვრა „მიმოსლვის“ როგორც ლიტერატურული ძეგლის თავისებურება.

¹ ვრცლად ჩერდება მარონიტთა და დრუზების სარწმუნოებასა და ყოფაზე ცნობილი ფრანგი მოგზაური ბინოსი, იხ. Путешествие игумена Бивоса чрез Италию во Египет, на гору Ливанскую, в обетованную землю и Иерусалим, СПб, 1793, გვ. 152 და შემდეგ.

² მიმოსლვა, გვ. 71.

„მიმოსვლა“ ეპრობლივად არ არის გამოკვეთილი.

მასალისა და მიზნის ნაირსახეობის გამო ის ვერ თავსდება ვერც მხატვრულ-დოკუმენტალური პროზისა¹ და ვერც ჩვეულებრივი პილიგრიმული აღწერების საზღვრებში, და თავისი ხასიათით მეცნიერულ-ისტორიული ნაშრომის ფარგლებშიც იჭრება.

„მიმოსვლა“ არც სტილისა და ენის თვალსაზრისით არის ერთგვაროვანი.

„მიმოსვლის“ ის ადგილები, სადაც ავტორი თავის სამოგზაურო შთაბეჭდილებებს გადმოგვცემს, დაწერილია სადა და სხარტი ენით. ავტორი აქ ხშირად მიმართავს მხატვრულ აღწერებს, მხატვრულ შედარებებსა და მეტაფორებს. იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით მოხდენილ სახეებსაც. ასე მაგ., აღწერს რა ათონის მთის სიღმეონის მონასტრის მდებარეობას, ტიმოთე წერს: „ადგილი კეთილი, მთითა და ველითა შემკული და ზღვასა ზედან გარდაკიდებული, ვითა სამკედურითა თევზთა იჭირვიდენ“².

მოგზაურობის აღწერა „მიმოსვლაში“ დინამიკურია. მოგზაურობის სურათები სწრაფად სცვლიან ერთმანეთს. მკითხველი ადვილად მისდევს მოგზაურს, და მის თვალწინ იშლება ახალ-ახალი ქალაქები, დაბები, ქვეყნები, ხალხები, მონასტრები, მოვლენები. ყველგან ავტორი გამოყოფს ახალი მოვლენისათვის დამახასიათებელსა და ტიპიურ მხარეს და ამ გზით აცნობს მას მკითხველს. საგანგებოდ და ვრცლად ჩერდება ტიმოთე ათონის, კონსტანტინეპოლისა და იერუსალიმის აწერაზე. ეს არის სამი მთავარი პუნქტი, რომლის ირგვლივ დაჯგუფებულია „მიმოსვლის“ ძირითადი თხრობითი მასალა. ტიმოთემ თითოეული ამ ადგილისათვის, მათი მნიშვნელობისა და ინდივიდუალური თავისებურების მიხედვით, აღწერის შესაფერისი ფორმები გამონახა.

კონსტანტინეპოლის აღწერის დროს ტიმოთე მთავარ ყურადღებას აქცევს ქალაქის მდებარეობასა და გარეგნულ მხარეს: „აწმკირედი რამე კოსტანტინეპოლისა ქალაქისათვის მიგიტხრა, რამეთუ ჰაეროვნობასა და სიკეთესა პირად-პირადობისა ქალაქისა მის შორად განგედო შევნიერება ყოვლისა სოფლისა ალაგთა და მათ შორის დედაქალაქთასა, რამეთუ არასადა იპოების აზია და ევროპა ერთად შეკრებული, ვითარ აქა; და მათ შორის მდინარედ

¹ მხატვრულ-დოკუმენტალური პროზის საუკეთესო და ტიპური ნიმუშია ს. ს. ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“ (იხ. აღ. ბარამიძე, ნარკვევები, II, გვ. 375).

² მიმოსვლა, გვ. 34.

წარმოქანებული შავით ზღვით ვიწრო ზღვა, მჩქეფარედ პერეულთა კვეთებითა მომდინარე, და ზედა დაფუძნებული კოსტანტინეპოლი, ზედან მათაა ქელითა საბაოთისათა. და მთანი იგი საესედ შემოსილი ნაძვითა და კიპაროზითა ლიბანისათა. და იწროსა მას ზღვასა მომდინარესა გაღმართ და გამოღმართ ქალაქი შენ არს. ზღუდენი და გოდოლნი და კედელ-ყურეთა შენებულობა უცხო და ფერადად მოფარდაგულნი. სრათა სანათურთა ჯამნი ალყვაგებულნი თითოსახენი ედემსა ესახებოდა. პალატთა, სტოვათა და ბაზართა ქალაქისათა ბურვილობა ზოგნი იყენეს ბრპენისანი [ოქროცურვებულნი, ბურვილნი ზედან სრათა და წყაროთა, ვითა მზე ქალაქსა უშუქ-მკთომარეობდეს], და ზოგნი კეც-ქაშანურითა ფერითა, სხვანი—მეწამულნი, წითლისა მალრიბულისაებრ ელვარედ იქვირებოდეს. შიგ ხომალდნი, ალვისა რტოებ მდგომნი, კეკლუცად მოეზაენებოდეს ქალაქსა. ტევრთა შინა სელვინუ და ლაჯთა და კვიპაროზთასა სრათა საქელმწიფოთა ელვანი გამოკრთებოდეს და გარემოს ფიქვნართა, ნაძვთა მალნარიანობა ფარდად გარემოეხვია შენებულობათა. ხოლო დედაქალაქი ესე ვიმეცენ, ვითა მთიები ვარსკვლავთა შორის ვაგვანენ, ვითა ვარდი ყვავილთა შორის სამოთხისათა, ვითა იაკინთე ქვათა შორის სამარაგდოვანთა, ვითა ირისე ღრუბელთა შორის და ვითა აგვისტოს კეისარი მეფეთა შორის,— ეგრეთ აღრიცხვენ¹.

ამ აღწერით ტიმოთე ცდილობს აჩვენოს მკითხველს, რომ კონსტანტინეპოლი თავისი მდებარეობითა და ნაგებობათა სიმშვენიერით გამოირჩევა ყველასაგან და იგი ერთი ულამაზესი ქალაქია. მთელს ევროპასა და აზიაში. ამგვარადვე აღწერს ტიმოთე დანარჩენ დიდ ქალაქებსაც.

სხვა თვალსაზრისით აინტერესებს ტიმოთეს ათონის მთა.

ათონის აღწერა „მიმოსლვაში“ ემსახურება ერთ მიზანს: დაარწმუნოს მკითხველი, რომ ამ მთის ბუნებრივი სიმდიდრე და მშვენიერება განგების ძალით ასკეტური ცხოვრებისათვის არის მოწყობილი. ათონი „ნუგეშად ბოძებია“ განგებისაგან სულიერ მამებს: „აწ მიგიტხრა ადგილთაცა შევნიერებისათვის, თუ ვითარ ნუგეშად ბოძებია მათ ღმთისაგან. რამეთუ სოფელსა შინა განვიცადე რა მთაწმიდა და ადგილთა შევნიერება მისი, ედემისათვის ტკბილსა-შვებელსა ვასახე: ვითა მთა იგი მაღალი ათონი მყინვარე, ვითა სპეტი რაჟმე გამომქვირვალი სახედ ყარყუმთა, და კუდთა სიშავე.

¹ მიმოსლვა, გვ. 57—58.

ესახებოდა სენაკთა. იქა და აქა განკარგულნი შენება მყუდროთა მათ მიმოდადებითა კლდეთა შინა და უღალთა მათათა მიიქვირობოდეს, ვითა თქვა მეფესალმუნემან: „მთანი მალალნი ირემთა“. ჰე, ნანდვილ მონაზონნი, ლტოლვილნი სოფლით, აქა სახედ ირემთა და ქურციკთასა იყოფებიან, გარექცევითა—ვითა ირემნი. და გველთა, მოისართა ჩვენთა, ვითა ირემნი პირითა აღიწობენ და უჩინო იქმონენ და ფერჯითა დასთრგუნვენ და ირემთა კუდთა სიმუშკისა სუნთა სიმყრალესა ცოდვათასა ჩვენთასა წარიოტებენ¹.

ვრცელი აღწერა ათონის ბუნებისა „მიმოსლვაში“ ბერ-მონაზონთა იდილიური სამყოფელის დახატვას ემსახურება², რისთვისაც გამოყენებულია ციტატები ბიბლიიდან. ბიბლიური სამყაროდანევა მოტანილი მასალა შედარებებისათვის — ედემი, სამოთხე, ტაბლა და წიაღი აბრამეანთა, გეონი ანუ ევფრატი და სხვ. „მიმოსლვის“ A რედაქციაში კი ტიმოთემ მთაწმიდის აღწერისათვის სასულიერო ლექსის ერთ-ერთ უძველეს ფორმას იროიკოსაც კი ნიშნობს³.

სულ განსხვავებული წესით აღწერს ტიმოთე იერუსალიმს. ამ შემთხვევაში ტიმოთესათვის მთავარია ის განსაკუთრებული ადგილი, რომელიც მიეკუთვნება იერუსალიმს საღმრთო წერილის მიხედვით და რომელიც იერუსალიმმა დაიმკვიდრა ქრისტიანულ სამყაროში. იერუსალიმის აღწერა თავის ფორმით განსხვავდება როგორც კონსტანტინეპოლის, ასევე მთაწმიდის აღწერისაგან: იგი დაწერილია ათთა კატეგორიათა ხმაზე. თავის სურვილს აღწეროს იერუსალიმის ქება „ათთა ნამკთა ზე“, ტიმოთე შემდეგნაირად ასაბუთებს: „უსაწად ჩემთა ესთა, რათა დავითებრიენი ჳმანი მეუმუსიკნეთ ზედა ქალაქსა ამას წმიდასა იერუსალიმს...და ანუ თუმცა ეკმაება შესხმა ფისიკურთა ჳმათამი შკოლისა ებნათამი დაბერვაჲ, ათთა ნადვი-

¹ მიმოსლვა, გვ. 29.

² იქვე, გვ. 29—30.

³ იროიკო გავრცელებული იყო ბერძნულსა და ბიზანტიურ ნეტრიკაში. ამ სახლით დაწერა ეფრემ მცირემ ეპიგრაფები, რომლებიც წინ წაუძღვარა დიონისე არეოპაგელის წიგნების თარგმანებს (იხ. სიმ. ყაუხჩიშვილი, ეფრემ მცირე და ბერძნული ლექსწყობის საკითხები. უნივერსიტეტის შრომები XXVII ნ., 1946, გვ. 68). ტიმოთეს მთაწმიდის ეს შესხმა შემდეგ სახელწოდებას ატარებს: „იროიკო მთაწმიდისა და იამბიკო მსოფლიო“ იროიკო დაყოფილია სტროფებად, იგი აკროსტიხულია. კიდურმწერლობაში იკითხება ტ ი მ ლ თ ე. იროიკოს თითოეული სტროფი მთავრდება რეფრენით: „ეფუცავ არის პარადისო“. სტროფების მეტრული სახის დადგენა ვერ ხერხდება (იხ. მიმოსლვა, გვ. 115).

ლისათა ნამკთა მუსთა ზე ქებათა აღტვიფრა მისი და ღმთისმეტყველებითაცა ნიშთამე პოვნად მათ შორის სახლისა ღმთისა იებოსელისათვის¹.

თავისი დანიშნულებისა და ფორმის გამო იერუსალიმის აღწერა სტილის მხრივაც ძლიერ განსხვავდება წინა აღწერებისაგან. ის დაწერილია მძიმე ენით, გადატვირთულია საღვთისმეტყველო სქოლასტიკური მსჯელობებით.

სტილისტური სხვადასხვაობა „მიმოსღვის“ ტექსტის მთელ მანძილზე შეიმჩნევა. საკმარისია ავტორი გასცდეს მოგზაურობის აღწერას და ლირიკულ წიაღსვლაზე ან განყენებულ მსჯელობაზე გადავიდეს, რომ მარტივი თხრობა შეიცვალოს მძიმე, მაღალფარდოვანი სტილით, გრძელი და ხელოვნური პერიოდებით. ავტორი აშკარად იცავს „მიმოსღვაში“ ე. წ. სტილების თეორიას. „ამ თეორიის თანახმად ყველა საგანზე მსჯელობა ერთი და იმავე სტილით დაუშვებლად იყო მიჩნეული: „მაღალ მატერიას“ (მაგ., ღვთისმეტყველებას) აღწევებული ენა—„მაღალი სტილი“—შეეფერებოდა; ისტორიული თხრობა, მაგალითად,—საშუალო სტილს მოითხოვდა; ყოველდღიური ამბები, საყოფაცხოვრებო მოვლენები „უბრალოდ“ ითქმოდა, მას ჩვეულებრივი სასაუბრო ენა გამოადგებოდა,—ეს იყო „დაბალი სტილის“ საშუალო“².

ერთი ნაწარმოების—„მიმოსღვის“—ფარგლებში სხვადასხვა მასალის შესაბამისად მაღალი და საშუალო სტილით სარგებლობა მოწმობს იმას, რომ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ქართულ მწერლობაში ჯერ კიდევ იქამდე, სანამ ანტონ პირველი სტილებზე მოძღვრებას თეორიულად დაასაბუთებდა, განსხვავებული სტილებით წერა გავრცელებული ყოფილა. ტიმოთე გაბაშვილის სამწერლობო მოღვაწეობა ამათ აშკარად ადასტურებს. ნაირი სტილით წერს ტიმოთე თავის სხვა თხზულებებშიც. ასე მაგალითად, ყრმათათვის სასწავლო წიგნად დაწერილი „მარწუხი“ დაწერილია საშუალო სტილით, ხოლო ანტონ პირველის ფილოსოფიური თხზულების „სპეკალის“ ტიმოთესეული წინასიტყვაობა დაწერილია ღვლარკნილი, მაღალფარდოვანი ენით—„მაღალი სტილით“.

ტიმოთე გაბაშვილი „მიმოსღვის“ ფართო მიზანდასახულობისა და მოგზაურობის დროს მოპოვებული მრავალფეროვანი მასალის გამო ვერ შემოიფარგლებოდა ნაწარმოების მხოლოდ მხატვრული

¹ მიმოსღვა, გვ. 74.

² არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, 1950, გვ. 20.

ინტერესებით. „მიმოსღვის“ სამეცნიერო და საღვთისმეტყველო ნაწილი დაწერილია მაღალი სტილით, მძიმე და მოუქნელი ენით, რაც ძნელად საკითხავს ხდის ნაწარმოებს და უკარგავს მას მხატვრულ მომხიბლობას. ამ მხრივ ტიმოთემ ვერ დაიცვა ს. ს. ორბელიანის მხატვრული ტრადიციები, რომელმაც თავისი „მოგზაურობით“ არა მარტო დაამკვიდრა ქართულ მწერლობაში მოგზაურობის ახალი ჟანრი, არამედ ამავე დროს შექმნა ქართული მხატვრული პროზის ერთი საუკეთესო ნიმუში.

ტიმოთემ ისარგებლა რა საბას მიერ გაკაფული გზით, ამავე დროს გააფართოვა მოგზაურობის ჟანრის ნაწარმოების საზღვრები ისტორიულ-მეცნიერული მასალით და მოგზაურობის ჟანრის ახალი სახეობა შექმნა.

IV

ტიმოთე გაბაშვილი—იერუსალიმის ქართული კოლონიის ჰირველი ისტორიკოსი

„მიმოსღვის“ ისტორიული მასალის ანალიზი მოწმობს, რომ ტიმოთეს მოგზაურობის ერთ-ერთი და მთავარი მიზანი იერუსალიმის ქართულ სიძველეთა აღნუსხვა, შესწავლა და იერუსალიმის ქართული კოლონიის ხანგრძლივი მოღვაწეობის გათვალისწინება იყო.

ეს მიზანი ყოველთვის როდი იდგა ქართველი მოგზაურების წინაშე. ამ მხრივ ტიმოთემ ახალი სიტყვა თქვა. მან ახლებურად შეხედა იერუსალიმის ქართული კერების მნიშვნელობას და ამასთან დაკავშირებით იქ მოგზაურობის საჭიროებასაც.

იერუსალიმში ქართველთა მოგზაურობისა და მოღვაწეობის ისტორიის მოკლე გათვალისწინება საშუალებას მოგვცემს ჩამოვაცალბოთ ის ახალი ინტერესები, რომლებმაც განსაზღვრეს ტიმოთეს მოგზაურობის ხასიათი.

იერუსალიმის ქართველი მოგზაურ-მოღვაწენი

(მოკლე მიმოხილვა)

1

მოგზაურობა ფეოდალურ საქართველოში თვითმიზანი არასდროს არ ყოფილა და ვერც იქნებოდა. ფეოდალურ საქართველოს თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიური ურთიერთობა ჰქონდა გაბმული როგორც თავის უშუალო მეზობლებთან, ასევე აზიისა და ევროპის შორეულ ქვეყნებთანაც. სახელმწიფოთა შორის კავშირი ამ დროს ელჩებისა და სხვადასხვაგვარ მოგზაურთა საშუალებით მყარდებოდა. ამით აიხსნება, რომ, მიუხედავად მგზავრობის მეტად რთული პირობებისა, მოგზაურთა რიცხვი ან დროს მაინც დიდი იყო.

სხვა ქვეყნებს შორის პალესტინას განსაკუთრებული ადგილი ეკავა. პალესტინა ქრისტიანობის კერა იყო, რომლის ფლობა, გაშენება თუ მოხილვა დიდ დამსახურებად ეთვლებოდათ ქრისტიანულ

სახელმწიფოებს. პალესტინის ეს თავისებურება მოგზაურთა თვალში მას მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში დამოწმებულია მ გ ზ ა უ რ ი ს ა და მ ო გ ზ ა უ რ ი ს ხ მარება, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ორივე ეს სიტყვა ერთი მნიშვნელობის იყო და ნიშნავდა გზაზე მყოფს, გზაზე მიმავალს! თანამედროვე ქართულში ეს მნიშვნელობა მხოლოდ მგზავრმა დაისაკუთრა, მოგზაურმა კი ახალი შინაარსი შეიძინა.

მოგზაურობის დღევანდელ გაგებას უფრო უახლოვდება ძველ ქართულ მწერლობაში გავრცელებული ტერმინები მიმოსლვა და მოხილვა¹. მიმოსლვა „სლვა“ ზმინისაგან არის ნაწარმოები „მიმო“-პრეფერის საშუალებით. „მიმო“-პრეფერტი სხვადასხვა მიმართულებით სელაზე მიუთითებს. სელის მრავალგზისობით ემსავლება მიმოსლვა დღევანდელ მოგზაურობას. მაგრამ მიმოსლვაში აშკარად არ ჩანს მოგზაურობის დღევანდელი მნიშვნელობისათვის დამახასიათებელი მეორე მხარე—დათვლიერებისა და ნახვის მომენტს მგზავრობის დროს. ეს მნიშვნელობა გააჩნია მოხილვას. მოხილვაში მთავარია არა მგზავრობა, რომელიც წინ უსწრებს ყოველგვარ მოხილვას, არამედ ნახვა, ხილვა.

მოგზაურობის დღევანდელი გაგება მოიცავს მიმოსლვისა და მოხილვის შინაარსს ერთად.

პალესტინაში ქართველების მოღვაწეობასა და მოგზაურობას დიდი ხნის ისტორია აქვს. იერუსალიმში შემუშავებულსა და გავრ-

¹ ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942, გვ. 159.

მგზავრისა და თანამგზავრის მნიშვნელობით იხმარება მოგზაურის უძველეს ქართულ ძეგლებში: „ველის პირთა დასხნეს ავაზაქნი, რათა განჰკუთედენ გზათა მოგზაურთასა და წარიღებდენ მონაგებთა მათთა“ (წამება საბას ლავრის მამათა, პარხლის მრავალთავი, A-95, 850a); „მიერთგან იყო ლხინებამ ჩემი და ვპოვენ მოგზაურნი და მივიწვი სანახებსა ქართლისასა“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ, შატბერდის კრებული S-1141, გვ. 459). ცნობები მოგვაწოდა პროფ. ილ. აბულაძემ.

თანამგზავრის მნიშვნელობით ხმარობს მოგზაურს ტიმოთე გაბაშვილიც: „მონახონი გერასიმე, კაცი სავსე მეცნიერებითა, მეგობარ იყო უცხოებისა ჩვენისა და მოგზაურ და მოენეცა იგივე ჩემი“ (მიმოსლვა, გვ. 33).

² მიმოსლვა გვხვდება ეფთვიმე ათონელის მიერ თარგმნილ მოციქულთა აპოკრიფულ აქტებში: „მიმოსლვა მოციქულთა, ოდეს იგი წარავლინა უფალმან ანდრია სოფელსა მას კაცის მკამელთასა, გამოყვანებად მათესა საპყრობილით“ (კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I³, 1951, გვ. 420).

ასევე ძველია ტერმინი „მოხილვა“, რომელიც გვხვდება ღვთისმშობლის ერთ-ერთ აპოკრიფში: „ესათა მოხილვა... ღმრთისმშობლისა...“ (იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I, ს. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი, გვ. 14—15).

ცვლებულ გადმოცემათა მიხედვით, ქართველთა მოგზაურობა პალესტინაში დაიწყო საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების დროიდან.

სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები საუკუნეთა მანძილზე განსხვავებული მიზნით მოგზაურობდნენ და განსხვავებული თვალსაზრისით უყურებდნენ პალესტინის ქართული კულტურის სავანებს. მოგზაურობდნენ მეფეები მდიდარი შესაწირავებით, სასულიერო პირები—„წმიდა ადგილთა“ მოსალოცავად, ერის კაცნი—სავაქრო თუ დიპლომატიური მიზნებით. მაგრამ, განურჩევლად მიზნისა თუ თვალსაზრისისა, ამ მოგზაურობას ერთი საერთო შედეგი მოჰყვებოდა: ქართველები ეცნობოდნენ ახალ ქვეყნებს, იფართოებდნენ თავისი გეოგრაფიული თუ საერთო განათლების საზღვრებს, ეცნობოდნენ ქრისტიანული აღმოსავლეთის ყოფა-ცხოვრებასა და კულტურას, ქმნიდნენ ქართული კულტურის კერებს ქრისტიანული აღმოსავლეთის სახელმძოვნილ „წმიდა ადგილებში“ (იერუსალიმში, პალესტინის სხვა ადგილებში, სინაზე) და ხელს უწყობდნენ საქართველოსა და ქრისტიანული აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის კავშირის გაბმას.

იერუსალიმის ქართველ მოღვაწეთა წრეში გავრცელებული გადმოცემის მიხედვით, რომელმაც თავისი ასახვა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედლებსა და ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვაში“¹ პოვა, პირველი ქართველი მოგზაური იერუსალიმში პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი იყო.

გადმოცემა კონსტანტინე დიდს უკავშირებს მირიან მეფის მიერ იერუსალიმის მახლობლად ჯვრის მონასტრის ადგილის მოპოვებას.

ამ გადმოცემას, გარდა იერუსალიმში გავრცელებული ტრადიციისა, საფუძვლებელია, საფუძვლად დაედვა „ქართლის ცხოვრების“ ცნობაც იმის შესახებ, რომ კონსტანტინე მეფემ მირიანს გამოუგზავნა „ნაწილი ძელი ცხორებისა, და ფიცარნი იგი, რომელთა ზედა ფერწნი დამსკუალულ იყუნეს უფლისანი, და სამსკუალნი ჯელთანი“².

ქრისტიანობა საქართველოში უმთავრესად სირია-პალესტინის გზით ვრცელდებოდა. ამიტომ აღრიდანვე სირია-პალესტინა

¹ მიმოსლვა, გვ. 77.

² ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1942, გვ. 73—74.

ქართველებს იზიდავდა არა მარტო თავისი „წმიდა ადგილებით“, არამედ თავისი მდიდარი ქრისტიანული მწერლობით პირველ რიგში. აქ ეძებდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქართული ეკლესია თავისთვის საჭირო დოგმატიკურ-ფილოსოფიურსა თუ ლიტურგიკულ წიგნებს კონფესიონალური მტრების წინააღმდეგ. ამიტომ ქრისტიანულ აღმოსავლეთში ადრევე გაჩნდა ქართული მწიგნობრული კერები, სადაც ითარგმნებოდა ქართული ეკლესიისათვის საჭირო ლიტურატიურა. უკვე IV—V საუკუნეებში ქართველები არა მარტო მოგზაურობენ ქრისტიანულ აღმოსავლეთში, არამედ მოღვაწეობენ კიდევ.

V საუკუნეში სირია-პალესტინაში მოღვაწეობდა შესანიშნავი ქართველი მოაზროვნე პეტრე იბერიელი, რომლის შრომებმა დიდი გავლენა მოახდინეს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფილოსოფიურ აზროვნებაზე¹.

პეტრე იბერიელის ცხოვრებამ შემოგვინახა ცნობები პალესტინაში ქართველთა მოგზაურობის შესახებ. ცხოვრებიდან ვგებულობთ, რომ პეტრესა და მის მოწაფეს იოვანეს იერუსალიმში აუშენებიათ „სასტუმრო სახლი“, სადაც „განუსწნებდეს მომავალთა ძმთა ქართულთა და ბერძენთა“², და რამდენიმე მონასტერი. ერთი მათგანი ქართველთა მონასტრის სახელს ატარებდა³.

ამგვარად, პეტრე იბერიელის პიროვნებასთან არის დაკავშირებული პირველი ქართული მონასტრის, ქართველ პილიგრიმთა პირველი თავშესაფარის აშენება იერუსალიმში. საფიქრებელია, რომ ამ დროიდან იბერთა მონასტრის ბაზაზე შეიქმნა პირველი ქართული ახალშენი პალესტინაში.

ჯუანშერის ცნობით V საუკუნის მეორე ნახევარში პალესტინაში ვახტანგ გორგასალმა იმოგზაურა: „წარვიდეს ვახტანგ და დედა და დაე მისი იერუსალიმს... შევიდეს და ილოცეს წმიდასა აღდგომასა, და მოილოცნეს ყოველნი ადგილნი წმიდანი და შეე-

¹ პროფ. შ. ნუტუბიძისა და ე. ჰონიგმანის მიერ დღეს დამტკიცებულია, რომ პეტრე იბერიელი ავტორია ფსევდო დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილი თხზულებებისა (იხ. Ш. Н у ц у н и д з е, Таїна Дионисия Ареопагита, 1949; Э. Х о н и г м а н, Пётр Ивер и сочинения Псевдо Дионисия Ареопагита. Перевод с французского. Со вступительной статьей проф. Ш. И. Н у ц у б и д з е, Тбилиси, 1955).

² Жизнь Петра Ивера, царевича-подвижника и епископа Маюмского издал Н. Марр, ППС т. XVI, вып. II, 1896, зв. 14—15.

³ იქვე. გვ. 16—17.

ედრნეს წმიდასა აღდგომასა, შეწირეს შესაწირავი დიდი¹. ამ ცნობებს, მიუხედავად მათი ლეგენდარული ხასიათისა, საფუძვლად უნდა ედვას IV—V საუკუნეებში პალესტინაში ქართველთა მოგზაურობის უცილობელი ფაქტი.

VI საუკუნეში ქართველთა მოღვაწეობას იერუსალიმში სვიმეონ მესვეტის დედის მართას ცხოვრებაც ადასტურებს. ცხოვრების მიხედვით VI საუკუნეში იერუსალიმიდან შავ მთაზე მისულა იერუსალიმის ეკლესიის მღვდელი და წინამძღვარი ანტონი ქართველი².

V—VI სს. იერუსალიმში ქართული ახალშენის არსებობას ადასტურებს 1939 წელს იქ წარმოებული არქეოლოგიური გათხრები, რომლის დროსაც აღმოჩნდა ძველი სასაფლაო და VI საუკუნის საფლავის ქვა ბერძნული წარწერით: „საფლავი (სამუელ) ქართველი ეპისკოპოსისა და აქაური მონასტრისა“³.

თუ საფლავის ქვის წარწერა სწორად არის დათარიღებული და ამოკითხული, მაშინ წერილობითი წყაროების გვერდით ქართველი ეპისკოპოსის საფლავის ქვის წარწერა პირველი მატერიალური დოკუმენტია, რომელიც ქართული ახალშენის არსებობას ადასტურებს ამ დროის იერუსალიმში.

V—VI საუკუნეებში პალესტინის ქართული ახალშენის დიდ შემოკმედებით გაქანებას მოწმობს როგორც პეტრე იბერიის, ასევე მარტვილი ქართველის მოღვაწეობა, რომელიც აკად. კ. კეკელიძის ვარაუდით VI საუკუნის მეორე ნახევარში საბაწმიდის მონასტრის მამასახლისი უნდა ყოფილიყო⁴.

¹ ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1942, გვ. 126.

² Н. Марр, Агиографические материалы по грузинским рукописям Иверы, I, გვ. 38.

³ „Private tomb of (Samuel). Bishop of the Georgians and of the Monastery there (?), which they (i. e. the Georgians) purchased (or frequented) in the Tower of David“. წარწერა მოგვყავს გრ. ფერადის ნაშრომიდან (იხ. „An account of the georgian monks and monasteries in Palestine“. *Georgica, a journal of georgian and caucasian studies*. 1937, № 4—5, გვ. 183—184). ბერძნული წარწერა ამოკითხა და გამოაქვეყნა თავდაპირველად J. H. Iliffe-მა (J. H. Iliffe, *Cemeteries and a „monastery“ at the Y. M. C. A. in Jerusalem in the Quarterly of the Department of Antiquities in Palestine*. vol. IV, № 1—2, გვ. 70—80).

⁴ კ. კეკელიძე, მარტვილი ქართველი (VI—VII ს.) და მისი შრომა „სინანულისათვის და სიმდაბლისა“ („ლიტერატურული ძიებანი“, III, 1947, გვ. 261—313).

ქართველებმა ამ საუკუნეებში თავისი შემოქმედებითი მუშაობის ასპარეზად ქრისტიანული აღმოსავლეთი შემთხვევით როდიაირჩიეს. როგორც ცნობილია, ამ დროს ქრისტიანული მწერლობის ზოგიერთმა დარგმა თავის უმაღლეს განვითარებას სწორედ სირიას, ეგვიპტესა და პალესტინაში მიაღწია. ანტიოქია, ალექსანდრია და ლაზა ამ დროისათვის უძლიერეს გონებრივ ცენტრებს წარმოადგენენ მთელს ქრისტიანულ სამყაროში.

სირია-პალესტინაში მოგზაურობა VII საუკუნის დამდეგამდე გაადვილებული იყო, ვინაიდან ამ დრომდე იგი ბიზანტიის იმპერიაში შედიოდა. VII საუკუნის დამდეგიდან პალესტინა ირანისა და ბიზანტიის ბრძოლისა და ინტერესთა დაპირისპირების ობიექტად იქცა. 614 წელს ირანის მეფემ, ხოსრო მეორემ დაიპყრო პალესტინა და გადაწვა იერუსალიმი. 627 წელს ხოსრო მეორეზე ბრწყინვალე გამარჯვების შედეგად, ერეკლე კეისარმა კვლავ დაიბრუნა დაკარგული სამფლობელოები, მაგრამ ეს წარმატებები დროებითი აღმოჩნდა¹. 637 წლიდან არაბთა ხალიფა ომარი დაეუფლა ქრისტიანულ აღმოსავლეთს და ამ დროიდან მოკიდებული არაბთა ბატონობა პალესტინაში დიდხანს შეუცვლელი დარჩა.

ნიკიფორე ფოკას მეფობის დროიდან ქრისტიანული აღმოსავლეთის მუსლიმანთაგან განთავისუფლება ბიზანტიის იმპერატორთათვის საბრძოლო ამოცანად იქცა. ნიკიფორე ფოკას მეფობის უკანასკნელ წელს (969 წ.) ბიზანტიის ჯარებმა ანტიოქია აიღეს. შემდგომი ომებით ბიზანტია იფართოებდა სამფლობელოებს. მართალია, სირიაში წარმოებული ბრძოლები პალესტინამდე ვერ აღწევდა, მაგრამ მშვიდობა ამ დროს არც პალესტინაში სუფევდა. აქ ერთმანეთს ეცილებოდნენ და ებრძოდნენ მუსლიმანური დინასტიები: 969 წელს აბასიდებმა იერუსალიმი ეგვიპტის ფატიმიდებს დაუთმეს. 1077 წელს იერუსალიმს სელჯუკები დაეუფლენ. იერუსალიმისათვის ბრძოლა ფატიმიდებსა და სელჯუკებს შორის ჯვაროსანთა მიერ იერუსალიმის აღებით დამთავრდა.

2

არაბთა ბატონობის პერიოდში ქართველთა მიმოსვლას პალესტინაში არ შეწყვეტილა. VII—VIII საუკუნეებში იერუსალიმში ქართველთა მოღვაწეობის შესახებ წერილობით ცნობებს ჩვენამდე.

¹ А. А. Васильев, Лекции по истории Византии, т. I, Петроград, 1917, გვ. 185.

არ მოუღწევია, მაგრამ იერუსალიმის ქართული კოლონიის მომდევნო საუკუნეების ნდიდარი ლიტერატურული პროდუქცია მოწმობს, რომ ქართველთა მოღვაწეობა არც წინა საუკუნეებში შენელებულა.

VIII—X საუკუნეებში ქართველთა ინტერესი პალესტინისადმი მეტად დიდია. გაიზარდა მოგზაურთა რიცხვი. ამ საუკუნეებში, ისევე როგორც წინაში, ქართველებს პალესტინისაკენ იზიდავდა როგორც ქრისტიანული მწერლობა და კულტურა, ასევე ამავე წიაღში შექმნილი ქართული კოლონიის შემოქმედებითი მუშაობა. პალესტინისადმი კულტურულ-სარწმუნოებრივმა ინტერესმა განსაზღვრა ამ საუკუნეების მოგზაურთა მიზნები და მოღვაწეობის ხასიათი.

VIII—X საუკუნეებში პალესტინაში უმთავრესად მოგზაურობდნენ და ქართულ ახალშენებში თავს იყრიდნენ ქართველი მწიგნობრები, ამ სიტყვის ფართო გაგებით. ისინი ჩადიოდნენ რა პალესტინაში, ებმებოდნენ კოლონიის ლიტერატურულ მუშაობაში და უკან დაბრუნებულნი ხელმისაწვდომს ხდიდნენ ქართველი მკითხველისათვის ამ კოლონიის ლიტერატურულ პროდუქციას.

ცნობები IX საუკუნეებში ქართველთა მოგზაურობისა და მოღვაწეობის შესახებ პალესტინაში გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებამ შემოგვიინახა. ცხოვრებიდან ვგებულობთ, რომ „იყვნეს ვინმე იერუსალემს მოწაფენი ნეტარისა გრიგოლისნი, კაცნი შუენიერნი, კეთილნი მონაზონნი, სრულნი სიბრძნითა და სასწაულთა-მოქმედნი... მღდელნი ღირსნი, შვილნი დიდებულთა აზნაურთანი“¹ მაკარი და არსენი, რომლებიც საბა-წმიდის ლავრაში მოღვაწეობდნენ. აქ 864 წელს გადაწერა მაკარიმ ამჟამად სინას მთაზე დაცული უძველესი თარიღიანი ქართული ხელნაწერი, სინას მრავალთავის სახელით ცნობილი.

გრიგოლ ხანძთელს მკიდრო კონტაქტი ჰქონდა პალესტინის ქართულ კოლონიასთან. გრიგოლის თხოვნით, მისმა მოწაფეებმა გამოუგზავნეს საბაწმიდის მონასტრის ტიპიკონი, რომლის საფუძველზედაც შემდეგ გრიგოლმა „განაწესა წესი თვისისა ეკლესიისაჲ და მონასტრისაჲ“. მეორე მხრით, გრიგოლ ხანძთელის კულტურულ-სამონასტრო მშენებლობის ფართო გეგმების განხორციელებას ემსახურებოდა იერუსალიმიდან დაბრუნებული ილარიონი, რომელიც გრიგოლმა ახლად აშენებული უბის (უბისის) მონასტრის მამასახლისად დაადგინა. ამგვარად, ამ დროისათვის მგზაურობის რთული

¹ Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского, изд. Н. Марра. Т. Р. кн. VII. თავი 62, სტრ. 1—4.

პირობების მიუხედავად, საქართველოსა და პალესტინას შორის ცხოველი კულტურული ურთიერთობა იყო გაბმული.

მოგზაურობის მოკლე, მაგრამ ქართულ წყაროებში ერთადერთი აღწერა შემოგვინახა ილარიონ ქართველის ცხოვრებამ: ილარიონმა „წარიყვანა ძმაჲ ერთი და წარემართა წმიდად ქალაქად ისრუსალიმად...—კვითხულობთ ილარიონის ცხოვრებაში,—და ვითარცა ვლეს დღმ მრავალი, მიიწინეს იგინი ქუსყანასა მას შამისასა, ვინაჲ იგი მკვდრ იყენეს ნათესაენი ბარბაროზნი. და სლვასა მას მათსა შინა მიხუდეს ავაზაკნი ბოროტნი გზასა ზედა და მეყსეულად, ვითარცა მჭეცნი, მოუჭდეს მათ ზედა ჩუეულებისაებრ გონებათა მათთაჲსა, და იჯადეს ნახულები მათი, რათა სცენ მათ. და აღიპყრეს პირველად ცემად წმიდისა ილარიონისა“¹.

ილარიონს მოულოცავს წმინდა ადგილები და შვიდი წლის განმავლობაში საბა-წმიდის ლავრაში უმოღვაწნია: „წარვიდეს ქალაქად წმიდად ისრუსალიმად და მოილოცნეს წმიდანი იგი და თაყვანის-საცემელნი ადგილნი და იხილა მას შინა წმიდამან მან ყოველივე სახს მანგებულებისა სიტყვსა ღმრთისაჲ და თაყუანის-სცა წმიდასა და დიდებულსა გოლგოთასა და ცხოველსმყოფელსა საფლავსა; და მიერ წარვიდა ბეთლემად და იხილა ქუაბი იგი ცათა მობაძავი...და მიერ მიიწია მდინარედ წმიდად იორდანედ და განიბანა წყლითა მით წმიდითა, და მოილოცნა ყოველნი იგი მონასტერნი, რომელნი შსნ იყვნეს უდაბნოთა მათ შინა წმიდათა, და მიიწია ვიდრე ლავრადმდე დიდისა საბაჲსა, და დაყო ყოველთა მათ უდაბნოთა შინა შვიდი წელი ღუაწლითა და შრომითა, რომელთა გამოთქუდაჲ შეუძლებელ არს“².

ქრისტიანულ აღმოსავლეთში VIII—X სს-ში სამი დიდი მწიგნობრული კერა მოქმედებდა, საბა-წმიდის ლავრა, პალავრა და სინის მთის მონასტერი.

VIII საუკუნის დასასრულსა და IX საუკუნეში საბა-წმიდის ლავრაში, გარდა ზემოთ დასახელებული არსენისა და მაკარისა, მოღვაწეობდნენ სეით თარგმანი, უძველესი ჰაგიოგრაფიული კრებულის მთარგმნელ-შემდგენელი³, ჰიმნოგრაფი ბასილი საბაწმიდელი⁴ და სხვ.

¹ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, 1901, გვ. 74:

² იქვე, გვ. 75.

³ ა. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I³, გვ. 116—117.

⁴ პ. ი ნ გ თ რ თ ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 0100.

X საუკუნის მანძილზე პალაერაში მოღვაწეობდა მთელი ჯგუფი ქართველი მწიგნობრებისა: სვიმეონ მგალობელი, სინას მთაზე დაცული ერთ-ერთი ძველი იადგარის გადამნუსხველი¹, თეოდორე და პავლე პალაერელები. უკანასკნელმა გადამნუსხა სეით თარგმანის თარგმნილი მრავალთავი. აქვე 968 წელს გადაწერა იოანე საფარელმა იოანე ოქროპირის ცხოვრება².

პალესტინის ქართული კოლონიის ლიტერატურულ საქმიანობას X საუკუნიდან წარმართავენენ შესანიშნავი ქართველი ჰიმნოგრაფები, სინის მთის მოღვაწენი, იოანე-ზოსიმე და იოანე მინჩხი. IX—X საუკუნეების კოლონიის ლიტერატურულ საქმიანობაში მკაფიოდ იჩინა თავი ამ პერიოდის ქართული ლიტერატურისათვის დამახასიათებელმა ეროვნულმა მიმართულებამ. ფართოდ გაიშალა მთარგმნელობითი და ორიგინალური შემოქმედება. ითარგმნა და შედგა ჰაგიოგრაფიული კრებულები, პალესტინური ტიპის იადგარები და ასკეტიკურ-მისტიკური ხასიათის პირველი კრებულები³. ითარგმნა უძველესი ლიტურგიკული ძეგლი „იერუსალიმის კანონარი“⁴, რომელიც რამდენიმე საუკუნის მანძილზე ქართული მღვდელმსახურებისათვის სახელმძღვანელო წიგნი იყო. აქვე შეიქმნა ოთხთავის ის რედაქცია, რომელიც საბაწმიდურის სახელითაა ცნობილი. შედგა კალენდარი ქართული ეორტალოგიური მასალის გათვალისწინებით⁵.

ყოველივე ეს შედეგი იყო ქართველ მოღვაწეთა დაუცხრომელი მუშაობისა და კულტურული ურთიერთობისა სხვა ქრისტიანი ერების წარმომადგენლებთან, რომელთაც რიგ შემთხვევაში ქართული შემოქმედების ნაყოფი თავის ენებზეც გადაჰქონდათ. ამის მოწმეა ქართულიდან სომხურად თარგმნილი „დიონისე არეოპაგელის ცხოვრება“, რომელიც ვინმე იოანე მკურნალს IX საუკუნის 60—80-იან წლებში ქართულიდან სომხურად უთარგმნია⁶.

¹ სინას ხელნაწერი № 40. იხ. ჯ ა ვ ა ზ ი შ ვ ი ლ ი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947.

² საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი H—2124.

³ მამათა სწავლანი X და XI ს-თა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ილია აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1955, გვ. XXII.

⁴ К. К е с л и д з е, Иерусалимский Канонарь VII в. (Груз. версия), Тифлис, 1912.

⁵ კ. კ ე ვ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I³, გვ. 45.

⁶ ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, 1944, გვ. 0172.

როგორც ვხედავთ, ამ პერიოდის ქართველ მოგზაურთათვის პალესტინაში კულტურული მოღვაწეობის ფართო ასპარეზი იყო გაშლილი. ამიტომ ქრისტიანულ აღმოსავლეთში უმთავრესად მოგზაურობდნენ ეროვნული კულტურის სვე-ბედით დაინტერესებული ქართველი მწიგნობრები, რომლებიც პალესტინაში ჩასულნი ებმებოდნენ ქართული კოლონიის შემოქმედებით საქმიანობაში. აბამდნენ კავშირს ამ დროის მოწინავე კულტურის მქონე ერებთან, ეცნობოდნენ მათ მიღწევებს, ცდილობდნენ თავისი ეროვნული მიზნების შესაბამისად გადაემუშაებინათ მათი ლიტერატურული პროდუქცია და ახალ მეცნიერულ-ლიტერატურულ მოთხოვნილებათა საფუძველზე განევითარებინათ საკუთარი ორიგინალური შემოქმედება. პალესტინის ქართულ კერებში შექმნილი ლიტერატურული პროდუქცია მოგზაურთა საშუალებით ქართული საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ხდებოდა. მათი საშუალებით ეზიარა ქართული საზოგადოება მისთვის საჭირო ახალ მიღწევებს მეცნიერებისა თუ მწერლობის სხვადასხვა დარგიდან.

3

XI საუკუნიდან იერუსალიმის ქართულმა კოლონიამ დაკარგა ქართველი ხალხისათვის ის დიდი კულტურული მნიშვნელობა, რომელიც მას გააჩნდა წინა საუკუნეებში. მიუხედავად იმისა, რომ ქართული სახელმწიფოს გაძლიერებასთან ერთად იზრდებოდა ქართული ზონასტრების რიცხვი პალესტინაში და იქ მოღვაწეთათვისაც უკეთესი მატერიალური პირობები იქმნებოდა, მუშაობა ქართველ მოღვაწეთა კოლექტივში დღით-დღე უკან მიდიოდა.

XI საუკუნიდან, საქართველოს გაერთიანების დროიდან, ქვეყნის ეკონომიურსა და პოლიტიკურ მოძლიერებასთან ერთად, გაიზარდა სახელმწიფოს საერთაშორისო პრესტიჟი, გაცხოველდა ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან. მეათე, განსაკუთრებით კი მეთერთმეტე საუკუნიდან ქართველები აქტიურად ებმებიან ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში. ქმნიან ქართული კულტურის ძლიერ კერებს ოლიმპოზე, ათონის მთაზე, შავ მთაზე. საქართველოდან კონსტანტინეპოლის მანგანის აკადემიაში იგზავნებიან ქართველი ახალგაზრდები განათლების მისაღებად. მოწინავე ქართველი მოაზროვნენი ჩაბმული არიან იმ დიდ საზოგადოებრივ-ფილოსოფიურ მოძრაობაში, რომელიც ბიზანტიური რენესანსის სახელით არის ცნობილი. ამ დროიდან ქართველთა შემოქმედებითი მუშაობის ცენტრმა ბიზანტიის ტერიტორიაზე და ბიზანტიის

კულტურული გავლენის სფეროში არსებულ ქართულ მწიგნობრულ კერებში გადაინაცვლა. ათონისა და შავი მთის ქართველ მოღვაწეთა წრეებში ბიზანტიური მწერლობის ათვისებისა და კრიტიკული დამუშავების ნიადაგზე გამოიკვეთა ქართული ეროვნული ლიტერატურული სკოლები, რომლებიც წარმართავდნენ ქართულ საეკლესიო მწერლობასა და ფილოსოფიურ აზროვნებას ამ საუკუნეებში.

მუსლიმანურ გარემოცვაში მომწყვდეული იერუსალიმი, მოწყვეტილი ბიზანტიური კულტურის მთავარ კერებს, ამ დროიდან, ერთგვარად, იზოლირებული რჩება. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ წინა საუკუნეების ძლიერმა მწიგნობრულმა და შემოქმედებითმა კერებმა თანდათან დაკარგეს თავისი შემოქმედებითი ძალა და გადაიქცნენ ქართველ პილიგრიმთა თავშესაფარად, უკეთეს შემთხვევაში, კალიგრაფიულ ცენტრებად.

ამის მიუხედავად ქართველები პალესტინაში მაინც მოგზაურობდნენ უფრო მეტად, ვინემ მანამდე. ამას თავისი ახსნა გააჩნია: XI საუკუნის მიწურულიდან პალესტინამ საქართველოსათვის დაკარგა კულტურული ღირებულება, მაგრამ ამავე დროიდან მან ახალი, პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა. განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც პალესტინა ქრისტიანთა და მუსლიმანთა ბრძოლია ასპარეზად გადაიქცა.

XI საუკუნიდან მახლობელ აღმოსავლეთში დიდი ცვლილებები ხდება. ამ დროიდან მახლობელი აღმოსავლეთი ევროპის ეკონომიურისა და პოლიტიკური დაინტერესების სფეროში აღმოჩნდა. 1096 წელს დაიწყო, და თითქმის ორ საუკუნეს გაგრძელდა, ჯვაროსნული ლაშქრობის სახელით ცნობილი ევროპის ხალხების დიდი სამხედრო-კოლონიზატორული მოძრაობა, რომელმაც ევროპის ქვეყნების სარწმუნოებრივ სამოსელში გახვეული მტაცებლური ზრახვები სავსებით გამოამქლავნა. ევროპა ფეოდალური კრიზისებიდან თავის დაღწევის საშუალებას აღმოსავლეთში ხედავდა, ამიტომ ამ მოძრაობაში ჩაბნული იყო ფეოდალური ევროპის ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი: ჰეფეები, პაპები, მსხვილი ფეოდალები, წვრილი ფეოდალი-რაინდები, ვაჭრები (და გლეხები. ლაშქრობებში ყველა თავისი თავისათვის გამორჩენას ეძებდა.

ჯვაროსნებმა სირია-პალესტინაში ფეოდალური ტიპის სამთავროები შექმნეს. მსხვილმა ფეოდალებმა მამულების მიტაცებით ფეოდეები შემოისაზღვრეს. იტალიელი ვაჭრები აღმოსავლეთის სავაჭრო გზებსა და ბაზებს ეძებდნენ. გლეხები ფეოდალური ექსპლოატაციისაგან თავის დაღწევისა და თავისუფალი მიწის შოვნის სურ-

ვილით იყვნენ შეპყრობილნი. პაპები ჯვაროსნულ ლაშქრობებში გამდიდრებისა და რომის კურიის გაძლიერების ახალ საშუალებას ხელაძღნენ.

მიუხედავად იმისა, რომ იერუსალიმის სახელმწიფოსა და ცალკეული სამთავროების საზღვრები ციხე-სიმაგრეებით იყო გამაგრებული და თავდაცვის მიზნითვე ჯვაროსანთა რიგებში შეიქმნა სამხედრო ორდენები, მშვიდობა ჯვაროსანთა ბანაკში მაინც არ სუფევდა. მუდმივი ბრძოლა წარმოებდა არა მარტო მუსლიმან მთავერებთან, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა დაებრუნებინათ დაკარგული სამფლობელოები, არამედ თვით ჯვაროსან მთავერებს შორისაც.

ჯვაროსანთა დამკვიდრების დროიდან პალესტინაში მოღვაწე ქართველებისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა.

ჯვაროსანთა ლაშრობებმა ხელი შეუწყო დავით აღმაშენებლის სამხედრო-პოლიტიკური მიზნების განხორციელებას საქართველოში. დავითმა ისარგებლა ჯვაროსანთა ბრძოლებით სელჯუკებთან და შეუწყვიტა მათ ხარკის მიცემა. ამას მოჰყვა სისტემატური ბრძოლები სელჯუკთა წინააღმდეგ და მათი თანდათან გაძევება საქართველოდან. საბოლოო ლახვარი სელჯუკებს დავითმა 1121 წელს დიდგორის ომის დროს ჩასცა, როდესაც დავითის წინააღმდეგ წამოვიდა მუსლიმანთა ძლიერი კოალიცია ელლაზის სარდლობით. დიდგორის ბრძოლაში მუსლიმანთა კოალიციის დამარცხება „იყო იმ ძლიერი პოზიციის აშლა, რომლის საშუალებით, არაბთა დროიდან დაწყებული, და მერე თურქთა გაძლიერებით, მაჰმადიანთა მათი ბატონობა ამიერკავკასიის შუაგულში უზრუნველყოფილი ჰქონდათ“¹.

ჯვაროსნები, რომლებიც სამხრეთიდან უტევდნენ სელჯუკებს, დიდის ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს ქართველების ბრძოლებს ჩრდილოეთში. დიდგორის 1121 წლის გამარჯვება ჯვაროსნებმა ისე მიიღეს, როგორც მათთან მოკავშირეობა და მათთვის გაწეული დახმარება.

ქართველები თვითონაც მშვენივრად ხელაძღნენ, რომ წინააზიაში საქართველო იყო ერთადერთი ძალა, რომელსაც შეეძლო არა მარტო წინააღმდეგობა გაეწია მუსლიმანებისათვის, არამედ აელაგმა კიდევ ისინი. ქართველებმა ისიც კარგად იცოდნენ, რომ

¹ ხ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, გარშემო ვრთის ომისა, პარიზი, 1929, გვ. 46—47.

მუსლიმანთა კოალიციის დამარცხება კავკასიაში მარტო ადგილობრივი მნიშვნელობის ფაქტი არ იყო. ეს ხელის შეწყობა იყო პირველ რიგში ჯვაროსნებისათვის, რომლებიც მუდმივ ბრძოლასა და მეტოქეობაში იყვნენ თურქ-სელჯუკებთან.

ბუნებრივია, რომ ამ პირობებში ქართველთა პრეტენზიები პალესტინაში გაიზარდებოდა. ქართველები თავის თავს ჯვაროსანთა ლაშქრობის მონაწილედ თვლიდნენ, მათ მიაჩნდათ, რომ დიდი დამსახურება მიუძღოდათ მუსლიმანთა წინააღმდეგ ბრძოლაში და ამდენად იერუსალიმის ურჯულოთაგან განთავისუფლების საქმეში. ამ დროიდან იერუსალიმის წმიდა ადგილებში ახალ-ახალი უფლებების მოპოვება, იერუსალიმის ქართული კოლონიების გაზრდა-გაძლიერება სახელმწიფოს ზრუნვის საგნად იქცა, ვინაიდან ამით იზომებოდა სახელმწიფოს პოლიტიკური ძალა და საერთაშორისო მნიშვნელობა. გარდა პოლიტიკური ინტერესებისა საქართველოს პალესტინასთან სავაჭრო მიზნებიც აკავშირებდა. საქართველოში ქალაქების ზრდა და ვაჭრობის განვითარება მოითხოვდა პირველ რიგში მახლობელ აღმოსავლეთთან სავაჭრო ურთიერთობათა გაფართოებას.

ქართული სახელმწიფოს ცენტრალიზაციამ, ეკონომიურმა მოძლიერებამ და დროებითმა სტაბილიზაციამ შექმნეს ხელსაყრელი პირობები ქვეყნის კულტურული წინსვლისათვის. ამ პერიოდის ადგილობრივი და საზღვარგარეთის ქართული კულტურის კერები ეროვნული კულტურის აღორძინების საქმეს ემსახურებოდნენ. სახელგანთქმული ქართველი მოღვაწენი შორეულ ქვეყნებში სამშობლოსათვის სამსახურის შოვალეობის გრძნობამ გადახვეწა. მიზანი ყველასათვის ერთი იყო, გასცნობოდნენ ქრისტიანული კულტურის უდიდეს კერებში ქრისტიანული მწერლობის უკანასკნელ მიღწევებს და იგი ხელმისაწვდომი გაეხადათ ქართველი ხალხისათვის. საქართველოს გარეთ მოღვაწე ქართველთა შემეცნებაში იშლებოდა ფეოდალური სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი პარტიკულარული იდეოლოგია. ეკლესია აქაც, და პირველ რიგში აქ, ქვეყნის საერთო ეროვნული ინტერესების დამცველად გვევლინებოდა: „ქართული ეროვნული თვითშემეცნების განმტკიცებისა და გამოკვერისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უცხოეთში მდებარე ქართველთა მონასტრებს, სინის მთისას და პალესტინისას, შავის მთისას და, განსაკუთრებით, ათონის ივერთა დიდებულს ლავრას, მის დამაარსებლებს იოანეს და ექვთიმეს, და გიორგი მთაწმიდელს“¹.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, 1948, გვ. 167—168.

წერს ივ. ჯავახიშვილი. „ქართული ეკლესია უცხოეთშიც-კი მხურვალედ ღმერთს შესთხოვდა ხოლმე, რომ ჩვენს სამშობლოში თანხმობა და სიყვარული დამყარებულიყო; „ქართლისა მშუდობისა, საზღუართა განმაგრებისა, მეფეთა და მთავართა დაწყნარებისა, მტერთა გარემოქცევისა, ტყუეთა მოქცევისა, ეამთა დაწყნარებისა, ქრისტეანობისა დამტკიცებისათჳს“ უფლისა მიმართ ვილოცოთო,—ნათქვამია სინას მთის ერთს ქართულ ხელნაწერში“¹.

საზღვარგარეთის ქართული კულტურის კერებში სამკალი დიდი იყო; ამიტომ საჭირო იყო შრომის განაწილება, ცოდნა და აღრიცხვა იმისა, თუ ვინ რას აკეთებდა. ერთმანეთისაგან დიდი მანძილით დაშორებული ქართული მწიგნობრული კერები, ურთიერთ შორის მკიდრო კონტაქტის საშუალებით, კარგად ახერხებდნენ მუშაობის კოორდინაციას. ამ მიზნით მიმოსვლა საქართველოდან ათონზე, შავ მთაზე, თუ პალესტინაში, ჩვეულებრივი ამბავი იყო.

დიდი ლიტერატურული ტრადიციების მქონე პალესტინის ქართველთა კოლონიები ყოველთვის იზიდავდა ქართველ მწიგნობრებს, განსაკუთრებით ათონის მოღვაწეებს (მარტო გიორგი მთაწმიდელმა ორჯელ იმოგზაურა პალესტინაში). მთაწმიდელთა (ეფთვიმე მთაწმიდელის) ინიციატივითა და ბაგრატ IV-ის ეკონომიური მხარდაჭერით იერუსალიმის მახლობლად XI საუკუნის პირველ მეოთხედში დაიწყო ჯვრის მონასტრის მშენებლობა. მონასტრის მშენებლობას სათავეში ჩაუდგა გიორგი-პროხორე შავშეთელი, საბაწმიდის მოღვაწე.

ახლად აშენებული მონასტერი ყოველი მხრიდან დახმარებას ღებულობდა. საქართველოდან მას უგზავნიდნენ მდიდარ შესაწირავებს, ხოლო საზღვარგარეთის ქართული კერები ამარაგებდნენ მონასტერს ლიტერატურით. ჯვრის მონასტერი სწრაფად იზრდებოდა და მდიდრდებოდა, იძენდა ადგილ-მამულებს. სულ მოკლე ხანში ჩამსვლელ პილიგრიმთა საერთო აღიარებით ის ერთ უმდიდრეს და ულამაზეს მონასტრად იქცა. უცხოელ პილიგრიმებს თავის მოვალეობად მიაჩნდათ სხვა წმინდა ადგილების მოხილვასთან ერთად ჯვრის მონასტერიც ენახათ, რის გამოც ეს მონასტერი უცხოელ პილიგრიმთა დღიურებში და მოგზაურობათა აღწერაში ხშირად არის მოხსენიებული და აღწერილი.

თუ მონასტრის აშენების დროისათვის იქ გადაწერილი ხელნაწერების მიხედვით მონასტერში სულ რამდენიმე მოღვაწე ჩანდა

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, გვ. 166.

(გიორგი-პროხორე, იოვანე და მიქაელ დეალები), უკვე საუკუნის ბოლოსა და შემდგომ საუკუნეებში მას მრავალი გადამწერ-კალიგრაფი და სხვა რიგის მოღვაწე შეემატა¹.

გარდა ჯვრის მონასტრისა XI საუკუნის შუა წლებიდან ქართველები გოლგოთას ტაძარშიც მოღვაწეობდნენ.

1010 წელს ეგვიპტის სულთანმა ჰაქემმა დაანგრია გოლგოთის ტაძარი. ამ ტაძრის აღდგენა-აშენებაში, რომელიც 1048 წლამდე გაგრძელდა, მთელი ქრისტიანული სამყარო იღებდა მონაწილეობას². მართალი უნდა იყოს პროფ. ალ. ცაგარლის მიერ გამოთქმული ვარაუდი, რომ აღდგომის ტაძრის აღდგენაში ქართველ მეფეებს მიუძღვით წილი³, რის გამოც ქართველებს დაუმტკიცდათ გარკვეული უფლებები გოლგოთის ტაძარზე.

1049 წელს ქართველთა მოღვაწეობა გოლგოთის ტაძარში ფაქტია. ამ წელს აქ გადაიწერა შესანიშნავი კალიგრაფიული ხელით ივლის-აგვისტოს „თვენი“⁴.

ხელნაწერის ანდერძიდან ჩანს, რომ მის გადაწერასა და შემოსვაში მონაწილეობა მიუღია გოლგოთის ტაძრის ოთხ ქართველ მოღვაწეს. ხელნაწერის მომგებელი ყოფილა მოძღვარი იოვანე გოლგოთელი, გადამწერი — მიქაელი, შემმოსველნი — ნისთერეონი და მისი დამხმარე პავლე, რომლის მოვალეობას შეადგენდა ხელნაწერის შემოსვისათვის საჭირო დანის ლესვა. ამავე კოლექტივს გოლგოთის ტაძარშივე 1059 წელს გადაუწერია მეორე ხელნაწერი „ტრიოდონი“⁵.

ამგვარად, გოლგოთის რესტავრაციის დამთავრების დროისათვის ქართველებს, სხვა ქრისტიანი ერების გვერდით, გარკვეული ნაწილი უკავიათ ტაძარში, რომელსაც ქართული კრებული ემსახურება. ამ კოლექტივში უკვე გამოყოფილია ქართველ მწიგნობართა თუ ბიბლიოფილთა ჯგუფი.

იერუსალიმის ქართულ მონასტრებში ქართული კრებულების გაზრდა, რა თქმა უნდა, ძირითადად საქართველოდან ჩამოსულ

¹ მონასტრის ეკონომიური ცხოვრების სრულ სურათს იძლევა ჯვრის მონასტრის აღაპები, ხოლო მონასტრის კრებულის სამწერლობო მოღვაწეობისას — იერუსალიმის ხელნაწერები, მდიდარი ანდერძ-მინაწერებით.

² Памятники грузинской старины в святой земле и на Синая, გვ. 44—45.

³ იქვე, გვ. 44.

⁴ საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, H—2337, იხ. აგრეთვე კ. კეკელიძე, Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах, 1908, გვ. 392.

⁵ პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 041.

პილიგრიმთა ხარჯზე ხდებოდა. მოგზაურებს ვერ აჩერებდა ვერც გზის სიშორე და ვერც მგზავრობისას მოსალოდნელი ხიფათი. ეს ხიფათი კი ამ საუკუნეებში მეტ-ნაკლებად მუდამ არსებობდა, ვინაიდან XI საუკუნიდან სირია-პალესტინის ფლობისათვის არ შეწყვეტილა, ერთი მხრით, მუსლიმანურ დინასტიათა ქიშპობა, ხოლო, მეორე მხრით, ბრძოლა ქრისტიანებსა და მუსლიმანებს შორის.

სამწუხაროდ, ამ დროის ქართველ მოგზაურებს სამგზავრო შთაბეჭდილების ჩაწერა არ ჰქონიათ წესად. მოგზაურობის ლიტერატურული გადმოცემა მხოლოდ XVIII საუკუნის ქართველმა მოღვაწეებმა დაიწყეს. ადრე საუკუნეებში ამგვარ ცნობებს კანტიკუნტად ვხვდებით ქართველ მოღვაწეთა ცხოვრებებში, ხოლო უფრო ხშირად—ხელნაწერთა ანდერძ-ძინაწერებსა და აღბეჭდვებში.

თუ რა პირობებში მგზავრობდნენ ქართველები XI საუკუნეში სირია-პალესტინაში, ამის შესახებ ზოგიერთ ცნობას გვაწვდის გიორგი მთაწმიდლის ცხოვრება. ცხოვრებაში საკმაოდ ვრცლად არის აღწერილი გიორგი მთაწმიდლისა და გიორგი ნცირის მოგზაურობა ანტიოქიიდან საქართველომდე: „გამოვედით ანტიოქიით და მოვიწინით ვიდრე დიდად მდინარედ ევფრატად, და მუნ გუეუწყა, ვითარმედ მიშუებისათჳს ცოდვათა ჩუენთაჲსა თურქთა დაუპყრიეს ყოველი შუამდინარე და ისაური და საბერძნეთი. ხოლო ჩუენ გუესმა რაჲ ესე, შევიქეციით მიერ და სევასტიით კერძო მივიდოდეთ. გუეგონა, ვითარმედ მათ კერძოთა მშდლობაჲ არს. ხოლო უწინარეს ჩუენსა მისრულ იყვნეს თურქნი და აელო ქალაქი იგი და დაეწუა. და ჩუენ არაჲ უწყოდეთ და მივიდოდეთ, და კინლა-და მცირედ ჯელთა მათთა შთავარდებოდეთ, უკუეთუშცა წყალობასა ღმრთისასა არა აღეპყრა ჯელი... ესრეთ შევიქეციით და მათთა მივჰმართეთ, და დიდითა შრომითა და დღე და ღამე სლვითა კესარიად მოვედით. და მუნით წარმოვედით და ზღუასა მოვჰმართეთ, რამეთუ ჯმელით არღარა ეგებოდა, და ნებითა ღმრთისაჲთა ეგხაიტს მოვიწინით სამარტჯლოსა წმიდისა თეოდოსესსა, ხოლო მღუდელთ მოძღუარმან მის ადგილისამან კეთილად შეგვიწყნარნა და გვსტუმრნა და დიდი სიყუარული გუაჩუენა, რამეთუ კაცი იყო წმიდაჲ და ღმერთშემოსილი და დიდად ნუგეშინის-იცა მისლვითა ჩუენითა განსაცდელთა მათთჳს... და ესრეთ გამოვედით მიერ და მოვიწინით სამსონს, ქალაქსა ზღჳს კიდისასა, და მუნ განვყიდენით საჯედარნი ჩუენნი და ესრეთ ნავითა წარვემართენით კერძოთა აფხაზეთისათა, და კეთილითა და ჰამოდთა ნიავეითა მოვიწინით ფოთს და მიერ საჯედრითა ქუთათისს ეამსა სთულისასა“¹.

¹ საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი S—353, გვ. 72—73.

როგორც ვხედავთ, მოგზაურობა რთული და სახიფათო იყო. მოგზაურობდნენ ზღვითა და ხმელეთით, ნავით, სახედრითა და ფეხით. ხშირად მოგზაურნი იძულებული იყვნენ შეეცვალათ თავისი მარშრუტი, გადაეხვიათ გზიდან და მთებისათვის შეეთარებინათ თავი, რათა საომარი მოქმედებების მსხვერპლი არ გამხდარიყვნენ.

გზა საზღვარგარეთის ქართული კერებისაკენ არა მარტო რთული იყო, არამედ ხანგრძლივიც. XI—XI საუკუნეების მიჯნის მოღვაწის იორდანე მაირენისელის ცნობით, ის მგზავრობას ტაოდან მთაწმიდამდე 96 დღეს მოუნდა¹. ამისდა მიუხედავად მოგზაურთა რიცხვი ამ საუკუნეში საგრძნობლად გაიზარდა.

XI—XIII საუკუნეების ძლიერი, ცენტრალიზებული საქართველო პოლიტიკური და კულტურული მიზნების გამო დიდ მზრუნველობას იჩენდა საზღვარგარეთის ქართული კულტურის კერებზე. ამ საუკუნის ქართველმა მეფეებმა სახელი გაითქვეს მდიდარი შეწირულობებით. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს დავითის ღვაწლს ამ მხრივ: „აღავსო ზღუა და კმელი ქველის საქმემან მისმან, რამეთუ ლავრანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თუისთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისნიცა, მთაწმიდისა და ბორღალეთისანი, მერმეცა ასურეთისა და კუიპრისა, შავის მთისა, პალესტინისანი აღავსნა კეთილითა, უფროსლა საფლავი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი და მყოფნი იერუსალემისანი თუითო-ფერთა მიერ შესაწირავთა განამდიდრნა. კუალად უშორესცა ამათსა: რამეთუ მთასა სინასა... აღაშენა მონასტერი, და წარსცა ოქრო მრავალ-ათასეული, და მოსაკიდელნი ოქსინონი და წიგნები საეკლესიაონნი სრულებით, სამსახურებელი სიწმიდეთა ოქროსა რჩეულისა“².

არანაკლებ უხვი იყო თამარი. „წარავლენდის სარწმუნოთა თვსთა და დაავედრის ესრეთ: „იწყეთ აღექსანდრიით ყოვლისა თანა ლუბიისა, სინისა მთისა“ და მათ კერძოთა ეკლესიათა, მონასტერთა და ერთა ქრისტიანთა მოიკითხვიდის; ხოლო იერუსალიმისათვს რადლა საწმარ არს თქმად, რამეთუ წარგზავნიდის ამათ ყოველთა შინა ეკლესიათა ბარძიმ-ფეშხუმებსა და სიწმიდეთა საბურავებსა და მონაზონთა და გლახაკთათვს ოქროთა აურაცხელთა“³.

¹ საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, H—2211.

² ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1942, გვ. 226—227.

³ ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გამოცემა ივანე ჯავახიშვილისა, 1944, გვ. 30.

პალესტინა კვლავინდებურად იზიდავდა მოგზაურებსა და მლოცველებს. პალესტინისაკენ მგზავრობდნენ საქართველოს ყოველი კუთხიდან, ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლები. საინტერესოა, რომ იერუსალიმს მიდიოდნენ სვანეთის მივარდნილი სოფლებიდანაც. ჩვენამდე მოაღწია XIII საუკუნის დამდეგს აღდგომის ეკლესიაში გადაწერილმა ხელნაწერმა, რომლის ანდერძში ვკითხულობთ: „მე... უცბად მჩხრეკალმან იოანე ქსცხიანის შვილმან, ჯელნაკულმან გრიგოლ ჯელ-ვყავ აღწერად წმიდათა ამათოთხთავთა და შევსწირე სუანეთს წმიდასა მთავარანგელოზსა მუხერისა... ფხლტერისა დეკანოზისა ჯელითა გამომიგზავნია...“¹.

განსაკუთრებით მოიხვეჭა სახელი ამ საუკუნეებში ქართველთა ჯვარის მონასტერმა. მის პოპულარობას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ იერუსალიმში გავრცელებული გადმოცემის თანახმად ჯვრის მონასტერი აშენდა იმ ხის ადგილას, რომლისაგანაც პატიოსანი ჯვარი გაკეთდა. ამიტომ ჯვრის მონასტერში ისევე, როგორც სხვა წმინდა ადგილებში, იერუსალიმში ჩამსვლელი პილიგრიმები მოსალოცავად დადიოდნენ.

ამ დროიდანვე საქართველოს მეფისაგან ინიშნებოდა ჯვრის მონასტრის წინამძღვარი, რომელიც განაგებდა როგორც ჯვრის მონასტრის, ასევე მთელი ქართული კრებულის საქმიანობას იერუსალიმში. მისი საშუალებით უკავშირდებოდა საქართველოს მეფე იერუსალიმის პატრიარქსაც².

დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ ჯვრის მონასტერსა და მის ქართველ მოღვაწეებს ჯვაროსნები. ამას მოწმობს 1156 წელს ჯვრის მონასტერში გადაწერილი ხელნაწერის მინაწერები, რომლებიც ჯვაროსნების ტამპლიერთა ორდენის წევრთა მოსახსენებლებს წარმოადგენენ (ალაპებში მოხსენიებულნი არიან როგორც ტამპლიერთა ორდენის რიგითი წევრები, ასევე ორდენის ბჰე და იკონომოსი). ჯვრის მონასტრის ქართულ ხელნაწერში ტამპლიერთა მოსახსენებლების შეტანა მოწმობს იმას, რომ ჯვაროსნები არა მარტო დადიოდნენ ჯვრის მონასტერში, არამედ სწირავდნენ კიდევ შესაწირავებს მათთვის ალაპების დასადებლად³.

¹ ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 367. ხელნაწერი ამჟამად ზემო სვანეთის სოფ. ლაპილის ეკლესიაშია დაცული.

² А. Шагарели, Памятники, გვ. 44.

³ ე. მეტრეველი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი: აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, VХ—В, გვ. 47.

თუ რამდენად ლაღად და თავისუფლად გრძნობდნენ თავს ამ საუკუნეებში ქართველები პალესტინაში, ამას გვაძეგნობს XII—XIII სს. მოღვაწე, ჯვაროსანთა ლაშქრობების ერთ-ერთი შთამავონებელი, ლათინი ეპისკოპოსი ჟაკ დე ვიტრი: „ცხოვრობს აღმოსავლეთში ქრისტიანი ერი,—წერს იგი,—ომის მოყვარული და ბრძოლებში გამოცდილი. მათ ძლიერი სხეულები აქვთ და ჰყავთ უამრავი მებრძოლი. მეტად დაშინებული ჰყავთ სარკინოზნი და თავდასხმების დროს დიდ ზარალს აყენებენ სპარსელებს, მიდიელებსა და ასურელებს, რომელთა მოსაზღვრეთაც ცხოვრობენ, ვინაიდან გარშემორტყმულნი არიან უსჯულოებით. მათ ეწოდებათ ქართველები... როდესაც ისინი მიდიან ქრისტეს საფლავის თავყანის საცემად, ისინი შედიან წმიდა ქალაქში გაშლილი დროშებით, ბაჟის გადახდის გარეშე. რაც შეეხება სარკინოზებს, ისინი ვერ ბედავენ მათ შეწუხებას, რათა უკან დაბრუნებისას ქართველებმა ჯავრი არ იყარონ მათ მეზობლად მცხოვრებ სარკინოზებზე. მათი კეთილშობილი ქალები ამაზონებივით ატარებენ იარაღს. იბრძვიან, როგორც რაინდები. ქართველები ძალზე აღშფოთებულნი არიან და ემუქრებიან ორადინუსს, დამასკოს პრინცს, იმის გამო, რომ მან განიზრახა იმათი სურვილის გარეშე იერუსალიმის კედლების დაზღვევა მაშინ, როდესაც ლათინნი დამიეტას იღებდნენ“¹.

ჟაკ დე ვიტრი წერს იმ პრივილეგიებზე, რომლებიც ქართველებმა მოიპოვეს პალესტინაში მუსლიმანურ დინასტიებთან შეუპოვარი ბრძოლების შედეგად.

მიუხედავად იმისა, რომ XI—XII საუკუნეებში პალესტინის ქართული მონასტრები უფლებრივად და ეკონომიურად გაძლიერდნენ და გაიზარდა ამ მონასტრებში მოღვაწე ქართველების რიცხვი, ქართული მწიგნობრობის კერებმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მაინც ვერ მიაღწიეს იმ შემოქმედებით გაქანებას, რომელიც დამახასიათებელი იყო მათთვის VIII—X საუკუნეებში. XI—XIII სს-ის იერუსალიმის ქართველი მოღვაწენი კმაყოფილდებოდნენ ძველი ხელნაწერების გადაწერითა და ათონისა თუ შავი მთის სკოლებში შექმნილი ორიგინალური თუ თარგმნილი თხზულებების გამრავლებით².

XI საუკუნიდან ათონისა და შავი მთის ძლიერმა მწიგნობრულმა კერებმა მიიზიდა თავისკენ საუკეთესო შემოქმედებითი და-

¹ G. Peradze, დასახ. ნაშრ., გვ. 185. იხ. აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, 1948, გვ. 304.

² კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I³, გვ. 91.

ლები. ეს ლიტერატურული კერები მიმართულებას აძლევდნენ პალესტინის ქართული კოლონიების ლიტერატურულ მუშაობასაც. XII საუკუნიდან ათონისა და შავი მთის მწიგნობრულ კერებს გელათის აკადემიის სახით ძლიერი კონკურენტი გაუჩნდა. დავით აღმაშენებელმა საზღვარგარეთის ქართულ კერებში გაფანტული შესანიშნავი ქართველი მოღვაწენი გელათის აკადემიის ირგვლივ შემოკრიბა. ამ დროიდან უკვე გელათის აკადემია წარმართავდა ქართულ სასულიერო კულტურას როგორც საქართველოში, ასევე საქართველოს გარეთ. ყველა ამის გამო XI საუკუნიდან პალესტინამ შემოქმედებითი და კულტურული კერის მნიშვნელობა დაკარგა. XI—XIII საუკუნეებში პალესტინას საქართველოსათვის უფრო პოლიტიკური და სავაჭრო მნიშვნელობა ჰქონდა, ვინემ კულტურული. ამან განსაზღვრა XI—XIII საუკუნეებში ქართველთა პალესტინაში მოგზაურობის მიზანი და იქ მათი მოღვაწეობის ხასიათიც. ამ დროს იერუსალიმში უმთავრესად მგზავრობდნენ მეფეთავერების ოფიციალური ელჩები მდიდარი შესაწირავებით, რომელთა მოღვაწეობა იქითკენ იყო მიმართული, რომ გაეზარდათ იერუსალიმის ქართველთა სამფლობელოები, მოეპოვებინათ ახალ-ახალი უფლებები წმინდა ადგილებზე, უზრუნველყვით ქართული კოლონიები ეკონომიურად და უფლებრივად და ამ გზით დაეცვათ საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური პრესტიჟი იერუსალიმში.

თამარის სიკვდილის შემდეგ ერთ ხანს კიდევ დაურღვეველი რჩებოდა წარმოდგენა ქართველთა ჯარის უძლეველობის შესახებ, როგორც მუსულმანთა, აგრეთვე ევროპელთა ბანაკში. რომის პაპმა მოციქულის ხელით გამოუგზავნა გიორგი ლაშას ბრძანება და რჩევა ჯვაროსანთა ლაშქრობაში მონაწილეობის მიღების შესახებ. ამ მოწვევის შემდეგ გიორგი ლაშა სათანადო სამზადისსაც შეუდგა და, ალბათ, მიიღებდა კიდევ მონაწილეობას, საქართველოს საზღვრებთან მონგოლთა პირველი რაზმები რომ არ გამოჩენილიყვნენ¹.

4

XIII საუკუნიდან მონგოლთა ბატონობამ საქართველოში მოშალა ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობა და ეკონომიური ძალა.

ასეთ პირობებში იერუსალიმის ქართული მონასტრებისათვის აღარავის ეცალა. წარსული დიდება ვერ ასაზრდოებდა მუსლიმა-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, 1949, გვ. 5—6.

ნების გარემოცვაში საქართველოს მხარდაჭერას მოკლებულ ქართველებს იერუსალიმში. ზედმეტი იყო ოცნება გაფართოებაზე. ამ დროიდან ქართველების ცდა იქითკენ იყო მიმართული, რომ როგორმე შეენარჩუნებინათ თავისი მონასტრები და უფლებები წმინდა ადგილებზე. მაგრამ ესეც ძნელდებოდა.

„საქართველოს პოლიტიკური ძლიერების შერყევითანავე, — წერს ივ. ჯავახიშვილი, — ქართველების მდგომარეობა პალესტინაშიც ძალზე გაუარესდა. ქრისტიანეთათვის ისეთი მნიშვნელოვანი სალოცავი, როგორადაც მაშინ ჯერის მონასტერი იყო მიჩნეული, ჩამოართვეს. ქართველების გულის მოსაკლავად და თავმოყვარეობის შესალახავად, ჩამორთმეული მიზგითადაც აქციეს“¹.

ამ დროიდან იერუსალიმს საქართველოსათვის აღარ ჰქონდა ის კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობა, რომელიც მას წინა საუკუნეებში გააჩნდა. ახლა იერუსალიმის წმიდა ადგილებზე ქართველთა უფლებების დაცვით ქართველები ცდილობდნენ როგორმე შეენარჩუნებინათ საერთაშორისო სფეროში ახლო წარსულში დამსახურებული მდგომარეობა. ქვეყნის ყოველმხრივი დაკნინების საუკუნეებში ქართველები იერუსალიმში თავისი წარსული დიდების გადმონაშთს ხედავდნენ, რომელსაც უკანასკნელი ძალით ეჭიდებოდნენ კიდევ.

ამის გამო უკვე XIII ს. მეორე ნახევრიდან ქართველების მოღვაწეობა იერუსალიმში შეუწყვეტელი ბრძოლის ხასიათს ატარებდა. ეს ბრძოლა ერთგვარი გაგრძელება იყო იმ შეუპოვარი და თავგანწირული წინააღმდეგობისა, რომელსაც ქართველი ხალხი ეწეოდა ჩინგის ყაენისა თუ თემურ ლენგის წინააღმდეგ თავისი სახელმწიფოებრივი თუ ეროვნული სახის დასაცავად.

საქართველოში მონგოლთა ხანგრძლივი ბატონობის მანძილზე ქართველები ხშირად მარჯვედ სარგებლობდნენ მონგოლთა სახელმწიფოს შიგნით არსებული წინააღმდეგობებით და იმტკიცებდნენ თავის პოზიციებს, იწყებდნენ ზრუნვას ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიურისა და საერთაშორისო მდგომარეობის სტაბილიზაციაზე. საქართველოს მოძლიერება განსაკუთრებით აშკარა გახდა XIV საუკუნის პირველ ნახევარში „თავის სახელმწიფოში პოლიტიკურად კარგად განმტკიცების შემდეგ, გიორგი ბრწყინვალე საქართველოს საგარეო და საერთაშორისო მდგომარეობის, რომელიც XIII საუკუნის განმავლობაში თითქმის სრულებით შერყეული იყო, გა-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, 1949, გვ. 276.

მოსწორებასაც შეუდგა. მას მიზნად დასახული ჰქონდა საქართველო-სათვის საერთაშორისო სფეროში კვლავ. დაებრუნებინა ის გავლენიანობა, რომელიც მას წინათ ძლიერების ხანაში, XII საუკუნეში, მოპოვებული ჰქონდა¹.

გიორგი ბრწყინვალის დროს ქართველებმა, მართლაც, მიახერხეს თავისი საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესება მახლობელ აღმოსავლეთში. ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ ეგვიპტის სულთანმა საქართველოს დაუბრუნა ჯვრის მონასტერი² და იქ მოლაწე ქართველებს შეღავათები მისცა. „ცხადია, ეგვიპტის სულთანი იმიტომ უთმობდა საქართველოს ამდენს, რომ საქართველოს ძალასა და მეგობრობას დიდად აფასებდა“³.

მაგრამ ეს წარმატებები დროებითი აღმოჩნდა. თემურ ლენგის შემოსევებით დაუძღვრებულ საქართველოს ძალა არ შესწევდა. ახლადდაბრუნებული უფლებების დაცვისა.

5

XV საუკუნის დამდეგიდან საერთაშორისო ასპარეზზე გამოვიდა და უძლიერეს სახელმწიფოთა რიგში ჩადგა ოსმალეთი. იმის შემდეგ, რაც ოსმალეთმა აიღო ბიზანტიის დედაქალაქი და ერთი ხელის დაკვრით მოსპო ეს უძველესი კულტურის მქონე სახელმწიფო, საქართველო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. მას შეეკრა გზა როგორც დასავლეთისაკენ, ასევე მახლობელი აღმოსავლეთისაკენ. ყოველმხრივ შევიწროებული იყო ოსმალეთისაგან ევროპაც. კონსტანტინეპოლის დაცემის რამდენიმე წლის შემდეგ ევროპამ განიზრახა წამოეწყო ახალი ჯვაროსნული ლაშქრობა კონსტანტინეპოლის გასათავისუფლებლად. ამ კოალიციის შექმნას ხელმძღვანელობდა რომის პაპი პიო II. კოალიციაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეული იყო საქართველოც, მაგრამ ევროპის კოალიცია ვერ განხორციელდა⁴. უფრო გვიან საქართველომ დახმარებისათვის სცადა ესპა-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, გვ. 275.

² იქვე, გვ. 276—277. იერუსალიმის ბერძნული პატრიარქატის ოფიციალური ცნობითაც ქართველებმა 1308 წელს სხვა მონასტრებთან ერთად დაიბრუნეს ჯვრის მონასტერი და უფლებები გოლგოთაზე. იხ. Nea sion, vol. XI, Jerusalem, 1910, გვ. 132—34. ცნობისათვის ვისარგებლეთ გრ. ფერაძის დასახ. ნაშრომით, გვ. 188.

³ ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, 1946, გვ. 275.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, 1948, გვ. 65—76.

წეთის დედოფლისათვის მიემართა, მაგრამ რეალური მშველელი არსად ჩანდა¹.

XV საუკუნიდან საქართველო მოექცა ერთმანეთის მოქიშპე ორ მუსულმანურ სახელმწიფოს შორის, რომლებიც საქართველოს ხშირად ბრძოლის ასპარეზად იყენებდნენ. შინაგანი მოუწყვსრივებლობა და რთული საგარეო ურთიერთობა საქართველოს დიდ საფრთხეს უქმნიდა, რის გამოც ამ დროიდან ქართველთა მთავარ საზრუნავად საქართველოსათვის სახელმწიფოებრივი და ეროვნული სახის შენარჩუნება გადაიქცა. ეროვნული თვითმყოფობის დაცვასთან უშუალოდ იყო დაკავშირებული ეროვნული სარწმუნოების დაცვა, რომელსაც ასე ემტერებოდნენ აგრესიულად განწყობილი მეზობელი ოსმალეთი და ირანი. ამ პირობებში იერუსალიმში ქართველთა უფლებებზე და ქართულ მონასტრებზე ზრუნვას უკვე ახალი მიზანი და ახალი გამართლება ჰქონდა—იერუსალიმში ქრისტიანული სიწმინდეების დაცვა ეროვნული სარწმუნოების დაცვას უდრიდა და ამიტომ მუსულმანთა წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ლოზუნგით მიმდინარეობდა.

ამგვარად, ამ საუკუნეებში საქართველოს შინაგანმა და საერთაშორისო მდგომარეობამ განსაზღვრა იერუსალიმის ქართული კოლონიის წევრთა მოღვაწეობის ხასიათი, და ამასთანავე იერუსალიმში ქართველ მოგზაურთა ახალი ნივნებიც: თუ XIII—XV საუკუნეებში იერუსალიმის ქართულ სამფლობელოთა და უფლებებისათვის ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური პრესტიჟის აღდგენასა და დაცვას ემსახურებოდა, XV საუკუნიდან მუსულმანური მეზობლებისაგან პოლიტიკურად, კულტურულად და სარწმუნოებრივად შევიწროებული საქართველოსათვის ზრუნვა იერუსალიმის ქართულ სიწმინდეებზე ეროვნული სარწმუნოების დაცვის ერთ-ერთ საშუალებად იქცა.

XIII—XV საუკუნეების მანძილზე ქართველები ხშირად კარგავდნენ თავის უფლებებს წმინდა ადგილებსა და მონასტრებზე. იერუსალიმის ქართული კოლონიის არამყარმა უფლებრივმა მდგომარეობამ ქართველები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მათი უფლებრივი მდგომარეობის დაცვისათვის, პირველ რიგში, ამ უფლებათა წერილობითი ფიქსაცია იყო საჭირო, რათა შემდგომი თაობებისათვის მაინც დარჩენილიყო ერთგვარი იურიდიული დოკუმენტი დაკარგულ სამფლობელოთა დასაბრუნებლად. ამიტომ

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია წ. IV, 1948, გვ. 154. და შემდგ.

ქართველები იწყებენ ზრუნვას იმაზე, რომ ჩაიწეროს ყოველი მნიშვნელოვანი ფაქტი პალესტინის ქართველთა სამონასტრო კოლონიის ისტორიიდან, იქნება ეს ბრძოლა მონასტრისა თუ მამულებისათვის, „წმიდა ადგილებზე“ უფლებათა დაკარგვა თუ დაბრუნება, ვალის აღება, თუ გადახდა, მონასტრის აოხრება თუ აშენება. ამგვარი ცნობები XIV—XV საუკუნეებიდან დიდი რაოდენობით გვხვდება როგორც სამონასტრო ალაპებში, ასევე ხელნაწერებში მინაწერების სახით. ერთ-ერთი ასეთი ცნობა, რომელიც გოლგოთაზე ქართველთა უფლებების წერილობით ფიქსირებას წარმოადგენს, შემოგვინახა „გოლგოთის სვინაქსარის“ მინაწერმა¹.

ამ დოკუმენტში, რომელიც XV საუკუნის დამდეგსაა დაწერილი, ჩამოყალიბებულია ქართველთა უფლებები და ქართველთა მონაწილეობა გოლგოთის ტაძრის მღვდელმსახურებაში. მინაწერი ნავარაუდევია შემდგომი თაობისათვის. ავტორი მიმართავს „ყოველთა ქართველთა“, რათა არ იქნას დავიწყებული მამა-პაპათა ღვაწლი, დამსახურება და უფლებები იერუსალიმში.

ამ ცნობისათვის, როგორც იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტისათვის, მართლაც, მიუმართავთ შემდეგი საუკუნეების ქართველ მოღვაწეებს. 1807 წელს იერუსალიმში მყოფი ბერი ლავრენტი ოკრიბელი, იერუსალიმში ქართველთა უფლებების მამოწმებელ სხვა დოკუმენტებთან ერთად, „გოლგოთას სვინაქსარსაც“ ახსენებს: „გოლგოთას სვინაქსარი აქ არის (ჯვრის მონასტერში) და დასაწყისის თავში იხილეთ და ნახეთ თუ ვისია გოლგოთა“².

ამავე „გოლგოთას სვინაქსარის“ მინაწერებმა შემოგვინახეს ცნობები XV საუკუნის დამდეგს ჯვრის მონასტრის აოხრების შესახებ: „აქა მოვიდა მაწყუერელი პინენ³ მას ეამსა, ოდეს თემურ დიმაშნი ააოკრა და ჯუარისა სახლი აშლით აოკრეს, და დაქირებულს ზეთი და ცვილი შემოსწირა“⁴.

¹ ე. მეტრეველი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი, გვ. 41.

² იქვე, გვ. 40.

³ პინენ მაწყუერელი, შემდეგ ჯვრის მონასტრის წინამძღვარი, XIV—XV საუკუნეთა მიჯნის ენერგიული მოღვაწე ჩანს. მას მოლარეთუხუცესის ხელაჲს ეკონომიური მხარდაჭერით დიდი მუშაობა გაუჩაღებია ჯვრის მონასტერში. მისი მოსახსენებლები გვხვდება როგორც ჯვრის მონასტრის ალაპებში (იხ. ალაპნი ჯუარის მონასტრისანი, ნ. მარის გამოცემა, XXVIII, № 52), ასევე სინურ სულთა მატინაეში (იხ. ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 244).

⁴ ე. მეტრეველი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი, გვ. 43.

XV საუკუნის მეორე ნახევრიდან, იმის შემდეგ, რაც საქართველომ სული მოითქვა თემურ ლენგის გამანდგურებელი თავდასხმებისაგან, გაიზარდა ქართველების ზრუნვა იერუსალიმის ქართულ მონასტრებზე, გაიზარდა იერუსალიმში მოგზაურთა რიცხვიც. ამ მოგზაურთა შორის გამოიკვეთა მთელი პლეადა ინიციატივის მქონე, ენერგიული პირებისა, რომლებიც არაერთაბად საშუალებას არ ერიდებოდნენ იმისათვის, რომ წესრიგში მოეყვანათ მიშვებული და განადგურების გზაზე შემდგარი ქართული კულტურის ძველი ცენტრები.

XV საუკუნიდან გახშირდა სამცხე-საათაბაგოს მფლობელებისაგან საგანგებო პირების ხელით შესაწირავეების გავზავნა იერუსალიმსა და ათონის მთაზე.

1500—1501 წლებში მდიდარი შესაწირავეებით „წმიდა ადგილებისაკენ“ გაემგზავრა ქაიხოსრო ათაბაგის აღზრდილი ამბროსი. ათონის ივერიის მონასტრის აღაპებში ვრცლად არის აღწერილი ამბროსის მოგზაურობა: „მე, სავაგლახო, აღზრდილი კურთხეულისა და სულდიდებულისა პატრონის ქაიხოსროსი, ამბროსი, წარმომავლინა პატრონმან ძმამან მათმან მზექაბუჯ სრულად საბერძნეთად, იმრუსალიმს და სინასცა მრავლითა საქონლითა. დაუწყეთ გაცემა ტრაპიზონტით კოსტანტიპოლემდის და კოსტანტიპოლითგან ვიდრე ამა წმიდასა მთამდე, და მოვლეთ ყოველნი მთისა ამის მონასტერნი, სადაყუდებულონი და მესენაკენი, და წესისაებრ მოვაჯსენეთ მოსაჯსენებელი და სალოცავი, და სრულად ელადისა და მაკიდონის თემსა, მონასტერთა, მიტროპოლიტთა, ეპისკოპოზთა, ხუცესთა, გლახკთა და ტყუს უფალთა, ყოველთავე ზედა დიადი გავეციოთ, ეგრეთვე ჩუენსა ამას მონასტერსა მოვაჯსენეთ ოცდახუთი ათას ხუთასი ოთმანურისა, ზოგი ფლურად და ზოგი თეთრად. და მამამან და სრულად კრებულმან მონასტრისამან გააჩინეს და შეგვკუთეს სულდიდებულისაჲ პატრონის ქაიხოსროსთჳს¹.

ეს ვრცელი აღაპი, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილი მოვიტანეთ, დაწერილია პირველი პირით, ე. ი. თვით მოგზაურის მიერ, ან მისი უშუალო კარნახით. ამის გამო ეს აღაპი ქართველი მოგზაურის უძველეს ჩანაწერებად შეიძლება ჰივიჩნით მით უმეტეს; რომ ეს ჩანაწერები თავისი ფორმით არ ჰგავს ჩვეულებრივ აღაპს: „ესე საცნაურ იყავნ, წმიდანო მამანო და ძმანო, რომელი-ესე ქუემოთცა სწერია“, წერს ამბროსი და ამის შემდეგ ვრცლად

¹ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, თბილისი, 1901, გვ. 266—267.

გადმოსცემს ყვარყვარე ათაბაგისა და მის მემკვიდრეთა ამბავს და ამასთან დაკავშირებით თავის მოგზაურობასა და საქმიანობას.

ამბროსი არ შეუშინდა რთულსა და სახიფათო გზას. მოიარა „საბერძნეთი სრულად“, იერუსალიმი, ჰინა და ყველგან თავისი ენერგიული მოქმედებითა და მოღვაწეობით გარკვეული წვლილი შეიტანა ქართული კერების სამეურნეოსა და კულტურულ ცხოვრებაში.

ივერიის მონასტრის ერთ-ერთი აღაპი შეიცავს ცნობებს ამბროსის საქმიანობის შესახებ ამ მონასტერში: „აღზრდილი პატრონის ქაიხოსროსი ამბროსი დიდად შეეწია ამა მონასტერსა, პორტიტისა ლუთისმშობელისა ხატი მოჰქედა მიძიედ. მისსავე ეკლესიასა ზედა პირლო აღაშენა და გაამაგრა თოფითა, და საუძღურე აღაშენა მისით აკაზმულობით, და ღომატო მეტოქი მისით წყალობით აშენდა“¹.

ასევე ენერგიულად ჩაება ამბროსი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართული კრებულის სამეურნეოსა და კულტურულ ცხოვრებაში. ცნობები მისი მოღვაწეობის შესახებ შემოგვინახა ჯვრის მონასტრის აღაპების ტიშენდორფისეულმა ნუსხამ, სადაც ვკითხულობთ: „ჩუენ ჯუარელთა ძმაათა და დაათა და სრულიად საღმრთომან კრებულმან დაედევით ესე წიგნი პატრონსა ათაბაგსა მზექაბუკს კურთხეულისა მათის ძმისა ქაიხოსროს სულისა სამლოცველოდ. დიადი საქონელი გამოეგზავნა მათისა გაზრდილისა ამბროსესს ჯელითა მთაფშიდას და სრულად საბერძნეთშიგან მრავალი გაეცა, აგრევე ამა საუფლოთა და წმიდათა ადგილთა მოილო: ას ფლურად ერთი დიდი ყანა იყიდა. გ კვრიაკესა მარხვათასა აღაპი გაუჩინეთ... აგრეთვე ასი ფლური ნალდი მოგუცა, ხაზნაშიგან ჩავდევით. მისთჳს ერთი კანდელი დაეკიდეთ, სამარადისოდ ენთებოდეს... აგრეთვე ერთი ვერცხლის ბარძიმი შემოსწირეს საპატიო და თეფში ვერცხლისავე. ლ ფლური სხუაჲ... მისის ყმის ამბროსესს ჯელითა ისაქმა და გამოგვვიდა, და ერთი თასი შემოსწირა ჯუარს პატიოსანსა, და კოსრომელი ჰკრა, და ერთი ვარი იყიდა სამეგრეოსა საპატიო, და იმა ყულაჲსათჳს მატიანეშიგან ჩავწერეთ და მოსაჯსენებელშიგან. ამბროსესს და მისთ დედა-მამათ შეუნდოს ღმერთმან. თხუთმეტი ფლური შესაველად მოგუცა“².

¹ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, თბილისი 1901, გვ. 267.

² საქართველოს სახელმწ. მუზეუმის ფოტო კოლექცია № 126.

ამბროსის გარკვეული კვალი დაუტოვებია იერუსალიმის ქართული კოლონიის კულტურულ საქმიანობაშიც. ჩვენამდე მოაღწია იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ამბროსის გადაწერილმა ოთხთავმა¹. ხელნაწერი შესანიშნავი წვრილი კალიგრაფიული ხელითაა დაწერილი და დიდი გემოვნებითაა შემკული (გააჩნია მინიატურები, საზედაო ასოები და თავსამკაულები), რაც იმას მოწმობს, რომ ამბროსი ჩინებული მწიგნობარ-კალიგრაფი და, შესაძლოა, მხატვარიც იყო.

ძლიერ და ენერგიულ პიროვნებად ჩანს 1512 წელს იერუსალიმს ჩასული ბენეა ჩოლოყაშვილი, „ავ-გიორგის“ სახლთუხუცესი, იერუსალიმში ჯვარის მამად გაგზავნილი².

ბენეა ჩოლოყაშვილი „თავისი მშფოთვარე დროისა და იერუსალიმში ქართველთა მდგომარეობის შესაბამისად შესაფერისი კანდიდატი გამომდგარა“³. მისი ენერგიული და სწრაფი მოქმედება იერუსალიმში ქართველთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და დაკარგული უფლებების აღსადგენად მშვენიერად აისახა იერუსალიმის ქართული ხელნაწერების მინაწერებში, რომლებიც გამოირჩევიან თავისი ლაკონიურობითა და საქმიანი ტონით: „აქა მე და სომეხნი დავისარჩლენით იაკობ წმიდისა საყდარზედა და დიდი ქირი და სარჯელი გარდამხდა ცოდვილსა ბენეასა“. ანდა: „ძმანო, ნებითა ღთისათა აქა ფრანგთა გოლგოთა დავაგდებინე და მათა ყუელა გარეთ გამოუყარე, კანდელი და რაცა მათი იყო, მე, ცოდვილმან ბენეა“⁴.

ცხადია, ასეთი გადამწყვეტი ღონისძიებები ბრძოლის გარეშე ვერ ჩაივლიდა. ამას ბენეა არც მალავს: „დიდი ქირი და სარჯელი გარდამხდაო“. მეორე მინაწერიდან ვგებულობთ, რომ მან „ქრონიკონსა ხზ, დღესა სამშაბათსა, მეორესა ჟამსა ღამისასა“ შეაბა აღდგომის კარნი⁵.

¹ „ესე სახარებაჲ აღიწერა ცოდვილისა ამბროსისაგან იმრუსალემს, მონასტერსა ჯუარისა პატიოსნისასა, სადიდებლად...და სალოცველად სულდიდებულისა პატრონის კაიხოსროსოთჳს“ (Q—84, გვ. 52).

² ნ. მარტი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, თბილისი, 1955, გვ. 36.

³ ქრ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.): მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, გვ. 241.

⁴ ნ. მარტი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, გვ. 36.

⁵ იქვე, გვ. 37.

ამკარაა, რომ ნაშუალამევეს არ დაიწყებდა ბეენა აღდგომის ეკლესიისათვის კარების აბმას, ეს რომ გარკვეული ტაქტიკური მოსაზრებით არ ყოფილიყო ნაკარნახევი.

ბეენას თანამედროვე უნდა იყოს ილარიონ ოპიზარი, რომელიც იერუსალიმს გამოუგზავნია ქართლის მეფეს, დავით X-ს.

თუ ბეენა ცდილობდა აღედგინა ქართველთა უფლებები გოლგოთას, იაკობის მონასტერსა და აღდგომის ეკლესიაში, ილარიონ ოპიზარის ცდა იქითკენ იყო მიმართული, რომ თავი მოეყარა ჯვრის მონასტრის იავარქმნილი ქონებისათვის, განსაკუთრებით ხელნაწერებისათვის: „ესე წიგნი ჯვარისა მეფეთა-მეფისა დავითის ცოდვათა შესანდობლად მე, მისმან მოძღვარმან ოპიზარმან ბერმან ილარიონ დავიხსენე სპარსთაგან მას ეამსა, ოდეს ჯვარის მონასტერი სპარსთა დაეჭირა“,¹—ვიკითხულობთ ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ ხელნაწერში. სპარსთაგან დაუხსნია ილარიონს მეორე ხელნაწერიც².

ბეენას საქმიანობა იერუსალიმში განაგრძო ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ ზოსიმე კუმურდოელმა. მან, როგორც ჩანს, დაიხსნა ვალებში გაყიდული ქართველთა უფლებები გოლგოთაზე. ერთხელ ბეენას მიერ ძალით დაბრუნებული გოლგოთა, რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ ფრანგებს ჩაუგდიათ ხელში: „მოვიდა ნუას ძე ზოსიმე კუმურდოელი, მოიტანა საქონელი მისიცა და პატრონისა მისისაცა ქეთაონ-ყოფილისა ქრისტიანისი და გულქანისი. მას ეამსა ფრანგთა გოლგოთა წაგუართუჲს და მან დაიქსნა. ოთხასი ფლური გამოიღო, დიდი საქმე ქნა“³.

¹ ნ. მარო, იერუსალიმის ქართული ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, გვ. 35. ეს ხელნაწერი, როგორც ჩანს, არაერთხელ ყოფილა სპარსთაგან გატაცებული, ვინაიდან ამავე ხელნაწერის მეორე მინაწერში კვლავ მისი სპარსთაგან დახსნის ამბავია მოთხრობილი: „ესე წიგნი თარგმანი სახარებისაჲ კაპაბთური, წარტყუნილი სპარსთაგან, მე, ანტონი ფრიად ცოდვილმან, ვიკენ ჩემითა საფასოთა და შევსწირე მუნვე კაპაბთას“ (ნ. მარო, იქვე, გვ. 36).

² იქვე, გვ. 62.

³ ნ. მარო, ალაპანი ჯუარის მონასტრისანი, § 17. ზოსიმე კუმურდოელი 1515 წლის აბლო წლებში წასულა იერუსალიმში (იხ. ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 213). ამ წელს უნდა ეკურთხებინათ ზოსიმე კუმურდოელად. ქრ. შარაშიძე. ვარაუდობს, რომ ზოსიმე ნაუას ძე კუმურდოელი ძმა არის ქეთაონ-ყოფილ ქრისტიანს გაზრდილის ზებედე ნაუას ძისა, რომელსაც ქეთაონ-ყოფილი ქრისტიანს სულთა მოსახსენებელი დაუწერია. ჩვენის ვარაუდით ზებედე იგივე ზოსიმეა. 1511 წლამდე (სულთა მოსახსენებლის დაწერის წელი) ის ერისკაცია, მისი ერისკაცობის სახელი იყო ზებედე. შემდეგ 1515 წლიდან (იხ. ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 213) ის ბერად აღიკვეცა და სახელიც შეიცვალა—ზებედე ზოსიმედ. ამ დროიდან ის უკვე კუმურდოელად მოიხსენება. წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელი წარმოსადგენია, რომ ზოსიმე და ზებედე ორივე ქეთაონ-ყოფილ ქრისტიანს აღზრდილნი ყოფილიყვნენ და ორივეს ქეთაონის სულის მოსახსენებლებზე ეზრუნა.

დიდი მუშაობა ჩაუტარებია სერაპიონ კუმურდოელსაც. იგი ჯვრის მონასტრის ტრაპეზის განმაახლებლად და იოანე მახარებლის საყდრის მეორედ აღმაშენებლადაც არის მოხსენიებული ჯვრის მონასტრის ალაპებში¹.

გოლგოთის საპატრიარქო ტახტის წარწერამ შემოგვინახა ცნობები ლეონ კახთა მეფის (1520—1574 წლები) შესახებ, რომელმაც იოაკიმ ჯვარის მამის ხელით განაახლა ქრისტეს საფლავი და გოლგოთა².

თუ რა დიდ სიძნელებთან და თავდადებასთან იყო დაკავშირებული XVI საუკუნეში ქართველების მოგზაურობა ქრისტიანულ აღმოსავლეთში, განსაკუთრებით იმის შეძლევა, რაც 1516 წელს თურქებმა იერუსალიმში აიღეს, ამას ვგებულობთ ზოგიერთი ქართველი მოგზაურის თავგადასავლიდან.

მგზავრობის დროს მრავალ ხიფათს გადაყრია იერუსალიმისაკენ მიმავალი საბა სვიმონიშვილი, რომელსაც მერაბ ციციშვილის დავალებით ქართული მონასტრებისათვის შესაწირავი მიჰქონდა³. საბას თავისი თავგადასავალი იერუსალიმის ერთ-ერთ ხელნაწერში ჩაუწერია: «ციციშვილს მერაბს შეუნდოს ღმერთმან მისნი ცოდვანი. ბატონო ძმანო, თუ ვინმე შემეწიოთა ამ სავაგლახოს ცოდვილსა და წყალობაჲ ჰყოთა, შენდობა ბარძანოთა, თქვენკა შეგინდოს ღმერთმან. მწვედა გარჯილი ვარა, თქვენმან მზემან, დამიქირეს უსჯულოთა, ქრისტეს შტერთა თათართა. მრავლა ხანსა სატყვეოს შემადგეს. საქონელი მეახლა ბატონის ჩემისა მერაბისი, ისი ვერა მიპოეს. ჩემთვის სახარჯო იყო მოცემული ორამოცი ფლური, რაჲ (!) მე წამართვეს. სხვა მარავლა ქირი გარადამქდა. ბოლო მიშველა ღმერთმან, მოველი აქა იერუსალიმს⁴».

პალესტინაში თურქების დამკვიდრების დროიდან ქართველთა მდგომარეობა იერუსალიმში საგრძნობლად გაუარესდა. იერუსალიმში გაძლიერდა ბერძენთა გავლენა. ბერძენები თურქთა ხელშეწყობით თანდათან ხელში იგდებდნენ ქართულ სავანეებს⁵. შემცირდა ქართველ მოგზაურთა რიცხვი.

¹ ნ. მარო, ალაპნი ჯვარის მონასტრისანი, § 20.

² მიმოსლვა, გვ. 73.

³ მერაბ ციციშვილი XVI საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეა ჩანს, იხ. საბუთი Sd—464.

⁴ ნ. მარო, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა. გვ. 36.

⁵ რ. ქანენი, ქართველები იერუსალიმში, სტამბოლი, 1921, გვ. 12.

ის ეპიზოდური ხასიათის დახმარება, რომელსაც უწევდნენ ქართველები იერუსალიმის ქართულ კოლონიას, მდგომარეობას არსებითად ვერ ცვლიდა. ქართველები თავისი სამონასტრო შემოსავლებით ვერ იხდიდნენ მათზე დაკისრებულ სამონასტრო გადასახადებს, რის გამოც მონასტრის წინამძღვრები ხშირად იძულებული იყვნენ გაეყიდათ მონასტრის უძრავი და მოძრავი ქონება და თვით მონასტრებიც. ამიტომ იყო, რომ ყოველი ახალი ჩამსვლელი, თავისი თუ პატრონისაგან წალებული შესაწირავებით, პირველ რიგში ვალების გადახდას ცდილობდა. მაგრამ ვალების მთლიანი დაფარვა ცალკეული პირების შესაძლებლობას ყოველთვის აღემატებოდა. ვალი დღითი-დღე იზრდებოდა, ქართველთა კოლონიის მდგომარეობა უკან-უკან მიდიოდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ იერუსალიმში ჩასულ ფილიპე შაქარაშვილს ჯვრის მონასტრის ბარძიმი-ფეშხუმის დახსნა დასჭირდა „...ოცდა თურამეტ ფლურად წინდი დაიქსნა: სამი ბარძიმი, ერთი ფეშხუმი და ერთი თასი“, ვკითხულობთ ჯვრის მონასტრის აღაპებში¹.

6

XVII საუკუნიდან იერუსალიმის ქართველ მოღვაწეთა წრეს რამდენიმე პირი შეემატა, რომელთა საქმიანობა იქითკენ იყო მიმართული, რომ ვალებში გაყიდული და ბერძნების, ფრანგთა და სომეხთა ხელში გადასული ქართული მონასტრები და ქონება ნაწილობრივ მაინც დაებრუნებინათ, არ მოესპოთ ქართველთა თავშესაფარი იერუსალიმში. ამ მოღვაწეთა შორის პირველ რიგში ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი-ირუბაქიძე უნდა დავასახელოთ.

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, იერუსალიმის არქიმანდრიტი და ჯვარის მამა, ორჯერ იყო იერუსალიმში, პირველად 1614 წლიდან 1626 წლამდე², ხოლო მეორედ—1643—49 წლებში. „აკაცი ესე... იყო ბრძენი, ფილოსოფოსი და რიტორი და ღირსი ყოვლისა სიკეთისა და სწავლულ ენისა, ვითარ შვიდისამდე“³.

ნიკოლოზის ფართო განათლებამა და დიპლომატიურმა ნიჭმა მას არა მარტო საქართველოში, არამედ იერუსალიმშიც დიდი სახელი მოუხვეჭა. მისდამი ნდობა და პატივისცემა იქამდე დიდი

¹ ნ. მარტი, აღაპნი ჯვარის მონასტრისანი, № 109.

² კ. კეკელიძე, ნიკოლოზ ირბანი: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, გვ. 302—305.

³ А. Цагарелин, Памятники, დამატ. I, № 143.

იყო, რომ დოსითეოსს პატრიარქის ცნობით, იერუსალიმის პატრიარქმა თეოფანემ სიკვდილის წინ თავის მემკვიდრედ საპატრიარქო ტახტზე ნიკოლოზი დაასახელა¹.

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა, თავისი მაღალი ავტორიტეტისა და საქართველოს მეფე-მთავართაგან მხარდაჭერის მეოხებით, დროებით შეაჩერა იერუსალიმის ქართული კოლონიის სწრაფი გაპარტახების პროცესი. მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა აისახა იერუსალიმის ქართული მონასტრების აღაპებში, ხელნაწერებსა და ეპიგრაფიკულ ძეგლებში: „დაახატენა წმ. ესე ჯვარი, და გუმბათიც ახლად გააკეთა, დახეთქილი იყო. და წმიდა საკურთხეველი და ტრაპეზი და ჯვარის თვალი ამან მოაფიქულინა მარმარილოთი, და სხვა მრავალი კარგი ქმნა...“, გვამცნობს იერუსალიმის ერთ-ერთი ხელნაწერის მინაწერი². როგორც ჩანს, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის იერუსალიმში მოღვაწეობის წლებში დაიხსნეს ქართველებმა გოლგოთაც ვალებსაგან³.

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი უკანასკნელი წარმომადგენელი იყო იერუსალიმის ქართველ მოღვაწეთა შესანიშნავი პლეადისა, რომლებიც XVI—XVII საუკუნეებში, საქართველოს ძნელბედობის ხანაში, მიემგზავრებოდნენ იერუსალიმში და არაფერს ზოგავდნენ იმისათვის, რომ ეკონომიურად დაუძლურებულისა და უფლებრივად გაძარცვული ქართული კოლონიისათვის შეენარჩუნებინათ ეროვნული სახე. მაგრამ ცალკეული პირების ენერგიული და ხშირად ნაყოფიერი მოღვაწეობა საბოლოოდ მაინც ვერ შევლოდა ქართული კოლონიის მძიმე მდგომარეობას. დოსითეოს პატრიარქის ცნობით, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის საქართველოში დაბრუნების შემდეგ იერუსალიმში იგზავნებოდნენ უხეირო პირები, რომლებმაც საბოლოოდ ვალებში ჩააგდეს კოლონია⁴.

7

XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ვალებში ჩატლული ქართული მონასტრები ქართველებისაგან თანდათან იცლებოდა და მევახშეების ხელში გადადიოდა, დოსითეოს პატრიარქი ერეკლე პირველთან გაგზავნილ ეპისტოლეში შემდეგნაირად აღწერს ქართ-

¹ А. Шагарели, Памятники, გვ. 68.

² იქვე, დამატ. I, № 143.

³ Послание Иерусалимского патриарха Досифей в Грузию, გვ. 4.

⁴ იქვე, გვ. 7.

ველთა მდგომარეობას: „კარგად არის თქვენთვის ცნობილი, თუ რა მდგომარეობაში იყვნენ ივერიის მონასტრები იერუსალიმში, ისინი კნინლა დაინგრენ საფუძვლამდე, იმდენ ხანს იყვნენ ჩაკეტილნი. იერუსალიმში ჩამოსულ ქართველ ბერსა თუ ერის კაცს ოსმალები უმაღვე ციხეში სჭამდნენ და თხოულობდნენ მისგან ფულებს. ჯვრის მონასტრის მამულებსაც ისინი დაეუფლნენ. ჯვრის მამებიდან—გაბრიელი მოჰკლეს, იოსები—ლამით გაიქცა იერუსალიმიდან, მელეტი კი რამდენი წელიწადია სადილეგოშია. ლათინებსა და სომხებს განზრახული ჰქონდათ მონასტრის ყიდვა და დასაკუთრება და მაშინ ვინლა გამოჰკლუჯდა მათ ხელიდან“¹.

ქართული კოლონიას სვე-ბედით „შეწუხებული“ იერუსალიმის პატრიარქი თვითონ შეუდგა კოლონიაზე ზრუნვას. ამის გამო მან ორჯელ იმოგზაურა საქართველოში. მეორედ მგზავრობის დროს მან გიორგი XI-საგან მიიღო ჯვრის მონასტრის დასახსნელი ფული-ჯვრის დახსნას დასწრებია კვიპრიანე სამთავნელიც, რომელიც პატრიარქს წაჰყოლია იერუსალიმში. იერუსალიმის ერთ-ერთ ხელნაწერში ამის თაობაზე ვკითხულობთ: „ღმერთო,... შეიწყალე კოზმაცოფილი კვიპრიანე...დაესწერეთ ესე წერილი მას ჟამსა, ოდეს ჯვარი დატყვევებული ტფილის ქალაქს ტახტსა ზედა მჯდომმა მეფემ გიორგიმ დაიხსნა ჯვარი ტყვეობისაგან. მას ჟამსა აქ დავესწარ მეცა, ქრონიკონსა ბერძულად ათას ექუსას ოთხმეოცდა ხუთსა... ქართულად ქრონიკონსა ტობ“².

იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოზი ქართველი მეფეებისადმი მიწერილ ეპისტოლეებში ვრცლად აღწერს თავის დამსახურებას იერუსალიმის ქართული კოლონიის წინაშე. დოსითეოზი, მართლაც, ზრუნავდა და იღვწოდა, მაგრამ არა ქართველებისათვის, არამედ პირველ რიგში საკუთარი თავისათვის. მთელი მისი მოღვაწეობა იქითკენ იყო მიმართული, რომ ქართული მონასტრები და ქართველთა უფლებები წმიდა ადგილებზე საბოლოოდ ხელში ჩავარდნოდა არა „ფრანგებს“, არამედ ბერძნებს. დოსითეოზი აბანდებდა ქართულ მონასტრებში საპატრიარქო ხაზინის თანხებს, რათა ამ გზით ქართულ საკუთრებაზე უფლებები დაემკვიდრებინა.

ამგვარად, დოსითეოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ქართველების მოძრავი თუ უძრავი ქონება თანდათან ბერძნების ხელში გადადიოდა, ხოლო ის, რისი ხელში ჩაგდებაც ბერძნებმა ვერ მოა-

¹ Послание, гл. 20.

² ნ. მარი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, გვ. 78.

ხერხეს, „ფრანგებმა“ მიიტაცეს. ასეთ პირობებში ქართველებს საკუთარ მონასტრებში აღარ ედგომებოდათ, რის გამოც XVIII საუკუნიდან ქართველების მოგზაურობა და მით უმეტეს მოღვაწეობა იერუსალიმში თითქმის შეწყდა. მაგრამ იერუსალიმის ქართულმა სიძველეებმა არც მეთვრამეტე საუკუნეში დაკარგეს საბოლოოდ თავისი მომხიბლაობა. დროდადრო კვლავ წამოიჭრებოდა ხოლმე ქართულ მონასტრებსა და იერუსალიმის სიწმიდეებზე ქართველთა უფლებების დაცვის საკითხი. კვლავ ჩნდებოდნენ კანტი-კუნტად იერუსალიმის ქართული სამფლობელოების ნახვისა და დაცვის მოხალისენი, რომელნიც დიდი ენთუზიაზმით და საბრძოლო განწყობილებებით მიემგზავრებოდნენ იერუსალიმში, მაგრამ მალე ბრუნდებოდნენ უკან გულგატეხილნი. ასეთ ენთუზიასტებს ეკუთვნოდნენ XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი მოღვაწენი მართა მონაზონი და მისი ვაჟიშვილი სვიმონი¹.

გრიგოლ კათალიკოსთან იერუსალიმიდან გაგზავნილ მღელვარე და პოლემიკური ტონით დაწერილ წერილში მართა აღწერს იერუსალიმის ქართული კოლონიის მდგომარეობას და ცდილობს გამონახოს გზები, რათა დაიხსნას იგი განადგურებისაგან: „ამისთანა რა გასაქირი არის, რომ აქაურობა ასრე დაკარგეთ?... წამობრძანდით, ამათა აღარ უნდა ჩვენი კაცე, რომ მონასტრები, საქართველო ამათ ჩაიგდეს ხელად და ქამენ. რა უანგარიშო საქონელი

¹ მართა მონაზონის ვინაობის შესახებ ჩვენამდე ცნობებს არ მოუღწევია. იერუსალიმიდან გრიგოლ კათალიკოსთან მოწერილი მართას წერილი არის ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ცნობებს მისი მოღვაწეობის შესახებ. წერილი უთარიღია. ამ დოკუმენტის გამომცემელი აკად. ექვთ. თაყაიშვილი მას 1650—58 წლებით ათარიღებს, ვინაიდან ამ წლებში ვარაუდობს წერილის ადრესატის გრიგოლის კათალიკოსობას იმერეთში (იხ. საქართველოს სიძველენი, ტ. 1, თბილისი, 1920, გვ. 37). უფრო ადრეულად მიაჩნია ეს წერილი აკად. კ. კეკელიძეს. მისი ვარაუდით წერილი იერუსალიმიდან გამოგზავნილი უნდა ყოფილიყო 1641—42 წლებში (კ. კეკელიძე, ნიკოლოზ ირბახი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, გვ. 304). მკვლევართა განსხვავებული ვარაუდებისათვის საფუძველს იძლეოდა დასავლეთ საქართველოს კათალიკოსთა ზუსტი ქრონოლოგიური სიის უქონლობა. დღეს ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა გვაქვს. არსებობს დოკუმენტალურად დადგენილი იმერეთის კათალიკოსთა სია, საიდანაც ვგებულობთ, რომ მაქსიმეს შემდეგ მხოლოდ ერთი გრიგოლი (ლორთქიფანიძე) იყო კათალიკოსი. მას იმერეთის საპატრიარქო ტახტი ეკავა 1696—1742 წლებში (იხ. ბ. ლომიძე, მასალები დასავლეთ საქართველოს XVII—XVIII სს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 31, გვ. 131—133). ამდენად, მართაც ამ წლების მოღვაწე უნდა ყოფილიყო.

გამოზიდეს ჩვენის მონასტრების!..ამანათი არის, ხვალ ზეით პატრონები მოვლენ და ეშურებიან...ნუ იქთ, ნუ დაუჟარგავთ ამ მეუფის სახლს. ყოველი სული ამისთვის კდების, რომ აქ ერთის ტრაპეზის დასადები ადგილი იზონოს, და თქვენ სულ იერუსოლიმი დაკარგეთ. ეს წმიდა ადგილი სრულიად ქართველის ყოფილა, და ეხლა ლ[ამის] რომ სულა გამოვრდეთ. წმიდას საფლავზედ ფრანგნი ჟამს სწირავს. ერთის სიტყვით მისცა ხვანთქარმა და ასრე უბრძანა: „რაც გურჯის ბატონების ზიარეთი და სალოცავი იყოსო, არა კადროთ რამეო“. ხმა დიდი არის მაგ ბატონების და ხათრიც. მაგრამ ერთი ელჩი რომ გამოგზავნოთ სტამბოლს, რა იქნება? დიდი სირცხვილი არ არის ეს, რომ პატიოსანი დიდი წმიდა იაკობის მონასტერი სომხებმა იზონეს? ხვანთქარი მოატყუეს და ახლა სომეხს აქუს. ბეთლემი ფრანგმა აილო, მაგრამ მაგათი შიში და მოლოდინი აქვს და ჩვენი სამწირველ[ი] ისრეე მორთული არის. თუ არ მოხვალთ, დააქცევენ. საბრალო პატრიაქმა რა ქნას, თუ ქრისტიანი არ მოუდგებით? ერთი ელჩი გამოგზავნეთ ხვანთქართან, ისრეე მოგცემსთ. უსაცილოთ გოლგოთასაც და გესამანიას დაიქირავს ფრანგი, თუ არ მოეშველებით. ამათი კერძო გოლგოთა დაიქირა, ჩვენი ჯერ კარგათ არის. ერთი თავი ჯვარის მამა გაიჩინეთ, რომ წამოვიდეს. ან ერისკაცი ან ბერი გამოაშურეთ ამ ქვეყანას, თვარამ წახდა საქმე. უსათუოდ შავი ზღვით გამოაგზავნეთ კაცი და საპატრიაქოში და სტამბოლს მოვიდეს და იქიდამა ვეზირი ნახოს. თუ ასრე არა იქთ, ეს მონასტრები და იერუსოლიმი დაგეკარგვიან. ნუ იქთ, სხვას ნუ უყურებთ, თავისის ფეხით იარეთ და, ვინც ბატონები იყოს ან გურიას ან ოდიშ, ან იმერეთს და ქართლით. პირობა დასდევით და ამგვარად კრება და ვეზირობა ქენით. თუ იერუსოლიმი დაგეკარგვიან, რასლა სჯული და ან რასლა პირჯვრის წერა გექნებათ. მოსკოვმა ვერა ქნა რა. და მანდაური შიში უფროსი მოსდის. მოგვეხმარენით, თავს აღარ იქნა, თხუთმეტი წელი არის, პატრიაქი ა[რ] მოსულა. ეს უნდა დაუწეროთ ხვანთქრის წიგნშიდ, რომ ანბავი მოვიდა, იერუსოლიმი გაგიცემიათქო, ჩვენი ბერი გავგზავნეთქო და სალოცავი, რაც ქართველის არის, ყველა გაგიცემიათქო. ან გავვათათრე, ან დაგვხოცე და ან სჯულსა და სალოცავს ნუ წავგვართვამთქო, თვარა არ იქნება“¹.

წერილის ენა და სტილი მოწმობს, რომ მართა განათლებული და დახელოვნებული მწიგნობარი ყოფილა.

¹ საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 37—39.

კატეგორიული ტონი, რომლითაც მართა რჩევას აძლევს გრიგოლ კათალიკოსს, გვაფიქრებინებს, რომ ის გრიგოლის მახლობელი და მაღალი წრიდან გამოსული ადამიანი იყო.

იერუსალიმში ჩასული დედა-შვილი შეეცადნენ იქ შეექმნათ ქართველთა სიძლიერის ილუზია და ამ გზით მოეხდინათ ერთგვარი ფსიქოლოგიური ზეგავლენა ფრანგებზე, რომლებიც უმტკივნეულოდ და დაუსჯელად ისაკუთრებდნენ ქართველთა ადგილებს იერუსალიმში. მართასა და მის შვილს არ გააჩნდათ ბენეა ჩოლოყაშვილის გამბედაობა და ძალა, რომ სწრაფი შეტევით დაეგდებინებინათ მიმტაცებლებისათვის ქართველთა საკუთრება (ამისათვის მათ არც პოლიტიკური სიტუაცია უწყობდა ხელს და არც ზურგი ჰქონდათ მაგარი). ამიტომ ისინი ფსიქოლოგიური ზემოქმედების გზას დასდგომიან: „ახლა ჩემი სვიმონ ოსტატი და ბრძენი შეიქნა,—წერს მართა,—აქაური ანბავი დიად კარგად შეიტყო, ამისი ფიქრი ქონდენ, თუ აქ დადგეს. მაგრამ ამანაც კარგად მოიხდინა საქმე, თუ ღმერთი წარუმართებს. ასრე უთხრა, რომ კათალიკოსის შორეს ძმა ვარო და მონასტერს ნუ ეშურებითო, თვარა კათალიკოსი მობრძანდებისო. იმისთვის მოველ, ანბავი შევიტყოვო, მე წინ ნოუძღვებო. ახლა ცოტა ნამუსი დაიდევს“¹.

მართა ხედავდა, რომ იერუსალიმში ქართველთა წარსული ძლიერებისა და დიდებისაგან აჩრდილიდა დარჩენილიყო, რომელსაც აღარავინ უწევდა ანგარიშს. ასეთ პირობებში ქართველები დიდ ხანს ვერ გასტანდნენ იერუსალიმში. საჭირო იყო მყარი დასაყრდენი ქართველთა უფლებებისათვის, ძალა, რომელიც შეკვეცავდა წმიდა ადგილების ახალ და ახალ პრეტენდენტების გაღვიძებულ მადას. ასეთ ძალად მართას ხონთქარი ესახებოდა, იერუსალიმის მპყრობელი: „ბეთლემი ფრანგმა აიღო, მაგრამ მაგათი (ხონთქარის) შიში და მოლოდინი აქუს, და ჩვენი სამწირველი ისრევ შორთული არის, თუ არ მოხვალთ, დააქცევენ“. ანდა: „წმიდას საფლავზედ ფრანგნი ჟამს სწირავს. ერთის სიტყვით მისცა ხვანთქარმა და ასრე უბრძანა: რაც გურჯის ბატონების ზიარეთი და სალოცავი იყოსო, არა კადროთ რამეო. ხმა დიდი არის მაგ ბატონების და ხათრიც“.

მართა შესანიშნავად ითვალისწინებდა პოლიტიკურ სიტუაციას და ურჩევდა გრიგოლ კათალიკოსს, რათა მას სწრაფად და ენერგიულად ემოქმედა და გაეგზავნა ელჩი ხონთქარის ვეზირთან

¹ საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 38.

მოსალაპარაკებლად: „თუ ასრე არა იქნა, ეს მონასტრები და იერუსოლიმი დაგეკარგვიან“. „მოსკოვმა ვერა ქნა რა“, — წერს მართა¹, ამიტომ საჭიროა საკუთარ ძალაზე დაყრდნობით შველის სხვა სახისარი გამოინახოს: „ნუ იქნა, სხვას ნუ უყურებთ, თავისის ფეხით იარეთ და, ვინც ბატონები იყოს ან გურიას, ან ოდიშ, ან იმერეთ და ქართლით, პირობა დასდევით და ამგვარად კრება და ვეზირობა ქენით“.

წერილის დასასრულს მართამ სულ რამდენიმე სიტყვით ჩამოაყალიბა მის დროს გავრცელებული თვალსაზრისი იერუსალიმის ქართული სამფლობელოების ეროვნულ მნიშვნელობაზე.

მუსულმანებით გარშემორტყმული ქართველებისათვის იერუსალიმის წმინდა ადგილების დაცვა საკუთარი ეროვნული სჯულის დაცვას უდრიდა. სჯულის დაცვა კი ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას ნიშნავდა. მღელვარე, პატრიოტულ მოწოდებად ელერს მართას წერილის უკანასკნელი ფრაზები: „თუ იერუსოლიმი დაგეკარგვიან, რასლა სჯული და ან რასლა პირვერის წერა გექნებათ?...ეს უნდა დაუწეროთ ხვანთქრის წიგნშიდ, რომ ანბავი მოვიდა, იერუსოლიმი გაგიცემიათქო, ჩვენი ბერი გავგზავნეთქო და სალოცავი რაც ქართველების არის, ყველა გაგიცემიათქო. ან გავგათათრე, ან დაგვხოცე, ან სჯულსა და სალოცავს ნუ წავგართვამთქო“.

მართას მოღვაწეობაზე ჩვენ განზრახ შევიჩრდით ვრცლად, ვინაიდან ის ტიმოთეს უშუალო წინამორბედი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მართასა და ტიმოთეს მოგზაურობებს დროის პატარა მანძილი აშორებდა, მათი მიზნები საგრძნობლად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. მართამ იერუსალიმში ფართოდ გაშალა პრაქტიკული საქმიანობა და გრიგოლ კათალიკოსისაგანაც გადაამქრელი ზომების მიღება მოითხოვა, ვინაიდან ის იერუსალიმის დაკარგვას, როგორც სჯულის დაკარგვას და, მაშასადამე, გათათრებას უყურებდა. ტიმოთესათვის ეს საკითხი აღარ იდგა ასე მწვავედ, ვინაიდან იერუსალიმში მას ქართველები აღარც კი დახვედრიან². XVIII

¹ საფიქრებელია, რომ აქ იგულისხმება 1724 წელს ალექსანდრე იმერთა მეფის მიერ რუსეთის იმპერატორთან გაგზავნილი წერილი, სადაც ალექსანდრე თურქეთისაგან შევიწროებულ დასავლეთ საქართველოსათვის შველას თხოულობდა (იხ. Переписка, გვ. LXXX).

² ქართველები ტიმოთეს უნახავს მხოლოდ მირქმის დედათა მონასტერში: „ესე მონასტერი დედათა ქართველთათვის არს, რამეთუ არს ილუმენისა ქართველი, ხარიტინი სახელად, ასული ანჩაფიშვილისა. ორი მონაზონი კახნი არიან, სხვანი რუისელი, იმერელი და გურული“. (მიმოსლვა, გვ. 81).

საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს ყურადღება იქითკენ იყო მიმართული, რომ როგორმე შეესუსტებინა შინაკლასობრივი წინააღმდეგობა და გამკლავებოდა სპარსელებისა და ოსმალების გაუთავებელ თარეშს. მართას მოწოდება ამ პირობებში პრაქტიკულად ძნელი განსახორციელებელი იყო. ქართველები სჯულის დაცვას საქართველოშიც ვერ ახერხებდნენ ყოველთვის, იერუსალიმზე ხომ ფიქრიც ზედმეტი იყო¹. ამისდა მიუხედავად ტიმოთემ მაინც განიზრახა შეემსუბუქებინა ქრისტეს საფლავის ეკლესიის კრებულის მდგომარეობა და ამ კრებულის თხოვნით დააჩქარა იერუსალიმიდან წასვლა, რათა მოლაპარაკება ეწარმოებინა გადასახადების შემცირების თაობაზე კონსტანტინეპოლში იერუსალიმის პატრიარქთან. მაგრამ ტიმოთესათვის მთავარი მაინც სულ სხვა იყო. ტიმოთე იერუსალიმისკენ იმიტომ მიისწრაფოდა, რომ მას იქ ქართული კულტურის ისტორიის ერთი საინტერესო უბანი ეგულეობოდა.

მართალია, მისი მოგზაურობის ოფიციალური საბაბი „წმიდა ადგილების“ მოხილვა და ერთგვარად მათზე ზრუნვაც იყო, მაგრამ სინამდვილეში ამას ტიმოთემ ყველაზე ნაკლები დრო მონადომა. მან იერუსალიმში იმოგზაურა არა როგორც „წმიდა ადგილთა“ მომლოცველმა, არამედ როგორც თავისი ქვეყნის წარსულით დაინტერესებულმა ისტორიკოსმა.

ტიმოთე ყველგან ეძებდა და პოულობდა ქართველთა მრავალსაუკუნოვანი მოღვაწეობის კვალს: „წარვედ იერუსალიმად და მთაწმიდად...და ვიხილენით და აღმოვიკითხენით ჭირმრავლობით ნაღვაწ[ნი] მამათა ჩვენთა ქართველთანი, და ფრიალ განკვირვებულ ვიყავ მათთვის, რამეთუ იგავადცა არა მსმენოდეს ესენი, რაოდენიცა მე აქა მათთვის აღვსწერენ“—წერს ტიმოთე „მიმოსღვის“ შესავალში.

ტიმოთესათვის მნიშვნელობა აქვს არა მის თანამედროვე იერუსალიმს, არამედ იმ იერუსალიმს, სადაც „მეფეთა საქართველოსათა სახელოვანთა გლმითა მით ძლიერთა აღიმაღლნეს წმანი მათნი და ტყვექმნილი ქრისტეს საფლავი სპარსთა და თურქთა წარუხვნეს, გამოიქსნეს და დაიპყრნეს და ალაშენნეს“, ხოლო წმინ-

¹ 1756 წელს ანტონ პირველთან მოწერილ წერილში იერუსალიმის პატრიარქი პართენი წერდა, რომ 25 წლის განმავლობაში ქართველ მეფეებს წმინდა საფლავის დასახმარებლად არავინ გამოუგზავნიათო (იხ. Ц а г а р е л и, Памятник, გვ. 82).

და მამებმა „ქორცი განლინეს მოღვაწეებითა,...სხვათა — თარგმანება საღმთოთა სჯულთა აქეთგან მოიღეს“¹.

მართას მსგავსად ტიმოთეც მოუწოდებს ქართველებს, რომ გააგზავნონ ვინმე ჯვარის მამად იერუსალიმში, მაგრამ არა იზისათვის, რომ მათ ბრძოლა გააჩაღონ დაქარგული უფლებების აღსადგენად, არამედ იმისთვის, რომ არ დაივსოს ქართველებისათვის დანთებული კანდლები, არ წაიშალოს ქართველთა მოსახსენებლები და არ დაიკარგოს ქართველთა მოღვაწეობის კვალი იერუსალიმში.

ტიმოთე განცვიფრებულია იერუსალიმსა და ათონზე ნახულით და მოსმენილით. მაგრამ არანაკლებ განცვიფრებულია იმით, თუ რატომ „აქა მოსრულნი ქართველი ვინმე რასათვის ამათთვის არ გამოეძიებდა“²! „ასე რასათვის უმეცარ იქმნენ საქართველოსაგანნი? ერთი ვინმე რასათვის ვერ მოიწია აქა, აქაური ამბავი შეეტყო, და ანუ ქვაზედ, ანუ წიგნთა შინა აღმოეკითხა ეს ამბები და საქართველოთათვის ეუწყებინა? არავისა სმენიეს, თუ იერუსალიმი ქართველთათვის რა არის, და არცა მე უწყოდი აქაური ესეთიარი საქმე“³.

ამ დანაკლისის შევსება განიზრახა ტიმოთემ. მან „ქვაზედ და წიგნთა შინა“ დაწერილი იერუსალიმის ამბები ამოიკითხა და მის მიერ მოპოვებული მასალა ხელმისაწვდომი გახადა ქართველი მკითხველისათვის. „მიმოსლვით“ ტიმოთემ თავის თანამემამულეებს გააცნო ქართული კულტურის ისტორიის მივიწყებული, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი უბანი.

ტიმოთემდე იერუსალიმსა და ათონზე მრავალმა ქართველმა იმოგზაურა, მაგრამ პირველად ტიმოთემ დაისახა მიზნად მოგზაურობის დროს ისტორიული და არქეოლოგიური მასალის საგანგებო ძიება და მასალის საფუძველზე იერუსალიმის ქართული კოლონიის დოკუმენტალური ისტორიის დაწერა.

ქართულ სიძველეთა მოგროვების, აღნუსხვის, აღწერის და მათი ისტორიული მნიშვნელობის გამოვლენის მიმართულებით წარმართა ტიმოთე გაბაშვილის შემდგომ ქართველ მოგზაურთა მუშაობა. საკმაოდ დიდ ადგილს უთმობენ ათონისა და იერუსალიმის ქართულ სიძველეთა და სიწმიდეთა აღწერას იონა გედევანიშვილი.

¹ მიმოსლვა, გვ. 84.

² იქვე, გვ. 4.

³ იქვე, გვ. 85.

და გიორგი ავალიშვილი თავის „მიმოსვლებში“. ქართულ სიძველეთა შესწავლის მნიშვნელობაზე საგანგებოდ ჩერდება ლავრენტი ოკრიბელიც. მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილ პირებს მაინც აკლდათ ის, რაც გააჩნდა ტიმოთეს: მასალის სისტემატიზაციისა და ისტორიულ ქარგაზე გაწყობის უნარი.

ტიმოთე გაბაშვილი ახალი ტიპის მოგზაურია. ის მოგზაური-არქეოლოგია, ხოლო მისი მოღვაწეობა ახალი ეტაპია საზღვარგარეთის ქართული კულტურის კერების დაცვისა და შესწავლის საქმეში.

V—XVIII საუკუნეების მანძილზე საქართველოს პოლიტიკური, საერთაშორისო, ეკონომიური და კულტურული მდგომარეობის შესაბამისად იცვლებოდა იერუსალიმის ქართული კოლონიის მოღვაწეობის ხასიათი და მნიშვნელობა. ამასთან დაკავშირებით იცვლებოდა ქართველების იერუსალიმში მოგზაურობის მიზანიც.

ქართველებმა პალესტინაში მოგზაურობა დაიწყეს იერუსალიმში ქართული კულტურის კერების შექმნისა და იქ მოღვაწეობის ნიშნით, ხოლო დაამთავრეს არქეოლოგიური მოგზაურობებით.

პირველი ქართველი მოგზაური, რომელსაც იერუსალიმი ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით აინტერესებდა და რომელმაც ამ თვალსაზრისით შეისწავლა და აღწერა კიდევ ქართველთა მოღვაწეობის ისტორია იერუსალიმში, ტიმოთე გაბაშვილი იყო.

V

„მიმოსლვის“ წყაროები

1

განათლება, ენების ცოდნა, სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობა და განსწავლულ ადამიანთა ფართო წრესთან ურთიერთობა. ტიმოტეს საშუალებას აძლევდა თავისი ლიტერატურული საქმიანობისათვის გამოეყენებინა როგორც წერილობითი წყაროები, ასევე მოგზაურობის დროს მოპოვებული ზეპირი ცნობები.

მრავალი წყარო აქვს გამოყენებული და დამოწმებული ტიმოტეს „მიმოსლვაში“, მაგრამ იქ აღწერილსა და მოთხრობილ ამბებს ნაინც ერთნაირი ისტორიული ღირებულება არა აქვთ, ვინაიდან ავტორი განსხვავებულ ინტერესს იჩენდა ნახულისა და მოსმენილისადმი, მას არც ჰქონდა შესაძლებლობა ყველაფერი ერთნაირი სისრულით დაემუშავებინა და აეწერა. ამის მიუხედავად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ „მიმოსლვის“ მდიდარი ისტორიული მასალა დამუშავების თვალსაზრისით თავისი დროის მეცნიერულ სიმაღლეზე დგას.

ტიმოტე გაბაშვილი „მიმოსლვაში“ არაერთგზის აღნიშნავს, რომ მას წიგნში მოგონილი და შეთხზული არაფერი შეუტანია: „არა თუ თავით ჩემით რაიმე შევაწყვე, არამედ ბრძენთა უზენაესთაგანთა მეცნიერთა მიერ გამოკვლეულნი, რამეთუ ვიყავ მრავალთა ქვეყანათა მნილველი და მრავალთა ბრძენთა და ფილოსოფოსთა თანამოზრახე და მათ მიერთთა კითხვითა და განმარტებითა და კაცთა სულიერთა და სარწმუნოთა სულთა უწყებითა აღვსწერენით. მაშინ ესენი სარწმუნოდ და ქრისტესში სასოებად განმარტენ მშვიდობისათვის და სიყვარულისა და ეგრეთ წარუგზავნეს საქართველოთა“¹.

ტიმოტეს განცხადებით სანდოა და სარწმუნო ზეპირი წყაროები, რომლებსაც ის ხშირად მიმართავდა: „აღვსწერენით, რაოდენნი შევიტყვენით იერუსალიმისათვის და მთაწმიდისა და სხვათა მონასტერთათვის და ადგილისათვის საწამებელსა წმიდათა მოწა-

¹ მიმოსლვა, გვ. 4.

მეთასა და სადგურთათვის ღირსთასა და სხვათა მრავალთა ადგილთა, ამბავნი ხილულნი და ანუ სარწმუნოდ სმენილნი აღვსწერენით¹.

ზეპირი „სარწმუნო“ წყაროებით ტიმოთე სარგებლობდა იმ შემთხვევაში, თუ მას წერილობითი წყაროები არ ეგულებოდა, ან არ მიუწვდებოდა ხელი. ტიმოთე არ ფლობდა იმდენად ბერძნულ ენას, რომ ბერძნული ოქრობეკდებით და სიგელ-გუჯრებით თავისუფლად ესარგებლა, ამიტომ ის ზოგ შემთხვევაში იძულებული იყო ადგილობრივ გაგონილი სარწმუნო ამბებით დაკმაყოფილებულიყო, ან თარჯიმანისათვის მიემართა. ზეპირ წყაროებს ტიმოთე ყველაზე ხშირად ათონის მთის არაქართული მონასტრების აღწერის დროს მიმართავს.

ტიმოთემ ათონის მთის თითქმის ყველა მონასტერი ინახულა, შეკრიბა ცნობები მათ შესახებ და დაწერა მათი მოკლე მიმოხილვა ერთი გარკვეული გეგმის მიხედვით:

- ა. ვისი სახელობისაა მონასტერი.
- ბ. მონასტრის კტიტორი და აშენების ისტორია.
- გ. მონასტრის მდებარეობა და გარეგნული მხარე.
- დ. მონასტერთან დაკავშირებული სასწაულები და მონასტრის სიწმინდენი.

მონასტრების ისტორიას ტიმოთე თითქმის ყოველთვის სტერეოტიპული წინადადებით იწყებს: „ვიკითხვედით რა ვის მიერ აღშენებასა მისსა, გვეტყოდენ“ (გვ. 35). ანდა „კვალად გვეტყოდენ სასწაულისათვის მონასტრისა“ (გვ. 35).

ათონის მთის მონასტერთა მიმოხილვის დასასრულს ტიმოთე წერს: „დავასრულეთ დიდთა ზოგადცხოვრებულთა მონასტერთა მოხილვა... ხოლო ამა მონასტერთათვის რა აღვსწერენით, მათის სიტყვით თქმულნი აღვსწერენით“.

ათონის სამონასტრო ისტორიისათვის ზეპირსა და ტრადიციულ ცნობებს მიმართავდა არა მარტო ტიმოთე, არამედ ბერძნული წყაროებისა და ათონის ისტორიის ისეთი კარგი მცოდნე, როგორიცაა ტიმოთეს თანამედროვე, ცნობილი რუსი მოგზაური ვ. გრიგოროვიჩ-ბარსკი.

ვ. გრიგოროვიჩ-ბარსკი 1744 წელს მეორედ გაემგზავრა ათონის მთაზე იმ განზრახვითაც, რომ ათონის სამონასტრო ისტორია დაეწერა².

¹ მიმოსლვა, გვ. 4.

² Второе посещение святой Афонской горы В. Григоровича-Барского, под редакцией Н. П. Барсукова, С. П. б., 1887. ამ მოგზაურობას კვებით შემოკლებით დავიმოწმებთ.

ათონის სამონასტრო ისტორიის შედგენისას ვ. გრიგოროვიჩ-ბარსკის უსარგებლია ბერძენ ისტორიკოსთა ცნობებით, ოქრობეკლებით, ბერძნული სვინაქსარით, ათონის წმინდანთა ცხოვრებებით, მონასტერთა სააღმშენებლო წარწერებით ბერძნულ ენაზე, რუსული და ბერძნული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნებით.

ტიმოთე გაბაშვილისა და ვ. გრიგოროვიჩ-ბარსკის თხზულებების ერთმანეთთან შედარებით ვრწმუნდებით, რომ ტიმოთეს თავის მოგზაურობის დროს შეუმჩნეველი არ დარჩენია ათონის არც ერთი ღირსშესანიშნავი ადგილი. მას უყურადღებოდ არ დაუტოვებია არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი, თქმულება თუ სასწაული.

ამ თხზულებათა შედარების გზითვე შესაძლებელი გახდა შემოწმებულიყო, ზოგ შემთხვევაში კი დაზუსტებულიყო და შეესებოდა როგორც ვ. გრიგოროვიჩ-ბარსკის, ასევე ტიმოთე გაბაშვილის წყაროები და ცნობები.

ათონის მთის სამონასტრო ისტორიასთან დაკავშირებულ ზეპირ გადმოცემებს გააჩნდა თავისი წერილობითი წყაროები, რომლებიც წმინდანთა ცხოვრებების, სვინაქსარების, თუ სამონასტრო დოკუმენტების სახით მონასტრის ბიბლიოთეკებში და სკეოფულაკიონებში (საგანძურებში) ინახებოდა. ამის გამო ზეპირი გადმოცემები დიდად არ განსხვავდებოდნენ წერილობითი ცნობებისაგან. ამით აიხსნება ისიც, რომ ტიმოთე გაბაშვილის მოწოდებული ცნობები, რომლებსაც ის ძირითადად ზეპირი გზით აგროვებდა, ზოგად ხაზებში საკმაოდ ზუსტად იმეორებს წერილობით წყაროებზე დაყრდნობილ ვ. გრიგოროვიჩ-ბარსკის ცნობებს.

მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება. მოვიყვანთ მხოლოდ ერთს. ათანასეს ლავრასთან არსებული იოანე კუკუზელის სენაკის შესახებ ტიმოთე გაბაშვილი წერს: „...და იყო სენაკი ღირსისა იოანე შეყენებულისა კუკუზელისა, რამეთუ ამისთვის გვეტყოდენ, ვითარმედ მეფესა ბერძენთასა ყვანდა სიუცხოვისათვის ჳმისა მისისა...“¹ ამას მოსდევს ვრცლად აღწერილი იოანე კუკუზელის პოეტური თავგადასავალი.

ვ. გრიგოროვიჩ-ბარსკი ამავე ისტორიის გადმოცემისას წერილობით წყაროებს ასახელებს: „о нем же повесть, zelo сладко-слышателна напечатанна в книзе Греческой, нарицаемой „Грешным спасение“ сицевая“². განსხვავებული წყაროების მიუხედავად,

¹ მიმოსლვა, გვ. 25.

² Барский, гв. 37.

ორივე ავტორთან იოანე კუკუზელის თავგადასავალი მისდევს ერთმანეთს.

ამიტომ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ვ. გრიგოროვიჩ-ბარსკის მოწოდებული ცნობებისაგან მცირეოდენ გადახრას, შეიძლება ვირწმუნოთ, რომ ტიმოთეს, მართლაც, „სარწმუნოდ სმენილი“ აუწერია.

ტიმოთე გაბაშვილს ვ. გრიგოროვიჩ-ბარსკისაგან განსხვავებით მიზნად არ დაუსახავს არაქართული მონასტრების ისტორიის წერა. ის საგანგებოდ არ ეძებდა და არ იკვლევდა წყაროებს, არ ტვირთავდა „მიმოსლვის“ ტექსტს ყველა იმ გადმოცემა-სასწაულებით, რომლებიც ასე უხვად ტრიალებდა XVIII საუკუნის ათონზე¹. ტიმოთე თავის თხრობაში მეტად ზომიერია. ის არჩევს მასალას არა მარტო ისტორიული, არამედ ლიტერატურული ღირებულების თვალსაზრისითაც.

ტიმოთე ცდილობს დოკუმენტალური და დამაჯერებელი გახადოს მის მიერ აღწერილი ამბები. მისივე თქმით ის სასწაულებსაც კი ამ თვალსაზრისით არჩევდა. ავქსენტის სასწაულთან დაკავშირებით ტიმოთე A რედაქციის ხელნაწერში წერს: „ჩემთა წერილთა შინა სასწაულნი და ამბავნი სხვადასხვანი რაოდენიცა აღვსწერენით, ვითაცა სარწმუნოთა კაცთაგან შევისმინეთ, ეგრეთ აღვსწერენით, რომელიც თვალთ ვიხილეთ, ის აღვსწერენით. ნაცილი და ჩემით რამე არარა შემიწყვიეს და აღმიწერიეს, სარწმუნოდ მოიხსენეთ“². მიუხედავად ამისა ტიმოთე „მიმოსლვის“ B და C რედაქციებზე მუშაობის პროცესში მაინც თანდათან ამცირებს წინა რედაქციის ტექსტში შეტანილ სასწაულთა რაოდენობას და მეორე მხრივ ზრდის ისტორიული ხასიათის მასალას, შეაქვს დოკუმენტალური ცნობები და ახალი დაკვირვებანი³.

უფრო გულდასმით ეცნობა და სწავლობს ტიმოთე გაბაშვილი ათონის მთის ქართულ მასალას, ქართულ სიძველეებსა და ქართველთა ღვაწლს ათონის სამონასტრო ცხოვრებაში. ამ შემთხვევაში ტიმოთე არ კმაყოფილდება მხოლოდ ზეპირი ცნობებით. ის თვითონ ეძებს წყაროებს წერილობითისა თუ ნივთიერი ძეგლე-

¹ ტიმოთე გაბაშვილი სტავრონიკიტას მონასტერთან დაკავშირებით კმაყოფილდება ერთი ზეპირთქმულების გადმოცემით, ვ. გრიგოროვიჩ-ბარსკის მოყვას სამი სხვადასხვა თქმულება.

² რედაქც. და ვარიანტ., გვ. 117, № 59.

³ იხ. გამოკვლევის ცალკე თავი „ტიმოთე გაბაშვილის მუშაობა „მიმოსლვის“ ტექსტის რედაქციებზე“.

ბის სახით, იკვლევს მათ და აწვდის მკითხველს, მისი თვალსაზრისით, კრიტიკულად შესწავლილსა და დადგენილ ცნობებს.

ათონზე ქართველთა მოღვაწეობის ისტორიის შესასწავლად ტიმოთეს ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ მონასტრის კედლის მხატვრობა მიაჩნდა. კედლის მხატვრობასა და ეკლესიაში დაწესებულ მოსახსენებლებს ტიმოთე სამართლიანად ისტორიული დოკუმენტის მნიშვნელობას ანიჭებდა. ფილოთეოსის მონასტრის კედლებზე ქართველ მეფეთა გამოსახულებათა შესახებ ტიმოთე წერს: „აღმაშენებელნი მეფენი ლეონ და ძე მისი ალექსანდრე პალატა შინა სახიან მტვირთელი მონასტრისა მის. რამეთუ მეფე ლეონ ხატია ტანითა მომაღლო, მოხუცებული, ვწითური, ცხვირკავი, თმითა და წვერითა სპეტაკი, მოსილი გვირგვინითა და პოდირითა; ხოლო ალექსანდრე მეფე—ჰასაკითა მცირე, შვენიერი სახილავი, თმითა მოშავო, მოსილი იგიცა გვირგვინითა. წელნი არიან მას აქეთ გარდასრულნი სკე. და არს მას მონასტერსა შინა მათ მეფეთა მოკსენება სამარადისო მწუხრად და ცისკრად. და ფრიად ვიდრემე ნეტარება მივეც მათ და სხვათაცა, ვინცა ესევეითარსა საუკუნოსა მოკსენებასა სულსა თვისსა დაუუნჯებენ. და უკეთუ-მცა აქა არა დაეწესებინათ მოკსენება თვისი, საქართველოთამცა შინა აღკოცილ იყო სრულიად ვინაობაცა მათი, რამეთუ ამან ღმთისმსახურმან მეფემ ლეონ განაახლა და კვლად ახლა აღაშენა აღოვრებული თურქთაგან საფლავი ქრისტესი და გოლგოთა. რამეთუ არს მათ მეფეთაგან შემოწირული კახეთს სოფელი ხოდაშენი“¹. ამგვარად, ტიმოთე გაბაშვილის აზრით ფილოთეოსის მონასტრის ქართველ მეფეთა მოსახსენებლებმა და კედლის მხატვრობამ შემოგვინახეს პორტრეტები და ცნობები ქართველ მეფეთა შესახებ. ამათ გარეშე საქართველოში მივიწყებული იქნებოდა მათი არა მარტო დამსახურება ქრისტიანული ეკლესიის წინაშე, არამედ მათი ვინაობაც.

ტიმოთეს ცნობებს მხარს უჭერს ვ. გრიგოროვიჩ-ბარსკის აღწერილი მასალაც.

ფილოთეოსის მონასტერში ქართველ მეფეთა მოღვაწეობის შესახებ ვ. გრიგოროვიჩ-ბარსკი წერს: „Ктитори, или здательы монастыра сего сут три: Арсений, Филофей и Дионисий,... Последи же, седмтисяшном году от Адама, царь Кахетийский, си ест Грузинский, Леонтий и синь его Александеръ своимъ

¹ მიმოსლვა, გვ. 37—38.

იხდინენი ახლავსა იხრადნეე ი თრეპეზუ ვ ნემ სოზდაშა ველი-
კუი ი კრასიუ, პრედ ცერკვიუ, ვ სტენე ზაპადნეი, იაკოჟე ზდე
ზრიტსა, ს ველიკიმი ოქნაიმი ი პრეგრადი ზელეზნიმი, ი იკონოპისაშა
იუსუ, იდეჟე ზრიტსა ი სავთხ იხ ჯივნოაპისანი იკონი“¹.

1848 წ. ათონზე მოგზაურობის დროს პლ. იოსელიანს დაუ-
თვალეირებია ფილოთეოსის მონასტერი, უნახავს ქართველ მეფე-
თა გამოსახულებები და გადმოჟღერა ამ გამოსახულებათა ბერძნუ-
ლი წარწერები. როგორც ბერძნული წარწერები, ასევე მათი ქარ-
თული თარგმანი დაცულია პლ. იოსელიანის ქალაქდებში, რომ-
ლებიც ამჟამად საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყო-
ფილებაში ინახება. მოგვყავს ქართული თარგმანები: 1. „7048 წელს
ადამიდან განახლებულია ტრაპეზი წმინდის და სამეფოს ფილო-
თეოსის ყოვლად წმიდის ღვთისმშობლის, ესრეთ წოდებულის ხა-
რების მონასტრისა, მთლად კეთილმორწმუნის კახეთის და იბერიის
მეფის ლეონის და მისი შვილის ალექსანდრეს მიერ მის სულის
საცხოვენბლად“. 2. „ლეონი მეფე კახეთისა და მთელის იბერიისა
და კტიტორი წმინდის და სამეფოს მონასტრის ფილოთეოსისა.

ალექსანდრე, შვილი მისი, მეფე კახეთისა და მთელის იბე-
რიისა და კტიტორი წმინდის სამეფოს მონასტრისა ფილოთეო-
სისა“².

ეს ბერძნული წარწერები იყო ტიმოთე გაბაშვილისა და
ვ. გრიგოროვიჩ-ბარსკის ცნობის წყარო.

ტიმოთეს მოპოვებული ზოგიერთი მასალა უცნობია ვ. გრი-
გოროვიჩ-ბარსკისათვის მიუხედავად იმისა, რომ ვ. გრიგოროვიჩ-
ბარსკი დიდის გულისყურით ეკიდება ქართველთა მოღვაწეობას.
ათონის მთაზე. ივერიის მონასტრის აღწერა მის მოგზაურობაში
გამოირჩევა თავისი სისრულით. ვ. გრიგოროვიჩ-ბარსკის საგან-
გებოდ შეუსწავლია იოანე და ეფთვიმეს ცხოვრების ბერძნული
თარგმანი, წერილობითი ცნობები პორტაიტის ხატზე და სხვა მა-
სალა. მას შეუმჩნეველი არ დარჩენია არც ქართველთა ღვაწლი
ფილოთეოსის მონასტერში, მაგრამ ქართველთა მოღვაწეობის შე-
სახებ ზოგიერთი სხვა ცნობა მაინც გამოჩენია.

ვ. გრიგოროვიჩ-ბარსკი ვრცლად ჩერდება კარაკალოს მო-
ნასტერზე, მისი აშენების ისტორიაზე, მის პირველ კტიტორზე.

¹ Барский, гл. 119.

² საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი S-3061, 9 v.

კარაკალაზე და მონასტრის განმარტების მოლდავიის გოსპოდარ პეტრე-ყოფილი პოხუმის, თავგადასავალზე.

კარაკალოს მონასტრის მოკლე აღწერაში ტიმოთეც ასახელებს მონასტრის კტიტორსა და განმარტებელს და სულ რამდენიმე სტრიქონში მოხაზავს კარაკალასა და პოხუმის მოღვაწეობას. მაგრამ ამით არ ამთავრებს ტიმოთე მონასტრის ისტორიას. მას მიუკვლევი კარაკალოსში ქართველთა მოღვაწეობის კვალისათვის. იგი წერს: „ამისა შემდგომად (ვლახთა ბატონის პოხუმის მიერ მონასტრის შეკეთება იგულისხმება.—ე. მ.) გუმბათი და პალატი დაქცეულა და გაუახლებიათ და ტყვიით გარდაუქედიათ არჩილს იმერელთ მეფეს, გიორგის, ძმასა მისსა, და ვახტანგს, ქართველთ ბატონს, და აშოთანს. და არს დღითი-დღე მათი მოჯსენება“¹.

ამგვარად, ტიმოთეს კარაკალოს მონასტერში უნახავს აშოთანის, არჩილისა და ვახტანგ VI-ის მოსახსენებლები მათი ლავლის აღნიშვნით და შეუტანია კიდევ „მიმოსლვაში“ ეს ცნობა.

„მიმოსლვაში“ ტიმოთე გაბაშვილს ათონის მონასტრებში ქართველთა მოღვაწეობის შესახებ ისეთი ცნობებიც შეაქვს, რომელთა ქეშმარიტებაში ბოლომდე დარწმუნებული არ არის. შეაქვს იმიტომ, რომ უკვალოდ არ დაიკარგოს არც ერთი ცნობა, თუნდაც საექვო, ათონის მთაზე ქართველების მოღვაწეობის ამსახველი.

„მიმოსლვის“ A რედაქციაში ათონის დიონისეს მონასტერთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „ხოლო ამისთვის ეწოდების (დიონისეს მონასტერი.—ე. მ.), დიონისიო დაყუდებულმან, ვინმე ღირსმან, იწყო შენებად მონასტრისა ამისა შეწევნითა და საფასითა ბერძენთა მეფისა ალექსი კომნინისათა, ზოგნი იტყვიან ქართველთ მეფეთაგანაო, და ამისთვის დიონისიო უწოდეს“².

„მიმოსლვის“ A რედაქციის მიხედვით ტიმოთეს ამ მონასტრის აშენების შესახებ ორი ცნობა ჰქონია ხელთ. ერთი ცნობით ალექსი კომნინის შეწევნითა და საფასით აუშენებია მონასტერი ვინმე დიონისეს. მეორე ცნობით დიონისეს ქართველი მეფის შეწევნით აუშენებია მონასტერი. ამ ორი ცნობიდან პირველი ტიმოთეს მოჰყავს როგორც უექვო; მეორე კი—როგორც გაგონილი ამბავი, რომელიც შემოწმებასა და დაზუსტებას მოითხოვდა.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი ცნობა გარკვეულ ისტორიულ პირს უკავშირდებოდა და ამდენად უფრო დამაჯერებელიც იყო, ტიმოთემ „მიმოსლვის“ C რედაქციიდან ის ამოიღო და და-

¹ მიმოსლვა, გვ. 38.

² რედაქც. და ვარიანტ., გვ. 111, № 40.

ტოვა მხოლოდ მეორე: „ეკითხვედი რა ვის მიერ აღშენებულ-
ბასა, გვეტყოდენ, ვითარმედ დიონისიო ვინმე, სულიერი მამა მე-
დრებელ იქმნა მეფეთა ქართველთა და მათ აღაშენეს. და სახელი,
თუ რომელი მეფე იყო, ვერ შევიტყევ“¹.

პლატონ იოსელიანი, რომელიც იცნობდა „მიმოსღვის“ მხო-
ლოდ C' რედაქციას, რომლითაც დიონისეს მონასტრის აშენება
ქართველ მეფეს მიეწერებოდა, „მოხილუის“ კომენტარიებში წერდა:
„დიდად მსუროდა წერილთაგან ამა მონასტრისა შემეტყო ვინაობა
ამა მეფისა. გარდაკითხვთ ძუსლთა ბერძნულთა სიგელთა ვჰსცან
მხოლოდ, რომ მონასტერი ესე დაფუძნდა ბერძენთა კეისრისაგან
ალექსი კომნინისა, რომელმანცა უბოძა მას გრამატა ოქრობეკდიანი
(ხრიზოვული) წელსა 1375. იმპერატორი ესე მოიხსენებ[ი]ს აქა:
„ნებითა ლუთისა მეფე და თვთმპყრობელი აღმოსავლეთისა,
ევერთა და პერატისა ალექსი დიდი კომნენი“. ესე ალექსი კომნენი
იყო, ნამდვლ იმპერატორად ტრაპეზუნტისა და ეპყრაცა დროთა
მათ ლიმანა, აქარა და სხუანიცა ირისესა გარემო ადგილები, ქარ-
თუსლთა საგანენი. ვჰგონებ, ამა მიზეზით უწოდებენ მონასტერსა
ამას აღშენებულად ქართუსლთა მეფისაგან“².

პლ. იოსელიანის მიხედვრა უთუოდ მართებულია. ათონის
ბერებს ალექსი კომნენი, მისი ოფიციალური ტიტულატურის გამო,
ქართველების მეფეთაც მიუჩნევიათ და ერთი და იმავე ხრიზოვულის
საფუძველზე დიონისეს აღმშენებლად ზოგს ალექსი კომნენი გა-
მოუცხადებია, ზოგს კი ქართველთა მეფე. ეს ორივე ცნობა ტი-
მოთემ ასახა „მიმოსღვის“ A რედაქციაში.

ათონის დიონისეს მონასტრის ზოგიერთი ბერისათვის, რომ-
ლებიც არც საკუთარი მონასტრის ისტორიაში და, მით უმეტეს,
არც ტრაპიზონის იმპერიის ისტორიაში იყვნენ დიდად გაცნობიე-
რებულნი, ყურმოკვრით გაგონილი ხრიზოვულის ცნობა საკმარისი
საბუთი იყო, რომ მონასტრის აშენება ვინმე ქართველ მეფისათვის
მიეწერათ და ასევე ეცნობებინათ ტიმოთესათვის. გაუგებრობაზე
აღმოცენებული ეს ცნობა, ჩანს, ფართოდ არ გავრცელებულა ათონ-
ზე, ვინაიდან ვ. გრიგოროვიჩ-ბარსკის იგი თავის მოგზაურობაში
არ შეუტანია.

ვ. გრიგოროვიჩ-ბარსკი მონასტრის აღმაშენებლად მხოლოდ
ალექსი კომნენს ასახელებს, ვინაიდან ის იცნობს და სარგებლობს

¹ მიმოსღვა, გვ. 39—40.

² მოხილუა, გვ. 79—80.

თავისი ცნობებისათვის პირველწყაროთი, ე. ი. იმ ოქრობეჭდით; რომელიც პლ. იოსელიანსაც უნახავს ათონზე მოგზაურობის დროს. ვ. გრიგოროვიჩ-ბარსკის არა მარტო უნახავს, არამედ გადმოუწერია კიდევ მისი ბერძნული ტექსტი, როგორც საინტერესო დოკუმენტი ათონის ისტორიისათვის. ოქრობეჭედი დაწერილია ალექსი კომნენის მიერ. იგი შეიცავს ვრცელ ცნობებს დიონისეს მონასტრის აშენების შესახებ. დოკუმენტიდან ვგებულობთ, რომ ვინმე დიონისე ბერი ათონიდან წასულა ტრაპიზონში თავის ძმასთან, ტრაპიზონის არქიეპისკოპოსთან. ტრაპიზონში დიონისეს უნახავს ალექსი IV კომნენი და მისგან გამოუთხოვია ნებართვა და თანხები მონასტრის აშენებისათვის ათონზე.

ხრიზოვულში ალექსი კომნენი მოხსენებულია ტრაპიზონის იმპერატორთა ჩვეულებრივი ტიტულატურით¹: „ἀρχιεὶς ἐν χριστῷ τῷ θεῷ πατρὶς βασιλεὺς καὶ ἀποστολικὸς ἀνάτολις, ἱεραρχὸς καὶ περσικῆς ἡ ἐκείνης κομηθῆς“². ეს ტიტული გადაიქცა მონასტრის აღმაშენებლის შესახებ იმ ორი ცნობის გავრცელების საბაბად, რომლებმაც თავისი ასახვა „მიმოსღვის“ A რედაქციაში პოვა.

ტიმოთე გაბაშვილმა მისთვის მოწოდებული ორი ცნობიდან უპირატესობა მისცა და გადაიტანა „მიმოსღვის“ C რედაქციაში მხოლოდ ერთი, რომელიც მონასტრის კტიტორად ქართველ მეფეს ასახელებდა, სინამდვილეში კი, როგორც დავინახეთ, ორივე ცნობა ერთი და იმავე დოკუმენტის (ალექსი კომნენის ბერძნული ოქრობეჭდის) ორ სხვადასხვა გადმოცემას ემყარებოდა, აქედან პირველი ზუსტად ასახავდა დოკუმენტს, ხოლო მეორე ამ დოკუმენტის არასწორი გაგების საფუძველზე შემუშავდა.

2

დიდ ადგილს უთმობს ტიმოთე „მიმოსღვაში“ ათონის ივერიის მონასტერს.

ივერიის მონასტრის აღწერისათვის ტიმოთეს პირველ რიგში ამ მონასტრის ქართული ხელნაწერები გამოუყენებია. ივერიის მონასტრის წიგნთსაცავის შესახებ ტიმოთე „მიმოსღვაში“ წერს: „რამეთუ წიგნის საცავსა მონასტრისასა არს ძველი ქართული წიგნი მრავალი: თარგმანი დაბადებისა; კვალად წიგნი საშეგებელი

¹ Ф. И. Успенский, Очерки из истории Трапезунтской империи, 1929, გვ. 2.

² Барский, гв. 377.

„სამოთხე“, ღრმად თქმული და შეენიერად სოფრონის მიერ იერუსალიმელისა; და კვლად სხვანნი მოძღვრისა ამბა იოანეს ბრძნისა თქმული, რომელიცა თორნიკ-ყოფილსა იოანე მონაზონსა ქართველსა და ძმასა მისსა ვარაზეაჩეს აღუწერინებიათ; სხვა წიგნი „უმილია“ და სხვანი მრავალი წიგნი იპოვებიან მუნ¹.

ეს ხელნაწერები ტიმოთეს საგანგებოდ შეუსწავლია და ზოგიერთ მათგანზე წარწერაც გაუკეთებია: „მე მდაბალმან და ცოდვილმან უღირსმან ეპისკოპოსობისა ტიმოთემან შევაკურევინე ესე წიგნი აღმომკითხულთა შენდობისა მოსარეწველად, რათა თქუენცა ღმერთმან შეგინდოს შეცოდებანი. წელი იყო 1756, თთუშ მაისი 13“—წერდა ტიმოთე სვიმეონ მესვეტის ცხოვრების შემცველი ხელნაწერის ფურცლებზე².

„ეს წიგნი „სამოთხე“ თორნიკეს შეწირული არის. მე ფრიად უღირსი მთავარეპისკოპოს-ყოფილი ტიმოთე მოვიწიე წმიდას ამას მონასტერსა. გვედრებით, ლოცვა ყავთ ჩემთვის. 1756. ეს წიგნი 749 წლისა არის“³—გვითხულობთ „სამოთხის“ ფურცლებზე.

ტიმოთეს მინაწერი გააჩნია 1074 წლის ცნობილ „ათონის კრებულსა“ (სურ. 1).

ივერიის მონასტრის ამ შესანიშნავ ხელნაწერებს ტიმოთე ეცნობა არა როგორც ბიბლიოფილი, არამედ როგორც ისტორიკოსი.

ცნობილია რომ, „სამოთხის“ ვრცელი ანდერძი შეიცავს მდიდარ მასალას ათონის მოღვაწეთა (იოანე ვარაზეაჩეს, თორნიკესა და მათი ნათესავების) შესახებ, ამასთანავე ცნობებს თორნიკეს ბრძოლის შესახებ ბარდა სკლიაროსთან. „ათონის კრებული“ კი შეიცავს იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებას⁴ და დიდი ისტორიული ღირებულების მქონე ივერიის მონასტრის აღაპებს.

¹ მიმოსლეა, გვ. 21—22.

² იხ. ხელნაწერი S—3061, გვ. 1v. ხელნაწერი შეიცავს პლ. იოსელიანის მიერ ათონის მთაზე მოგზაურობის დროს შედგენილ ივერიის მონასტრის რამდენიმე ქართული ხელნაწერის მოკლე აღწერილობას.

³ იქვე, 4r. იგივე მინაწერი გადმოუღლია ილ. ფანცულაიას (იხ. ქართული ხელნაწერების აღწერილობა, ტ. IV (A-კოლექცია), შედგენილი ქრ. შარაშიძის მიერ კ. კველიძის საერთო რედაქციით, გვ. 187).

⁴ იოანე და ეფთვიმეს ცხოვრებას, როგორც წყაროს, ტიმოთე „მიმოსლის“ A რედაქციაში ასახელებს: „აღმომკითხეთ ცხოვრებასა მამისა ეფთვიმესსა“ (რედაქც. და ვარიანტ., გვ. 105, № 19); „მიმოსლის“ C რედაქციაში წყაროზე პირდაპირი მითითება აღარ არის; „აღმომკითხედიტ რა მუნ წერილთა შინა ძველთა, ეწერა“ („მიმოსლეა“, გვ. 20).

ტიმოთეს გამოუყენებია ივერიის მონასტრის წიგნთსაცავში დაცული აღაპ-მოსახსენებლები. ამ წერილობითი პირველწყაროებით გაეცნო ტიმოთე ივერიის მონასტრის მოღვაწეთა, აღმაშენებელთა თუ შემწირველთა მრავალრიცხოვანსა და მრავალფეროვან წრეს: „ამა მონასტერსა შინა არს სამარადისოდ მოქსენება მწუხრად და ცისკრად, და თვით დღესასწაულსა მონასტრისასა მარია-მობად მიცვალებისა ერთობით შემომწირველთათვის მოქსენება: მეფეთათვის ბაგრატივანთა, დედოფალთა, ერისთავთა და თავადთა, დადიან-გურიელთა და მცირედთა კაცთათვისცა, ვისაც რამე შემოუწირავს. და არ დასცხრება მოქსენება მათი მარადღე“¹.

აღაპ-მოსახსენებლებისა და ზემოთ დასახელებული ხელნაწერების წყალობით ტიმოთემ ივერიის მონასტრის კულტურულ მოღვაწეთა ფართო წრე შემოხაზა. აქ ჩვენ ვხვდებით ივერიის მონასტრის ქართული კოლონიის სულის ჩამდგმელებს იოვანეს, ეფთვიმეს, თორნიკესა და გიორგი მთაწმიდელს და ქართველ მოღვაწეთა შემდგომ თაობებს, რომელთაც აგრეთვე გარკვეული წვლილი მიუძღვით ამ კოლონიის კულტურულ საქმიანობაში: „შემდგომად იოანესა და ძისა მისისა ეფთვიმისა და გიორგი მთაწმიდელთა ცხოვრებულან მუნ ღირსნი კაცნი: გიორგი ოლთისელი წინამძღვარი, იოანე ნინოწმიდელი, იოანე რეხევაძსძე, საბა თუხარელი, კლიმი ძეუდაბნოვე, ბასილი ულუმბელი და ღირსი მღვდელი იაკობ მხატვარი—ქართველნი“²—გვითხულობთ „მიმოსლვაში“.

წერილობითი წყაროების, ნახულისა და მოსმენილის საფუძველზე ტიმოთე შეეცადა არა მარტო გაეთვალისწინებინა ივერიის ქართული კოლექტივის კულტურული საქმიანობა, არამედ შეეთასებინა კიდევ იგი ეროვნული კულტურის განვითარების თვალსაზ-

მიუხედავად იმისა, რომ დ. ბაქრაძეს ხელთ ჰქონდა „მიმოსლვის“ მხოლოდ ნაბეჭდი გამოცემა, სადაც „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრება“ წყაროთა შორის დასახელებული არ არის, დ. ბაქრაძეს მაინც უუპეოდ მიაჩნდა, რომ ივერიის მონასტრის ისტორიის გადმოცემისას ტიმოთე სწორედ ამ ცხოვრებით სარგებლობდა. „Нет никакого сомнения в том, что митрополит Тимоте Габашвили заимствовал свои сведения о Святогорах Грузинских и об Иверском монастыре из „Жизни Иоанна и Евфимия“ нашего манускрипта. Это тем несомненнее, что на самом манускрипте имеется собственноручная приписка Тимоте, сделанная им в бытность его в Иверском монастыре в 1755 г.“ (იბ. Sd—2874. ბაქრაძის კრებული, 56v.) A რედაქციის ავტორაფმა ეს საკითხი საბოლოოდ გადაჭრა.

¹ მიმოსლვა, ვვ. 22.

² იქვე.

რისით: „განცვიფრებულ იყო გონება ჩემი ამისთვის, თუ ვითარ მე, ცოდვილიდა უმეტეს საქართველოთა კაცთასა ბრალეული, მომიწოდა აქა, ... და ღირს მიჩინა ღირსთა მამათა ჩვენთა ქართველთა ქირნახულსა და ტკივილთმოყვარებით და რუდუნებით ნაღვაწსა მონასტერსა აღრაცხვა ჩემი, რომლისაგან განათლდა საქართველო წიგნთა თარგმანებითა...“¹.

ვრცლად ჩერდება ტიმოთე ივერიის მონასტრის პორტიტის ხატის სასწაულებრივ ისტორიაზე, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ათონის მთის მრავალეროვნებიან კოლექტივში. შემთხვევითი არ არის ტიმოთეს განსაკუთრებული ყურადღება ამ საკითხისადმი. პორტიტის ხატის სასწაულებრივი დამკვიდრება ივერიის მონასტერში ღვთისმშობლის სახელთან იყო დაკავშირებული და ეხმაურებოდა ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით საქართველო ღვთისმშობლის წილხდომილი იყო, საქართველოს ღვთისმშობელი მფარველობდა. ამ თვალსაზრისმა განსაზღვრა ღვთისმშობლის სახელთან დაკავშირებულ სასწაულთა სიმრავლე „ქართლის ცხოვრებაშიც“.

„მიმოსლვაში“ ტიმოთეს ღვთისმშობლის სახელთან დაკავშირებული რამდენიმე სასწაული მოჰყავს: ეფთვიმე ათონელის სასწაულებრივი განკურნება, — ეპიზოდი „იოვანე და ეფთვიმეს ცხოვრებიდან“; პორტიტის ხატის სასწაულებრივი დამკვიდრება ივერიის მონასტერში და რამდენიმე სხვა. ბოლოს აეტორი აზოგადებს რა მის მიერ მოყვანილი ფაქტების მნიშვნელობას, წერს: „იხილეა, თუ რაოდენი ცხადი სასწაული ჩვენებულ არს საქართველოთა შეწევნისათვის და სიყვარულისა წმიდისა ღმთისმშობელისაგან მისდა წილხდომილთა ერთათვის?“² ამ აზრის ნათელსაყოფად ტიმოთე არ კმაყოფილდება მარტო მოტანილი ფაქტებით და დამატებით მოჰყავს ერთი ეპიზოდი „ქართლის ცხოვრებიდან“: „კვალად მომეკსენების წერილი ქართლის ცხოვრებასა შინა, იტყოდის“³ — წერს ტიმოთე და ვრცლად გადმოგვცემს „ჟამთა აღმწერლის“ ისტორიაში მოთხრობილ სასწაულებრივ ამბავს, სადაც ღვთისმშობელმა მისი წილხდომილი საქართველო ჩაღათარ ნოინის ჯარის შურისძიებისაგან იხსნა. ტიმოთეს თხრობა მისდევს „ჟამთა აღმწერლისას“, განსხვავება ერთშია — „ჟამთა აღმწერლის“ ჩაღათარ ნოინი ტიმოთესთან სპარსთა მეფით არის შეცვლილი. საფიქრებელია,

¹ მიმოსლვა, გვ. 19.

² იქვე, გვ. 20.

³ იქვე.

რომ ტიმოთე გაბაშვილმა მეხსიერებით აღადგინა ეს ეპიზოდი და აჰან გამოიწვია ფაქტიური შეცდომა „მიმოსლვაში“.

ამგვარად, თავისი ისტორიული თვალსაზრისის გასამაგრებლად და დასაცავად ტიმოთეს მიუშართავს „ქართლის ცხოვრებისათვის“.

„ქართლის ცხოვრება“ ტიმოთეს ლიტერატურული წყაროა¹.

3

ტიმოთე გაბაშვილი „მიმოსლვაში“ ვრცლად ჩერდება იმ თქმულებებსა და გადმოცემებზე, რომლებიც პირდაპირ თუ არა-პირდაპირ უკავშირდებოდნენ ქართველი ხალხის სულიერსა თუ ისტორიულ ყოფას. ასეთად ტიმოთეს მიაჩნდა თქმულებები წმინდა გიორგის შესახებ, რომლის კულტი ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში.

იერუსალიმში მიმავალი ტიმოთე ჩერდება ქალაქ ლიდიში, სადაც მას წმ. გიორგის საფლავი ეგულება. ამ ქალაქთან დაკავშირებით ტიმოთეს მოჰყავს ორი თქმულება: ერთია—ლიდიის ეკლესიის აშენებისა და ეკლესიის კედლებზე ღვთისმშობლის გამოსახვის ისტორია. მეორე—წმინდა გიორგის მოღვაწეობისა და წამების ამბავი.

პირველ თქმულებას, როგორც უკვე გამოიკვლია აკად. ნ. მარმა², საფუძვლად წერილობითი წყარო უდევს. ლიდიის ეკლესიის აშენების აპოკრიფული გადმოცემა ძველ ქართულ თარგმანებს ეკუთვნის. ქართულ ხელნაწერებში იგი შემდეგ სახელწოდებას ატარებს: „წიგნი, რომელი დაწერა იოსებ არიმათიელმან, მოწაფემან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესმან და თხრობაჲ აღმშენებისათჳს ეკლესიისა, რომელი იგი არს ლუდიას შინა, ქალაქსა წმიდისა ჩუენისა მარიამ ღმრთისმშობელისაჲ“³.

თქმულება იმ სახით, როგორც ის ქართულმა ხელნაწერებმა შემოგვინახეს, სხვა ერების აპოკრიფულ ლიტერატურაში არ შემორჩენილა. აკად. ნ. მარი წერს: „Памятник (იგულისხმება ქართული აპოკრიფი.—ე. მ.), очевидно, палестинского происхождения, но при характере содержания и слога нельзя установить в точности с какого именно языка он переведён на грузинский

¹ M. Brosset, *Addit et écl.*, გვ. 192 შვ. 2.

² Иосиф Аримафейский, Сказание о построении первой церкви в городе Лиде. Исследовал, издал и перевёл Н. Марр, Т. P. V. II, გვ. 36.

³ იქვე, გვ. 27.

язык; вопрос этот мог быть ещё решён при наличии подлинника, но памятник сохранился только на грузинском языке. На грузинский язык он мог быть переведён и с сирийского, греч. христианского арабского, и с греческого, так как в VIII—IX веках переводы на грузинский язык могли делаться и делались со всех названных языков, а грузинский текст должен быть отнесён к этой эпохе¹.

სატიქრებელია, რომ ლიდის ეკლესიის აშენების აპოკრიფს ტიმოთე ივერიის მონასტრის ხელნაწერთა ჩხრეკის დროს გაეცნო. ვინაიდან სწორედ აქ არის დაცული ამ აპოკრიფის შემცველი უძველესი (977 წლის) ხელნაწერი. აქ გადმოიღო ტიმოთემ აპოკრიფიდან მისთვის საჭირო მასალა, რომელიც შემდეგ გამოიყენა „მიმოსლვაში“.

აპოკრიფის გადმოცემის დროს ტიმოთე ზუსტად მისდევს ხელნაწერ დედანს. რიგ შემთხვევაში დედნიდან უცვლელად გადმოაქვს წინადადებები. ადგილ-ადგილ აპოკრიფის პირველი პირით თხრობასაც კი იცავს.

„მიმოსლვის“ თხრობა მხოლოდ ერთ შემთხვევაში განსხვავდება აპოკრიფისაგან. წერილობითი წყაროდან ეს გადახრა აკად. ნ. მარმა შენიშნა, მაგრამ ვერაფრით ვერ ახსნა: „В части об явлении Богоматери грузинский паломник передает вкратце содержание нашего памятника, делая существенное отступление лишь в заключительных строках, где речь идет об изображении Богоматери с подписью «Мать Господа»².

აპოკრიფის ტექსტიდან ამ გადახრას მეორე ლიტერატურული წყარო ხსნის. როგორც ირკვევა, ტიმოთეს აპოკრიფის გარდა ხელთ ჰქონია ცნობები „ხრონოლოგიაშიდან“. ამას ადასტურებს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ტიმოთეს ერთი ავტოგრაფული ფრაგმენტი, რომელიც „ხრონოლოგიაში“ რამდენიმე თავის კონსპექტს წარმოადგენს³.

¹ იქვე, გვ. 20.

² იქვე, გვ. 15—16.

³ ტიმოთეს ავტოგრაფის ეს ფრაგმენტი აკინძულია ამბროსი ნეკრესელის ცნობილ კრებულში (H—1283, 21r—29v). კრებულში თავმოყრილია მრავალფეროვანი მასალა; ხელნაწერის ერთი ნაწილი თვით ამბროსის გადაწერილია, ხოლო ნაწილი კი სხვათა ავტოგრაფებს წარმოადგენს, რომლებიც ამბროსის მასალასთან ერთად არის აკინძული. გარდა ამონაწერებისა „ხრონოლოგიაშიდან“, ამავე კრებულში აკინძულია ტიმოთეს მეორე ავტოგრაფული ფრაგმენტი—„სვინაქსარისგან სიტყვანი სულთა სარგებელნი“ (ამონაწერები სვინაქსარიდან) 9r—19r (იხ.

ამ კონსპექტის შედარებამ ხრონოგრაფის ქართულ ენაზე არსებულ სხვადასხვა თარგმანებთან დაგვარწმუნა, რომ ტიმოთეს უმუშავია და საგანგებოდ დაუკონსპექტებია არჩილ მეფისა და გ. სოლოლაშვილის თარგმნილი ხრონოგრაფი (ხელნაწ. A—657).

ამონაწერები ხრონოგრაფიდან ძირითადად შეიცავეს მასალას იმ საკითხებზე, რომლებსაც ტიმოთე „მიმოსლვაში“, ან თავის დოგმატიკურ-პოლემიკური ხასიათის ნაშრომებში ეხება. ტიმოთეს ამოუწერია ხრონოგრაფიდან ბიბლიური თქმულებები იერუსალიმზე, ელენე დედოფლის მიერ ჯვრის პოვნის ამბავი, ლეგენდა კონსტანტინე დიდის მიერ კონსტანტინეპოლის აშენების შესახებ; აქვეა ლიდის ეკლესიის აშენების მოკლე ისტორია: „უამსა პეტრესსა— ვკითხულობთ ხრონოგრაფის კონსპექტში, —ლუდიას განკურნა კაცი ენეა და მან აღაშენა ეკლესია სახელსა ზედან ყოვლად წმიდისასა. და შემდგომად ურიანი და ელენნი მიუღებდენ ქრისტიანეთა ეკლესიასა მას. სამშჯავროსა რა მივიდნენ სამნი ესე ნათესავნი, ბრძანა მსჯავრმან: დაჯშენით კარნი სამ დღე და ვისიცა სასწაული იხილოთ, მიეცით მას. და განაღეს რა, იხილეს კედელთა ზედან დედაკაცი სამწყრთეული, მეწამულითა მოსილი და ქვეშე ისტრითა; და ეწერა ზედეთ: მარია მ დედა ნაზორეველისა, მეუფისა ქრისტესი. და მისცეს ქრისტიანეთა ეკლესია, და ხატი იგი ყოფდა მრავალსა სასწაულსა“ (26 v).

როგორც ვხედავთ, ის „გადახრა“, რომელიც ნ. მარის დაკვირვებით „მიმოსლვის“ თხრობაში შეიმჩნევა, თავის წერილობით წყაროს „ხრონოლორაფში“ პოულობს.

ამგვარად, ლუდიის ეკლესიის აშენების ისტორიის გადმოცემისათვის ტიმოთეს ორი წერილობითი წყაროთი უსარგებლია: იოსებ არიმათიელის აპოკრიფული ტექსტით და „ხრონოლორაფით“.

საფიქრებელია, რომ ტიმოთემ შორეული მგზავრობისათვის თავისთვის საჭირო ლიტერატურა წინასწარ შეაგროვა, დაამუშავა, დააკონსპექტა და თან წაიღო, რათა ადვილად გარკვეულიყო ისტორიულ ადგილებსა და ფაქტებში. ერთ-ერთ ასეთ დამხმარე საცნობარო წიგნად უნდა მივიჩნიოთ ტიმოთეს მიერ საგანგებოდ შედგენილი „ხრონოლორაფის“ კონსპექტი, რომლის გამოყენების კვალი აშკარად ჩანს. როგორც „მიმოსლვაში“¹,

ქართული ხელნაწერების აღწერილობა (H კოლექცია), შედგენილი ქრ. შარაშიძის რედაქტორობით. ტ. III, № 1283. ფფ. 9—29).

¹ ერთგან „მიმოსლვაში“ ტიმოთე „ხრონოლორაფს“, როგორც ცნობათა წყაროს, პირდაპირაც ასახელებს (იხ. გვ. 95).

ასევე ტიმოთეს დოგმატიკურ-პოლემიკური ხასიათის თხზულებებშიც¹.

ამავე ეიზნით ტიმოთე გაბაშვილს მოგზაურობის დროს ან, შესაძლოა, საქართველოშივე მოუპოვებია იერუსალიმის წმიდა ადგილთა აღწერა ბერძნულ ენაზე. ამას მოწმობს ტიმოთეს პირადი ნივთების სია, რომელიც შედგა 1764 წელს, მისი გარდაცვალების შემდეგ. ამ სიაში სხვა წიგნებს შორის დასახელებულია ბერძნულ ენაზე დაწერილი იერუსალიმის წმინდა ადგილთა აღწერა გრავეურებითურთ (Описание иерусалимских мест на греческом языке с приложением кунштов)².

საფიქრებელია, რომ ტიმოთე სარგებლობდა ამ წიგნით წმინდა ადგილთა მოხილვისა და აღწერის დროს, ვინაიდან ამ ადგილების მოხილვა, ჩვეულებრივ, ერთი შემუშავებული მარშრუტის მიხედვით ხდებოდა. ასევე ერთი ტრადიციით ხდებოდა მათი აღწერაც.

4

პალესტინაში ქართველთა მოღვაწეობის მიმოხილვისათვის ტიმოთე, სხვა მასალასთან ერთად, იყენებს მის მიერ იერუსალიმის ქართულ ხელნაწერებში მოპოვებულ ჰაგიოგრაფიულ ტექსტებსაც. ტიმოთე საგანგებოდ ჩერდება იმ ქართველ მოღვაწეებზე, რომლებმაც იერუსალიმში მოწამებობრივი გვირგვინი დაიდგეს და წმინდანთა სახელი დაიმკვიდრეს. ესენი არიან: 1. სალომე იერუსალიმელი, რომელიც შეიპყრეს „უსჯულოთა“ და სჯულის დატევებას აიძულებდნენ და ბოლოს სიმტკიცისათვის აწამეს. 2. ჯვარის მამა ლუკა მუხაშვილი-აბაშიძე, რომელსაც აფთით მოჰკვეთეს თავი ქრისტიანული სჯულის დაცვისათვის. 3. ნიკოლოზ დვალი, ჯვარის მონასტრის მოღვაწე, რომელსაც ამირამ მოჰკვეთა თავი „წარმართთა სჯულის შეურაცხყოფისათვის“.

ამის გარდა ტიმოთეს მოკლედ აქვს გადმოცემული ჯვარის მონასტრის აღმაშენებლის პროხორე შავშელის ცხოვრება და მოღვაწეობა.

პალესტინაში ქართველთა მოღვაწეობასა და ქრისტიანული სჯულისათვის თავდადებას ავტორი განიხილავს, როგორც ქართველთა დიდ დამსახურებას არამარტო ქართული ეკლესიის წინაშე,

¹ „ხრონოლორაფის“ კონსპექტი ტიმოთეს მოგზაურობის დროს რომ თან ჰქონდა, ეს იმით დასტურდება, რომ „მიმოსვლის“ B რედაქციაში „ხრონოლორაფის“ მასალა გამოყენებულია. ეს რედაქცია კი იწერებოდა მოგზაურობის დროს.

² აქვე, გვ. 0125.

არამედ ზოგადქრისტიანული ეკლესიის წინაშეც. ტიმოთეს მიერ გამოყენებული ჰაგიოგრაფიული მასალა, მართლაც, მრავალმხრივ არის საინტერესო: „Наши памятники представляют разнообразный интерес для грузиноведения, с одной стороны, и палестиноведения, с другой стороны; они дают науке новые, весьма ценные сведения по истории сношений Грузии с Палестиной“¹—წერს ამ ტექსტების გამომცემელი დ. ყიფშიძე.

დიდხანს, სანამ ამ ქართველ მოღვაწეთა ცხოვრება-წამებების ტექსტები გამოქვეყნდებოდა, ტიმოთეს „მიმოსლვა“ იყო ერთადერთი წყარო, რომლითაც მეცნიერები საჭირო შემთხვევებში სარგებლობდნენ².

მაგრამ ტიმოთეს დამსახურება მარტო იმაში როდია, რომ მან მიაკვლია ორიგინალური ჰაგიოგრაფიის საინტერესო ნიმუშებს და ისინი ხელმისაწვდომი გახადა მეცნიერებისათვის. ტიმოთემ ამ ტექსტების შემცველ ხელნაწერებზეც მიუთითა: „ამათ მოწამეთასა სვინაქსარიცა უწერია და დღესასწაულიცა განუწესებიათ“—წერს ტიმოთე³. ცნობიდან აშკარაა, რომ ეს ძეგლები ტიმოთეს იერუსალიმის ქართულ სვინაქსარებში უნახავს. ტიმოთეს ამ ცნობის კეშმარტება საეცებით დაადასტურა შემდგომმა კვლევა-ძიებამ. თ. ჟორდანიამ სწორედ ერთ-ერთ იერუსალიმურ სვინაქსარში („გოლგოთას სვინაქსარში“, II—1661) ნახა პროხოვრეს სვინაქსარული ცხოვრება⁴. ხოლო ნ. მარმა 1902 წელს იერუსალიმში ყოფნისას აგრეთვე სვინაქსარებში მიაკვლია ლუკა მუხაშვილი-აბაშიძისა და ნიკოლოზ დვალის წამებებს⁵.

ჯერჯერობით მიუკვლეველი რჩება სალომე იერუსალიმელის ცხოვრება. იერუსალიმის ქართული ხელნაწერების შემდგომი შესწავლა, ალბათ, ამ ტექსტებსაც გამოაველენს სვინაქსარში.

¹ Д. А. Кипшидзе, Жизнь Прохора, муч. Луки в муч. Николая Двали: Известия Кавказского Историко-Археологического Института, 1917—1925, т. II, гл. 32.

² თეიმურაზ ბატონიშვილი, ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველომას. ს. პეტერბურგი, 1848, გვ. 279—280; M. Brosset, Addit. et écl., გვ. 197.

³ მიმოსლვა, გვ. 84.

⁴ თ. ჟორდანი, ქრონიკები, II, გვ. 523—524.

⁵ Д. А. Кипшидзе, დასახ. ნაშრ. გვ. 31.

სანდო წერილობით წყაროებად მიაჩნია ტიმოთეს ხელნაწერი წიგნები, დოკუმენტები, ეპიგრაფიკული ძეგლები და ეკლესია-მონასტრების კედლის მხატვრობა. ტიმოთეს გამოცდილი ისტორიკოსისა და არქეოლოგის თვალი აქვს. იგი ეძებს და პოულობს ამ რიგის მასალას როგორც ათონის მთაზე, ასევე იერუსალიმში.

წყაროების გამოყენებისას ტიმოთე, როგორც წესი, მიუთითებს წყაროს სადაურობაზე, სახელწოდებასა და ხასიათზე. მაგრამ რიგ შემთხვევაში იგი ღალატობს ამ წესს, წყაროზე არ მიუთითებს, ან თუ მიუთითებს იმდენად ზოგადად და ბუნდოვნად, რომ წყაროს დადგენა შეუძლებელი ხდება.

ზეპირი და წერილობითი წყაროების თვალსაზრისით განსაკუთრებით მდიდარია „მიმოსღვის“ ის ნაწილი, სადაც ტიმოთე იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიას გადმოსცემს. ამ თავს წინ უძღვის პალესტინის ზოგადქრისტიანულ სიწმინდეთა აღწერა პილიგრიმული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი წესითა და რიგით. „მიმოსღვის“ ეს ნაწილი შედგენილია საშუალო საუკუნეების ევროპისა და რუსულ ლიტერატურაში გავრცელებულ ამ ჟანრის თხზულებათა ტრაფარეტული სქემის მიხედვით. ამისთვის, როგორც აღვნიშნეთ, ტიმოთეს ნიმუშიც გააჩნდა—ბერძნულ ენაზე დაწერილი „იერუსალიმის წმინდა ადგილთა აღწერა გრავიურებითურთ“.

ზოგადქრისტიანულ სიწმინდეთა აღწერის დროს ტიმოთე გზადაგზა ქართველთა დამსახურებასაც ეხება. ხოლო მომდევნო ნაწილში ის საგანგებოდ ჩერდება ამ საკითხზე. ეს ნაწილი ავტოგრაფებში გამოყოფილი არ არის, მაგრამ თავისი ხასიათით ის გამოიყოფა, როგორც იერუსალიმში ქართველთა მოღვაწეობის ისტორია. ეს ისტორია იწყება შემდეგი სიტყვებით: „უკეთუ გენბოს ცნობად, თუ ქართველნი ვითარ იპყრობდენ იერუსალიმს, ესრეთ ვპოვენით მუნ წერილთა შინა“¹.

ავტორი თავიდანვე გვამცნობს, რომ „მიმოსღვის“ ეს ნაწილი იერუსალიმში მოპოვებულ წერილობით მასალებს ეყრდნობა.

იერუსალიმში ქართველთა მოღვაწეობის განხილვას ტიმოთე იწყებს მირიან მეფის მიერ ჯვრის მონასტრის ადგილის მოპოვების ამბით. ტიმოთეს ცნობით ჯვრის მონასტრის ადგილი მოიპოვა ნინოს მიერ იერუსალიმში წარგზავნილმა მირიან მეფემ.

¹ მიმოსღვა, გვ. 77.

ჯვრის მონასტრის ადგილის მოპოვება შემთხვევით არ უნდა იყოს დაკავშირებული მირიანის სახელთან. როგორც ცნობილია, ჯვრის მონასტრის აშენება ქრისტიანულ აღმოსავლეთში გავრცელებულ აპოკრიფს უკავშირდება, რომლის მიხედვითაც ბიბლიურმა ლოთმა იმ ადგილას სასწაულად დარგო სამი ხე, რათა „უკეთუ მიეტეოს ცოდვა“, სამივე ხე ერთ დიდ ხედ გაიზარდოს. სასწაული განცხადდა და გაიზარდა ერთი დიდი ხე. ეს ხე სოლომონ ბრძენმა ტაძრის აშენების მიზნით მოჰკვეთა, მაგრამ აღარ გამოიყენა. შემდეგ უქმად გდებული ხისაგან გაკეთდა ჯვარი, რომელზედაც მაცხოვარი აცვეს. ხის მოკვეთის ადგილას აშენდა წმინდა ჯვრის ქართველთა მონასტერი.

ამავე აპოკრიფის ერთ-ერთი ვარიანტის აშკარა გამოცხილი იპოვა პროფ. კ. კეკელიძემ „მოქცევაჲ ქართლისაჲში“.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, როდესაც მცხეთაში სვეტიცხოვლის ეკლესიის შენებას შეუდგნენ, მირიანის „სამოთხეში“ ნაძვი „ლიბანით მოსრული“ მოკვეთეს. მისგან დაამზადეს სვეტი და გამოიყენეს ეკლესიის ბურჯად, ხოლო „ძირთა მისთა ზედა დავეს საფუძველი ეკლესიისაჲ“.

პროფ. კ. კეკელიძე ფიქრობს, რომ „ლიბანით ნაძვი“, ის ნაძვია, რომლისაგანაც ზემოთ მოყვანილი აპოკრიფის მიხედვით ჯვარი გამოქრეს მაცხოვრის ჯვარცმისათვის. რა თქმა უნდა, შეუძლებელია აქ იგივე ნაძვი იგულისხმებოდეს, მაგრამ მისი ლიბანური წარმოშობა პირდაპირ თუ არაპირდაპირ მას ამ აპოკრიფს უკავშირებს¹.

როგორც ვხედავთ, სვეტიცხოვლისა და ჯვრის მონასტრის აშენების ისტორიები ერთსა და იმავე წარმოშობის ნაძვსა და მსგავს გადმოცემას უკავშირდება.

საფიქრებელია, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ჩამოყალიბებულმა სვეტიცხოვლის აშენების ისტორიამ, რომელიც უშუალოდ მირიანის მოღვაწეობასთან იყო დაკავშირებული, ხელი შეუწყო ჯვრის მონასტრის ირგვლივ გადმოცემის ჩამოყალიბებას და ამ გადმოცემის აგრეთვე მირიანის სახელთან დაკავშირებას.

ქართველთა განმანათლებელ ნინოსთან, ქრისტიან მეფე მირიანთან და ბიბლიური ლოთის აპოკრიფთან არის დაკავ-

¹ კ. კეკელიძე, მოქცევაჲ ქართლისაჲს შედგენილობა, წყაროები და ეროვნული ტენდენციები: ლიტერატურული ძიებანი, ტ. I, გვ. 25—26. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ლიბანის ნაძვთან დაკავშირებით პროფ. კეკელიძე ვარაუდობს, რომ ამ ნაძვის ისტორია უფრო ვრცლად უნდა ყოფილიყო „მოქცევაჲში“, ხოლო ჩვენამდე მას არ მოუღწევია, „ამოვარდნილა და დაკარგულა“, იქვე, გვ. 19.

შირებული როგორც პირველი ქრისტიანული ტაძრის აგება მცხეთაში, ასევე პირველი ქართული მონასტრისათვის ადგილის მოპოვება იერუსალიმში.

ქართულ წერილობით წყაროებში მირიან მეფის მიერ ჯვრის მონასტრის ადგილის შოვნის შესახებ არაფერი გვხვდება. არაფერია ამის შესახებ ჯვრის მონასტრის აღმაშენებლის სვინაქსარულ ცხოვრებაში, სადაც ყველაზე მეტად იყო ეს მოსალოდნელი.

მეორე მხრით, ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობაში კტიტორებს შორის პირველ ადგილას მეფე მირიანია გამოსახული.

გადმოცემა მირიანის მიერ ჯვრის მონასტრის ადგილის შოვნის შესახებ, საფიქრებელია, შემუშავდა მონასტრის აშენების პროცესში და დაუკავშირდა იერუსალიმსა და საქართველოში გავრცელებულ აპოკრიფულ თქმულებებს ჯვრის შესახებ.

ჯვრის მონასტრის აშენების ირგვლივ შექმნილი ლეგენდა იერუსალიმის ქართველ მოღვაწეთა წრეში ცნობილი გახდა და გავრცელდა მონასტრის აშენების დროიდანვე¹. ამ დროიდანვე ვხვდებით ლეგენდის გამოძახილს წერილობით წყაროებში. იერუსალიმის ერთ-ერთი ხელნაწერის ანდერძში, რომელიც მონასტრის აღმაშენებელს პროხორე შავშელს ეკუთვნის, ვკითხულობთ: „მე გლახაკი და ფრიად ცოდვილი გიორგი-პროხორე, სახელად ოდენ მღდელი... შემძლებელ ვიქმენ უძღურებითა და სიგლახაკითა ჩემითა აღშენებად წმიდასა ამას ცხოველსმყოფელისა ჯუარისა ადგილსა...“².

ეს არის ამ ლეგენდის ყველაზე ადრეული დამოწმება ქართულ წერილობით წყაროებში.

ჯვრის მონასტრის ადგილთან დაკავშირებით ზემოთ მოტანილი აპოკრიფის დამოწმება ევროპელ მოგზაურებთან XIV საუკუნიდან გვხვდება³.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ უნდა იყოს სიმართლისაგან შორს თ. ჟორდანიას ვარაუდი, რომ ლეგენდა ჯვრის აშენების შესახებ აისახა ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ წარწერაშიც, რომელიც ნაწილობრივ ამოუკითხავს პროფ. ალ. ცაგარელს: „ქ. მირიან... კონსტანტინე... მეფემ ეს ჯვარი... მოვიდეს... და დაიჭირა იერუსალიმი და ააშენა ესე ჯვარი“⁴. როგორ თვითნებურადაც არ უნდა

¹ А. л. Цагарели, Памятники, გვ. 90—91.

² Б. М а р и, იერუსალიმის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა, თბილისი, 1955, გვ. 86.

³ გ რ. ფ ე რ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 189.

⁴ А. Цагарели, Памятники, დამატ. III, № X. დაზიანებულ ტექსტს თ. ჟორდანია შემდგენიარად კითხულობს: „მირიან მეფეს წმიდამან კონსტანტინე

აღვადგინოთ ეს დაზიანებული ტექსტი, აქ მაინც რჩება ჯვრის მონასტერთან დაკავშირებული მირიანისა და კონსტანტინეს (საფიქრებელია დიდის) სახელები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გადმოცემა ჯვრის მონასტრის ადგილის მოპოვების შესახებ ნისი აშენების დროიდან გავრცელებოდა. მაშინ ვახდა საჭირო ამ „წმიდათა წმიდა“ ადგილის მოპოვების ისტორიის გათვალისწინება და ამ ადგილზე ქართველთა უფლებების გავრცელება რაც შეიძლება ადრე ხანიდან. ამ მიზნით დაუკავშირეს ქართველმა მოღვაწეებმა ჯვრის მონასტერი უძველეს ქრისტიანულ აპოკრიფს, პირველ ქართველ ქრისტიან მეფეს მირიანს და ქართველთა განმანათლებელს ნინოს.

ტიმოთე გაბაშვილს ჯვრის მონასტრის ადგილის მოპოვებისა და აშენების ირგვლივ არსებული თქმულებები შეეძლო გაეგო ზეპირი გადმოცემებით და წერილობითი წყაროების საშუალებით: ხელნაწერთა მინაწერებით, ჯვრის წარწერით, კედლის მხატვრობით და, ალბათ, სხვა წერილობითი ძეგლებითაც, რომლებსაც ჩვენამდე არ მოუღწევია, ან ჩვენთვის დღესდღეობით ცნობილი არ არის.

6

იერუსალიმსა და საქართველოში მოპოვებული ზეპირი და წერილობითი წყაროებით სარგებლობდა ტიმოთე ვახტანგ გორგასალის მოღვაწეობის აღწერისათვის.

„მიმოსლვის“ B რედაქციის ტექსტში ვახტანგ გორგასალის მოღვაწეობის შესახებ შემდეგი სწერია: „მირიან ხოსროიანისა შემდგომად მოსრულ არს დიდი სახელოვანი მეფე საქართველოსა ვახტანგ გურგასლან ხოსროიანი. რამეთუ სპარსთა მეფეთაგან მას მიუღია იერუსალიმი და სრულიად პალესტინე, და მრავალი მონასტერი აღუშენებიათ და მრავალ ჟამს ქერიათ. რამეთუ მკველნი საქართველოს კაცნი, რომელიცა მუნ დაუდგენიათ მაშინ, ენა ქართული დავიწყებიესთ და აწ არაბნი იერუსალემელნი ქართველნი არიან“¹. ამასვე იმეორებდა თავდაპირველად C რედაქციის ძირითადი ტექსტი².

დიდმა, იმპერატორმა, უბოძა ეს ჯვარი, შემდეგ მოვიდეს სპარსნი და დაიპყრეს იერუსალიმი. მაშინ მეფე ქართველთა მხედრობით წარმოემართა და დაიპირა იერუსალიმი და აღაშენა ესე ჯვარის მონასტერი“. ქრონიკები, II, გვ. 360.

¹ რედაქტ. და ვარიანტ., გვ. 121, № 73.

² მიმოსლვა, გვ. 78.

ცნობათა წყაროს „მიმოსღვის“ B რედაქცია არ ასახელებს. საფიქრებელია, რომ ამ რედაქციის ცნობები ასახავენ იერუსალიმში გავრცელებულ ტრადიციას, რომლის შექმნასაც, შესაძლოა, „ქართლის ცხოვრებამაც“ შეუწყო ხელი¹.

მითითება წყაროზე და ზოგიერთი დამატებითი ცნობა ვახტანგ გორგასალის იერუსალიმში ლაშქრობისა და მოღვაწეობის შესახებ პირველად ჩნდება „მიმოსღვის“ C რედაქციაში მინაწერის სახით. მინაწერში ვკითხულობთ: „რამეთუ მდებარე არს წერილთა შინა მუნ, ვითარმედ სულთანი მისირ-ეგვიპტისა ევედრა მეფესა ქართველთასა ვახტანგს გურგასლანს, რათა წარმოვიდეს ლაშქრითა და იერუსალიმს ფრანგნი რომელნიცა იპყრობდენ, განდევნოს და თვით დაიპყრას. ამისთვის მოვიდა სპითა დიდითა და განიოტნა ფრანგნი და თვით დაიპყრა იერუსალიმი და აღაშენა მონასტერნი მრავალნი“². ძირითადი ტექსტი და მინაწერი არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. პირველ შემთხვევაში ვახტანგს იერუსალიმი სპარსთაგან მიუღია, ხოლო მეორე შემთხვევაში მისირ-ეგვიპტელთა სულთანისაგან. ამ შეუსაბამობის მოსასპობად ტიმოთეს ძირითადი ტექსტის „სპარსთაგან“ შეუცვლია „მეგვიპტელთაგან“-ით და ამ გზით შეუთანხმებია მინაწერი და ძირითადი ტექსტი.

მინაწერში მოთხრობილი ეპიზოდი, როგორც სამართლიანად აღნიშნავს აკად. მ. ბროსე, მომდინარეობს „ქართლის ცხოვრებიდან“³ და აგრეთვე ვახუშტის „საქართველოს ცხოვრებიდანაც“.

¹ „ქართლის ცხოვრებაში“ ვახტანგ გორგასალის იერუსალიმში გამგზავრებას წინ უსწრებს ვახტანგის შუამავლობით ზვასრო სპარსთა მეფისა და საბერძნეთის კეისარს შორის ზავის დადების ისტორია. ამ ზავის საფუძველზე ზვასრომ კეისარს „სიცილიისა უკუ(კ)მისათვის მისცა ფილისტიმი საზღურითა იერუსალიმი-სათა, და თქუა: „ჰალაქი სჯულისა თქუენისა არს იელუსალიმი“. ვახტანგს კი ზვასრომ მისცა „ნიკი მრავალი“ (ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, გვ. 124). ამის შემდეგ გაემგზავრა ვახტანგი დედითა და დით იერუსალიმს, შესაძლოა ვახტანგისათვის იერუსალიმის დამტკიცების ამბავი „ქართლის ცხოვრების“ არასწორი გაგებიდან მომდინარეობდეს. თითქოს ხოსრომ ვახტანგ გორგასალს დაუმტკიცა იერუსალიმი და არა ბერძენთა კეისარს. ყოველ შემთხვევაში ეს ეპიზოდი ასე გაუგია თეიმურაზ ბატონიშვილსაც (იხ. ისტორია დაწყებით-გან ივერიის, გვ. 277—278).

„მიმოსღვისა“ და „ქართლის ცხოვრების“ ცნობათა უცნაურ ნარევს წარმოადგენს იოანე ბატონიშვილის თხრობაც ვახტანგ გორგასალის იერუსალიმში ლაშქრობის შესახებ (იხ. „კალმასობა“, ხელნაწერი H—2134, 562r—563r).

² მიმოსღვა, გვ. 78.

³ „Quand à ce qui est dit du prétendu sultan d' Egipte, depuis les mots „En effet, il est écrit“, jusqu'à la fin du paragraphe, c' est la parodie,

იერუსალიმში გაგონილი თუ მოპოვებული ცნობებით¹ ვახტანგ გორგასალს სპარსეთმა იერუსალიმი დაუშეკიდრა, მაგრამ რისთვის, რა დამსახურებისათვის, ცნობიდან არ ჩანს. ამ ხარვეზის შევსება განუზრახავს ტიმოთეს და საქართველოში დაბრუნების შემდეგ დაუწყია დამატებითი მასალის ძიება. ვახტანგ გორგასალის ლაშქრობაზე მან ისტორიულ წყაროებში ვერაფერი ნახა. ამავ დროს „ქართლის ცხოვრებასა“ და „საქართველოს ცხოვრებაში“ მიაგნო გიორგი IX-ის, ლევან მეფისა და ყვარყვარეს იერუსალიმში ლაშქრობის აღწერას და ამ ეპიზოდის კვალობაზე წარმოადგინა ვახტანგ გორგასალის ლაშქრობაც (C ხელნაწერის მინაწერში) და აღარ გაუწია ანგარიში იმ ქრონოლოგიურ შეუსაბამობას, რომელსაც იწვევდა ვახტანგ გორგასალის დაკავშირება ეგვიპტის სულთანთან.

მაგრამ ტიმოთესათვის არც C ხელნაწერის მინაწერი აღმოჩნდა საბოლოო. იგი კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს და უკვე კრიტიკულად შეხედა C ხელნაწერის ცნობას. ამ საკითხზე შემდგომი მუშაობა „მიმოსღვის“ D ხელნაწერში აისახა.

C ხელნაწერის მინაწერი ვახტანგ გორგასალის შესახებ D ხელნაწერის გადამწერმა ძირითად ტექსტში შეიტანა. ტიმოთემ კი ტექსტის გაჩაღების დროს ამ ცნობას გასწვრივ მიაწერა: „ვახტანგ სპარსთაგან მიიღო იერუსალიმი. მისირისა-ნაცილია“². ამ მინაწერით ტიმოთემ მოსპო ის ქრონოლოგიური შეუსაბამობა, რომელიც გააჩნდა C ხელნაწერის მინაწერს და ვახტანგ გორგასალის იერუსალიმში გამგზავრება კვლავ სპარსთა მეფეს დაუკავშირა, ისე როგორც ეს თავდაპირველად „მიმოსღვის“ B რედაქ-

presque burlesque d' un fait analogue, très extraordinaire, raconté dans l' Histoire du Karthli, vers l' année 1520* (Addit et écl., გვ. 198, სქ. 1).

აღ. ცაგარელსაც „ქართლის ცხოვრება“ მიაჩნდა ტიმოთეს ცნობების წყაროდ. მისი ვარაუდით ტიმოთემ ვახტანგ გორგასალს მიაწერა ვახტანგ III-ის (1302—1307 წწ.) საქმიანობა. იხ. Памятники, გვ. 140—141.

¹ ვახტანგ გორგასალისა და სხვა ქართველ მეფეთა მოღვაწეობის შესახებ იერუსალიმში სხვადასხვა ლირსების ცნობები ყოფილა დაცული იერუსალიმის ბერძნულ და ქართულ წყაროებშიც: იხ. 1. Послания Иерусалимского патриарха Досифея в Грузию. გვ. 3; 2. ბერძნული პატრიარქატის ოფიციალური დოკუმენტი დათარიღებული 1200—1308 წლებით (იხ. ბერძნული ჟურნ. „ახალი სიონი“, ტ. IX, გვ. 132—134. ცნობა ამოღებულია გრ. ფერაძის დასახ. შრომიდან, 3. გერასიმე ნადარეიშვილი, ათონის მონასტერი (ბერძნული წყაროების ცნობები), „სახალხო გაზეთი“, 1913, მარტი, № 850.

² რედაქტ. და ვარიანტ., გვ. 121, № 72.

ციაში იყო მოთხრობილი; ისე, როგორც ეს „ქართლის ცხოვრებაშია“ წარმოდგენილი.

ამგვარად, C ხელნაწერის მინაწერის ცნობა და მითითება ამ ცნობის წყაროზე არ არის ზუსტი. ახალი ცნობა ვახტანგ გორგასალის იერუსალიმში ლაშქრობის შესახებ ტიმოთემ შეიტანა საქართველოში დაბრუნების შემდეგ „ქართლის ცხოვრებისა“ და „საქართველოს ცხოვრების“ საფუძველზე, და მეტი დამაჯერებლობისათვის ის იერუსალიმში ნახულ წერილობით წყაროებიდან მომდინარედ გამოაცხადა. ეს ცნობა, როგორც არასწორი, ტიმოთემ მოხსნა „მიმოსღვის“ D რედაქციაში.

იერუსალიმში ვახტანგ გორგასალის მოღვაწეობის აღწერის შემდეგ ტიმოთე ჩერდება იაკობ აღფესის მონასტერზე და მის აღმაშენებელზე: „იაკობ აღფეს მოციქულის საწამებელი და საფლავი მონასტერი აღუშენებია გიორგი მეფეს საქართველოსას, აწ რომელიცა სომეხთ უქირავსთ“¹. ამას ტიმოთე ურთავს ცნობას, რომელიც მას ზეპირად მოუსმენია: „იტყოდენ, ვითარმედ ზარათხანა მეფეთა საქართველოსათა იმ დიდს მონასტერში ყოფილა“. ამ მეორე ცნობისათვის ტიმოთეს ზეპირი განცხადების მეტი არაფერი გააჩნდა, ამიტომ დაბეჯითებით მას არც იცავდა და ცნობის სისწორეზე პასუხისმგებლობას მთქმელს აკისრებდა.

იაკობ აღფესის მონასტერში ქართველების მოღვაწეობის კვალი დღესდღეობით სრულიად წაშლილია, ვინაიდან ის უკვე XIII საუკუნიდან ქართველებს აღარ ეკუთვნოდა. ტიმოთე კი ისე კატეგორიულად ასახელებს მონასტრის აღმაშენებელს, რომ, ჩანს, მის დროს ჯერ კიდევ არსებობდა ამის დამადასტურებელი მასალა. იაკობ აღფესის მონასტერი რომ ნამდვილად ქართველთა აშენებული იყო, ამას სხვა მასალასთან ერთად² ისიც მოწმობს, რომ XVI საუკუნის დამდეგს იერუსალიმში ჩასული ბენეა ჩოლოყაშვილი თავგამოდებით იბრძოდა იაკობის მონასტრიდან სომეხთა გაძევებისა და ქართველთა უფლებების აღდგენისათვის³.

7

იერუსალიმში ქართველთა მოღვაწეობის ისტორია ტიმოთეს წარმოუდგენია, როგორც ქართულ სამფლობელოთა დაცვისათვის.

¹ მიმოსღვა, გვ. 78.

² M. Brosset Addit. et écl., გვ. 198, სვ. 2; А. Шагарели, Памятники, გვ. 118.

³ აქვე გვ. 0185.

შეუწყვეტელი ბრძოლის პროცესი. ყოველ ახალ გალაშქრებას, თუ ქართველთა დიდ საღმშენებლო მუშაობას იერუსალიმში, ტიმოთეს აზრით, წინ უსწრებდა უსჯულოთაგან იერუსალიმის აღება, ან მონასტრებსა თუ წმინდა ადგილებზე ქართველთა უფლებების შეკვეცა.

„კვალად მოუოჯრებიათ სპარსთა და თურქთა იერუსალიმი და ქრისტეს საფლავი. ხოლო კეთილმსახურს მეფესა ქართველთა და კახთასა ლეონს, ბატონის თეიმურაზის პაპის მამას, მრავალი საფასე წარუგია და თურქთაგან აულია ადგილი ქრისტეს ვნებათა, და წარმოუგზავნია ჯვარის მამა იოაკიმ საფასითა და მას აღუშენებია ახლად ქრისტეს საფლავი მარმარილოთა და გოლგოთა“¹, — წერს ტიმოთე და აქვე მიუთითებს მოტანილი ცნობის წყაროზე: „ესე სწერია გოლგოთას პატრიარქის ტახტის ფერჯის ქვის მარმარილოსა ზედა ქართულად“². ტიმოთე არ კმაყოფილდება ამ ცნობის მოკლე შინაარსის გადმოცემით. მას ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი მთლიანადაც გადმოუღია და მიუწერია ლეონის სურათისათვის, რომელიც ჩაურთავს „მიმოსლვის“ C რედაქციაში.

ლეონის სურათის მეორე ნხარეს ვკითხულობთ: „საქართველოსა ზედა მეფე ცხებული ქართლისა და კახეთისა, ღირსად მოქსენებული მეფე ლეონ, ახლად განმზახლებელი და აღმაშენებელი საფლავისა ქრისტესისა და გოლგოთისა და მალღისა კათოლიკე ეკლესიისა იერუსალიმისა აოჯრებულისა. თათართაგან მომყიდველი საფასითა თვისითა, რაჟამს წარმოგზავნა იოაკიმ ჯვარის მამა ქართველი და დაიქნა საქსენებელად საუკუნოდ მისდა და მომავალთა ნათესავთა“³. ამ ცნობას ტიმოთე თავის მხრივ ურთავს: „რამეთუ არს წარსრული წელი ჟამსა მას აქეთ სკზ. და კვალად აღმაშენებელი მთაწმიდას ფილოთეონის მონასტრისა, მამა მეფის ალექსანდრესი, პაპისა მეფის თეიმურაზისა. ეს თეიმურაზ იყო პაპა მეფის ერეკლესი, ცხებულის მეფის თეიმურაზის მამისა“.

ტიმოთეს არა მარტო გადმოუწერია ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი, არამედ გაურკვევია კიდევ ლეონის მოღვაწეობის დრო, ლეონის პიროვნება და მისი გენეალოგია. ქრისტიანული ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის მართლმადიდებლურ ეკლესიას ლეონი წმინდანად ჩაურციხავს და მისი მოსახსენებელი ბერძნულ სვინაქსარში შეუტანია. ტიმოთეს ამ დოკუმენტისათვისაც მიუკვლევია.

¹ მიმოსლვა, გვ. 78—79.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 78 სქ. **

რედაქციაში, ლეონთან დაკავშირებით ტიმოთე წერს: „რამეთუ ბერძენთა სვინაქსარსა შინა ენკენისასა იგ სეკდენბერსა აღუწერიათ ქსენება ღირსისა მეფისა ლეონისაო, დაქსნისათვის ქრისტეს საფლავისა“¹. ამ ცნობამ მ. ბროსეს ყურადღებაც მიიპყრო².

დღესდღეობით ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვა“ ერთადერთი წერილობითი ძეგლია, სადაც დაცულია გოლგოთას საპატრიარქო ტახტის ეს მნიშვნელოვანი ქართული წარწერა. 1808 წლის ხანძარმა სხვა ძეგლებთან ერთად მოსპო გოლგოთას ეს წარწერაც. ტიმოთეს შემდეგ ამ წარწერის შესახებ ცნობას გვაწვდის იმერელი ბერი ლავრენტი ოკრიბელი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იერუსალიმში ჩასულმა ლავრენტი ოკრიბელმა განიზრახა გასცნობოდა ქართულ სიძველეებს და „ამბის შეტყობისათვის“ აენუსხა ის მნიშვნელოვანი ხელნაწერები თუ ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებსაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა იერუსალიმში ქართველთა მოღვაწეობის გათვალისწინებისათვის და იერუსალიმში ქართველთა უფლება-მოვალეობის წარსული სურათის აღსადგენად. ამ მხრივ ლავრენტი ოკრიბელი მცირე მასშტაბით, მაგრამ იმავე მიზანსა და საქმეს ემსახურებოდა, რასაც მასზე ნახევარი საუკუნით ადრე ასეთი გულმოდგინეობით ეწეოდა ტიმოთე გაბაშვილი. „ამბის შეტყობისათვის დაეწერე. მე უღირსი ცოდვილი იმერელი ბერი ლავრენტი მღვდელ-მონაზონი მოვედი აქა წმიდა ჯვარსა იერუსალიმს წყალობითა ღუთისათა და წინამძღრობითა ჯვრის მამა ათანასისათა და დავდექი ამ ჯვრის მონასტერში... აქ იერუსალიმს იხილეთ წმიდა გოლგოთას შუაზე ეპისკოპოსის საჯდომი სკამი და ქვა, თავქვეით არის წასაკითხავი და აქ სცნობთ ჰამბავს...“³. — წერს ლავრენტი ოკრიბელი თავის „უწყების“ დასაწყისში.

გოლგოთას წარწერა ადგილზე ველარ უნახავთ ლავრენტი ოკრიბელის შემდეგ ჩასულ ქართველ მოგზაურებსა და მეცნიერებს: გიორგი ავალიშვილს, ნიკოლოზ ჩუბინაშვილს, ალ. ცაგარელს და სხვებს. წარწერის ტექსტი, როგორც მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტი, „მიმოსლვიდან“ გადმობეჭდა ალ. ცაგარელმა თავის

¹ მიმოსლვა, გვ. 79, სქ. *.

² აკად. მ. ბროსეს ენკენისასა წაუკითხავს როგორც ვეგენიოსი. ამიტომ ტიმოთეს ეს ცნობა შემდეგნაირად უთარგმნია: „Dans le Synaxaire d' Ewgeonia, le 13 septembre, les Grecs ont inscrit la mention du digne roi Léon, pour avoir racheté le tombeau du Seigneur“ (Addit. et écl., გვ. 198).

³ ე. მეტრეველი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი: საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XV—B, გვ. 40.

ნაშრომში „Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае“¹.

ცნობებს იერუსალიმში ლეონის მოღვაწეობის შესახებ „მომოსლვაში“ მოსდევს გოლგოთასა და ქრისტეს საფლავის მორიგი აოხრების ვრცელი ისტორია.

ამჯერად წმიდა ადგილების აწიოკების საბაბი იერუსალიმის პატრიარქი ყოფილა. არაბ ქრისტიანებს დაუპყრიათ იერუსალიმი. პატრიარქიც არაბი ყოფილა, მაგრამ „ქრისტეს საფლავი და გოლგოთა და გარეთ მონასტრები კვლად ქართველთავე ჰქონებია“. იერუსალიმში ერთ-ერთი საომარი ექსპედიციის დროს, სულთანს ქრისტიანი ტყვე ჩავარდნია ხელში. ეს ტყვე მას იერუსალიმის პატრიარქისათვის მიუბარებია, თვითონ კი წასულა სალაშქროდ. პატრიარქს ტყვე გაუნთავისუფლებია და გაუგზავნია მამასთან. შემთხვევით ეს ტყვე კვლავ სულთანთან მოხვედრილა. იერუსალიმში დაბრუნებულ სულთანს მოუთხოვია პატრიარქისათვის თავისი ჩანაბარები. პატრიარქმა ტყვე გარდაცვლილად გამოაცხადა. სულთანმა გამოამელაგნა პატრიარქის სიცრუე. განრისხდა და „პატრიარქსა და ერთობით ქრისტიანეთა თავი წარკვეთეს და ოვერ იქმნა წმიდა ეკლესია და საფლავი და გოლგოთა. ცხენთა და პირუტყვთა ახურად იყო, ვიდრე სამეოცდა ათთა წელთა“²—წერს ტიმოთე. ამგვარად, კვლავ დაკარგეს ქართველებმა „ქრისტეს საფლავი“, გოლგოთა და გარე მონასტრები“.

ეს ვრცელი ისტორია საფუძვლიანად დამუშავებული ეპიზოდებითა და დიალოგებით, დასრულებული ლიტერატურული ძეგლის შთაბეჭდილებას ტოვებს და, საფიქრებელია, იგი ლიტერატურული გზითვე გახდა ტიმოთესათვის ცნობილი.

ამ ისტორიის მძიმე შედეგებს დაუკავშირა ტიმოთემ ქართველთა მორიგი ცდა აღედგინათ დაკარგული უფლებები იერუსალიმის წმინდა ადგილებზე. იერუსალიმის განადგურებისა და ქრისტიანეთა დახოცვის მძიმე სურათი ტიმოთემ გამოიყენა როგორც ფონი, რათა უფრო რელიეფურად გამოეკვეთა ქართველთა ღვაწლი იერუსალიმის დაცვა-აღდგენის საქმეში. დანგრეულსა და დაზარალებულ იერუსალიმს მხსნელად კვლავ ქართველი მეფე მოეველინა. ეს იყო მეფე გიორგი.

გიორგი მეფის იერუსალიმში ლაშქრობისა თუ მოღვაწეობის შესახებ ტიმოთეს, ჩანს, იერუსალიმში ვერ მოუპოვებია წერილო-

¹ А. л. Пагарели, Памятники, гл. 247.

² მომოსლვა, გვ. 79.

ბითი და ზუსტი ცნობები, რის გამო ის იძულებული იყო ზეპირად მოსმენილით დაკმაყოფილებულიყო. „მიმოსლვის“ როგორც B, ასევე C რედაქციის ძირითად ტექსტში ტიმოთე წერს:

B რედაქცია (ძირითადი ტექსტი)

სულთან სელიმ წარვიდა რა დაპყრობად მისირ-ეგვიპტისა, იტყვიან, მას იახლავო მეფე საქართველოსი გიორგი. და მადლობასა უბრძანებდა რა სულთანი, ეტყოდა: რა გნებავს ჩემგან? ხოლო იგი სთხოვდა მამულსა თვისსა სამკვიდროსა იერუსალიმს. და უბოძა. და მას აქეთ ორმოცდაათი წელი კვალად მათ ეპყრათ. გვ. 122, №74.

C რედაქცია (ძირითადი ტექსტი)

ახოლო ოდეს სულთან სელიმ მისირ-ეგვიპტე აღიღო, თან ახლდაო, იტყვიან, ქართველი ბატონი გიორგი, და სულთანი მადლობასა უბრძანებდა ქართველთა და ეტყოდა: რა გნებავსთ ჩემგან? მაშინ ქართველი ბატონი მოაქსენებდა, ვითარმედ: წყალობა გვიყავს სამკვიდროსა ჩემისა იერუსალიმისა. მაშინ სულთანმა კითხა, ვითარმედ ძველისა ანუ ახლისა მთხოვნელი ხარ? ძველად, ტაძარი სოლომონისი ითქმოდა. მაშინ მიუგეს ქართველთა, ვითარმედ: ახალი გვიბოძეთ. და მოსცეს ახლად იერუსალიმი. გვ. 79 სქ. ***.

მიუხედავად იმისა, რომ ტიმოთეს ცნობები ზეპირი წყაროდან მომდინარეობენ, აღწერილი ამბები ქრონოლოგიურად მაინც განსაზღვრულია. გიორგი მეფეს მონაწილეობა მიუღია სულთან სელიმის ბრძოლებში, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ 1516—1517 წლებში. მაგრამ ტიმოთე ამით არ დაკმაყოფილებულა. საქართველოში დაბრუნებულს, მას კვლავ მიუმართავს ქართული ისტორიული წყაროებისათვის და ახალი მასალით შეუვსია „მიმოსლვის“ C ხელნაწერი. ხელნაწერიდან ამოუშლია თავდაპირველად შეტანილი ცნობები, რომლებიც უშუალოდ B ხელნაწერიდან მომდინარეობდნენ, და ტექსტის ქვემო კიდეზე მიუწერია ახლადმოპოვებული მასალა (სურ. 6). ამ ცნობებს აღარ აქვთ ალბათობის ხასიათი. ტიმოთე ცნობების წყაროდ აღარ ასახელებს ზეპირად გაგონილ ამბავს და ექვემოტანელი და დაჯერებული ტონით წერს.

C ხელნაწერზე ამ ოპერაციის ჩატარების შემდეგ ტიმოთე კვლავ დაუბრუნდა „მიმოსლვის“ B ხელნაწერს და ისიც C ხელნაწერის მიხედვით გაასწორა, ძირითადი ტექსტის გასწვრივ კიდეზე ახალი ცნობები მიაწერა (სურ. 7).

ც რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი ნ ა წ ე რ ი

1529, ჟამსა დავითის მეფის ძი-
სა გიორგისასა, ქართველთ მე-
ფისასა, წარმოავლინა ხონთ-
ქარმა სულეიმან ელჩი და მოსწე-
რა, სქითარზედ არს იერუსალი(მი)
ქალაქი სჯულისა თქვენისა, გან-
ყარენით ფრანგნი მუნით და
დაიპყრენით, რამეთუ სამკვიდ-
როცა არს თქვენი, პირველისა
ვახტანგ გორგასლანის დაქერის
გამო. ვინაცა ფრიად სთნდა
მეფესა ესე და შემოკრიბნა ლა-
შქარი და ათაბაგი ყვარყვარე
და წარვიდა იერუსალიმს და
ალილო იერუსალიმი და დაიმ-
კვიდრეს. გვ. 79.

ძირითადი ტექსტისა და მინაწერების ცნობები არსებითად გან-
სხვავდებიან ერთმანეთისაგან. პ ი რ ვ ე ლ ი ც ნ ო ბ ა, იერუსალიმში
ზეპირი გზით მოპოვებული, უთარილოა. ამ ამბის ქრონოლოგიური
საზღვარია სულთან სელიმის ზეობა. მეორე ცნობა დათარი-
ლებულია 1529 წლით, ხოლო სულთან სელიმის მაგივრად დასახე-
ლებულია სულეიმან ხონთქარი. ეს შეცვლა სრულიად კანონზომი-
ერად გამოიწვია ახალმა თარიღმა—1529 წლისათვის სულთან სე-
ლიმი გარდაცვლილი იყო (გარდაიცვალა 1520 წ.), მის შემდეგ
დაჯდა სულეიმანი.

პირველი ცნობის მიხედვით მხოლოდ ქართველთა მეფე გიორ-
გი ახლდა სულთან სელიმს. მეორე ცნობით ბრძოლებში მეფე
გიორგისთან ერთად ყვარყვარეც იღებდა მონაწილეობას.

პირველი ცნობის მიხედვით გიორგი ეგვიპტეში წარმოებულ
ბრძოლებში სელიმ სულტანის დამხმარე ძალა იყო. მეორე ცნობით
კი სულეიმან ხონთქარმა საგანგებოდ მიიწვია მეფე გიორგი იერუ-
სალიმის ფრანგთაგან გასათავისუფლებლად და ამდენად იერუსა-
ლიმის განთავისუფლების დამსახურებაც მხოლოდ და მხოლოდ
გიორგის ეკუთვნოდა.

ამ შედარების შედეგად სრულიად აშკარაა, რომ მეორე ცნო-
ბისათვის ტიმოთეს ჰქონია ხელთ ახალი წყარო, რომელიც არსე-

ბ რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი ნ ა წ ე რ ი

კვლად მეფე გიორგი და ათა-
ბაგი ყვარყვარე წარვიდენ ჯარითა
და ალილეს იერუსალიმი და დაი-
პყრნეს სრულიად. მას აქეთ წე-
ლიწად არს წარსრული 1529, ჩემთ.
გვ. 121, № 73.

შითად განსხვავდებოდა იერუსალიმში მოპოვებული ზეპირი ცნობისაგან. ეს ახალი ცნობა მას საქართველოში დაბრუნების შემდეგ მოუპოვებია, მიუჩნევია სანდოდ და ამით შეუცვლია კიდევ პირველი.

ამ ახალი ცნობის წყარო ვახუშტის „საქართველოს ისტორიაა“. ვახუშტი წერს:

„წარმოვევლინა სულტანს სულეიმანს სამთა ამთ მეფეთა თანადესპანი გიორგის ქართველთა, ბაგრატ იმერთა და ლევანს კახთასა: „რამეთუ ადგილი სჯულისა თქვენისა იერუსალიმი დაიპყრეს უსჯულოთა. აწ მიმინიჭებთეს თქვენდა, მოვედით და განასხენით იგინი და დაიპყრენით თქვენდა. (ესე ჰყო ხონთქარმან, რამეთუ ბრძოლა დასავლით, მეორე ვინათგან შიხის ძე ყენი და იგი მტერობდენ, რათა ამით დაიპყრას მან ყოველნი საქართველო და არა მიერთნენ შიხსა). ამისნი მსმენელნი მეფენი სიხარულით შეკრბნენ სპითა თვისითა, ვინადგან იყუნენ სიყვარულსა მტეიცესა ზედა. და ათაბაგი ყვარყვარე მოერთო მეფესა გიორგის და წარვიდენ მსახურებელნი ლუთისანი. მისრულთა იერუსალიმსა შინა მყოფთა მოუთხრნეს: „გვაუწყეთ, უკეთუ ხართ მტერნი, მცირედ გვიჩანთ, და უკეთუ სტუმარ, მრავალ ხართ“. ხოლო მეფეთა მიუთხრეს: „მბრძოლნი ვართ ძალითა მაგავ ადგილისათა“. ამისი მსმენელნი გამოვიდენ ქალაქით იერუსალიმით და ეწყვნენ ურთი-ერთთა და იქმნა ბრძოლა ძლიერი. სძლეს საქართველოსათა. მოსწყვიტნეს და აოტნეს და შეპყვნენ ქალაქად, წარუხუნეს ქალაქი. მოსწყვიტნეს და განსდევნნეს იგინი, ხოლო ნეშტნი დაიპყრნეს და აღილნეს ალაფნი დიდნი და ნატყვენაენი.

ჰსცნა ესე ყოველნი ხონთქარმან, მოანიჭნა ნიქნი დიდძალნი და წმიდანი ადგილნი. საფლავი ქრისტესი, გოლგოთა, ბეთლემი და ჯვარის მონასტერი. ხოლო მეფეთა განთავისუფლნეს იგინი და წარმოვიდნენ გამარჯვებულნი და მოვიდნენ თჳს-თჳსსა სამეფოსა შინა“¹.

ტიმოთეს მეორე ცნობა ძირითადად მისდევს ვახუშტის გადმოცემას. ტიმოთე ამოკლებს მას, არ მოჰყავს ამ ფაქტის ვახუშტისეული ინტერპრეტაცია და თავის მხრივ ურთავს ზოგიერთ უმნიშვნელო დეტალს, რომელიც ვახუშტის ცნობას არ ეწინააღმდეგება.

ისევე როგორც ვახუშტი, ტიმოთეც მეორე ცნობაში ასახელებს სულთან სულეიმანს. ვახუშტი გიორგი მეფის თანამებრძოლ-

¹ ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, მეორე გამოცემა ზ. კიკინაძისაგან, გვ. 33.

ბად ასახელებს ლეონ კახთა მეფეს, ბაგრატ იძერთა მეფეს და ყვარყვარეს. ტიმოთეს კი გიორგის თანამებრძოლად მხოლოდ ყვარყვარე გამოჰყავს¹. ვახუშტის მიხედვით სულთან სულეიმანმა საგანგებოდ მიიწვია ქართველთა მეფე მათი მკვიდრი ადგილის, იერუსალიმის, გასათავისუფლებლად. ამასვე იმეორებს ტიმოთე მეორე ცნობაში. ტიმოთე ამ შემთხვევაში ვახუშტისაგან გამოთქმასაც კი სესხულობს: „რამეთუ ადგილი სჯულისა თქვენისა იერუსალიმი დაიპყრეს უსჯულოთა“—წერს ვახუშტი; „არს იერუსალიმი ქალაქი სჯულისა თქვენისა, განყარენით ფრანგნი“—წერს ტიმოთე და თავის მხრივ, განმარტავს ამ ადგილს: „რამეთუ სამკვიდროცა არს... პირველისა ვახტანგ გორგასლანის დაქერის გამო“. ვახტანგ გორგასლის მიერ იერუსალიმის დაპყრობის შესახებ კი ტიმოთე თავისი ისტორიული მიმოხილვის დასაწყისშივე საუბრობს.

ყველა ამ მონაცემით ტიმოთეს მეორე ცნობა ემთხვევა ვახუშტისას და განსხვავდება ტიმოთეს მოტიანილ პირველი ცნობისაგან, რომლის წყარო მან იერუსალიმში მოიპოვა.

როგორც ჩანს, ტიმოთემ მეორე ცნობის თარიღიც (1529 წელი) ვახუშტისაგან გადმოიღო. ვახუშტი თავის ისტორიაში ქართველთა იერუსალიმში ლაშქრობის თარიღზე არ მიუთითებს, მაგრამ ამთავრებს თუ არა ამ ეპიზოდის გადმოცემას, იქვე, იმავე სულთან სულეიმანთან დაკავშირებით ის წერს: „ხოლო წელს ქრისტესით ჩ თვკთ, ქრონიკონს სიზ (ე. ი. 1529 წ.) მოვიდა სულთან სულეიმან ერევანსა ზედა და აღიღო იგი“²... სხვა თარიღის უქონლობის გამო, ტიმოთემ ეს უახლოესი თარიღი განოიყენა და თავის თხრობაში შეიტანა მეტი ქრონოლოგიური გარკვეულობისათვის.

ამგვარად, ვასკენით: 1. იერუსალიმში ზეპირი გზით მოპოვებულ ცნობებს ტიმოთე საქართველოში დაბრუნების შემდეგ ამოწმებს, ავსებს და ასწორებს აქ მოპოვებული წერილობითი წყაროების მიხედვით.

¹ კახთა მეფე ლეონი ტიმოთემ ამ ექსპედიციიდან, საფიქრებელია, განზრახ გამორიცხა, ვინაიდან მის დამსახურებას (გოლგოთისა და ფილოთეოსის რესტავრაციას) ის საგანგებოდ ცალკე შეეხია იმ უტყუარი ეპიგრაფიკული მასალების საფუძველზე, რომელიც მან ათონსა და იერუსალიმში მოიპოვა. ამ მასალების მიხედვით ტიმოთემ „მიმოსლვაში“ აღწერა ლეონის მშვიდობიანი საღმრთნებლო საქმიანობა. ვახუშტის მიხედვით კი ლეონი იერუსალიმში სალაშქრო ექსპედიციის ერთ-ერთი წევრი იყო. ამ ორი ცნობიდან ტიმოთეს უპირატესობა მიუყვება პირველისათვის და თავი აურიდებია მეორე შემთხვევაში ლეონის მოხსენიებისათვის.

² ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 33.

2. ტიმოთე იცნობს და სარგებლობს არა მარტო „ძველი ქართლის ცხოვრებით“, არამედ ვახუშტის „საქართველოს ისტორიითაც“¹, ამ უკანასკნელს ის ეცნობა და იყენებს საქართველოში დაბრუნების შენდგ².

ჩვენ ანჯამად არ ვიკვლევთ იმას, თუ რამდენად მართებულად შეეცალა ტიმოთემ პირველი ცნობა მეორეთი. ვახუშტის ცნობამ, ამდენადვე ტიმოთეს მეორე ცნობამაც ქართველი ისტორიკოსების ექვი და კრიტიკა დაიმსახურა. ტიმოთეს მოწოდებულ პირველ ცნობას კი მკვლევრები არ იცნობენ, ვინაიდან „მიმოსლვის“ C რედაქციაში ავტორის მიერ გადაშლილი ეს ცნობა ნაბეჭდ გამოცემაში შესული არ არის. ტიმოთეს პირველი ცნობა კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეგვიპტეში წარმოებულ ბრძოლებში ქართველთა მონაწილეობის ხასიათის განსაზღვრითაც და თარიღითაც საგრძნობლად განსხვავდება ვახუშტის ცნობისაგან და ამდენად ტიმოთეს მეორე ცნობისაგანაც.

გადმოცემა იმის შესახებ, რომ ქართველებმა დახმარება აღ-
შოუჩინეს სელიმ სულთანს, როდესაც ის სირია-პალესტინისა და ეგვიპტის დასაპყრობად იბრძოდა, იერუსალიმში ფართოდ ყოფილა გავრცელებული. ამას მოწმობს ერთი დოკუმენტიც იერუსალიმში

¹ შეიძლება გვეფიქრა, რომ ტიმოთე ამ ცნობისათვის „საქართველოს ისტორიით“ კი არა, არამედ „სწავლულ კაცთა“ კომისიის ნაღვაწით სარგებლობდა. ვინაიდან გიორგის, ბაგრატიისა და ლევანის ბრძოლები მოთხრობილია „ახალ ქართლის ცხოვრებაში“ (ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, ივ. ჯავახიშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით, გვ. 56—57). ვახუშტი, როგორც ცნობილია, „საქართველოს ისტორიის“ როგორც პირველი, ასევე II ნაწილის შედგენის დროს სარგებლობდა „სწავლულ კაცთა ნაშრომით“ (შოთა მესხია, ვახუშტი და ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, ანალები, 1, 1947 წ. გვ. 19). ამ ყრძო შემთხვევაშიც ვახუშტის თითქმის ზუსტად გადმოულია დასახლებული ეპიზოდი „ახალი ქართლის ცხოვრებიდან“. ამისდა მიუხედავად ტიმოთეს მაინც ვახუშტის „საქართველოს ისტორიით“ უსარგებლია, ვინაიდან მას „მიმოსლვაში“ შეუტანია ის ცნობებიც, რომლებიც მხოლოდ ვახუშტისთან არის. ესენია: სულთანის სახელი—სულეიმანი, მოთხრობილი ამბის თარიღი—1529 წ. და ყვარყვარეს მონაწილეობა ამ ექსპედიციაში. ამ ცნობებს არ იცნობს „ახალი ქართლის ცხოვრება“.

² ტიმოთეს, როგორც ჩანს, ყურადღება მიუქცევია იმ წინააღმდეგობისათვის, რომელიც არსებობდა იერუსალიმურ ცნობასა და ვახუშტის ცნობას შორის. ჩანს, ცნობათა ძებნისა და დაზუსტების პროცესში საქართველოში დაბრუნების შემდეგ მას ცალკეული განსწავლული პირებისათვისაც მიუძღრათავს. ამის შედეგად უნდა იყოს ამ ეპიზოდთან დაკავშირებით ტიმოთეს ხელით გაკეთებული მინაწერი „მიმოსლვის“ C რედაქციაში: „ხოვთა თქვეს დიდი მღურავი გიორგი იყოვო“. ეს მინაწერი შემდგომ მასვე გადაუშლია.

ბერძნულ ენაზე დაბეჭდილი „კატამონის მონასტრის ისტორია“, რომელიც, საფიქრებელია, ადგილობრივი, იერუსალიმის წყარობის გამოყენებით არის დაწერილი. „კატამონის მონასტრის ისტორიაში“, ისევე როგორც ტიმოთეს პირველ ცნობაში, ქართველები დახმარებას უწევენ სულთან სელიმს (არავითარ საგანგებო მოპატივებაზე იერუსალიმის განთავისუფლებისათვის აქ ლაპარაკი არ არის). აქ ვკითხულობთ: „1527 წელს იბერიელთა მეფენი დავით და ლეონ შეუერთდენ ხონთქარ სელიმს და დაამხვეს ეგვიპტის სულთანი. მაშინ ბიზანტიის ხონთქარმა დიდნი უფლებანი მიანიჭა იბერიელთა და მიუბოძა მათ მრავალნი ღირსშესანიშნავნი ადგილნი (იერუსალიმს)“¹.

სულთან სელიმის 1516—1517 წლის ბრძოლები იერუსალიმის დასაპყობად მართლაც ცნობილია. ცნობილია აგრეთვე ქართველთა ბრძოლები მამულუქებთან ერთად პალესტინასა და სირიაში. შესაძლებელია რაიმე ამგვარი ფაქტი უდევს საფუძვლად იერუსალიმურ გადმოცემებს².

საკითხის გადაწყვეტას გააადვილებდა ერთი მხრით, „ახალი ქართლის ცხოვრებისა“ და ვახუშტის „საქართველოს ისტორიის“, ხოლო მეორე მხრით, იერუსალიმურ გადმოცემათა წყაროების დაძებნა, რასაც, ალბათ, ისტორიკოსები იკისრებენ.

8

როგორც წყაროების დამუშავების ხერხები, ასევე წყაროებისადმი დამოკიდებულება და მათი გამოყენების წესები მოწმობენ, რომ ტიმოთე დიდი სერიოზულობითა და სიფრთხილით ეკიდებოდა და არჩევდა „მიმოსლვისათვის“ ისტორიულ მასალას.

„მიმოსლვის“ იმ თავში, რომელიც ძირითადად ეხება იმას, თუ „ქართველნი ვითარ იპყრობდენ იერუსალიმს“, ტიმოთე „იერუსალიმის დაპყრობისა“ და სამონასტრო მშენებლობის ისტორიის მხოლოდ რამდენიმე საკვანძო მომენტზე ჩერდება. ისტორია იწყება მირიან მეფით, რომელმაც პირველმა მოიპოვა ჯვრის ადგილი— აქვე მოთხრობილია ჯვრის მონასტრის აშენების მოკლე ისტორია. შემდეგ ტიმოთე ჩერდება ვახტანგ გორგასალზე, „რომელსაც მეგვიპტელთაგან მისცემია იერუსალიმი“. და ბოლოს ქართველთაგან

¹ თ. ქორდანიძე, ქრონიკები, II, გვ. 359. 1882 წელს გამოვიდა ამ წიგნის რუსული თარგმანიც.

² Ал. Сагарелин, Памятники, гв. 63—64.

ქრისტეს საფლავისა და გოლგოთას დაპყრობის და აშენების ორ ეპიზოდზე:

1. ლეონ მეფის მიერ იოაკიმ ჯვარის მამის ხელით გოლგოთის განახლება.

2. გიორგი მეფისა და ყვარყვარე ათაბაგის მიერ იერუსალიმის აღება და გოლგოთასა და ქრისტეს საფლავის გათავისუფლება.

ამ მოკლე ისტორიული მიმოხილვის შემდეგ, ტიმოთე უბრუნდება ქართველთა ჯვრის მონასტერს და ახლა უკვე ამ მონასტრის ისტორიიდან აღნიშნავს ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტებს და ასახელებს ჯვრის მონასტრის მოამაგეებს:

„ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათს ქვეით სვეტნი გაუახლებია და დაუხატეინებია შოთამს რუსთველს, მეჭურქულეთ უხუცეს[ს]. თითონაც შიგ ხატია მოხუცებული“¹.

„ამისა შემდგომად კვალად დაძველებულა და განუახლებია და აღუშენებია საკურთხეველის ზეითი კონქი დადიანს ლეონს და მეუღლესა მისსა ნესტანდარეჯან დედოფალს, კილაძის ქალს, ორნივე შიგ ხატიან. ამისი გამგე ჩოლოყაშვილი-ომანიშვილი მეტეხის წინამძღვარი და ჯვარის მამა ნიკოლოზ ყოფილა. დადიანს ამის ჯელით გაუკეთებია. ჯვარის მამა ნიკიფორე თუ ნიკოლოზ შიგ ხატიან და თეოდორე მანგლელიც“².

ჯვრის მონასტრის შემკეთებელთა და მომხატველთა შესახებ ტიმოთეს ცნობები ეყრდნობა ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობას და იმ მრავალრიცხოვან ანდერძებს, მოსახსენებლებს და აღაპებს, რომლებიც შემოუნახავს იერუსალიმის ქართულ ხელნაწერებს³.

¹ მიმოსლვა, გვ. 80.

² იქვე.

³ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობას შემოუნახავს მრავალი ქართველი მოღვაწის გამოსახულება წარწერებითურთ. აქ არიან: შოთა რუსთაველი, პროხორე შავშელი, ლუკა იერუსალიმელი, ლევან დადიანი თავისი მეუღლით ნესტანდარეჯანით, მარიამ დედოფალი—დადიანის ასული, იოანე გურული (მგალობელი), თეოდორე მანგლელი—რევიშვილი, ნიკიფორე ჩოლოყაშვილი, პაატა და ქაიხოსრო წულუკიძეები და სხვა მრავალი (იხ. Н. Ч у б н о в, Описание крестного монастыря. Сведения о памятниках, т. I, вып. III, გვ. 44—47).

ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობა ტიმოთემ როგორც სანდო ისტორიული პირველწყარო გამოიყენა და ამ მასალის დიდი ნაწილი „მიმოსლვაში“ შეიტანა.

ასევე მდიდარ მასალას მიაწოდებდა ტიმოთეს ჯვრის მონასტრის აღაპები და ხელნაწერები. როგორც ცნობილია, ჯვრის მონასტრის სვინაქსარებში აღაპები აქვთ დადებული შოთა მეჭურქულეთუხუცესს, ნიკიფორე ჩოლოყაშვილს, თეოდორე მანგლელს და სხვებს (იხ. ნ. მარი, აღაპნი ჯვარის მონასტრისანი). ტიმოთეს

იერუსალიმში ქართველთა მოღვაწეობის ზოგადი მიმოხილვის შემდეგ ტიმოთე გადადის საკუთრივ ქართულ მონასტრებზე: „აჰა, თუ ვის მიერ აღეშენეს იერუსალემს მონასტერნი, ისმინეთ“.

ეს თავი წარმოადგენს იერუსალიმის ქართული მონასტრების ჩამოთვლას, მათი კტიტორების მოხსენიებით. ამ თავსაც ტიმოთე იწყებს უკვე ადრე აღწერილი უდიდესი ქართული მონასტრებით (ჯვრისა და იაკობ ალფესის) და გოლგოთის ტაძრით, სადაც ქართველებს თავისი სამწირველო ჰქონდათ. ამის შემდეგ ტიმოთე გადმოსცემს ცნობებს იმ ქართული მონასტრების შესახებ, რომელთა კტიტორების ვინაობის დადგენაც მას მოუხერხებია. ესენია: ნიკოლოზის, იოანე ღვთისმეტყველის, აბრაჰამის, ბასილის, ნიკოლოზის (ჯვრის მახლობლად), თევდორეს, თეკლას, წმინდა გიორგის (ურიათ უბანში), წმინდა დიმიტრის, ეკატერინეს დედათა მონასტერი და მირქენის მონასტერი.

ქართული მონასტრებისა და მათი კტიტორების შესახებ ცნობებს ტიმოთე საგანგებოდ ეძებდა სულთა მატრიანეებსა და მოსახსენებლებში. მითითება ამ რიგის წერილობით წყაროებზე ხშირად გვხვდება „მიმოსლვის“ ზემოთ დასახელებულ თავში: „მონასტერი წმიდისა გიორგისა ურიათ უბანში დადიანთა აღშენებული, და მოსაქსენებელი მისი მუნვე არს“¹. „წმიდის დიმიტრის მონასტერი—ქსნის ერისთავს შალვას, ვირშელს ივანეს, და მათი მოქსენებაც მუნ არს“². ანდა „მონასტერი მირქმისა—რაკის ერისთავთ, და მათი მოქსენება მუნ არს“³.

აშკარაა, რომ ამ შემთხვევებში ტიმოთეს ხელთ ჰქონია მონასტრის მოსახსენებლები, რომლებიც მას თავისი ცნობების წყაროდ გამოუყენებია. ძნელია იმის თქმა, თუ რა მასალით სარგებლობდა ტიმოთე კტიტორების დადგენისას იმ შემთხვევებში, როდესაც მას მოსახსენებლები არ ჰქონდა ხელთ. როგორც ჩანს, ზოგ-

შეძლო ესარგებლა ქართული ხელნაწერების მრავალრიცხოვანი ანდერძებიდან. ასე მაგ. იერუსალიმის ერთ-ერთი ხელნაწერის ანდერძს შემოუწახავს ცნობები ნიკიფორე ჩოლოყაშვილის სააღმშენებლო მუშაობის შესახებ: „ჩემი ბატონი ჯვარის მამაჲ ნიკიფორე იერუსალიმით საქართულლოში წავიდა, —წერს გრიგოლ დიაკონი,—ამან უფალმან ჩემმან დაახატვინა წმიდა ესე ჯვარი და გუმბათიჲ ახლა გააკეთა, დახეთქილი იყო. და წმიდა საკურთხეველი და ტრაპეზი, და ჯვარის თვალი ამან მოაფიქულინა მარმარილოთი და სხვა მრავალი კარგი ქმნა“... (იხ. *А. Шагарели, Памятники, დამატ. I, № 143*).

¹ მიმოსლვა, გვ. 81.

² იქვე.

³ იქვე.

ჯერ, როდესაც ამის შესაძლებლობა იყო, ტიმოთე კტიტორებს მონასტრების სააღმშენებლო წარწერებით აღგენდა.

თევდორეს მონასტრის სააღმშენებლო წარწერადან უნდა ჰქონდეს ტიმოთეს აღებული ცნობები ამ მონასტრის კტიტორთა შესახებ: „წმიდის თევდორეს მონასტერი ბეჟანისაგან და ბაადურ ჩოლოყაშვილისა არს აღშენებული“¹.

¹ თევდორეს მონასტრის კტიტორებად ტიმოთე ბაადურ და ბეჟან ჩოლოყაშვილებს ასახელებს, თევდორეს მონასტრის სააღმშენებლო წარწერა, მონასტრის კედლებში ჩატანებული, უნახავთ ნ. ჩუბინაშვილსა და ალ. ცაგარელს იერუსალიმში მოგზაურობის დროს. ნ. ჩუბინაშვილის ცნობით ამ მონასტრის დასავლეთის კედელზე წერია: „ღმერთო და წმიდაო თევდორე, შეიწყალე ირუბაქის ძე ჩოლოყაშვილი ბენა, ეს საყდარი აღვაშენე ჩემთა მშობელთა შესანდობლად“. (Н. Чубинов, Описание Крестного монастыря, А. Цагарели, Сведения о памятниках, т. I, вып. III, გვ. 44). წარწერაში აშენების თარიღი იმ დროისათვის უკვე იმდენად დაზიანებული ყოფილა, რომ ნ. ჩუბინაშვილს ვერ ამოუკითხავს.

იგივე წარწერა ალ. ცაგარელსაც გადმოუღია, მაგრამ წარწერის დაზიანების გამო ვერ გაურჩევია აღმაშენებლის სახელი და ნ. ჩუბინაშვილის წაკითხვა ეკვის ქვეშ დაუყენებია: „[ჩოლოყაშვილი ცოდვილი ბენა (ბეჟანა)?“ (А. Цагарели, Памятники, დამატ. III, XXXIII). მეორე მხრით, ალ. ცაგარელს თითქოს წარწერის თარიღი წაუკითხავს — „ქორონიკონსა ტკგ“ — ი. 1635 წელი.

ბენა ჩოლოყაშვილი XVI საუკუნის ცნობილი მოღვაწეა, ავგიორგის სახლთუხუცესი, მისგანვე წარმოგზავნილი იერუსალიმში. სხვა ბენა ჩოლოყაშვილის იერუსალიმის წერილობითი წყაროები არ იცნობენ. ამდენად, ალ. ცაგარლის წაკითხვაში ან სახელია არა სწორად ამოკითხული, ან ქორონიკონი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ შეცდომა სახელის წაკითხვაშია.

ბენა ჩოლოყაშვილის მრავალმხრივი საინტერესო მოღვაწეობა იერუსალიმში საკმარისად სრულად არის ასახული იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში. მაგრამ ბენა თევდორეს მონასტრის კტიტორად ამ წერილობით წყაროებში არსად ჩანს. რომ დაუშვათ კიდევ, რომ ალ. ცაგარელმა წარწერის დაზიანების გამო სწორად ვერ ამოკითხა ქორონიკონი, მაინც საეჭვოა, რომ თევდორეს მონასტერი იერუსალიმში გიორგი მეფის მიერ გამოგზავნილ სახლთუხუცესს ბენას აუშენებინოს და სააღმშენებლო წარწერაში მეფე არ იყოს მოხსენიებული. მით უმეტეს, რომ იერუსალიმურ ხელნაწერებში ბენას ყველა ანდერძ-მინაწერი გიორგი მეფის მოხსენიებითა და შესანდობარით იწყება. ხალხთუ სწორია ალ. ცაგარლის მოწოდებული თარიღი, მაშინ უფრო საფიქრებელია, რომ წარწერაში ბენა კი არა, ბეჟანი უნდა იკითხებოდეს. ამ შესაძლებელ წაკითხვას, როგორც ზემოთ მოყვანილი ციტატიდან ჩანს, ალ. ცაგარელიც ვარაუდობდა. ბეჟან ჩოლოყაშვილს თევდორეს მონასტრის კტიტორად ტიმოთეც ასახელებს. ტიმოთეს ეს ცნობა მით უფრო სანდოა, რომ ამავე მონასტრის ცნობები კტიტორის ბაადურის შესახებ ის უთუოდ სწორ ცნობებს გვაწვდის. ამ ცნობებს მხარს უჭერს მონასტრის მეორე წარწერა: „ამავე ეკლესიის დასავლეთის კარს გარედამ ზევით დატანებულია მარმარილოს ქვა და მათზედ სწერია ესრეთი: „ჩოლოყაშვილსა ბაადურსა და მათთა ძმათა და ძმისწულთა ცოდვანი მათნი შეუნდოს

„მიმოსღვის“ ამ თავში ტიმოთემ ქართული მონასტრების შესახებ მხოლოდ ის ცნობები შეიტანა, რომლებსაც მან წერილობით წყაროებში (მოსახსენებლებსა, საალმშენებლო წარწერებში) მიაკვლია და უეჭვოდ მიიჩნია. მაგრამ გარდა ჩამოთვლილი მონასტრებისა, მას იერუსალიმში სხვა მონასტრებიც ეგულებოდა და, ჩანს, უნახავს კიდევ, მაგრამ ცნობათა უქონლობის გამო ვერ დაუდგენია მათი აღმშენებელნი და ამიტომ აღარც „მიმოსღვაში“ შეუტანია: „კვლად იერუსალიმს მონასტრები არს აღშენებული ქართველთაგანვე, არამედ ვერ შევიგენ, ვის მიერ აღშენნეს“—წერს ტიმოთე¹.

ქართული მონასტრებისა და მათი კტიტორების ჩამოთვლის შემდეგ, ტიმოთე კვლავ ჯვრის მონასტერს უბრუნდება. ამჯერად ის საგანგებოდ ჩერდება მონასტრის კედლის მხატვრობაზე.

იერუსალიმის ჯვრის მონასტერი ტიმოთე გაბაშვილის ყურადღების ცენტრშია. სხვა ქართული მონასტრების შესახებ თუ ის კმაყოფილდება მონასტერთა აღმშენებლის შესახებ მოკლე

ღმერთმან². (ნ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 47). ამგვარად, ტიმოთე შემთხვევით არ ასახელებს ბეჟანთან ერთად ბაადურსაც. აშკარაა, რომ ბაადურსაც რაღაც წვლილი მიუძღვის ეკლესიის აშენებაში. სხვათა შორის ბაადურს ჯვრის მონასტრისათვისაც გაუწევია სამსახური, შეუწირავს დიდი ფულადი შესაწირავი: „... წირვა და აღაპი საუკუნო ირუბაქის ძისა ჩოლოყასშვილისა ბაადურისა, გამოგზავნა ორასი ველენტიური ფლური და გაუჩინეთ მე მამამან... და ძმათა და დათა ერთსულობით და ერთი კანდელით გოლგოთას დაუკიდეთ“—გვითხულობთ ჯვრის მონასტრის აღაპებში (ნ. მარი, აღაპნი ჯუარის მონასტრისანი № 84).

ტიმოთე გაბაშვილი 1757 წელს უფრო ადვილად ამოიკითხავდა იმას, რაც დახიანების გამო ვერ ამოიკითხეს ნ. ჩუბინაშვილმა და ალ. ცაგარელმა. ვფიქრობთ, რომ კტიტორთა დასახელებაში ტიმოთე გაბაშვილი მართალია. თევდორეს მონასტრის კტიტორი ვერ იქნებოდა XVI საუკუნის დამდეგის მოღვაწე ბენა ჩოლოყასშვილი. ალ. ცაგარლის თარიღი (1635 წ.) სწორი უნდა იყოს. ალ. ცაგარელი უნდა ცდებოდეს კტიტორის სახელის (ბენას) ამოკითხვაში. ცნობათა შეწამებით აშკარა გახდა, რომ ტიმოთეს ცნობები ეკლესიის საალმშენებლო წარწერიდან მომდინარეობენ. წმინდა თევდორეს მონასტრის აღმშენებლები არიან XVII ს. პირველი ნახევრის (1635 წ.) მოღვაწენი ბეჟან და ბაადურ ჩოლოყასშვილები.

ტიმოთეს უსარგებელია აბრაჰამის მონასტრის საალმშენებლო წარწერთაც. ეს წარწერა გადმოიღო მოგზაურობის დროს ნ. ჩუბინაშვილმა: „განვახლე აბაშიძემ გიორგი იმერელმა ჩემის თვთრით, კეს ჩლ“. (ნ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 47) „მიმოსღვაში“ კი გვითხულობთ: „წმიდის აბრაჰამ მამათმთავრისა მონასტერი, სადა ისაკ შესწირა; ის დარღვეული აღუშენებია აბაშიძეს გიორგის, ლეონის ძეს. გარდასული წელი მ ი ზ“. „მიმოსღვის“ B რედაქცია იწერებოდა 1757—1758 წლებში, მაშასადამე მონასტრის აშენების თარიღად, მსგავსად საალმშენებლო წარწერის ცნობისა, ტიმოთესაც 1700 წელი მიაჩნია.

¹ მიმოსღვა, გვ. 82.

ცნობების გადმოცემით, ჯვრის მონასტერს ტიმოთე მრავალმხრივ სწავლობს და მის ირგვლივ მრავალფეროვან მასალასაც აგროვებს. მათ შორის გვხვდება ისეთიც, რომელსაც ტიმოთეს დროის ქართული საზოგადოება პირველად მისგან ეცნობა.

იერუსალიმის ქართული კოლონიის ცხოვრებიდან ზოგიერთი მნიშვნელოვანი ცნობის ერთადერთ წყაროდ დღესაც ტიმოთეს „მიმოსლვა“ რჩება.

ტიმოთე ჯვრის მონასტრის ქართველ მოღვაწეთა შესახებ ცნობების გადმოცემის დროს გარკვეულ წესს იცავს: ჯერ, როგორც ადენიშნეთ, ჩამოთვლის მონასტრის კტიტორებს, განმაახლებლებს, მომხატველებსა და მოამაგეებს, შემდეგ გადადის მონასტრის იმ წმინდა მამებზე, რომლებიც ღვაწლმოსილებისა და ქრისტიანული სჯულის დაცვისათვის ეროვნულ წმინდანებად ჩაირიცხნენ. ესენი არიან: პროხორე შავშელი, სალომე იერუსალიმელი, ნიკოლოზ დვალი, ლუკა აბაშიძე. და ბოლოს, ტიმოთე ეხება ქართველ ფილოსოფოსებს, მეცნიერებსა და მწიგნობრებს, რომლებიც, მისი აზრით, ჯვრის მონასტრის კედლებში მოღვაწეობდნენ, და რომლებსაც თავისი ღვაწლით დიდი დამსახურება მიუძღვით ქართული კულტურის წინაშე: „და განვიცადეთ კედელთა ზედა წმიდანი მამანი და მოწამენი საქართველოსანი, ეხატნეს შარავანდითა და გვირგვინითა“¹, — წერს ტიმოთე და ასახელებს ოთხ წმინდა მამასა და ცხრა მოღვაწეს, რომელთაგან ნაწილი დღესდღეობით სრულიად დაკარგულია ქართული კულტურის ისტორიისათვის და თუ არა ტიმოთეს „მიმოსლვა“, მათი სახელებიც არ გვეცოდინებოდა².

¹ მიმოსლვა, გვ. 85.

² 1845 წელს იერუსალიმში ჩასულ ნ. ჩუბინაშვილს ისეთ მდგომარეობაში დახვდა ამ ქართველ მოღვაწეთა გამოსახულებები, რომ ვერაფრის გარჩევა ვეღარ მოუხერხებია: „ჩრდილოეთის მხარეს კედელზედ, ბიბლიოტიკის შესავალს ზეიდან, არიან დახატულნი მრავალნი სახენი და კვალად სადაც წულუკიძენი ხატიან იმას ზევიდამაც, მაგრამ ტენისაგან მრავალი ადგილი დაშლილა და ჩამოცვევულა, სახენი და მათხედან ნაწერნი შაბლაღულან, მხოლოდ სჩანს წერილი ქართულის ასოებითა და ძნელად გამოსაცნობია; უთუოდ აქ არიან დახატულნი ის სახენი, რომელთაც მოიხსენებს ტიმოთე მთავარეპისკოპოზი თვის მოხილვაში და ჩანს, რომ მას ეამს ადვილად წაიკითხებოდა, გარნა ჩვენ ვერ გავიგეთ“. (Н. Чубинова, Описание Крестового монастыря, გვ. 46). ასევე ვეღარ უნახავთ ქართველ მოგზაურებს ტიმოთეს ნახული და აღწერილი გოლგოთის ქართული წარწერა და ელისე თბილელისა და ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის გამოსახულებები ჯვრის მონასტრის კედლებზე.

ტიმოთე ჯვრის მონასტრის სრული აღწერისა და შეფასებისათვის მონასტრის მდიდარ წიგნსაცავსაც ეცნობა, სადაც „არის წიგნი მრავალი ქართული“¹.

ხელნაწერებს ტიმოთე ორი თვალსაზრისით სწავლობდა. ერთი მხრით ის ეძებდა მასალას იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის. მეორე მხრით კი, ისევე როგორც ივერიის მონასტრის წიგნსაცავში, — ორიგინალური თუ თარგმნილი ლიტერატურის იშვიათ ძეგლებსა და ნუსხებს, რომლებიც მას საქართველოში არ ეგულებოდა².

ტიმოთე გამოცდილი არქივარიუსივით მასალას შესანიშნავად გრძნობდა. მან მშვენივრად იცოდა, თუ სად ეძებნა და როგორ ეძებნა მისთვის საჭირო ცნობები იერუსალიმის ქართული კოლონიის მოღვაწეობის სურათის აღსადგენად. ტიმოთემ ჯვრის მონასტრის მრავალმხრივი შესწავლისა და აღწერის შედეგად თვალსაჩინო გახადა მკითხველისათვის ამ მონასტრის, როგორც ქართული კულტურის ერთ-ერთი კერის როლი ქართველთა პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში.

ერთი შეხედვით შეიძლება გაუგებარი იყოს, თუ რად დასკირდა ტიმოთეს ქართველთა იერუსალიმში მოღვაწეობის აღწერა ორ სხვადასხვა თავში ერთი წყება მასალის გამეორებით. „მიმოსვლის“ ამ ნაწილზე მუშაობის დროს ტიმოთეს გარკვეული მიზანი და ამ მიზნის შესატყვისი ლიტერატურული გეგმაც გააჩნდა.

ამ მასალის ორ თავად განაწილება განსაზღვრა იმან, რომ ტიმოთეს ქართველთა იერუსალიმში მოღვაწეობის შესწავლა და გაშუქება ორი თვალსაზრისით აინტერესებდა. ერთი — საერთო-ქრისტიანული, ხოლო მეორე — ეროვნული.

პირველ თავში ტიმოთემ გამოყო იერუსალიმში ქართველთა მოღვაწეობის ისტორიიდან ისეთი ფაქტები და ეპიზოდები, რომ-

¹ მიმოსლვა, გვ. 82.

² ჯერ კიდევ მთაწმიდის ივერიის მონასტერში ყოფნისას ტიმოთეს საგანგებოდ უძებნია და მიუკვლევია მაკარი მეგვიპტელის „სწავლანისათვის“. შემდეგ ეს ძიება მას ჯვრის მონასტრის საცავშიც განუგრძია და იქაც უნახავს „სწავლანის“ ძველი ნუსხა, რომელზედაც თავისი ხელით წაუწერია: „ეს წიგნი მაკარისა საქართველოში არ არის, ნურავინ წაიღებთ“ (А. Сагарели, Памятник, დამატ. I, № 116). ჯვრის მონასტრის ხელნაწერთა კოლექციაში უნახავს და გადმოუღია ტიმოთეს იოანე დამასკელის „გარდამოცემა“-ს ძველი და სანდო ნუსხა, რომლის მიხედვითაც საქართველოში დაბრუნებულს გაუმართავს დამასკელის ნაბეჭდი ეგზემპლარის ტექსტი (იხ. „ტიმოთე გაბაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“, გვ. 0,164—0,166).

ლებიც თავისი მნიშვნელობით სცილდებოდნენ ეროვნულ საზღვრებს. ეს არის ქართველ მეფეთაგან იერუსალიმისა და იერუსალიმის ქრისტიანულ სიწმინდეთა დაცვა მუსლიმანთაგან, და ის ქართული მონასტრები, რომლებიც თავისი ადგილით და ისტორიით საერთო-ქრისტიანულ სიწმინდეებთან იყო დაკავშირებული და ამდენად ქრისტიანულ სამყაროში საერთაშორისო აღიარების და თაყვანისცემის საგნად იქცნენ. ასეთებად ტიმოთეს მიუჩნევია, და ეს მართლაც ასე იყო, ჯვრისა და იაკობ ალფესის მონასტრები.

მაგრამ იერუსალიმის იზავე ქართველ მოღვაწეებსა და იმავე მონატრების ისტორიას ვიწრო ეროვნული მნიშვნელობაც ჰქონდათ, ამიტომ ტიმოთე მეორე თავში ხელმეორედ შეეხო ამავე მასალას, ოღონდ უკვე ეროვნულ კულტურასა და ისტორიაში მათ მიერ შეტანილი წვლილის თვალსაზრისით.

ამ ორივე თავის დაწერის მიზანი და გეგმა ტიმოთემ მეორე თავის ბოლოს ჩამოაყალიბა და მას ერთგვარი პატრიოტული მოწოდების სახე მისცა: „მეფეთა საქართველოსათა სახელოვანთა კლმითა შით ძლიერითა აღიმაღლნეს ვმანი მათნი და ტყვექმნილი ქრისტეს საფლავი სპარსთა და თურქთა წარუხვნეს, გამოიქსნეს და დაიპყრნეს, და აღაშენნეს... ხოლო წმიდათა მამათა ჩვენთა ქართველთა სასოებად ამა ადგილსა წმიდასა ჯორცნი განლივნეს მოღვაწეებითა აქა და სისხლი დასთხივნეს ამა საკვირველთა ადგილთა. სხვათა თარგმანება საღმთოთა სჯულთა აქეთგან მოიღეს“¹.

ტიმოთე, რომელმაც ნახა, შეისწავლა და გაიაზრა იერუსალიმში ქართველთა მოღვაწეობა და შეაფასა იგი როგორც ისტორიულ-კულტურული მოვლენა, განცვიფრებული იყო იმ გულგრილობით, რომელსაც მისი თანამედროვე ქართული საზოგადოება იჩენდა საზღვარგარეთის ქართული კულტურის კერებისადმი. ის მშვენივრად ხედავდა, რომ ქართული კულტურის ეს დიდმნიშვნელოვანი უბანი შეუსწავლელია. იერუსალიმის ქართული სიძველენი თხოულობდნენ დაცვასა და შესწავლას: „აწ განცვიფრებულ ვარ დიდად, — განაგრძობს ტიმოთე, — თუ რასათვის უგულვებელს ყვნეს ქართველთა დიდნი ესე და წმიდანი ადგილნი... კვალად ამბსცა განკვირვებულ ვართ, თუ ასე რასათვის უმეცარ იქმნენ საქართველოსაგანნი? ერთი ვინმე რასათვის ვერ მოიწია აქა, აქაური ამბავი შეეტყო, და ანუ ქვაზედ ანუ წიგნთა შინა აღმოეკითხა ესე ამბები და საქართველოთათვის ეუწყებინა? არავისა სმენიეს, თუ იერუსა-

¹ შიმოსლვა, გვ. 84.

ლიმი ქართველთათვის რა არის, და არც მე უწყობდი აქაური ესე-
ვითარი საქმე. ჰოი მე, რა დიდის უგუნურებით არს ნათესავე
ჩენი“¹.

ტიმოთე მოგზაურობის დროს მრავალ ახალ ქვეყანასა და
ადამიანს ეცნობოდა. მაღალმა სასულიერო წოდებამ მას საშუალება
მისცა გასცნობოდა მართლმადიდებლური ეკლესიის მესვეურებსა
და მრავალ განათლებულ ადამიანს: კონსტანტინეპოლისა და
იერუსალიმის პატრიარქებს, მთავარეპისკოპოსებსა და ეპისკოპო-
სებს, ფილოსოფოსებსა და მწიგნობრებს. ყველგან მას პატივითა
და ყურადღებით იღებდნენ.

მართლმადიდებლური ეკლესიის მესვეურებთან საუბრის დროს
ტიმოთე ყოველთვის პრაქტიკულ მიზნებს ისახავდა. მას საჭირო
განათლებაც გააჩნდა, რათა ემსჯელა და ეკამათა საეკლესიო ის-
ტორიისა თუ ღვთისმეტყველების რთულსა და ბუნდოვან საკი-
თხებზე: „წარვედით ხილვად პატრიარქისა იერუსალიმისა... იყო
კაცი დიდად პატიოსანი და განსწავლული სიბრძნითა მრავლითა,
და გვიბრძანებდა მრავალსა რასმე, და სიტყვისგებასა ვყოფდით
სხვათ და სხვათა რათმე ამბავთათვის“²—წერს ტიმოთე.

სიტყვისგების დროს მოპოვებული ცნობები ტიმოთეს შეჰ-
ქონდა „მიმოსლვაში“, როგორც სანდო და საჭირო ისტორიული
მასალა, ზოგჯერ უცვლელად, ზოგჯერ კი დამატებითი ცნობებითა
და წყაროებით შევსებული.

იერუსალიმის პატრიარქთან საუბრის დროს ტიმოთე პირველ
რიგში ქართველთა კათალიკოსის უფლებათა გარკვევას შეეცადა.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალობისა და ქართველ კათალი-
კოსთა უფლებებისათვის ქართული ეკლესია საუკუნეთა მანძილზე
იბრძოდა. ამის თაობაზე ჯერ კიდევ XI საუკუნეში გაიმართა დის-
კუსია ანტიოქიის პატრიარქთან, სადაც ქართველთა უფლებების
დამცველად ბრწყინვალედ გამოდიოდა გიორგი მთაწმიდელი.
ამავე საკითხის გარკვევა წერილობითი წყაროების საშუალებით
განიზრახა ეფრემ მცირემ თავის ნაშრომში: „უწყებაჲ მიზეზსა ქარ-
თველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიგსენების“.

¹ მიმოსლვა, გვ. 84—85.

² იქვე, გვ. 53.

ამ საკითხზე იერუსალიმის პატრიარქისაგან განმარტების მოსმენა განუზრახავს ტიმოთე ვაბაშვილსაც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდ სიზუსტეს წერილობითი წყაროების დასახელებისა და გამოყენების დროს ტიმოთე არ იჩენდა. მით უმეტეს არ შეიძლება ის ზუსტი ყოფილიყო ზეპირად მოსმენილ წყაროთა მიმართ. ამიტომაც, რომ ერთი ზეპირი წყაროდან მომდინარე ცნობები „მიმოსლვის“ რედაქციებში საგრძნობლად სხვაობენ ერთმანეთისაგან.

ქართველ კათალიკოსთა შესახებ იერუსალიმის კათალიკოსის მოწოდებული ცნობები „მიმოსლვის“ რედაქციებში შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

A

ვიხილეთ პატრიარქი იერუსალიმისა პართენი, და გვიბრძანებდა მრავალსა რასმე, ვითარმედ ირაკლი მეფე რა მოვიდა სპარსთა ზედან, გამოვლო ქართლი და ფოთის ეპისკოპოზი განათავისუფლა და ქმნა კათალიკოზადო.

A, 62r.

B

და ვიხილეთ კაცი დიდად პატრიოსანი და მეცნიერი სიბრძნითა მრავლითა. და გვეზრახებოდა მრავალსა და იტყოდა, ვითარმედ ერეკლე მეფე ბერძენთა ოდეს წარვიდოდა სპარსეთად, აღილო საქართველო და ფოთისა მიტროპოლიტი კათალიკოსად აფხაზეთისა მან დაადგინაო. და ქართლისა კათალიკოზი კოსტანტინე მონომახისა ნებიითა ქართლის მეფემ ვახტანგ დასვაო.

B, 61v.

C

სიტყვისგებასა ვყოფდით სხვათა და სხვათა რათმე აზბავთათვის. ხოლო ქვეყანისა ჩვენისა კათალიკოზათათვის იტყოდა, ვითარმედ ჟამსა კოსტანტინე მეფისასა იქმნენით ქრისტიანეთ და წარმოგივლინათო კოსტანტინემ მეფემ წმიდა ევსტათი პატრიარქი ანტიოქიისაო და პირველი საკათალიკოზო საყდარი მან აღაშენებინაო და ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზი - არქიეპისკოპოზი მან აკურთხაო. ამისა შემდგომად მეფე ირაკლი ბერძენთა წარვიდოდა სპარსეთად საომრად და საქართველო მან დაიპყროვო, და ფოთის მიტროპო-

ლიტი აფხაზეთს მან
 გააკათალიკოზაო, და
 ქართლის კათალიკოზი.
 მარტო ქართლისა და
 კახეთის და ალვანიის
 მწყემსი დარჩაო, იმე-
 რეთი მაშინ წაერთვაო.
 ამისა შემდგომად მე-
 ფემ ვახტანგ ქართველ-
 თამან მეფის კოსტან-
 ტინეს მონომახის, მე-
 ფის ბერძენთას დამოწ-
 მობით მცხეთა ააშე-
 ნაო და კათალიკოზი
 დასვაო, და პირველი
 ძველი კათალიკოზი სა-
 ქართველოსი დაჩაგ-
 რაო; ანისთვის სამნი
 არიანო კათალიკოზ-
 ნიო: პირველი—ქართ-
 ლისაო, და მეორე—აფ-
 ხაზეთისაო და მესამე—
 ძველიო. ამისთვის
 ხრისანთე პატრიარქ-
 მან ყოვლისა სოფლისა
 ეპისკოპოზნი რა აღ-
 წერნა თითოეულად,
 ძველი არქიეპისკოპო-
 ზი ქართლისა და ახა-
 ლი ერთად აღსწერაო“.
 გვ. 53—54.

ამ ცნობების ერთ ნაწილს ტიმოთე იმეორებს ვახტანგ გორ-
 გასალის იერუსალიმში მოღვაწეობის გადმოცემისას, და იქვე
 დამატებით, კიდევ ერთ ახალ წყაროს—მელეტის „ისტორიას“ ასა-
 ხელებს¹.

¹ მიმოსლვა, გვ. 82*.

როგორც ვხედავთ, იერუსალიმის პატრიარქის მოწოდებული ცნობები „მიმოსღვის“ რედაქციებში საგრძნობლად სხვაობენ ერთმანეთისაგან. A რედაქციის ცნობა—ირაკლი ბერძენთა კეისრის მიერ ფოთის ეპისკოპოსის აფხაზეთის კათალიკოსად დასმის შესახებ—შემდგომ რედაქციებშიც გადავიდა. ამას B რედაქციაში დაემატა ცნობა ქართლის კათალიკოსის შესახებ. C რედაქციაში კი უკვე მოთხრობილია საქართველოს საკათალიკოსოს ჩამოყალიბების ვრცელი ისტორია, დაწყებული ევსტათი ანტიოქიის პატრიარქის მოღვაწეობით და ვახტანგ გორგასალით დამთავრებული.

C რედაქციაში ავტორმა ერთი მხრით გაასწორა B რედაქციაში დაშვებული ანაქრონიზმი¹, ხოლო მეორე მხრით შეიტანა ცნობები ევსტათი ანტიოქიის პატრიარქის საქართველოში მოღვაწეობის შესახებ და დაასახელა ამ ცნობების წყაროები: ხრიზანთე პატრიარქისა და მელეტის ისტორიები.

„მიმოსღვის“ C რედაქცია საქართველოში დაბრუნების შემდეგაა შეესებული და დაწერილი. ამიტომ წყაროებზე მითითება და დამატებითი ცნობები ტიმოთეს საქართველოში დაბრუნების შემდეგ შეუტანია. აქ განიზრახა მან პატრიარქის მოწოდებული ცნობების ადგილობრივ მოპოვებული წერილობითი წყაროებითა და მასალებით შეესება.

ცნობებს ევსტათი ანტიოქელის მოღვაწეობის შესახებ ტიმოთე ქართული საისტორიო წყაროებიდან მოიპოვებდა². საფიქრებელია, მას საქართველოშივე ხელთ ჰქონდა ხრიზანთეს და მელეტის ისტორიებიც, ვინაიდან ხრიზანთეს ის სხვა შემთხვევებშიც იმოწმებს³. ხრიზანთეს ისტორიის ქვეშ კი ტიმოთე უნდა გულისხმობდეს დოსითეოს პატრიარქის „იერუსალიმის პატრიარქთა ისტორიას“, დაწერილს 12 წიგნად⁴.

¹ B რედაქციაში ვახტანგ გორგასალმა დასვა „ქართლისა კათალიკოზი ნებითა კონსტანტინე მონომახისა“. ამის მიხედვით ვახტანგ გორგასალი კონსტანტინე მონომახის თანამედროვედ გამოდიოდა. C რედაქციაში კონსტანტინე მონომახი ცნობათა წყაროა მხოლოდ.

² იხ. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლის წერა. ქრონიკები, II, გვ. 58—59; ეფრემ მცირე, უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიქსენების. ქრონიკები, I, გვ. 36.

³ „სპეკალის“ წინასიტყვაობაში ანტონ I-ის დახასიათებისას ტიმოთე წერს: „ვითა ბერძენთა ზედა ხრიზანთოს, ეგრეთვე ქართველთა ზედან ანტონი...“ (A—1743, გვ. 5).

⁴ A. A. Лебедев, История греко-восточной церкви под властью турок, ტ. I, გვ. 2.

ხრიზანთე დოსითეოსის ისტორიის პირველი გამომცემელია. მან დოსითეოსის გამოცემისას ტექსტი საფუძვლიანად შეავსო და მოურიდებლად ასწორა, რის გამოც ერთგვარად თანაფტორობის უფლება მოიპოვა. ამიტომ დოსითეოსის ისტორია ხშირად ხრიზანთეს სახელითაც მოიხსენება¹.

ამგვარად, ტიმოთე იერუსალიმის პატრიარქს ქართული ეკლესიის ისეთ საკითხზე ესაუბრებოდა, რომელიც მართლმადიდებლური ეკლესიის ოფიციალურ წრეებში აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა და საუკუნეთა ზანძილზე ქართული პოლემიკური და ისტორიული მეცნიერების კვლევის ცენტრში იდგა, ვინაიდან უშუალოდ დაკავშირებული იყო ეკლესიის ავტოკეფალობასთან. ამ საუბრით ტიმოთეს სურდა გასცნობოდა ოფიციალურ წრეებში გავრცელებულ თვალსაზრისს და ამ საკითხზე შეეგროვებინა ცნობები ბერძნული საეკლესიო მწერლობიდან. ამავე გზით ტიმოთემ მოიპოვა თეორიული და წერილობითი დასაბუთება ქართლის მთავარეპისკოპოსისათვის ძველითგანვე მინიჭებულ დიდ უფლებებზე, რაშიც თვითონ იყო პირველ რიგში დაინტერესებული².

ზეპირი გზით მოპოვებული ცნობები ტიმოთემ საქართველოში დაბრუნების შემდეგ შეავსო ქართული მასალებით და ბერძნულ წყაროებზე მითითებით.

ვათაპედის მონასტერში ტიმოთე ვათაპედის აკადემიის რექტორის ევგენი ბულგარისის წინაშე აყენებს საკითხს ქართველთა და ესპანეთის იბერიელთა ნათესაობის შესახებ. ეს საკითხიც ქართველებს დიდი ხნიდან აინტერესებდათ. ჯერ კიდევ იოანე მთა-

¹ А. П. Лебедев, დასაზღვრებული ნაშრომი, გვ. 23.

დოსითეოსის „იერუსალიმის პატრიარქის ისტორიას“ თეიმურაზ ბატონიშვილიც ხრიზანთეს სახელთან აკავშირებს: „ხოლო ბერძულსა ისტორიასა შინა, რომელსა ეწოდება ისტორია, გინა მოთხრობა იერუსალიმისა პატრიარხთათჳს, რომელიცა ქმნილ არს და გამოცემულ დოსითეოსის მიერ იერუსალიმისა პატრიარხისა და აღბეჭდილ არს გულსმოდგინებითა ხურისანთეოსის მიერ იერუსალიმის პატრიარხისა, წიგნსა შინა 12, . . . მოუთხრობს“ (თეიმურაზ ბატონიშვილი, ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ე. ი. გიორგიისა, 1848, გვ. 103).

² ტიმოთეს, ჩანს, იერუსალიმის პატრიარქისათვის შეუჩივლია კიდევ ქართლის მთავარეპისკოპოსის უფლებათა დამცრობა: „მე ვეტყვადე, ვითარმედ: აწ მცირე ვინმე არს ქართლისა მთავარეპისკოპოსი. და ბრძენი იგი მეტყოდა: და ვითარ ვგებისო დამცრობა მისი, რამეთუ არს დამყარებული დიდისა ეგსტათის პატრიარქისა, მოციქულთა სწორისა და დიდისა კოსტანტინე მეფისა, და ვინ არს უმაღლეს მისა. რამეთუ მირიან მეფემანცა მუნ დასვა ყოვლისა საქართველოსა არქიეპისკოპოსი.—პატრიარქი იერუსალიმისა მეტყოდა ამით“ (გვ. 82 *).

წმიდელს ჰქონდა გადაწყვეტილი წასვლა ესპანეთის იბერიაში: „განზრახა ნეტარმან მამამან ჩუენმან იოანე, რაჟთა აღილოს ძე თუნი და რავდენნიმე მოწაფენი და ივლტოდის სპანიალ,... რამეთუ ასმიოდა, ვითარმედ ქართველნი არა-მცირედნი ნათესავნი და ერნი მკვდრ არიან მუნ. და ამის პირისათჳს წარვიდა ვიდრე ავიდლოსამდე, რაჟთა მიერ პოვოს ნავი, კერძოთა სპანიისათა მიმავალი, და წარვიდეს მუნ...“¹.

ქართველთა და ესპანეთის იბერიელთა ნათესაობის საკითხი, ეტყობა, ტიმოთეს ჯერ კიდევ საქართველოში აინტერესებდა და საამისოდ ცნობებსაც აგროვებდა: „ხოლო აღმომეკითხა წერილთა შინა ჩვენთა,—წერს ტიმოთე,—ვითარმედ ბერძულისაგან სპანთა ენათა ზედა ვსთარგმნეო, ქართველნი მთარგმელნი წერენ (ქართულთა უწესენ შპანიალ), ამისთვის ვიკითხევდი ეგვენიოს“².

ეგვენი ბულგარისის პასუხი ამ საკითხზე „მიმოსლვის“ რედაქციებში შემდეგნაირად არის წარმოდგენილი („მიმოსლვის“ A რედაქციაში ტიმოთე ერთხელ, ხოლო B და C რედაქციაში კი ორჯერ ეხება ამ საკითხს):

A

B

C

და ვკითხევდი თარ- 1. და კვალად ვკი-
გმანთაგან წერილთა თხევდი, ვითარმედ და რასათვის ქართ-
შინა, ვითარმედ ბერ- რასათვის ქართველ-
ძულისაგან შპანიუ- თა შპანია ეწოდების
რად ვთარგმნეო — და შპანიაელთა ქარ-
ქართულთა, იტყოდა. თველი. ხოლო იგი
და ამისთვის ვკითხე მეტყოდა, ვითარმედ

1. ვკითხევდი: ვითარ და რასათვის ქართ-
ველთა შპანია ეწო-
დების და შპანიაელთა
ქართველი? ხოლო იგი
უძველესისა ბრძნისა
ვისმე მელეტიოზისა

¹ გიორგი მთაწმიდელი, ცხორება იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა, 1946. გვ. 23—24.

² მიმოსლვა, გვ. 54—55. ათონზე შესრულებულ ძველ თარგმანებში გვხვდება ესპანეთის მაგიერად იბერიის ხმარება, ხოლო საქართველოს მაგიერად სპანიის. ასე მაგ.: თეოფილეს თარგმნილ თეოდოსი დიდის ცხოვრებაში ვკითხულობთ: „ჟოდონო რაჲ იყო მეფე ღრატინან საქმისა მისთჳს, თუ რაჲ ყოს, რამეთუ ძლევასა მას ზედა დიდად აღზევანეს ბარბაროზნი იგი და ძნელად საბრძოლელად იყენესცა და შერაცხილ იყენეს. ამისთვისცა დამხსნელად ბოროტისა მის მოიგონა თეოდოსის სპაჲსკეტობაჲ და მეყსეულად მოუწოდა საქართველოთ, რომელსა სპანიაჲ ეწოდების, და დაადგინა იგი ლაშქართა უზუცესად“. (A—1065, 3r).

ტიმოთე თავის ნაწერებშიც იბერიის მაგიერად სპანიას ხმარობს. ანტონ I-ის „საეკალის“ წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „საეკალსა ამას სამადლობელად მბადისა მიუწერს ღმრთისმსახურსა მეფესა სპანთა ივერთასა ბრძენსა და საფილოსოფოსთა სწავლითა აღმკულსა მეფესა, მჳნესა ირაკლის“ (A—1743, გვ. 5).

ევგენიოსა ფილოსოფოსსა, თუ ვითარ ქართველთა შპანია ეწოდების. ხოლო მან მომიგო, ვითარმედ წერილთა შინა აღმომიკითხავს, ვითარმედ ოჯრობასა ქართლისასა მეფე და ერნი ქართველნი მოსრულან შპანიას და მეფესა მათსა შპანიათასა ერქვა ქართველი. და კვალად განმრავლდა რა შპანია, წარვიდენ შპანიელნი ქართლად პირველ ქრისტეს მოსლვისა და ამისთვის უწოდეს შპანია ქართველთა.

62 v.

ჟამსა ალექსანდრე მაკედონელისასა შპანიაელნი მრავალნი მოსრულან ქართლს, რამეთუ მდინარესაცა მათსა ივერია ეწოდების, რომელ არს ქართლი. და კვალად ჟამთა ოჯრობასა ქართველნი წარსრულან მეფე და დიდებულნი შპანიად და მათნი მეფე და მთავარნი ქართველთა ნათესავნი არიან. და მასმოდა მე, ვითარმედ ალექსანდრემ ფრანგნი მცველნი დაადგინაო ქართლს, და აწ აზნაურნი მათგან დანაშთომნი არიანო. ქართლით გამეგონნეს, და შეეწამა სიტყვა ურთიერთარს. 58.

2. აღმომეკითხა წერილთა შინა ჩვენთა, ვითარმედ სპანთა ენასა ზედა ვთარგმნეო, ქართულთათვის იტყოდა. ამისთვის ვკითხევი რა ევგენიოს, იგი მეტყოდა, ვითარმედ არის წერილ-

წიგნისაგან აღმოიკითხედა და გვეტყოდა, ვითარმედ, ჟამსა ალექსანდრე მაკედონელისასა შპანიელნი მრავალნი მისრულან ქართლად, და კვალად ჟამთა ოჯრებასა ქართლისასა ქართველნი მეფე და დიდებულნი წარსრულან შპანიად, და მათნი მეფენი და მთავარნი ნათესავნი არიან ქართველთა, და მდინარესაცა მათსა ქართველთი ეწოდება. ხოლო მე მსმენოდეს ქართლით, ვითარმედ ალექსანდრე მაკედონელმან აღილო ქართლიო და მცველნი ფრანგნი განაწესაო ქართლად, და აწ აზნაურნი დანაშთომნი მუნითგან არიანო, და შეეწამა ესენი ერთად. გვ. 50.

2. ხოლო აღმომეკითხა წერილთა შინა ჩვენთა, ვითარმედ ბერძულისაგან სპანთა ენათა ზედავსთარგმნეო, ქართველნი მთარგმნელნი წერენ (ქართულთა უწესენ შპანიად), ამისთვის ვკითხევი ევგენიოს, ხოლო იგი

თა შინა მდებარედ, ვითარმედ ქართველნი მოსრულან შპანიად და დამკვიდრებულან და მეფესა შპანიისასა ქართველი ეწოდა. და კვალად შპანიელნი წარსრულან საქართველოთა შინა და მუნ დამკვიდრებულან; ამისთვის ქართველთა და შპანიელთა ნათესაობისათვის ურთიერთარს სახელი ეწოდების. და მისთვის მთარგმნელთა სახელი უნაცვლებია. ეს რა მესმა, მომეკსენა მე, რამეთუ მსმენოდა, ვითარმედ ქართველნი აზნაურნი საფრანგეთიდან არიანო მოსრული, რომელი დაადგინაო მცველად ალექსანდრე მაკედონელმან ქართლს. ესრეთ გაგვგონა მე ქართლით. 73r.

განგვიმარტებდა, ვითარმედ არის ძველთა წერილთა შინა მდებარედ, ვითარმედ ქართველნი მოსრულან შპანიად და დამკვიდრებულან, და უწოდეს მეფესა შპანიისასა ქართველი; და კვალად შპანიელნი წარსრულან საქართველოთა შინა და მუნ დამკვიდრებულან, ამისთვის ქართველთა და შპანიელთა ურთიერთარს სახელი, ენაცვლებიან. ესე რა მესმა, მომეკსენა ქართლში თქმული იგი, ვითარმედ აზნაურნი ქართველნი საფრანგეთიდან არიანო მოსრულნი, იტყოდენ. გვ. 54—55.

ცნობები „შპანიელთა“ შესახებაც „მიმოსლვის“ რედაქციებში სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი. ევგენი ბულგარისთან საუბრის შედეგად A ხელნაწერში შეტანილი ცნობა სქემაა, რომელიც ივსება და თანდათან ფართოვდება შემდგომ რედაქციებში. A რედაქციაში არ არის განსაზღვრული, თუ როდის მოხდა შპანიელთა მოსვლა საქართველოში, და ქართველთა წასვლა შპანიას. ზოგადად არის თქმული: „ოჯრობასა ქართლისასა მეფე

და ერნი ქართველნი მოსრულან და მეფესა მათსა შპანიათასა ერ-
ქვა ქართველი. და კვალად განმრავლდა რა შპანია, წარვიდენ
შპანიელნი ქართლად პირველ ქრისტეს მოსლვისა“.

„მიმოსლვის“ B რედაქციაში ტიმოთეს დამატებით შეაქვს.
ის ცნობები, რომლებიც მას საქართველოში გაუგონია: „და მას-
მოდა მე, ვითარმედ ალექსანდრემ ფრანგნი მცველნი დაადგინაო.
ქართლს, და აწ აზნაურნი მათგან დანაშთომნი არიანო. ქართლით-
გამეგონნეს და შეეწამა სიტყვა ურთიერთას“.

ტიმოთეს მიერ მეხსიერებით აღდგენილი ეს ეპიზოდი „ქართ-
ლის ცხოვრებიდან“ მომდინარეობს. „ქართლის ცხოვრებაში“
ეკითხულობთ: ქართლი „დაიპყრა ალექსანდრე, მოსრნა ყოველნი
იგი ნათესავნი აღრეულნი ქართლს მყოფნი,... და დაუტევა მათ
ზედა პატრიაქად სახელით აზონ, ძე იარდოსისი, ნათესავი მისი,
ქუეყნით ჰრომი, რომელსა ჰქუიან ფროტათოს. ესე ფროტათოსელ-
ნი იყუნეს კაცნი ძლიერნი და ეკირთებოდეს ქუეყანასა ჰრომი-
სასა, და მოიყუანნა ქართლად, მისცნა აზნოს პატრიარქსა და და-
უტევა აზონ ქართლის ერისთავად, მის თანა სპანი იგი მპყრო-
ბელად ქართლისა“¹.

„ქართლის ცხოვრების“ ეს ეპიზოდი ქრონოლოგიურად გა-
რკვეულია. ვინაიდან ეს ეპიზოდი ზოგადად „შეეწამა“ ევგენის.
მოთხრობილს, ამიტომ ტიმოთემ „ქართლის ცხოვრების“ თარიღი-
ევგენის თხრობაზეც გაავრცელა (B რედაქციაში).

„მიმოსლვის“ C რედაქციაში ტიმოთეს გადმოაქვს B რედაქ-
ციის ცნობები, ოღონდ ამ რედაქციისაგან განსხვავებით და და-
მატებით ასახელებს ევგენის ცნობების წყაროს: „ხოლო იგი
უძველესისა ბრძნისა ვისმე მელეტოზისა წიგნისგან აღმოიკითხევდა
და გვეტყოდა“.

ამგვარად ევგენის ცნობების წყარო „მელიტიოზი“ ამ შემთხვე-
ვაშიც პირველად „მიმოსლვის“ C რედაქციაში ჩნდება.

¹ ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა, ანაჟული, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით,
1949, გვ. 12—13.

ქართლში, როგორც ჩანს, ანალოგიური ცნობები ფრანგ და ლათინ
მისიონერთა საშუალებით ზეპირადაც ვრცელდებოდა. ამას მოწმობს „მიმოსლვის“
ბაგრატ ბატონიშვილისეული ნუსხა, რომელსაც ბაგრატ ბატონიშვილის შენიშე-
ნებმ გააჩნია. სპანიელთა საკითხთან დაკავშირებით ბაგრატ ბატონიშვილი სქო-
ლიოში შენიშნავს: „ვითარცა პატრი ფილიპემ ფრანციცმან, პირველმან ექიმმან-
მამისა ჩემისა მეფის გიორგისამან, მომითხრა მე,—თუშნი მოსრულნი არიანო
ევროპიით, დოსკანიიდან, და ქაფაჩინცა ლეკნი. ეგრეთვე ვითარცა დღესაცა ჰქვიანო-
ადგილითა მათ დუსია და კოპანი, ჩვენს ძველს ისტორიაში ასრე სწერიათ. ხო-
ლო ესეცა ემოწმების ამას. მეფის გიორგის ძე ბაგრატ“ (H—2107, გვ. 124).

თუ რომელ მელეტის გულისხმობს ტიმოთე—მელეტი ანტი-ოქელს, თუ მელეტი ათენის მიტროპოლიტს (გარდაიცვალა 1714 წ.)—ეს საძიებელია. გასაკვევია აგრეთვე: არის თუ არა მელიტი ნამდვილად ევგენი ბულგარისის ცნობათა წყარო¹.

ამგვარად, ტიმოთეს წყაროებზე მუშაობის ზემოთ მოყვანილი შემთხვევების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ტიმოთეს მისთვის საჭირო მასალა და წყაროები (ზეპირი თუ წერილობითი) ძირითადად მოგზაურობის დროს მოუპოვებია. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ქართულ ხელნაწერს, ეპიგრაფიკულსა თუ სხვა ნივთიერი ხასიათის მასალას, რომელსაც ტიმოთე საგანგებოდ ეძებდა. ეს მასალა, როგორც მნიშვნელოვანი პირველწყარო, ტიმოთემ უცვლელად შეიტანა „მიმოსღვის“ ყველა რედაქციაში. სხვაგვარად იქცეოდა ტიმოთე ზეპირი გზით მოპოვებული ისტორიული ცნობების მიმართ. ტიმოთესაზრით ამ მასალას დაზუსტება და წერილობითი დადასტურება ესაჭიროებოდა. რის გამოც ის ამ საკითხებს საქართველოში დაბრუნების შემდეგ კვლავ უბრუნდებოდა და უკვე ადგილობრივ ეძებდა მასალას მისთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში. ახლად მოპოვებული მასალით ტიმოთე სცვლიდა და ავსებდა „მიმოსღვის“ C და B რედაქციებს.

შესავალში წყაროების შესახებ ტიმოთე ზოგადად წერს: „წარვედ იერუსალიმად და მთაწმიდად, სამღვდელთა მათ წმიდათა ადგილთა, და ვიხილენით და აღმოვიკითხენით ქირმრავლობით ნაღვაწნი მამათა ჩვენთა ქართველთანი“—ანდა—„რაოდენნი შევიტყვენით იერუსალემისათვის და მთაწმიდისა და სხვათა მონასტერთათვის, და ადგილისათვის საწამებელსა წმიდათა მოწამეთასა და სადგურთათვის ღირსთასა და სხვათა მრავალთა ადგილთა, ამბავნი ხილულნი და ანუ სარწმუნოდ სმენილნი აღვსწერენით“².

ტიმოთეს მიაჩნია, რომ მისი ნაშრომის ღირსება ისაა, რომ ის თვითმხილველი, თვითმსმენელი და აღმოვიკითხველია იმ ამბებისა, რომელსაც ის აღწერს. ამიტომ ის ცდილობს, ამ გზით მოპოვებული მასალა რაც შეიძლება მეტი შეიტანოს და დაიმოწმოს „მიმოსღვაში“ და ამით გაზარდოს მისი, როგორც ისტორიული წყაროს, მეცნიერული ღირებულება. ამით უნდა აიხსნას ის გარე-

¹ ესპანელთა საკითხთან დაკავშირებით თვითმურაზ ბატონიშვილიც თავის ისტორიაში, სხვა წყაროებთან ერთად, მელეტისაც ასახელებს (იხ. ისტორია დაწვებითან ივერისა, ე. ი. გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოჲსა, 1848, გვ. 13).

² მიმოსღვა, გვ. 4.

მოებაც, რომ ტიმოთე მოგზაურობის დროს მოპოვებულად აცხადებს იმ ცნობებსაც, რომლებიც, უფრო საფიქრებელია, მან საქართველოში მოიპოვა.

იმის შემდეგ, რაც გავეცანით ტიმოთეს მუშაობას „მიმოსღვის“ რედაქციებზე, მის ფილოლოგიური კვლევის მეთოდებს, ერთიმხრით, და „მიმოსღვის“ წყაროებსა და ამ წყაროებით სარგებლობის წესს, მეორე მხრით, შეიძლება ტიმოთეს „მიმოსღვა“ შევაფასოთ XVIII საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევების თვალსაზრისით.

XVIII საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის სწრაფ განვითარებას ნიადაგი მოუშადა XVII—XVIII სს. საქართველოს პოლიტიკურმა და კულტურულმა ვითარებამ.

XVII—XVIII სს. საქართველოში „ფიზიკურ საშუალებათა გვერდით თანდათან შემუშავდა მტრის შემოტევის წინააღმდეგ, იდეური ბრძოლის საშუალებანი. თანდათან ჩამოყალიბდა იდეურ-პოლიტიკურ მოღვაწეთა ძლიერი დასი,—პოეტ-ლიტერატორები, მეცნიერ-ისტორიკოსები, სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწენი. სათანადო მებრძოლი მოტივები გაჩნდა პოეზიაში (არჩილი, იოსებ თბილელი), საამისოდ გაიმართა ისტორიაც („ახალი ქართლის ცხოვრება“), გაჩაღდა მაჰმადიანობის წინააღმდეგ პროპაგანდა (იაკობ ღუმბაძე), დაიწყო ქრისტიანობის აღდგენისაკენ მიმართული ენერგიული მოქმედება (არჩილი, ვახტანგ VI, დომენტი)“¹.

ეროვნული ისტორიისადმი ინტერესი, მისი გულრმავებული შესწავლა და აღწერა მკიდროდ იყო დაკავშირებული ქვეყნის საერთო აღორძინებასთან, რომელიც აშკარა გახდა XVII ს. მეორე ნახევრიდან, და იმ ახალ პოლიტიკურ კურსთან, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ XVII ს. მიწურულისა და XVIII ს. დამდეგის შესანიშნავი სახელმწიფო მოღვაწენი თავიანთ საგარეო თუ საშინაო საქმიანობაში.

საქართველოს ისტორია ამ ხანის ისტორიკოსებს ესმოდათ, როგორც ერთი მთლიანი პოლიტიკურ-კულტურული ორგანიზმის ისტორია. ისტორიის ამგვარი გამართვა სავსებით შეესაბამებოდა.

¹ ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1944, ნაკვ. 1, გვ. 173—174.

„ქართველობისათვის ბრძოლის პოლიტიკას“. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ვახუშტის „საქართველოს ისტორია“. ვახუშტისათვის ისტორია პატრიოტული მოთხრობაა: „მატიანე განამწნობს კაცსა და ერთვულ ჰყოფს ქვეყნისად“. მისი ისტორია გამსჭვალულია პატრიოტულ-პოლიტიკური მოტივებით ისევე, როგორც მოწინავე ქართველი ისტორიკოსების: არჩილის, პაპუნა-ორბელიანის, „ქართლის ცხოვრების“ გადანეკთებლის და სხვა ნაწარმოებები. ყოველივე ეს ვახუშტის „ისტორიას“ ანიჭებდა „ეროვნული ისტორიის“ თვისებებსა და მნიშვნელობას¹.

ასევე საერთოქართული, ეროვნული პოზიციებიდან უყურებდა და აფასებდა ტიმოთე საზღვარგარეთის ქართულ კულტურულ კერებს და მათ საქმიანობას.

ტიმოთე გაბაშვილი იდეოლოგიურად, ისტორიული ინტერესებითა და კვლევის მეთოდებით ქართველ ისტორიოგრაფთა იმ კოლექტივს უნდა მივაკუთვნოთ, რომელმაც ვახტანგ VI-ის მეთაურობით დასახა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ახალი გზები და გაამდიდრა ქართული ისტორიოგრაფია ისეთი ნაწარმოებებით, როგორცაა „ახალი ქართლის ცხოვრება“ და ვახუშტის „საქართველოს ისტორია“. ამ კოლექტივის მოღვაწეობა, რა თქმა უნდა, არ შემოსაზღვრულა ვახტანგ VI-ის ზეობის ხანით.

XVIII საუკუნეში, ქართული ისტორიოგრაფიის სწრაფი წინსვლისა და განვითარების საუკუნეში, ბუნებრივია, ყურადღებას მიიპყრობდა საქართველოს ისტორიის ისეთი მდიდარი, მაგრამ შეუსწავლელი უბანი, როგორც იყო ქართველთა მოღვაწეობა საზღვარგარეთის კულტურულ-სამონასტრო კერებში.

ამ საკითხების შესწავლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ქართული კულტურის ისტორიისათვის, არამედ საქართველოს პოლიტიკურისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიის შესასწავლადაც.

შემთხვევითი არ არის, რომ ჯერ კიდევ „სწავლულ კაცთა“ ნაწრომში, ხოლო შემდეგ უფრო მეტად ვახუშტისთან, დიდი ადგილი ეთმობა საზღვარგარეთის და განსაკუთრებით ათონის საეკლესიო მოღვაწეებს და ათონის სკოლის ისტორიას.

თუ ტიმოთეს მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ისევე როგორც მთელი მისი დიპლომატიური მოღვაწეობა, დაკავშირებული იყო ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერესებთან, მოგზაურო-

¹ ვ. გაბაშვილი, ვახუშტი მე-17—18 სს. ისტორიოგრაფიის სინათლეზე, ანალები, I, 1947, გვ. 120.

ბის დროს მის მიერ ჩატარებული მუშაობა ქართველთა საზღვარგარეთის კოლონიების შესწავლის მიზნით ნაკარნახევი იყო მისი დროის საქართველოს ისტორიისადმი გავრდილი ინტერესით და ქართული ისტორიოგრაფიისადმი წაყენებული ახალი მეცნიერული მოთხოვნისაგან.

ტიმოთე გაბაშვილს აინტერესებდა საქართველოს ისტორიის ის საკითხები, რომლებიც აღელვებდა და აინტერესებდა ქართველ ისტორიკოსებს XVIII ს. მანძილზე, ძირითადად ესენია: გენეოლოგიური ძიებები, ქართული ეკლესიისა და საეკლესიო მოღვაწეთა ღვაწლი ქართულ ეროვნულ ისტორიასა და კულტურაში. ამ საკითხების დამატებისა თუ გაშლის გზით წარმოებდა XVIII ს. მანძილზე „ქართლის ცხოვრების“ რედაქცია: „რედაქტორები უმთავრესად ცდილობდნენ შეეტანათ ქართლის ცხოვრებაში დამატებითი ხასიათის მასალები ქართველთა გაქრისტიანების, ქართული ეკლესიის ჩამოყალიბებისა და მისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის შესახებ“¹.

ისტორიულ-კულტურული მოვლენების კვლევისა და შესწავლის დროს ტიმოთე „სწავლულ კაცთა“ და ვახუშტის მიერ დამკვიდრებული მეთოდებით სარგებლობდა.

ჯერ კიდევ „სწავლულ კაცთა“ კომისიამ თავისი მოღვაწეობა ისტორიის დარგში ისტორიული ძეგლებისა და სხვა სახის ისტორიული მასალების შეგროვებით დაიწყო: „დოკუმენტების გამოყენებით „სწავლულ კაცებმა“ სათავე დაუდვეს ქართულ ისტორიულ მეცნიერებას. ეს იყო ერთი მნიშვნელოვანი პირობათაგანი სამეცნიერო-საისტორიო შემოქმედებისათვის. ყველგან ამით გაიბა გზა ისტორიის ცოდნიდან ისტორიის მეცნიერებისაკენ“².

საისტორიო მეცნიერება განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა ვახუშტიმ: „ვახუშტიმ ნიჭიერად აითვისა ძველი ქართული საისტორიო მწერლობის მდიდარი ისტორიული მემკვიდრეობა, რაციონალურად გამოიყენა „სწავლულ კაცთა“ მიღწევები... გააუმჯობესა, დახვეწა და განავითარა მათ მიერ მარტივად გამოყენებული საისტორიო მეთოდები (ისტორიული მასალების წინასწარი შეგროვება-შემოწმება, დოკუმენტებით სარგებლობა, ქრონოლოგიური და გენეალოგიური რიგის ძიებანი) და ახლებურად გაძარტა „საქართველოს ისტორია“, მაგრამ თავის მხრივ ვახუშტის ქართულ ისტორიოგრაფიაში შემოაქვს ისტორიის წერისა

¹ კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, ახალი ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი, 1954, გვ. 287.

² ვ. გა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 63.

და შედგენის ახალი, მანამდე უცნობი მეთოდები, აფართოებს ისტორიულ თემატიკას, აზოგადებს ისტორიულ ფაქტებს, საისტორიო თხზულების კომპოზიციაში შეაქვს ახალი შემადგენელი ელემენტები (კრიტიკულ-ისტორიული შესავალი, ცალკეული საკითხებისათვის გამიზნული ნაკვეთები, რეალური კომენტარები, საძიებლები და რუკები) და ამით განვითარების სრულიად ახალ გზაზე გამოჰყავს ქართული ისტორიოგრაფია¹.

ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვა“ თავისი ფორმით მხატვრულ ლიტერატურას მიეკუთვნება, მაგრამ ისტორიული მასალის დამუშავებითა და გააზრებით ის ისტორიული თხზულებაა, თავისი დროის ისტორიული მეცნიერების უკანასკნელ ზოთხოვნილებათა მიხედვით გამართული. ჩვენ ზემოთ დავინახეთ, თუ რა დიდ დროს უთმობდა ტიმოთე თავისი მოგზაურობის დროს წერილობითი და მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლას და რა ფართოდ იყენებდა მის მიერ მოპოვებულ მასალას „მიმოსლვაში“. ამას ერთი მხრით შესასწავლი საკითხის სპეციფიკაც მოითხოვდა. იმის გამო, რომ ტიმოთეს მოგზაურობის დროს ათონსა და იერუსალიმში ქართველთა ძველი სამფლობელონი ქართველთა ხელში აღარ იყო და საფუძვლიანად წაშლილიყო ქართველთა წარსული უფლებების კვალი, განსაკუთრებით მწვავედ დაისვა ტიმოთეს წინაშე წყაროების მოპოვებისა და დამოწმების საჭიროება.

გამოყენებული წყაროების მრავალფეროვნებით და წყაროთა გამოყენების წესით ტიმოთე ახლოს დგას ვახუშტისთან. „ვახუშტის მიერ გამოყენებული ქართული წყაროები, საქართველოს ძველი ისტორიის მოთხრობისათვის, მრავალმხრივი იყო. იგი იყენებდა არა მარტო საისტორიო ხასიათის თხზულებებს, არამედ სახელმწიფოებრივი სამართლის ძეგლებს, გუჯარებს საეკლესიო მოღვაწეთა ცხოვრებას, ორიგინალურ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებსა და ქართული ეკლესიის ისტორიისათვის სხვა მნიშვნელოვან წყაროებს... ზოგი მნიშვნელოვანი ფაქტის დასადგენად მეცნიერ ბატონიშვილს არ აკმაყოფილებდა მარტო ქართული წყაროების მითითება და ამ მიზნისათვის იგი უჩუბურსაც იშველიებდა“². უცხოური წყაროებიდან ვახუშტი უმთავრესად „ბერძნულ ხრონოლორაფის“ იყენებდა³.

¹ ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 65.

² შ. მესჭია, ვახუშტი და ძველი საისტორიო მწერლობა: ანალები, I, 1947. გვ. 47.

³ სამუშაოდ სამეცნიერო ლიტერატურაში ვახუშტის წყაროები არ არის საფუძვლიანად შესწავლილი. არ არის გარკვეული, თუ „ხრონოლორაფის“ რომელ რედაქციას ვულისხმობს ვახუშტი „ბერძნული ხრონოლორაფის“ ქვეშ.

„ბერძნულ ხრონოლოგას“ (არჩილის რედაქციისას), როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროს, ტიმოთეც საგანგებოდ სწავლობდა, აკონსპექტებდა, იყენებდა და იმოწმებდა „მიმოსლვაში“. ტიმოთეს უსარგებლია აგრეთვე ბერძნულ ენაზე დაწერილი „წმიდა ადგილთა“ აღწერილობით.

მსგავსად ვახუშტისა, ტიმოთეც სანდო ისტორიულ წყაროდ მიიჩნევს და ფართოდ იყენებს ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებს და ქართულ ისტორიულ თხზულებებს.

ვახუშტის ისტორიისათვის დანახასიათებელი ელემენტები: კრიტიკულ-ისტორიული შესავალი, ცალკეული საკითხებისათვის გამიზნული ნაკვეთები, რეალური კომენტარები¹ გვხვდება ტიმოთეს „მიმოსლვაში“, მიუხედავად იმისა, რომ ის არ არის წმინდა ისტორიული ხასიათის ნაშრომი.

„მიმოსლვა“ შედგენილია გარკვეული გეგმით. შესავალში ჩამოყალიბებულია ავტორის მიზანი, მუშაობის მეთოდი და მითითებულია წყაროები, „მიმოსლვის“ ტექსტი კი განიყოფა ორ ნაწილად:

ა) ათონზე მოგზაურობის აღწერა.

ბ) იერუსალიმში მოგზაურობის აღწერა.

პირველ ნაწილში ცალ-ცალკე თავად არის გამოყოფილი ათონის თითოეული მონასტრის აღწერა, მეორე ნაწილში კი ცალკეა გამოყოფილი ქართველთა მოღვაწეობა იერუსალიმში.

ტიმოთე არ კმაყოფილდება მარტო აღწერით. ის თვალსაჩინოებისათვის მიმართავს გეგმებსა და ნახატებს. „მიმოსლვის“ პირველ რედაქციას ტიმოთემ დაურთო მის მიერვე შედგენილი ათონის ივერიის მონასტრის გეგმა, მეორე და მესამე რედაქციებს კი იერუსალიმის მონასტრების კედლის მხატვრობის პირები—იერუსალიმში მოღვაწე ქართველ მეფეთა სურათები.

ამგვარად, ტიმოთე გაბაშვილი კვლევის იმავე წესებს მიმართავს, რითაც სარგებლობდნენ „სწავლულ კაცთა კომისია“ და ვახუშტი, რის გამოც „მიმოსლვა“, როგორც ისტორიული ნარკვევი, მისი დროის ისტორიოგრაფიის მოთხოვნილებათა სიმაღლეზეა.

ტიმოთე თავისი დროის ტიპური წარმომადგენელია. XVII ს. მეორე ნახევარსა და XVIII ს. პირველ მეოთხედში ქვეყნის ეკონომიურმა და პოლიტიკურმა წინსვლამ, მეცნიერებისა და კულტურის ყველა ფრონტზე გაშლილმა ინტენსიურმა მუშაობამ გამოკვეთა მთელი თაობა საზოგადო და კულტურული მოღვაწეებისა ეპოქისათვის

¹ ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 65.

დამახასიათებელი თვისებებით. ესენი არიან ქვეყნის პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ადამიანები, ენერგიული და მოქმედი სახელმწიფო მოღვაწენი, ქვეყნის სვე-ბედზე მზრუნავნი და ამავე დროს მეცნიერები, პოეტები, მწერლები, გეოგრაფ-კარტოგრაფები, მხატვრები. მათთვის მეტად დამახასიათებელია ფართო ინტერესი მეცნიერების მრავალი დარგისადმი და ერთგვარად უნივერსალური განათლებაც. არჩილ მეფე, საბასულხან ორბელიანი, ვახტანგ VI და ვახუშტი დიდი მასშტაბით სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასთან ათავსებდნენ ლიტერატურულსა და ფართო მეცნიერულ მუშაობასაც.

ვახტანგის დროის მოწინავე ადამიანებისათვის დამახასიათებელი ზემოთ ჩამოთვლილი თვისებები ტიმოთესაც აქვს.

მღვდელმთავრის სამოსელს არ შეუშლია ხელი ტიმოთესათვის, რომ იგი ყოფილიყო დიდი პატრიოტი, სახელმწიფო მოღვაწე და გამოცდილი დიპლომატი, გამსჭვალული თავისი დროის მოწინავე პოლიტიკური იდეებით, მგზნებარე პოლემიკოსი, მწერალი, ისტორიკოს-არქეოლოგი, კარტოგრაფი და მხატვარი.

მ ი მ რ ს ჯ გ ა
ტ ა ქ ს ტ ო

[5] სამარადსაგონებელ ჩემდა იყენეს, თუ ვითარ არასაზღვეო იყოს ზენაისთვის მორფვა სიტყვათა, და კვალად დაქსნილობითა და უდბად ცხოვრებულთაგან არაშესამგზავს არს ტკივილთმოყვარებით მოსწრაფება საღმთოსა რაღსმე და ღმთივშევენიერთა გამოცხადებათასა მითხრობა და არცა თუ კმაყოფად სიტყვათა ქონებისათა მიმოგონებად ვერ შემძლეთა და უღონობათა ენისათა და მრავალმღელვარისა სოფლისა გულის სიტყვათა მომღებთა, ესე ვითართა ვითარ არა სცონოღის გამოთქმად უზეშთაესთათვის, რათა არა ვითარცა ლაღსა და კადნიერსა განმზადებული რისხვა და ძვირის ხიღვა მოატყვას თავსა, არამედ უმჯობეს, რათა ღუმილითა განვღოს ასპარეზი საწუთოსა, ვითარცა მე ესერა კადნიერად და ურიდად ქელ-ვყავ საღმთოთა ლექსთა განმარტებად მონაზონებისა სახისა უღირსმან ტიმოთე იერუსალიმელმან. ხოლო ჭიზღუღმა ამათთვის ესე, რამეთუ მაწვევდა შინაგანთა ჩემთა სიყვარული ძმობისა და ერთსულითობისა ქვეყანისაგანთა ჩვენთა და კვალად დავიწყებებისათვის მათგან მპყრობელობასა წმიდათა ამთადგილთასა. ამისთვის მელმოდა, თუ ვითარ მეფენი საქართველოსანი ჟამთა მათ შინა მეპატრონე და მპყრობელ სრულიად იერუსალიმისა და პალესტინისა ქმნილ არიან, და მაღალ და ძლიერ ყოფილ არს ნათესავნი საქართველოსანი; და აწ ესეოდენ დაკნინებულ არს, გარეშემონი ჩვენსა მპყრობელნი სიტყვისა რაღსამე ჩვენდა მოცემად არამკადრე არიან.

ამათ და ესე ვითართა მიზეზმან ღუმილი აღმიქსნა და დავიწყე მცირეთა რაღთმე წიგნაკთა ჩხრეკსიტყველობად და მიგიძღვანენ თქვენ, ბრძენთა და მეცნიერებით განმსჭვრეტთა საღმთოთა და სამეცნოთა საქმეთათა, ვითარცა სახიერთა ძმათმოყვარეთა და მღუმრიად მიმტყვებელთა ხიღულთა ანუ სმენილთა ცთომათასა, შედგომილთა სახისაებრობისა კაცთმოყვარისა ღმთისათა მამათა და ძმათა სავსებისა შორის საქართველოსათა, ღირსად ჩინებულთა და ხარისხთა მეცნიერებისათა მღგომარეთა სამღვდელთა და სა-

ეროსა. ამა წიგნაკისა აღმომკითხველთა გვედრებით, რათა მოჰყოთ ყური სიტყვათა ჩემთა, რამეთუ წარვედ იერუსალიმად და მთაწმიდად, სამღვდელთა მათ წმიდათა ადგილთა, და ვიხილენით და აღწმომოვიკითხენით ჭირმრავლობით ნაღვაწნი მამათა ჩვენთა ქართველთანი, და ფრიად განკვირებულ ვიყავ მათთვის, რამეთუ იგავადცა არა მსმენოდეს ესენი, რაოდენიცა მე აქა მათთვის აღვსწერენ. და აქა მოსრულნი ქართველი ვინმე რასათვის ამათვის არა გამოეძიებდა! და აღვსწერენით, რაოდენნი შევიტყვევით იერუსალიმისათვის და მთაწმიდისა და სხვათა მონასტერთათვის და აღგლისათვის საწამებელსა წმიდათა მოწამეთასა და სადგურთათვის ღირსთასა და სხვათა მრავალთა ადგილთა, ამბავნი ხილულნი და ანუ სარწმუნოდ სმენილნი აღვსწერენით.

სხვანი მამათა მიერნი სწავლანი, დაკარგულნი საქართველოთა შინა, მოვიძიენით და აღვსწერენით, და ზოგნი რაჲმე მე ვიუგბილმეტყველენ სწავლანი. დვირისა ვერა გამცდელმან წველისა ზრახვა რაჲმე აღმოვთქვი, ამისთვის საწად, რათა ჩემებრ უგბილთა საქმარად. და სხვა ზოგსმე უმაღლესი ძალისა ჩემისა რაჲმე ღმთისმეტყველებითათვის და საღმთოთა სჯულთათვის ვისიტყვეთ და არა თუ თავით ჩემით რაჲმე შევაწყვე, არამედ ბრძენთა უზენაესთაგანთა მეცნიერთა მიერ გამოკვლეულნი, რამეთუ ვიყავ მრავალ[წ]თა ქვეყანათა მხილველი და მრავალთა ბრძენთა და ფილოსოფოსთა თანამოზრახე და მათ მიერთთა კითხვითა და განმარტებითა და კაცთა სულიერთა და სარწმუნოთა სულთა უწყებითა აღვსწერენით. მაშინ ესენი სარწმუნოდ და ქრისტესში სასოებად განვმარტენ მშვიდობისათვის და სიყვარულისა და ეგრეთ წარუგზავნე საქართველოთა. ამისთვის გვედრებით, უფალნო ჩემნო ქრისტეს მოყვარენო საქართველოთაგანნო, რათა მიმთხვევისათვის და აღმოკითხვისა შენდობისა თქვენმიერისა წილ ყვედრება არა მოვილო. ამისთვის ვიშიშვით და წმიდათა ცხოვრებასა თქვენსა შემოვავედრებ მცირათა ამათ სიტყვათა ჩემთა, რათა არა უგულვებელს ყოთ. უკეთუ რაჲმე სულთა შესამატი სიტყვა იხილნოთ, შენდობასა ჰყოფდით სიყვარულისათვის მისისა, რომელმან სისხლითა საუკუნო* ვსნა მოგვანიჭა და, უკეთუ ცთომილად საგონებელი რაჲმე იხილოთ, პირველად ღრმად განსჩხრიკეთ მეცნიერთა; და კვლად უკეთუ ცთომილვე იყოს, შენდობასა ვითხოვ, რამეთუ არავინ არს უცთომელი თვინიერ ღმთისა. და მე მას ეამად, სარწმუნოდ ირწმუნეთ, არავინ უწყოდი უმეტა-

* აქედან იწყება „მიმოსლვის“ B რედაქცია (11).

რი და ცოდვილი ჩემებრ, ყოველთა უკინესი ვიყავ, რამეთუ მას [7] ჟამთა უბრძნესნი საქართველოთანი სამძღვრით და მიღმოგონებით განმარტებდეს სწავლისა სიტყვათა და ეგრეთ ასწავებდეს ერთა. და უმეცარნი საღმთოთა მცნებათაებრ მდაბლად მღუმარეობდეს, და ორნივე ესე სასყიდელსა მოისთვლიდეს. ხოლო მე ორთაგანვე დაკლებულ ვიქმენ, ნუჟუკვე ვერცა კეთილად აღქოვსთქვი და დუმილით სიმდაბლისაგანაცა გამოვექვი. აღვსწერენით მინდობილმან ღირებათა თქვენთამან, რათა ნაკლულევაანებისათვის მომტევებელ იქმნეთ და შენდობა ცისკროვნებისაებრი გარდამოადინოთ. ერთტომობისათვის თვისებრივისა მოწყალე იქმნეთ, სიმკვდოვნსაარებულობა ჩემი იღმთ, რათა თქვენცა ესეთთა ძმათმოყვარეთა ნათელმან ნათლისაგანმან განიქოს სიმრავლე მზეგრძელობათა და მუნ წიალ მტედ ინაჯად აბრამეანთა ტაბლათა მსუფევეთა უფალმან გასვასთ სასმელი მაუკედავებელი და ადგილი მწვანედნი გიუნჯნეს სასუფეველსა მკვიდრობისა მისისასა.

მეტრფენი განმორებად და უცხოებად და მიმოსლვად უცხოთა ადგილთა და უცხოებასა შინა თხოვად ტკივილთმოკვარებით ღმთისაგან, რათა უვნებლად დაიცვას და საწადელსა თუსაღირსსა უოს და იხილენეს სამარტვირონი და ნიშნებმემოსილნი ადგილნი წმიდათანი, და მუნ ხილულნი და სმენილნი აღეწერებოდედ ერთა სარგებელად და აღსაშენებელად სულთა მორწმუნეთასა, ამისთვის წიგნსა ამას ეწოდების ეზო*

[9] მარადის სასურვოდ და საწადად დავიდევ წინაშე თვალთა გონებისა ჩემისათა უღირსად ცხოვრებულისა ამის თავისა ჩემისათვის ლტოლვა¹, ვინამე კვალად ტვირთძიმეობა ბრალეულობათა ჩემთა სამარადჱსენებად მომივიდოდეს, ამისთვის მწირობად და უცხოებადმი წარსლვის ჯელყოფად ვისწრაფდი და აღსლვად წმიდად ქალაქად იერუსალიმად, თაყუანისკემად ცხოველსყოფელსა საფლავსა უფლისასა, და მთად წმიდად და მქათად სინად.

25 მოხილვად სინად, მოხილვად საცხოვრებელთა მათ და სენაკებთა წმიდათა მამათა ჩვენთასა და ალაგებსა მას წმიდასა, პირმიწადადებად კვარცხლბეკსა მას ღმთისა განგებათასა და მათ შინა ცხოვრებულთა მამათა შევრდომად, ადგილის მცველთა წმიდათა მამათა ჩვენთასა, რამეთუ განცდითა და კურთხევიდა მათითა რუ-

20 დუნეული და უდბი ცხოვრება ჩემი მირულებული ცოდვითა განვადვიძო და მით საარებული თავი ჩემი ნუგეშეულ ვყო და ვირჩიო მე მივრდომა სახლსა ღმთისა ჩემისასა, არამედ სასურვ-საწადისა ამის ჩემისათვის ჯერეთ მოცალება და ეამნი არა მომეგნეს.

ხოლო წელთა 1755, ოდეს განაგებდა საქართველოთა ცხებულთა ჰრისტეს მოყვარე მეფე თეიმურაზ და პირმშო სახელოვანი ძე მათი ღმთისმსახური მეფე საქართველოთა უფალი ირაკლი, მო-

* სათაური აღდგენილია B ხელნაწერის მიხედვით.

მესენებელ ვიქმენ მეფობისა მათისა და ვიჯმენ მუნით და მათ მი-
ერთა საბოძერთა და ქარტითა—განმტკი[10]ცებისათვის უცხო-
ებად შორმგზავრობისა ჩემისა—კმასაყოფელი აღვიღეთ და მოვიწი-
ენით სამცხეს, ქალაქსა ახალციხეს, სხლსა ფაშა ათაბაგისასა. და
ცნეს რა მისლვა ჩვენი, კაცნი მოგვაგებნეს და განგვიშადნეს სა- 5
ვანენი და საზრდონი ჯერისაებრნი. და ამისა შემდგომად მოგვიწო-
და ფაშამ სადგურად და სრად თვისად და გვითავაზა, წესისაებრ მა-
თისა, თითოფერთა ნუგეშითა. და კვალად სხვასა ჟამსა მივიდით
და ვზრახვედით გზისა სლვისათვის უმჯობესსა, და იგი ზღვით და-
ამტკიცებდა მგზავრობასა ჩვენსა. და აღვიწერა თურქთა ენითა ეპი- 10
სტოლენი კოსტანტინეპოლედ: ერთი ჯელმწიფისათვის სულთანისა,
და ერთი ვეზირისათვის და კარის კაცთა, სხვა—შეწყნარებისათვის
ჩვენისა და პატივისა. და წარმოგვატანა ბეგი ერთი თათარი და
წიგნები კმასაყოფელი. და წარმოვედით ახალციხით² და მოვიწი-
ენით მონასტერყოფილსა ზარზმას და გარემოს სო[ქ]ტლებსა მისსა; 15
დღესასწაულსა ამალღებისასა მუნ განვისვენეთ. და გარდა-
ვლეთ მთა აქარა და ვლეთ ოთხ დღე და მოვიწიენით მდი-
ნარედ ჰოროხად. და მიერთგან მოვიწიენით ზღვისა ნაპირსა, ყა-
საბასა ბათომს, და დაგვიყოვნდა მუნ დღენი ათორმეტნი ძიებასა
ნავისასა. და* მოწყალეებამან ღმთისამან ინება და იქმნა ჰავა ბორი- 20
ასა კეთილი; და გვეპოვა ნაეიცა მარჯვე, შთავსხედით მადლობელნი
მწირთა ჯელამპყრობელისა ღმთისანი დღესა მეერგასესა მოსლვასა
სულისასა და დაეგადევით სამძღვარნი საქართველოსანი, და ზღვათა
ზედა და წყალთა მრავალთა შევედრენით სლვანი ჩვენი უფალსა.
და ვლეთ ასორმოცდა ათი მილიონი დღე და ღამე და გამო- 25
ვლეთ ირიზა, ძველითგან თქმული საქართველოთა სამძღვარი, და
მოვიწიენით ყოვლად ქებულსა ტრაპეზუნტას, ტა[11]ხტსა და სა-
მყოფსა ბერძენთა მეფეთასა, ადგილსა შემკობილსა თითოსახითა სი-
კეთითა, ზღვითა და მითითა. და გარდავქედით რა ზღვით, წარუვლი-
ნენით არქიდიაკო ჩვენი წინაშე მიტროპოლიტისა ტრაპეზუნტისა 30
მომკითხავად. და მასცა ებოძნეს მღვდელი მომკითხავი ჩვენი. და
მიგვიძღვნენ ზღვისაგან დამაშერალთა სრასა რასმე ტურფად ნა-
გებსა და ბალთა და ზღვისა ქენებისა ღადოთასა ამოდ შესაქცევსა.
განვისვენეთ მუნ რა არამცირედისა ჟამისა, აღვედით ხილვად ყოვ-
ლად სამღვდელოსა ანანია ტრაპიზონელისა, ვინაჲ წინამოგვეგება 35
კაცი ყოვლითავე ქცევითა პატიოსანქმნილი და შემკობილი, უცხო-
მოყვარებისა მადლითა მდიდრად აღესებული, და ფრიად ვიდრემე
კეთილად შეგვიტკბო და ზედასაზედან გვაწვევდა ტრაპეზად და

* აქედან იწყება „მიმოსლვის“ D რედაქცია (1r).

ინება ჩვენ მიერ მსხვერპლისა შეწირვა ხარისხსა თვისსა საყდარსა წმიდისა გრი[ვ]გოლი ნოსელისასა, რამეთუ აისოფია ტრაპეზუნტასა და სხვანი მრავალნი ეკლესიანი თურქთა დაეპყრეს. და ვიყავით მუნ მღვდელთმთავრისა მიერ და ერთა ქალაქისათაგან ფრიადსა პატივსა. და ნუგეშისა მოცემასა ჩვენსა მთხოველნი, ჩვენ უღირსთაგან მსხვერპლისა შეწირვასა და აიაზმასა და უცხოებასა ჩვენსა ჯეროვნად შეიწყნარებდეს.

და აღვედით დედათ მონასტრად და მოგვეგებნენ სულიერი დედა, წინამძღვარი, და სხვანი დანი და დედანი, ჯვარშემოსილი კრებული, და გალობითა და კეროვანებითა შეგვიძღვნენ და თაყუანის-ვეციტ ტრაპეზსა და ადგილთა მათ წმიდათა, რამეთუ იყვნეს გამოკაფულ კლდისაგან ეკლესია და ჯელოვნად შემკობილ სადგურნი და სენაკნი მონასტრისა მის მეფისა ალექსის კომნინოსისაგან, რამეთუ თვითთა მუნვე ესახა დედით და მეუღლით³. და შეგვიძღვნენ საეროდ [12] ტრაპეზად, და დაგვიგეს სანოაგენი და გვიმასპინძლებდენ ამოდ და ფრიად, ვიდრემე სარგებელ გვექმნა ხილვა მათი. და მიერთგან წარმოვედით კვალად სავანედვე ჩვენდა. ამაღ ჟამად დაგვიყოვნდეს მუნ ჟამნი ერთისა თვისანი. და გვეშოვა ნავი მარჯვე, და აღვედით შენდობისა აღებად მიტროპოლიტისა, რამეთუ ფრიადცა გვიძნდა განშორება მისი; და აღმღებელთა ლოცვათა მათთასა გვიბოძა საგზალნი გზისათვის. და შთავედით ნავთა და ვლეთ ზღვით და გამოვლეთ ქალაქი ტრაპოლი, და მიერ მოვიწიენით ქალაქად უნიად, შევნიერსა მას ადგილსა. და ქრისტიანეთა მიგვიყვანეს და დაგვასადგურეს სასახლესა და ტაძარსა წმიდისა ნიკოლოზისასა. და შემოკრბენ ერნი და გვიმასპინძლეს და შეგვიწყნარეს კეთილად. და ჯმელით გზა აღვირჩიეთ. და გვიბოძეს საგზალნი და ცხენნი გზისათვის. და წარმოვედით მიერთგან სავალნი ოთხ დღე [v] და მოვიწიენით ნეოკესარიად, ქალაქსა და ეკლესიასა გრიგოლი საკვირველთმოქმედისასა. და თვით თვალითა ჩვენითა ვიხილეთ საკვირველება ქმნილი მისნი, რამეთუ ქალაქსა მას მოსდის მდინარე დიდი, რომელსა უწოდებენ მგელი, და განრყვნიდა ნაშრომთა მათთა, ხოლო ერნი რა ევედრნეს წმიდასა გრიგოლის მისთვის, თვით წარვიდა რა ხილვად მისა, და მდინარე შორს განაყენა და კვერთხი შთაუსუვა, რათა ამიერ არლარა წარმოვლოს მდინარემან, და ეტყოდნ სახელითა უფლისა იესოს ქრისტესით: ნულარა გარდაჯდები ამიერ სამძღვრით. და არს კვერთხი იგი ხე დიდ, ვიდრე დღუინდელად-დღედმდე. და ვითარცა შეშინებული, ეგრეთ განდრეკით წარვლის მუნითგან მდინარე იგი. და ჯიდი, რომელიცა აღეგოთ მას ზედან, წყალი ვინათგან წარივლტოდა, უქმად

მდგომარედ იხილვების. და ლამესა ერთსა ძველისა მის ჳიდსა თანა განვათიეთ. და თვით [13] ხარისხი ეკლესია კვალად ქრისტიანეთავე უპყრის. და წარმოვედით მიერით და მოვიწიენით კომანად, კუკუსოდ სომხითისა, და ვიხილეთ საფლავი წმიდისა ნამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა, რაჟამს მუნ ექსორია ყვეს და მუნვე აღესრულა. და არს იქითგან მცირედ განშორებული ქალაქი დიდი კუკუსო სომხითისა, რომელსა აწ თურქნი თოხათად უწოდენ, და მუნ მჯდომარეობს ყოვლად სამღვდელო ნეოკესარიისა და ფებლანონისა. მივიწიენით რა, ვაცნობეთ მისლვა ჩვენი მიტროპოლიტსა მათსა, და მიგვიძღვენ და დაგვასადგურეს სრასა ეკლესიისასა. და ვიხილეთ ყოვლად სამღვდელო ნეოკესარიელი უფალი გერასიმე, და ფრიად ვიდრეჲ კეთილად განგვისვენა და ძმებრივად შეგვიტკბო. და დავყავით მუნ დღენი რაოდენიმე. და გარე ქალაქისა აღვედით და ვიხილეთ მონასტერი აღშენებული თეოდორა დედოფლისა მიერ, ფრიად პატიოსანი. ჟამი იყო აგვისტო ათხუთ [v] მეტი; ერნი შემოკრბენ და გვაწვიეს მსხვერპლი საიდუმლოსა, და ფრიად უცხოებასა ჩვენსა შეიწყნარებდენ.

ამად ჟამად ვეძიებდით რა გზასა იერუსალიმად აღმყვანებელსა, იყო მუნ ქარავანი დიდძალი წარმსლველი ზმირინად, და აღვემზადენით წარსლვად. და აღვიღეთ ლოცვა მღვდელთმთავრისა და წარვემართენით, რამეთუ იყო სამეოცისა დღისა სავალი გზა. და ვლენით რა დღენი, გამოვლეთ ქალაქი ამასი⁴, ხარისხი წმიდისა მამისა ბასილი ამასიელისა, რომლისა ჳსენებასა ვყოფთ აპრილსა კვ. და გამოვლეთ ქალაქი ზილოა და სამწყსო კესარია-კაპადუკიისა, და ოცდახუთნი დღენი უშენნი თურქმანნი ვლენით და მოვიწიენით ქალაქსა ლუკაონს, სადა ეწამა წმიდა ფილიმონ, რომლისა ჳსენებასა ვყოფთ ნოენბერსა კთ. და ქალაქსა მას ახლოდ ახლავს მონასტერი წმიდისა ელენესი. რამეთუ ამა მონასტერსა შინა აღზრდილ არს ამფილოქე იკონიელი. და ამა მონასტერსა შინა იყო აბანო [14] ბუნებით ცხელთა წყალთა ვრცელთა ზომდინარე, ვითარ წისქვილხა კმა-ეყოფოდა საბრუნავად. და მუნით ვლეთ და მოვიწიენით ახშაირსა,⁵ სამწყსოსა იკონიელ ეპისკოპოზისასა, სადა წმიდანი მოწამენი კვირიკე და ივლიტა ეწამნეს. და იყო მუნ მღვდელთმთავარი იკონიისა დიონისიო; და ქრისტიანეთა დიდად შეგვიტკბეს და საგზალითა და საბოძერითა აღგვაესეს. და მიერ წარმოვედით. გზასა ზედა ვიხილეთ კამარანი რამე, და მუნ ისხდენ მოლანი თურქთანი და იკითხვიდენ წიგნთა. და ვიკითხე რა მისთვის, მეტყოდენ, ვითარმედ: ასრადინ მოლისა საფლავი არსო მუნ და

მას წმიდად ესვენო. და განვეკირდი ცრუსა მის და მასხარასა მოსავობასა.

და მიერთ ვლეთ და მივიწიენით ახლოდ, სადა წმიდამ მამ ხარიტონ მონასტერი აღაშენა, რამეთუ ქართველნიცა მრავალნი ცხოვრებულან მუნ. და მივიწიეთ უშად და მიერ—გულაყასაბად, სადა იყო მონასტერი მთავარანგელოზთა, და [v] განვეყარენით ქარავანსა და განვისვენეთ ქრისტიანეთა თანა. და მიერ წარვედით ქალაქად ფილადელფიას, მუნ სადა ღმთისმეტყველი იოანე მიუწერს რა შეიღთა ეკლესიათა ასიისათა: ეფესოს, ზმირინს, თეარტირს, სარდეს, ფილადელფიას, ვლადიკიას. ამა ფილადელფიას მივედით და მოგვეგებნენ ქრისტიანენი და დაგვასადგურეს სრასა ეკლესიისასა და კეთილად შეგვითვისეს. ვიხილეთ ძველი ეკლესია ღმთისმეტყველისა იოანესი ესრეთ დაქცეული, მცირედნი სვეტნი-ღა დარჩომილ იყვნეს. და არს ახლო მუნ კოლასეს შინა* ეკლესია მთავარანგელოზისა, ესე არს ხონას⁶, რომლისა სასწაულსა ვლდესასწაულობთ სეკდენბერსა ვ, რამეთუ სასწაული ესე არს: წარმართთა მდინარე დიდი გამოსთხარეს და მოუგდეს მონასტერსა მთავარანგელოზისასა, რათამცა წარრღვნა; ხოლო ქრისტიანენი შეკრბენ ვედრებად მთავარანგელოზისა, და მოიწია რა მდინარე ახლო[15]დ მონასტრისა, არღარა მომართა, არამედ განჭვრელა ქვეშე ქვეყანა და მას შინა განვლო წყალმან მან. ვიდრე დღესამომდე ესრეთ მოდის წყალი იგი. და მუნ ახლოდ არს ქალაქი იგი, რომლისა შინა ეწამა წმიდა მარინა.

და წარმოვედით მიერ და მოვიწიენით შეიღთა მათ ღმთისმეტყველისა ეკლესიათაგანსა სარდესს, სადა იჯდა წმიდა მამა ეფთვიმი სარდიისა ეპისკოპოზი, [დეკენბერსა კვ ვლდესასწაულობთ], და იყო სრულიად აღოვრებულ, ვიდრე მცირედნი ნაქცენი თულა დაშთომილ იყვნეს და კაცნი სრულიად არღარა იპოვბოდეს⁷. და განვათიეთ ღამე ერთი მუნ, და ხვალისა ვლეთ და მოვიწიენით ქალაქად ყასაბად, ქრისტიანეთა თანა განვისვენეთ. და იქიდგან წარვედით ქალაქად მალნისიად, ძველთა მეფეთა სამყოფსა და შემკულსა მთითა და ბართა—და ეფესოსა ეფისკოპოზი ნათანიელ მუნ მჯდომარე იყო—და ძველი საეპისკოპოზო კოდრატე მოცი[v]ქულისა და მღვდელმოწამისა მალნისიისა, რომლისა ჭსენებასა ვყოფთ სექტემბერსა კა. და მუნ ეწამა წმიდა მღვდელმოწამე ხარალამპი, რამეთუ მღვდელი იყო მუნებური, რომლისა ჭსენებასა ვყოფთ. ფებერვალსა ი. და მუნ განვათიეთ ქრისტიანეთა თანა

* კიდრე მიწერილია: „ამა კოლასელთა მიუწერა მოციქულმან პავლე ეპისტოლე კოლასელთა“.

ქამნი რაოდენიმე; და მიერ წარვიგზავნენით ზმირინად, რომელსა-
თურქნი იზმირსა უწოდენ. და მივიწიენით ზმირინად შვიდთა მათ
ასიისა ეკლესიათაგანისა, სადა მჯდომარე იყო წმიდა პოლიკარპე
ზმირინისა ეპისკოპოსი და ვუკოლე. ესე პოლიკარპე დაიწვა ცეცხ-
ლის მსახურთაგან დასაბამითგან 5643, და ქსენებასა მისსა ვყოფთ
ფებერვალსა ი ზ.

და ვიხილეთ ქალაქი მჯობი ყოველთა ქალაქთა ესრეთ, ვითა
ედემს შინა სამოთხე. პირადპირადობა შენებულობათა და საწუთო-
თა ედემებრიობა გარდაემატა. ერთ კერძო—თეთრი ზღვა, აღვსილი
მრავლითა ხომალდი[16]თა და ნავითა, და ანძანი ამართულნი იყე-
ნეს ვითა ხე მალნარისანი, და ერთ კერძო—მთანი, და ძირსა—ველნი და
ქალაქნი, ბაღჩა-ბაღითა და წალკოტითა აღვსილ, და ზეთის ხილთა
ტევნარიანობა დაქმირებული და ნარინჯ-თურინჯითა, კვიპაროზთა
და ალვისა ხისა მალნარნი. ნიავწვილილ სუნთა ბერვასა საყნოსელნი
გაელაღნეს. შევედით შინაგან ქალაქსა, ვიხილეთ სრანი და პალატ-
ნი უცხოდ ჩინელთაებრ ზურობულნი ესრეთ, ვითა მაისის ველთა
ასფოდელობნი. და მოგვიძღვენენ სასახლესა იერუსალიმის მეტო-
ქისასა. და არქიდიაკო ჩვენი ვახელით მიტროპოლიტსა ზმირინისა-
სა, უფალსა ნეოფიტეს, და მასცა დიაკონი თვისი ებოძა, * და მი-
გვიძღვენენ სხვაგან სრასა მთაწმიდელთა ქართველთა მონასტრისასა
და მუნ დაგვასადგურნეს.

ამისა შემდგომად წარვედით და ვიხილეთ კაცი ყოვლად სა-
მღვდელო დიდად პატროსანი, სრითა და პა[ვ]ლატითა მდიდარი,
და ვიამბორეთ, და მოგვიკითხნეს. და იყენენ სხვანი ორნი ეპისკო-
პოპოზნი მუნ ჯმნილნი სამწყსოსაგან. და შევედით ეკლესიად კა-
თოლიკედ წმიდისა ფოტინე სამარტიტელისასა და განვიცდიდით
თითოსახეობასა სამკაულთა უცხოთა ეკლესიისათა. და გვაწვია პა-
ლატად მღვდელთმთავარმან მან და განგვიმზადა სერი ბრწყინვალე
და პატიეს-გვცა ჯეროვნად. და დავადგერით იზმირს ქამნი რაო-
დენიმე⁹. და იყო მიმდემი განკრძალვით ქრისტიანეთაგან ეკლესიათა
შინა სლვა და მჭურვალედ ვედრება. ხოლო მე ზიართა მათ სა-
მღვდელთა და საეროთა სამარადისოსა ლოცვასა განვეკვირვე. და
ვიხილეთ, მუნ აკადემია** საფილოსოფოსო, და იეროთეოს ფილო-
სოფოსი, მონაზონი ვინმე, ასწავებდა მრავალთა მუნ შკოლისაგანთა.
რამეთუ იყვნეს იზმირს ბალიოზნი საფრანგეთისანი, და ი[17]ყო ქალა-
ქი სავანედ მრავალთა დიდ ვაქართა უცხოთა⁹, რამეთუ ნაენი იერუ-

* ებოძათ C.

** აკადემია C.

სალიმად წარსრულ იყვნეს, ჯამნი იყვნეს ნოენბრისანი. და გვასწავეს, ვითარმედ ქიონად გეშოვოსთ ნავი წარმსლველი იერუსალიმად, და აღვიღეთ ლოცვა მღვდელთმთავრისაგან და შთაესხედით ნავად,— წარსლვად ქიონად, რამეთუ შორევდა ასი ოდენ მილიონი.

- 5 და მივიწიენით ჰავითა კეთილად ქიონად, ქალაქსა ისიდორე ქიონელისასა, რამეთუ დეოკლიტიანემ აწამა მუნ წმიდა ისიდორე, რომლისა ქსენებასა ვყოფთ მაისსა ი დ. ამა ქალაქსა თურქნი საყიზად უწოდებენ, რომელ არს დანამასტაკი, რამეთუ სხვაგან არა იშოვების თუ არა მუნ, რამეთუ არს ესე ქალაქი, კუნძული ზღვასა შინა.
- 10 და ვიხილეთ ქალაქი ფრიად პატიოსანი, სახლნი ქვითა თლილითა შენებულნი და მტკიცედ მოზღუდვილი, რამეთუ არარა შიში იყო დაწვითა ცეცხლისათა, და დაგვასადგურეს ქართველთა მონასტერისა გეტოქსა სახლსა. და მივედით და ვიხილეთ დიონოსიო [v] ყოვლადსამღდლო ქიონელი, და პატივისცემით შეგვიწყნარნა, რამეთუ ნავნი წარსრულ იყვნეს მუნ. და დავშითთ ქალაქსა მას და განვიცდიდით პირადობასა ქალაქისასა. გვეტყოდენ ქრისტიანენი, ვითარმედ ექვსას ორმოცი ეკლესია არსო დღეს ქალაქსა ამასო. და ბალითა და ხეხილითა აღესილ იყო ქალაქი იგი. და ვიხილეთ მუნ ექსორიაქმნილი ვლახთ მეფე კოსტანტინე¹⁰. რამეთუ გვეუცხოვა ქცევა და სამეფონი ზრდილობანი მისნი. და გვკითხევდა საქართველოთათვის, და სხვათა მრავალთა საუბართა შევექცეოდით. ამისა შემდგომად აწვიეს კვალად სტამბოლით და წარგზავნეს სამეფოდ თვისად.

- ამად ჯამად მოიწია დღესასწაული ტაძრად მიყვანებისა, და
- 25 მო(ა)მზადნეს ეკლესია წმიდისა ბიკტორისა და მოაკრნეს ხალასად ნაკერნი ფარდანი კედელ-ყურეთა და სხვად მრავალად შეამკვეს. და აღმებთა ხალასობა და შეფრობა საყდრისა ვითა აღვსწერო! არა თუ იგი საყდარი, არამედ მრავალნი ერთი-მეორისა უსაკვირველესად იყვნ[18]ეს შემკობილ. ვარ მხილველი მოსკოვისა და პეტრევე-
- 30 რუხისა, რომელთა შორის თავწარსხმულად ყვავის ქრისტიანობა დღეს, და მუნ არა მიხილავს ესრეთ შემკული ეკლესიანი. რა საკვირველად თლილითა მარმარითა აღმართებულ იყვნეს სვეტნი და ზედ კამარანი მოქრილნი ყვავილებად და ნახჩებად. კედელთა ზედა მდგომარე იყვნეს სერობინნი და ქერობინნი მარმარისანი, და კამარათა ზე ფრთეაპყრობილნი ანგელოზნი, მტვირთველნი სანთლისა ოქროცურვებულისანი. კედელთა ზედან—ნახჩინი მომალლოდ აღმოყვანილნი და შიგ—ხატი, და წინ—ქომლისრტოული სასანთლე, და ქვეშე—მძიმედ ნაკერნი ფარდანი ოქრონამქნი. სხვანი სასანთლენი

ოქროცურვებულნი შუბივით საქერნი ჯელთა, და სხვანი შუბისთაგ-
თა ფარნები ქიქისანი ფერად-ფერადნი და სხვანი სალამანდროსნი,
წინასაძღონნი. ქორაქანდელნი და ჯომლნი ქიქისანი უც[ვ]ხოებნი, სი-
რაქლემისა კვერცხნი ფერადისა ქიქისა და ქაშანურისანი იყვნეს, და
კამარებად ჩამოკიდებულნი ეკლესიისა კამარათა შინა; და აღანთებ-
დენ რა, მსგავსი იყო ნანდვილ ირისესა. იატაკნი ეკლესიისანი—
ფერადისა მარმარისა, ჩაწყობით მოქადრაკულნი; და საკუთხევე-
ლისა იატაკნი და ტრაპეზისა და კედელნი—ფერადისა ქაშანურისა.
ხარისხი და მაღალი დასაჯდონელი ეპისკოპოზისა და სალხინებელი
ტრაპეზისა ესეოდენ მეუცხოვა, ვერ შეუძლე აღწერად: თუ უცხო 18.
რამე ხრახნილები და ზედ გვირგვინები ოქროცურვებული, და ზედ
ჯილითა და თომრითა რაჟთმე მსგავსითა განდგმულ და მორთულ
სრულიად,—მათნი ეკლესიანი ესრეთ იყვნეს. კანკლისა სიუცხოვე
რალა უნდა აღესწერო! კარისბქენი და გარეთ ეზონი—ფერადის
ქვებით ჩაწყობილნი, ხოლო მგალობელნი მათნი არა გალობდნენ 19.
ბერძულეებ, არამედ ნოტიითა იტყვიდნან.

ამა საყ[19]იზის კუნძულსა შუა არს მთა მაღალი და მას
შინა მონასტერი დიდებული, რომელსა აიამონი ეწოდების. დღესა
ერთსა ვიწადეთ აღსლვა მუნ, და მოგვართვეს ჯორნი; და იღუმენი-
ცა მათი თან გვიახლა, რამეთუ შორეულა ჟამისა ორისა სავალი. 20.
და განვლეთ რა შუა გზა, და მონასტრის ბაღნი და ვენაჭნი
იყვნეს, და სულიერი სახილავი იხილვებოდა, რამეთუ მონაზონ-
ნი მამანი ჯნვიდენ და ბარეოდენ და ნერგსა ასხმიდენ. და აღვლეთ რა
აღმართი, მათათა შინა ნაძვ-ფიქვნარიანობა იხილვებოდა, და ტვერ-
თა მათ შინა გამოჩნდა ბრძენითა დახურვილი მონასტერი ბრწყინ- 21.
ვალე. და გვეტყოდენ, ვითარმედ მდიდარ არს მონასტერი და ძვე-
ლითა სიმდიდრითა გარდაცემულ 11. რომელთაცა მისლვა ჩვენი
სცნეს რა, ჰკრეს ზართა ძლიერად მონასტრისათა და გამოგვეგებ-
ნენ მამანი ორას ორმოცდაათნი სასთლებითა და კეროვანებითა, და
მოგვართვეს [v] კვერთხი და მდინარი, და შეგვიძღვნენ კმევითა სუნ- 22.
ნელთათა, და მგალობელნი გალობდენ ტკბილად. და შევედით ეკ-
ლესიად და თაყვანის-ვეციით წმიდათა მათ და აღვედით ხარისხად.
მაშინ იწყეს „შეგვიწყალენი“, და მომადლებისათვის ჩემისა თქვენს
„მრავალჯამიერ ყო“, მეფეთათვის ჩვენთა; და „ისპოლაეტსა“ „მრავ-
ალჯამიერი“ ჯმა ამოდ გაეზიარა. და უამბორეთ მამათა და ძმათა, 23.
და მოგვიძღვნენ სადგურად; და ვიკითხეთ აღმაშენებელი მისი რა,
გვეტყოდენ, ვითარმედ კოსტარტინე მეფემ მონანახმან აღაშენაო.

აწ მონასტრისათვის ვიტყოდეთ: იატაკნი ეკლესიისანი ფერადისა არღვანისა ქვისაგან ესრეთ* ჩაეწყოთ, ვერა ხორასნულთა ორხოვა ესრეთ ვერ შეფერადდება. საყდარი არს რვაკუთხე და იმგვრგვლივ ოცდათორმეტი არღვანის ფერადი სვეტნი უდგს; კედელნი—არღვანისა და ბალღმისა ქვისა ფერადისა—ხონჩურებ ჩაწყობილი, არა თუ კირითა და ღორღითა, არამედ ტყვია ჩას[20]-ხმით და სპილენძით შექერწილ თავისის სხვისფერის აშიებით, ვიდრე მოხრილს კამარადმდე; ხოლო გუმბათი და კამარანი—ელვარეს სოფიას კენჭით სახენი ჩაგულქანდებული; ხატნი კვალად ბრწყინვალეს სოფიის კენჭით იყვნეს. მისი ელვარება და კამკამი სამყაროსა დღისა ცისასა და ღამისა ლაქვარდიანსა ფერსა უდრიდა. რაჟამს ქიქისა და ვეცხლისა ჯომლნი აღანთიან, მსგავსი იყო მთოვარესა, ვეცხლისა სახესა, და ვარსკვლავთა, ჯელმწიფებად და მნათობად ღამისა მანათთა. სანათურით რა გასქვრიტი, ფერადის წითლისა და ყვითლისა თლილისა მინათა სინათლე(ს) მთიებთა შუქმკრთომარეობასა ასახებდი. კარისბჭეთა რა გავხედე იატაკთა, მეგონნეს, ვითარმედ ოქსინოთა მოუფარდაგებიათ გამოსაჩვენებელად. ვიხილე რა, განეკვირდი, ქვანი იყვნეს ჩაწყობილი. განეკვირდით სიკეთესა მისსა და თაყვანის-ვეციით ცერსა ნათლისმცემელისასა, რომლითა შეახო თავსა მაცხოვრისა[ქ]სა. და არს თავი მოციქულისა ფილიპესი, თავი მოციქულისა ტიმოთესი, თავი დიდისა ეფთვიმისი, თავი ევგენიასი, თქო წმიდისა გიორგისი, ფეტი ხარიტონისი და სხვანი ნაწილნი მრავალნი.

ამა მონასტერსა ვიხილეთ სასწაული საკვირველი, რამეთუ ერთი შავი არაბი განქურდვად ღამე შესრულ არს ეკლესიასა, ზეით აუქნდია, მოჰკიდებია ცეცხლი და სრულიად დამწვარა. ცალი მკლავი მორჩენილ იყო ქურდის არაბისა და იქ მდებარედ ვიხილეთ¹².

ამ მონასტრის აღშენების მიზეზს ესრეთ გვეტყოდენ, რამეთუ მჯდარა ვინმე მონაზონი დაყუდებული მუნ და, აწ სადა ტაძარი დგას, მუნ უხილავს ნათელი მრავალგზის. წარსრულა დაყუდებული იგი და უხილავს მუნ ხატი ყოვლად წმიდისა. ეს გაუგონია მეფეს კოსტანტინეს და ამისთვის აღუშენებია მონასტერი იგი¹³. ის ხატი აწცა დიდის სასოებით უსვენიათ მუნ. და გვეტყოდენ

* ამ ადგილიდან იწყება „მიმოსღვის“ A ხელნაწერი: „... ესრეთ დაფერადებით ჩაწყობილი, ვერა რომელიმე ხორასნული ორხოა ისე შეკნირად არ იქმნებინ“ A, 91.

მამანი იგი, ვითარმედ: ქართველი არაოდეს გვიხილავს და არცა [21] ენა გვსმენია, აწ შესწირეთ მსხვერპლი საიღუმლოსა. მე უარი მოვატყენე, არამედ ფრიად მევედრებოდეს. და შეესწირეთ უღირსითა ბაგითა საიღუმლო. და მათცა ვაწირვინე მეფეთა ჩვენთა წარსამართებლად. და განგვიმზადნეს ტაბლა შევნიერი. და განვათიეთ რა მუნ ჟამნი რაოდენიმე, კვალად ქალაქად საყიზად, სადგურად ჩვენდა, მოვიწიენით ლოცვისა მომღებნი მათნი და მადლობელნი ღმთისანი.

იქა ყოფასა ჩვენსა მოვიდა ამბავი რამე საკვირველი, რამეთუ წმიდა სფირილონ საკვირველთმოქმედი მთლივ წარუსვენებიათ კვიპარიით და მოუსვენებიათ ქალაქსა კერკურას, სადა იჯდა წმიდა არსენი კერკვირიისა მთავარებნისკოპოზი; და მუნ სფირილონ, მთლივ მსგავსი ცხოველისა, მდგომარე არს ანაფორით და ქუდით, ბარტყულით. კაცმან ვინმე შთააცვა ძვირფასი შესამოსელი, და ხვალისად იხილეს ახალი იგი მდებარედ ტრაპეზსა, და თვით ძველივე შეემოსა. კვალად თურქნი შემოადგენ ქალაქსა მას და იხილეს—სფირილონ მოსრვიდა თ[ვ]ურქთა მათ და წარიოტებდა. ამისთვის დღესასწაულსა დიდსა აღასრულებენ მუნ.

კვალად მოგვესმა, ვითარმედ ქალაქსა მას კერკვირას მგმობელმან იძახა, ვითარმედ: შეიწრდა ქალაქი ესე საზრდოსაგან და უცხოებით მოსრულნი ნულარათ დაადგრებიან, წარვიდენ აქიდამ. ამისთვის შეიწრდენ მრავალნი ქვრივი და ობოლი წარსლვისათვის. ხოლო იხილეს ღამესა მას, რამეთუ სფირილონ არღარა იყოფების მუნ; და მრავალი ეძიეს, არამედ ვერ პოეს. ვინაცა მწყემსმან ვინმე ცხოვართამან იხილა მათა შინა წმიდა სფირილონ, დავარდა, თაყვანი-სცა. ხოლო სფირილონ ეტყოდა, ვითარმედ: ქალაქით გამომდევნეს, რამეთუ მეცა მწირი ვარ და უცხო, კვიპროზიდამ მოსრული. სადაცა ეგეოდენი ქვრივი და ობოლნი წარვლენ, მეცა წარვიდე. მიერ წარვიდა მწყემსი იგი და უთხრა ესე მღვდელთა მათ. ხოლო მათ მგმობელი აძახეს, ვითარმედ: უცხოებით მოსრულნი ნურღარა სადმე წავლენ, რამეთუ სფირილონ არს მეოხ მათდა. ამისთვის წარვიდენ და შთამოასვენ[22]ნეს სფირილონ, და არს მუნ მდგომარედ სასოებით მიმავალთა მეოხად და შიშითა და ლიტანიობით სახილველი.

კვალად გვითხრობდენ, ვითარმედ აწ გარდასრულ არს წელნი ექვსნი, რამეთუ იყო აქაო სულიერი მამა, მონაზონი, სახელით იოაკიმ¹⁴, დიდი მოწყალე გლახაკთა და სნეულთა და უცხოთა შემწყნარებელი. რამეთუ ტყვეთა გამოიგნინდა და საპყრობილეთა

შინა ზედასაზედან მოიხილევდა და ნუგეშსა სცემდა, და უხვებით
გლახაკთა და დაერდომილთა საფასეთა განუყოფდა და არა
დასცხრებოდა ქველისმოქმედებისაგან არაოდეს. და უკეთუ
გარდაჯდის დღე ერთი, გლახაკთა არა ნისცის, შეწუნის ფრიად
5 და ცრემლოოდის. ხოლო გარდაცვალებასა მისსა საკვირველად
უდიდებია ღმერთსა, რამეთუ მიცვალებულა რა, მარჯვენესა
ქელსა ჯვარი გამოსახვია. და ამისა ხილვად მრავალნი ჰური-
ანი და თურქნი შემოკრებულან და უხილავთ საკვირველი ესე
ხი|v|ლვა.

10 და ამა ჟამად ვერ მპოვნელთა ნავისათა მუნ, რათამცა წარვე-
მართენით იერუსალიმად, უმჯობესად აღვირჩიეთ დაზამთრება მთა-
წმიდად. და მოვივაქრეთ ნავი და მივანდეთ თავი უფალსა და
წარვედით გამომსალმებელნი ქრისტიანეთანი. და გამოვლეთ მიდი-
ლინი და მივიწიენით ბოხჩაადად, სადაცა ქართლისა კათალიკოზი
15 დომეტი ექსორიად ცხოვრებულ იყო. და მოგვეგებენ ქრისტიანენი
და გვეითხედენ ამბავსა მისსა. და მიერთგან შთავსხედით ნავსა.
რამეთუ აღგვიდგა ღელვაცა ფრიადი, და მივიწიენით ლიმონად ქა-
ლაკად და აღვედით კვირიაკესა მას მღვდელთმთავრისა ლიმონისა
პართენისა. და შეგვიტებო ფრიად და სადგური განგვიმზადა, და
20 ქრისტიანეთაცა პატივს-გვეცეს. და პირისპირ გავსტკვრეტდით მთა-
წმიდას. და ვიხილეთ მუნ ყანის შვილი ცხვირდაკვეთილი თამაზი-
საგან, მუნ დაეყენებინათ თურქთა.

ხოლო ნებაჲმან ღმთისამან მოგვეცა ჰავა. და შთავსხედით ნა-
ვად და მივედით მთაწმიდად, მადლობელნი ღმთისანი, რომელმან
25 უცხოებასა შინა ჩვენსა დაგვიცვა ზღვისა სღვისა და ჳმელთა ამ-
ბოხებათაგან, მისა დიდება, ამინ.¹⁵

მისღვა მონასტრად საქართველოთასა კარისა ღმთისმშობელად

[23] აღვედით მთაწმიდად კოშკსა და ზღვით ნავთსაყუდელსა
რომელსამე მონასტრისასა ღამესა მას, და წარვაგლინენით კაცი მო-
30 ნასტერსა ქარს-ველთასა და ვაცნობეთ მისლვა ჩვენი. მსწრაფლ
აღეკაზმათ ჯორნი და წარმოეგზავნათ, და აღვედით და წარვემარ-
თენით მონასტრად. და გამოჩნდა ციხე და შენებულობა მონას-
ტრისა. და იხილვებოდა ვითა ქალაქი მთასა ზედა დაშენებული. და
მივიახლოვდით რა, შექნეს რეკა ზართა, და მოგვეგებნენ სკეო-
35 ფილაკე თეოკლიტე და წინამძღვარი ნათანაელ და უმრავლესნი

ღირსნი ძმანი და მამანი, ვგონებ სამასნი ოდენ; და მოგვართვეს მდინარი და კვერთხი, და შევედით ეკლესიად და თაყვანის-ვეცით ჯერისაებრ. და იტყოდენ „შეგვიწყალენსა“ მეფეთათვის ქართველ-თასა, და ვიამბორეთ ურთიერთას. შიგნითი ეკლესია ასე გვეუცხო-ვა, კნი[ვ]ნლადა აიამონის ეკლესია დაგვავიწყა. რომელმანმე გე-¹⁰ლოვანმან მოქსოვა ათრანგნი ხავედნი, ვითა იმა ეკლესიისა იატაკნი ჩაწყობილ იყო ფერადითა იასპითა და ვეშმისა ქვითა. რანეთუ აღუშენებია გიორგი მთაწმიდელსა მეფის ბაგრატ კურაპალატის საფასითა. გუმბათის ჩამოსწვრივ, სინით მოხვეულს ნახჩუ ეწერა: გიორგი მღვდელ-მონაზონი ქართველი.

სხვასა ამას ვიტყოდით, ვითა რუკა მექალრაკეთა აჩვენებს სლვასა, ეგრეთ მუნ იატაკნი აჩვენებენ ღანისთევისა დღესასწაულ-სა—სადა საკურთხნი პური ჯერ-არს დადგმად, სადა სასანთლეთა დადგომა, სადა მღვდელთა და დიაკონთა დგომა, სადა ისოდია,—¹⁵ მღვდელთა განწყობა. კედელნი აქვს მარმარილოსა წმიდისა და ქა-¹⁵შანურისანი, კანკელი უცხოდ ყვავილებით და ხრახნილებით ოქრო-ცურვებული. სალბინებელი საკურთხეველისა, ხარისხი წინამძღვრი-სა ოქროცურვებულნი უცხონი, ფანჯარანი თითოსახისა მინისა ყვავილებად მოჭრილი, დი[24]დი პოლიელეო და ჯომლნი და ქორა-²⁰კანდელნი ქიქისანი და ვეცხლისანი უცხონი, რანეთუ განსაკვი-²⁰რებელ იყო შევნიერება ტაძრისა მის. და ეზოსა ტაძრისასა სამარხო-²⁰ლუსკუმა ღირსთა მამათა ჩვენთა ეფთვიმესი, იოანესი (მამისა ეფ-²⁰თვიმესი)* და გიორგი მთაწმიდელისა, კანდელთა ნთებითა პატიოს-²⁰ნად შემკული, ზოლო გარეთნი მრჩობლკეცი კარისბქენი და²⁰ გალავანი და სხვა ზოგნი შენებულობა აღუშენებია თორნიკ ქსნის²⁵ ერისთავს. ესე თორნიკ** ყოფილა სპასალარი ქართლისა, სახე-²⁵ლოვანი და ძლიერი ბრძოლასა შინა. ამის შემდგომად უჯმნია²⁵ სოფლიოთა დიდებულებათაგან და მოსრულ არს დისწულისა თვი-²⁵სისა ეფთვიმი ქართველისა და მონაზონ-ქმნილ არს. თორნიკს²⁵ აქეთ არიან წელნი წარსრულნი 748. მას ჟამად მეფე ცხოვრებუ-³⁰ლა: ქართველთა ზე—დავით მეფე, და ბერძენთა ზე—მიხაილ და³⁰ თეოდორა. და მიხაილ ყოფილა წლისა შვიდისა, და განაგებდა სა-³⁰მეფოსა მას აღვისტინა, [ვ]ლდედა მიხაილისი, თეოდორა. მაშინ სპარ-³⁰სნი აღმკვედრდეს და მოიწივნენ ვიდრე ბრუსადმდე. დედოფალმან³⁰ თეოდორა სხვა ღონისძიება ვერა ყო რა, თორნიკ-ყოფილი იოანე³⁵

* ხელნაწერში შეცდომით სწერია იოანესი.

** გასწვრივ კიდევ ავტორის შენიშვნა: „იტყვიან ამისასა, ქსნის ერისთავი იყო“.

მონაზონი ქართველი აწვიეს სპასალარად კოსტანტინეპოლედ. არა ენება წარსლვად, არამედ მამისა ეფთვიმის შენდობითა წარვიდა. და აღსძარცვეს მონაზონებისა სახე და შემოსეს მკედართა. და მოირთო სპანი საბერძნეთით და საქართველოთ, და ბრძოდა სპარსთა და მძლე ექმნა მათ, და დევნა უყო ვიდრე შუა სპარსეთადმდე, და იავარ ყო იგინი და გამარჯვებული შემოიქცა კვალად კოსტანტინეპოლედ, და კვალად აღვიდა მთაწმიდად და იქმნა მონაზონ¹⁴.

აწ ამას ვიტყოდით. განვიცადე რა აღგილთა შევნიერება, ხეხილთა, ვენაქთა და წყარო-წყალთა, ედემისა შესწორებულ იყვნეს. ¹⁵ ამა მონასტერში ნათლიმცემლის ტაძარი სხვა არის, ეფთვიმისაგან აღშენებული, ოთხს მწვანეს არღავანის სვეტზე აღშენებული. [25] ოდეს წძიდას ათანასეს ათონელს ლავრიდამ გამოეყარნენ, მაშინ აღაშენეს. სხვა გუმბათიანი ტაძარი პორტაიტისა, — აღშენებული აშოთანის მიერ მუხრანის ბატონისა.

¹⁶ აწ პორტაიტისა ღმთისმშობლისათვის ვიტყოდით, რომელ არს კარისა ღმთისმშობელი. რამეთუ იტყოდენ, ვითარმედ ჟამსა თეოფილე მეფისა ბერძენთასა, ოდეს სძულობდეს თაყვანისცემასა ხატისასა და კერპთმსახურებად შერაცხდეს, დევნულება აღძრეს ფიცხელი ხატთათვის. მაშინ მალემსროლი ვინმე წარივილინა მეფისა მიერ ქალაქსა ნიკიას საქმისა რასათვისმე და ნისრული იგი შევიდა დავანებად. დედაკაცისა ვისმე ქვრივისა სახლსა, რომელსა აქენდა დაფარვით ხატი ყოვლად წმიდისა. ხოლო იხილა რა მალემსროლმან ხატი იგი, განრისხდა და იჭადა მახვილი, დასცა პირსა ხატის მის; და იტყვიან, გარდამოეცაო სისხლი და აღუესოვო ¹⁷ წიალი კაცსა მას. ამისთვისცა შეშინებული ივლტოდა მიერ. და ქვრივმან მან შეშინე[წ]ბულმან, ნუუკვე საცნაურ იქმნეს, აღილო ხატი იგი და შთააგდო ზღვად. ხოლო ამისა შემდგომად გამოჩნდა ხატი იგი ზღვასა შინა პირისპირ მთაწმიდისა, რამეთუ იხილვებოდა მთებარისა ცეცხლისა სახედ მრავალ ჟამ; ამისათვის შემოკრბეს წმიდანნი მამანი მთაწმიდისანი და იტყოდეს: რამე იყოს მთებარე ესე წყალთა შინა? ამისთვის შთაყარნეს ნავნი და მივლტოდეს ხილვად მისად, და რაჟამს მიიახლოვის ნავნი მნთებარესა მას, შორს ივლტოდის ბრწყინვალება იგი მათგან, და იყვნენ მქმუნვარე ამისთვის. მაშინ ისმა ჭმა რამე, ვითარმედ გაბრიელ ქართველი არს გამო- ¹⁸ მყვანებელი ხატისა ყოვლად წმიდისა ღირს. მაშინ მივიდნენ მონასტერსა ქართველთასა და იკითხვიდეს გაბრიელს, თუ ვინმე არს. მაშინ სძებნეს მათ და პოვეს მათათა შინა დაყუდებული მონაზონი გაბრიელ, და შთაუსვეს ნავსა. და მიიახლოვდენ რა, ცეცხლმთე-

ზარეცა იგი მოეახლოვა. და მივიდა გაბრიელ და აღმოა[25]სვენა ხატი ყოვლად წმიდისა. ზღვათა ზედა ფერჯითა ვიდოდაო პასექისა სამშაბათსა. და ყვეს ლიტანია და ვედრება. და დარჩა მონასტერსა ქართველთასა, და შთასვენეს ტაძარსა მონასტრისასა. ესრეთ გვი-
თხრობდენ და თქმულსაებრ მათისა აღვსწერეთ¹⁷. კვალად იტყო-
დენ, ვითარმედ ხატი იგი მიფარულ იქმნა, და ძიებათა შინა ვერ-
მპოვნელთა, აღვიდეს სენაკსა გაბრიელისასა და აუწყეს უჩინო ქმნა
ხატისა ანის. ხოლო გაბრიელ ეტყოდა, ვითარმედ არა არს ნება
ყოვლად წმიდისა, რათამცა დაკრძალულსა შინ ესვენა ხატი მისი,
არამედ მოავლინაო ხატი თვისი, რათა კართა ზედა დასვენებულთა¹⁸,
ყოველნივე ვედრებოდენ და თაყვანსა-სცემდენო. და წარმოასვენ-
ნეს სენაკით გაბრიელისათ და დაასვენეს კარისბჭესა შინა. ამი-
სთვის კარისა ღმთისმშობელსა უწოდენ. ამისა შეცნდგომად მოუ-
ქედია მძიმედ ათაბაგსა და ამირსპასალარსა სამცხისასა, ჯაყელ-
ციხისჯვარელსა, ყვარვარე ათაბაგის ძესა ქაიხოაროს, [v]დედის¹⁵
იმედის, მუხრანის ბატონის ასულის, ძესა (მე ვგრეთ ვგონებ, წმიდის
ქეთეონ დედოფლის დისწულსა). და კარზედ ხატისათვის გუმბათი-
ანი მცირე ტაძარი აღუგია აშოთანს მუხრანის ბატონსა, თვითონც
შიგ ხატია და ძე მისი იესე თან უხატია¹⁹.

მალაღმან იმრავლმოწყალე[ვ]ა ჩემ ზედა და მიკრდომა ჩემი²⁰
ჯერიჩინაჲსახიერებისა გარდამეტებულებითა. და ვიყავ მე, მდაბალი
ტიმოთე, და უფროსად უღირსი ღირს ვიქმნებოდი სამარადწიართა
მათ თანა ზოგად ცხოვრებულობასა, და ლოცვათა და აღსარებასა
ბაგეთასა ზიარ. და უკლებლად პურისმეტედ და ინაჯით ჯდომა მო-
ნასტრისაგანთა მათ ახარებდა სულსა ჩემსა, და მადლობასა შევესწი-
რევედი ღმთისმშობელისა მიერ ქალწულისა, სასოსა ყოველთა
ქრისტიანეთასა, და უმეტეს ნათესავისა საქართველოთასა. და გან-
ცვიფრებულ იყო გონება ჩემი ამისთვის, თუ ვითარ მე, ცოდვილი
და უმეტეს საქართველოთა კაცთასა ბრალეული, მომ[27]იწოდა აქა,
და გზათა სღვათა შინა შორეულთა და ზღვათა ღელვათაგან უვ-
ნებელად განმარინა და არა უღირს იჩინა ბრალეულისა ამისა აქა
აღმოწოდება, და ღირს მიჩინა ღირსთა მამათა ჩვენთა ქართველთა
ქირნახულსა და ტკივილთმოყვარებით და რულუნებით ნაღვაწსა
მონასტერსა აღრაცხვა ჩემი, რომლისაგან განათლდა საქართველო
წიგნთა თარგმანებითა. უკეთუ უნარჩევესისა ამისა ყოველთასა სათ-
ნო იყო აქა მოკრდომა, რაოდენ უმეტესად სთნდეს მეუფესა სული-
ერთა საქართველოთა მამათა აქა აღმოსლვა, რომელთა სრულიად

დავიწყებოდა დიდებული ესე ადგილი და არლარავინ არს მწადე აქა მოსლვად.

- რამეთუ აღმოვიკითხედიტ რა მუნ წერილთა შინა ძველთა, ეწერა, ვითარნედ მამა ეფთვინი ქართველი სნულობდაო მწოლარე
- ცხედარსა ზედა¹⁹ და ეჩვენა დედოფალი ღმთისმშობელი და ეტყოდა: რასა ურვეულ ხარ ეფთ[ვ]ვიმი? და მიმგებელი ეფთვიმი ეტყოდა, ვითარმედ: სნულ ვარ, წმიდაო დედოფალო, მძიმითა რაჟთმე სენითა. ამისა შემდგომად დედოფალი წმიდა ქართულითა ენითა მზრახვალი მიუგებდა: აღსდეგ და იწყე ზრახვად ქართულითა, რა-
- მეტუ განიკურნო ცხედრისაგან საღმობათასა. მაშინ მსწრაფლ აღ-
დგა ეფთვიმი, და დავიწყებოდეს ენა ქართული, არამედ ესეოდენ ერკლად იწყო ქართულთა ზრახვად და რიტორად, ვითა უმიროს უსწრობდა სიმარჯვითა ენისათა. და მაშინ განმარტა ლექსი ქარ-
თული და იწყო თარგმანებად წიგნთა მრავალთა. იხილეა, თუ
- რაოდენი ცხადი სასწაული ჩვენებულ არს საქართველოთა შეწვე-
ნისათვის და სიყვარულისა წმიდისა ღმთისმშობელისაგან მისდა წილხდომილთა ერთათვის? ვითარ-იგი ზემორე ხატისათვის გესმა? რამეთუ არა მივიდა სხვასა მონასტერსა, არამედ ქართველთასა, ჯელითა გაბრიელ ქართველისათა? კვალად მომეტსენების წერილი
- ქა[28]რთლის ცხოვრებასა შინა, იტყოდის²⁰რა, ვითარმედ მღვდმან სპარსთამან აწვია ლაშქრად ქართველნი და რაჟამს ვილოდეს გზასა სპარსნი: ლაშქარნი, ლამესა ერთსა დაკლულ იქმნა მეფე სპარსთა. ამის-
თვის ცილი სწამეს ქართველთა, ვითარმედ მათ ყვესო; და შეიპყ-
რნეს ერთობით ქართველნი და ენებათ წარკვეთა თავთა. მაშინ
- ლერწმოვანით გამოარბოდა კაცი ვინმე სისსლითა შესვარული და მახელი წვდილი ჯელთა შინა და იტყოდა, ვითარმედ: მე ვყავ საქმე ესე. შეიპყრეს კაცი იგი და კითხვიდეს, ვითარმედ: ვინ უწყოდა შენი და ან ვინ გაიძულა? რასათვის საამჯნოდ აღიარე და გამო-
ხვედ? ხოლო სპარსი იგი კაცი იტყოდა, — შემდგომად მოკლვისა მე-
ფისა დავიმაღე ლერწმოვანსა ამას შინა რა, დედაკაცი ვინმე, მსგავსი ცეცხლითა შემოსილისა, უწყალოდ მგვრემდა და მდეენიდა და მეტ-
ყოდა: განვედ ამიერ! რასათვის შენ წილ მონანი ჩემნი [ვ]ქარ-
თელნი უმსჯავროდ უწყალოსა სიკვდილისა მიეცემიან? მწარითა სატანჯველითა გამომდეენა მე. ხოლო განუტევენს ქართველნი შე-
- წეენითა ყოვლად წმიდისათა.

კვალად ქართველთა მონასტრისა მისთვის ცხადი სასწაულთა ჩვენება ვთქვათ. რამეთუ მოვიხილვიდი რა მონასტერთა შენებუ-
ლობასა, ბურვილი ზედან ხიჯა იყვნეს ნახიჯარ მომწვარნი. ხოლო

შე ვიკითხევი რა ნიშთვის, მეტყოდენ, ვთარმედ ორისა წლისა ჟამი არს, ვინათგან ესე იქმნა. და მიჩვენებდენ მონაზონსა ვისმე. ვითარმედ ამან განალო ღამე კარი სალოცავად საყდრისა პორტი-
ტისა, ხოლო განხმასა კარისასა დედაკაცი ვინმე მოადგა კარსა
ბრწყინვალედ მოსილი, და ბერი ეტყოდა: ვინა ხარ შენ? და დე-
დაკაცი ეტყოდა: განმიტევე ამიერ, რამეთუ ვერ ძალ-მიც აქა დად-
გომად, რამეთუ იწვის მონასტერი ესე, წარვედ, აუწყე მონაზონთა.
ხოლო მიიხედნა რა, ცეცხლი მოსდებოდა და კვამლი აღვიდოდა.
იწყო ბერძან მან ღალადებად და რე[29]კად ზარისა. და შემოკრ-
ბენ და ახლად მოდებული ცეცხლი მალიად დაავსეს. ამისთვის არს
ნახევარ მოძწვარი, რამეთუ ყოვლად წმიდამან ცხადად დაიცვა
სასოღამცველი საქართველოთა მონასტერი.

კვალად მონასტრისათვისავე თბრობად ვიწყოთ. რამეთუ სა-
სნეულო და მისა კერძო გოდოლნი და სენაკნი განუახლებია მეფესა
ალექსანდრეს ქართველსა, რუისის საყდრისა კარზედ რომ მეფე
ალექსანდრე სწერია, იმას. სხვა გოდოლნი და გალაგანნი—დადიან-
გურიელთა. საზოგადცხოვრებო ტრაპეზი თავისის ჯომლითა და
გაწყობილობით აღუშენებია აშოთანს მუხრანის ბატონს. ქულბაქნი
ქონისა, მკერვლისა, მაზმნისა, გალატოზისა, ხუროსი სხვათა ქარ-
თველთაგან აღშენებული, სადა აწ მონაზონნი სხედან დი მუშაკობენ.
იქ ხატია კათალიკოზი ნიკოლოზ, მგონიეს, ბატონიშვილი იყოს.
და არს მუნ კვალად სენაკი გაბრიელ ღირსისა შეყენებულისა ქარ-
თვე[ვ]ლისა, და კვალადცა ცხოვრებენ სულიერნი დაყუდებულნი
მუნ ღვაწლსა და მონაზონებასა შინა. ხოლო მონასტერსა მას შინა
ცხოვრებდენ კაცნი მონაზონნი ფილოსოფოსნი: მელეტი, იოაკიმ
და ფილოთეოს. ვინაცა მელეტის მალლად მხედსა მას განეგდო
შორს რიტორთა ელლენთა ღრმა ცილობა, ესეოდენ სულიერსა
ღმთისა სათნოსა ცხოვრებასა აღსრულ რყო და ივლტოდა კაცთა
ხილვისაგან ესრეთ, ვითა ქურციკნი მენადირეთაგან. სამარადისოდ
ვზრახვედით და გამოვიკვლევდით სამეცნოთა და საშჯულიეროთა
მეცნვათა ამათ რაიმეთა და იპათ რაიმეთა, რამეთუ ღრამატიკა და
ლოლიკა* და ფისიკა საფილოსოფოსო თურქთა ენათა ზედა იპო-
ვებოდა, და ზოგს რომელსამე ბერძულეებ და უფრო ვრცელად თათ-
რულეებ ვეზრახებოდით.

რამეთუ წიგნის საცაესა მონასტრისასა არს ძველი ქართუ-
ლი წიგნი მრავალი: [30] თარგმანი დაბადებისა; კვალად წიგნი

* ტექსტის გასწვრივ კიდევ ავტორის შენიშვნაა: „ლოლიკა პორფირს
გწოდება“.

- საშვებელი „სამოთხე“, ღრმად თქმული და შვენიერად სოფრო-
ნის მიერ იერუსალიმელისა; და კვალად სხვანნი მოძღვრისა ამბა
იოანეს ბრძნისა თქმული, რომელიცა თორნიკ-ყოფილსა იოანე
მონაზონსა ქართველსა და ძმასა მისსა ვარაზეაჩეს აღუწერინებიათ;
- ს სხვა წიგნი უმილია და სხვანი მრავალნი წიგნი იპოებიან მუნ. და
ვიყავ შევბუღ-ცხოვრებულ და საწადყოფასა მუნ. და იყვნენ ძველ-
თა განწესებათა მონაზონთასა შემატკბო, ტრაპეზობა სულიერი და
წინამძღვრისა ჯდომა საზენაოსა ხარისხსა, და მონაზონთა კუნკულ-
მაზარიანთა მსახურება და გოდრითა ნამუსრევისა შეკრება, და წა-
მისყოფასა წინამძღვრისასა ეყვანთა დიდთა ელერება და ხარისხსა
კითხვა წიგნთა და ამალღება ყოვლად წმიდის ნაწილისა, და მგალო-
ბელთაგან „ღირსა არსი“, და კურთხევა მონაზონთა და განწესება ნათი
საწად ი[ვ]ყენეს უფროს ოქროს და ანთრაქთა. და აღრიცხვიდენ შვი-
დასსა მონაზონსა გარეთ მოღვაწეს თუ მუნ მყოფთა. და კვირია-
- ს კითი-კვირიაკე მრავალნი უცხოებასა და მწირობასა შინა მყოფნი
შემოკრებებიან და საზრდოსა და საფასესა განუყოფენ მათ. მონას-
ტრისა მის საგანძურსა ძეს მრავალნი ქართველთაგან შემოწირულ-
ნი საყდრისა სამკაულნი თუ შესამოსელნი. და კვალად ძეს თორ-
ნიკის საჭურველნი: ზუჩი, ჯაქენი და აბჯარი და ვრმალი, რაჟამს
- ს იგი მონაზონებასა შინა შეიმოსნა და შებმა უყო სპარსთა და გა-
ნიოტნა იგინი²². რამეთუ შემდგომად იოანესა და ძისა მისისა ეფ-
თვიმისა და გიორგი მთაწმიდელთა ცხოვრებულან მუნ ღირსნი
კაცნი: გიორგი ოლთისელი წინამძღვარი, იოანე ნინოწმიდელი,
იოანე რეხვაძისძე, საბა თუხარელი, კლიმი მეუღაბნოვე, ბასილი
- ს ულუმბელი და ღირსი მღვდელი იაკობ მხატვარი—ქართველნი.
- [31]ამა მონასტერსა შინა არს სამარადისოდ მოვსენება მწუხრად
და ცისკრად, და თვით დღესასწაულსა მონასტრისასა მარიამობად
მიცვალებისა ერთობით შემომწირველთათვის მოვსენება: მეფეთა-
თვის ბაგრატოვანთა, დედოფალთა, ერისთავთა და თავადთა, და-
- ს დიან-გურიელთა და მცირედთა კაცთათვისცა, ვისაც რამე შემოუ-
წირავს. და არ დასცხრება მოვსენება მათი მარადლე, მათთვის
ნეტარება, ვინცა აქა დაწერილ არიან. და ამისთვის შური შემწუ-
რდა მათთვის და მეფეთა ჩვენთათვის, თეიმურაზისა და ერეკლესა-
თვის, საუკუნო მოვსენება დაეწერინე²³.
- ს და ამისა შემდგომად მისლვისა ჟამსა ჩვენსა მუნ მოიწია
დღესასწაული შობისა. და განგვიმზადნეს ხარისხნი და ბისონი,
უცხოოდ რამ გულქა(ნ)დებული, და გვირგვინი მანიაკისა, და გვაწვე-
დენ მსხვერპლისა შეწირვად. ხოლო მე, ვითარცა კაცსა ცოდვილ-

სა, თავი მეუღლისებოდა და უარსა ვყოფდი, არამედ გულსმო-
დგინებასა მათსა [v] ნება ვეც. და იყო ღამისთევა მიმწუხრი,
ვიდრე მზისა აღმოსლვამდე. და კვალად მოწვენასა დღესასწაუ-
ლისასა, რომელ არს ნათელთა განცხადებისა. და წინა დღით
მომზადნეს თალარი და შუა მისა ფავარა წყლისა ნჩქეთვარე. და ⁵
ფავარისა მის თავსა ზედა შთამოაცვეს ფრინველი ვეცხლისა
ოქროცურვებული, და ფრინველი იგი ნისკარტით და ფრთეებით
აღმოუტევებდა ნაკადსა წყალთასა. და მოვიდა წინამძღვარი დიდე-
ბულითა მით კრებულითა თვისითა და აკურთხეს მუნ დიდი აიაზმა.
და იყო ღამისთევა მწუხრით ცისკრადმდე, და განთიად ჰკრეს ¹⁰
დიდთა ზართა და შეიმოსნენ წინამძღვარი და მამანი, და გამოას-
ვენეს ხატი პორტაიტისა ლამპრებითა მრავლითა, დროშებითა და
ფარნებითა თითოსახითა. და განვედით ზღვად, ლელესა მუნ წყლი-
სასა, და მოიტანეს სააიაზმო დიდი ბადია ძვირფასი, შემოწირული
ქართველთა და კახთა [32] მეფისა ლეონისა მიერ, და ზედან ქოლგა ¹⁵
მძიმედ ნაკერი, აშოთან პუხრანის ბატონისა მიერ შემოწირული.
და აღკიდეს ფარდა მძიმე, სვიმონ ქართველი ბატონის მიერ შემო-
წირული, ორი სახარება დიდი, მურასა, დაასვენეს: ერთი დი(დი)
სახარება, მძიმეს თვალთ შემკული, პეტრე რუსთა იმპერატორისა
მიერ შემოწირული, და მეორე, მინანქრისა სახარება, ბაქარ ვახ- ²⁰
ტანგის ძისა ქართველი ბატონისა მიერ შემოწირული. და იწყეს
კურთხევად წყალთა. და წინამძღვარი დიდებულისა მონასტრისა
ჯვარსა შთაასვენებდა წყალთა. და მდგომარე იყვნეს გუნდ-გუნდე-
ბად და მწყობრად განკრძალულნი მონაზონნი და განშორებულნი
და დაყუდებულნი, მთით და კლდით და ნაპრალით გამოსრულნი, ²⁵
ხილვად ნათელთა, ესეოდენ იყო, ვითა მინდორი ვერ იტევდა. და
მსგავს იყო ხილვა მათი ზეცისა განწყობილთა სპარაზენ[ვ]თა რჩე-
ულთა მკედრობათასა. და აღსრულებისა შემდგომად ზღუდეებით
მონასტრისათ და ბურჯებით იყო დიდი ზარბაზანთ ცემა, ჳმა ქე-
ქისა და სიხარულისა მონაზონთაგან ესეოდენ, ვითა მიწა იძრვო- ³⁰
და, და წირვისა შემდგომად—ტრაპეზობა და სერი დიდებული დღე-
სასწაულსა მას ღმთისასა.

მივედით მონასტრად დიდად ლავრად, რომელი აღაშენა
სეგარდამოთა წამისყოფითა სასიკლსა ზედა სარებასა ეოვლად
წმიდისასა მამამან ათანასე ათონელმან

ხოლო ამისა შემდგომად წარვედით მონასტრით ქართველ-
1 თასა მოხილვად და თაყვანისცემად წმიდისა მონასტრისა ლავრისა
ათანასე ათონელისასა, მთაწმიდელთა უპირველესისა მონასტრისა.
და იყო სავალად სიშორე გზისა საათისა ექვსისა სავალი²⁴, და წარ-
მართებულნი მივიწიენით. გზათა ზედა იყო აიაზმა აღმოცენებული
ათანასე ათონელისა და ეკლესია მცირე. რამეთუ გვეტყოდენ იგი-
20 ნი ამისთვის, ვითარმედ წმიდა მამა ათანასე მო[33]-რა-იწია ტრა-
პეზუნტით მთაწმიდას, იწყო შენებად მონასტრისა ლავრისა, და
შემოაკლდეს საფასე და საზრდო მონასტრისათვის. ამისთვის განიზ-
რახა განსლვა მონასტრით სოფლად, რათა აღშენებისათვის ღმთის-
მოყვარეთაგან საფასე მოირეწოს. ხოლო წარმოსრული მოიწია რა
30 კლდესა იმას, სადა აწ აიაზმა აღმოდის, ეჩვენა ნათლითა შემოსი-
ლი დედაკაცი ვინმე²⁵ და ეტყოდა, ვითარმედ: უკუნ იქეც მუნვე,
რამეთუ საესებით გეპოვოს საზრუნავი შენი. არამედ ათანასე და-
ჰკრთა და ჩვენება რაჲმე არაკეთილი ჰგონა და ეტყოდა: ვინამე
ხარ შენ? ხოლო ჩვენებული იგი დედად ევმანუილისად დაამტკი-
40 ცებდა თავსა თვისსა, ამისთვის ათანასე მიუგებდა: უკეთუმცა ქეშ-
ნარიტ არიან სიტყვანი შენნი, მიჩვენე აწ სასწაული რაჲმე და ანუ
ქმელსა ამას კლდესა აღმოაცენე წყალი. მაშინ კვერთხი გამოულო
ათანასეს, სცა კლდესა მას და აღმოეცენა წყალი; და არს მომდი-
ნარედ დღესამომდე, სა[ვ]რწმუნებით მიმავალთათვის მკურნალი.
50 და თაყვანი-სცა ათანასე გამოჩინებულსა მას. და უკუნ იქცა რა,
სავსედ ეპოვნეს საგანძურნი და საიფქლენი, და აღაშენა წმიდა მო-
ნასტერი ლავრა. [ამა წმიდასა ათანას(ე)სთან მოვიდა ქართლით
კურატპალატთა ძე იოანე და მონაზონ იქმნა, ხოლო ძე მისი ეფთვი-
მი მძევლად მოაყვანეს ბერძენთ მეფისა. მაშინ გამოითხოვა ძე
60 თვისი იოანემ, და მოსცა მეფემან და მონაზონ ქმნა იგიცა ლავრას.
ხოლო აღიღეს შენდობა და მონასტერი აღაშენეს ქართველთა, და
ძესა თვისსა უწოდა იოანემ ეფთვიმი²⁶.

და ვითარ მივიწივენით მონასტრად ლავრად, სცნეს რა მისლვა
ჩენი, ჰკრეს ზარსა და მოგვეგებნენ მამანი ლამპრებითა და კმევითა,
35 და მოგვართვნეს მდინარი და კვერთხი და შეგვიძლენენ ტაძრად,
და თაყვანის-ვეცით ტრაპეზსა და ლუსკუმასა წმიდისა ათანასი ათო-

წელისასა და სიმრავლესა მამათა და ძმათასა. და განვიცადეთ ეკლესიისა შვენიერება უცხოლ. და დიდებული კედელ-ყურენი იყვნეს მართლიად ქაშანურისანი, გუმბათი—სოფიას კენჭით ჩაწყობილი, იატაკი—ქვითა საძარავდოთა და მარმარიოთა წითლისა პარისული-სა ფერადად ჩანახებულნი, კომლნი და ქორკანდელნი მრავალნი—ვეცხლისა, თუჯისა და ქიქისანი, და კანდელთა სიმრავლე. და სასანთლეთა სიუცხოვესა აღყვავებულის მინისა სანათურით მზე შემოს[34]რულისა ნათელი ესრეთ ანათობდა, ვითა ედემებრივთა შუქმკრთომარეობათა ბაძვი.ღა. გარეთ მონასტრისათ აღგილთა სიშვენიერე და წყარო-წყალთა და ხეილთა სამოთხეობა რაღა მიგიოხრა!

ვინაცა ლუსკუმასა ათანასესსა ჰქონდა პირსა მორღვეული ნაქცევი და ვიკითხვედი რა მისთვის, გვეტყოდენ, ვითარმედ კაცთა ვიეთმე უკეთურთა შეგვასმინეს სულთანსა, ვითარმედ ძველთა მეფეთა სალარონი მუნ არს, და წარმოავლინნეს თურქნი და ძებნეს; და ვითარ ვერა რა პოვნეს, ჰგონეს, ვითარმედ საფლავსა ათანასესასა იქმნების დამარხულად სიმდიდრე. და ვითარ შლად და ქცევად ჯელ-ყვეს, თურქსა ერთსა ჯელი უკულმა ექცა, და შეშინებულთა ვერლარა ჯელ-ყვეს და დაშთა ნაქცევი ესე.

და შეგვიძღვენენ სრასა მონასტრისასა დიდებულად დაგებულ-სა და შემომიკრბენ მამანი. და განვიცადენ წინამძღვარი და სკეოფი-ლაკი და მამანი, კაცნი დიდალ [V] პატიოსანნი და სრულნი სულიერითა ქცევითა. და განვეკირდით მონასტრისა სიდიდესა,—ვითა ქალაქი, დაფუძნებული ძირსა მთისა ათონისასა, ადგილსა მაღალსა. და განვათიეთ მუნ აღება, კრება და კვირიაკე მარხვისა თევდორობადმდი. და იყო სენაკი ღირსისა იოანე შეყენებულისა კუკუზელისა, რამეთუ ამისთვის გვეტყოდენ, ვითარმედ მეფესა ბერძენთასა ყვანდა სიუცხოვისათვის ჯმისა მისისა. მაშინ ზეგარდამოსა მაღლისა მიერ განბრძნდა და საცდურთაგან სოფლისათა იჯნა, და იღუმალ განიელტოდა და შეიმოსა სამოსელი საგლახაკო და მივიდა ლავრად, და ევედრებოდა მათ, რათამცა ყვეს მონაზონ. და ჰგონებდეს მონაზონნი იგი, ვითარმედ არს მდაბიო ვინმე, და განაჩინეს იგი მწყსად და ძოვანად იგი თხათა მონასტრისათა. ხოლო იგი დამორჩილებული მწყაიდა და აძოვებდა თხათა. განიპყრნის განთიადიდგან ჯელი ვიდრე მწუხრად(მ)დე და ილოცვიდის ჯმითა გალობისა კილოსათა. ხოლო თხანი მსმენნი [35] ჯმისა მის, იგინიცა უზმად მდგომარე იყვნეს ვიდრე მწუხრადმდე, ამისთვის დამკლდენ და გავმენ თხანი იგი, ვინაცა მიიღველნი მონაზონნი იგინი განკვირვებულ იყვნეს.

- თუ ვითარ რაჲმე არს ესე; და იღუმალ უკანა შეუდგენ მისა ხილ-
ვად, და ვითარ იხილეს ლოცვა და გალობა მისი და თხათა მათ
მდგომარეობა ეგრეთ უზმად, მსწრაფლ აუწყეს წინამძღვარსა და
მიიყვანეს იოანე და კითხეს რა, თუ ვინ არს. ამისთვის ვერლარა
5 დამმალველი იოანე გამოუცხადებდა წინამძღვარსა საქმესა თვისსა
ყოველსავე და ევედრებოდა, რათა მეფისაგან შენდობა ითხოვონ
მისთვის, რათა მუნ მონასტერსა მკვიდრ იქმნას. ამისთვის წინა-
მძღვარი აღვიდა კოსტანტინეპოლედ და ევედრებოდა მეფესა, რა-
თა, რაცა ითხოვოს მეფისაგან, მიეცეს. მაშინ აღუთქვა მეფემან,—
10 ეგრეთ ვყო,—და გამოუცხადა იოანე კუკუ[ა] ზელისათვის. სმენასა
ამას ზედა ფრიად შეწუხნა მეფე, რამეთუ უყვარდა უცხოსა ჳმისა
მისთვის, არანედ ნება სცა წინამძღვარსა. ამისა შემდგომად იოანე
მოიგო რა უზრუნველი ცხოვრება, შეიმოსა სქემა და გარეთ მო-
ნასტრისა აღაშენა ეკვდერი მთავარანგელოზისა და აღიგო სენა-

- 15 კი მცირე და მისცა თავი თვისი ძლიერსა მოღვაწებასა.
და იტყოდენ ამასცა, ვითარმედ ღამისთევეთა რა განათენებ-
და იოანე და ცრემლითა ლოცვასა შესწირვიდა, მირულებულსა
ჯელთა შინა ედგა დრაჰკანი ერთი. აღდგა რა და იხილა განკვირ-
ვებულმან, აღილო და მუნვე ტაძარსა მას შესწირა. ხოლო აჲ დრაჰ-
20 კანი იგი 'შუა განუკვეთიათ, ნახევარი რუსეთად წარუღიათ და ნა-
ხევარი მუნვე ძეს. და უამბორეთ ლუსკუმასა სამარხოსა მისისასა.

- და მოვედით კვალად მონასტრად და ვიხილეთ თავი დიდისა
ბასილისა, თავი მიხაილ სვინადელისა და სხვა ნაწ[36]ილი მრავა-
ლი, რამეთუ მონასტერსა ამას შინა არს სამწირვალო ოცი, და
25 სავსე არს ყოვლითა სიზღიდრითა სულიერითა და ჳორციელითა.
კვირიაკეთა შევიდოდით ტრაპეზად, და მჯდომარე იყვნენ სამარად
მონაზონნი ხუთასნი, მწყობრნი ღმთისა ცხოველისანი; და სავსე
იყვის საერო იგი ტრაპეზი სანოვავითა მრავალფერითა, და ტაფა-
მწვარნი, და მაზანი თითოსახენი ნუგეშად ძმათა, და წდევა ღვინისა
30 წესისაებრ. და იყვის მიმდემი კითხვა წიგნთა ტრაპეზსა მას, და
აჲღერებდენ დიდსა ეჲვანსა წამისყოფისათვის წინამძღვრისა. ღამე
მდგომარე იყვნეს ცხრასა ჟამსა ლოცვად და დიდების მეტყველე-
ბად. და განკვირვებულ ვიყავ მათსა მას ცხოვრებასა და ვმადლობ-
დი მრავალსა მოწყალებასა ღმთისასა, რომელმან მუნ მივრდომად
35 ღირს მყო და ხილვად მათდა. იხილვა საკვირველე[ა] ჳბა ღმთისა,
თუ ჟამსა უსჯულოთასა ვითარ დაცულ არს მონასტერნი ესე და
უვნებელ?

აწ ვიტყოდეთ მთაწმიდისათვის. ევროპიას, ადგილსა რასმე, ზღვათა შინა, მსგავსად კუნძულისა არც მთაწმიდა, არამედ კმელითაცა აქვს სავალი. ახლოს არს მაკედონია ქალაქი დიდისა ალექსანდრესი და ზედ მოაბია, სტიითა, ადგილი არისტოტელისა. ამა მთაწმიდას პირველ ქრისტეს მოსლვისა ეწოდა აპოლონია, რომელსა ზედა, აღმართებულ იყო აპოლონ კერპი. ვინაცა მოვიდა რა ყოველსა სოფელსა მოციქული პავლე, აქაცა გამოვლო. ვითარცა იტყვის საქმე მოციქულთა, თავი იხ: ტროადით მოვიდა სამათრავს, და გამოვლო აპოლონია და მივიდა თესალონიკედ და მიერ ბერიად, და ბერიით ათინად. რამეთუ მისლვითა თვისითა აკურთხა მოციქულმან წინათვე, რათა იქმნეს ადგილ სამღ[37]ვდელო აღსავეს საკვირველებითა, და საყოფელად წმიდათა სასწაულებითა და ნიშებითა ადგილისათვის წმიდისა და მთისათვის რჩეულისა; რაოდენნი მონასტერნი და სადაყუდებულო კელიანი ზენ არიან და რაოდენნი ღირსნი კაცნი დაწყებით ვიდრე მოაქამომდე ცხოვრებენ ღმთისაგან დაფარულსა ამას ადგილსა. დღესცა ცხადი საფარველი ყოვლად წმიდისა იხილვების მუნ, რამეთუ თურქნი შიშისათვის ფრანგთა და ქრისტიანეთასა მცირესაცა ძველსა ნაქცევსა სიმაგრეთა არა უტევებენ და მთაწმიდად დიდი მონასტერნი ოცნი თოფითა და ზღუდეებითა, ციხისა უმაგრესითა გალავნითა არიან, და არცალათუ მიხედვენ, საფარველსა ზეგარდამოსა დაუფარავს იგი²⁷.

მთაწმიდა არს იმგვრგვლივ ოცდაოთხისა ჟამისა სავალი მთა და ტყიანი ნიგეზითა, წაბლითა და ხილთა და ვენაჯთაგან აღვსილი; კაცნი ვითა ირემნი ბუდობენ. და შუასა ზედა ათონი—მ[v]თა მალალი, მსგავსი კავკასიისა, ყინვითა აღსავეს, მადინებელი მდინარეთა. ამა მთისა კალთანი სავსე არს მონასტრებითა მრავლითა და ეკლესიითა ურიცხვითა. რიცხვსა იტყვიან ათას ხუთასსა ოდენ, ზოგნი—დიდნი მონასტერნი ზოგადცხოვრებულთა სამყოფი, სხვანი—მცირედნი მონასტერნი, კმასყოფელითა ბალითა, ვენაჯითა, მწირის მონაჯენითა, წიგნითა, შესამოსლითა სავსე. უკეთუ ვისნე ზოგადცხოვრებულთა თანადგომად ვერ შემძლეა, მონასტრისაგან მცირეს მონასტერს მოიყიდის და მას შინა იცხოვრებებს²⁸. სხვა სენაკები არს დაყუდებულთა წმიდათა კაცთა, სხვა—განშორებულთა მძოვართა, და ესრეთ აღსავეს არს ადგილი იგი ღმთისა კაცთა ღირსთაგან.

ამისა შემდგომად ლოცვა აღვიღეთ მამათაგან, და ჯორნი წვივ-მაგარნი დაყუდებულთა ადგილთა სავალად გვიბოძეს და წარმოგვატანეს თან წინამძღვარი კვიპრიანე. და წარმოვედით ლავრით და მივიწი[38]ენით იმიერ ათონად, ადგილსა და საყოფელსა კაცთა

წმიდათა დაყუდებულთასა. და მივედით ეკლესიასა და სენაკსა წმი-
დისა მამისა ჩვენისა პეტრე ათონელისასა. და ნაწილი და ლუსკუმა
მისი მუნვე არს, რომლისა ქსენებასა ვყოფთ ივნისსა თორმეტსა.
და მიერ მივიწიენით დაყუდებულთა ეკვდერსა წმიდისა მოწამისა
არტემისასა, პართენიოს სულიერისა დაყუდებულისა, და მართლმა-
დიდებელთა კვირიაკე მუნ აღვასრულეთ.

და მიერ წარვედით დიდთა მათ სადაყუდებულთა ალაგთა,
სამთა შესაკრებელთა მათთა, სამთავე ეკვდერთა წმიდისა ანნა დე-
დისა ღმთისმშობელისათა. კლდეთა რათმე ფრიად მალალთა და
საშინელთა ზე წარმოსდგომიამთა მალალი ათონი და ქვე—ზღვა, და
მათ შუა—კლდე-ქარაფნი და პარეხნი მალალნი, ვითა საშავარდენნი
სახილველად საზარელნი; და კლდე-ქარაფთა მათთა ზე კიბენი აღ-
მოქრილნი იყვნეს, და ძვილ ჩავაწიეთ მას [v] ზედა და მივიწიენით
შესაკრებელსა და ტაძარსა წმიდისა ანნასსა, დაყუდებულთასა. და
სიმო-რა-ვიხილვედით სენაკებსა დაყუდებულთასა, იყვნეს კლდეთა
ზედან მიკრულ; ვითა მერცხალნი და შავარდენნი ბუდეთა აღიგე-
ბენ, ეგრეთ ნაპარალსა კლდეთასა სენაკნი მათნი. და განცვიფრებულ
ვიყავ ცხოვრებასა მათსა. და კვალად უშინაგანესსა ადგილსა არს
მღვიძარეთა დაყუდებულთა ადგილი, რომელსა უწოდიან კათსო-
კალია²⁹, საესე კაცთაგან ანგელოზებრ ცხოვრებითა.

და იყო მუნ დაყუდებული ქართველი, ჯავახი, ღირსი ანთიმოს,
შორად მყოფი სენაკებს, ფრიად მოღვაწე და მშრომელი, სრულიად
შიშველი და უპოვარი, და არა ქონდა კარი სენაკსა მისსა, რამე-
თუ დაეჭმო ქვითა³⁰.

და მიგვიძღვნენ და დაგვასადგურეს ეკლესიისა მის სავანედ,
და ნოელოდენ ბერსა ვისმე გამგესა და მართებელსა მათსა, რამე-
თუ სხვად სადმე ადგილად წარსრულ იყო, რამეთუ მუნ ცხოვრებულ-
ნი [39] წმიდისა ანნასნი დაყუდებულნი იყვნენ ორასნი ოდენ, და მე
ეგრეთ ვგონებდი, ვითარმედ ამათი გამგე და ზედამეურნე ამათსა
უმეტეს შვებული და სამოსლითა უმჯობესითა შემოსილი იქმნება.
და ვგებდით რა უფროსსა მათსა, შემდგომად მწუხრისა მოიწია
მონაზონი ვინმე მოხუცებული, და ჩვენთვის საზრდო-სავახშმო ტვირ-
თითა ზურგსა მოეკიდა. და მითხრეს, ვითარმედ: ამათი მამა ესე
არს. და განეკვირდით სიმდაბლესსა მისსა და უამბორეთ ჳელსა
და მოვიკითხეთ. რამეთუ ემოსა სამოსლად ყოველივე: ანაფორა,
კუკული და ბარტყულა აქლემის ყელისა, არამედ ჯუბა თეთრის
შალისა, რამეთუ დაყუდებულთაცა მათთა ესრეთ მოსიეს.

და განვათიეთ სულიერთა მათ თანა ორ დღე. და რამცა იყო უამეს სენაკთა მათთა მოხილვისა და მათისა განცდისა, რამეთუ არარაჲ მსოფლიო და საწუთოსა ამბოხებათაგანი რამე იხილვებოდა მათ თანა. და ვადიდებდი შემკრე[ვ]ბსა და აღმაორძინებელსა მათსა უფალსა. მთა ღმთისა კემშარიტად და სათუძველნი ღმთისა მათთა შინა წმიდათასა ამას ვასახენ. ვითა საწუთოთა სიცრუვეთაგან და სოფლისა საცივთა და ამოებთათაგან ლტოლვილნი აქა, ნავთსაყუდელსა ნათელთასა მოივლტიან, ზეცისა მიმსგავსებულსა, სამოთხესა სულთა საშეგებელსა, და უცხო ქმნილნი ხედვთაგან მავნებელთა, ვითა დედალი რამე, კატა ანუ ქათამი და ძალიცა, არა იპოვება მთასა ამას შინა წმიდასა. და მას შინა მონაზონნი სამღვდლო ქმნილნი, გუნდებად და ბანაკებად განწყობილნი, ზეცისა ძალთა ახარისხებულნი, რამეთუ ამათ აღიყვანნეს კერძობითთაგან კაცთა და საყოველთაოსა მიმართ და სამარადნყოფთა მიწდომილ იქმნნეს.

ჰე, საღმთო ვიდრემე არს და სასურველ! და კეთილად ითქვა ამათთვის, ვითარმედ ეგევითარი კეთილი არ[40]ცა მოვიდა კაცთა მომართ, არც მოვიდეს ოდესცა, რამეთუ სამარადდაუღუშებელსა მსხვერპლსა ბაგეთასა და ღვაწლთა ტკივილთმოკუპარებისასა შესწირვენ მრგვლიად დასაწველსა წინაშე საბაოთისა და გალობენ გალობასა ახალსა ძლევისასა მომნიკებელისა(დ)მი მათდა უფლისა, რომელმან განარინნა ესენი საცთურთაგან მსოფლიოთა და საციცხელად შეარცხვინა წუთიერი ჰორწინებათა გემოსა ამოათასა შთამდებელთა ჯოჯოხეთისათა. ეჰა, მკედარნი მეუფისა დიდისანი, რომელნი (ი)ტყვიან: (არად მრწამს შე ხილვად კეთილი უფლისა ქვეყანასა მას ცხოველთასა; დაუთმოთ უფალსა, მკენ იყავნ და განძლიერდინ გული ჩენი.

აწ მიგითხრა ადგილთაცა შევნიერებისათვის, თუ ვითარ ნუგეშად ბოძებია მათ ღმთისაგან. რამეთუ სოფელსა შინა განვიცადე რა ნთაწმიდა და ადგილთა შევნიერება მისი, ედემისათვის ტკბილ-[v]საშეგებელსა ვასახე: ვითა მთა იგი მალალი ათონი მყინვარე, ვითა სპეტი რამე გამომკვირვალი სახედ ყარყუმთა, და კულთა სიშავე ესახებოდა სენაკთა. იქა და აქა განკარგულნი შენება მყუდროთა მათ მიმოდადებითა კლდეთა შინა და უღალთა მათთა მიიკვირობოდეს, ვითა თქვა მეფსალმუნემან: „მთანი მალალნი ირემთა“*.

ჰე, ნანდვილ მონაზონნი, ლტოლვილნი სოფლით, აქა სახედ ირემთა

* ფსალმ. 103, 18.

- და ქურციკთასა იყოფებიან, გარეკევეითა — ვითა ირემნი. და გველთა, მოისართა ჩვენთა, ვითა ირემნი პირითა აღიწობენ და უჩინო იქმონენ და ფერკითა დასთრგუნვენ და ირემთა კუდთა სიმუშკისა სუნთა სიმყარაღესა ცოდვათასა ჩვენთასა წარიოტებენ. ითქვა:
- 3 * კლდენი შესავედრებელად უურდგელთაო*³, ვასახენ შესრულთა კლდეთა და ნაპრალთა და ჰვრელთა ქვეყანისათა. ზე გელაპყრობილნი ანუ ქვემოთხილნი ფთხილვანთა მამანი მიმდემსა ლოცვასა შესწირვენ სოფლისა მშვიდობისათვის და ეკლე[41]სიათა ერთობისა და კეთილდამცა დაცვისა მართ(ლ)მადიღებელთასა. და კვალად ქურ-
- 30 რჩეულობითნიცა ზრახვანი ვასახენ მათ მათა შინა და ქვაბთა ქვეყანისათა ხალენებითა და თხის ტყაეებითა ქირვეულნი და ძვირხილულნი, რომელთა ღირსეე არა იყო სოფელი ესე.

- და კვალად შვენიერებისათვის ადგილისა რჩეულისა და წმიდისა რალა მოგიოხრა, რამეთუ ველთა და ქალაკთა ედემებრივთა
- 35 ზე მთისა მისგან ათონისა მჩქეფარენი წყალნი გეონისა, ანუ-მე ეფფრატის სახედ მომდინარენი მწვანედ ქუფრვილთა ჩრდილფურცლოვანად ბურვილთა მათაგან, და ბაღჩა-წალკოტთა მათ ზედ ჩამოჩქერანი ახავედებულსა ადგილსა მწვანვილოვანსა და კლდეთა და ლადოთა და კბოდეთა მიმოკვეთებული მჩქეფარეთა დუდილთა-
- 30 გან წყალთასა და სტვენისაგან აედონთა და ფრინველთასა ყურთა კმა გაეზიარა.

- ველთა ხეხილთა სიჭმირე და სავსე [v] კვიპაროზითა და ალვისა რტოთა ნაზობა ედემისა შესწორებულ იყო. მთა-გორანი ზეთისხილთა და ფიქე-ნამვიანობა, და უდალაჯთა და დაფნთა, პორტო-
- 35 კალთა³¹, ნარინჯ-თურინჯთა სუნნი ამონი ხათავეთურისა მუშკსა და კინამოსა უსწრობდეს, და ნიაფწელილთა ბერვასა მუნ სამოთხისა სახე შემოიღებოდა. კორდნი და ველნი სავსე იყენეს თითოფერიითა ასფოდელოებითა. მტილნი განვრცომილ იყენეს ვარდთა, იათა და ყარამფილთაგან. შროშან-ნარგისულობა, ზამბახთა, ზაფრანა-
- 30 თა და სოსანთა სისავსე ტაბლად და წიალად აბრამიანებრად ისახებოდა. შიგ განკარგვით მონასტერნი და კელიანი მამათანი, და ნაპირსა ახლოდ ზღვათა, ლადოთა ამონი ლელვანი და მქველსა წყალთასა მჩქეფარეობა ფრიად ვიდრემე საწადად განიცდებოდა, ნავით მომავალნი მონაზონნი ბერვითა სპეტთა იალქანთათა ბო-
- 35 რიოს მიმოტაცებული თვალ[42]თა მხედველთასა განაცვიფრებდა და მენავენი მონაზონნი, მსგავსნი მომფრინვალეთა, შემომქონნი

* ფსალმ. 103, 19.

სანუკვართა და საზრდოთა, რომელთა მოაქვნდა მკელეულები ნა-
შრომი, ზღვით მომზიდავნი ემსგავსებოდა ფუტკართა ცვილ-გოლვე-
ულთა მემუშაკეთა. რამეთუ სულიერთა მათ ესევეთარი ნუგეში
მზადისა მიერ კეთილნაბაღთა ამათ შინა იპოვებოდა, მისა დიდება
საუკუნეთა უკუნისამდე, ამინ.

მივედით მონასტერსა დიდებულსა ვათოპეტს, რომელი
ალაშენა მეფემან არკადი ბერძენთამან სახელსა ზედა
ხარებასა ყოვლად წმიდისასა

მივიწიენით სხვასა მონასტერსა, დიდებულსა ვათოპედს, თვით
დღესასწაულსა მისსა ხარებააა ყოვლად წმიდისასა. და იყო შეკრე- 10
ბულ მონაზონთა სიმრავლე; და ქულბაქნი განეწყით კარსა მონას-
ტრისასა მომავლისათვის ერისა სავა[ვ]ქროდ. და მოგვეგებნენ სკო-
ფილაკი და ძმანი და შეგვიძღვნენ მონასტრად წესისაებრ. და ვი-
ხილეთ მონასტერი და ტაძარი მჯობი ყოველთა მონასტერთა მთა-
წმიდელთასა და არაართ ნაკლული მათგან, და თაყვანის-ვეცით 15
ტრაპეზსა და ნაწილთა. მუნ იყო თავი გრიგოლი ღმთისმეტყველისა
და სხვათა მრავალთა ნაწილნი. მუნ იყო ხატი იგი მაცხოვრისა-
რაჟამს თეოფილე მეფის მეუღლე იღუმალ ინახევდა. მუნ კარისა
ბჭესა შინა არს სახე ყოვლად წმიდისა, კედელსა ასახია. იტყვიან
მისთვის, დიაკონი ვინმე გულმწყრალ ქმნილ არს, აღუღია დანა და 20
დაუცია სახისათვის ყოვლად წმიდისა და მსწრაფლ მოვადრნია
ტელი იგი, და აწუა მუნვე ძეს ტელი განკმელი იგი.

რამეთუ აღუშენებია მონასტერი ესე მეფეს არკადის ბერძენ-
თასა. ხოლო დღესასწაულსა მას მწუხრად ჰკრეს დიდსა მას ზარ-
სა და შემოკრბენ ზამანი და წინამძღვარი, და იყო ლამის[43]თევა, 25
ვიდრე მზისა აღმოსვლადმდე. მორთვა სადღესასწაულოდ ტაძრისა
მის რალა მიგითბრა! შეენიერსა მას საყდარსა, ქვაფენილსა ქვითა
იასპითა და ფერადითა სამარაგდოთა და ოთხთა მათ უცხოთა
სვეტთა მნთებარეთა, რომელიცა აღმაშენებელთა ჰრომით მოუღიათ!
და სამყაროდ ცისკროვანსა მას ეკლესიასა აღუნთნეს ჯომლნი და 30
ქორკანდელნი და კანდელნი, და აღამკვეს და უცხოდ ხალასად ნა-
კერნი ფარდანი კედელ-ყურეთა საყდრისათა მოაფარდაგნეს, და
მოაკრეს საქადაგებელი ხარისხი პატრიოსნად და განაწყვეს დასდა-
სად ოქროცურვებულნი სასანათლენი. მსგავსი იყო ვითა სძლისა
განშენებულისა ქორწინებად სიძისა(ღ)მი,—ეგრეთ შეენოდა ეკლე- 35
სია. ათხუთმეტნი წინამძღვარნი და ოთხნი დიაკონნი შემოსილ იყე-

ნეს ლამისთევასა მას უცხოთა რათმე შესამოსლითა შემოსილნი და დიაკონთა, მწართა გინგილათა ზედა, მუ[ხ]ყაიაშით იაქშად დაცუდვილნი დიდნი საფარებელი მწართა ზედა მოედვათ, მარჯვნივ სასაკმეველ და მარცხენესა კელსა საგუნდრუკენი ოქროცურვებული გუმბათიანი, და ეგრეთ აკმევედენ. და პურთა კურთხევისათვის—სინი დიდი ოქროცურვებული, და შუა სინისა— ვეცხლის ბორჯლიანი ხე ამოსული ხუთფურცლიანი: ერთი—პურის სადები, ერთი—ღვინისა, ერთი—ხორბლისა და ერთი—ზეთისა. და რაჟამს კმევისა ჟამი არღარა იყვის, სხეასა ჟამსა მაზარიანთა მონაზონთა კელით სატვირთავი ფრთიანი საკმევი ეტვირთათ და მით მურასა და შტახსიასა უკმევედენ. და იყო მუნ საათი მკერელი ორღანოსა და უკრევედა ამოდ. და მგალობელნი გალობდენ ჳმითა კეთილითა ვრცელად.

და განთენდა რა და აღსრულდა ლოცვა ჟამსა ჟამის წირვისასა, მოიწია დიდი ფილოსოფოსი ევგენიოს, კაცი ქვეყანისაგან ვენედ[44]იკთასა, განსწავლული სიბრძნითა და ენითა ელენებრითა და პრომაელებრითა, სახითა რაჟთამე უცხოთა და ქრევეითა პლატონურიითა, რომელსა იველთა მათ ფილოსოფოსთა სიბრძნენი არარად შეერაცხა. და იტყოდენ მისთვის — ევროპიას ძვირად სადმე პოვნილსა ვისმე შესადარად მისა³². და ახლდენ შკოლისაგანნი ყრმანი მოსწავლენი ასოცი ოდენ. ხოლო მე გარეთ მდინარითა აიაზმასა ვასხურებდი ერთა. მაშინ ჳმა მიყო მე ბრძენმან ევგენიოს, ვითარმედ: დესპოტა, აწ ჟამი არს მსხვერპლისა შეწირვად. მსწრაფლ აღვდეგ და დაკდეგ განწესებულსა ალაგსა ხარისხისასა. და აღვიდა ხარისხად და განმარტა ჳელი და იწყო დღესასწაულისათვის სიტყვად, ვითარმედ შემოკრებულნი საკვირველისა დღესასწაულისანი მღუმრიად მივეგებოდეთ, რამეთუ ამისთვის არა არს გამოთქმად კაცობრივთა სიბრძნეთაგან, ანუ თქმად გამოუთქმელთა ამათ. არამედ გა[ხ]ბრიელის თანა ვიტყოდით: „გიხაროდენ, მიმადლებულო! უფალი შენ თანა“*. ესეოდენ მესწავლნეს ენა ბერძული, ესენი მე გავიგონნე. ხოლო იქადაგა ვიდრე ორისა ჟამისადმდე. და შემდგომად წირვისა აღვედით ტრაპეზად. და იჯდა წინამძღვრისა თანა მჯდომარენი გუნდნი მონაზონთა მრავალი, და სერი და ტრაპეზობა ბრწყინვალე, და ზღუდით მონასტრისათ ზარბაზანთა და თოფთა ცემა ძლიერი დღესასწაულსა მისსა.

სვალისად, შენდრობისა მომღებნი მათგან, აღვედით შკოლად ფილოსოფოსისა ევგენიოს(ი)სა, რამეთუ ახლოდ იყო შკოლა. და

* ლუკა, 1,28.

სულიერი დაყუდებული და იერუსალიმელი მონაზონი გერასიმე, კაცი სავსე მეცნიერებითა, მეგობარ იყო უცხოებისა ჩვენისა და მოგზაურ, და მოენეცა იგივე იყო ჩემი. ხოლო სცნა რა ეგვიპტოს მისლვა ჩემი, მოგვეგება წინა და დიდად პატივს-გვცა და შეგვითვისა, და უცხოთმოყვარებისა წესითა [45] უმაღლესად დიდებულ გვეო და განგვიზადა შკოლასა მისსა სადგური. და განვათიეთ მისთანა დღენი რაოდენიმე და ზრახვითა და კითხვა-მიგებითა, მოწლითა მით საუბარითა მისითა განენათლდებოდით³². ხოლო შკოლისაგანნი ზარსა რეკდენ შემოკრებისათვის შკოლისაგანთა. და მოკრბიან რა პალატად, ბრძენი ეგვიპტოს შუასა ადგილსა მჯდომარე იყო. და მაწვედენ მეცა და ვჯდომის თანა. ხოლო ორსავე მჯარესა მჯდომარე იყვნენ სტოლსა ზედა შკოლისაგანნი. და აღდგიან ერთი მარჯვენით მჯარისაგან და ერთი მარცხენით, და იწყიან სიტყვისგებად ურთიერთარს მეთევესიკურისა ღმთისმეტყველებისათვის თავისის რიგითა, და ზედასაზედა ფილოსოფოსი განუახლებდა მას და განუმარტებდა. დასასრულს, დასხდიან რა, სხვა წარმოდგის და უქის მათ სიბრძნე და პერიფრასულებ ქება შეასხის ძალსა ღმთისმეტყველებისა მათისასა. და ამისა შემდგომად სხვანი იმიერ და ამიერ ორნი წარმოდგიან და იწყიან სიტყვისგება ურთიერთარს ღმთისმეტყველებისათვის განგებულებისა, და განუმარტებდა მათ ეგვიპტოს. და დასხდიან რა, კვალად სხვა ერთი ვინმე წარმოდგის და პერიფრასულებ ქება შეასხის მალაღსა მას ღმთისმეტყველებასა მისსა. და ამათსა შემდგომად სხვათა და სხვათა სასიბრძნოთათვის წარმოდგიან მრავალგზის. და მე ამათ ყოველთა მეგობარი ჩემი გერასიმე გამომითარგმნებდა. და ნეტარ თუძცა კვალად ეგვიპტოთარი ვმა მასმინა ოდესმე, ესრეთა აგემებდა სასმენელთა ჩვენთა. რამეთუ აღუშენებია შკოლა დიდად ვრცელი და პატიოსანი ადგილსა რასმე მალაღსა. მრავალი უცხო სასახლე და სარაია შენ არს მუნ, და შემოკრებულან მოსწავლენი საბერძნეთით, საფრანგეთით და რუსეთით და ყოველთაგან ქვეყანათა. და ასწავებენ უფროსნი უმცირესთა მათ და [46] მათი ზედანზხედველი—ბრძენი ეგვიპტოს. ხოლო საფასე და ხარჯი—ქვეყანა მოსცემს, და როჰიკი გაჩენილი პატრიარქთაგან აქვს. და გამოვესალმეთ და წარვედით მიერთგან.

მისლვა მონასტრად სიღმენოდ

შკოლით მივედით მონასტრად სიღმენოზს, ამაღლებისა ეკლესიასა. და წესისაებრ მონასტერთასა შეგვიძღვენენ წამანი ტაძრად და თაყვანის-ვეცით ტრაპეზსა და უამბორეთ ძმათა და მამათა

- ნაწილი იყო წმიდისა იაკობ სპარსისა და წმიდისა პროკოპისი. და შემდგომად მოგვიძღვენენ სადგურად. ვიკითხვიდით რა ვის მიერ აღშენებულობასა, მოგვითხრეს, ვითარმედ აღაშენა მონასტერი ესე პლუხერია, ასულმან არკადისამან. და ადგილი კეთილი, მთითა და
- ველითა შემკული და ზღვასა ზედან გარდაკიდებული, ვითა სამკედურითა თევზთა იჭირვიდენ. და განვათიეთ ჟამნი რაოდენიმე და დიდი იგი გალობა ანდრია კრიტელისა მუნ ძმათა თანა ვიდლე[ვ]სა-სწაულეთ. ღუნ მყოფნი მამანი გვეტყოდენ, ვითარმედ გრიგოლი თესალონიკელი, აწ რომ მეორეს დიდმარხვის კვირიაკეს დღეს ქსენე-
 - ბასა ჰყოფენ ის გრიგოლი, ამა მონასტრისა წინამძღვარი ყოფილა და მიტროპოლიტად თესალონიკისა უკურთხევიათ, წინააღმდეგომი პრომის ეკლესიისა. რაჟამს იგი ცილობა შემოსრულ არს, ვითარმედ ფერისცვალებისა ბრწყინვალეობა არა ზეგარდამო იყოვო, არა(მედ) მსოფლიო, ამა ცილობათა შინა წინა აღსდგომია მათ, და შეუნდო-
 - ბელი უძყოფებიან. ამისთვის ივინი შეურაც(ხ)ყოფენ, და ბერძენნი მათთვის შეიწყნარებენ.

მისლგა მონასტრად ქილანდრად³⁴

- მოვიწიენით მონასტერსა დიდებულსა ქილანდარს, ტაძარსა ტაძრად მოყვანებისა ყოვლად წმიდისასა. და ჩვეულებისაებრ მონასტერთასა ჰკრეს ზართა და შემოკრბენ მამანი სერბნი და ბულ-
- ლარნი, რამეთუ მუნ ბერძენნი არა იყოფებიან და არც ენა ბერძული. უ[47]წყიან. და შევედით მდინარითა და თაყვანის-ვეცით ნაწილთა--ფერჯი იყო მარიამ მაგდანელისა და ნელსაცხებლისაგან ნაწილი, რომელი სცხო უფალსა. და მიმო-რა-ვიხილევდით, გან-
 - ვევირდით ქვით. ხუროებულობასა მისსა, რამეთუ ფერადნი მარმარილონი ბუნებით ყვავილებად და ნახიებად გამოყვანილი იყვნეს აუნ. ეკლესია დიდად პატიოსანი არათ ნაკლულევანი სხვათაგან, ვითა მათი აღვსწერენით. და გვიჩვენებდენ სახესა ყოვლად წმიდისასა. რაჟამს იოანე დამასკელსა ჴელი მოჰკვეთეს, ხოლო მოკვეთი-
 - ლი იგი ჴელი წინა დაუდგა სახესა ყოვლად წმიდისასა იოანე და ეკედრებოდა მჭურვალედ განკურნებისათვის და კვალად გებისა, და კვალად მოება ჴელი იგი მეოხებითა ღმთისმშობელისათა. ხოლო საბა არქიეპისკოპოზმან სერბისამან, აღმაშენებელმან ამა მონასტრისა ქილანდრისამან, საბას ლავრით აქა მოასვენა, რამეთუ იოანე
 - დამასკელი საბა(ს) ლავრის მო[ვ]ნაზონი იყო და თვით იგი ლავრა საბასი სერბთა მიერ აღეშენა.

და მოგვიყვანეს სადგურად და კეთილად განგვისვენეს შეე-
ნიერსა სრასა მონასტრისასა. და ვიკითხვედით რა ვის მიერ აღშე-
ნებასა მისა, გვეტყოდენ, ვითარმედ სიპეონ სერბთა მეუფის ძე საბა
მოვიდა აქა მთაწმიდად, მონასტერთა რომთაა, და სთნდა ადგი-
ლისა სიწმიდე და მონაზონთა ცხოვრება და თვითცა მონაზონ იქ-
მნა მუნ. ხოლო სიპეონ, მამა მიაი, მოუწერდა, რათა წარვიდეს
ხილვად მისა, არამედ საბამ არა ინება წარსლვა მთაწმიდით. ამის-
თვის თვით მეფე სიპეონ მოიწია ხილვად ძიას თვისისა და იგიცა
მონაზონ იქმნა, და აღაშენეს მონასტერი ესე ქილანდრისა მათ. და
უკანასკნელ საბას ჯელი დაასხეს სერბიის მთავარეპისკოპოზად. ხო-
ლო ესე იგი საბა არს,—რაცაჲს წმიდამან არსენი სერბიისა მთავარ-
ეპისკოპოზმან იჯმნა წწყემსობისაგან და მოადგილედ თვისად ესე
საბა აკურთხა,—რომლია ჯსენებასა ვყოფთ ოკდონბერაჲსა კ. მ.

და მუნ მონასტერსა იყო ვინმე ე[48]პისკოპოზი, ჯმნილი სა-
მწყსოსაგან და შეეტკობო მონაზონება მუნ. და კვალად გვეტყოდენ
სასწაულისათვის მონასტრისა, ვითარმედ თურქნი ნოვიდენ აღოჯ-
რებად მონასტრისა და აქა ღოიწივნენ რა, ვერლარა პოეს მონას-
ტერი, რამეთუ საღმთომან ნისლმან და არმურმან დაფარა. და შიში
და ზარი დადი დაეცა მათ და ივლტოდეს.

და ჯამ რაოდენმე დაეადგერით მუნ, რამეთუ გერასიშე, მეგო-
ზარი ჩვენი, თან გვიხალა. და შეძღვომად ლოცვისა მოძღვნი მათნი
წარმოვედით კვალად შკოლად ევგენიოასისა. და მიერთგან გვენება
მოხილვა თითოეულთა მონასტერთა, და აღვედით შკოლით შუა
მთაწმიდად, ბაზრად მონაზონთა, რომელსა ეწოდების ქარესი. და არს
მუნ ეკლესია დიდი; იტყოდენ, ვითარმედ დიდმან კონსტანტინემ
აღაშენაო, რომლისა გუმბათი დაუქცევი ივლიანე უსჯულოსა. რა-
მეთუ ესე ადგილი არს შესაკრებელი ყოველთავე მთაწმიდელთა
მამათა და თითოეულთა მონასტერთა ხარიახი. იმ დიდს ეკლესიასა
მიცვალებისასა [v] შინა არიან და საერთო კრება მამათა მუნ იქმნე-
ვის. და მუნვე გვეტყოდენ, ვითარმედ დღესასწაულსა მიცვალები-
სასა სენაკით ვარედამ ბერი ვინმე მოვიდა ღამისთევასა და დაუ-
ტევა სენაკსა მოწაფე თვისი. და აღდგა შუალამე(სა) მოწაფე ბერისა
და იწყო ეკვდერსა ლოცვად, და იბილა ანგელოზნი მდგომარენი,
და განკრთა შიშითა დიდითა. მაშინ ააგელოზნი ეტყოდენ: ნუ გან-
კრთები, არამედ ზოგებით ვილოცოთ. და იწყო ბერმან ჩვეულები-
საებრ „უპატოხნესსა ქერობინთასა“ თქმად. არამედ ანგელოზნი
ეტყოდეს, ვითარმედ პირველად ჩვენ ვიწყოთ. ხოლო ანგელოზთა
იწყეს გალობად: „ღირა არს და ქემარიტად“ — „უპატოხნესაჲდ“ ,

და „უპატიოსნისი“ კვალად ბერმანვე იწყო. რამეთუ მუნადმდე „ღირს არსი“ არავისა სმენიეს და მიერთგან იწყეს „ღირსარსისა“ თქმა წინა „უპატიოსნისისა“.

და იყო ბაზარი და ქუჩა და ქულბაქნი მუნ მრავალი მონა-
ზონთა, და მოკვლენი. და რაც არა გენების, ვითა ქალაქთა ში[49]-
ნა მოიყიდდი, რამეთუ სულიერთა მათ საკმარება ჯორცთა მუნ
მოებაზრ-მოეფარლულათ. და კრება შემოკრბება სამარად შაბათთა.
რამეთუ უკეთუმცა მონასტერნი საქრისტიანოთა შინა მრავალ არი-
ან სხვასა ალაგთა, არამედ ბაზარი მონაზონთა არა სადა სმენილ
არს³⁵. და მჯდომარე არს მუნ ეპისკოპოზი მთაწმიდისა ერისოსი
ბრძანებასა ქვეშე თესალონიკელ მიტროპოლიტისასა. და არს მუნ
მჯდომარე თურქი ვინმე ბრძანებასა ქვეშე წინამძღვართასა, მათის-
ვე ხარჯით, რათა თურქნი არა შემოვიდნენ მუნ, და მეშფოთეთა.
და უკეთურთათვის საშიშრად.

და ვიხილეთ მუნ განშორებული ვინმე, სახელად ფოტი³⁶,
ფრიადსა მოღვაწებასა შინა მყოფი. შიშველი და უპოვარი ერთსა
ხისა ღრუთა შინა ზის. არისო ოცდაათი წელი, ვინათგან მოსრულ არს
მუნ, რამეთუ სთლის კოვზთა და მით მოიღრეწს საზრდელსა, დიდად
განკაფული და მოღვე[ვ]აწე. გვეტყოდენ, რამეთუ ხილვად მისთვის
მივიდა ვინმე უცხოებით მოსრული მონაზონი და თან მიიყვანნა
ერისკაცნიცა, არამედ თვით წინა წარვიდა და ერისკაცი შორს
დააყენა. და თვით ამბორად ჯელთა რა მივიდა, ეტყოდა ფოტი:
შენ მოვედ, არამედ ერისკაცთა მათ ნუ აწვევ აქა მოსლვად. იხი-
ლეთა ღირსება მისი? ვინა უწყოდა, რამეთუ შორს იყვნეს ერისკაცი
იგი³⁷? რამეთუ ესევეთარნი სხვანიცა არიან მუნ. დიდება განმაძ-
ლიერებელსა მათსა და ყოველთა შესრულთა წესთა მონაზონთასა!
დიდება შემკრებსა და აღ(მ)აორძინებელსა მათსა უფალსა, რომელმან
მონაზონნი საოხად სოფლისა ალაგო! დიდება, რომელმან წინასწარვე
გვაუწყა მონაზონთა ცხოვრება, ვითა მელქისედეკ და ელია და ანუ.
ეზრასიცა იგი წინასწარმეტყველისა თქმული, ვითარმედ: „ესენი
არიან, რომელნი შეიმოსენ სანოსლითა მოკვდავთათა, და შეიმოს-
ნეს უკვდავებასა შინა და აწ გვირგვინოსან იქმნენს“.* „ესენი
არიან, რომელნი იგი დედათა თანა არა შეიგინნეს, რამეთუ ქალ-
წულ არიან. ესენი არიან, რომელნი შეუდგეს კრავსა მას, სადაცა
ვიდოდის“**.

* „ეზრა, თავი ბ, მჯგლი მ ე“.

** გამოცხ. 14,4.

მისლვა მონასტრად ეუთლუმიშს

[50] მივედით მონასტერსა ყუთლუმიშს, ტაძარსა ფერისცვალებასისა, რამეთუ მუნვე ქარესსა არს. და მოგვეგებნენ ძმანი და მამანი წესისაებრ მონასტერთასა და ჰკრეს ზართა და შეგვიძღვნენ შინა ტაძრისა. და თაყვანის-ვეცით ტრაპეზსა და ნაწილთა წმიდათა: ფერჯი იყო ანნა დედისა ღმთისმშობელისა,—იგინი ესრეთ გვეტყოდენ,—ნაწილი ეგსტათისი და ნაწილი ხარალამპისი. და განვიცადეთ მონასტერი: არს მომცრო, პატიოაანი. ესე აღუშენებია ვლახთა ბატონსა იოანეს. ხოლო მონასტერი არსა ვაკესა ზედა, შემკული ბალითა, წყლითა და მთითა. და გარეშემო ახლავს მონასტერსა კელიეები მრავალი. და აღმღებელთა ლოცვათა მათთანი წარმოვედით მუნით ფილოთეონად.

მისლვა მონასტრად ფილოთეონ[ნ]სა

[v] მივედით მონასტერსა ფილოთეონს. ტაძარსა ხარებისა ყოვლად წმიდისასა. და მოგვეგებნენ მამანი და ძმანი, და ჰკრეს ზართა და შეგვიძღვნენ წესისაებრ მონასტერთასა. და თაყვანის-ვეცით ტრაპეზსა და ნაწილთა, რამეთუ არს მუნ კელი იოანე ოქროპირისა და ნაწილი წმიდისა გიორგისი და ნაწილი იოანე მოწყალისა და ისიდორე პილუსიოტელისა. ხოლო არს ესე მონასტერი აღშენებული დავითიან*-სოლომონიანთა პანკრატიონთა ძეთაგანისა ქართლისა და კახეთისა მეფისა ლეონისა მიერ, ბატონის თეიმურაზის პაპის მამისა, რამეთუ წარმოუგზავნიათ და თვისითა საფასითა აღუშენებია საჯაენებლად საუკუნოდ. და თავსმდგომი და გამგე ყოფილა სულიერი ვინმე მანა ფილოთეოს. ამისთვის სახელად უწოდეს ფილოთეოს მონასტერსა მას. რამეთუ აღმაშენებელი შეფენი ლეონ და ძე მისი ალექსანდრე პალატსა შინა სახიან მტკირთელი მონასტრისა მის. რამეთუ შეფე [51] ლეონ ხატია ტანითა მოძალლო, მოხუცებული, მწითური, ცხვირკავი, თმითა და წვერითა სპეტაკი, მოსილი გვირგვინითა და პოდირითა; ხოლო ალექსანდრე შეფე—პასაკითა მცირე, შეენიერი სახილაევი, თმითა მოშავო,

* გასწორევი კიდებე მიწერილია ნუსხურით: „დავითის ძეობისათვის პატრიარქი იერუსალიმისა წინა აღგვიდგებოდა; დიდი გმობა არსო, წერილ არსო: მოკლებასა მთავართა იუდასათა მოვიდესო მოლოდება წარმართთა, რამეთუ ოდეს ქრისტე იშვა, აღვოცილ იყო მთავარი იუდასაგან. და უკეთუ მთავარი იუდასა ნათესავისაგან კვლად მთავრობს, არღასადმე მოსრულ არს მოლოდება წარმართთა ქრისტი, და ფრიად ნაცილ არსო სიტყვა ესე და გმობაო“.

მოსილი იგიცა გვირგვინითა. წელნი არიან მას აქეთ გარდასრულნი სკე³⁸. და არს მას მონასტერსა შინა მათ მეფეთა მოქსენება სამარადისო მწუხრად და ცისკრად. და ფრიად ვიდრემე. ნეტარება მივეც მათ და სხვათაცა, ვინცა ესევეთარსა საუკუნოსა მოქსენებასა სულსა თვისსა დაუუნჯებენ. და უკეთუმცა აქა არა დაეწესებინათ მოქსენება თვისი, საქართველოთამცა შინა აღტოცილ იყო სრულიად ვინაობაცა მათი, რამეთუ ამან ღმთისმსახურმან მეფემ ლეონ განაახლა და კვლად ახლა ალაშენა აღოკრებული თურქთაგან საფლავი ქრისტესი და გოლგოთა. რამეთუ არს მათ მეფეთაგან შემოწირული კახეთს სოფელი ხოდაშენი. [v] რამეთუ შენ არს მონასტერი ესე ადგილსა მთასა ტყიანსა, ხეხილნარითა და ვენაჯითა, წყარო-წყლითა. და ჰავითა კეთილითა შემკული.

მისლვა მონასტრად კარაკალოსა

მივედით მონასტრად კარაკალოსა, ტაძარსა წმიდათა მოციქულთა პეტრე და პავლესსა. სცნეს რა მისლვა ჩვენი, მოგვეგებნენ ძმანი და მამანი და შეგვიძღვენენ გალობითა და კეროვანებითა წესისაებრ მონასტერთასა. და თაყვანის-ვეციით ტრაპეზსა. და ნაწილი არს ზუნ—თავი მოციქულისა ბართლომესი, სხვანაწილი პროკოპისი, მერკვირისა, იოანე მოწყალისა და მარინესი. ესე მონასტერი აღუშენებია მეფესა ჰრომთასა კარაკალოს, და ამისა შემდგომად გაუახლებია ვლახთა ბატონსა. თვითცა აქა მოსრულ არს და მონაზონქმნილ არს, სახელად პახუმი უწოდებიათ, და დაყუდებულა ტყეთა შინა. და კვლად განშორებულა [52] და აწ საფლავიცა არა უწყიან, თუ სადა მიიცვალა უდაბურთა შინა. ამისა შემდგომად გუმბათი და პალატი დაქცეულა და გაუახლებიათ და ტყვიით გარდაუქედიათ არჩილს, იმერელთ მეფეს, გიორგის, ძმასა მისსა, და ვახტანგს, ქართველთ ბატონს, და აშოთანს. და არს ღლითი-ღღემათი მოქსენება³⁹. და არს მონასტერი პატიოსანი მთისა და ტყიანსა ალაგსა, წყლითა და ჰავითა კეთილითა შემკულსა.

აწ კიმიტირისათვის ვიტყოდეთ, რომელ არს საძვლე მამათა. რამეთუ გარეთ მონასტრისა აქვსთ ცად აქნილი მცირე პალატივით სახლი და ზევით საყდარი ადგს. მიიცვალეების რა მონაზონი და დაფლვენ რა, შემდგომად სამისა წლისა აღმოიღებენ ძვალთა და სახლსა მას შინა დააწყობენ. და ზევით საყდარსა შინა სამარადისოდ

შაბათთა წირვა არ გასწყდების და მოკსენება მათი. ესე კიმიტი-
რიის წესი ყოველთა მონასტერთა არს.

მისლვა მონასტრად ჰაველესსა

[v] მივედით მონასტერსა ჰაველესსა, ტაძარსა წმიდისა მოწამისა
გიორგისასა. რამეთუ გვეტყოდნენ, ვითარმედ მეფეთა ძე ჰაველ მონა- 5
ზონქმნილ არს და აღუშენებია მონასტერი ესე და აქა დაუყუდებულ
არს, და ამისთვის ჰაველს მონასტერს უწოდებენ. ადგილსა კლდესა
მალალსა—ტაძარი შვენიერი და პალატი და სენაკი ფრიად პატიო-
სანი. და არს მას შინა ნაწილი—ფეკი გრიგოლი ღმთისმეტყველისა 10
და მოგვთაგან მოღებული მური. ამისა შემდგომად დაძველებულა 10
რა, გაუახლებიათ მეფეთა ბულლართა. რამეთუ რუსთა ენითა ილოც-
ვენ მუნ და არს მღვდელთმთავარი ვინმე მუნ რუსი, ადგილისათვის
წმიდისა მონაზონებისა ცხოვრებისა შემტკობ.

მესლვა მონასტრად დიონისიოსსა

მივედით დიდებულსა მონასტერსა, დიდებულსა მას დი[53]ონი- 15
სიოს სახელსა ზედა აღშენებულსა, შობისა წინამორბედისასა. და
სცნეს რა მისლვა ჩვენი, ჰკრეს ზართა და ნოგვეგებენ მამანი და ძმანი
და წესისაებრ მონასტერთასა შეგვიძღვნენ და თაყუანის-ვეციტ ტრა-
პეზსა და საშინელსა მას თავსა ნათლისმცემელისა იოანესა. და ვიხი- 20
ლეთ დიდად საწადი თაყუანისაცემადი იგი, რამეთუ ფრიად შეუმკვი- 20
ათ ძველთა მეფეთა, რამეთუ უზის შუა კეფასა ზედა იაგუნდი ერთი,
ვითა კვერცხისა ტრედისა ოდენი, და სხვა დიდროანი. ლალები და
მარგალიტნი. და არის მუნ ჯელი წმიდისა სტეფანე პირველდიაკვნისა
და მკლავი იოანე მოწყალისა. და არს მუნ ხატი იგი ყოველად 25
წმიდისა. რაჟამს კოსტანტინეპოლის სკვითნი და ხალანნი შე- 25
მოადგეს და ლიტანიად განვიდა პატრიარქი გერმანე და აღიპყრო
ხატი იგი და ოცდაოთხი მუჭლი აკათისტო წარმოთქვა და ი[v]ქსნ
ვედრებითა ღმთისმშობლისათა ქალაქი იგი წარმართთა მოსრვისა
გან,—იგი ხატი მეფეს ალექსი კომნინოს შემოუწირავს.

და არის მონასტერი მომცრო და შვენიერი, პალატი დიდად 30
პატიოსანი. და მიგვიძღვნენ მამანი და დაგვასადგურეს. ხოლო
კვითხვედრი რა ვის მიერ აღშენებულობასა, გვეტყოდნენ, ვითარმედ
დიონისიო ვინმე, სულიერი მამა ვედრებელ იქმნა მეფეთა ქართ-
ველთა და მათ აღაშენეს. და სახელი, თუ რომელი მეფე იყო, ვერ

შევიტყვე⁴⁰. ესე ოდენ შევიგენ, ქართველთ მონასტერი ეფთვიმის და გიორგის აღშენებული და ესე ორივე ერთი საწინამძღვრო ყოფილა და საზრდო და ხარჯიც ერთი ყოფილა. მცირედნი ჟამნი არიან, ვინათგან ესენი განთვისულან.

- 5 რამეთუ მუნ ყოფასა ჩვენსა მოვიდა მონაზონი ვინმე შეყენებული. და მე ვგრეთ ვგონებდი, არს ბერძენი, ხოლო იგი ქართულად მეზრახებოდა. და ვეტყოდი, თუ ვინა ხარ, მამაო? ხოლო ი[54]გი მეტყოდა, ვითარმედ: ქართველი ვარ სოფლისაგან უსისტყისა, ყმა საყდრისა სამთავისისა; ოჯრებასა ქართლისასა ლეკთაგან დატყვე-
- ებულ ვიქმენ. და მომიყვანეს კოსტანტინეპოლის, და მიყიდა თურქ მან ვინმე უკეთურმან⁴¹ და წარმიყვანა სახლად თვისად, და მაიძულებდა დატყვევებასა სჯულისასა და მე შორს განუგდებდი სიტყვასა ამას. და მქეჯნიდა და მრავლისა სატანჯველსა მომცემდა, და საწნველსა ჯართასა შემავდო ოთხისა წლისა ჟამნი, და მეტყოდა: უკეთუ
- 15 იქმნე მოჰმადიან, განგათავისუფლო და მოგცე საფასეცა. ხოლო მე უარისმყოფელად ამისა რა მიხილევდა, მგვემდა უწყალოდ და სიკვდილსა მექადოდა, და ვეტყოდე: მაცადე ღამესა ამას და სიტყვა გიგო ხელისად. და წარვედ და მოვიყიდენ სანთელნი და შეველი ეკლესიად და აღვანთენ სანთელნი და ვევედრებოდე ყოვლად წმი-
- 20 და [v]სა ღმთისმშობელსა ცრემლითა და ვეტყოდე: ტყვექმნილისა ამის და გლახაკისა და უცხოებასა შინა მყოფისა ჯელისა ამპყრობელო ყოვლად წმიდაო, შენ იცი და უწყი უწყალოდ ტყვეობა და შექირვება ჩემი, მიჯსენ მე ტყვეობისა ამისგან მწარისა და შემწე მექმენ მე. ვევედრებოდე რა ამას, მიმერულა, და აჰა, ვიხილენ
- 25 ორნი მოხუცებულნი ნუგეშინის-მცემდენ და მეტყოდენ: მჯნე იყავ, თევდორე, და ნუ გარდაქდები სარწმუნოებასა შენსა, რამეთუ ცოდვათათვის ქვეყანისათა მიუშვებს ღმერთი განსაცდელსა და ტყვეობასა, არამედ ღმერთი კვალად მოწყალე არს მვედრებელთა თვისთა ჰსნად ქირთა და მწუხარებათა. განვიღვიძე რა, აღვდეგ და მადლობა
- 30 შევსწირე ყოვლად ძლიერსა ღმერთსა. და წარვედ და ვეტყოდე თურქსა, ვითარმედ ასოუელად დამქერ მე, ნებასა შინა შენსა არს, არამედ დატყვება სჯულისა ჩემგან არა იქმნება. ამისთვის უმეტეს უწყალოდ იწყო გვემად ჩემდა.

[55] და აღვდეგ ღამესა მას და წარვედ ნაპირსა მდინარისასა.

- 35 და ზღვისა ახლოდ ტყეთა შინა იყო ნაქცევი რამე ეკლესიამას შინა დავიძალე. და აღდგენ თურქნი იგი და იწყეს ძებნად ჩემდა მრავალი, და მოვიდენ კარსა ნაქცევისა მის ეკლესიისა და მიხილეს შიგან, და ვერ შეუძლეს შინა შემოსლვად ღიასა მას კარ-

სა,—ძალმან რაჲმე საღმთომან არა უტევა,—და გარედამ მიქმობ-
დენ: გამოვედ გარე.

ვიდრე დღედნდე სამისა იდგნენ მუნ. ხოლო მე შეურევებულ-
მან აღვდეგ, რამეთუ მაქენდეს მცირე ცულაკი და მეწადა თავსა
მათსა ცემა იმითი. ხოლო შუა ადგილად რა მივიწვიე, მიპყრა 5
ძალმან რაჲმე საღმთომან და არა მიტევა გარე განსლვად. ამისთვის
ვერლარა შემოსრულნი შინა, წარვიდენ. ხოლო მე მიმოვიხილევდი,
თუ ვინა გამზიდა და არავინ ვპოვე. გამოველ მუნით და ნაპირსა
ზღვისასა შთაველ. და მომხედნა ლმერთმან, რამეთუ დამხედა მუნ
ნ[ვ]ავი ქრისტიანეთა, შთამისევს მათ და გამომიყვანეს მთაწმიდად. 10
და მიველ სენაკსა ვისმე ბერისასა და ვმასაურებდი. ხოლო ღამესა
ერთსა ვდეგ რა გარე, მესმა ჳმა, რომელი მეტყოდა: თევდორე,
თევდორე, ამიერთგან წარვედ მონასტერსა დიონისიოსსა და მუნ
უფალმან დაგფაროს. და ვიკითხვედი გზასა მონასტრიასა და მო-
ვიწვი აქა. და ილუმენსაცა ჩვენება ეხილვა მოსლესათვის ჩემისა და 15
რათა აღმკვეცოა მონაზვნად. და ზოვიწვი რა, ილუმენმან მსწრაფლ
მონაზონ მყო და დავემკვიდრე სენაკსა რასმე ჰარტოსა და მუნ ვარ-
ნე მდაბალი, მადლობელი მრავალმოწყალისა ღმთისა.

და კვალად გვითხრობდენ, ვითარმედ არიან აქა სხვანიცა
ქართველნი მამანი. და ვიხილე გაბრიელ მონაზონი იმერელი, ღვან- 20
კითელი, და ლეონტი დაღეთელი და სეოაბინ ქართველი⁴², ფრია-
დისა მონაზონებისა შემტკობი. და ვადიდე ქართველთა ჳელის
ამ[56]პყრობელი და ტყვეობით დამკსნელი ღმთისმშობელი, და
ფრიადცა სარგებელ მეყო ხილვა და ამბავი მათი.

კვალად ვიტყოდეთ, რამეთუ ჩანს მონასტრიდამ უდაბურსა 25
კლდეთა შინა ძველი რაჲმე ეკლესია. და მეტყოდენ მისთვის, ვი-
თარმედ ეკვდერი არს მუნ და წლითი-წლად აღვალთ და მსხვერპლსა
შევსწირავთ მუნ. დღესა ერთსა აღვედით რა, ვიხილეთ კირიე-
ლეისონი ძაფისა კედელსა ეკიდა და გვიკვირდა, თუ ვისიმე იყოს-
ამისა შემდგომად მწყემსი ცხოვართა მოვიდა და გვეტყოდა, ვითარ- 30
მედ ძოვნასა ცხოვართასა ვიხილე ახლოდ ეკვდერისა მის კლდეთა
შინა მონაზონი ვინმე, ძონძითა მოსილი, მიცვალებულ არს. ვინ არს
იგი? ხოლო ჩვენ უმეტარნი ამისნი აღვდეგით მსწრაფლ და წარვე-
დით და ვიხილეთ მიცვალებული, ჳელთა ძაფისა იგი კირიელისონი
ეტვირთა და მეორეს ჳელთა ქარტა ეტვირთა. და აღმოუღეთ ქარ- 35
ტა, რამეთუ იყო რუსულად, და გვეპოვა [v] აღმომკითხველი რუსუ-
ლად, რამეთუ ეწერა ესრეთ, ვითარმედ მე მდაბალი რუსი ვარ
ეპისკოპოზი, რამეთუ შიშისათვის ღმთისა და ხვამისათვის დღესა

მას განკითხვისასა დაუტევე ეპისკოპოზობა და აქა მთაწმიდად მოვიწიე სინანულად. და ვინცა იხილოთ გვამი ჩემი, სიყვარულისათვის ქრისტესმიერისა, მიეცით მიწა მიწასა. და აღვიღეთ შიშითა დიდითა და შევმურეთ ჯეროვნად და დავასვენეთ სამარხოსა მამათასა.

და იყო მუნ მცირისა ათონისა კლდეთა შინა შეყენებული ვინმე მონაზონი კეთილი, გრიგოლიოს კახი, საალავერდლო⁴³. ამის შემდგომად აღვიღეთ ლოცვა მათ მამათაგან და წარმოვედით სხვად მონასტრად გრიგოლიოსსა.

მესლვა მონასტრად გრიგოლიოსსა

მივედით მონასტრად გრიგოლიო(ს)სა, ტაძარსა წმიდისა ნიკოლოზისსა, ზღვასა ზედა გარდაკიდებულსა. სცნეს რა მისლვა ჩვენი, წესისაებრ მონასტერთასა მოგვეგებენ მამანი და შეგვიძღვ[57]ნენ ტაძრად. და თაყვანის-ვეცით წმიდათა ნაწილთა—მთლიე¹⁵ მკლავი და კელი ანასტასი ჰრომაელისა იყო მუნ და სხვანი წვრილნი ნაწილნი.

გამოვედი(თ), ვიხილეთ მონასტერი და ეკლესია მცირე და ადგილი კეთილი ზღვასა ზედა გარდაკიდებული. ვიკითხვედით რა ვის მიერ აღშენებულობასა, გვეტყოდენ, ვითარმედ გრიგოლი ვინმე²⁰ შეყენებულმან იწყო შენებად მონასტრისა საფასრთა ბულღართჲ მეფეთათა, ამისთვის გრიგოლიოს უწოდენ, არამედ არს სახელსა ზედა აღშენებული წმიდისა ნიკოლოზისსა. და შეგვიტყბეს კეთილად და გვიუცხობმოყვარეს, ხოლო შემდგომად არამცირედისა აღვიღეთ ლოცვა მათგან და წარვემართენით მონასტრად სიმონ-²⁵პეტრასა.

მესლვა მონასტრად სიმონ-პეტრასა

მივიწიენით მონასტერსა კეთილ-პატიოსანსა სიმონ-პეტრას. რამეთუ ტაძარი არს აღშენებული სახელსა ზედა შობისა უფლისა ჩვენისა იესოს ქრისტესა. და აღვედით კლდესა ზედა მაღალსა და³⁰ გამოგ[ვ]ვეგებნენ მამანი და ძმანი. წესისაებრ მონასტერთასა მოგვართვეს მდინარი და შეგვიძღვნენ შინა ტაძრად*. თაყვანი-ვეცით ტრაპეზსა და წმიდათა ნაწილთა. იყო მუნ თავი პავლე აღმსაარებ-

* ტაზრაჲ C.

ლისა და მთლიე კელი და მკლავი მარიაჲ მაგდანელისა. და შეგვიძღუნენ სადგურად, და მიმო-რა-ვიხილევდით, ესრეთ მალალსა კლდესა ზედა არს, ზღვა და მას შინა ხომალდნი უფსკრულსავით აჩნდეს, მონასტერი და ეკლესია კეთილად ნაშენი. და ვიკითხვიდი ვის მიერ აღშენებულობასა, ხოლო მათ მითხრეს, ვითარმედ სერბთა ბატონ-სა იოანეს ესვა ასული უტყვი, და ესმა სიმონ * ამა ადგილისა შეყენებულისა ღირსება. აწვია კურნებად ასულისა თვისისა და განკურნა უტყვებისა მისგან. ამისთვის აღუშენა აქა მონასტერი, ხოლო ეწოდება სიმონ ბერისა სახელი, და პეტრა ქვასა ეწოდების. და შეგვიტყბეს კეთილად და აღვიღეთ ლოცვა და წარმოვედით მუნით ქსეროპოტამად.

მისლვა მონასტრად ქსეროპოტამად

[58] მივიწიენით პატიოსანსა მონასტერსა ქსეროპოტამსა, დიდებულსა მას ტაძარსა წმიდათა ორმოცთასა სევასტიელთა. სცნეს რა მისლვა ჩვენი, ჰკრეს ზართა და გამოგვეგებნენ მამანი მდინარითა და კვერთხითა, და შეგვიძღუნენ წესისებრ მონასტერთასა. და თაყვანის-ვეცით ტრაპეზსა და ძელსა მას ჰუმარიტსა, რომელი შემოსწირა რომანოზ მეფემან ბერძენთამან, აღმაშენებელმან: და არს მუნ ფერკი წმიდისა პროკოპისი და ნაწილი ორმოცთა. და მოგვართვეს ომფორი, და მოტყენება აღმაშენებელთა მეფეთა გარდავიჯადეთ. ხოლო იყო მაშინ თვით დღესასწაულა წმიდათა ორმოცთა. მონასტერი და ეკლესია ფრიად პატიოსანი. და იატაკთა ქვითა მარმარითა ხუროებულობა ჩინელთა ხუროვნებისა კლოვნებასა გააცუდებდა. და მეტეირთა კვერთხი სრულიად ქარვისა მურასად მოქედი[ვ]ლი. და შეგვიძღუნენ სავანედ და განგვისვენეს სულიერად და ჯორციელად. ვიკითხევდით რა ამა მონასტრისა შენებისა, მიზეზ ქმნილ არს ღირსი პავლე დაყუდებული, ძე მეფეთა. ხოლო შემდგომად ორთა ამათ მონასტერთა აღშენებისა, პავლე წარსრულ არს კიევეს და მუნ მიცვლილა ფეჩერის მონასტერში. სახე ვნახე მისი, უწვერული და უასაკო ყოფილა. გაბრიელ ქართველ და პავლე ერთად ეხატნეს. და აღმღებელნი ლოცვათა მათთანი წარმოვედით მონასტრად რომთასა.

მესლვა მონასტრად რომთასა ⁴⁴

მივედით მონასტრად რომთასა, ტაძარსა წმიდისა მოწამისა პანტელეიმონისასა, მთასა შინა ფრიად მალნარსა, წყლითა და ვენა-

* სიმეონ C.

ქითა მდიდრად შემკულსა. მოგვეგებნენ ძმანი და მამანი და შე-
გვიძღვნენ ტაძრად. შევედით რა, თაყვანის-ვეცით ტრაპეზსა და
ნაწილსა წინდისა პანტელეიმონისასა. და იყო ეკლეს[59]ია ძველი
ფრიად და დახატულობა უცხო. და შეგვიძღვნენ სავანედ, და ვიკი-
თხევდით ვის მიერ აღშენებულობასა. გვეტყოდენ, ვითარმედ აღა-
შენა სერბთა ბატონმან ლაზარე და აღშენებისა შემდგომად არა-
მრავლისა ჟამისა წარმართთაგან ქრისტეს აღსარებისათვის მოწა-
მებისა გვირგვინი მიუღია. და პატივს-გვცეს და უცხოსმოყვარე-
ბითა შეგვიტყბეს. ხოლო ამისა შემდგომად აღვიღეთ ლოცვა მათი
და წარმოვედით ქსენოფს.

მისლვა მონასტრად ქსენოფს

მივიწიენით მონასტერსა ქსენოფს, ტაძარსა წმიდისა მოწამი-
სა გიორგისასა, ზღვასა ზედა ფრიად ნაპირსა, კეთილად შემკულსა
წყლითა და ტყითა. და სცნეს რა მამათა, მოგვეგებნენ წესთაებრ
მონასტერთასა და შეგვიძღვნენ ტაძრად, და თაყვანის-ვეცით ტრა-
პეზსა. და ვიხილეთ მონასტერი მომცრო, არამედ ჰელოვნად შენე-
ბული. ბჰენი ტაძრისანი იყვნეს უცხოთა წითლისა იასპისა ქვისა,
რამეთუ ფრანგნი ოცთა და მეტთა კვალად ქისასა თეთრსა აძლევ-
დენ და არა განყიდნეს. [7] ხოლო სადგურად რა მივედით, ვიკი-
თხეთ რა აღმაშენებელი მისი, გვეტყოდენ, ვითარმედ ესე მონას-
ტერი აღუშენებია წმიდასა მამასა ჩვენსა ქსენეფორესა და შემ-
დგომად გაუახლებია ვლახთა ბატონსა მათეს. და შემდგომად არა-
მრავლისა ჟამისა აღვიღეთ ლოცვა და წარმოვედით.

შესლვა მონასტრად დუქარიოდ⁴⁵

მივიწიენით მონასტერსა დიდებულსა დუქარიოს, ტაძარსა
წმიდათა მთავარანგელოზთასა. სცნეს რა მისლვა ჩვენი, შეკრბენ
მამანი და განოგვეგებნენ და ჩვეულებისაებრ მონასტერთასა შე-
გვიძღვნენ ტაძრად. და ვიხილეთ ტაძარი, დიდი და კეთილი შენე-
ბულობა. და თაყვანის-ვეცით ტრაპეზსა და ნაწილსა, რამეთუ იყო
თავი დიონოსისა ვისმე ღირსისა და ვარშამანგი წმიდისა დიმიტ-
რისი. და გამოვედით და შევედით სადგურად, და შემოკრბენ მა-
მანი და ვიკითხევდი შენებულობასა მონასტრისასა ვისა მიერ.
ხოლო იგინი მეტყოდენ, ვითარმედ ადგილსა ამას პირველად ეკ-
დერი მცირე მთავარანგელოზთა შენებულა. და მდგარა[60]ნ ორნი

მონაზონნი აქა და ყრმა ერთი მოსწავლე მათ თანა. დღესა ერთსა-
 ბოსტინისათვის სთხრიდა ყრმა იგი მიწასა ბართა, და იხილა ქვაბი
 სპილენძისა, დაბურვილი მიწათა შინა. აღჟადა რა, იხილა სავეს
 ღრაჰქნითა. მოუწოდა ყრმამან მან მონაზონთა მათ და უჩვენა სა-
 ფასე დიდძალი. და აღიღეს მონაზონთა საფასე იგი და დაჰკრძალეს. 5.
 ხოლო შეიპყრეს ყრმა იგი, რათა არა განაცხადოს, და მოაბეს ქვა
 მძიმე და შთააგდეს ზღვად, ვინაცა ღამესა მას, საკვირველებითა
 მთავარანგელოზთათა, უმსჯავროდ დასჯილი იგი ყრმა ზღვით გა-
 მოყვანებულ იქმნა ქვითურთ ყელსა ბმული და შიგან ეკვდერისა
 იპოვა ყრმა მძინარედ. ხოლო ცისკრისა ჟამსა ლოცვად გარეშემოდ- 10.
 გან სენაკებთა მონაზონნი მოიწივნინან* ეკვდერად, რათა კანონი
 ცისკრისა ილოცონ. იხილეს ყრმა მწოლარე, მძინარე შინაგან ეკვ-
 დერისა და დალტობილი სამოსითა, წყლითა, და მობმული ქვა დი-
 დი ქედსა. და განაღვიძეს რა ყრმა და ჰკითხვიდენ: ვინ არს [v] და
 ვითა რაგმე შეემთხვია? ხოლო ყრმა იგი უმსჯავროსა მას დასჯასა 15.
 თვისსა უკლებლად განუცხადებდა მამათა მათ. ამისთვის მამამან
 ნეოფიტე, მუნ მისრულმან, უბადრუკნი იგი მონაზონნი უცნებლიეთ 16
 მოაყვანინა და მძიმესა კანონსა შთაყარნა და სხვაგან ექსორიობი-
 თა დასაჯა, და პოენილითა მით საფასითა აღაშენა მონასტერი ესე.
 ხოლო ყრმა იგი, მთავარანგელოზთაგან აღმოყვანილი, მონაზონ 20.
 იქმნა ფრიად რჩეულ, და, უკანასკნელ, წინამძღვარ მონასტრისა
 ამის, რომელსა ეწოდა ბარნაბა. ხოლო ყელსა ნაბამი იგი ქვა თვა-
 ლითა ვიხილეთ და ვადიდეთ მცველნი და მფარველნი ჩვენნი წმიდანი
 მთავარანგელოზნი. და შემდგომად არამრავლისა ჟამისა აღვიღეთ
 ლოცვა და წარმოვედით სხვად მონასტრად. 25.

შესლვა მონასტრად კოსტამონად

მივედით მონასტრად კოსტამონად, ტაძარსა წმიდისა მოწა-
 მისა მთავარდიაკვნისა სტეფანესასა. და სცნეს რა მისლვა ჩენი,
 მოგვეგებენ [61] მამანი მცირედნი ვინმე და შევედით და თაყვანის-
 ვეცით ტრაპეზსა. და განვიხილვიდით რა მონასტერი მცირე და 20.
 კეთილი ადგილი მთა, და ვიკითხეთ ვის მიერ აღშენებულობა. ხო-
 ლო იგინი მეტყოდენ: კოსტას მიერ აღეშენა, მეფისა ძისა დიდისა
 კოსტანტინესსა. და განვისვენეთ ტრაპეზად მათდა, და შემდგომად
 მცირედისა აღვიღეთ ლოცვა და წარმოვედით მუნით.

* მოიწივნინენ C.

შესლვა მონასტრად უსოღრაფად

მივედით მონასტრად უსოღრაფად, ტაძარსა წმიდისა დიდისა შოწამისა გიორგისასა, მთასა ფრიად მალალსა შინა. და სცნეს რა მისლვა ჩვენი, მოგვეგებნენ ძმანი და მამანი, ბულლარნი და სერბნი, და წესისაებრ მონასტერთასა შეგვიძღვნენ ტაძრად და თაყვანის-ვეციით ტრაპეზსა და ნაწილთა წმიდისა გიორგისასა და დიმიტრისასა⁴⁷. და განვიცადეთ ტაძარი მცირე, არამედ კეთილ-შემკული. და გამოვედით და დაგვასადგურეს სრასა ფრიად კეთილად გარდაგებულსა. და ვიკითხვედი ვის მიერ აღშენებასა მონასტრისასა.

10 გვეტყო[ვ]დენ, ვითარმედ ისტვინიანე ბერძენთა მეფისა ძმისწულთა ეჩვენ(ა) გამოცხადება რაჟმე საღმთო, ვითარმედ მთაწმიდად აღგისა მას რომელსამე აღმიშენოთ მონასტერი. და მოიწივნენ რა აქა, იხილე(ს) ქვა და ზედა ჯვარი მარმარილოსა და შთაყარნეს საძირკველი და იწყეს შენებად.⁴⁸ და განვისვენეთ მუნ ჟამ რაოდენმე

20 და აღვიღეთ ლოცვა და წარმოვედით მონასტრად პანტოკრატორად.

მისლვა მონასტრად პანტოკრატორად

მივიწიენით მონასტრად პანტოკრატორად, ტაძარსა ფერისცვალებისასა, მონასტერსა ზღვასა ზედა გარდაკიდებულსა, კეთილ-შემკულსა წყლითა და მთითა. და სცნეს რა მისლვა ჩვენი, ჩვეუ-

30 ლებისაებრ მონასტერთასა შემოკრბენ მამანი და მოგვეგებნენ და შეგვიძღვნენ ტაძრად. და თაყვანის-ვეციით ტრაპეზსა და ნაწილთა. რამეთუ იყო მუნ ფერჯი ანდრია მოციქულისა, თავი დიდისა იოანის კესი და სახარება იოანე გლახაკისა, რომელსა ჟამადმდე მიცვალებისა აქვნდა, და იყო [62] ფარი წმიდისა მოწამისა მერკვირისი. და

20 არს მონასტერი ძველი და პატიოსანი. ესე აღუშენებია მეფესა ბერძენთასა ალექსი კომნინოს და შემდგომად პატრიარქთა განუახლებიათ. და შეგვიძღვნენ სავანედ და შემომიკრბენ სულიერნი მამანი და ვიყავით კითხვა-პიგებასა შინა საწადელსა, და ღვაწლშრაველობისაგანთა მათ კიდევანობა არა მენება, არამედ შემდგომად

30 დღეთა რაოდენთამე, აღმღებელნი ლოცვათა მათთანი, წარმოვედით-მონასტრად სტავრონიკიტად.

შესლვა მონასტრად სტავრონიკიტად

მივედით მონასტრად სტავრონიკიტად, ტაძარსა წმიდისა მამისა ჩვენისა ნიკოლოზისასა, მთითა და ვენაჯითა, წყლითა და

ველითა კეთილად შემკულსა და ერთ კერძო ზღვითა მოზღუდ-
ვალსა. სცნეს რა მისლვა ჩვენი, შემოკრბენ მამანი და წესისაებრ
მონასტერთასა შეგვიძღვნენ ტაძრად. და თაყვანის-ვეცით ტრაპეზსა
და ნაწილთა, რომელი იყო ყბისაგან თავისა ნათლისმცემელისა,
პელი და მკლავი ელევთ[ქერი მღვდელმოწამისა. 5.

და ვიხილეთ ტაძარი მომცრო და ზვენიერი და მონასტერი-
ცა მომცრო. და შეგვიძღვნენ სადგურად მამანი და სკოფილაკი
და უცხოთშეწყნარებითა შეგვიტკბეს. ხოლო ვიკითხვედი აღშე-
ნებისათვის მონასტრისა. გვითხრეს სულიერთა მათ, ვითარმედ
დიონისიო პატრიარქი კოსტანტინეპოლისა მოვლიდა მონასტერ- 10
თასა, სთნდა ადგილი ესე და იწყო შენებად ამა მონასტრისა. ხოლო
სთხრიდენ რა საძირკველთა, გამოჩნდა ღრუ ქვეშე კლდისა. შთახედეს
ძირსა, მონაზონი ვინმე შეყენებული, შემოსარული კვრელით, მჯდო-
მარე იყო. ხოლო პატრიარქმან ჯმა უყო: ვინ ხარ, მონაო ღმთისაო? და
იგი ჯმას ცემდა, ვითარმედ—ცოდვილი ბერი ნიკიტა. კვლად ჰკითხა 15
პატრიარქმან—რასა მუშაკობ ნამაო? და იგი ეტყოდა—ჯვარსა
ვსთლი. ამისთვის საკვირველისა მის ხილვისათვის უწოდეს მონას-
ტერსა სტავრონიკიტა (სტავრო—ბერძულემ ჯვარი და ნიკიტა—
ბერის სახელი).

დაეპარულეთ დიდთა ზოგადცხოვრებულთა [63] მონასტერთა 20
მოხილვა. ამისთვის წყალობისა უხვად მომცემელისა ღმთისათვის
და ჩემთვის ნიკმარავლობისა მადლობასა აღუარებდი. ხოლო ამა
მონასტერთათვის რა აღვსწერენით, მათის სიტყვით თქმულნი აღ-
ვსწერეთ. ვინაცა წვრილთა მონასტერთათვის და მრავალთა სენა-
კებთა და ეკვდერთათვის და შეყენებულთა იმათათვის ვინმცა* 25
იყო შემძლე თითოეულად აღწერა მათი?! ნანდვილ თავი მეუღირსე-
ბოდა ბაგითა უღირსითა ამბორად წმიდათა მათ და მწიკვლე-
ვანითა ფერკითა დათრგუნვად ალაგთა მათ წმიდათა.

ჰე, ჰეშმარიტად ესე ადგილი სახე არს ზვენიერებისა ზეცისა
სუფევისასა და საწუთოთა შინა ხილვა უსაცთურო. და ცხოვ- 30
რება მათი არაეამიერი და წუთებრივი. არაჲდ ძლიერებითა სა-
მარადისოთა შემოსილნი მამანი სანეტარონი, სახედ ზეცისათა მათ
ბანაკებად და გუნდებად განწყობილნი, განშორებულნი ქორწინე-
ბითთა ძლითთა შებორკილებათაგან და ქვ[ქ]ემთრეველთა ანათ
ამათა დამტყეებელნი, ფრთითა მონაზონებისათა და ბეჰ-საშუალ- 35
თა ჯვარისათა ზე აღფრენილნი, და მომლოდნენი აღფრენად ზე-

* ვინმცი C.

ცისასა მის სუფევად, სადა არს ოხრა დღესასწაულთა ქერობინებრივი. და საშვებელისა მის უოხუნოსა გულისსათქმელსა მას, უფროს ოქროს და ანთარაკთა და უტუტბოესსა უმეტეს გოლეულთასა, ჰგებენ შესლვად შეუალთა მათ, ლალადებენ და გალობენ: უფალმან მმწყსოს და არა მაკლდეს ადგილსა მწვანეილსა მუნ, დამამკვიდრა მე წყალთა ზედა განსასვენებელთასა, ზეცისათა მათ გამოშზარდნეს ჩვენ.

ამა მონაზონათთვის და სხვათაღა ალაგთა წესთა ბრწყინვალეებისათვისა ტობიას* მიწართცა ანგელოზი რაფაელ გამოჩინებული მომეტსენების, რაჟამს ეტყოდა: „მე გაუწყოვო, რომელნი იქორწინებენ და მეძაობასა დაადგრებიანო, ვითარცა ცხენი და ჯორი, რომელთა არა არს მეცნიერება“, და შემდგომი. ამისთვის გამოისაქურისნეს თავნი თვისნი სასუფეველისათვის [64] ღმთისა ამა მონაზონთა, დაუტევენს მამა და დედა, სახლი და აგარაკი, და აღიღეს ჯვარი ძლევისა და შეუდგ(ი)ან უკანა ქრისტესა, მწყემსმთავრისა მის ქეშმარიტისა, და ამათ არვესა მას ზეცათასა კარი განელის, ვითარცა თვით იტყოდის: „ამას მეკარემანცა განულის, და ამა ცხოვართა ჳმისა ჩემისა ისმინონ“***.

ვითა ამათმან განცდამან ესენი გონებად მოძილო ცხადი და ნანდვილი, რამეთუ სისრულესა შინა სულიერობათასა ქეშმარიტად ესენი აღიხვენ სიტკობებასა წას მჭურვალებისა ღმთისასა გულთა შინა მათთა და კეთილთა მით აღტაცებითა გონებისათა ფრინვენ გულნი იგი მათნი ღმთისა მიმართ და იტყვიან: „და ვთქუ, ვინმცა მცნა ფრთენი ტრედისანი, ავფრინდე მე და განვისვენო. ესერა განვეშორე სივლტოლვითა და განვისვენო უდაბნოსა შინა. მოველოდე ღმერთსა მაცხოვარსა ჩემსა სულმოკლებისაგან და ნიავეპარისა“****. და შესძენენ ვითარმედ: „სურინ სულსა ჩემსა შენდა მომართ, ღმერთო ძლიერო და ცხოველო, ოდესმე მივიდე და [v] ვეჩვენო პირსა შენსა“****.

ეჰა, მთა ღმთისა, მთა პოხილშეყოფილი ნექტარითა მით ცრემლთა ნაკადისა წმიდისა მომდინარე. და მთა ესე, რომელ სთნდა ღმერთსა, რამეთუ უფალმანცა დაიმკვიდროს იგი. ხოლო ღირსნი ესე, მთით წმიდით გამო მამანი, ვასახენ, ვითარცა ვარსკვლავი განთიადისა ღრუბელთა შორის და ვითარცა მთოვარე სი-

* „ტობია, თავი 3, ი ვ“.

** შდრ. იოანე, 10,3.

*** ფსალმ. 54, 6—8.

**** ფსალმ. 41, 1—2.

სავესესა შინა ეამთასა, და ვითა აფროდიტი შორის მწყობრისა საზყაროთასა, და ვითარცა შრომანი თანაწარსადინელსა წყალთასა, ანუ ნორჩი ლიბანისა დღეთა შინა ივლისისათა, და სარო ამადლე-ბულნი სისწორესა ღრუბელთასა, და ვითარცა აღმოცენება ნაძვისა ლიბანთა შორის. ხოლო ადგილთა ედემებრიობისათვის და პირა-⁸დობისათვის მკულებათასა რა ვინმე თქვას? ქვეყანათა სამოთხეობა ვასახენ მას, რომელთა შინა მშვიდთა დამკვიდრებასა საუფლო ნეტარება მეტყოდა ჩვენ. ხოლო მე ქვირობად ამათთვის მტკიენეულითა სულითა ათასსა მადლობასა აღვავლენდი მწირობათა მუნ [65] ჩემთა უფლისა ჩემისა, რომელმან აღმრაცხა სულიერთა მათ ¹⁰მწყობრსა ღმთისა ცხოველისასა.

და აღვასრულეთ რა ნოვლა მონასტერთა. და კვალად მოვიწიენით მონასტრად ქართველთასა, იყო მწუხრი ბაიაობისა და შემოკრბენ მამანი და იწყეს რეკად ზარისა. და მწუხრით ვიდრე აღმოსავალადმდე მზისა აღრიპნია გარდავიჯადეთ დიდებული. ხოლო ¹⁵დიდსა მას შვიდეულსა და პარასკევსა სამარადისოდ ეკლესიასა ვდეგით მიმდემსა მას ზიართა ლოცვასა და ღამისთევათა. შაბათად მოიღეს გარდამოქსნა, მძიმედ შემკული ორი: ერთი—მარიამ დედოფლისა ქართველისა შემოწირული, და მეორე—ბაგრატ მუხრანის ბატონისა, დაფინეს ²⁰. და ანუ ვითა მიგითხრა, მათ იგი ეკლესია აღამკვეს: ²⁰ბრწყინვალესა შესამოსლებითა, მურასას საყდრის იარაღებითა. სახარებანი დიდ-დიდნი, მძიმედ თვალითა მოქედილი, ბარძიმნი თვლებითა მძიმედ მულანბარანი. და ნორთეს საყდარი ფარდებითა და სერაბინ-ქერობინ[ვ]ებითა და ოქრონამკურეებულითა ჯვარებითა და ხატებითა; რას აღმებითა და მძიმეა ქოლგებითა შინაგან ²⁵ტაძრისა და ვარეგან, დიდის ორღანოს მკვრელითა საათებითა. ბრწყინვალესა მას ტაძარსა, ვითა სძალსა სასძლოდ შემკულსა, ჯმანი ელლენთა ყრმათანი ისახებოდა მგალობელად საბაოთისა და ორღანოთა ჯმაზედ მისა ტურფად რამ გაეზიარა., და ეგრეთ გარდავიჯადეთ დედოფალი და უჟული დღესასწაულთა ერთშაბა-³⁰თი. და იყო ბურჯებით მონასტრისათ ზარბაზნთა ცემა ძლიერი და ტრაპეზობა უხვებით, საღმთოსაჲსპარაზენთა მათ მონაზონთათვის სერი ბრწყინვალე ³⁰.

ხოლო შემდგომად თომას კვირისა ევგენიოს ბრძენსა ებოდ-³⁵ნეს წიგნი მისლად მუნ. მე ფრიად მთნდა ესე და აღველ ქარესად, ³⁵ბაზარსა მონაზონთასა, და მიერ შკოლად ევგენიოსისა. მიველ და ვიხილე მრავალგანთქმული იგი სიბრძნითა. და მოგვიკითხა ოცნოე-⁴⁰ისათვის ჩვენისა და სავანე გვიყო ახლად შემზადებულსა მას სრა-

- სა მისსა. და დაეყაინქით მის თანა ეამნი არამცირედნი და სამარად განვიცდიდი სიმრავლესა მას შკოლისაგანთასა, უმჯობესსა პერიპატოელთასა. და იყვნენ საღმთისმეტყველოთა და საფილოსოფოსოთა სწავლათა ზედმიწევნილი, რამეთუ რომელსა ვერ შევისმენდი, თარგმანი გამოგვიცხადებდა. და გარდამოიღო და მოგვცა ცხრისა შემთხვევითისა სქიმა. სრულიად. და ვკითხვედი ეგვიპტოს ღმთისმეტყველებითისა ძლით თხრობისა მისთვის საუფლოსა მის ამაღლებულისა კაცისათვის, ქრისტეს ჯორცთასა სადაობასა, — ვინათგან გარეშეუწერელისა თანა ერთ არს ჯორცი ქრისტესი? ხოლო
- 10 იგი მეტყოდა: გამოუთქმელთა გამოთქმა — ზღვევა მეცნიერთა. არამედ ესრეთ გვწამს და აღვიარებთ უთქმთა ამათ ლექსთა, ვითარმედ: ღმერთი გარეშეწერილსა კაცსა შორის ესრეთ არს, ვითა გონება სულსა შორის. რამეთუ სული ერთსა ადგილსა არს, ხოლო გონება გარეშეუწერელად მიიწდომვის, განუქრელისა თვისებისა
- 15 ურთიერთარს მექონე; გინა ესე სახე, ვითარცა: გვაში ერთსა ა[ვ]-ლაგსა მდგომ, არამედ თვალი ცათა და ქვეყანათა მსწრაფლ მოვლის, ეგრეთვე სიტყვა ღმთისა გვაგონებით მისდა შეერთებულისა კაცისა უმწვერვალესისა მყოფობისათვის უსაშუვლოდ და განუშორებლად ღვთაებით გარეშემოუწერელად ჰგვის.
- 20 და კვალად ჰგმობდა პორფირიოს ფილოსოფოსსა და თავკედად სახელს-დებდა, რამეთუ იყოვო ერთსულ ორიგენისა და ერთსა შკოლასა აღზრდილნი. ელენობისაგან იქმნა ჰურიასა და ჰურიასაგან იქმნა ქრისტიანეო და ქრისტიანობისაგან სრულიად უღმთო⁵¹.
- 25 და კვალად ვკითხვედით: ვითარ და რასათვის ქართველთა შპანია ეწოდების და შპანიელთა ქართველი⁵²? ხოლო იგი უძველესისა ბრძნისა ვისმე მელეტეოზისა წიგნისაგან აღმოიკითხვედა და გვეტყოდა, ვითარმედ ჟამსა ალექსანდრე მაკედონელისასა შპანიელნი მრავალნი მისრულან ქართლად, და კვალად ჟამთა ოჯრებასა
- 30 ქართლისასა ქართველნი მეფე და დიდებულნი წარსრულან შპანად, და მათნი მეფე[67]ნი და მთავარნი ნათესავნი. არიან ქართველთა, და მდინარესაცა მათსა ქართველთი ეწოდება. ხოლო მე მსმენოდეს ქართლით, ვითარმედ ალექსანდრე მაკედონელმან აღიღო ქართლიო და მცველნი ფრანგნი განაწესაო ქართლად, და აწ აზნაურნი დანაშთომნი მუნითგან არიანო, და შეეწამა ესენი ერთად.
- კვალად ვკითხვედი გიორგიანობისათვის, თუ რასათვის ფრანგნი და მრავალნი ქართლს გიორგიანად უწოდენ და თურქინცა, ვითარმედ გურჯი? ხოლო იგი მეტყოდა, ვითარმედ წერილ არსო

შისტვის, ვითარმედ მეფენი საქართველოსანი დროშათა ზედა სახესა წმიდისა გიორგისასა აღმართებდენ, და ამისთვის უწოდეს გიორგიანად, და კვალად ცხადთა სასწაულთათვის წმიდისა გიორგისათა ქართლად ქმნულთათვის. და სხვასა მრავალსა სიტყვის-გებასა შინა ვიყავით, რომელი არ ძალ-იღება აღწერად.

ამა ჟამად მე კოსტანტინეპოლედ მზა ვიქმნებოდი წარსლვად. რამეთუ არ მეცნიერ ვიყავ პატრიარქისა, არამედ ევგენიოს ფრიად [v] მეგობარ იყო პატრიარქისა, და აღგვიწერა შეწყნარებისათვის უცხოებისა ჩვენისა ესეოდენი ვრცელი ეპისტოლე, უზეშთავსი ჩემებრთასა, ამისთვის, რამეთუ ევგენიოს მრავალფერად ნუგეში და ჰეგობარი იყო ჩემი, და პატრიარქი იყო ჩემი მეგობრისა მეგობარი. და ფრიად ვიღრემე ურვებულ ვიყავ და გულმტკივან განშორებისათვისცა მისისა.⁵³ და გამომსალმებელი მისი წარმოველ შკოლით და მოვიწიე მონასტრად ჩვენდა, და დავეყავით ჟამნი რაოდენიმე⁵⁴. და ვეძიებდი საუნჯეთა წიგნთასა ქართულად, რამეთუ მრავალნი წიგნი იყვნეს, ესევეთარნი ქართულად არა იპოვებინ, არამედ ვინ აღმოსწერდა მათ?! და არცა მამისა მაკარის წიგნი არს საქართველოთა შინა, ამისთვის ამა წიგნის ჩასატანებლად და სარგებლად სულთა მცირედნი რამე აღმოსწერენით⁵⁵.

[77] აწ⁴ კვალად ზემოთგანითვე სიტყვად ვიწყით. რამეთუ ნებადართვითა და ლოცვათა აღებითა მათ მამათათა აღვემზადენით აღსლვად კოსტანტინეპოლედ, რამეთუ ფრიად მწუხარე ვიყვენით დატევებისათვის მთაწმიდისა. ხოლო გვეპოვა ნავი მარჯვე და წარმოვედით მონასტრით ქართველთასა გზით ზღვით. და მოჰბერა ნოტოსა ქარმან, და გამოვლეთ სამათრაქე და ნიმრო კუნძულნი და მოვიწიენით ქვემოსა ტროადას, აწ რომელსა თურქნი ბოლანისარს უწოდენ, ზღვასა მას იწროდ მდგომსა, ვითარ ნახევარ მილიონს სივრცესა, რამეთუ გაღმა-გაძმოდმა დგას ციხენი და მიმომავალთა განიკითხვენ თურქნი. და მუნ წინააღდგომი ქარი აღ(გ)ვიდგა, და აღმოვედით და ვმელით მივედით ეპისკოპოზისა გალიოპოლელისა, უფლისა ნეოფიტესა, და მუნ განვათიეთ ლამე იგი.

და აღვდეგით დილისა, და ვლეთ ნავითა და მივიწიენით აღგილსა მას, სადა ზღვაში აიასოფიოს ქვა-ტრაპეზი შთავარდნილა.

* ხელნეწორის 68r-77r-ზე მოთავსებულია „წიგნი მამისა ჩუენისა მაკარი მეგვიპტელისა მკუდართა აღმდგინებლისა სწავლა“. ეს ტექსტი ხელნეწურად არის ჩართული „მიმოსლვაში“, არღვევს მის კომპოზიციას, რის გამო არ მივიჩნით საჭიროდ მისი გამოქვეყნება.

რამეთუ ვენედიკთა რა აღილეს კოსტანტინეპოლი, ყოველივე სა-
შკაული ეკლესიისანი [78] წარილეს და ქვა იგი ტრაპეზისა ჩამო-
სხმული საკვირვო, ისტვინიანე შეფისა მიერ გამოდნობილი. ხოლო
ქვა იგი შთავარდა ზღვად და აწ ნავით მიმავალნი იხილვენ, — აღ-
გილსა მას აღმოდის ზეთი სუნნელი რაამე.

და გამოვლეთ მარმარა ქალაქი და მოვიწიენით საყდარსა და
ქალაქსა ერაკლიოსსა [ამა ქალაქსა ეწამნეს ორმეოცნი დედანი და
ამონა მოძღვარი მათი, რომელთა ქსენებასა ვყოფთ სექდენბერსა
ა]. და მივედით თვით მას ეკლესიასა, რაჟამს-იგი მოციქულ-
10 მან ანდრია სტაქოს აკვილას მოციქულსა კელი დაასხა ეპისკოპოზ-
ად. იქადგან მივიწიენით სილიმერიას, სადა ასვენია წმიდა დედა.
ჩვენი ქსენი, რომელსა ვდღესასწაულობთ იანვარსა კდ, და კვლად
ალათონიკე მოწამე; და მუნვე არს საწამებელი და თვით სახლიცა
წმიდისა ქალწულისა ღირსისა პარასკევასა. და მიერ მივიწიენით
15 ნაპირსა კოსტანტინეპოლის, საყდარსა წმიდისა სტეფანესასა. და
მუნით ცხენითა წარვლენით და განვლეთ ბარუთხანა სამეფო და
დემირყაფისი და სრა იგი, დაუდღაშად წოდებული, და მივიწიენით
კოსტანტინეპოლედ. და განვიცდიდით რა სიდიდესა ქალაქისასა,
უცხოდ რაამე აღგვიჩნდებოდა შენებულობა და სიუცხოვე დედაქა-
20 ლაქისა. და იხილვებოდა აიასოფიო, ვითა მთა მალაქილი, ეგრეთ
იხილვებოდა. და ადგილისა პატიოსნება და მთა-ბარობით შეზაგება
და ზღვებთა მუნ შეერთება, და პირისპირ აზია და ევროპა, და მათ
ზედა ქალაქი მთათა ზედა დაშენებული, უპატიოსნესი ყოველთა დე-
დაქალაქთა. ტყვეობისა მისისათვის განვიცდიდი რა, ცრემლითა
25 აღივსებოდეს წიაღნი ჩვენნი და ვიგონებდი, თუ ვითარ ცოდვანი
კაცთანი ვითარსა რისხვასა მოაწევენ ქვეყანასა ზედა, თუ ვითა კოს-
ტანტინეპოლი პირველი, ქრისტიანობით დასაწყისი, დედაქალაქად
სამეფოდ მეფეთა ქრისტეს მოყვარეთაგან ქირანახულ ნაღვაწი, ზე-
გარდამოთა წამისყოფითა აღშენებული, და ღირსთა მამათა ჩვენთა
30 ხარისხი და სჯულის დებათა და წმიდათა კრებათა შესაკრებელი და
თითოსახითა საღმთოთა და საეროთა სიკეთითა შემკული, ვითარ
ცოდვათა ჩვენთათვის მიეცა აგარიანთა და საბარბაროზო მთავრობა
იმონებენ ეკლესიათა ღმთისათა. და ქვაბ და სავანე ავაზაკთა ქმნილ-
არს ვენაჯი ღვწილი სორეჟი უფლისა. და მომეჰსენა ამისთვის გო-
35 დება იერემიასი*: „კელი განირთხა ნაქირვებელმან ყოველთა ზედა
გულისსათქმელთა თვისთა, [79] რამეთუ იხილნა წარმართნი შე-

* კიდევ მიწერილია ნუსხურით „გოდება“ (გოდ. იერემ. 1,10).

რულად სიწმიდესა შინა მისსა, რომელთასა ამცნებდა არა შესლევად ეკლესიად“, და დავით მეტყველი: „ღმერთო, შევიდეს წარმართნი სამკვიდრებელსა შენსა და შეაგინეს ტაძარი წმიდა დიდებისა შენისა“*. და ამათი მომწესნებელი სულთ-ვითქვემდი და მყოვარტამ განვიცდიდი სიდიდით და პატიოსნად დაფუძნებულობასა სამეუფოსა ქალაქისასა.

რამეთუ ესეცა უცხოვე არს, რამეთუ შავის ზღვით, ვითა მდინარე იწროდ ზღვა შეერთვის ბარისა ზღვასა თეთრსა; ამ იწროს მომდინარეობისათვის უწოდებენ ეეკსინო პონტო ელენურად, ესე იგი არს იწრო ნაპირი ზღვისა. და ზედა მთა ვიზინტია, და ზედა ქალაქი ძლიერად ნაგებნი ადგილსა შეენიერსა და მალალსა, შიგან განკარგვით სრანი სამეფონი. და გაღმა, ანატოლისკენ, ოქროქალაქი და შუასა ზედა გალატა და ზედმობით მრავალნი უბანნი. და მივიწიერით სტავრაჲ მდიდრისასა, სოფელსა ბებექს, და დავასადგურეს მუნ. და წარუვლინენით მომკიანხავად მღვდელი პატრიარქსა; უფალსა კირილეს. და მსწრაფლ ენება მისლვა ჩვენი, და აღვდევით და წარვემართენით. [v] და მივიწიერით, და შეგვიძღვნენ წინაშე პატრიარქისა. და მიუძღვანეთ თაყვანისცემა და ამბორი მარჯვენისა. და განწესებულსა ადგილსა დავგსვა და ამოდ მოგვიკითხა და კეთილად ფრიად ვიდრემე შეგვიტებო და ზედასაზედან გვკითხვედა ამბავსა⁵⁶. და თვისსა სრასა შინა განგვიმზადა სადგური. და პურიმტე გეყო მარადის გვერდით მისით. და ესრეთ სიმდაბლე შეეტებო, ჯელითა თვისითა გვიბოძის სანოვაგეთა და მრავალფერად მითავაზებდა. და ახლოდ მჯდომარე ვიყავ სამარად. და სამღვდელთა მისთა თანა სულიერად ვიშვებდით, რამეთუ იყვენ დიდებულად ცხოვრებითა, რამეთუ არა ვიყავ მხილველი ეგვეითარისა არცა ქალაქისა და არცა არქიეპისკოპოზისა. ხოლო განვათიეთ კვირიაკე ერთი და ამისა შემდგომად წარვედით ხილვად პატრიარქისა იერუსალიმისა, უფლისა პართენისა. ვიხილეთ და თაყვანი და ამბორი ჯელისა მიუძღვანეთ. იყო კაცი დიდად პატიოსანი და განსწავლული სიბრძნითა მრავლითა, და გვიბრძანებდა მრავალსა რასმე, და სიტყვისგებასა [80] ვყოფდით სხვათ და სხვათა რათმე ამბავთათვის.

ხოლო ქვეყანისა ჩვენისა კათალიკოზთათვის იტყოდა, ვითარმედ ჟამსა კოსტანტინე მეფისასა იქმნენით ქრისტიანეო და წარმოგვივლინათო კოსტანტინემ მეფემ წმიდა ევსტათი პატრიარქი ანტიო-

* ფსალმ. 78,1.

ქიისაო და პირველი საკათალიკოზო საყდარი მან აღაშენებინაო და-
 ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზი-არქიეპისკოპოზი მან აკურ-
 თხო. ამისა შემდგომად მეფე ირაკლი ბერძენთა წარვიდოდა სპარსე-
 თად საომრად და საქართველო მან დაიპყროვო, და ფრთის მიტრო-
 პოლიტი აფხაზეთს მან გააკათალიკოზაო, და ქართლის კათალიკოზი-
 მარტო ქართლისა და კახეთის და ალვანიის მწყემსი დარჩაო, იმერეთი-
 მაშინ წაერთვაო. ამისა შემდგომად მეფემ ვახტანგ ქართველთამან
 მეფის კოსტანტინეს მონომახის, მეფის ბერძენთას დამოწმობით
 მცხეთა ააშენაო და კათალიკოზი დასვაო, და პირველი ძველი კა-
 თალიკოზი საქართველოსი დაჩაგრაო; ამისთვის სამნი არიან კათალი-
 კოზნიო: პირველი—ქართლისაო, და მეორე—აფხაზეთისაო და მესამე-
 —ძველიო. ამისთვის ხრისანთე პატრიარქმან ყოვლისა [v] სოფლისა
 ეპისკოპოზნი რა აღწერნა თითოეულად, ძველი არქიეპისკოპოზი-
 ქართლისა და ახალი ერთად აღსწერაო. ამგვარსა მრავალსა რასმე
 გვიბრძანებდა ამით ჟამთ.

კვალად განვემზადენით მთაწმიდად, რამეთუ ჟამობა იყო
 ფრიადი მუნ. და აღვიღეთ ლოცვა ორთავე პატრიარქთაგან და-
 შთავსხედით ნავსა და მოვიწიენით სამწყსოსა ერაკლიისასა, მიტ-
 როპოლიტისა გერასიმესა თექირდანს. და დავადგერით სასახლესა.
 სინის მონასტრისასა და განვისვენენით ჟამნი რაოდენიმე. ამისა
 შემდგომად წარმოვედით ჰავითა კეთილითა ზღვით გზათა მათვე.
 ზედა, რომელი წილ მოგვევლო, და ვლენით დღენი რაოდენიმე და
 ივლისსა ხუთსა, დღესასწაულსა წმიდისა მამისა ჩვენისა ათანასე ათო-
 ნელისასა, წყალობითა ღმთისათა მივიწიენით ლავრად, მონასტრად.
 მისსა მთაწმიდად ⁵⁷. და შევედით მონასტრად და იყო დღესასწა-
 ულთა ოხრა დიდებული და სიმრავლე მონაზონთა ურიცხვი. და
 შემდგომად დღესასწაულისა აღვედით მონასტრად ჩვენ საქართვე-
 ლოთასა. და ვიყოფოდე მუნ, [81] და დავათიეთ მონასტერსა ჩვენსა
 ჟანნი რაოდენიმე. და წარვედით მიერ შკოლად კეთილ მეგობრისა
 ჩვენისა თანა, ევგენიოსისა თანა, და ვიყოფოდეთ მუნ მრავალდღე
 საწაღსა მას საეანესა. რამეთუ სხვა ვინმე ბრძენი მოსლვოდა. სახე-
 ლით კვიპრიანე, განსწავლილი მრავლითა სწავლითა. და თურქთა
 ენისა იყო სწავლული, რამეთუ ღრამატიკა და არისტოტელურ-
 ნი წიგნნი თურქთა ენასა ზედა ეთარგმნათ კეთილად. და ენითა
 მით ვეზრასებოდი და გამოვიკვლევდი, რაცა მენების. ხოლო აღმომე-
 კითხა წერილთა შინა ჩვენთა, ვითარმედ ბერძულისაგან სპანთა
 ენათა ზედა ვსთარგმნეო, ქართველნი მთარგმნელნი წერენ (ქართულ-

თა უწესენ შპანიად), ამისთვის კვითხვედი ევგენიოს*. ხოლო იგი განგვიმარტებდა, ვითარმედ არის ძველთა წერილთა შინა მდებარედ, ვითარმედ ქართველნი მოსრულან შპანიად და დამკვიდრებულან, და უწოდეს მეფესა შპანიისასა ქართველი; [v] და კვალად შპანიელნი წარსრულან საქართველოთა შინა და მუნ დამკვიდრებულან, ამისთვის ქართველთა და შპანიელთა ურთიერთარს სახელი ენაცვლებიან⁵⁸. ესე რა მესმა, მომეკსენა ქართლში თქმული იგი, ვითარმედ აზნაურნი ქართველნი საფრანგეთიდან არიანო მოსრულნი, იტყოდენ⁵⁹. ამისა შემდგომად შკოლით ევგენიოსით წარმოვედით მონასტრად ჩვენდა. და მოვემზადენით კვალად აღსლვად კოსტანტინეპოლედ. და აღვედით ნავსა საფარველითა ყოველად წმიდისათა და ლოცვითა მათ მამათათა, და მოჰბერა ნოტოსმან ქარნან ამოდ, და ჰავითა კეთილითა კვალად მივიწიენით კოსტანტინეპოლედ. სახლსა გარდავედით სტავრაკის შეილისა გიორგი პროთოსპათარისასა, ბულდანის მეფის ვეჟილი-¹⁸სასა, და ფრიად პატივს-გვცა და უცხოს მოყვარებისა ღმთისმსახურებისა კეთილი ნუგეში გვიბოძა. და ვეზრახებოდი საურავისა ამის ჩემისათვის, ვითარმედ ქვეყანისაგან ჩემისა ამისთვის ვარ წარმოსულ, რა[82]თა იერუსალიმად მივიწიო, არამედ გზისა შიში თათართა მიერი არა მიტევებს ჩვენ წარსლვად. არამედ მეტყოდა²⁰ იგი, ვითარმედ: რასათვის წიგნი არა იახელით ქვეყანისაგან თქვენისა აქა კარსა ზედა მოწერილი გზისა მოცემისათვის? ხოლო მე მაქენდეს ახალციხის ფაშა-ათაბაგის მაჰმადის წიგნები გზისა მოცემისათვის და შეწყნარებისა, კარზედ მოწერილი ვეზირსა თანა და სხვათა დიდებულთა. და მივართვი რა, აღმოიკითხა, და განიკვირვა²¹ ეგრეთსა ჩემთვის გულსმოდგინესა მოწერასა და იტყოდა: არა იქნების უხეშთაესი ამისა. წარილო და მიართვა ვეზირსა და სხვათა კარისა მოკვლეთა. და აღმოეკითხა რა, ეთქვა: ძალი წიგნისა წარმოაჩენს, ვითარმედ სავმარ და პატივსადები თურმე ვინმე არს და სტუმარი ჯელმწიფისა ჩვენისა; და მოვიდეს აქა, რათა ვიხი-²²ლოთ და [v] პატივსცეთ. და მაწვევდეს რა მე წარსლვად, არა ვინებე, არამედ ვიმეზხოზობდი** უძლებად ყოფასა. და რა არღარა მიველ, განგვიმზადნეს სასახლე მდიდრად გარდაგებული ნატიითა

* გასწვრივ კიდევ მიწერილია: „ორჯერ კვითხე და სხვად მითხრა, ამისთვის ორჯერ აღესწერეთ შპანიისათვის“.

** ვიმეზხოზობდი C.

და აუწანითა და დღითი-დღედითა სანრდოსა ბოძებითა. და მეტ-
ყოდენ, ვითარზედ; სალაროსა ჯელმწიფისასა რაოდენსა ითხოვ თეთ-
რსა, მოგეცეს. არამედ მე არა ვინებე საფასითა მათითა გზისა
ჩემისა წარსართება. მე ვევედრებოდი გზისა წიგნისათვის, რომელსა
ფერმან უწოდეს.

და დავათივეთ თენი შვიდნი კოსტანტინეპოლედ ფრიადსა
პატიესა და ამოდ ცხოვრებაში. რამეთუ უფროსად პატრიარქია
თანა ვიყოფოდე, კირილეს თანა კოსტანტინეპოლელისა, და უფრო-
სად ბრანისა სანატჯელისა პატრიარქისა იერუსალიმელისა უფ-
ლისა პართენისა, კაცისა ბრძენისა, ადგილობით ათინელისა და
ცხოვრებით იერუსალიმელისა. რამეთუ მოძღვრადცა მოვიგე ჩენ-
თვის და მარად შენდობასა აღმოვივსებდი წმიდათა ბაგეთა მის-
თაგან. და იყვენ ნუგეშ და მეგობარ ჩემდა მიტროპოლიტნი: ხალ-
კიდონისა იოანიკიოს, კიზიკიოსა გერასიმე, ნიკომიდისა გაბრიელი,
ნიკიისა იერემია. და სხვ[83]ანი მღვდელთმთავარნი და სამღვდე-
ლონი და ერნი უცხოებასა ჩვენსა შეიწყნარებდეს კეთილად. და
განვიცდიდით მათსა ცხოვრებასა და უქვერეტდით ქალაქისა სიდი-
დესა და სიუცხოვესა. და მომეწყინის რა, შთაეჯდის ნავად და მოვი-
წივი ნავითა სასააღესა ჩემსა და ბალსა მრავალფერითა შადრევნი-
თა და მჩქეფარეთა ფავარათა და ბალთა ელენურებ დასხმულთა;
და განვისვენით რა და მომესურვის რა, კვალად ნავითა აღვიდი
სამეუფოდ ქალაქად ხილვად სასურველთა მათ ჩემთა, და ვიუბნით
მრავალი რამე და შევექცეოდით, რომელთა თითოეულად ვერ უძ-
ლებთ აღწერად.

მაშინ ებოძათ ვეზირსა ფერმანი ძლიერი, რომელსა ეწერა ეს-
რეთ და სხვა მრავალი:* „ებრძანებთ მალლისა ჯელმწიფობისა ჩვენისა
ბრძანებითა ჩვენ, დიდად ამაღლებული ჯელმწიფე მრავალთა საპატ-
რონოთა და ძლიერებისა მპყრობელი ხონთქარი, [v] და ამა ფერმანსა
ბრძანებისა ჩვენისასა უბოძებთ ამას და უბრძანებთ ყოველსავე იერუ-
სალიმად მიმავალთათვის გზათა ზედან ფაშათა, ენგიჩარალასთა, სარ-
დალთა, ვოივოდათა, ყადთა და ერთობით ყოველთა მორჩილთა ბრძა-
ნებისა ჩვენისათა: ესე ტფილისის ქვეყნის როჰბანი ტიმოთე, თავისის
მოსამსახურით, ჩვენი ამაღლებულის კარის სტუმარი იქმნა, იერუსა-
ლიმს წარსვლისათვის დასტური უბოძეთ. სადაც მოიწიოს, პატივი
და სამსახური მიეცით, არავინ არა სთხოვოს რა, არავინ რა აწყვი-
ნოს, თვარემ ერთის თეთრის ზიანი ათას ქესად ვერ ადგება.

* B ხელნაწერის კიდნე მიწერილია: „ჯელმწიფისა და პატრიარქისა წიგ-
ნი ვრცელნი იყვნეს, არამედ ჩვენ შეიოკლებით აღესწოენიო“. 75v.

გზანჯ, საცა შიში იყოს, თოფ-იარაღიანი გზის მცველნი გაატანოთ, მშვიდობით მივიდეს⁶⁰ და მოვიდეს. ეს ჩვენი ბრძანება ახე იცოდეთ“.

ამისათვის დადი მადლობა ვკადრეთ გელმწიფის მოწველეთ. და გაბოკეპზადენით და დავეთხოვეთ პატრიარქთა. ხოლო პატრიარქმან კოსტანტინეპოლისამან გზისათვის ესრეთ გვიბოძა წიგნი: [84] „კირილე, წყალობითა ღმთისათა პატრიარქი კოსტანტინეპოლისა და ყოვლისა სოფლისა, მოვიწერთ ყოველთავე ღმთისმოყვარეთა ეპისკოპოზთა, მდიდართა და წარჩინებულთა, მადლი და წყალობა და კურთხევა განმრავლდინ თქვენ ზედან! ამას საყოველთაოა ეპისტოლესა მოვიწერთ ამა პირსა ზედან: ეს ყოვლად საპლკვე-ლო ტიმოთე, საქართველოსა მიტროპოლიტი, იმა და თანამწირველი ჩვენი, თავისის ქვეყნიდამ წმიდად ქალაქად იერუსალიმად წარმოსულ არს თავყანისცემად ცხოველის ზყოფელისა საფლავისა. ჩვენ ესე წიგნი უბოძეთ. სადაც მოიწიოს, მოეგებოთ და კეთილად შეიწყნაროთ, ვითარცა მამა და მღვდელთმთავარი, უცხო და შორის გზით მოსრული და უმეცარი ენიაა ჩვენისა. და აღსარებაცა მოაჯსენოთ და ყოველივე წირვა და ლოცვა ამისგან სასოებით წიილოთ, და იერუსალიმად მიმყვანებელსა გზასა კეთილად მიუძღვეთ, ზღვითა თუ ჯმელით, არარა დასაბრკოლებელი შეემთხვიოს“.

ეგრეთ [v]ვე სინოდთა მათ მიტროპოლიტთა ყოველთავე გვიბოძეს, თუ სადამე გზათა ზედან შევავდებოდით სამწყაოსა მათსა, წიგნი შეწყნარებისა⁶¹. და კვლად აღვიღეთ წიგნი და ლოცვა პატრიარქისა იერუსალიმისა და მივედით ამაღლებულსა ეკლესიასა კოსტანტინეპოლისასა. და იყო მუნ გვამი წმიდისა ეფთემიასი და ნაწილი ღირსად ქსენებულთა მათ თეოფანია დედოფლისა და პლუმბერია არკადის ასულია, და მზა ვიქმნებოდენ წარსლვად⁶².

აწ მცირედი რამე კოსტანტინეპოლისა ქალაქისათვის მიგითხრა. რამეთუ ჰაეროვნობასა და სიკეთესა პირად-პირადობისა ქალაქისა მის შორად განეგდო შევნიერება ყოვლისა სოფლისა ალაგთა და მათ შორის დედაქალქთასა, რამეთუ არასადა იპოების აზია და ევროპა ერთად ძეკოებული, ვითარ აქა; და მათ შორის მდინარედ წარმოქანებულნი შავით ზღვით ვიწრო ზღვა, მჩქეფარედ პერეულთა კვეთებითა მომდინარე, და ზედა დაფუძნებული კოსტანტინეპოლი, ზედან მათთა კელითა საბაოთისათა. და მ[85]თანი იგი საესედ შემოსილი ნაძვითა და კიპაროზითა ლიბანისათა. და იწროსა მას ზღვასა მომდინარესა გაღმართ და გამოღმართ ქალაქი შენ არს. ზღუდენი და გოდოლნი და კედელ-ყურეთა შენებულობა

- უცხო და ფერადად მოფარდაგულნი. სრათა სანათურთა ჯამნი აღყვავებულნი თითოსახენი ედემსა ესახებოდა. პალატთა, სტოვათა და ბაზართა ქალაქისათა ბურვილობა ზოგნი იყვნეს ბრპენისანი [ოქროცურვებულნი, ბურვილნი ზედან სრათა და წყაროთა, ვითა მზე ქალაქსა უშუქმკრთომარეობდეს], და ზოგნი კეც-ქაშანურითა ფერთა, სხვანი—მეწამულნი, წითლისა მალრიბულისაებრ ელვარედ იკვირებოდეს. შიგ ხომალდნი, ალვისა რტოებ მდგომნი, კეკლუცად მოეზავნებოდეს ქალაქსა. ტევრთა შინა სელვინუ და ლაჯთა და კვიპაროზთასა სრათა საცელმწიფოთა ელვანი განოკრთებოდეს და
- 10 გარემოს ოქვიწართა, ნაძვთა მალნარიანობა ფარდად გარემოეხვია შენებულობათა. ხოლო დედაქალაქი ესე ვიმეცენ, ვითა მთიები ვასრკვლავთა შორის ვაგვანენ, ვითა [v] ვარდი ყვავილთა შორის სამოთხისათა, ვითა იაკინთე ქვათა შორის სამარავდოვანთა, ვითა ირისე ღრუბელთა შორის და ვითა აგვისტოს კეისარი მეფეთა
- 15 შორის,—ეგრეთ აღრიცხვენ. რამეთუ ფრიად მიძნდა და ურვეული ვიყავ განშორვებისათვის კოსტანტინეპოლისა, ვითა მე საწუთოსა კირმრავლობით და ძვირხილულობით მისრული მუნ, მათ აღარ მოვიჩვენებდი, რამეთუ უქვრეტდი რა დიდებულსა მას ქალაქსა, თვალი და გონება ჩემი ურთიერთარს უსწრობდეს განკვირვებასა
- 20 ხილვისა მისისასა.

ამისა შემდგომად წარმოვედით, ოქროქალაქსა მოვიწიენით, რომელსა აწ უსკუდარად უწოდენ, სამწყსოსა ხალკიდონისასა, და კეთილად შეგვიწყნარეს ქრისტიანეთა. და შევედით ეკლესიასა მას ხალკიდონისასა*, სადაცა კრება იქმნა, და შემოკრბა ექვსას ოც-

25 დაათნი მამანი.

მუნ ყოფასა ჩვენსა მოგვესმა, ვითარმედ განაძეს პატრიარქი კირილე და დაჯდა კალინიკე. მსწრაფლ აღველ ჴავითა და მიველ კათოლიკე ეკლესიად. და ვიხ[მნ]ილენ, რამეთუ მღვდელთმთავარნი და მდიდარნი ერისანი შემოკრებულ იყვნეს და კალინიკეს ტელთა

30 დაასხმიდეს. და ვიკითხევდი მიზეზსა, თუ რასთვის განაძეს კირილე. იგინი მომიგებდენ, ვითარმედ იტყოდაო, რამეთუ ფრანგთა და სომეხთა ნათლისღება არა აქვსთო, მეორედ ჯერ-არს ნათლისცემაო, რამეთუ ჩვენ ამისთვის წინააღუდეგით და განვაძეთ. არაოდეს გვსმენოდა ესე 63**.

* კიდევუ ნუსხურით მიწერილია: „ამა ქალაქსა შინა ეწამა ქალწულმოწამე ვეფემია, რომლისა ცსენება არს სექტენბერსა ი ვ“.

** აქ თავდება A რედაქციის ტექსტი. A, 66r.

ამისა შემდგომად აღვიღეთ ლოცვა პატრიარქისაგან და წარს-
მოვედით. და ხალკიდონით ვლეთ და გამოვლეთ ნავით ვენაქია.
მის თანა ქერივისასა ზღვისა პირსა, რომლისა მიზეზისათვის ექ-
სორია იქმნა ოქროპირი. და კვლად გამოვლეთ მთა იგი, რომელსა
შინა განშორებულ იყო წმიდა მამა აექსენტი. [და მივედით ზღვა-
თა შინა კუნძულთა მონასტერსა ხალკს, რომლისა წინამძღვრისა-
თვის თეოდორე სტოდიელი მიცვალებასა მოიქსენებს წიგნსა თვისსა.
მონასტერი არს აღშენებული ბერძენთა მეფეთაგან]*. და გამოვლენ-
ით ზღვით სამწყსო ხალკიდონისა და მოვიწიეთ ძველთა მეფე-
თა სამეუფოსა მას ქალაქსა ნიკომიდიას[^v]სა, სამწყსოსა წმიდათა ¹⁶
მამათა ჩვენთა გიორგი და ანთიმე ნიკომიდელთასა. მოგვე-
გებნენ ქრისტიანენი და კეთილად შეგვიწყნარეს, და გვაწვიეს
ჟამის წირვად მონასტერსა და საფლავსა წმიდისა მოწამისა პანტე-
ლეიმონისასა და მოძღვრისა მისისა ერმალოზ მღვდელმოწამისასა.
და ჩვენ ამისთვის ვერ მკადრე ვიქმნებოდით და ფრიად ვიშიშვო-
დით, თუ ვითარ ცოდვილმან უღირსითა ბავითა წმიდასა მას აღ-
გილსა მსხვერპლი შევსწირო, არამედ ერნი ჩემსა უღირსებასა არა-
მეცნიერნი, ვითარცა მღვდელთმთავარსა მაწვევდეს.

და მივედით მონასტრად და ვიხილეთ საწამებელი წმიდისა
პანტელეიმონისა და საფლავიცა მისი. და აღვასრულეთ ლოცვა ²⁰
და უამბორეთ საფლავსა და ალაგთა მათ მრავალთა და ურიცხვთა
წმიდათა მოწამეთა სისხლითა ლებულთა, მოსრვილთა მაქსიმიანეს
მიერ და სხვათა უსჯულოთა მეფეთაგან. მუნ ახლო იყო სრა მაქ-
სიმიანესი და დეოკლიტიანესი. და საწამებელი მოწამისა ნეედანი
სასახლისა მის[87]ისა ყოფილა. ²⁶

და ვიხილეთ ადგილი იგი შირონმომდინარე, სადა ორნი ბევ-
რნი მუნ, ნიკომიდიას, დაწუნა წმიდანი იგი მოწამენი, და იღლესას-
წაულების დეკემბერსა კ ლ. და საწამებელი იგი მღვდელმოწამისა
ანთიმოსი, სადა ქსენება მოვა მისი სეკდენბერსა გ. რანეთუ მაქსი-
მიანე მუნ მოსრვიდა მრავალთა მოწამეთა. და იყო ადგილი დიდად ²⁸
პატიოსანი ზღვითა და მთითა და ველითა შეზავებული. და წარ-

* კაეებში ჩაწერილი ტექსტი D ხელნაწერიდან არის შეტანილი (54r),
ვინიდან შესატყვისი ადგილი C ხელნაწერში ახრობრივად გაუმართავია
C ხელნაწერში წერია: „მივედით ზღვათა შინა კუნძულთა მონასტრებთა შორის
აღშენებულთა ბერძენთა მეფეთაგან“. ამის გასწვრივ ტექსტში ჩასართავად კიდევ
მიწერილია: „მონასტერსა ხალკს. რომლისა წინამძღვრისათვის თეოდორე სტო-
დიელი მიცვალებულსა მოიქსენებს წიგნსა თვისსა“.

C ხელნაწერის ეს ახრობრივი ლაფსუსი ტიმოთემ თავის ხელით გაასწორა.
D ხელნაწერში.

მოვედით მიერ და გაძოვლეთ ცხელნი იგი წყალნი, რომელიცა წმიდამან ამბერკი აღმოაცენა.

და მივიწივენით კათრილად. და იყო მუნ მონაზონი ვინმე შეყენებული, აქესენტი სახელად, კვირიაკედ მცირედ მგბარისა მიმღები, და კარი დაჭმული სამარად ქონდის, რამეთუ არავის უტევებდა.

და მიერ წარვედით და მივედით ადგილსა მას, სადა ეწამნენ წმიდანი დედანი: მინადორა, მიტროდორა და ნიქოდორა. და მიერ მივედით გუმლექად, სამიტროპოლიტოსა ნიკიელ არქიეპის-
10 კოპოზისასა⁸⁴. [v] და კეთილად გვისტუმრნეს ფრიად და დაგვაყენეს ფრიად შევნიერსა სასახლესა. და იყვნენ მუნ მრავალნი ქრისტიანენი და მონასტერნი დედათანი და მამათანი. და განვათიეთ ჟამნი რაოდენიმე. და წარვედით მიერ და მივიწიენით ქალაქად ბრუსად⁸⁵. და გვეუცხოვა ადგილი იგი და დედაქალაქისა შევნიე-
15 რება. და ადგს თავსა ქალაქისასა მთა ულიმბო, სავსე ყოფილა მონასტრებითა და განშორებულითა, რომლისათვის აწ მთასა მას თურქნი ქეშიშტალაა უწოდენ. და მივედით სამიტროპოლიტოსა და საყდარსა ბრუსელ* მიტროპოლიტისასა, და მჯდომარე იყო მუნ მელეტი ყოვლად სამღვდელო, დიდად შეგვიტკბო და განგვის-
20 ვენა და ხარისხსა თვისსა ჟამის წირვად მიგვიწოდა.

და განვედით ხილვად ცხელთა მათ წყალთა, და ვიხილეთ შემწველი იგი წყალი, აბანო წმიდისა მღვდელმონაშისა ძატრიკისა, რომელი შთააგდო ივლიანე განდგომილმან ცხელთა მათ წყა-
25 [38]ლთა და აწამა, და თავი მუნ წარკვეთეს, რომლისა ჭსენება მოვალს მაისსა ით. და მუნ მჯდარა წმიდა ტიმოთე ბრუსისა** ეპისკოპოზი, რომლისა ჭსენება არს ივნის ი.

და ვიხილეთ ულიმბოს მთის ძირს მონასტერი დიდი, შესაკრებელი მონაზონთა ულიმბოსათა, უცხოდ რამე ქვითა მარმარითა ნაშენნი, და დღეს უპყრიეს თურქთა. და ოსმანჯულ სულთანი ეკედერში მარხია და ძე მისი ორხან, ამღები ბრუსისა, შიგ მონასტერში მარხია, ეკლესიაში. და არს წმიდა იგი ტაძარი სავსე ძვალე-
30 ბითა მკედართა მაჰმადიანთათა და ყოვლითა არაწმიდებითა აღსავსე. და განვათიეთ არამცირედნი ჟამნი მუნ დიდითა შეწყნარებითა ქრისტიანეთათა.

ამისა შემდგომად აღვიღეთ ლოცვა და წარგვეზავენეს მედ-
35 ნიად ქალაქად, სამწყსოსა ბრუსელისასა. და გამოგვეგებენ ერნი და

* პრუსელ C. ** პრუსისა C.

შეგვიძღვნენ სასახლესა პატიოსანსა, და მუნ დავადგერით. და ვიხი-
ლეთ [v] საკვირველთნოქმედი ეკლესია წმიდისა ნიკოლოზისი, რამე-
თუ საკვირველების მისისათვის მოგვითხრობდენ ქრისტიანენი, ვი-
თარმედ ეკლესია ესე დარღვეულ იყო ვიდრე საძირკველადმდე და
გვენება აღწენება, და ჭზრუნევდით რა მისთვის, დღესა ერთსა ფო- 14
ლოცთა ამათ შინა შემოვიდა ქარავენი ურემთა, სავსე კირითა და
ძელითა; მთის კაცთა მოაქენდათ და იძახდნენ: რომელი არს სახლი
ნიკოლოზისი, რათა მივიტანოთ მუნ ურემნი ესე. ხოლო ჩვენ უმე-
ცარ ვიყვენით და ვეტყოდეთ, ვითარმედ არავის ეწოდების აქ ნი-
კოლოზ. ხოლო იგინი გვეტყოდენ, ვითარმედ მოვიდ^ე ჩვენდა კაცი 10:
ვინმე მოხუცებული და იყიდა ჩვენგან კირი და ძელი ესეოდენი და ამა
ქალაქსა მოგვიწოდა და დაგვიტევა ფლური ერთი ბეჭდ. აღმოიღეს
და გვიჩვენეს, რამეთუ ძველისა ჟამისა იყო და არა ახალი ფლური
იგი. და მივიყვანეთ და ვუჩვენეთ ხატი ნიკოლოზისა და გვეტყო-
დენ, ვითარმედ მსგავსი იყო ამისა კაცი იგი. ამისთვის განგვივირ- 15:
დით და საფასე მიეც^მეცით, და აღვაშენეთ ეკლესია ესე. მესმა
რა ესე, განკვირვებულ ვიყავ და მადლობასა შევსწირევდი წმიდასა
ნიკოლოზს.

და კვალად გვითხრობდენ, ვითარმედ არს აქა ეკლესია მთა-
ვარანგელოზისა. და მუნ მდგომმან მღვდელმან ვინმე განკრიხა სა- 20:
ბრჭითა ეშმაკისათა ეკლესია ესე, და იღუმალ ნავაა შთაუჯდა მწყემს-
სა ვისმე, ცხოვართა ნავით მიმყვანებელთა. ხოლო ნავი იგი ზღვით
მიადგა ჯმელსა რასმე კუნთულსა და მუნ გარდაიქცა ნავი და გარ-
დაყარნა ცხოვარნი და პატრონი მათნი, და მპარავი იგი მღვდელი-
ცა გარდაადგო ჯმელად. და ნავი იგი მსწრაფლ მოიქცა აქავე. და 25:
იხილვებოდა უცხოოდ, რამეთუ ანძისა თავი შთაყვის ზღვასა შინა და
კვალად აღმოჩნდის. ხოლო ქრისტიანეთა აღმოიღეს ნავი და იხი-
ლეს ნაცრცვი ეკლესიისა, არამედ თათართა წარუბუნეს ძალად ნა-
ცრცვი იგი. ხოლო ღამესა მას დაეცა შიში დიდი თურქსა მას და
ძრწოლა. აღიღო განთიად და თვით ჯელითა თვისითა მიიტანა 30:
ეკლესიასა მას [v] ნაცრცვი იგი. ესრეთ გვითხრნეს ქრისტიანეთა მათ
და ჩვენცა ესრეთ აღვსწერენით.

და მიერთებან წარვედით და მივედით მონასტერსა მთავარან-
გელოზთასა სიის. და ხვალისა წარვედით მუნით ზღვით და განვლეთ
მონასტერი შინოლაკოსა. და კვალად ახლოდ იყო მონასტერი 34
თევოდორე სტოდიელისა, სადა-იგი ზოგადცხოვრებულთა მამობა
აღასრულა. და მივედით სოფელსა ტრილიას. მორწმუნეთა ფრიად
შეგვიტკბეს. და მუნ იყო მონასტერი დიდებული მიდიკიისა, წმიდი-
სა მამისა ჩვენისა ნიკიტა მიდიკიისა მამასახლისისა, რამეთუ

თვით სამარხოცა მისი მუნ იყო, რომლისა ვსენება მოვალს აპრილ-
 სა გ. რამეთუ ამალღებად უფლისა მუნ ვიყავით. და მიერ წარვე-
 დით ჳმელით დღისა ერთისა სავალი და მივედით ზღვასა მას და
 ტბასა აპოლონისასა. და არს შუა ტბასა ციხე და ქალაქი აღშენებული
 73 ტრიაინეს მიერ [90] მეფისა და მისრულ არს მუნ ქადაგებად პავლე
 მოციქული. და ფრიად ვიდრემე პატივით შეგვიწყნარნეს. და მიერ
 წარვედით მიხაილს და მუნ განვათიეთ, მოსლვა სულისა წმიდისა
 მუნ ჳიდლესასწაულეთ. და მიერ წარგვგზავნეს ბენდერმად. და მიე-
 რითგან მივედით ქალაქად კვიზიკოდ და მგზავრ განვიციდით
 70 ციხე-შენებულბათა ტროადისათა, ადგილთა ფრიად შეენიერთა.
 და ვიხილეთ ცხრათა მათ მოწამეთა საწამებელი კიზიკოელთა, სა-
 ხელად: თეოდნიდოსი, რუფუ, ანტიპატრო, თეოტიხუ, არეტმა,
 მალნო, თეოდოტუ, თავმასიო, ფილიმონოს, რომელნი იწამნეს
 კერპთმსახურთაგან, და ვყოფთ ვსენებასა მათსა აპრილსა კ. თ. და
 75 მივედით კიზიკო ქალაქად, სადა ღვაწლი მოწამებისა აღასრულა
 წმიდამან მღვდელმოწამემან ემმელიანე კიზიკოელმან, რომლისა
 ვსენებასა ვყოფთ აგვისტოსა ო. [v] ამათდა ხილვად ღირსქმნილი
 ვმადლობდი უფალსა. ხოლო მღვდელმთავარმან კიზიკო(ის)სამან გე-
 რასიმე ფრიად სტუმართმოყვარებით შეგვითვისა.
 78 და მიერ წარვედით. პრიკონისისა იბარქია განვლეთ და მიერ
 მირიოფიტისა ეკლესიასა მივედით, და ყოვლად სამღვდელო ნიკო-
 დიმოს, კაცი პატიოსანი, ფრიად შეგვიტკბობდა და მოწლედ გვი-
 თავაზებდა. და მიერ წარვედით ქალაქად კალიოპოლად, რამეთუ
 სლვა ესე ჩენი ზღვისა პირ-პირ იყო, ახლოდ ვიარებოდეთ ამის-
 75 თვის, რათა გრძელმან გზამან ზღვისამან შექირვება და ნავდანთ-
 ქმულება არა შეგვამთხვიოს.
 და კალიოპოლით მივედით ლამფსაკოდ, ქალაქსა წმიდისა მა-
 მისა ჩენისა პართენი ლამფსაკოისასა, რომლისა ვსენება მოვალს
 ფებერვალსა ზ. და მუნვე ლამფსაკოდ ვიხილეთ საწამებელი წმი-
 70 დისა მოწამისა ტვირიფონისა, სადა-იგი ბატთა რა აძოვებდა, და
 მუნვე იწამა. და არს აიაზმა სარწმუნოებით მიმავალთათ[91]ვის
 საკურნებელი, რომლისა ვსენება მოვალს ფებერვალსა ა. და მიერ
 განვედით მაიდოს და მიერ ბოლაზისარს⁶⁶, ციხესა მას, სადა შეიწ-
 რდება ზღვა, ვითარ მცირისა მდინარისა ოდენ. და პირდაპირ ცი-
 75 ხე თურქთა, რათა არა მტერი აღვიდეს კოსტანტინეპოლედ, მცველ-
 ნი არიან იგინი. ხოლო ქრისტიანეთა მათ პატივ-გვეცეს ფრიად, და
 მიერ წარვიგზავნეთ ქალაქად მიდილინად, სამწყსოსა მეთიმნისასა.
 და მივედით, ვიხილეთ ადგილი მითთა და ზღვითა ფრიად შეზავე-

მული და სავსე მონასტრებითა დედათა და მამათათა. და იჯდა უნ მღვდელთმთავარი მათი, სახელად არსენი, კაცი პატიოსანი, და უცხოსმოყვარებითა ფრიად შეგვიწყნარა.

და ამისა შემდგომად წარვედით ქალაქად მიდილინისა, ეკლესიასა წმიდისა მამისა ჩვენისა გიორგი მიდილინელისასა, რომლისა 5
ქსენება არს აპრილსა შვიდსა. და მიერ ქრისტიანეთა ნავითა გზა მოგვცეს და მივედით მოსკონის და აივალსა, სამწყსოსა ეფესოსასა, და მიერთვან [v] ვრულას, და ვრულითვან ქალაქსა სამოს, ქვეყანასა და სოფელსა პითალორა ფილოსოფოსისასა. და შევედით რა ქვეყანასა მას, გვეუცხოვა ადგილთა სიკეთე და შევნიერება. კუნძული 10
ზღვათა შორის და წალკოტითა და ვენაჯოვანითა აღესილი და მთა მაღალი ნაძვიანითა ტევრითა დათარულ იყვნეს. და მივედით მღვდელთმთავრისა მათისა კალინიკესა და ქრისტეს მოყვარენი ერნი კეთილად შეგვიტებობდეს. და იქიდგან წარგვეზავნეს პატმოდ ქალაქად, საყოფელსა ღმთისმეტყველისა იოანესასა. და მივედით რა და 15
სცნეს მისლვა ჩვენი, ჰკრეს ზართა და გამოგვეგებნენ წინამძღვარი, ძმანი და მამანი, ჩვეულებისაებრ მონასტერთასა მოგვართვეს მდინარი და კვერთხი. ლამპრებითა და კეროვანებითა შეგვიძღვენენ და იტყოდენ „შეგვიწყალებსა“, „მრავალყამიერობა მეფეთა ჩვენთათვის“. და ვიხილეთ ნაწილი მრავალი და ქვაბი იგი აპოკალიფსი, სადა 20
მჯდომარე იყო ღმთის[92]მეტყველი იოანე და ეჩვენა უფალი და აღსწერა გამოცხადება და იწყო რა მალაღსა მას ღმთისმეტყველებისა თქმად: „პირველითვან იყო სიტყვა“, და აღსწერნა იგინი.

და ვიხილეთ ჯაკვი იგი, რომლითა დომენტიანე მეფემან ტყვე 25
ყო რა მუნ პატმოს და ჯაკვითა შებორკილა. და სალარო ვიხილეთ მონასტრისა მიდილარი ფრიად, სავსე ქვათავან ძვირფასთა მრავალთა და მარგალიტთა, და ოქროთა და ვეცხლითა ეკლესიისა წმიდათა ქურქელთა სავსე, და კვერთხნი ძვირფასნი და შესამოსელნი. და იყო მუნ ჯვარი მურასა მძიმე, ოქროსი, ქართველთაგან შემოწირული. და განვითიეთ მარხვა მარიამობისა მუნ და 30
დღესასწაულიცა დაძინებისა მუნ აღვასრულენით ქეშმარიტსა მას სულიერსა ალაგსა, ღმთისაგან დათარულსა მას მონასტერსა, მე უღირსი მათ თანა ხლებისა.

და იყო მუნ შკოლა საფილასოფოსო დიდი და ისწავლიდენ მრავალნი შკოლისაგანნი. [v] და ვიხილეთ ადგილი იგი ზღვის 35
პირსა, სადა იგი ღმთისმეტყველმან კვინოპ გრძნეული შთაანთქა, და კვალად იხილევბის ქვად ქცეული მუნ ზღვათა შინა. და მივედით დედათ მონასტრად, და მოგვეგებნენ ზარის კვრითა და მდი-

ნართა, და შევედით ეკლესიად და მივედით სახლსა დედათ წინამძღვრისასა. და იყო აღვსილი სულიერთა დათა და დედათა მიერ მონასტერი იგი, და ვნადლობდით უფალსა, რომელმან არა უღირს იჩინა ჩემ მდაბლისა მუნ მივრდომა. და იყო მთლივ გვამი წმიდისა ხრისტუდულოსი მუნ.

და ამისა შემდგომად აღვიღეთ ლოცვა და წარმოვედით ნავითა, და მოვედით ქალაქსა ლეროს, მონასტერსა მას ყოვლად წმიდისასა საკვირველთმოქმედსა, და მიერით კალილიმონას⁶⁷, რამეთუ მუნ მყოფნი თურქნი საიდუმლოდ ქრისტიანობდეს. /

და მიერთგან მივედით შვენიერსა მას ქალაქსა სტანკოვს⁶⁸, ადგილსა და სოფელსა ბრძნისა იპოკრატისასა, რამეთუ არს თავი ჭარისა შემზადებ[93]ული ჯელოვანებითა იპოკრატი ბრძნისათა და აღმოქუხს წყალი მრავალი პირით მისით და რწყავს მრავალთა სამოთხეთა.

და მიერ წარვედით კუნძულსა სუბექსა, და მიერ ქალაქსა და კუნძულსა როდოს. გვესმა, რამეთუ ამა როდოსში ნასახლებულან მალთისნი, ხოლო აულია სულთანსა და გაუყრია კაცნი იგი. და მისულან და დასახლებულან სხვასა ქალაქსა შორის და ამისათვის ემტერებიან მალთისნი თურქთა. და ვიხილეთ ციხე ძლიერი და

კეთილი ნაშენნი, რამეთუ კარებთა ზედა ჯვარი და ხატნი მარმარისანი კვალადვე იყვნეს. და სცნა რა მისლვა ჩენნი მიტროპოლიტმან როდოს(ის)მან, მოგვაგება არქიმანდრიტი თვისი, და კეთილად შეგვიწ(ყ)ნარა და ჯეროვანი პატივი მოგვცა. და განიცადებოდა ახლოდ მუნ მირონ ლუკიისა ქალაქი და სამარხო წმიდისა მამისა

ჩვენისა ნიკოლოზისა. და კვალად მუნვე ახლოდ არს ტბა ერთი, და ტბასა შინა ყასაბა და საყდარი წმიდისა მამისა [v] ჩვენისა გრიგოლი ნოსელისა, ხარისხი, რამეთუ ორნივე ესე, ნიკოლოზ და ნოსელია გრიგოლი, ეპისკოპოზები ყოფილან პისიდიისა მიტროპოლიტისა*, რამეთუ პისიდიაცა მუნვე არს ახლოდ. ხოლო დავიყოვნეთ მუნ

დღენი ათექვსმეტნი, რამეთუ თურქნი რა აღმოიკითხვიდენ ფერმანსა ხონთქრისასა, ფრიადსა პატივსა მოგვიპყრობდნენ და არას შეგვაუკრებდენ.

ამათ ჟამად მოიწია დიდი გემი იერუსალიმად მიმყვანებელი, და ჩავსხედით მუნ. და მივაწიეთ რა ახლოდ იაფას, ნაპირსა იერუსალინისასა, აღვეიდგა წინააღმდგომი ქარი ესეოდენ ძლიერი, კნინლა

დავინთქვენით, სამ დღე, ვითარცა რა მთანი იალბუზისანი, ეგრეთ

* კიდევ მიწერილია მხედრულით: „ამისთვის სხვაგანაც აღვსწერენით“.

იხილვებოდა. და უკანად გვაქცევა ოთხასი მილიონი. მოწყალეებამან ღმთისამან დააცხრო რა ქარი, მივსულვიყავით უცხოსა რასმე ქვეყანას, არაბეთს ასურეთისასა. და იყო მუნ ქალაქი დიდი და ვიკითხვიდი, უკეთუ ქრისტიანე ვინმე არს? და მ[94]ითხრეს, ვითარმედ არაბნი ქრისტიანენი არიან, ენა არცა ბერძული და არცა თათრული არა უწყიან. და ვუწყე ქრისტიანეთა მათ, და ნავით გამოვეზავნათ მღვდელი ვინმე არაბი, და მოგვეგებნენ ქრისტიანენი და კეთილად შეგვითვისეს და ეკლესიად შეგვიძღვნენ (რამეთუ იყო კვირიაკე) კვერთხითა და მდინარითა. რამეთუ მეუცხოებოდა ენა მათი, რამეთუ არა მსმენოდეს. და დავათიეთ მუნ ეამნი რაოდენი-
მე, რამეთუ ყოვლად სამღვდლო პართენი ტრიპოლელი არაბი ფრიად ნუგეშის გვცემდა და ერნი კვლად უმეტეს. რამეთუ ქალაქსა ამას ტრიპოლის ზე წარმოსდგომია მთა იგი ლიბანი, რომლისაგან სოლომონ ბრძენი ნაძეთა ლიბანისათა მუნით მოიღებდა ტაძრისა შენებასა. მუნ ახლო იყო სოფელი და საწამებელი წმიდისა ბარბარესი, და კვლად სოფელი წმიდისა სოფრონ იერუსალემელ პატრიარქისა. ხოლო მთასა მას შინა მჯდომარე იყო პატრიარქი მარონიტთა მწვალებელთა. და სავსე იყო ქვეყანა იგი მარონიტთაგან, რამეთუ სრულიად ლატინთა ეკლესიისა გაერთებოდეს მარონიტნი. ხოლო ღმთისმოყვარეთა მათ არაბთა მოგვიშზადნეს გზისათვის საგძალი და ჯორნი, რამეთუ ზღვით აღარ წარვედით, არამედ ჯმელით. და აღვიღეთ ლოცვა და წარვედით. და ვლეთ დღენი სამნი სრულიად მარონიტთა ქვეყანა. და მოვიწიენით შევნიერსა მას ქალაქსა ბერუთას, არაბეთს, შევნიერსა მას ალაგსა, [რამეთუ ამა ქალაქსა მწირობდა წმიდა ეესტათი და კვლად ანას. ვე ქალაქსა მოკლა ვეშაპი წმიდამან გიორგი]. რამეთუ არაბეთი მუნებურნი სრულიად პატრიარქისა ანტიოქიისა სამწყსო არიან. და ვაახელით კაცი ყოვლად სამღვდლოსა ბერუთისასა, უფალსა იოანიკიოს; ფრიად ძმურებ და მამურებ შეგვითვისა და განგვიშზადა სადგური. და იქა ყოფასა ჩვენსა ეკლესიასა თვისსა ჩვენ გვამღვდელთმთავრა და გვითავაზებდა დიდად. და იყო მუნ შიხი ვინმე დიდებული და მდიდარი იოანე, და წირვად გვაწვივა. და ვსწირეთ რა ეამი, ქრისტიანეთა დიდად გემსახურეს, რამეთუ ბერუთასა თურქნი არა მპყრობელობენ, არამედ მთათა მათ შინა არიან უცხო თესლნი, სახელად დურძნი ეწოდებათ, და იგინი არიან მპყრობელ ქალაქისა [95] მის. ხოლო დურძნი ესევეთარნი არიან, რამეთუ ილოცვენ ეკლესიათა ჩვენთა და რწამთ და არცა წინა დაიცვეთენ, და კვლად თურქთა მეჩიტთაცა შევლენ და ილოცვენ.

- და განვისვენეთ ნუნ ჟამნი რაოდენიმე და აღვიღეთ ლოცვა. და გვიბოძეს ჯორნი და საგძალი და კაცნი მცველნი გზისანი, და წარვემართენით საწადასა გზასა ჩვენსა იერუსალიმად მიმყვანებელსა. და ვლეთ დღისა ორისა სავალი და მივიწიენით ზღვის პირსა
- მას, რომელსა ალაგსა წინასწარმეტყველი იონა ვეშაპმა წარმოავდო, და საფლავი წინასწარმეტყველისა უპყრიესთ თურქთა. და მიერ მივედით ქალაქსა სიდონს და შევედით სრასა ყოვლად სამღვდელოსა ტვიროსისა და სიდონისათა. რამეთუ მცირედნი ვინმე იყვნეს მუნ ჩვენი, რამეთუ სრულიად ფლორენცისა კრებასა შეერთოდეს ქრისტიანენი, რამეთუ ფრანგთა მღვდელთა არა აწირვინებდეს. ეკლესიათა შინა მათთა, სრულიად ჩვენი განწესება ეპყრათ. და ვიხილეთ მუნ აღ[ვ]გილი იგი, რომლისათვის იტყვის სახარება, ვითარმედ: „და მოვიდა საზღვართა ტვიროსისა და სიდონისათა. და აჰა დედაკაცი ვინმე წყაროთა სისხლისათა შეეხო ფესვთა სამოსლისა უფლისათა და განიკურნა.“* რამეთუ აწ თურქთა უპყრიეს ადგილი იგი. და არს მცირედ მოშორებით ადგილი იგი, სადა-იგი წინასწარმეტყველი ელია მივიდა სარეფთად სიდონისა დედაკაცისა ქვრივისა და ქურქელთა მათ საიფქლესა და ზეთსა არლარა მოაკლდა.
- და წარმოვედით მუნით და მოვიწიენით ქალაქსა ტვიროსს, ვითარცა იტყვის დავით: უცხო თესლთა მათ დამკვიდრებულთა თანა ტვიროსისათა. რამეთუ უცხო თესლისა მის ტვიროსელისა ასული იყო, რომელიცა სოლომონ მიიყვანა ცოლად და სიყვარულისა მისისათვის კერპთა მათ ასტარატეს უზორა. ამისთვის დავით
- წინავე აუწყა, ვითარმედ: და ასულმანცა ტვიროსისამან ძღვნითა პირსა შენსა ლიტანიობდენ.
- და მიერთგან მივედით სოლომონისა მიერ სიბრძნით აღმოც[96]ვანილსა მას წყაროსა ქვიშითა და კირითა, ჰელითუქმნელთა ააკვირველთა რათმე. და აღზოდის წყალი, ვითარ ექვსისა წისქვილისა საბრუნავი. და ვიხილევდით რა სიუცხოვესა მისსა, ზედა მოგვადგენ ქორითა. და ძალლითა დიდი ვინმე კაცი, უცხო თესლნი ტვიროსისანი, და განგვაკრთო შიშმან მათმან. არამედ მსწრაფლ წარმოვედით და ვლეთ, და ღამესა მას დავადგერით სოფელსა ზიბს და ზებეს, რამეთუ თურქნი იყვნეს მუნ სრულიად. ხვალისად აღვედეთ და წარვედით და მივაწიეთ ქალაქსა პტოლემაიდას. ხოლო სცნა რა მისლვა ჩვენი ყოვლად სამღვდელომან პტოლემაიდისამან

* შდრ. მარკ. 5,25—29.

ფილოთოს, ფრიად კეთილად შეგვიწყნარა და სავანე გვიყო, და ეკლესიასა თვისსა ჩვენ გვამღვდელთმთავრა. ესე ქალაქი აღუშენებია პტოლომოს მეფესა და სახელი მისი რქვიან, და არს სამწყსო პატრიარქისა იერუსალიმისა. და განვათიეთ მუნ ჯანნი ერთისა თვისანი, რამეთუ არაბნი [v] ქრისტიანენი კეთილად შეგვიწყნარებდენ.

და იყო მუნ ახლო ქალაქი ნაზარეთი, სადაცა აღზრდილ იყო უფალი. და წარვედით მოლოცვად მის ადგილისა წმიდისა (რამეთუ იყო შორს, ვიდრე შეიდისა ჟამის) და ახლოდ რა მოვიწიენით, გორასა რასმე ზედან იყო სახლი იოაკიმ და ანნასი, რამეთუ ნაქცევნილა აჩნდეს. და მივიწიენით გორასა რასმე მალალსა და მივედით ნაზარეთად საყოფელსა უფლისასა. რამეთუ მწყობრი არაბთა მათ ქრისტიანეთა თანა ვილოცეთ, ეკლესიასა მას, სადა წყარო აღმოდის. და ყოვლად წმიდა ქალწული წყაროსა მისგან რა აღმოვიგებდა; ესმა ჳმა ანგელოზისა: „გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენ თანა“*. ვინაცა მღვდელნი და ერნი მუნებურნი ჟამისწირვად მაწვედეს და კურნებასა ითხოვდეს ჩემიერ, რომელსა მე მივმდა უღირსსა მათ მიერ შეწვენა, რამეთუ ვითარცა მღვდელთმთავარსა განმიცდიდენ და არა უწყოდენ უღირსება შინაგანისა ჩემისა. რამეთუ ჰკრთებოდეს ფერჳნ[97]ი ჩემნი სლვად ადგილთა მათ წმიდათა და ცოდვათა მოტყეებასა ვიაჯდი უფლისა, რომელმან არა უღირს იჩინა ცოდვილისა თავისა ჩემისა მუნ მისლვად. და ვიხილეთ საყდარი იგი, სახლი იოსებისი, სადა მსახური საკვირველებისა გაბრიელ ქალწულსა ემანუილისა შობასა უნაბდვილებდა და სადა მუცელქმული მჯდომარე იყო სვეტსა თანა. თაყვანის-ვეცით ადგილსა მას საკვირველსა. და იყო ახლო კანა გალილიასა, სადა წყალი ღვინოდ შესცვალა უფალმან, და კლდეცა იგი, სადა ურიათა ენებათ, რათამცა გარდააგდეს მას ზედა.

და იყო ახლოდ მთა თაბორი, სადა უფალმან ფერი იცვალა, კლდე მალალი, წითელი, და ზედა მონასტერი დიდი. ხოლო გვეტყოდენ, ვითარმედ თაბორის მონასტერი და ოთხი ეკლესია ნაზარეთს ქართველთაგან არსო აღშენებული, რაჟამს [v] ვაატანგ გორგაალან დაიპყრო იერუსალიმი.

და იყო მუნ მცირედ მოშორვებით ზღვა ივი ტიბერიისა, და გზასა ზედა ჯურღმული იგი, რაჟამს ფოტაჳმ დედაკაცსა საზარითელსა ზრახვიდა უფალი. და აღვასრულეთ რა უღირსად ლოცვა მუნ, წარმოვედით, რამეთუ იერუსალიმს მოლოცავი მრავალი მივალს, არამედ ნაზარეთს მოლოცავი ვერ შევალს გზისა სიშორისათვის

* ლუკა 1, 28.

და შიშისათვის არაბთასა. ინება უფალმან და ჩვენ, რომელსა არა-
ველოდით, უფალი მიგვიძლვა და წარვედით ნაზარეთით. და იყო
მუნ ვენაჯი იგი ნაბოთესი და ათორმეტი ქვანი, რომელნი ელიამ
დასხნა, და მღვდელნი [ი] იგი სირცხვილისანი მოსრნა. მუნითგა[ნ]

5 შორად ათისა ქამისა—სრანი ჰეროდე მეფისანი და სახლი იგი, რომელ(შ)იცა ნათლისმცემელი შებოროკილა ჰეროდე და თავი წარკვეთა.

და მოვიწიენით კვალად პტოლემიდად. და [98] იქმნა ნებიითა
ღმთისათა ჰაეა კეთილი, და შთავსხედით ნავსა და გამოვლეთ მთა
კარმელი, სადა წინასწარმეტყველი ელია ყორანთა მიერ იზრდე-

10 ბოდა, და მონასტერი არს მუნ მისი. და გამოვლეთ კესარია ფი-
ლიპე, სადა უფალი ეტყოდა მოწაფეთა: „რა თქვიან კაცთა ძისა-
კაცისა ყოფად*?“. რამეთუ წმიდა მარტინიანე ამა კესარიელი იყო,
რომლისა ვსენება არს ფებერვალსა ი გ**.

და მიერიტგან მივიწიენით იოპედ, რომელსა აწ თურქნი იაფად უწოდენ. და ილუმენმან მუნ

15 მონასტრისამან კეთილად შეგვიწყნარნა და ველოდით წარსლვად იერუსალიმად.

ხოლო იოპე*** ესე, იგი არს, რაჟამს აქა პეტრე მოციქული-
კორნილიოს მოაწვია, რათა ტაბითა აღადგინოს მომკვდარი. და
კვალად აქავე ყოფასა იოპედ ეჩვენა პეტრეს ზეციდამ ტილო შთა-
20 მოკიდებული ქვეწარმავალითა და ცხოველითა აღსავსე. და იყო-
ფება ქულბაქად სახლი იგი, სადა პეტრემ იხილა, და [v] სახლი იგ[ი],
სადა ტაბითა აღადგინა, თურქთაგან მოოჯრებული ჰგის.

და წარგვიძლვა არაბი თურქი ჯარითა და წარვედით მიერ.
და იყო ახლო ქალაქი ლაზა, სადა იჯდა წმიდა მამა პორფირი-
25 ლაზისა ეპისკოპოზი, რომლისა ვსენება მოვალს ფებერვალსა კვ-
და კვალად ესე ლაზა არს, რაჟამს სამფსონ გმირმან**** თვალდა-
ბრმობილმან სვეტნი წარაქცივნა და უცხო თესლნი მოსრნა.

და მოვიწიენით არიმათიად (და აწ რუმლად უწოდეს) და ლუ-
დიად, და მონასტერსა შეგვიწყნარეს. და ლუდია(ს) ახლოდ—საფლაეი-
30 წმიდისა დიდისა მოწამისა გიორგისი. ხოლო აწ ლუდიისათვის მოქსე-
ნება ისმინეთ 69.—რაჟამს-იგი ჯვარცმასა უფლისასა ძელსა უსულოდ

* მათე 16.13.

** ტექსტში თავდაპირველად ეწერა „ნოემბერსა ი გ“; შემდეგ ავტორსვე გა-
დაუშლია და დაუწერია „ფებერვალსა ი გ“.

*** გასწვრივ კიდევხე ნუსხურით მიწერილია: „საქმე მოციქულთა: ხოლო
იოპეს იყო ვინმე დედაკაცი, რომელსა სახელი ერქუა ტაბითა და იყო მას დღესა-
შინა დასწულება და სიკუდილი მისი. ესმა მოწაფეთა პეტრესი, ვითარმედ მუნ
არს, მოავლინეს მისა და ჰლოცვიდეს, და შემდგომი“. 9.36—38.

**** გმირი C.

დამოკიდებულ იყო გვამი უფლისა, და იოსებ შევნიერმან გამოი-
თხოვა პილატესაგან და გარდამოწნა ძელისაგან და საფლავსა და-
დვა, [99] ამისათვის ჰურიანი შურად აღუდგენ იოსებს, თუ რასა-
თვის გამოითხოვე გვამი მისიო. ამის მიზეზისათვის შეიპყრეს ჰური-
ათა და საპყრობილესა შეაყენეს. ხოლო შემდგომად აღდგომისა 5
საპყრობილესა მას ნათელი გამოუბრწყინდა, და უფალი ეჩვენა და
მშვიდობა მისცა. და ეტყოდა, ვითარმედ: პეტრესა უსარწმუნოეს
იყავ ჩემდამო. მოვედ, რათა აღმოგიყვანო საპყრობილით. და შეიძ-
რა აღგილი და ორნივე გამოვიდნენ. და მისთვის იოსებ იოტყოდა,
ვითარმედ მკვდარნი აღდგომილნი თვით თვალთ ვიხილეო და ზრა- 10
ხვა ვყავ მათ თანაო. ამისა შემდგომად იოსების სახლად თვისად მი-
სლვა რა სცნეს სელევკოს და ნიკანორა და ჰაბიბოს (ძე გამალიე-
ლისი), ნიკოდიმოს და ბალადიოს, მისთვის ნუგეშად და სახილვე-
ლად მისრულ იყვნენ. მაშინ მუნ გამოუბრწყინდა ნათელი გამოუთ-
ქმელი და გვრქვა მშ[ქ]ვიდობა. და ჩვენ ზე ვეღარა აღვემართენით 15
გამოუთქმელისაგან ბრწყინვალეებისა. ბოლო უფალმან თვითეულსა
თავსა ზედა ჯელი დაგვდვა და გვეტყოდა: რასათვის ესრეთ ურვე-
ულ იქმენით და შესცბუნდით, ანუ არა მამამან მომავლინა მე? და
შემძლებელ ხართ სახელითა მისითა ქმნად, და სთხოვეთ მამასა
ჩემსა ნიქნი სულისა წმიდისანი და აღვიხნეთ თქვენ. ხოლო ჩვენ 20
ვარქვით უფალსა: რა არა სული წმიდა ანუ ძალი მისი? გვრქვა
ჩვენ: ამინ, გეტყვი თქვენ, უკეთუ არა მიიღოთ სული წმიდა, ვერ
იქმნეთ ძე ნათლისა. ხოლო ჩემ თანა ნიკოდიმოს ეტყოდა: უფალო,
უწინარესცა გვეტყოდე, ვითარმედ: „უკეთუ არა იშვეთ წყლისაგან
და სულისა. ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა (ღმრთისასა)*“. აწ უკვე მო- 25
გვეც ჩვენ სული წმიდა. მაშინ 'შთავებერა ჩვენ უფალმან იესო ქრის-
ტემან და მრქვა ჩვენ: მიიღეთ სული წმიდა. და აღვივსენით ჩვენ
სულისა წმიდისა მადლითა. და გვეტყ[100]ოდა ჩვენ უფალი, ვი-
თარმედ ლუდიას შინა წარვიდით და ახარეთ აღდგომა ჩემი. და
წარვიდა უფალი ჩვენგან.

და აღვედგით და მივედით ლუდიას და ექადაგეთ სიტყვა ქეშ- 30
მარტებისა. და მოიქცენ და ნათელს-ილეს, და აღაშენეს ეკლესია
და აწვიეს იერუსალიმით პეტრე, თავი მოციქულთა. და მოვიდა
ლუდიას და შესწირა მსხვერპლი საიდუმლოსა და აკურთხეს ეკლე-
სია და ჯელი დაასხა ენას ეპისკოპოზად **. ხოლო ჰურიათა სცნეს 35

* იოანე 3,5; ღმრთისასა] და აწცა C.

** კიდნუხ ნუსხურით მიწერილია: „საქმე მოციქულთა: იქცეოდა რა პეტრე
ყოველთა მათ აღგილთა, შთავიდა წმიდათა მათცა, რომელნი მკვდრ იყვნეს ლიდიას.
და პოვეს მუნ ცაი ვინმე, რომელსა სახელი ერქუა ენვა, რვა წლითგან ქუშმდებარე“.

რა ესე, შეიპყრნეს იგინი და გვემნეს და ეკლესია მოუღეს. არამედ მაშინ მუნ ჰრომნი მთავრობდენ და მოუღეს მათ ეკლესია ჰურიათა და დაბეჭდეს, და იტყოდენ: ორმეოცდა დღეთა არა განეღოს კარი საყდრისა ამის, და ვისიცა სასწაული იპოვოს მუნ, ჰურიათი ანუ ქრისტიანეთა, მათ მიეცეს. ხოლო ენება შეწუხებულ იყო ამისთვის და მივიდა იქერუსალიმად ვედრებად დედისა უფლისა ამათთვის. ხოლო დედა უფლისა ეტყოდა: ნუ გეშინინ, რამეთუ ძემან და ლმერთმან ჩვენმან სასწაულად სახე ჩემი გამოსახოს მუნ. ხოლო შემდგომად ორმეოცდა დღეთა აღახენეს კლიტენი კარისა მისგან, და ჰურიანი შინა არა შევიდეს. ხოლო მთავარი ჰრომთა შევიდა შინა და იხილა დედა იესოსი გამოსახული და ეწერა ზედა, ვითარმედ: დედა უფლისა. ამისთვის მისცეს კლიტე ეკლესიისა მის ქრისტიანეთა.

ვინაცა მრავალთა ჟამთა შემდგომად მეფე უსჯულო დეოკლიტიანე მეფე იქმნა; და ზაფხულის ნიკომიდიას და კესარიას დაათივის დღენი და ზამთრის—იერუსალიმს და პალესტინეს. და მკედართმთავარი სტრატილატი სამეფოსა მისისა, ვითარცა არს ჩვეულება, თანა ჰყეებოდა. და მოვიდა რა იერუსალიმად დეოკლიტიანე და ზამთრებად, სტრატილატი იგი მივიდა ლუდიას და იქორწინა მუნ. და იშვა მათგან წმიდა და ღვაწლით შემოსილი გიორგი. ხოლო [101] აღიზარდა რა გიორგი, მონაცვალე იქმნა ადგილსა მამისა მისისასა. არამედ ჰეშმარითთა საარწმუნოებითა ქრისტიანეთათა იქცეოდა. ვინათგან სცნა რა ესე დეოკლიტიანე, და მრავლითა ლიქნითა ჯელ-ყო ცთუნება მისი და ვერ უძლო, ბრძანა უწყალონი სატანჯველნი და სიკვდილი მისი. მაშინ ახოვანი გიორგი მსახურსათვისსა პარვიკარტოს* ბეჭედსა თვისსა მისცემს და ეტყვის, ვითარმედ: ვიცი, რამეთუ დეოკლიტიანეს ეგულების წამება და სიკვდილი ჩემი, ხოლო შენ ბეჭედი ესე განავაჰკრე და გვამი ჩენი წარიღე და დამარხე ლუდიად. და იქმნა ესრეთ. და თითოსახეთა სატანჯველთა შემდგომად თავი წარკვეთეს, და წმიდა იგი გვამი მისი მოიღო და დამარხა [პარვიკარტოს]** ლუდიას ნოენბერსა გ. ამისთვის ქართველნი დღესასწაულობენ ნოენბრის გ, და კვალად სწორსაცა მისსაცა, ილორს, მონასტერსა წმიდისა გიორგისასა, სასწაულთა მათთვის, რომელნი იქმნებიან წლითი-წლად***.

* ხელნაწერში თავდაპირველად ეწერა დ ვ ლ ი კ ე რ ი ა, ტიმოთეს შემდგომად აღუშლია და ხემოდან წაუწერია პ ა რ ვ ი კ ა რ ტ ო ს.

** C ხელნაწერშია დ ვ ლ ი კ ე რ ი ა, ტიმოთეს ის გაუსწორებელი დარჩენია, D-ში კი გადაუსწორებია პარვიკარტოსად.

*** გასწორივ კიდევ მიწერილია ავტორის ხელით, ნუსხურით: „რამეთუ კაცთა ვიეთმე უმეცართა დღესასწაულისა წმიდისა გიორგისი სწორზე სასწაულ-

ხოლო აწ კვალად პირ[ვ]ველსავე სიტყვასა მოვიდეთ, რამეთუ რუმლს ყოფასა ჩვენსა შემოკრბეს თურქნი და მთავარნი არაბთანი, მცველნი გზისანი, რამეთუ შიში ფრიალი იყო გზათა შორის. და წარვემართენით გზასა იერუსალიმად მიმყვანებელსა მრავალნი სულნი. და იყო დიდი სატანჯველნი არაბთაგან, რამეთუ მას წელსა თაშა თურქთა არა იყო მჯდომი და მისთვის ლალობდეს არაბნი. რამეთუ გზათა ზედა არაბნი ურიცხვნი ჩამომდგარიყვნეს და ეპყრათ კვერთხნი, მუსმართა მიერ მომუსმურნი რკინითა, და სცემდენ ქრისტიანეთა. და იყო ძახილი და ვაება, და ითხოვდენ საფასეთა. არამედ დამბადებელნი, რომელმანცა სიკვდილი დაითმინა და ჯვარცმა ჩვენთვის, და ადგილნი იგი ჯვარცმისა და დაფლვისანი ქვეყანასა ზედან იხილვების მისად თაყვანისცემად მიმავალთა, სატანჯველი სახელისა მისისათვის სახარულევან არს დასაწად სარწმუნოებით და სურვილით მიმავალთა.

და მივედით სოფელსა ეგმა[102]ოზს, სადა-იგი უფალი ლუკას და კლეოპას სწორად მიმავალთა მუნ გამოეცხადა და მათ თანა ზრახვა-ყო, და მიზეზ-ყო მათგან წარსლვა, ხოლო იგინი ეტყოდეს: „მწუხრ არს და მიდრეკილ დღე ესე, დაადგერ ჩვენ თანა; და მოიღო პური და განტეხა. ხოლო მათ განეხებნეს თვალნი მათნი და იცნეს უფალი, არამედ თავადი განეშორა მათგან*“. და არს ეკლესია მას ადგილსა დიდი. და გამოვლეთ მიერ და წარმოვედით, რამეთუ სამეოც უტევან შორს იყო იერუსალიმი. და ვლეთ აღმართნი ადგილი ქვანნი, და გამოჩნდა გორასა რასმე დიდსა მოგვერდებით იერუსალიმი, ქალაქი მეუფისა დიდისა, შენებულობა ძლიერი ციხეთა, და ტაძარი სოლომონისი, მსგავსი ცისაგან გამოკრთომილისა, ფერადი, მსგავსი ირისესა; განსაცვიფრებელი მხედველთა. და კვალად ახლო მისა წმიდა-წმიდათა ტაძარი, რომელსა ყოვლად წმიდა დაემკვიდრა და ტაძრად აღიყვანეს. იერუსალიმი შენებულ არს, ვითარცა ქალაქი და საყოფელნი მისნი[ი] მის თანა, ვითარცა თქვა [ვ] წინასწარმეტყველმან. და მივიწიენით და შეველეთ კარი დავითისი და მივედით კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიასა და სრასა იერუსალიმელისასა, და მოგვეგებენ ეპიტროპე და სხვანი გამგენი ეკლესიისანი, [რომელთა-იგი მრქვეს მე, ვითარმედ

თატა ჩვენება უარ ყვეს, რამეთუ ნამეტნავი დღესასწაული არს დღე ესე ქართველთათვის სიყვარულისათვის და სასოებისა მისისა, ვითარცა რუსნი მაისსა მიცვალეხასა წმიდისა ნიკოლოზისა დღესასწაულობენ. რომელი ჩვენ არა უწყით. D ხელნაწერში ტიმოთეს დამატებით მიუწერია: „და კვალად ნოენბერსა ი დააკრეს ურმის თვალსა წმიდა მოწამე გიორგი“ 62r.

* ლუკა 24, 29—31.

ეზოთა უფლისათ შვევიდეთ. მრავლითა სიხარულითა აღვივსე და ვერჩიდი მათ, და გალობათა და ლოცვათა შევსწირედი].

და ხვალისა წარგვიძღვენ და მიგვიყვანეს ეკლესიასა ნას და ადგილსა, სადა მარიამ მაგდანელელმან იხილა აღდგომილი უფალი და ეწადა ამბობრებად ფერჯთა და უფალი ეტყოდა: „მარიამ, ნუ შემომეხები, რამეთუ არა აღსრულ ვარ მამისა ჩემისა“*.

და ზედ ახლო—ეკლესია წმიდისა იაკობ მოციქულისა, მმისა უფლისა და პირველისა მღვდელთმთავრისა იერუსალიმელისა; და აწ საპატრიარქო ეკლესია იგი არს.

10 და მივედით მუნვე მონასტერსა აბრაჰამისასა, სადა ისაქის შეწირვა ენება, რომელიცა აბაშიძეს გიორგის აუშენებია დაქცეული. და თაყვანის-ვეცით 'ადგილსა მას. და მიერთ მიგვიყვანეს დიდსა მას კარსა აღდგომისა ქრისტესასა და საფლავისასა. განვიცადეთ დიდი ეკლესია, მაღალი. ერთი გუმბათი, წესისაებრ ეკლესიათასა [103], და ნეორე—თავმორღვეული, ღია, გუმბათსავეთ აღმართული ქრისტეს საფლავის ასწვრივ. და ძირს ორი კარისბჭე. ერთი იგი არს, რომელსა მარიამ მეგვიპტელი ვერ შვეიდა, და ნეორე—სხვა**.

და შვევიდით დიდსა მას ეკლესიასა და მივიწიენით საფლავსა უფლისასა. და ვიშიშოდით და ვძრწოდით, თუ ვითარ უკადრითა სულითა და უღირსითა ბაგითა შეგკადრო შესლვად ცოდვილთაგან შეუალსა მას ადგილსა***. და მომეგსენებოდეს ცოდვანი ჩემნი და კელ-გყავ კადნიერად შესლვად და მუქლნი დავიდგენ და პირ წმიდათა მათ საფლავთა დამდები, მოწყალისა საფლავსა გლახაკითა და მოწლითა ვმითა ცოდვათაგან ჰსნასა ვიაჯდი***, და ვიტყოდი: გუნდნი ანგელოზთანი განკვირდეს, რაჟამს იხილეს მკვდართა თანა შერაცხილ; და იხილეთ და განიცადეთ საფლავი ქრისტეს ღმთისა ჩვენისა.

და მცირესა მას ტაძარსა საფლავისასა მრავალი კანდელი ელვარედ აღნთებული ეკიდნეს, ვითარ სიმკურვალე შესწვიდა კაცთა. და გამოველი მუნი[v]თ და ვიხილეთ ადგილი, სადა ჯვარიდამ გარდმოვსნეს და მუნ დაღვეს და წარგრაგნიდეს. და მივედით

* იოანე, 20,17.

** გასწვრივ კიდებე მიწერილია: „მაკაბელთა. და რომელნი შემოვიდეს ადგილსა ამას, ისმინო ლოცვისა, უკვე სარწმუნო ხარ და ქეშმარტი“.

*** გასწვრივ კიდებე მიწერილია: „რამეთუ დამფარა მე კარავსა შინა მისსა, დღესა შინა ბოროტთა ჩემთასა დამიფარა მე“.

**** გასწვრივ კიდებე მიწერილია: „გარე მოვადგე და შევსწირე კარავსა შინა მისსა მსხვერპლი ქებისა და ღალატებისა“.

დიდსა მას კათოლიკე ეკლესიასა და ვიტყოდი ფსალმუნაჲ: „ვიბარე, რომელთა მრქვეს მე, სახლსა უფლისასა შევიდეთ. დადგრომილ იყვნეთ ფერკნი ჩვენნი ეზოთა შენთა იერუსალიმ!“*.

და აღველ მუხვე გოლგოთად, სისხლითა საბაოთისათა და-
ლტობილსა მას ალაგსა, მრავლისათვის სულგრძელებისა და კაცთმო-
ყვარებისათვის მისისა, რამეთუ ცოდვილსა არა შემწვევდა მე,
პირი უღირსი და ჯელი. შებღალული წმიდათა მათ ადგილთა
მოეხვეოდა. კლდე იგი განპებული საკვირველებით იხილვე-
ბოდა და ჯვარი აღმართებული და ზედ სახე ქრისტესა ძელსა
დამოკიდებული, სისხლითა შესვარული უცხოდ განიცდებოდა. მარ-
თალი იგი, მოწყალებისათვის კაცთა ცოდვილთაგან სიმართლი-
სათვის ჯვარცმული, მუნ რა იხილვების, ვიჲი გული იყოს მანღნი-
ტისა, რომელი არა ტიროდის!

და მუნ პატრიარქის [104] ტახტს საფერკეს ქვაზედ ეწერა ქარ-
თულებ: მეფემან ქართველთა და კახთამან ლეონ წარმოავლინა
იოაკიმ ჯვარის მამა საფასითა და საფლავი ქრისტესი დაქცეული
და გოლგოთა მან აღაშენაო. მას აქეთ წარსრულ არს წელი (222)**
ორას ოცდაორი აქამომდე⁷⁰. და ვმადლობდი სულგრძელობით ჩემ
უღირსისა მუნ მიწვევისათვის უფალსა და თაყვანისცემისათვის მუნ.
და ვიტყოდი ფსალმუნსა მას: „არა თუ ვეც ძილი თვალთა ჩემთა
და პრული წამთა ჩემთა და განსვენება ჯორცთა ჩემთა, ვიდრემდის
ვპოვე მე ადგილი უფლისა, საყრუელი ღმთისა იაკობისი“*** და
გაქებდე, იერუსალიმ, უგალობდე ღმერთსა შენსა, სიონ!

და ვიხილეთ **** ადგილი იგი და ეკლესია, სადა ელენემ ჯვა-
რი პოვა, და სადა მოაბეს სვეტსა უფალი და სცემდეს, და მრავალ-
ნი სხვანი წმიდანი ალაგნი. და ანუ ვითარ ძალ-მედვას თითოეუ-
ლად აღწერად, ძველად იერუსალიმისათვის შესხმად, და თ[ვ]უ
ვითარ ჯელითა მტკიცითა და მკლავითა მალლითა ღმთისათა აღე-
შენა, და ანუ ახლისა—ქრისტეს განჯორციელებისა და ჯვარცმი-
სათვის, თუ ვითარ საკვირველად განიცადება. თუცა ფრიადი რი-
ტორება აღვწმასნო და ანუ ჭურჩეულობითრე ენა ენისად მე
აღმეგო, ეგრეთცა ვითა მეძლო ჯეროვანი აღწერა საიდუმლოთა
მათ შინა ქმნულთა. არამედ სულისა მუსთა ენათა მაქცევნი კნინ
თქმულება ესე ჩემ მიერი ერმაულად იმწვერვალენ. პირველითგან

* ფსალმ. 121,1—2. ** 221 C. *** ფსალმ. 131,4—5.

**** კიდევ მხედრულით მიწერილია: „ერთი ვითხოვე უფლისაგან, ესევე ვითხოვე დამკვიდრებად ჩემდა სახლსა უფლისასა, ხილვად ჩემდა შევნიერება უფლისა და მოხილვად ტაძარი მისი, რამეთუ დამთარა მე კარავსა მისსა“.

შენებულობა ქვეყანისა მის გულის-სათქმელისა, ელისაბათისა თითოთა განრჩეული და აღმკული ხუროებადი ესე ხუროთმოძღვრისა და შემოქმედისა მიერ, ვითარცა თქვა დავით: „რამეთუ გამოიჩინა უფალმან სიონი საბჭვიდრებელად თვისად.“* [ვითარცა ცვარი გარდამომავალი აერმონით მთასა ზედან სიონსა. და მთა სიონი, რომელი შეიყვარა და აღაშენა, ვითარცა მარტორქისა სიწმიდე, მისი და ქვეყანასა ზედა დააფუძნა იგი უკუნისამდე]. ჰე, ქეშმარიტად ქეროვიმთა ზედა მჯდომარემან მეუფემან და უფალმან ძალთამან, რომელმანცა აღაშენნა ზღუდენი იერუსალიმისანი სახლად საბათისა და წმიდად-წმიდათა სახლი იგი სოლომონებრივი და ტა[105]ძარი სამეუფე ძალთა მუნ განცხადდა, თუ ვითარ სიბრძნითა დაფუძნებულობა მისი მის უოცნოსაგან წარმოინერგნეს და ქმნულება საკვირველებისა ამისი მის უქმნოსადმე აღამჯდეს. ანუ ვითარ ქართულადმე ამისთვის ვისიბრძნისმეტყველოთ კინი-მოუბარენითა ჩვენითა, არამედ უსაწად ჩემდა ესთა, რათა დავითებრივნი ვმანი მეუმუსიკნეთ ზედა ქალაქსა ამას წმიდასა იერუსალიმსა, ქალაქსა ღმთისა ჩვენისასა, მთასა წმიდასა მისსა. და ანუ თუმცა ეკმაება შესხმა ფისიკურთა ვმათანი შკოლისა ებნათამი დაბერვაჲ, ათთა ნადვილისათა ნამკთა მუსთა ზე ქებათა აღტვიფრა მისი და ღმთისმეტყველებითთაცა ნიშთამე პოვნად მათ შორის სახლისა ღმთისა იებოსელისათვის. აწ უკვე ნუუკვე არს-მეაა ამისთვის თნება? ისმინეთ ამის არსებისათვის:

ა. არსებამან და მიზეზმან ზეშთა გონიერისა არსებისამან, რომლისა იგივეობა უძრავ, ამან მაუკვდავებელითა ვნებითა და ზე ნიეთთა [v] ზავებითა აორძილა ქალაქი ესე. და იზიარა არსებამან უცხომან არსებითი ესე და ნიეთებრივნი შენება და ზიარ დიდებისა თვისისა ყო, რომლისამი სოლომონცა ისიბრძნა წინაჰვირობა ესე და ვენაჲად აღონაჲსა ამკო, ვითარმედ: „აღვიმსთოთ ვენაჲთა, უკეთუ აღყვავნა ვენაჲი, აღყვავდეს თუ ხილნი, აღყვავდეს თუ ვარდნი — მუნ მიგცნე შენ ძუშუნი ჩემნი, მანდა(გორთა) გამოსცეს სუნნელებაჲ“**. და ვინ არს, რომელი აღმოიჰვიროვის ვითარცა ცისკარისადა კიდობანი მედაბირით და კანთაროდმი, ფიცარნი, კვერთხი და მანანა არსებითნი, ნიეთნი და ქვანიცა ათორნი — სამარაგდე და ზნური, იაკინთე და ტბაზიონ — განდგმულ უსაშუვლოდ განწმედილებ. იჩინებოდეს.

* შდრ. ფსალმ. 75,3.

** ქება ქებათა 7,12—13.

ბ. რაოდენ არა თუ განწვალვებით ანუ შერწყმით, არამედ განუსაზღვრელობისა გარდარეულებითა რაჟთმე ზესთა აღმატებული ყოვლისა საზომისა და რიცხვისა, ვითარ იგი ვიტყვით, ვითარმედ [106] მრავალ არს მოწყალება ღმთისა, დიდ არს საიდუმლო სიტყვისა ღმთისა. განგებულებისა ღმთისათვის შოვიღებთ, ეგრეთვე სოფელსა შინა რაოდენ რა აღმატებული ყოვლისავე საზომისა ქებათასა. და მრავალ არს საიდუმლონი ძველნი და ახალნი, ქმნილნი იერუსალიმს, რომელთა არა არს რიცხვთა შემოღება.

გ. რაჟსა მიმართ არიან სახელმოდგამისა ქმისაებრ, ვითარმედ ზე წმიდა იგი იერუსალიმი, საყდარი მეუფისა დიდისა უნიკ-²¹ თოებისა, ხოლო ესე ნივთიერობითა თქმულებ ქალაქი მეუფისა დიდისა, ანუ მცირე დიდისა მიმართ, ვითარცა მონა და მეფე.

დ. ვითარ დიდებულობითა წინასწარმეტყველთა და მამათმთავართა მშობი, მცხები შარავანდთა, ტაძრისა სამღვდელოსა ძველისა და ახლისა მქონე. ზეუვითაროსათვის აწ იესე ივითარა²² სახელმოდგამად.

ე. სადა ანუ არა ყოველსავე აღავსებს და ყოველნივე მას შინა, არამედ ესე საღმთოთათვის. ხოლო ამისთვის ანუ არა აზიასა ქვეყანასა პალესტი[წ]ნეს, საშუალ ქვეყანისა, მოსეს სიტყვისა ადგილსა, მუნ ხედვიდეთო ცხოვრებასა თქვენსა, წინაშე თქვენსა დამოკი-²³ დებულსა და ვერ გულისჯმა-ყოთ.

ვ. ოდესობა არა არს მაღლისათვის პირველ საუკუნეთა და ყოველსა ჟამსა. ხოლო ესე, ოდესმე ჯელითა მტკიცითა ისრაელთა რა შემოიყვანდა, და ზღუდენი იერიქონისანი შეიმუსრვოდეს, და მას ჟამად ზღუდენი იერუსალიმისანი აღშენდებოდეს.²⁴

ზ. მაღლისათვის არა არს ამისი მოღება, არამედ მდებარედ არს იერუსალიმი შუა მთისა ზეთისხილთასა და ქვაბსა ბარუქისასა, და ეძინა.

წ. მქონებელ არს უფალი ყოვლისავე არსისა ხილულთა და უხილავთა. ხოლო ესე მექონე არს საფლავისა ცხოველსყოფელი-²⁵ სსა, საპკურებელისა სისხლითა მეუფისათა ცხებულ გოლგოთა და წმიდა სიონი, ვითარმედ: „არქუთ ასულსა სიონისასა,—აჰა მეუფე მოვალს შენდა მშვიდი“*.

თ. ქმნა შემოქმედისათვის, ვითარცა ყოვლისა მპყრობელი. და ქმნა იერუსალიმმან აღზრდა უფლისა. და ჯორცითა იპოვა მხო-²⁶ ლოდშობილი შემოქ[107]მედი შექმნულსა შორის. აქეს სასწაულთა ქმნულება მათ შორის.

* მათე 21, 5.

ი. ვნება უფნებელისათვის. აქა ვნებისა თავსდება და შეცვალება კეთილისა მის სორეჯისა სავენაჯისა წინა-უკმო, რაჟამს-იგი უფალი ეტყოდა: „იერუსალიმ, იერუსალიმ, რომელმან მოსწყვიდენ და ქვა დააკრიბე მივლინებულთა შენდა“*. და სახლი და სავენაჯე საყვარელისა ღმთისა მრავალთა ვნებათა მოქმედად გამოშინდა, ვითარცა თქვა უფალმან: რა უყო სავენაჯესა ჩემსა? მოვარღვიო ზღუდე და იყოს დასაბრუნებელი, რამეთუ მოველოდე, რათამცა ყო ნაყოფი, ხოლო მან ყო კუროსთავი დაჯსნად მისდა მოსრულისა მკვიდრისა, რომლისა ზედა იზრახა: „ესე არს მკვიდრი, მოვედით და მოვკლათ და ჩვენდა იყოს სამკვიდრებელი“**. მოკლეს სიტყვა და ძე ღმთისა ჯორციითა და უარისმყოფელ მისა იქმნეს. ამისთვისცა დაეტევა სახლი ისრაელისი ოჯრად და წარსაბრუნებლად: ვითარცა თვით იტყოდა.

ესენი თვით მეცა ვიხილე ვნებათა მათ ადგილნი. და სადა-
იგი მტილსა გარე ილოცვიდა [v] და მოციქულნი ურვეულნი მძინარე იყვნეს, სადა მტილი არს და ჯევი ნაძოვანი. და ადგილი იგი შეპყრობისა მისისა, სადა სცემდეს და პირქვე სარჯელისაგან დაეცემოდა. და სადა პილატესა წარადგინნეს, და გამოჰყვანდათ რა, დაბურეს თავსა და სცემდეს. სადა დედა სასურველსა მას ძესა ჰყვებოდა და მტარვალთა მათ მისთვის ცრემლითა ევედრებოდა და იგინი განაძებდეს. სადა მჯდომარე ტიროდა მშობელი საღმთოსა საწმისისა, და სახლი ანნასი და კაიაფასი. და შოლტით საცემსა მას ადგილსა მოვიხილევდით. რამეთუ ვისი გული იყოს ქვისა და სული ანდამატისა და არა ტიროდის! სადა ჯვარს-(ა)ცვეს და კლდე იგი განპებული არს***, სადა წარგრაგნიდეს და სადა დაიდვა უფალი. რამეთუ არავინ მეცნიერ იყო მას ჟამად თითოეულად, თუ რაოდენი სატანჯველი მიუპყრეს უფალსა, და არცა წერით ვინმე გარდამოსცა, არამედ წმიდა ელისაბედ ღირსი, საკვირველთმოქმედი, რომლისა ვსენება არს აპრილისა კდ, ანისთვის ევედრებოდა უფალსა, რათა განოუცხადოს სატანჯველი. ხოლო ამისა შემდგომად ძრავლისა ვედრებ[108]ისა ეჩვენა უფალი და ეტყოდა: ვინათგან*** ესეოდენ დაშვერ და მევედრე, სიყვარულისათვის ჩემისა ვნებათა ჩემთათვის გამოგიცხადო: რამეთუ მტილსა მას ზეთისხილისასა ოდეს

* მათე 23, 37. ** მარკ. 12, 7.

*** კიდევ ნუსხურით მიწერილია: „რამეთუ ორნი საფლავნი არიან ქრისტესნი, ერთი—მტილსა, გამოკვეთილი კლდისაგან, სადა არავინ დადებულ იყო. მუნ რა დადევს უფალი, ანნა და კაიაფამ აღილეს მუნით და მკველთა მისცნეს, და სხვასა ადგილსა დადევს და მუნ აღდგა უფალი“.

**** გასწვრივ კიდევ მიწერილია ვნებათათვის.

შემიპყრეს, მცეს სხეულსა ჩემსა ზედა რ კ ბ მჯილი. პირთა—ლ; ყვრი-
მილს ცემა ვიდრე მტილით ანნას სახლადმდე. დავეცი შვიდგზის და
იგინი აღმადგინებდეს ქვეყანით. მცეს თავსა და მკერდსა ს ე კვერთხი,
შემდგომად კისერსა და წელთა კ ბ მჯილი, კვალად კისერსა და
წელთა კ მ მჯილი, თოკი მომაბეს მკლავთა და მათრიეს. მა- 8.
გლიჯეს თმა თავისა ჩემისა. ლ მ-ჯერ ჯმა ვყავ სულისა ზიცემადმდე,
რ ე-ჯერ პირქვე მათრიეს, ლ ბ-ჯერ რა დამაბეს სეეტსა, მცეს შოლ-
ტითა და კვერთხითა ხ ქ ე-ჯერ. ამა წყლულებაზედ მცეს ლერწმითა
ა-ჯერ. ეკლისა ჟურთითა მცეს კ ბ-ჯერ, მრავალგზის დამადგეს გვირ-
გვინი ეკლისა. შემდგომად, კვალად მცეს კვერთხითა, მერმე სამი 10.
ლ [v] ერწამი მცეს. მნერწყვეს პირსა კ ბ-ჯერ. მკედარნი, რომელნი
ჩემთვის შეკრებულ იყვნეს—ფ მ. მსახურნი იყვნეს რ გ. რომელთა
შემიპყრნეს და შემკრეს იყვნენ ე. სისხლი ჩემი დასწვთა ჩ რ კ ე.

ვის არა უკვირდეს მეუფისაგან მოთბენა ესეოდენთა სატან-
ჯველთა და ვინ არა ძრწოდა და არა განკვირდა?! ამით სატანჯველ- 15-
თა ადგილი ვიხილეთ და უღირსითა ფერკითა ვტკეპნიდი ადგილ-
თა მათ საკვირველთა, და უცნაურსა და საკვირველთმოქმედსა
უფალსა მადლობასა შეესწირეცდი. მას მხოლოსა მადლობა, რომელ-
მან ღირს მყო ხილვად მათდა, მისსა დიდება, აწინ.

უკეთუ გენებოს ცნობად, თუ ქართველნი ვითარ 20
იპყრობდნენ იერუსალიმს, ესრეთ ვპოვენი თ მუნ
წერილთა შინა. რამეთუ პირველი ქრისტიანე ქმნილი მეფე
საქართველოსა მირიან ხოსროიანი ნინოს მიერ წარმოვლენილ
არს, 71 მეფე კოსტანტინე უხილავს და იერუსა[109]ლიმად მისრულ
არს და ჯვარისა მონასტრის ადგილი მას უშოვნია. რამეთუ ესე 25-
არს ადგილი იგი, რამეთუ ლოთ სამი ხე—სარო, ფიქვი და ნაძვი—
დანერგა სასწაულად. უკეთუ მიეტეოს ცოდვა იგი, და სამივე ერთ
ხე დიდ აღმოჰდა. ამისა შემდგომად მოსპრა იგი სოლომონ შენე-
ბასა ტაძრისასა; არამედ უქმად გამოჩნდა საეპარება მისი მუნ, და
მდებარე იყო საჯდომად კაცთა გარე. ხოლო ჯვარცმისა უფლისასა, 30-
განგებითა ზენათათა მას ზედა აცვეს უფალი. რამეთუ მონაკვეთი
ხისა მის ძირი ქვეშე წმიდისა ტრაპეზისა დღესამოწმდე ჩანს. ხოლო
ამისა შემდგომად სულიერი ვინმე მონაზონი შავთელი, სახელად
პროხოზე, მოსრულ არს მონასტერსა და ლავრასა წმიდისა საბას-
სა დაყუდებულა. და მეფესა საქართველოსასა ბაგრატ კურაპალატს 35-
საფასე დიდძალი წარმოუცემია ღირსისა პროხოზესათვის, რათა-
მცა ჯვარის მონასტერი აღაშენა, და მას აღუშენებია ჯვარის მო-
ნასტერი შესაკრებელად ქართველთა [v]თვის. მირიან ხოსროიანის

მოსლვის შემდგომად მოსრულ არს დიდად სახელოვანი საქართველოთ მეფე ვახტანგ გორგასლან. [რამეთუ მდებარე არს წერილთა შინა მუნ, ვითარმედ სულთანი მისირ-ეგვიპტისა ევედრა მეფესა ქართველთასა ვახტანგს გურგასლანს, რათა წარმოვიდეს ლაშქრითა და იერუსალიმს ფრანგნი რომელნიცა იპყრობდენ, განდევნოს და თვით დაიპყრას. ამისთვის მოვიდა სპითა დიდითა და განიოტნა ფრანგნი და თვით დაიპყრა იერუსალიმი და აღაშენა მონასტერნი მრავალნი] ⁷². და მეგვიპტელთაგან* მას მისცემია, და მრავალ ჟამს ჭერიათ იერუსალიმი და პალესტინე, და მრავალი მონასტერი აღუშენებიათ. და მცველნი ქალაქისა იერუსალიმისანი და მკედარნი, რომელიცა ვახტანგს განუწყესებია მუნ, მუნ დასახლებულან, ენა შესცვლიათ არაბულად. და იგინი ქართველნი არიან გარემოს იერუსალიმისა არაბნი და ეფფრათას არაბნიცა, აწ არაბნი იერუსალიმელნი ქართველნი არიან ⁷³.

⁷¹ იაკობ აღფეს მოციქულის საწამებელი და საფლავი მონასტერი აღუშენებია გიორგი მეფეს საქართველოსას, აწ რომელიცა სომეხთ უჭირავსთ. იტყოდენ, ვითარმედ ზარაფხანა მეფეთა საქართველოსათა იმ დიდს მონასტერში ყოფილა. კვალად მოუოჯრებიათ სპარსთა და თურქთა იერუსალიმი და ქრისტეს საფ[111]ლავი.

⁷⁰ ხოლო კეთილმსახურს მეფესა ქართველთა და კახთასა ლეონს**, ბატონის თეიმურაზის პაპის მამას, მრავალი საფასე წარუგია და თურქთაგან აულია ადგილი ქრისტეს ენებათა, და წარმოუგზავნია ჯვარის მამა იოაკიმ საფასითა და მას აღუშენებია ახლად ქრისტეს

* თავდაპირველად ეწერა სპასთაგან.

** ხელნაწერის 110r-ზე დახატულია მეფე ლეონი შემდეგი წარწერით: „ღმთისმოყვარე მეფე ლეონ ქართლისა და კახეთისა, აოჯრებულის იერუსალიმის დამცნელი და ახლად აღმაშენებელი ქრისტეს საფლავისა და გოლგოთისა“.

ამავე ფურცლის მეორე მხარეს კი სწერია: „ქ. საქართველოსა ზედა მეფე ცხებული ქართლისა და კახეთისა, ღირსად მოკსენებელი მეფე ლეონ ახლად განმახლებელი და აღმაშენებელი საფლავისა ქრისტესისა და გოლგოთისა და მადლისა კათოლიკე ეკლესიისა იერუსალიმისა აოჯრებულისა.“ თათართაგან მომყიდველი საფასითა თვისითა, რაჟამს წარმოგზავნა იოაკიმ ჯვარის მამა ქართველი და დაიქნა საკსენებელად საუკუნოდ მისდა და მომავალთა ნათესავთა. რამეთუ არს წარსრული წელი ჟამსა მას აქეთ სკ ზ. და კვალად აღმაშენებელი მთაწმიდას ფილოთეონის მონასტრისა, მამა მეფის ალექსანდრესი, პაპისა მეფის თეიმურაზისა. ესე თეიმურაზ იყო პაპა მეფის ერეკლესი, ცხებულის მეფის თეიმურაზის მამისა.

ესე სწერია გოლგოთას პატრიარქის ტახტის ფეკთით მარმარილოზე. იქ მისრულნი საქართველოსანი დაბრძობილნი ყოფილან, თუ რასათვის არა აღმოუკითხავს ესე და არ უუწყებია საქართველოსაგანთა? მიკვირს ფრიად, თუ ვითარ არს ესე“.

საფლავი მარნარილოთა და გოლგოთა*. [მას აქეთ წელნია წარსრულნი სკ ბ]. ** ესე სწერია გოლგოთას პატრიარქის ტახტის ფერკის ქვის მარმარილოსა ზედა ქართულად. ამისა შემდგომად არაბთა ქრისტიანეთა დაუპყრის დიდი ეკლესია იერუსალიმისა და პატრიარქსა არაბსა, არამედ ქრისტეს საფლავი და გოლგოთა და გარეთ მონასტრები კვალად ქართველთავე ჰქონებია. კვალად მოჭრებულა ესრეთ, რამეთუ სულთანი ვინმე მძლავრი იპყრობდა იერუსალიმს, და ტყვე ერთი ქრისტიანე მიიბარა პატრიარქსა და ეტყოდა: მე მნებავს გალაშქრება და ყრმა ეს დამიმარხე [v] მოსლვად ჩემდადმდე, ხოლო პატრიარქმან ტყვე იგი წარუგზავნა იღუ- 10 მალ მამასა მისსა. და იქმნა საბრკითა ეშმაკისათა და კვალად ტყვე იგი ჰგელთა სულთანისათა შთავარდა. და მოვიდა სულთანი იერუსალიმად და სთხოვა პატრიარქსა ტყვე იგი. ხოლო პატრიარქი ეტყოდა, ვითარმედ: მოკვდა ტყვე იგი და არა უწყოდა, ვითარმედ სულთანსა ყავს. ამისთვის სულთანი ეტყოდა, ვითარმედ დამიფი- 15 ცე, უკეთუ მოკვდა, და სარწმუნო მიჩნდეს. მაშინ პატრიარქმან წმიდისა საიდუმლოსა მიერ შეჰფიცა, და წარმოუყენეს ტყვე იგი. ამისთვის განრისხდა სულთანი და პატრიარქსა და ერთობით ქრისტიანეთა თავი წარკვეთეს, და ოჯერ იქმნა წმიდა ეკლესია და საფლავი და გოლგოთა. ცხენთა და პირუტყვთა ახურად იყო, ვიდრე 20 სამეოცთა ათთა წელთა?†.

[1529, ეამსა დავითის მეფის ძისა გიორგისასა, ქართველთ მეფისასა, წარმოაგლინა ხონთქარმა სულეიმან ელჩი და მოსწერა, ვითარმედ არს იერუსალი(მი) ქალაქი სჯულისა თქვენისა, განყარენით ფრანგნი მუნით და დაიპყრენით, რამეთუ სამეკიდროცა 25 არს თქვენი, პირველისა ვახტანგ გორგასლანის დაქვრის გამო. ვინაცა ფრიად სთნდა მეფესა ესე და შეზოიკრიბნა ლაშქარი და ათაბაგი ყვარყვარე და წარვიდა იერუსალიმს და აღიღო იერუსალიმი და დამეკიდრეს]***. [112] და განწმიდეს ეკლესია და სა-

* გასწვრივ კიდევ მიწერილია ნუსხურით: „რამეთუ ბერძენთა სვინაქსარსა შინა ენკენისასა იგ სეკდენბერსა აღუწვრიათ კსენება ღირსისა მეფისა ლეონისაო, დაქსნისათვის ქრისტეს საფლავისა“.

** კაევბში ჩასმული ტექსტი გადაშლილია.

*** კაევბში ჩაწერილი ტექსტი ქვემო კიდევუა მიწერილი ნაცვლად ავტორის მიერ ტექსტში გადაშლილი ადგილისა. ტექსტში კი თავდაპირველად ეწერა: „ხოლო ოდეს სულთან სელიმ მისირ-ეგვიპტე აღიღო, თან ახლდაო, იტყვიან, ქართველი ბატონი გიორგი, და სულთანი მადლობასა უბრძანებდა ქართველთა და ეტყოდა: რა გნებაუსთ ჩემგან? მაშინ ქართველი ბატონი მოაკსენებდა, ვითარმედ: წყალობა გვიყავ საძვიდროსა ჩემისა იერუსალიმისა. მაშინ სულთანმან კითხა,

ფლავი უფლისა და გოლგოთა და მონასტერნი, და ეპყრათ ორ-
მოცდარეა წელი ქართველთა კვალად.

ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათს ქვეით სვეტ-
ნი გაუახლებია და დაუხატვინებია შოთამს რუსთველს, მე-
* ქურქლეთ უხუცესის. თითონაც შიგ ხატია მოხუცებული*.
ამისა შემდგომად კვალად დაძველებულა და განუახლებია და
აღუშენებია საკურთხეველის ზეითი კონქი დადიანს ლ[ვ]ერონს
და მეულღესა მისსა ნესტანდარეჯან დედოფალს, ქილადის
ქალს, ორნივე შიგ ხატიან. ამისი გამგე ჩოლოყაშვილი-ომა-
10 ნიშვილი მეტეხის წინამძღვარი და ჯვარის მამა ნიკოლოზ ყოფილა.
დადიანს ამის ქელით გაუკეთებია. ჯვარის მამა ნიკიფორე თუ
ნიკოლოზ შიგ ხატიან და თეოდორე მანგლელიც.

აქა თუ ვის მიერ აღუშენეს იერუსალემს მონასტერნი, ისმინეთ

ქ. გოლგოთა, სადა ჯვარს აცვეს უფალი. ეს ადგილი ბაგრატ
15 მეფეს, ალექსანდრეს იმისწულს, უშოვნია დიდის საფასით არაბთა-

ვითარმედ ძველისა ანუ ახლისა მთხოველი ხარ? ძველად, ტაძარი სოლომონისი
ითქმოდა. მაშინ მიუგეს ქართველთა, ვითარმედ: ახალი გვიბოძეთ. და მოსცეს ახ-
ლად იერუსალიმი*.

გადაშლილი ტექსტის გასწვრივ, გიორგი ბატონთან დაკავშირებით. კიდევ
მიწერილია: „ზოგთ თქვეს—დიდი მოურავი გიორგი იყოვო“. ეს მინაწერიც გა-
დაშლილია.

* გასწვრივ კიდევ ნუსხურით მიწერილია: „მთქმელი ლექსთა ბოროტთა,
რომელმან ასწავა ქართველთა სიწმიდისა წილ ბილწება და განრყვნა ქრისტიანო-
ბა. ხოლო უწინარეს ჩვენსა უმეცართა საღმთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი.
აღსწერა ქალისა ვისთვისმე: თვალი მელნისა, პირი ბროლისა, ლაწვი ძოწისა, და
ამისა გამო დედანი საქართველოსანი ხატად ღმთისა შექმნილსა სახისა წილ
ფერადთა წანალთა იცხებენ და მიცვალებულთა თმათა მოიბენ საბრჯედ სულთა“.

D) ხელნაწერის გადამწერს მინაწერი ტექსტში შეუტანია ისე, რომ მინაწე-
რი ძირითად ტექსტთან სინტაქსურად არ შეუთანხმებია. შემდეგ ეს ადგილი ტი-
მოთეს თავის ხელით ჩაუსწორებია და გაუმართავს, რის გამოც ტექსტმა D ხელ-
ნაწერში შემდეგი სახე მიიღო: „ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმ-
ბათს ქვეით სვეტნი გაუახლებია და დაუხატვინებია მთქმელსა ლექსთა ბო-
როტთასა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმიდისა წილ ბილწება და განრყვნა
ქრისტიანობა. ხოლო უწინარეს ჩვენსა უმეცართა საღმთოდ ეთარგმნეს ბოროტი
ლექსი მისი. აღწერს ქალისა ვისთვისმე: თვალი მელნისა, პირი ბროლისა, ლაწვი
ძოწისა, და ამის გამო დედანი საქართველოსანი ხატად ღმთისა შექმნილსა სახისა
წილ ფერადთა წანალთა იცხებენ და მიცვალებულთა თმათა მოიბენ საბრჯედ
სულთა, — შოთამს ვიტყვი რუსთველსა, მექურქლეთ უხუცეს(ს). თითონაც შიგ ხატია
მოხუცებული“ 68r.

გან, და მას უკან რა გაოჯრდა, ლეონ ქართველთა და კახთ მეფეს ქრისტეს საფლავი და გოლგოთა და წმიდანი ადგილნი და მონასტერნი საფასით დაუხსნია და მარმარით აღუშენებია. მას აქეთ წელნი სკბ.

ქ. იაკობ-ალფეს მონასტერი, გიორგი კურაპალატის მეფისაგან აღშენებული.

ქ. ჯვარის მონასტერი ბაგრატ კურაპალატისაგან მეფისა აღშენებული.

[113] ქ. წმიდის ნიკოლოზის მონასტერი კახთ დედოფლის ელენე-ყოფილის ელისაბედისაგან, რამეთუ თვით წმიდა ნიკოლოზ მუნ მჯდარა, სენაკი მისი ყოფილა.

ქ. ღმთისმეტყველის იოანეს მონასტერი საათაბაგოელთ და ათაბაგს აღუშენებია.

ქ. წმიდის აბრაჰამ მამათმთაერის მონასტერი, სადა ისა, ყ შესწირა; ის დარღვეული აღუშენებია აბაშიძეს გიორგის; ლეონის ძეს. გარდასული წელი მი ზ.

ქ. წმიდის ბასილის მონასტერი აღუშენებია ამირახორს ამირინდოს და თაყას, დედათ მონასტერი არის.

ქ. მეორე წმიდა ნიკოლოზ ჯვარის მონასტერთან აღუშენებია წულუკიძეს პაატას და ქაიხოსროს.

ქ. წმიდის თევდორეს მონასტერი ბეჟანისაგან და ბაადურ ჩოლოყაშვილისა არს აღშენებული.

ქ. წმიდის თეკლას მონასტერი ჯვარის მამის ქრისტეფორეს და მისის ნათესავეთაგან აღშენებული, ზედგინიძეთა.

[V] ქ. მონასტერი წმიდისა გიორგისა ურიათ უბანში დადიანთა აღშენებული, და მოსაჯსენებელი მისი მუნვე არს.

ქ. წმიდის დიმიტრის მონასტერი—ქსნის ერისთავს შალვას, ვირშელს ივანეს, და მათი მოკსენებაც მუნ არს.

ქ. მონასტერი მირქმისა—რაქის ერისთავთ, და მათი მოკსენება მუნ არს, დედათ მონასტერი არის.

ქ. მონასტერი დედათი წმიდისა ეკატერინესი—ფარასკენტელისა-ციციშვილისა ამილღაბარისა და მაჩაბელთ, მოკსენება მუნ (არს). ესე მონასტერიცა დედათი არს.

ქ. ესე მონასტერი დედათა ქართველთათვის არს, რამეთუ არს ილუმენისა ქართველი, ხარიტინი სახელად, ასული ანჩაფიშვილისა. ორი მონაზონი კახნი არიან, სხვა რუისელი, იმერელი და გურული. იყოფებიან სულიერად და კეთილად წმიდასა მას ადგილსა*.

* ხელნაწერის 114—116 ფფ. უკავია სურათებს.

[117] ქ. ბეთლემს და გესამანიას სამწირვალო არს საქართველოთი. კვალად იერუსალიმს მონასტრები არს აღშენებული ქართველთაგანვე, არამედ მე ვერ შევიგენ, ვის მიერ აღშენენეს.

ქ. ჯვარის მონასტერში არს ლუსკუმა ღირსისა პროხოორესი, და თვითონაც შიგ ხატია. არის წიგნი მრავალი ქართული. ამა მონასტრებთა შინა მოკსენება არის სამარადისო აღმაშენებელთა მათთა. კანდელნი ზოგი გოლგოთას, ზოგი ქრისტეს საფლავზე კიდია მათი მოსაქსენებელი.

ქ. ჯვარის მონასტერში ხატია დიდი და ღირსი მეფე მირიან ხოსროიანი.

ქ. კვალად ხატია დიდი და სახელოვანი მეფე ვახტანგ გორგასლან, ხოსროიანი, რომელმან დაიპყრო იერუსალიმი და პალესტინე, რომელმან აღაშენა მცხეთა და ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზი სამთავროსა დაამდაბლა და მცხეთას [v] უმაღლეს უწოდა ბერძენთ მეფის კოსტანტინე მონომახის მოწმობითა*.

ქ. მუნ ხატია მეფე საქართველოსა ბაგრატ კურაპალატი, დავითიანი, აღმაშენებელი ქუთათისა და ჯვარის მონასტრისა.

ქ. მუნ ხატია დადიანის ასული მარიან, დედოფალი ქართლისა.

ქ. მუნ ხატია შოთა რუსთველი, მეჭურჭლეთ უხუცესი.

ქ. მუნ ხატია დადიანი ლეონ თავისის მეუღლით.

ქ. მუნ ხატია აფხაზეთის კათალიკოზი ღირსი მაქსიმე.

ქ. მუნ ხატია ტფილელი ელისე, მანგლელი თეოდოსე, ბედიელი და ჯვარის მამა ნიკიფორე. მუნ ხატია წულუკიძენი პაატა და ქაიხოსრო.

ქ. მას მონასტერს ცხოვრებულა არსენი ვაჩნაძე, კაცი ფილოსოფოსი და მთარგმნელი ღრმათა წერილთა, მოძღვარი დავით აღმაშენებლისა.

* კიდევ მიწერილია ნუსხურად: „რამეთუ მელეტი ბრძენი ყოველსა სოფელსა რა აღწერს, საქართველოთა შინა სამთა იპარხიათა აღსწერს—ერთსა ძველსა, ვესტათი ანტიოქელისა მიერ განწესებულსა, ყოვლისა საქართველოსა მთავარეპისკოპოსსა; სხვასა—ვახტანგის მიერ ხოსროიანის დასმულსა შემდგომად (ეცე ზემოსა ორნივე); სხვასა—ირაკლი ბერძენთა მეფისა მიერ (დასმულსა) ქუშმოსა საქართველოსა, იმერეთს. და ხრისანთო პატრიაქი ყოვლისა სოფლისა ვაისკოპოზთა რა აღსწერს, ქართლად ერთად აღსწერს სამართლად. ხოლო მე ვეტყვოდე, ვითარმედ: აწ მცირე ვინმე არს ქართლისა მთავარეპისკოპოსი. და ბრძენი იგი მეტყვოდა: და ვითარ ეგებისა და მცრობა მისი, რამეთუ არს დამყარებული დიდისა ვესტათის პატრიაქისა, მოციქულთა სწორისა, და დიდისა კოსტანტინე მეფისა, და ვინ არს უმაღლეს მისა, რამეთუ მირიან მეფემანცა მუნ დასვა ყოვლისა საქართველოსა არქიეპისკოპოსი. პატრიაქი იწრუსალიმისა მეტყვოდა ამთ“.

დადი მნასტერის ქართული მონასტერი



სურ. 11. ათონის ივერიის მონასტრის გეგმა, შუღვენილი ტიმოთე გაბაშვილის მიერ („მომოსლვის“ A ავტოგრაფიდან)

ლახა მირიან პარკლევიჯი — ცქვიჯი მეთესპაროცილას: ხა, ღ, ან

MR
MIOBA
CINE
IEE
PX



სურ. 12. მირიან მეფის ფრესკა ჯვრის მონასტრის კედელზე («მიმოსღვის» B ავტოგრაფიდან)



სურ. 13. ვახტანგ გორგასალის ფრესკა ჯვრის მონასტრის კედელზე („მომოსლვის“
 B ავტორაფიდან)



სურ. 14. ბაგრატ კურაპალატის ფრესკა ჯვრის მონასტრის კედელზე („მიმოს-
 ლვის“ B ავტოგრაფიდან)

ქ. ივლისსა კ მუნ წამებულა წმიდა მოწამე სალომე, რამეთუ შეუპყრისთ უსჯულოთა და დატევებისათვის სჯულისა აიძულებდენ რა, განბასრა სარწმუნოება მათი მკნემან მან. ამისა შემდგომად [118] ცეცხლითა და მახელითა უწამებიათ სანატრელი იგი ⁷⁵.

ქ. ოქდომბერსა ი თ. მუნ წამებულა წმიდა მოწამე ნიკოლოზ დვალი. ესე იყო მშობელთაგან მორწმუნეთა, რამეთუ სიყრმესავე შესწირეს მშობელთა ღმერთსა; და რა მოიზარდა, წარვიდა მონასტერსა კლარჯეთისასა და მუნ მონაზონ იქმნა და მრავალი მოღვაწება აჩვენა. ამისა შემდგომად აღისურვა წმიდად ქალაქად იერუსალიმად აღსლვა, თაყვანისცემად ცხოველსმყოფელსა საფლავსა უფლისაა და დადგომად მონასტერსა ჯვარისასა ქართველთა თანა, ვინაცა შეპყრობილ იქმნა უსჯულოთაგან და მრავალი სატანჯველი თავს ისხა. ამისა შემდგომად ჯვარის მამისა მიერ შიშისათვის თურქთასა კიპრეს წარიგზავნა, და მუნ სამარადიოდ ვედრებასა შესწირვიდა უფალსა, რათა მოწამებისა ნაწილსა ღირს ყოს. და უხილავს ჩვენება, რათა კვლად წარვიდეს იერუსალიმად, და მამამან გასწავლოს შენ, ვითარცა ჯერ-არსო. და მივიდა რა იერუსალიმად მონასტერსა ჯვარისასა და გამოეცხადა მამასა მონასტრისასა, რათა მაკედონიად წარაეღინოს ნიკოლოზ. ამისა შემდგომად წარაეღინა მამამან მაკედონიად. და მივიდა რა, შეურაცხ-ყო სჯული წარმართთა მათ და შეპყრობილ იქმნა. და დაეპატიჟა სჯულისა დატევება, და მან ფრიად განბასრა და აგინა სჯული მათი. და შეპყრობილი ნიკოლოზ წინაშე ამირისა წარადგინეს, და კვლად მან ლიქნითა კელ-ყო ცთუნება მისი, არამედ უქმ იყო ცთუნება მისი, მახელითა წარკვეთეს თავი მისი. იქმნა საკვირველი, რამეთუ მოკვეთილმან მან თავმან კმა-ყო: დიდება შენდა, ქრისტე ღმერთო, რომელმან ღირს მყავ დათხევად სისხლისა წმიდისა სახელისა შენისათვის. ამისა შემდგომად დაწვეს ცეცხლითა გვამი მისი. ხოლო სცნა რა ესე მამამან ჯვარისამან, შეწუხნა ფრიად და ტიროდა სამარადისოდ, და აქენდა ზრუნვა მისთვის, უკეთუ მითვალულ არიან ღვაწლი მისნი წინაშე [119] უფლისა. დღესა ერთსა განკვირვება დაეცა და იხილა გუნდი მოწამეთა და შორის მათსა მთავარი მოწამეთა გიორგი და გუნდსა მას შინა ნიკოლოზ დვალი, შემოსილი ბრწყინვალეობითა, და ეტყოდა ბერსა: ამიერთგან დააცხვრე მწუხარება ჩემთვის, რამეთუ წამება ჩემი შეწირულ არს წინაშე უფლისა.

ქ. თვესა ივნისსა კ ზ. მუნვე წამება წმიდისა მღვდელმოწამისა ლუკა ჯვარის მამისა მუხიშვილისა-აბაშიძისა ესრეთ იყო. რამეთუ

დედა ლუკასი პირველვე მოსრულ იყო იეოუსალიმს და მონაზონ-
ქმნილ იყო. ამისა შემდგომად ძეცა მისი მოიწია და იქმნა მონაზონ,
და მოღვაწე და ფრიად სათნო მონა უფლისა. და ისწავა ენა არაბული:
და იხილეს რა კრებულთა ღირსება მისი, აკურთხეს მღვდლად და
• ალიყვანეს მამად ჯვარისა. ვინაცა განიცდიდენ რა მჭურვალესა მას
• ღმთისმოყვარებასა მისსა თურქნი, შურად აღუდგენ და მცირესა
• რასმე მონ[ვ]ასტრისა მიზეზისათვის, და აწვევდეს მას დატევებასა
• სჯულისასა, და ამირობასა და სიმდიდრესა აღუთქმიდეს. არამედ
• მან ფრიად განბასრა სჯული მათი და შეურაცხ-ყო. ამისა შემდგო-
• მად აფთითა წარკვეთეს წმიდა თავი მისი. ხოლო მოკვეთილი იგი
• თავი განიცინებდა და მადლობასა შესწირვიდა ღვაწლისა მის-
• თვის უფალსა. რამეთუ ამათ მოწამეთა სვინაქსარიცა უწერია და
• დღესასწაულიცა განუწყესებიათ⁷⁶.

ქ. ამისა შემდგომად წარვედით მონასტრად სომეხთა და გან-
• ვკვირდით სიკეთესა მისსა, რამეთუ მე ეგეთი ბრწყინვალე ტაძარი
• არაოდეს მიხილავს და არცა ეგრეთი შემკობა. ესე მონასტერი
• არს, რომელი აღაშენა მეფემ გიორგიმ.

ქ. რამეთუ მეფეთა საქართველოსათა სახელოვანთა ჯლმითა-
• მით ძლიერითა აღიმალლნეს ჯმანი მათნი და ტყვექმნილი ქრისტეს-
• საფლავი სპარსთა და თურქთა წარუხვნეს, გამოიქსნეს და დაიპყრ-
• ნეს, და აღაშენნეს. ესე წმიდანი ადგილნი და ესეოდენნი მონასტერ-
• ნი სულისა მათისა საოხად და შემდგომთა ნათესავთა დაუუნჯნეს
• საუუნჯედ [120] წარუპარველად და საქართველოთა შინა აგარაკნი და
• სოფელნიცა შესწირეს. ხოლო წმიდათა მამათა ჩვენთა ქართველთა
• სასოებად ამა ადგილსა წმიდასა ჯორცნი განლინეს მოღვაწებითა
• აქა და სისხლი დასთხივნეს ამა საკვირველთა ადგილთა. სხვათა
• თარგმანება საღმთოთა სჯულთა აქეთგან მოიღეს და აღასრულნეს,—
• ორისავე სოფლისა სულთა და ჯორცთანი დიდებისა და ბრწყინვა-
• ლებისა მომატყევებლნი.

• აწ განცვიფრებულ ვარ დიდად, თუ რასათვის უგულებელს
• ყვნეს ქართველთა დიდნი ესე და წმიდანი ადგილნი და ანგელოზ-
• თაცა თაყვანისაცემელი. მრავალნი მეფენი ქრისტიანენი იღვწიან
• და ყოველი სოფელი ქრისტიანობა, რათამცა ადგილი იქონიეს
• აქა აღსანთებელი კანდელთა და ტრაპეზი მსხვერპლის შესაწირავი,
• არამედ არა ეპოვებათ, არამედ სრულიად ქართველთა არს, და
• მათი კანდელნი და მოქსენება არს ამათ შინა, და მათ ნეტართა
• აღუშენებია. რასათვის ერთი ვინმე მათი [v] მღვდელი არ იყოფების
• აქა? მათის საჯვარისმამოს შემოსავლით და ხარჯით მოვიდეს, რათა-

შათ ძველთა მიცვალებულთათვის მოჯანება არ მოშალოს და მო-
 მავალთა მათთა მოჯანება დააწესოს, თუცა მონასტრები ვერ
 დაიპყრან და მათი კანდელნი ქრისტეს საფლავისა ზედა გოლგო-
 თას და სხვათა მონასტერთა შინა არ დააესონ, ვინათგან მოკვდავ-
 ნი ვართ. ამის უბრწყინვალეს ალავს სადა ვპოვებთ და სად მოიჯ-
 სენებოდეს ჩვენი სული? ანუ რასათვის დაუგდიათ ესოდენი ჭირნა-
 ხული? კვალად აპასცა განკვირვებულ ვართ, თუ ასე რასათვის
 უმეტარ იქმნენ საქართველოსაგანნი? ერთი ვინმე რასათვის ვერ
 მოიწია აქა, აქაური ამბავი შეეტყო, და ანუ ქვაზედ ანუ წიგნთა
 შინა აღმოეკითხა ეს ამბები და საქართველოთათვის ეუწყებინა? 10
 არავისა სმენიეს, თუ იერუსალიმი ქართველთათვის რა არის, და
 არცა მე უწყოდი აქაური ესევეთარი საქმე. ჰოი მე, რა დიდის
 უგუნურებით არს ნათესავი ჩვენი, [121] რამეთუ არს მუნ ქრისტეს
 საფლავსა მოჯანება ღმთისმსახურისა მეფისა ქართველთა და
 კახთასა ლეონისა და მეფის თეიმურაზისა; და კვალად ეწერა მეფე 11
 ნიკოლოზ-ყოფილი ერეკლე და ძე მათი გიორგი და ასულნი მარიამ
 და ხორაშან. და ამისთვის მეცა ვინებე და ვაწვიე ერთობით კრე-
 ბულნი ჩლვდელთმთავართა და მღვდელთა და ჟამი ვაწირვინე, და
 მოჯანება განუახლეთ მეფესა ჩვენსა თეიმურაზს და მეფესა ძესა
 მათსა ერაკლის, მეულღეთა, ძეთა და ასულთა მათთა, და ძალი- 12
 საებრ ჩემისა ტრაპეზი და სერი და საფასე განუმზადე და ვიდღესასი
 წაულეთ ბრწყინვალეთ. და მგალობელნი ქმობდეს: ღმთისმოყვარენი
 და ბრწყინვალენი მეფენი საქართველოსანი თეიმურაზ და ირაკლ-
 მრავალეამიერ ყოს.⁷⁷ და კვალად იერუსალიმით მივედით მონას-
 ტრად ქართველთასა ჯვარს და განვიცადეთ კედელთა ზედა წმი 13
 დანი მამანი და მოწამენი საქართველოსანი, ეხატნეს შარავან-
 დითა და გვირგვინითა ესენი:

ქ. წმიდა მღვდელმოწამე მოსე ქართველი.

ქ. წმიდა მარი მღვდელმოწამე ქართველი.

ქ. წმიდა მოწამე ქაიხოსრო ქართველი, რომელი აწამა ყვენ- 14
 მან შაჰაბაზ წმიდათა ხატთათვის ქორონიკონსა ტ.

ქ. წმიდა მამა არსენი იბადის ძე ქართველი, [გვარად ვაჩნაძე,
 ფილოსოფოსი]*.

ქ. ლირსი მანა ეფთვიმი გრძელის ძე ქართველი.

ქ. ლირსი მამა ქუაძს ძე ქართველი. 15

ქ. ლირსი მამა იოანე რეხვიას ძე ქართველი.

* კავებში ჩაწერილი სიტყვები შემდეგ არის ავტორის მიერ მიწერილი.

ქ. ღირსი ნამა დანიელ აბაშვილი ქართველი.

ქ. ღირსი მამა იოანე კიმქიმელი ქართველი [და ფილოსოფოსი].

ქ. ღირსი კათალიკოზი ქართლისა არსენი.

ქ. ღირსი კათალიკოზი ქართლისა იოანე.

ქ. ღირსი ნუნუს ეპისკოპოზი ქართველი.

ქ. ღირსი ეპისკოპოზი კინდ ქართველი.

და ცხორებულა მუნ ჯვარისა მამა ნიკოლოზ-ყოფილი ნიკიფორე, ძე ომანისა ჩოლოყაშვილისა და დედით არაგვის ერისთვის ასულისა ბარბარესი, კაცვი სახელოვანი, წინამძღვარი მეტეხისა ქალაქს და მოძღვართ-მოძღვარი კახეთს, ოდიშს—ხოფელ-კოცხერელი, და იერუსალიმს ჯვარის მონასტრის და გოლგოთის სამკვიდროსი ჩვენისა არქიმანდრიტი. და მის თანა თევდოსე მანგლელი რევიშვილი და ნეოფიტე, მართებელნი მონასტერთანი ქართველთასა.

და ამისა შემდგომად ჯვარის მონასტერთი წარვედით ბეთლემს და მივიწიენით სოფელსა ბეთსაიდს და მიერ ევფრათას, და ვიხილეთ საფლავი რაქაელისი, იოსებ და ბენიამენის დედისა, და მიერ მივიწიენით ბეთლემად. და მოგვეგებენ ძმანი და შეგვიყვანეს ეკლესიასა ბეთლემისასა, ისტინიანე კეისრისა მიერ აღშენებულსა, რამეთუ ორმოცდა ათექვსმეტი სვეტნი მარმარისნი იდგნეს და ზედ ეკლესია სოფიას კენჭითა აღშე[v]ნებული, დიდი და საკვირველი ეკლესია, და იატაკნი მარმართა დაფენილნი და ტრაპეზის ქვეშეთ შთასწვრივ ქვაბი იგი კლდისა, სადა უფალი ჩვენი იესო ქრისტე იშვა. და შთავედით კიბითა და ვიხილეთ ქვაბი იგი, და სადა-იგი ბაგა პირუტყვთა იყო მუნ და მიაწვინეს უფალი. და მაშინ ფრიადითა უამბორეთ ადგილსა მას წმიდათა-უწმიდესსა, რომლისათვის წინასწარმეტყველმან წინა მოასწავა, ვითარმედ: * „და შენ, ბეთლემ, ქვეყანა ეგე იუდასი, არასადა უმრწემეს ხარ მთავართა შორის იუდასთა, რამეთუ შენგან გამოვიდეს წინამძღვარი, რომელმან და-მწყოსს ერი ჩემი ისრაელი“**. და განვიციდით შობისა მისისა ალაგთა ქალწულისა მიდგომილისა და მშობელისა ევმანუილისასა, და მღუპართა სიტყვითა მადლობასა შეგსწირვიდი ყრმისა შობილისა, პირველ საუკუნეთა ღმთისა.

და მიერ წარმოვედით და მოვიწიენით ადგილსა მას, სადა ურიასა ვისმე ედგა მიწა საყანე და შიგან [123] ეთესა მუხუდო და

* გასწვრივ კიდევ ნუსხურით მიწერილია მიქია.

** მათე 2,6.

მივიდა თხოვად მარიამ, დედა უფლისა, მუხუდოსა მის და არარა მის-
ცა. ამისა შემდგომად იხილა, რამეთუ სრულიად ქვად შეცვლილ იყო
მუხუდო იგი, და აღკვირებით ქვანი იგი მსგავსნი მუხუდოსანი.

და მოვიწიენით მონასტერსა წინასწარმეტყველისა ელიასასა,
სადა ხესა ქვეშე წვა მუნ ელია. და მიერ მოვიწიენით წმიდასა სიონ-
სა, სადა-იგი მოციქულთა ზედა გარდამოჯდა სული წმიდა მეერგასესა
დღესა, სადა მარხიან დავით და ძე მისი სოლომონ. და მიერ შთა-
ვედით ადგილსა მას, რომელი ანნა და კაიაფა მღვდელთმოდღვართა
მოიყიდეს საფლავად უცხოთა იუდას დაბნეულის თეთრითა [აწ
სასაფლაოდ ქრისტეანეთა არს წმიდა იგი ადგილი]. და მიერ მი-
ვედით, სადა ესაია გახერხეს, და მიერ—სადა თიჯა შექმნა უფალმან
და სცხო ბრმასა. და ვიხილეთ საბანელი სილოამისა ღრმად მომ-
დინარე, კიბეებითა შთასასვლელი, რამეთუ შუადღე განდიდნების
წყალი იგი და განთიად და საღამოდ მოიკლებს. და მიერ მოვედით
გესამანიად, საფლავსა ყოვლად წმიდისასა, და შთავედით ვრცელი
იგი კიბე და ვიტყოდი: კიდობანი სიწმიდისა შენისა, მოვიკსენო
სახელი შენი [ვ] ყოველსა შორის თესლსა.

და უამბორეთ საფლავსა ყოვლად წმიდისასა, სასოსა ქრის-
ტიანეთასა, და განვიციდინდი. მეტყოდენ, ვითარმედ გვსმენია, ვი-
თარმედ დაძველებული ეკლესია ესე განუახლებიათ ქართველთა.
და განვიციდინდი კარით ჩრდილოსათ კლდეთა რათმე. და გვეტყო-
დენ, ვითარმედ მდინარე ცეცხლისა აქედგან გამოსლვად არს, რა-
მეთუ ესე არს ღლეე გლოსა. და კარისა გესამანიისა ზედ—სახლი
იგი, სადა შიშისათვის ჰურიათასა შეკრებულ და დამალულ
იყვნეს წმიდანი მოციქულნი, და კართა ჯშულთა შევიდა უფალი და
თომას გვერდი უჩვენა და მშვიდობა მიანიჭა და სული წმიდა შე-
ბერა და ღისცა. და მუნვე, ზედ ახლო, არს მტილი ზეთისხილთა,
სადა უფალი შეიპყრეს და სადა ილოცვიდა.

და წარმოვედით და მოვედით ადგილსა მას კლდესა, სადა
წმიდა სტეფანე დაქოლეს. და აღმოვლეთ აღმართი და შევედით
ქალაქად და ვიხილეთ ეკლესია იგი, სადა იშვა ყოვლად წმიდა. და
გამოვ[124]ლეთ ღლეე იგი მწვირისა, სადა იერემია წინასწარმეტ-
ყველი შთააგდეს. და მოვიწიეთ ალაგსა, სადა უფალსა ჯჯარი ეკი-
და თვით და ეტყოდა: „ასულნო იერუსალიმისანო, ნუ სტირთ ჩემ
ზედა, არამედ სტიროდეთ შვილთა თქვენთა ზედა“*. და მიერ მო-
ვიწიენით მონასტერსა დედათასა ყოვლად წმიდისასა, სადა ყო-
ვლად წმიდა იუდა მუნ და ცრემლეოდა. რამეთუ მუნვე არს საფლა-

* ლუკა 23,28.

ვი მელანია ჰრომისა, ღირსისა მის ენკრატისისა, [ქსენებასა ვყოფთ დეკენბერსა ლ ა].

და სხვასა დღესა აღვდგით და მივედით სახლსა დავითისასა, სადა ჩუდომარე იყო და წერდა ფსალმუნსა. ესე არს სახლი იგი, რომლისათვის მოასწავნეს, ვითარმედ სახლსა დავითის(ს)ა საშინელი სამშჯავრო დაიდგეს და ძველ დღეთა დაჯდეს. ხოლო ამას გეტყვით თქვენ, ქრისტეს მოყვარეთა, რამეთუ არიან კაცნი, ვითინმე გულციენი. და იტყვიან, ვითარმედ იერუსალიმსა განმაცხოველებელთა ამათ აღგილთა თაყვანისცემა არარა არს, არამედ ბოროტ არს სიტყვა ესე. უკეთუ ვისმე უძლურება არა სჭირს და შე[ვ]მძლებელ არს სლვად და არა არს ფრიად გლახაკ და არა მოიწევის ცხადად ხილულთა ამათ ქრისტეს განგებულებისა საიდუმლოთა აღგილთა, არა თაყვანი(ს)-სცემს მას, ქრისტიანობა განგრძობულად უტვირთავს, რამეთუ წმიდანი მამანი პირველად აქა მოიწეოდეს და ამათ აღგილთა მიერ განმტკიცებული, სხვათა ალაგთა მისრულნი მწენდ ქრისტეს მოყვარედ გამოჩნდებოდეს; და უფროსად ქართველნი, რამეთუ რჩეულნი მეფენი და მთავარნი და მონაზონნი აქა ცხოვრებითა და მოსლვითა განათლდებოდეს. რამეთუ დიდებულ არს ქალაქსა ამის წინაშე მოსლვა, ვითარცა ითქვა, ვითარმედ: „ღიდებული ითქვა შენთვის ქალაქო ღმთისაო.“ და კვალად ისაი წინასწარმეტყველისა ისმინეთ წინასწარმეტყველებით წინათვე მოსწავება იერუსალიმისა თაყვანისცემისათვის და შენდობისა მიღება კაცთაგან აღგილისა მისგან წმიდისა და თაყვანის-საცემელისა: და* სხვამან თქვას: მივიდემცა და მივიდოდთან ე[125]რნი მრავალნი და ნათესავნი გამოძიებად პირსა უფლისა ყოვლისა მპყრობელისასა იერუსალიმს და ლხინებისა თხოვად პირისაგან უფლისა ყოვლისა მპყრობელისა. და კვალად: „რამეთუ იყოს უკანასკნელთა დღეთა გამოჩინებულ მთა უფლისა და სახლი ღმთისა წვერსა ზედან მთისასა, და ამადლდეს უფროს ყოველთა ზედან ბორცვთა. და მოვიდოდოდთან მუნ ყოველნი ნათესავნი, და მოვიდოდოდთან ერნი მრავალნი და იტყოდოდთან: მოვედით, აღვიდეთ მთასა უფლისასა და სახლსა ღმთისა იაკობისასა, და მითხრას ჩვენ გზა თვისი და ვიდოდოდთან მაზედან“ **.

* გასწვრივ კიდევ ნუსხურით მიწერილია „ესაიასი“.

** ესაია 2, 2-3. 125r—126r-ს კიდევბზე მიწერილია ციტატები სიონთან დაკავშირებით:

ა. „მაკარი. და იტყვს: მოსრულხართ მთასა სიონსა ქალაქსა ღმთისა ცხო-

იხილეთ ქრისტეს მოყვარეო სიტყვანი მეხუთისა მის მახარებლისა ისაიასნი, ვითარ წინათვე უწინასწარმეტყველა ყოველთა ქრისტიანეთა მუნ აღსლვა და ქეშმარიტისა შენდობისა მოღება მუნით? ხოლო უკეთუ ვინმე იცილებოდის, ვითარმედ [v] სნეულება და სიგლახაკე საწვიად მაძეს და ვითარ უძლო წარსლვად წმიდად ქალაქად იერუსალიმად, ეგვეითართა არა ეტყვის წინასწარმეტყველი. არამედ შენდობისა ღირს არიან. არამედ რომელთა უძლიეს და არცა მოხუცებულობა და არცა სნეულებ და არცა ნამეტნავისა სიგლახაკითა შეპყრობილ არიან, არამედ უდებებით და დაზარებით გარდაიწდიან ცხოვრებასა თვისსა და იტყვიან, ვითარმედ ღმერთი ყოველგანვე არს და არა საჭირო არს აღსლვა იერუსალიმად, ესენი წინააღმდეგობად გამოჩნდებიან ბრძანებისა ღმთისასა პირითა წინასწარმეტყველისათა თქმულისა. და კვალად მომეტყვნების მისევე წინასწარმეტყველისა მიერ თქმული იერუსალიმად აღსლვისათვის, ვითარმედ: „დაჰბერეთ ნესტეთა სიონს შინა და შორის ხარისხსა საკურთხეველისასა ტიროდედ ზღვდელნი და იტყოდედ: უღბინე, უფალო, ერსა შენსა [126] და ნუ მისცემ საჩკვიდრებელსა შენსა საყვედრელად.“ ესევეითარნი სიტყვანი ყურად ელო განათლებულსა და ღმთისმოყვარესა მეფესა ქართველთა და კახთასა უფალსა ლეონს, რამეთუ ესმოდა რა ოჯრად დაცარიელება წარმართთაგან წმიდისა სიონისა და საფლავისა ქრისტესისა და არარა ზრუნვა დაედვათ გულსა მისთვის არცა ბერძენთა, არცა რუსთა და ფრანგთა, ამისთვის შური იშურვა სახლისა ღმთისა საბაოთისათვის მარადის მოკსენებულმან მან მეფემან და მრავალი საფაჲე წარაგო, და იოაკიმ ჯვარის მამა ქართველი წარმოავლინა წინაშე მთავართა

ველისასა იმრუსალიმად ზეცასა, ყოველივე წინაშე მისა ადვილ არს... ინებოს, შეიცვალების და ეხუშნების წმიდათა და სარწმუნოთა სულთა“.

ბ. „მ ო ც ი ქ უ ლ ი ს ა ამისთჳს: არამედ მოსრულ ხართ მთასა სიონსა, ქალაქსა ღმთისა ცხოველისსა იმრუსალემსა ზეცათასა და კრებასა ბევრეულთა ანგელოზთასა და ეკლესიასა პირმშოთასა, ზეცათა შინა აღწერილსა, და სისხლისა პკურებისა მზრახულსა“.

გ. „და ვ ი თ: რამეთუ მუნ ამცნო უფალმან კურთხევა და ცხოვრებაჲ უკუნისამდე“.

დ. „ს ო ლ ო მ ო ნ: რაოდენსა თავჯანის-გცემდენ ადგილსა ამას და შენ ისმინე ადგილსა მკვდრობისა შენისასა ცათა შინა და შენ ჰყო მიტეუება და მღბინებელ ექმნა ერსა შენსა“.

ე. „ი ნ ე დ ა მ ა ს კ ე ლ ი: მეფენი და მთავარნი მოვიდენ შენდა სიონ და ყოველნი ტომნი ლოშნიდენ მიწათა შენთა ამისთვის, რამეთუ შენ შორის დადგენს ფეოკნი ქრისტეს მეუფისანი“.

ვ. „და კვალად გაკურთხოს შენ უფალმან სიონით, რომელმან ქმნა ცანი და ქვეყანა“.

და შიხთა არაბთასა, და აღავსო საფასითა იგინი და აღაშენა სა-
 ფლავი ქრისტესი და გოლგოთა. და განწმინდნეს შეგინებული და
 წარმართთაგან წმიდანი ეკლესიანი, და იწყეს წესისაებრ ქრისტიან-
 ნეთასა დღესასწაულობა სიონს, მთასა წმიდასა უფლისასა. [v] და
 ვიდრე დღეინდელად-დღედმდე არს პარისია მოქსენება სამარადი-
 სო და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა სანატრელისა მის მეფისა,
 რომლისათვის მე რა მესმნეს სახელი ლეონისა, ვევედრე წმიდათა სი-
 ნოდთა იერუსალიმისათა, რათა ესეცა მოქსენება შესძინონ, ვითარ-
 მედ ნათესავნი მის მეფისანი მომავალნი და აწ მსუფევენი საქარ-
 10 თველოთა ზედან მეფე თეიმურაზ და მეფე ძე მათი ირაკლიოს,
 მეულენი, ძენი და ასულნი მათნი მრავალჟამიერობით და მუნ
 ცხოვრებად საუკუნოდ მოიქსენებოდის. ამისთვის, რჩეულნო, ნუ
 იტყვიოთ და ნუცა სხვათაგან შეისმენთ, ვითარმედ არა რაჟმე არს
 აღსლვა იერუსალიმად შემყვარებელისა მის ჩვენისა ძისა ღმთისა,
 15 რომელმან არა ჰრიდა ჯვარსა და სიკვდილსა და დაეფლა მუნ.
 ვითარ არაჟ საკვირველ არს, თუმცა მცირედ რაჟმე დავშვრეთ და
 ვიხილოთ საფლავი ცხოველსამყოფელი და გოლგოთა სისხლითა
 ღმთისათა [127] მეწამულქმნილი და მიწა და ქვანი მუნანი მსმენნი
 კმისა ღმთისა ცხოველისანი!
 20 და აწ, კვალად ზემოსავე სიტყვასა აღვიდეთ. რამეთუ მოი-
 წია დღესასწაული ბაიასა და პასქათა მუნ ქალაქსა იერუსალიმსა,
 სადა-იგი შვენის გალობა და დღესასწაული სიონსა, და ერნი სავე
 იყვნეს ასპარეზთა და ურაკპარაკთა წმიდისა მის ქალაქისათა და
 უცხოებით მოსრულნი ხილვად სიძისა მის უკვდავისა საფლავისა,
 25 რაჟამს-იგი ჟამსა სძლისა მის შვენიერისა ეკლესიისა წინდობა
 მოწურვილ იყო. და სიძე იგი, ქეროვინთა უწმიდე, შვენიერსა მას
 სერსა განმზადებდა და მეინაჟედ ნებოძირნი და მწირნი შესლვად
 ქორწილსა მზა იქმნებოდეს. და არათუ მთავარნი ებრაელთანი და
 აზნაურნი გალილიასნი მხოლოდ წვეულ იყვნეს, არამედ სავესება
 30 სოფლისა. და მოიწია სიძე იგი საკვირველი შვენებითა და გარდა-
 მატებული ბრწყინვალებითა და სძლისა მის ეწადოდა შესლვად
 რათა ქორწილსა მას დიდებულსა პუროსმტე იქმნენ ზეცისანი და
 ქვეყანისანი ერთბამად. მაშინ მექორწინენი განცოფნეს და შეიპყ-
 რეს სიძე იგი და მრავალსა სატანჯველსა მიუპყრობდეს: სიხარუ
 35 ლისა წილ—გვირგვინსა კიცხვეისასა თავსა, სამშქვალსა—ჯელთა-
 და ლახვარ(სა)*—გვერდსა. და უ[ვ]მსჯავროდ მოჰკლვიდეს სასძლოდ
 მზაქმნილსა მას მეფეს. ამათი მსმენნი და მრწმენნი კაცნი, სასოფ-

* ლახვარი C.

ბითა და სარწმუნოდ მორბედნი, შორით სურვილით მოსრულნი. ხილვად ამისა, თუ სადათ დაასხა ვენაჟი სიძემან მან და სადა ქმნა გოდოლი და სადა ალაშენა საწნახელი და დაათრო ნაწნახნითა მით ღვინისათა საცვება სოფლისა, და ანუ თუ სადათ გარეგან ვენაჯისა მის მოკლეს ქველი იგი სიძე და საკვირვო.

4.

ხილვად და განცდად ადგილთა მათ განსაცვიფრებელთა, ქვრეტად ერთი-ერთისა წინა უსწრობდეს და რტო ბაიასა ჯელთა ეტვირთათ და იტყოდენ და გალობდენ: „კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა“, და კვალად: „გიხაროდენ, სიონ წმიდაო, დედაო ეკლესიათაო, რომელჲან მოიღე ცოდვათა მოტევება აღდგომისა მიერ“. და მგალობელნი ატკობდენ ქმასა ძნობითა, და ორღანოთა ვმა შინაგან დიდებულისა მის ეკლესიისა გერგვინვიდა: მღვდელთმთავარნი შემოსილნი და მრავალნი სამღვდელონი. ხოლო პირველსა მღვდელთმთავარსა ეტვირთა ჯვარი ძვირფასი ზმურისა ქვისა საპპირონისა და იაკინთესა თლილისა და მით ჯვარსა სახვიდა ერთა.

10.

12.

და შესლვად უამბორეთ აც-გილსა მას, სადა უფალი წარგრაგნეს სუდართა. და ანუ ვითამე აღესწერო მორთვა ტაძრისა მის, [128] პირად-პირადობა სამკაულთა საკვირველსა მას ეკლესიასა. სრულიად იმგვრგვლივ მოეფარდაგით სტავრითა და ნახლითა, სახეთად მოყვანილნი ოქროქსოვილი ძვირფასნი და სასანთლენი აღენთოთ იმგვრგვლივად. ხოლო შუასა მას ადგილსა ტკბილისა მის სიძისასა,—სადა ანგელოზი ელვარე ეტყოდა: რასათვის მკედართა თანა ეძიებთ ცხოველსა მას და უკვდავსა,—[რომელსა შინა სასანთლე იგი და ტაბლა და დაგება იგი პურთა, რომელსა ერქუა წმიდა-წმიდათა, ოქროსა აქვენდა სასაკმეველე და კიდობანი იგი სჯულისა. ამათ მოციქული სახედ ამა ეკლესიისათვის მოიღებდა, რომლისა თავსაკიდურთა არს ქრისტე]. საფლავსა მას გარემოთ ქოლგანი და ალამნი დას-დასად მოედგათ ოქროსა განაზიდისა, ჯომლნი ოქროსანი და ვეცხლისანი, და ქორუკანდელნი და კანდელნი ვეცხლისანი და ოქროსა მალრიბულისა ძვირისა ახარისხებით, თუ განკარგვით ესრეთ ანათობდეს, იტყოდი—მოღებულ არსო ედემით შუქმკრთომარეობა ამისი და ანუ სამოთხით მოუბაზრ-მოუფარლულიათო. გოლგოთა აღვსილ იყო ოქროსა ჯომლითა და კანდლითა, და თვლითა განდგმულითა სამკაულნი და ფარდანი ზედან გარდმოსდგომია საფლავსა და მუნ ზემოთგან ესრეთ ანათობდა, საწუთოთა ლამეთა ლაჟვარდიანთა მანათად მთოვარესა და მთიებთა ვერ შეუღრდიდი. [ვითარცა გვესმა, ეგრეთცა ვიხილეთ ქალაქსა უფლისა ძალთასა, ქალაქსა ღმთისა ჩვე-

10.

წისასა] აღმართულ იყვნეს სამნი კანკელნი ოქროცურვებულნი კათოლიკესა მას ეკლესიასა, ესრეთ უნა[ვ]თებდა, ვითა ბაზმაკი შორის მღვიმეთა და ანუ ვითა ელვარება მზისა დისკოთა და ირისე ზეცით გარდამოკრთომილი; და სამკაულნი ტრაპეზისანი, სასაკმეველნი თუ სერობინნი, და სახარებანი და მრავალფერნი სასანთლენი, ბარძიმ-ფეშუშნი—მულანბარათ აღმკულნი. და რქათა ზედა საკურთხეველისათა ქერობინნი აღმართებით განმარტებულ იყვნეს და განკრძალულად ერნი შემოკრებულ იყვნეს ეკლესიად.

მოიწია ჟამი და ჰკრეს სიმანდრათა, ძელსა და თუჯთასა ამოდ და მიმომყოვრებით. ხოლო ორლანოსა ლატინათასა ჯმა ისმინებოდა ძლიერი და სომეხთა მწყობრისა და ძნობისა ჯმათა ტკბილად აგემებდენ; ეგრეთვე იაკობიტთა ასურთა, ხაბაშთა — მსგავსად მათისა განწესებისაებრი. და ზორონი ბერძენთა მგალობელთანი განწყობილ იყვნეს და გალობდენ ამოდ,⁷⁸ ვითარმედ „მოადგვით, ერნო, სიონსა და მოიცევით იგი და მიეცით დიდება მას შინა აღდგომილსა მკვდრეთით, რამეთუ იგი არს ღმერთი ჩვენი, რომელმან მიგანა“. და ლოცვასა მას ლამისთევისასა იყვნენ შემოსილ მღვდელთმთავარნი ხუთნი, არქიმანდრიტნი, ილუმენნი, პროტოსინგელნი სამეოცნი და ათორმეტნი დიაკონნი, და იყო ლაღადება მჭურვალი, ვედრება ქრისტიანეთაგან, და იყო განმზადება დღესასწაულ[129]თა საკვირვო და მსგავსი მეორედ მოსლვისა, რამეთუ ძლიერად დაჰბერეს დღესასწაულთასა, მსგავსად ჯმათა ნესტვისათა ბრწყინვალესა დღესა ღმთისა ჩვენისათა, რამეთუ მაშინ თვე იყო აპრილი ი თ, ჟამი და პაემანი ყვავილთა; და იატაკითგან წმიდათათ, ვიდრე რქათამდე საკურთხეველისათ, მსგავსად გაზაფხულისა აღყვავებულ იყო თითოფერთა სუნნელება ნელსაცხებელთა კმევისა, და უთქმთა და მრავალფერთა მსხვერპლთაგან წმიდათა შეიმკვებოდა დღე იგი უფალი და დედუფალი დღესასწაულთა წმიდა ერთ შაბათისა. [ნეტარ არს თვალნი, რომელთა იხილნეს და ყურნი, რომელთა ესმა!]. შემოსილ იყვნეს ერნი ყვავილთაებრ გაზაფხულისა ფერადობათა და ასფოდლოებრთაებრ მაისისა ველთათა, [ვითარცა თქვა დავით: „დანერგულნი სახლთა შინა უფლისათა, ეზოთა სახლისა ღმთისა ჩვენისათა ყვაოდინა“*]. და ესასოებოდა ძლევისა გვირგვინი ქირითა და ღვაწლითა მრავლითა მოსრულთა ქრისტიანეთა, ზოგნი ჯმელითა ეგვიპტით და პარაშამით, და ზოგნი თარშისა ქალაკთა, ზღვიო უცხოთა, ენითა მოუბარნი და უცხოთა ქვეყანათაგან მოსლვით განკა-

* ფსალმ. 91,13

ფულნი უცხოლ ერთბამად იხარებდეს, ვითარცა მარად ერთად ცხოვრებულნი. და ნადიმნი და სერნი ბრწყინვალენი მოემზადნეს და ზედა გალობათა იტყოდიან: „ხილვად ჩემდა შვენიერება უფლისა და მოხილვად ტაძარი მისი, რამეთუ დამფარა მე კარავსა შინა მისსა*.“ „არა ვეც ძილი თვალთა ჩემთა და ჰარული წამთა ჩემ[ვ](თა), ვიდრემდის ვპოვე მე ადგილი უფლისა საყოფელი ღმთისა იაკობისი“**. ამისთვის დღესასწაულსა შენსა ღირსებით გვირგვინოსან გვევენ“ [და სხუანი იტყოდენ: ვითარ საყვარელ არიან საყოფელნი შენნი, უფალო ძალთაო, და რომელნი შევალთ მას შინა, განწმედლინი მადლითა მით გალობითა გილაღადებთ; დიდება ძალსა შენსა უფალო|. და დიდისა ეკლესიისა მოკლეთა განმზადნეს ტრაპეზნი საერონი და იწვიენეს ქრისტიანენი, ხაჯნი მოსრულნი მუნ, და სერი ბრწყინვალე და ტრაპეზობა პატროსანი და ლხინი გარდაიჭადნეს, რამეთუ იყენეს უცხოებით მოსრულნი ხუთასნი ოდენ. 11.

ამისა შემდგომად აღვედით მთასა წმიდასა ზეთისხილთასა, სადა ამალდა უფალი, და მუნ არს მცირე გალილია, სადა უფალი აღდგომილი ეჩვენა. ხოლო დიდი გალილია კანას, ნაზარეთს და თაბორს შუა არს, სავალი არს იერუსალიმიდამ დღისა სამისა. ხოლო მთასა მას ზეთისხილთასა ცხოვრებულა წმიდა ევეგენია და არს სენაკი მისი მუნ. და მიერთგან წარვედით ბეთანიად, საფლავსა ლაზარესსა, და მუნით მოვიქეცით კვალად იერუსალიმად; და მამანი და მღვდელთმთავარნი შემომიკრთენ და შეწვევისათვის საფლავისა ქრისტესისა (ვინათგან თურქთაგან სათხოვარი მრავალი აძეს) მევედრებოდენ, რათა წარვიდე და შევეწიო რასმე. ხოლო მე ვერ ურჩქმნილი მათი, ვიწყე ზრუნვად გაყრისათვის უცხოსა მისთვის ადგილისა წმიდისა. და იორდანედ წარვიდენ მლოცავნი სრულიად, და იქითგან მოსლვით განვემზადენით წარმოსლვად. და ვამსგავსებდი ედემით გამოკვებასა მუნითგან წარმოსლვასა, და სულთქმითა მრავლითა უამბორეთ [130] საფლავსა ცხოველსყოფელსა და გოლგოთასა წმიდასა და გესამანიასა საფლავსა ყოვლად წმიდისასა და აღვიღეთ ლოცვა სინოდთა მათგან. და თვალნი უკანა დგებოდეს კვალად ხილვად ადგილისა მისთვის რჩეულისა. 12.

და მივიწიენით არიმათიად, ქვეყანასა იოსებისასა, და მუნითგან იოპკედ. და მიერთგან გვეშოვა ნავი მარჯვე, შთავსხედით და ჰავითა კეთილითა მივიწიენით კვიპრეს, ადგილსა სახელად კი-

* ფსალმ. 25,4—5. ** ესალმ. 131,4—5.

ტოს, მეორესა საფლავსა ლაზარესსა; რამეთუ აღადგინა რა უფალ-
მან ბეთანიით, ხოლო შემდგომად ამალღებისა ჰურიანი შურად
აღუდგეს ლაზარეს, რამეთუ მკვდრეთით აღდგომილი იყო ქრის-
ტესი, და სდევნიდეს სიკვდილ. ამისთვის აკურთხეს მოციქულთა
3 ეპისკოპოზად კვიპრიისა. და მოვიდა კვიპრეს და საეპისკოპოზო
ხარისხი თვით აღაშენა და იყო ეპისკოპოზ მუნ. და არს საფლავი
მისი მუნვე.

და მიერ წარვედით ქალაქად ლევკოსად ხილვად კვიპრიისა
კათალიკოზისა და მივედით. სადაცა მჯდომარე იყო კათალიკოზი,
40 არქიეპისკოპოზი კვიპრიისა, უფალი ფილოთოს, კაცი დიდად
პატიოსანი და განთქმული თითოსახითა სიკეთითა. და გან-
გვისვენა და უცხოთ-მოყვარებისა სალბუნი გვაგემა და კვითხევ-
დით განთავისუფლებისათვის ხარისხისა მისისა. ხოლო იგი გვე-
ტყოდა, ვითარმედ: ჟამთა პირველთა პატრიარქი ანტიოქიისა
45 იცილებოდა, ვითარმედ კვიპრე სამწყსო არს ჩემი. ხოლო მის ეა-
მისა არქიეპისკოპოზი კვიპრიისა იცილებოდა და უარყოფდა, ვი-
თარმედ არა არს კვიპრე სამწყსო. შენი, და ცილობა შემოვიდა.
ამისთვის მეფემან ბრძანა ორთავე აღსლვა კოსტანტინეპოლედ,
რათა მუნ იქმნას ბჭობა მათი. ამისთვის არქიეპისკოპოზი კვიპ-
50 რიისა იყო ფრიადსა ურვასა შინა, და იხილა ჩვენებით ანგელოზი
მეტყველი: რასათვის მწუხარებობ, აღდეგ და წარვედ აღგილსა მას, —
რომელსამე დაუნიშნევდა, — და აღმოსთხარე, რამეთუ მუნ არს სა-
ფლავი მოციქულისა ბარნაბესი და ჯელთა უტვირთავს სახარება
მარკოზ მახარებელისა, დისწულისა თვისისა. აღმოიღე იგი და მიარ-
55 თვი მეფესა, და ყოს ნება შენი. მაშინ მსწრაფლ აღდგა და აღმოი-
ლო სახარება იგი და წარვიდა და მიართვა მეფესა. ამას ზედა ფრიად
განიხარა მეფემან და განათავისუფლა კათალიკოზი, მთავარ ეპის-
კოპოზი კვიპრიისა, და უბოძა კვერთხისა წილ სამწყსოსა სკიპტრა,
რათა ეტვირთოს, და მდინარი მეწამული, და რათა მეწამულითა
60 წერდეს, ვიდრე დღესამომდე.

მუნვე არს ლუს[131]კუმა დიდისა ეპიფანე კვიპრელისა. და
არს კვალად საფლავი წმიდისა ტვიხონ ამათუნატელისა, რამეთუ
მუნ ეპისკოპოზ ქმნილ არს, და მუნვე არს სამარხო წმიდისა მამისა
იოანე მოწყალისა, რამეთუ მუნებურივე ყოფილ არს, და მიმავალ-
65 სა კოსტანტინეპოლედ აღსასრული მუნ შემთხვევია და ერთად
ტვიხონთან დაუსვენებიათ.

მუნ კვიპროს[ს] არს სადგური წმიდისა ქალწულმოწამისა ეკა-
ტირინესი. მუნ არს სამწყსო და სამარხი წმიდისა მამისა ჩვენისა

სპირიდონ ტრიმიტუნტელისა. და დავეყვით ვამნი რაოდენიმე და აღმღებელთა ლოცვათა არქიეპისკოპოზისათა წარვიგზავნენით ზღვით ალაიად, და მიერიოვან პისიდიას მივედით და ვიხილეთ ბიტროპოლიტი პისიდიისა, და მოვიკითხვედით რა ამბავთა მუნებურთა, გვეტყოდენ, ვითარმედ არს აქა ტბა და მას შორის ეკლესია, რამეთუ მუნ არს სამარხო წმიდისა მოწამისა ქრისტეფორესი, რამეთუ მუნ წამებულა. და მუნვე ახლოს არს ხარისხი წმიდისა გრიგოლი ნოსელიისა, რამეთუ წმიდა ნიკოლოზ და გრიგოლი ნოსელი პისიდიის მიტროპოლიტის სამწყსო(ს) ეპისკოპოზები ყოფილან.

პისიდით ქრისტიანეთაგან წარვიგზავნეთ ზღვით მირონ ქა-
ლაქად, [v] ლუსკუმასა წმიდისა მამისა ჩვენისა ნიკოლოზისასა, და მუნითგან მივედით კასტელორიზოს ქალაქს, სადა მჯდომარე იყო პირველ სიმონ მეფე ბერძენთა, და უკანასკნელ მეფობისაგან რა იჯმნა და იქმნა მიტროპოლიტ სოფრონიოს, რომელსა მოიჯანებეს ხრონოლრაფი. და მიერიოვან წარვედით ქალაქსა როდოს, ადგილსა წმიდისა მამისა ჩვენისა ისიდორე პილუსიოტელისასა. და მუნებურ-
მან მიტროპოლიტმან წარვეგზავნა ზღვით ქალაქსა ნისიროს და მიერიოვან ქალაქსა ასტოპალეას, ციხესა მას ძველთა მეფეთასა. რამეთუ დაგვიხამორდა და ამისთვის შორადვერ უძღლეთ წარსლვად, ხლო ქალაკითი-ქალაქად ვიდოდით. და მიერიოვან წარვედით სან-
ტო ირინის* ქალაქსა**, და კეთილად შეგვეტებო მუნებურმან მღვდელთმთავარმან. ხოლო ვიხილე მუნ საკვირვო რაჲმე, რამეთუ ზღვათა შინა აღნოსრულ არს კვამლი დიდძალი და ამოსდევნებია მთა შავი და არს ამოსული იგი მთა, თვით ვიხილეთ. და მიერიოვან ზღვით წარვედით ნაქსია*** ქალაქსა და მუნით პაროს****
და ვიხილეთ დი[132]დი იგა ეკლესია, რომელიცა დედამან კოსტანტინე მეფისამან ელენე, რაჲმამ ჯვარი პოვა იერუსალიმს და მოიქცა რა, მუნ აღაშენა ეკლესია იგი. რამეთუ მას ეკლესიასა შინა იყო დაყუდებული ღირსი დედა თეოქთისტე.

* დედანში სწერია ს ა ნ თ ო ი რ ი ნ ი ს; სწორი ფორმა აღდგენილია B ავტოგრაფის მიხედვით. B, 115r.

** გასწერივ კიდებუ მიწერილია მხედრულით: აამას ქალაქსა იყო ორი დიდი მონასტერი დედათი უკარო, რამეთუ სარკმლით მიართმიდენ სახლოსა, რამეთუ კარსა ვერ გამოვიდოდენ*.

*** დედანში სწერია ა ქ ს ი ა. სწორი ფორმა აღდგენილია B ავტოგრაფის მიხედვით. B, 115r.

**** დედანში სწერია ბ ა რ ო ს. სწორი ფორმა აღდგენილია B ხელნაწერის მიხედვით. B, 115r.

და მიერთებან ნავით წარვედით ქალაქსა სერფოს, მონასტერსა-
 წმიდისა მთავარანგელოზისასა, რამეთუ ახლოდ იყვნეს მუნ მონა-
 სტერნი დედათანი, კეთილად მგალობელნი და მედღესასწაულენი.
 და მიერთებან მივედით სახელოვანსა მას დედაქალაქსა ათინას⁷⁹
 და გარდავედით ნავით ზღვის პირსა, მონასტერსა წმიდისა სპი-
 რიდონისასა, რამეთუ შორევედა ათინას სამისა ეამისა სავალი. და
 მოგვივიდა მთავართაგან ათინელთასა ცხენნი რახტითა აღკაზმულ-
 ნი, და სხვა—კრებულთა ჩვენთათვის. და მივედით ათინად, და შო-
 რად გამოგვეგებენ სამღვდელონი მათნი და წესისაებრ გვითავაზეს
 და შეგვიძღვენენ სადგურად პერიპატოსა ათინელთასა და დაგვასად-
 გურეს მუნ. ამისა შემდგომად მოვიდნენ ხილვად ჩვენდა მთავარნი
 და ფილოსოფოსნი ათინელთანი და ამოდ მოგვიკითხნეს და ვი-
 თარობა მგზავრობისა ჩვენისა იკითხეს. [ვ] და აღმოიკითხნეს ბრძა-
 ნება თურქთა ჯელმწიფისა და წიგნი საყოველთაო პატრიარქისა
 კოსტანტინეპოლელისა, რაოდენ ვრცელად ეწერნეს მოგებებისა-
 თვის ჩვენისა და თავაზისა. და ზედასაზედა გვეუბნარებოდენ
 და გვიკითხევდენ ქვეყანისა ჩვენისათვის, და ე[ი]კითხევდით სამეც-
 ნიეროთა და სასიბრძნოთა მათგან. და ფრიად ვიდრემე კეთი-
 ლად შეგვიტყბეს და გვიჩვენეს შკოლა პლატონისი და სხვა-
 თა ფილოსოფოსთა და ათორმეტნი ღმერთნი ჭკით გამოქან-
 დაკებულნი ათინელთანი. და ვიხილეთ ეკლესიანი და პალატნი
 ჭკითა მარმარითა დაჩარდახებულნი, ჭკითა დაფიცრულნი, გან-
 საკვირვებელნი, და სვეტნი მარმარისანი აღმართულნი, დიდად მა-
 ლანი, მეფისა ქსერქსისანი. რამეთუ ესე ქსერქსი მეფე ელენთა
 იყო, რომელმანცა შავის ზღვის პირი განკვეთა და გარდაუტევა
 თეთრსა ზღვასა, რამეთუ უწინ შავი ზღვა ვიდრე ქუთათისამდე მოა-
 წევდა. და ვიხილეთ მუნვე არიოპაგე ახლოდ, ხარისხი იეროთეოს
 და დიონისიოს არიოპაგელთა. და კვალად აკადემია*—სასწავლო
 ათი. და განვიცდიდით რა ადგილთა სიუცხოვესა და მსგავსსა
 ედემისასა, ცალ კერძო—[133] ზღვითა მოზღლდვილ და ცალ კერძო—
 ქალანი ზეთისხილთა და ვენაჯოვანთა და ბალთა-ბალჩათაგან მომად-
 ნარებულ და შიგან მომდინარენი წყალნი, და მთითა და ჰავითა
 ფრიად განშვენებული და ნანდვილ ბრძენთაგან და ფილასოფოს-
 თაგან გამორჩეული ქვეყანა. და იყო ახლოდ ათინასა თივაიდა, სო-
 ფელი პინდაროზ ბრძნისა. და კვალად ზღვით კერძო ტანტალა,
 სოფელი ოვრეტოზ ბრძნისა. და მოვიხილევდით რა, აღივსო ცნობა
 ჩვენი და გონება სახილავთა მიერ დიდებულთა.

* აკადემია C.

და გამოვეთხოვენით დიდებულთა ათინელთასა და წარვედით მათგან პატიოსნად ხილვად მონასტრისა მის დიდებულისა ფერის-ცვალებისასა ქვეყანასა არნაუტთასა. და მივედით რა, მოგვეგებნენ მამანი არნაუტნი და შეგვიძღვნენ მონასტრად წესისაებრ. და ვიხი-
 -ლეთ ეკლესია დიდი და შევნიერი და დავადგერით მუნ ჟამნი რა-
 -ოდენიმე. მუნ იყო ახლოდ კორინთე, რომელთა მოციქული პავლე
 ეპისტოლესა მიუწერსა კორინთელთა. რამეთუ გვეწადა წმიდისა
 სპირიდონისა ნაწილის ხილვა კორფოსად, არამედ მოგვესმა ამბავი,
 ვითარმედ თურქთა* და არნაუტთა ბრძოლა არს გზათა ზედა, და
 [v]უკმოვიქეციით და მოვიწიენით ქალაქსა ანდროს, მონასტერსა
 წყაროსა ღმთისმშობელისასა. და მიერითგან ნავითა ვლეთ გზანი
 მრავალნი ზღვით და მივიწიენით მთაწმიდად, მონასტერსა ვათო-
 პედს, რამეთუ მუნ ექსორია ქმნილ იყო პატრიარქი კირილე,
 და ფრიად სთნდა მისლვა ჩენი და დავასადგურა მის თანა და
 შეგვეითვისა. ამისა შემდგომად აღვიღეთ შენდობა და წარმოვედით
 და მოვიწიენით მონასტრად ჩვენ ქართველთასა⁸⁰, და ვიყოფოდე
 მრავალ ჟამ მათ თანა, სამარადოსა ლოცვასა და ღამისთევასა
 მსმენნი. ამისა შემდგომად ვაწვიენ მამანი და მოუმზადე სერი
 ბრწყინვალე, და შევიმოსეთ და პორტიტისა ღმთისმშობლისა
 წინ პარაკლისი ვივადეთ მრავალეანიერობისათვის მეფეთა ჩვენ-
 თასა. ამისა შემდგომად ვინებეთ ხილვა პატრიარქისა იერუ-
 სალიმისა საქმისა რასათვისმე. და აღვიღეთ ლოცვა მამათგან
 და წარმოვემართენით კოსტანტინეპოლად. და განვოვლეთ ქალაქი
 თასო, სადა ექსორიობით მიიკვალნენ ნესტორ მწველცხელი და
 საბელიოზ ლიბიელი. და მუნით გამოვლეთ ქალაქი მაკედოქ 134ქნია,
 ტახტი აღექსანდრე მაკედონელისა; და ვიდრე დღესამონდე იხილ-
 ვების ახური ქვისა რქიანისა მის ცხენისა დუჩიპალასი, აღექსანდ-
 რეს ცხენისა.⁸¹ და მიერითგან გამოვლეთ ზღვა იწრო ტროადას და
 მიერ—ზღვა პროპონტოსა, და მივედით ევლად კოსტანტინეპოლედ
 ქველის მომნიქებელი ჩვენისა გიორგი სპათარისა. ხოლო ყოფასა
 ჩვენსა მუნ მივედით ცხოვრების წყაროსა ყოვლად წმიდისასა,
 რომელსა ვდღესასწაულობთ თომას კვირიაკის პარასკევსა. და კვა-
 ლად მივედით ეკლესიასა მას ყოვლად წმიდისასა, სადა ყმაწვილი
 ამალღდა ლიტანიობასა ერისასა და შთამოვიდა, პირით გალობა
 მოაქვნდა: „წმიდა(ო) ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდაო,
 შეგვიწყალენ ჩვენ“.

და მუნით მივედით ეკლესიასა მას, სადა აბრაამ ურასა თეო-

* თურქნი C.

დორე ქრისტიანემან ხატი მაცხოვრისა თავდებად მისცა; და ურია სიცრუევით უარყოფდა რა თეთრისა მიცემასა, ხატი მყოვარემ უქვერეტდა ურისა მას. ხატი იგი მუნვე არს.

ამად ჟა[ვ]მად აღგვმზადა პატრიარქმან იერუსალიმისამან წარ-
სლვად საქართველოდ, და გვიბოძეს წიგნი და მზა ვიქმენით წარ-
სლვად. ხოლო ყოფასავე მუნ ჩვენსა მივედით სალაროდ პატრიარ-
ქისა და ვიხილეთ ძველი სამოსი ეპისკოპოზთა: თავსახურავად შლა-
პა იისფერი და ჯუბა, და იწრო პაიჭი და მაშია, წინ აბზინდით
შესაკრავი, და რაც ყოველივე—იისფერი. რამეთუ იტყოდენ მოხუ-
ცებულნი მათნი, ვითარმედ ასი ოდენ წელი არსო გარდასრული იმის
უწინ, ეპისკოპოზთ ეს ემოსათო, ახლა მონაზვნის კუნკული დააწესე-
სო. მომეჯენა—ქართლს, მცხეთას, სვეტცხოველზედ დახატული
კათალიკოზი სამხეურით, და აფხაზეთის კათალიკოზის მურასა სამ-
ხეური ქეშმარიტი ყოფილა.

წარმოვედით კონსტანტინეპოლით გამომსალმებელი პატრიარქ-
თა, მთავართა და ერთა და მოვიწიენით ზღვით სოფელსა შილას,
სადა ასენია მთლიე ღირსად ქსენებული ეფთვიმი სარდლოსი, რომ-
ლისა ქსენება მოვა დეკემბერსა კ ზ. და მიერ ვლეთ და მოვიწიენით
სოფელს ევხატას, სადა ეწამა წმიდა მოწამე თევდორე სტრა-
ტილატი. და მიერ ვლეთ და მივიწიენით ქალაქსა სინოპს, საწამე-
ბელსა წმიდისა მღვდელმოწამისა ფოკასსა, რომლისა ქსენებასა
ვეყოფთ სეკლენბერს კ ბ. და იქიდგან ზღვით ვლეთ და მივედით სამ-
სონს, სადა ეწამნეს წმიდა ფლორო და ლავრა. და განვლეთ ამასია
და მივედით კვალად კომანად, და მიერ წარვემართენით და მივი-
წიენით ადგილსა მას, სადა ეწამნეს წმიდა ევსტრატი, ავქსენტი,
ორესტი; და მიერ მივიწიენით მელიტონს სომხითისასა, სადა ეწამ-
ნეს წმიდანი ორმეოცდა ხუთნი მოწამენი. და მიერთგან მივიწიე-
ნით ქალდეას, აწ უგზობენ გუმიშხანას, სადა ეწამნენ წმიდანი ევგენი,
კანდილოს, ვალერიანე. [და მიერთგან განვიხილენით ეკლესიანი,
და იყო აღშენებული ქართველთაგან. და ვიკითხევდი რა, იგინი
მეტყოდენ, ვითარმედ გუმიშხანა საქართველოსა მეფეთი არისო,
რამეთუ ვეცხლი გამოსავალი აქაური საქართველოთი ყოფილაო.
ქოროხის წყლის სათავე—ეს არისო სამძღვარი საქართველო. და იქი-
დგან ვლეთ შვიდისა დღისა სავალი ეფფრატის წყლის პირი და მო-
ვიწიენით აზრუმად. და მიერთგან გამოვლეთ ოლთისი და მო-
ვედით ახალციხეს, და მუნითგან მივიწიენით სურამაქ*.

* კვადრატულ კაგებში ჩაწერილი ტექსტი შეტანილია B ავტოგრაფიდან—
B 122r.

რედაქციული და ვარსკვლავი
სხვაობანი

1. ლტოლვა] + ქვეყანისაგან ჩემისა. B, 1 r.

2. 7, 1 (მუნით...) და წარმოვემართენი და მოვიწიენით ქვიშხეთს, სახლსა აბაშიძეთასა, და კვირიაკე ვნებისა და პასქა მუნ ვიდღესასწაულეთ. და მიერთ წიგნებითა და კაცითა, ბრძანებითა მეფეთათა, წარმოვემართენით და მოვიწიეთ. ახალციხედ სახლსა ათაბაგათასა სამცხეს. ხოლო ცნეს რა მისლვა ჩვენი, მოგვაგებნეს კაცნი და გვიბოძეს სასახლე და დღითი-დღე საზრდო. შემდგომად ფაშა ათაბაგმან გვიწოდა. მივედით სრასა მისსა და ვიხილეთ რა, ფრიად პატრევ-გვცა წესისაებრ მათისა. წდევითა თერმონთათა, კმევითა სულნელთა, და სხურებითა ვარდის წყალთათა პატრევ-გვცა და გვეტყოდა გზისა სლვისათვის და ზღვით უმეტეს დაამტკიცებდა. და გვიბოძა წიგნები კოსტანტინუპოლედ ვეზირთანა და სხვათა დიდებულთა თანა შეწყნარებისათვის უცხოებისა ჩვენის და გვიმძღვარა ბეგი ერთი. და წარმოვედით რა სადგურად ჩვენდა, მოიწია დღესასწაული პარასკევი თომასი წყაროსათვის წყლისა ცხოველისა. B, 2r-v.

3. 8,13 (რანეთუ თვითცა...) სადა იგი ხატნიცა მათნი იყვნეს მუნ: თვით ალექსი კომნინი და დედა მისი ირინე და მეუღლე თეოდორა ალვისტინა. B, 3v.

4. ამასია. B, 5v.

5. სიტყვა „ახშირი“ აღდგენილია B ხელნაწერის მიხედვით. B, 6 r.

6. 10,10 (ამა ფილადელფიას...)]] ამა ფილადელფიას მივედით აღდილსა და მიგვიძღვნენ ქრისტეანენი სასახლესა ეკლესიისასა და დაგვასადგურეს, რამეთუ ყოვლად სამღვდელო ფილადელფელი სხვაგან წარსრულ იყო, არამედ არქიმანდრიტი ანანია და სამღვდელონი მათნი მოგვეგებნენ და მოგვიკითხნეს და კეთილად შეგვიტკბნეს. და განვათიეთ მუნ დღენი ათნი და ვიხილეთ ეკლესია იგი ღმთისმეტყველისა მიერ აღშენებული ფილადელფისა, ესეოდენ დაქცეული თურქთაგან, მცირედ ორნი სვეტნი და კამარნი ოდენ-ლა იდგნენ. მუნ ახლოს არს კოლასე, რომელ არს ხონი. B, 6v.

7. 10, 24 (და წარმოვედით...)]] და მოვიწიენით შევიდთა მათ ღმთისმეტყველისა ეკლესიათაგანსა სარდოსს, საეპისკოპოზოსა წმიდისა მამისა ჩვენისა ეფთვიმი სარდიისასა და ვიხილევდით ხილვასა საგლოელსა და ცრემლითა საფრქვევსა: სრულიად მოფოჭრებინათ ესრეთ, ვითა მცირედნი ნაქცევნი ძვილ სადამე ჩნდეს ეკლესიისა, რამეთუ ქრისტიანენი სრულიად არღარა იპოებოდეს. B, 7r.

8. 11, 29 (და დავადგერით...)]] მიერითგან დავადგერით იზმირს ჟამნი ორისა კვირიაკისანი. და იყვენ მუნ ქართველნი ტყვეობისაგან დაქსნილნი და ფრიადსა სამსახურსა მოგვიპყრობდენ. B, 8v—9r.

9. 11, 32 (და ვიხილეთ...)]] ვიხილეთ მუნ შკოლა საფილასოფოსო და მონაზონი ვინმე ფილასოფოსი სახელით იეროთეოს. შკოლისაგანთა მათ ასწავლიდა ფრიად ვიდრემე მეცნიერი. მრავალი ვიუბენით მოენითა საფილასოფოთა სწავლათათვის. ხოლო იზმირსა შინა იყვენეს ბალიოზნი ფრანგთა მეფეთანი ბევრითურქთა არარას ეპოვებოდენ, ქრისტიანობა აშკარათ აქვენდათ და ვზრუნევდით წარსვლისათვის იერუსალემსა. B, 9r.

10. ექსორია ქმნილი სულთანისაგან ვლახეთის მეფე კოსტანდინე. B, 10r.

11. 13, 26 (და გვეტყოდენ...)]] გვეტყოდენ მონასტრისათვის, ვითარმედ მდიდარ არს და უძველესითა სიმდიდრითა აღსავსე, რამეთუ თურქთა წლითი-წლად ათორმეტთა ქესათა მისცემს მონასტერი ესე. B, 11v—12r.

12. 14, 25 (ერთი შავი...)]] ერთი შავი არაბი შესრულ არს მონასტერსა მას შინა განკრებვად ეკლესიისა. ხოლო ეკლესიად რა შესრულ არს, საკვირველად ცეცხლი აღგზებია და ასრე სრულიად დამწვარ არს, ერთი მკლავი ოდენ ნიშნად დარჩენოდა A, 9v—10r.

ერთი შავი არაბი განკრებვად ეკლესიისა მის შესრულ არს. დამე ცეცხლით დამწვარა ასრე, მუნ ერთი მკლავი მორჩენილა. B, 13r.

13. 14, 31 (ეს გაუგონია...)]] ხოლო წინამძღვარმან ანთიმოს ნეოფიტე პატრიარქის სასახლე-სენაკში პატიე-გვცა. რამეთუ მუნ გარდაცვლილ იყო. A, 10r.

ესე უსმენია მეფესა კოსტანტინეს მონომახსა და ამისთვის აღუშენებია მონასტერი და მონასტრისა მის წინამძღვარმან ანთი-

მოს ფრიად შეგვიტკბო. და ერთი კონსტანტინუპოლის პატრიარქი ნეოფიტე მიცვალებულ იყო, იქ იმის სასახლეში დაგვასადგურეს. 13,13v.

14. სახელით იოაკიმ, გვართა კავაკ. R, 14v.

15. 16,10 (ამა ჟამად...) ვიყავით ჩვენ გზის უპოვნელობისათვის დიდად შეწუხებული და ვარჩევდით გზისა ჩვენისათვის. და ფრიად უმჯობესად ვიდრევე აღმოჩნდა დაზავებება მთად წმინდად. და მოვივაქრეთ ნავი და წარმოვედით საყიზით გამომსალმებელნი მღვდელმთავრისა და ქრისტეს მოყვარეთა ერთანი. წარმოვედით ღეკენბერსა ოთხსა ზღვით ქართა შეზავებულთა, გამოვლეთ მიდილინი და მოვიწიენით ბოლჩადად, სამწყსოსა მიდილინელ ეპისკოპოზისა ანთიმოსასა, და აღვედიდ სადაცა ქართლისა კათალიკოზი უფალი დომეტი ბრძანებულ იყო. და მოგვეგებნენ ქრისტიანები და კეთილად შეგვიტკბეს და იკითხვიდნენ ამბავსა კათალიკოზისასა. და განვათიეთ მუნ ორ დღე ოდენ და წარვემართენით იქითგან ღელვასა შინა ფრიადსა, და ვლეთ დღე და ღამე ერთი და მივიწიენით ღიმნად, რომელსა აწ თურქნი ილიმიად უწოდენ. და აღვედით დღესა კვირიაკესა ეკლესიასა სამიტროპოლიტოსა და წირვა მუნ მოვისმინეთ, და ვიხილეთ არქიერი ღიმნიისა პართენი და კეთილათ შეგვიტკბო. და დაგვაყენეს სასახლესა კეთილსა. ვისწრაფდით აღსლვად მთად წმინდად, ვინაცა პირისპირ უქვერეტდით მონასტრებსა, არამედ ქარი იყო წინააღმდეგომი; დაეყავით მუნ ათოთხმეტნი ოდენ დღენი, და ქრისტიანენი ფრიად სიყვარულით გვაპატივებდენ. მუნ იყო ექსორიად ყაენის შვილი ცხვირმოკვეთილი სპარსთაგან. და შემდგომად მცირედისა მოვიმზადეთ ნავი, და იქმნა ნება უფლისა. და წარვედით მიერ და მივედით მთად წმინდად მადლობელნი მოწყალისა მეუფისანი, რომელმან უცხოვებასა შინა ჩვენსა დაგვიცვა ზღვისა სვლისა და ჯმელთა ამბოხებათაგან, მისა დიდება, ამინ. R, 15r-v.

16. 18, 4 (ხოლო გარეთნი...) და ორკეცი კარისბუქნი აღშენებულნი თორნიკ ქსნის ერისთავისაგან, დედით ბიძისა ღირსისა ეფთვიმი, კურატპალატთაჲსა მოდგამისა; ხოლო თორნიკ იყო ქრისტეს აქეთ წელთა 749. რაჟამს იგი იჯმნა მთავრობისაგან და წარვიდა მთაწმიდად და მუნ მონაზონ იქმნა, მას ჟამთა ბერძენთა ზედან მეფობდა მიხაილ წლისა ვითარ შვიდისა, და სამეფოსა მისსა განაგებდა დედა მისი აღვისტინა თეოდორა. მას ჟამათ აღიდრნენ სპარსნი და მოიწინენ ვიდრე ბრუსადმდე. ხოლო გამოარჩიეს სპასალრად ჯარისათვის იოანე მონაზონი თორნიკ-ყოფილი. არამედ არა ინება, თქვა, ვითარმედ: მიჯმნიეს ერთგზის და არლა

რა უკუნ ვიქცე. არამედ მამათა ათანასე ათონელისა და ეფთვიმი ქართველისა შენდობითა აღიყვანეს კონსტანტინუპოლეს და შემოსეა სამქედრო, და მოირთო ქართველნი და ბერძენნი და წარიოტნა და შემუსრა სპანი მათნი, და მოვიდა გამარჯვებული; და დედოფალმან თეოდორა უბოძა მრავალი და აღაშენა კარისბქენი და სხვანი. A, 16r-v.

ხოლო გარეთ მრჩობლკეცნი კარისბქენი და გალავანი და სხვანი შენებულობა აღშენებული თორნიკ ქანის ერისთვისა მიერ. ესე თორნიკ სპასალარი ქართლისა და ძლიერი ბრძოლასა შინა, სახელოვანი, იჯნა მთავრობისაგან და იქმნა მონაზონ მთაწმიდაა ქართველთ მონასტერში, რამეთუ ბიძა იყო დედით ეფთვიმე ქართველისა. თორნიკს აქეთ არიან წელნი გარდაჯდომილნი 748. მას ჟამათ მეფობდა ბერძენთა ზედან მიხაილ და თეოდორა, ქართველთა ზე—დავით მეფე. ხოლო მეფე მიხაილ იყო შეიღისა წლისა ასაკითა, და განაგებდა სამეფოსა აღვისტინა, დედა მიხაილისა თეოდორა. მაშინ სპარსნი ამქედრდეს და მოიწიენენ ვიდრე ბრუსადმდე. დედოფალმან სხვა ღონე ვერღარ იძია, თორნიკ-იოვანე, მონაზონი ქართველი, სახელოვნობისათვის მისისა იწვიეს კონსტანტინეპოლედ. არა ენება წარსლვად, არამედ მამისა ეფთვიმეს შენდობითა წარვიდა, და აღიძარცვა მონაზონებისა სახე და შეიმოსა მქედრულეფ, და მოირთო სპანი საბერძნეთით და წარიოტნა სპარსნი და იავარ ყო, ვიდრე სპარსეთამდე მიყვა, და მოვიდა გამარჯვებული; და თეოდორა დედოფალმან უბოძა მრავალი და კარისბქე მით აღაშენა. B, 17r—v.

17. 19, 2 (ესრეთ გვითხრობდენ...)] და ესე ამბავი მათგან გვესმა. და კვალად ფრიად ძველნი დახატული ვიხილეთ ამბავი ესე და მისთვის აღესწერენით. B, 18v—19r.

18. 19, 11 (და წარმოასვენეს...)] და დაასვენეს კართა ზედან. ბერძულეზ პორტაიტი კარს ეწოდება. ამისთვის კარისა ამ (!) ღმთისმშობელი ეწოდება. და ვიხილევდი ხატსა მას საკვირველსა, ძნიად აღმოიცნობვის სახე მისი, და დანა ყელსა კვალად აჩნია გვრემული. ამისა შემდგომად მძიმედ მოუქედია ათაბაგის ყვარვარეს ძეს ქაიხოსროს, ათაბაგსა ქართლისასა და ამირსპასალარსა სამცხისასა, ჯაყელ-ციხისჯვარელსა. წელნი წარსრულ არს მას აქეთ 263. და ზედ გუმბათიანი მცირე ეკლესია აღუშენებია აშოთანს, თითონაც მას შინა სახია და ძე მისი ეზეკიელი. არა უწყოდნი, თუ რომელი ეზეკიელის მამამ აღაშენა აშოთან. A, 17v—18r.

ამისთვის კარსა ზედან დასვენეს. ამისთვის უწოდენ პორტაიტისა, რომელ არს კარისა ღმთისმშობელი. დანა ყელსა აჩნია ნაკრავი, და სახე უცხო რამე საშინელი. ძნელად იცნობება, თუ არ განკრძალვით. ამისა შემდგომად მოუქედია მძიმედ ათაბაგსა და ამირსპასალარსა სამცხისასა, ჯაყელ-ციხისჯვარელსა, დიდის ყვარყვარე ათაბაგის ძესა ქაიხოსროს, დედისიმედის ძეს, წმიდის ქეთეონ დედოფლის დისწულს. მე ეგრეთ ვგონებ, მართალიც არ უწყვი. ზედ საყდარი აღუშენებია ხატისათვის აშოთანს მუხრანის ბატონსა, თვითონაც შიგ ხატია და ძე მისი ეზეკიელ გვერდით უხატია. მე ეგრე ვგონებ ქეთევან დედოფლის მამა აშოთან იყოს. B, 19r-v.

19. 20, 3 (რამეთუ...) რამეთუ აღმოვიკითხეთ ცხოვრებასა მამისა ეფთვიმესსა, ვითარმედ ღირსი ეფთვიმი სრულიად არღარა მძრახველობდა ქართულთა. A, 18v.

რამეთუ ვიხილეთ ეფთვიმისთვის წერილთა შინა ძველთა, ვითარმედ ეფთვიმი სნეულობდა. B, 20r.

20. 20, 37 (კვალად მომეკსენების...) ძველთგანვე ცხოვრებასა საქართველოსა კვალად, ვითარ მრავალთა თანა სასწაულთა საქართველოსა, ესიცა წერილ არს. A, 19r-v.

კვალად არა გახსომთა ქართლის ცხოვრება, რა წარმოიკცოდის? B, 20v.

21. 21, 13 (კვალად მონასტრისათვისავე...) კვალად მონასტრისათვისე მოგახსენო; ესოდენ ვრცელი არს, ვითარ კვირასა ერთსა გზასა ვერა ვპოვებდით. მონაზონნი, კელოვანნი, მხატვარი, ქონი, ოქრომკედელი, ბაზაზი, კალატოზი, ხურო, მკერვალი, მაზმანი, აქიმნი და სასნეულო თავისის ქულბაქებით გაწყობილი; შუაზე დიდი ორღანოს ზარიანი საათი; პალატი დიდი, ხომლითა აღვსილი, საძმო ტრაპეზი, აღშენებული აშოთანისა მიერ მუხრანის ბატონისათვით და ძით და ასულით იქ ხატიან. იქ მიცვალებულა კათალიკოზი ნიკოლოზ, მგონიეს ბატონიშვილი იყოს. A, 20v.

კვალად მონასტრისათვის ვიწყეთ, რამეთუ ზღუდენი და გოდოლნი და სენაკები, აღშენებული ქართველთაგან, ფრიად კეთილ იყვნეს და შვენიერ: სასნეულო და სხვათა მოჭელეთა ქულბაქნი; აქიმნი, ბაზაზნი, კალატოზი, ხურო, ოქრომკედელი, მხატვარი, ქონი, მკერვალი, მაზმანი და სხვანი ყოველნივე მონაზონნი იყვნეს მსხდომნი ქულბაქთა შინა. სასნეულო აღშენებული მეფისა აღექსანდრეს მიერ (რუისის საყდრის კარზე რომ აღექსანდრე სწერია, იმისი), საძმო, პალატი, ტრაპეზი თავის ხომლებით გაწყობილი არის,

აშენებული აშოთან მუხრანის ბატონისაგან (ახლა რომ აშოთან ყოფილა), თავისის შვილებით შინ ხატიან და ქართულე მოხსენება უწერია. იქ ხატია კათალიკოზი ნიკოლოზ და იქავე მიცვალებულა; მგონია, ბატონიშვილი ნიკოლოზ იყოს. B, 21v.

22. 21,35 (რამეთუ წიგნის საცავსა...) ხოლო არს მონასტრისა საგანძურსა შინა წიგნნი ქართულნი მრავალნი: თარგმანება დაბადებისა, წიგნი „სამოთხე საშეებელისა“, ღრმა თქმული სოფრონის მიერ იერუსალემელ პატრიარქისა და მოძღვრისა ამბა იოანეს მიერ ბრძნისა თქმული, რომელიცა თორნიკ-ყოფილსა იოანეს ქართველსა და ძმასა მისსა ვარაზვაჩეს აღუწერინებიათ თარგმანებითურთ ჟამსა დავით აღმაშენებელის მეფობისასა, და სხვა წიგნი „უმილია“. და სხვა თარგმანებანი და სრულიად საწმარნი საეკლესიონი იპოებიან მუნ. და მონაზონთა მათ ფილოსოფოსთა ზედასაზედან ვეზარახებოდი სამეცნიეროთა და საძიებელთა, და იგინი მითარგმნიდენ. რამეთუ ბერძული ენა არა მესმოდა და თათრულე მემოელთ. და ეთარგმნა კირიტს ვისმე ფილოსოფოსსა ღრამატიკა, პორფირი და სხვა საფილოსოფოსო, და თათრულად შემასმენდენ. და ვიყავით სულიერსა მას ცხოვრებასა და პურისმტეობასა მათ თანაზიარ. და დიდი წინამძღვარი ქართველთა მონასტრისა ნათანაელ უფლებდა მას ჟამათ. და დაეხდით ტრაპეზსა, წინამძღვრისა მარჯვნივე—მე, და მარცხნივე—ყოვლად სამღვდელო იოსებ, იმ მონასტრისაგანი, და სხვანი ოცდაათი წინამძღვარყოფილნი და ექვსასი მონაზონი. ამათგანნი ზოგნი სხვაგან წარსულიყუნს. და იყვნეს გუნდნი მონაზონთანი მწყობრ-მწყობრადნი. და ოდეს საქმისა რასათვისმე წამ-უყოფდა წინამძღვარი, ზარსა ჰკრევდენ, და ოდეს აღვდგით, ნაწილსა აღამალლებდენ, აკურთხევდა წინამძღვარი და გაძოვიდით ტრაპეზით. და კვირიაკესა და საუფლოთა მრავალნი ერნი შეკრებოდენ და საზღოსა საფასითურთ განუყოფდენ, რამეთუ დიდი ხარჯი იყო მონასტერსა მას შინა; ვითარ წლითი-წლად ოცდაათი ქესა საფასე მონასტრის ხარჯი გვითხრეს. ძეს საგანძურსა მონასტრისასა მრავალი შემოწირულობა ქართველთაგან: სამკაულნი და შესამოსელნი, და თორნიკის ჯაჭვი და ჩაჩქანი და ქმალი, რაჭამს-იგ ამირსპასალარობასა შინა შეიმოსნა და სპარაზენნი ბერძენნი და ქართველნი მოირთო და სპარსნი იოტნა. A, 21r—22r.

რამეთუ არს მონასტერსა ქართველთასა წიგნნი მრავალნი: თარგმანი დაბადებათა, წიგნი „საშეებელი სამოთხე“, ღრმათ თქმული სოფრონის მიერ იერუსალემელისა და სხვა მოძღვრისა ამბა იოანეს თქმული ბრძნისა, რომელიცა თორნიკ-ყოფილსა იოან-

ნეს მონაზონსა და ძმასა მისსა ვარაზუაჩეს აღუწერიებიათ, და სხვა წიგნი „უმილია“ და სხვანი მრავალნი წიგნნი. და ვიყავ მარადის პურისმტე სულიერთა მათ მამათა თანა, განესცხრებოდი ტრაპეზსა ზედა. მამათა მათ შეკრება მსგავსი იყო ზეცისა უქორციობასა და არარა მსოფლიო კითხვა წიგნთა. და წამისყოფასა წინამძღვრისასა, — ზარი სკვრა ტრაპეზსა და მაზარიანისა მონაზონთაგან მსახურება, გოდრითა ნაძუსრევისა აღება და ყოვლად წმიდისა ნაწილის ამაღლება, და აღდგომა ტრაპეზით მგალობელთაგან „ღირსასრსი“. და განწესება ზათი დიდებული და სარწმუნო იყო. რამეთუ შეიდასი ნონაზონი იყვნეს მონასტერსა მას, — წარსრულნი თუ მუნ მყოფნი. და კვირიაკით-კვირიაკესა მრავალნი უცხონი ერნი შემოკრებიან მუნ, და მონასტრით მიეცემოდა საზრდო და საფასე. გვეტყოდენ, ვითარმედ ოცდა ექვსი ქესა საფასე წლითი-წლად არა კმა. ეყოფის მონასტერსა ამას. მონასტრისა მის სალაროსა ძეს მრავალნი შემოწირულნი ქართველთაგან საყდრის სამკაული თუ შესამოსელნი და ძეს კვალად თორნიკის საქურველი და აბჯარი და ჯაქვი, რაჟამს-იგი მონაზონებასა შინა შეიმოსა და განიოტნა და იავარ ყო სპარსნი. საქურველნი კვალად მუნვე ძეს. B, 22r—23r.

23. 22, 31 (მათთვის ნეტარება...)] ნეტარ იმათ, ვინცა იმ საუკუნოს მოხსენებაში დაეწერება, ვითა ახალმიცვალებულთა რვაასისა და შეიდასის წლისას ესრეთ იხსენებდენ. ამის შემშურდა დაუფასებელი იგი მოხსენება, და ვევედრე მამათა და თქვენ-ჩვენის მეფეების სახელი—თეიმურაზისა და ერეკლესი—აღვაწერინე საუკუნოს მოხსენებაში, თუცა მათ წილ მონასტერს უნდა მსახუროთ. ხოლო ღირსთა მათ მამათა ყვეს კრება და მიმიწოდეს და მირჩევდენ აღთქმასა მონასტერსა მას შინა და არლარა წარსლვად მუნით. თვინიერ იერუსალემისა, რათა ცქემა შევიმოსო და დავადგრე მუნ. ხოლო მე კეთილად აღმიჩნდა ესე გამორჩევა. და შემოკრბენ გუნდნი მამათანი და წარმიძღვენ წინა და გალობდენ „ღირს არსა“. და ვყავ მეტანია საუკუნო მონასტერსა მას შინა და აღთქმა, რათა არლარა გამოვიდე თვინიერ მონასტრისა საქმარისა და ბრძანებისა ძმათასა. და პირველ აღთქმისა შობად უფლისა ნაწვიეს მსხვერპლისა შეწირვად. A, 22v—23r.

ნეტარება მას, ვინცა აქა დაწერილ არიან! და ამისთვის შური შემშურდა მათთვის და მეფეთა ჩვენთათვის მართლმადიდებელთასათვის საუკუნო მოგსენება დავაწერინე D, 13v.

24. 24,4 (ხოლო ამისა შემდგომად...)] ხოლო წარვედით მონასტრით ჩვენით დიდებულსა ლავრასა წმიდისა მამისა ჩვენისა

ათანასე ათონელისასა ლოცვისაჲნოღებად და შევრდომად წმიდათა, რამეთუ ბერძენთა სამეფოსა შინა ესე მესამე მონასტერი არს: პირველი—სინის მონასტერი, მეორე—საბას ლავრა და მესამე—ეს ათანასეს ლავრა, რამეთუ თავი არს ათონისა მთაწმიდელთა მონასტერთა, და შორევდა მონასტერსა ჩვენ ქართველთასა ექვსი საათის საყალით. A, 24v.

25. 24,9 (წმიდა მამა ათანასე...)] ათანასე ტრაპეზუნტით მოიწია ათონად და იწყო შენებად ლავრისა. ხოლო მეფე ბერძენთა ნიკიფორე და ციმისქია მოსცემდენ ხარჯსა მონასტრისათვის. და დაეღვივნეს რა საფასე და საზრდო ათანასეს, და ვერ უძლებდა შენებასა, უკუნ იქცა სოფლად, რათა სავმარნი მოიძივნეს. და კლდესა რა იმას თანა მოვიდა ათანასი, ეჩვენა დედაკაცი ვინმე შევნიერად მოსილი. A, 31 v—32r.

26. 24, 27 (ამა წმიდასა ათანასესთან...)] ხოლო იოანე და ძე მისი ეფთვიმი ქართველნი ლავრასა მას შინა წმიდისა ათანასეს მიერ მონაზონ იქმნეს, და შენდობითა ათანასესითა აღაშენეს ნონასტერი ქართველთა. A, 32r-v.

ხოლო კურატპალატთა ძე იოანე სურვილითა მონაზონებითა იჯმნა ქართლით და დაუტევა სოფელი და მოვიდა ათანასი ათონელისა ლავრასა შინა და იქმნა მონაზონ. ხოლო ესმა იოანეს, ვითარმედ ძე შენი მცირე ქართველთ მეფეს მძევლად წარმოუგზავნია კოსტანტინუპოლედ; მსწრაფლ აღდგა და წარვიდა და ევედრა მეფესა ბერძენთასა, და მოსცა ძე თვისი და მოიყვანა ლავრასა, და ათანასეს მიერ მონაზვნად აღკვეცა და უწოდა ეფთვიმე, განმანათლებელი ქართველთა. და ამისა შემდგომად დიდი თორნიქ ქსნის ერისთავი, დედით ბიძა ეფთვიმისი, მოვიდა მათ თანა ლავრად და იქმნა მონაზონ. არამედ მომავალნი და წარმავალნი საქართველოსანი ფრიად იყვნეს მუნ; რათა არა შეაურვონ ათანასე, აღილეს ნისგან შენდობა და აღაშენეს მონასტერი ქართველთა. B, 30r-v.

27. 27,15 (დღესცა...)] რანეთუ დღეს თურქნი მპყრობელობენ მიშვეებითა ღმთისათა. და გარემოს მთაწმიდისა ქალაქნი მტკიცედ იცევიან მტერთა შიშისათვის, ვითა თესალონიკე, იზმირი, ლიზნა. ხოლო ესე მთაწმიდა ესეოდენითა სიმაგრითა აღვისილი, არცაღათუ თურქნი გზად განვლიან. ანუ რამე ვთქვათ ამათთვის, არა თუ საფარველი ღმთისა ცხადად ხილული. A, 28r.

რამეთუ დღეს თურქნი მპყრობელობენ მიშვეებითა ღმთისათა, ხოლო ფრანგთა შიშისათვის მკვიდრნი და მცველნი ქალაქებთა ში-

ნა ციხეთა და ზღუდეთა მტკიცედ სცვენ. ხოლო მთაწმიდა, დიდისა მონასტრებისა და ციხეებთა მქონებელნი, ესრეთ უშიშად ჰვი-
ეს, არცა თუ მიხედვენ თურქნი. სხვა არა რა არს, არამედ საფარ-
ველი ზეგარდამო სცავს მათ. B, 28v.

28. 27,32 (მთაწმიდა...)] ესე მთაწმიდა არს იმგვრგვლივ სავა-
ლი საათისა ოცისა. მთა ათონი დიდად მაღალი, თოვლიანი და
ზედ ეკლესია ფერისცვალებისა. ამა მთის კალთა სავსე არს მონ-
ასტრებიტა და ეკლესიაებითა. იტყვიან ორი ათასსა სამწირვალოსა.
ამათ შინა არს ოცი დიდი მონასტერი თავისუფალი, რომელსა შინა
სხენან წინამძღვარნი და სკეოფილაკნი. და ეამთა თურქთასა განუ-
წესებდესთ: ვინცა ვინმე წარვალს და ქრისტიანეთაგან საფასეს
მოიღრწს, რომე თურქთა მისცენ, რათა არა აღაოჯრონ მთაწმიდა,
საფასისა მომტანსა აღიყვანებენ წინამძღვრად სხვისა მოსლავდმდე.
სხვა არს სენაკები საყდრითა, სასახლითა, ვენახითა, ბოსტნითა.
კმა-საყოფელითა საქმართათა. ვინცა კრებულთა თანა ძმათა კანონ-
სა ვერ შემძლეა, იმას მოიყიდის და სიკვდილადმდე მუნ არს.
A, 28r-v.

უკეთუ იკითხვედე, მთაწმიდისა სიდიდე არს იმგვრგვლივ ოცდა-
ოთხისა საათისა სავალი, მთა—ტყიანი და შუაზედ ვითა კავკასია მთა,
ეგრეთ შიშველი აღსრული, მაღალი და ზედ საყდარი ფერისცვალებ-
ებისა. ამა მთის კალთა სავსე არს მონასტრებიტა დიდითა და ეკ-
ლესიებითა მრავლითა, ვითარ ორი ათასი საყდარი და ოცი დიდი
მონასტერი, რომელსა შინ ზოგად ცხოვრებულნი მამანი იყოფე-
ბიან, და წინამძღვარი ზის, რამეთუ ახლა განუწესებიათ. B, 28v.

29. კავსოკალივა. A, 33r.

30. 28,21 (იყო მუნ...)] და იყო მუნ დაყუდებული ქართველი,
ანთიმოს ჯავახი, შორად მყოფი სენაკებსა. ესე არა გამოვიდოდის
სენაკით ფრიადისა შიშლოებისა და უპოვარებისა მისისათვის. და
იყო სხვა ქართველი, გერასიმე ატოცელი სამარლანიშვილი, და კვა-
ლად ფცელი გერასიმე და იმერელი, საქარელი ხრისტოდულო, და
კვალად პატიოსანი და დაყუდებული კახი, საალავერდლო გრიგო-
ლი, ფრიად პატიოსანნი მონაზნებიტა. A, 33r.

და იყო მუნ დაყუდებული ანთიმოს ქართველი, შორად მყოფი
სენაკებსა, ფრიად მშრომელი და მოღვაწე. და არა გამოვიდოდის
სენაკით ფრიადისა შიშლოებისაგან და უპოვარებისა. B, 31r.

31. პორტუგალი. A, 30v.

32. 32,14 (მოიწია...)] და მოიწია დღესასწაულისათვის დიდი
ფილოსოფოსი და ახალი პლატონ ეგგენიოს ვენედიკელი, სახითა

მონაზონი, გვართა საფრანგეთისა, განსწავლილი ენითა იტალიურითა და ელენათა, უცხო რამე სახითა და მაღალი ხედვითა ესეოდენ, ვიდრე არარად შეერაცხა პირველთა ფილოსოფოსთა თქმული, არამედ თვით არკვევდა ახალსა რასმე შკოლასა თვისა. და იტყოდენ, ვითარმედ არა იპოების ევროპას გინა აზიას შესადარი მისი. A, 35v.

ხოლო განთენდა რა, მოიწია შკოლით დიდი ფილოსოფოსი ევგენიოს ქვეყანისაგან ვენედიკთასა, განსწავლული ელენებრივითა და ჰრომეელებრივითა, სახითა რათმე უცხოთა და ქცევითა პლატონურივითა, რომელსა ძველთა მათ ფილოსოფოსთა წიგნნი არარად შეურაცხიეს, არამედ უახლესისა არს გამომთქმელი. იტყვიან ძვირად სადამე პოვნილად ევროპიასა მისებრსა. B, 35v.

33. 33,1 (და სულიერი...) გერასიმე პრუტუსინგელი იერუსალემელი, და აწ დაყუდებისა შემტკობი, მეგობარ ჩემდა იყო და მოენე თათრულად. ის თან აღვიყვანე, რამეთუ მუნ გაუყრელ ჩემდა იყო. ხოლო სცნა რა ევგენიოს ბრძენმან მისლვა ჩვენი, წინა მოგვეგება მონარხი იგი მაღალი და უცხოებისათვის ფრიად შეგვიტკობ და სადგური განგვიშადა. და განვათიეთ სამი დღე და ვკითხვედით მრავალთა საძიებელთათვის, და უცხოდ რადმე განგვიმარტებდა. ხოლო ვკითხე სომეხთათვის: სამებისა ღმთისმეტყველებისა შორის სულისა გამოსვლისათვის ჩვენი „აღვიარები“ მათ თანა სწორედ არს, ანუ არა? ხოლო იგი მეტყოდა: ჩვენი „აღვიარები“ მამისაგანობა და ძისა მიერობისაგან კიდე გამოსლვა სწორედ აღვიარების. A, 36r-v.

რამეთუ გერასიმე იერუსალემელი და აწ დაყუდებული, კაცი მეცნიერი და სულიერი მეგობარი იყო უცხოებისა ჩემისა მუნ, და მიძლოდა. ოენეც იგივე იყო ჩემი... ესეცა ვკითხე, ვითარმედ: სამებისა ღმთისმეტყველება ჩვენი სწორე არს ანუ სხვა? ხოლო იგი ესრეთ განმიმარტებდა: ჩვენი „აღვიარები“ გამოსვლისათვის სულისა მაშისაგან აღვიარებთ, ვინათგან ძე თანაარსი არს მამისა და სამარადისო. ამისთვის მამისაგან რა ვიტყვი, მამისა და ძის სული და თანასწორი სწორადვე გამოვალს. ხოლო იგინი რომელიმე არა ესრეთ. და მრავალსა მეტყოდა, რომელი არა აღიწერების სიმრავლისათვის და განკვირვებულ ვიყავ მისა სიბრძნესა. B, 36v.

34. ხილანდარად A, 38r. ქილანდარად B, 38r.

35. 36,8 (რამეთუ...) ვინა რომელსაცა ქვეყანასა მიხვიდე, მონასტერნი და მონაზონნი იყვნენ მუნ, ხოლო ქალაქი მონაზონთა არასადა არს, თვინიერ მთაწმინდისა. A, 40r.

რამეთუ მონასტერნი სხვასა საქრისტიანოთა შინაცა არიან და განწესება მონაზონთა, არამედ ქალაქი მონაზონთა არასადა იპოება. B, 40r.

36. ფილოთეოს. B, 40v.

37. 36,19 (გვეტყოდენ...) ხოლო კოვზთა მათ მოსყიდვად და ხილვად მისდა მივედით და ვიხილეთ: შიშველი, მცირედი ძონძი შალისა ეფარა და თავსა რტოთაგან ხეთასა მსგავსი ეკლის გვირგვინისა ედგა. და გვიხილა რა, უკუნ გვრიდა. ხოლო მე შეეშინდი, ნუუკვე უღირსება ჩემი უწყის და ჩემთვის ივლტის, და არავის შეავაქრა კოვზი. ხოლო მყოვარ ეამ ვედეგით რა და იგი შორიდგან გვხედვიდა, წარმოვიდა და მივმო: დესპოტა, აილე სამი ესე კოვზი. და დამიკვირდა, ვითარმე იცის ჩემი ამბავი, თუ ვინ ვარ. რამეთუ არაოდეს მეხილვა. აღვილე კოვზნი და წარმოვედით. A, 40v.

38. წელნი არიან გარდასრულნი მათ აქეთ 220, B, 42r.

39. 38, 24 (ამისა შემდგომად...) შემდგომად ამისა გუმბათი დაქცეულა და სამკრონი. ხოლო საფასე მოუცია არჩილს, მეფეს იმერეთისას, და გიორგის, ქართველ ბატონს, გუმბათი და ტყვიით იმათ გაუახლებიათ. სხვა საყდარი იქავე აღუშენებიათ ვახტანგს, ქართველ ბატონს, და აშოთანს, ბიძასა მისსა მუხრანის ბატონს. და არს სამარადისოდ მოხსენება მათი. A, 43r.

40. 39,31 (გვეტყოდენ...) ხოლო ამისთვის ეწოდებ(ბის), დიონისიო დაყუდებულმან, ვინმე ღირსმან, იწყო შენებად მონასტრისა ამისა შეწყენითა და საფასითა ბერძენთა მეფისა ალექსი კომნინისათა. ზოგნი იტყვიან ქართველთ მეფეთაგანაო, და ამისთვის დიონისიო უწოდეს. A, 44r-v.

41. 40,6 (იგი მეტყოდა...) იგი მეტყოდა ქართულად, ვითარმედ მე ქართველი ვარ სოფლისაგანი უსისტყისა, საამილახვარო; ოკრებასა ქართლისასა ლეკთაგან ტყვე ვიქმენ და მომიყვანეს და მომიყიდა თურქმან ვინმე. A, 45r.

42. 41,19 (არიან აქა...) და იყენენ მუნ მამანი ქართველნი: გაბრიელ ღვანკითელი, იმერელი, სერობინ ქართველი და ლაზარე დაღელი. A, 47r.

43. 42,6 (და იყო მუნ...) და იყო სამისა სა(ა)თისა შორის მონასტრისა მის დაყუდებული ერთი კახი სა(ა)ლავერდლო, სახელით გრიგოლიოზ. გვინახა და ნამუშაყენი მისნი კოვზნი მოგვიძღვანნა, და წარმოვედით მუნ მონასტრად ლოცვისა მომღებნი მათნი და მოვიწიენით სიმონ-პეტრად. B, 47r. (46 v-ზე მიწერილია: „ორთა

ამათ მონასტერთა შორის იყო კახი იგი შეყენებული და ამის-
თვის ორგანვე აღვსწერეთ“).

44. მისლვა ჩვენი წმიდად მონასტრად რუსთა. A, 49v.

45. დუქარიოსა A, 50r; დუქერიოსა B, 49v.

46. უნებლიეთ A, 51r; უნებლიათ B, 50v; უნებლიათ D, 32r.

47. 46,3 (სცნეს რა...) სცნეს რა მისლვა ჩვენი მამათა რუს-
თა და ბულღართა, რამეთუ მუნ ბერძენი არა არს, და მოგვეგებენ
წინამძღვარნი მდინარითა და კვერთხითა, ვითარცა არს წესი მო-
ნასტერთა, და გალობდენ რუსულად „დოსტოინოსა“ და უამბორეთ
ნაწილთა. A, 52r.

48. 46,9 (და ვიკითხევდი...) და ვიკითხევდი რა აღშენებისა
თვის მონასტრისა, ხოლო მათ მოგვითხრეს ესრეთ: რამეთუ ის-
ტინიანე მეფისა ბერძენთასა ძმისწულთა ეჩვენა წმიდა გიორგი
და აუწყა, რათა აღაშენოთ მონასტერი მთასა წმიდასა, ადგილსა
დასახელებით. ხოლო მოვიდნენ, იხილეს ადგილსა ამას მარმარი-
ლო მცირედი: სუნნელთა აღმომცენებელი და იწყეს შენობად მო-
ნასტრისა, და ევედრებოდეს უფალსა; რომლისა წმიდისა სახელსა
ზედან აღაშენოს ტაძარი იგი. და შემზადეს ფიცარი ხატისათვის
და იტყოდეს: რაცა უფალმან გვაუწყოს, იგი დავსახოთ ფიცარსა
ამას ზედან. და იქმნა საკვირველი, რამეთუ ფიცარსა მას ზედან
შეორესა დღესა იხილეს სახე მთავარმოწამისა გიორგისი და გან-
კვირდენ საკვირველებასა მას ზედან და უწოდეს ენისაებრ ბერძე-
ლისა უზოლრაფ, ესე იგი არს გარდმოხატული, ვიდრე დღეინდელად
დღედმდე ეწოდების. ხოლო ამისა შემდგომად მოგვესმაო, ვითარ-
მედ იერუსალიმისა ახლოდ, რომელსა იათად სახელდებენ, მუნ არს
სოფელი ერთი, რომელსა რემლი ეწოდების; და იყო სოფელსა მას
შინა მონასტერი წმიდისა გიორგისა და ხატიცა მისი ესვენა, და
ნებითა ღმთისათა აღიწოცა სახე ხატისა მის და აქა ცარიელსა მას
ფიცარსა ზედან გარდამოისახა, ხოლო ფიცარი იგი მისი ცარიელი
დღესამომდე არს მუნ. ხოლო წინამძღვარმან მის მონასტრისამან
იწყო ტირილით ვედრებად წმიდისა მოწამისა, თუ სადათ მიგვე-
ფარე. და ჩუენებით იხილა წინამძღვარმან მან, სახელით ევსტრატე,
ვითარმედ მთაწმიდას უზოლრაფსა ვარ. და მოვიდა წინამძღვარი
ევსტრატეოს აქა და იხილა რა, ფრად განკვირდა. ხოლო ვიხილე
რა სახე იგი მოწამისა, ფრად საშინელი რამე იყო. და დავათიეთ
რა მუნ ქამნი რაოდენიმე, და წარმოვედით მიერიოვან. A, 52r—53r.

ხოლო ვიკითხევდი რა, ვის მიერ აღშენებასა მონასტრისასა, გვეტყოდენ, ვითარმედ, ისტინიანე დიდისა მეფისა ძმისწულთა ჩვენება გამოეცხადა, ვითარმედ მთასა წმიდასა, სახელდებით ამა აღგილისათვის ეუწყა, ვითარმედ მონასტერი აღმიშენოთ. მსწრაფლ მოვიდეს ადგილსა ამას და პოეს მცირედი რამე ნიშანი—ქვა მარმარი აღმომცენარე სუნთა კეთილთა—და შთაყარნეს საძირკველი მონასტრისა. და იწყეს შენებად და არა უწყოდეს, ვითარმედ რომლისა წმიდისა სახელსა ზედა აღვმართოთ ტაძარი. და შემზადეს ფიცარი და ევედრებოდეს უფალსა, რათა გამოუცხადოს სახელი წმიდისა, ვისიცა ენებოს. იხილეს საკვირველი, რამეთუ ფიცარსა მას ზედა იხილეს სახე წმიდისა გიორგისი, და განკვირდეს ამას ზედა და მადლობა შესწირეს, და უწყოდეს ენისაებრ ბერძულისა უზოლრაფ, რომელ არს გარდმოსახული მონასტერსა ამას. ამისა შემდგომად მოსრულ არს მონასტერსა მას ბერი ვინმე სახელად ეესტრატი. ხოლო უკითხავთ რა მიზეზი მუნ მისღვისა, უწყიეს თქმად, ვითარმედ მე წინამძღვარი ვარ რემლისა მონასტრისა, ახლოდ იერუსალემისა, წმიდისა გიორგისი. რამეთუ არს მონასტერსა ჩვენსა ხატი წმიდისა გიორგისი. შევედით რა და ვიხილეთ ხატი, არღარა იყო სახე, არამედ ფიცარი ლიტონი. ხოლო მე შევშინდი და ვიწყე ტირილად ღამე ყოველ და ვედრებად წმიდისა გიორგისი, თუ სადათ მიგვეფარე და რასათვის დაგვიტევე წმიდა მოწამეო. მას შინა მირულებულსა მეჩვენა წმიდა მოწამე, ვითარმედ უკეთუ გინებს ხილვა ჩემისა სახისა, მთაწმიდად მონასტერსა უზოლრაფსა ვარ გარდასახული. და აწ ესე რა მოვალ რემლით მონასტრით. მაშინ იხილა რა ხატი წმიდისა გიორგისი, მრავალი ცრემლი დასთხია და წარვიდა. ესრეთ გვითხრობდენ. ხოლო ვიხილე რა სახე, ფრიად ძველი და საშინელი რამე სახე იყო. და ამისა შემდგომად აღვიღეთ ლოცვა მათ სულიერთაგან და მოვიწიენით მონასტრად პანტოკრატორად. B, 51v—52v.

49. 49,18 (ერთი...)] ერთი—მარიამ დედოფლისა, დადიანის ასულისა, მეორე—ბაგრატ მუხრანის ბატონისა და ელისე თბილელისა, და საკურთხეველი მით მოათარადაგეს. A, 56r.

50. 49,30 (გარდავიჯადეთ...)] გარდავიჯადეთ დედოფალი და უფალი ერთშაბათთა. და იყო ტრაპეზობა და სერი სულიერი და სავსე. და მოიწია სამშაბათი პასქაისა, დღესასწაული პორტაიტისა ხატისა, რამეთუ დღესა ამასა გამოსვენებულა ზღვით ჭელითა გაბრიელ ქართველისათა. შეიქნა ცემა ზართა და ელერა დიდსა ეფევანსა მონასტრისა, და შევიმოსეთ და გამოვასვენეთ სახილველად ზარის სახდელს

ხატი პორტაიტისა ლამპრებითა და კეროვნებითა, ფარნებითა. და შემოვლეთ გარე მონასტერი და კელიაები ძმათა და მივასვენეთ ზღვისა პირსა, სადა იგი აღმოსრულ არს ხატი. და არს მას მცირე ტაძარი და დაასვენეს. და იყო წირვა საიდუმლოსა მუნ. ესეოდენნი მონაზონნი შემოკრებულ იყვნეს, ვერ იტევდა აღგილი იგი. და კვალად წაასვენეს მონასტრად, და მიიხლოვდა რა, იყო ცემა ზარბაზანთა და თოფთა მონასტრისათა ძლიერი. A, 56v—57r.

და გარდავიკადეთ დედოფალი და დღესასწაული ერთ შაბათთა. B, 56v.

51. 50,9 (ხოლო იგი...)] ხოლო იგი მეტყოდა, გამოუთქმელთა გამოთქმა, ზღვევა მეცნიერთა. არამედ ესრეთ აღვიარებთ და ესრეთ გამოვთქვამთ გამოუთქმელთა, ვითარცა სული კერძობითსა ადგილსა ერთსა და არა ყოველგანვე აღიარების, არამედ გონება სულისა საკუთარი, ყოველსავე მოვლის. გინა გვამი ერთსა კერძოსა, ხოლო თვალი გვამისა ყოველგანვე მხედველობს. ეგრეთვე სიტყვა ღმთისა, მისდა შეერთებულისა უმწვერვალესისა მყოფობისა, კაცისა განუშორებელად ღმთაებით გარეშემოუწერელობს. ხოლო ჯორცნი, განუყრელნი ღმთისაგან, გარეშეწერილ ერთსა ადგილსა კერძოსა, და არა ვითარ წვეთი ძმრისა ზღვასა შინა, რამეთუ უჩინოქმნასა გამოსახავს. და არს ესე „აღვიარები“ ევტიქისი. ხოლო მესმა რა ესე, ფრიად მთნდა უმეტეს ლეონტი ბიზანტიელისა—მდოგვისა მარცვლისა შორის ცეცხლისა სახედ შემომღებელ(ი)სა. და ჰგომობდა ფრიად პორფირის და თავგედად სახელს დებდა,—უჯეროდ შემოიყვანაო ელლენთა ღმერთი სასიბრძნოთა შინა. ამისა ვითარმედ სიტყვიერისა შემოყვანამან და ზედ უკვდაობისამან განგყვანა ჩვენ და ღმერთნი; და მეორესა საზღვარსა განუკვეთელთასა სახესა შორის შემოყვანა ნათესავისა უჯეროდ აღწერაო, რამეთუ იყოვო ერთსული ორიგენისა და ერთსა შკოლასა აღზრდილი, ელლენობისაგან იქმნა ურიაო და ურიაობისაგან ქრისტეანე და ქრისტეანობისაგან მწვალებელ და უღმთო. და მრავალნი სიტყვისგებანი გვქონდეს, რომელი აქა არა აღიწერებიან სიმრავლისათვის მათისა. A, 57v—58v.

და ვკითხვედი ფილოსოფოს(თ)ა ღმთისმეტყველებითისა ძლით თხრობისა მისთვის საუფლოსა მის კაცისა ამაღლებულისა, ქრისტეს ჯორცათთვის სადაობასა, ვინათგან გარეშეუწერელისა თანა შეწერილ არიან კაცება. და ვითარ იგი წინააღმდგომნი სახედ მისად მოიპოებენ წვეთსა ძმრისასა შთაგდებად ზღვასა და უჩინო ქმნად. B, 57v. (უკანასკნელი წინადადების გასწვრივ კიდევ მიწერილია: „თუცა წინააღმდგომნი მოიპოებენ ამას, არამედ თქმულ არს გრიგოლ ნოსელისა“).

52. B და C რედაქციებში ცნობები „შპანიელთა“ შესახებ ორორ-ჯერ არის მოტანილი. B რედაქციაში პირველ ცნობასთან დაკავშირებით კიდევ მიწერილია: „შპანიისათვის სხვადასხვა რიგად გვეს-მა და ამისთვის ორჯელ აღვწერთ“. B, 58v.

53. 51,12 (და ფრიალ...) და გვეყარე გულმტკივნეული მო-შორებებისათვის, რამეთუ ფრიალ შეგვიტკბო და უამხანაგოს ევრო-პულთა მეპატრონეთა თადარიგითა მეთავაზებოდა A, 58v.

54. რაოდენიმე] + იროიკო მთაწმიდისა და იამ-ბიკო მსოფლიო.

ტომი და სახელ სამოთხე ვითა არენი საესე. ნარინჯ-თურინ-ჯიანობა, პურთუკალნი, ხეხილთა რტო კოწოლ მუნ მიდ-მო. უდ, დაფნი თანა ფურჩენილთა ვარდთა. სხვა ვაზთა ვენაჟ კეთილ ჩრდილ-ფურცლიანობა, შიგან აედონთა მკვირცხედ ძახილი. ცე, სამოთხე ტკბილსაშეები, ვფუცავ, არის პარადისო.

ჩნა ათონთა ყინვადმი ზე ასპეტაკები ახარისხებით ზე ღრუ-ბელთადმი, ზაფხულთადმე ქვემოთ ბეზეკთა აღენენ, სადა აღვისა ნორჩთა საროდმე ფიქვნაძენარიაანობა განმკვრეტთა კბოდეთაგან წყაროთა განცხრომათა თანა ზღვისათა ამოთა ამოებენ. პერეულთა სიმჩქეფრე ველთა მწვანილოვანთა აცვრევენ, ვფუცავ, არის პარა-დისო.

მსგავსი ლვისიურთა მდელთა ფერადები მე მეასფოდელოვა კორდნი, მცენ იათა ზამბახ-ყარამფილ-ნარგისულობა, ვი(თ) ედემით აღმონერგულე ველთა სუნნი იხათავეთურებოდა ყნოსით, ვფუცავ, არის პარადისო.

ოო მონაზონთა ასპარეზობა, იერუსალემისა ზეზისა ურაკპარაკნი და უმეულლოთადმი სპარაზენნი და მათ შორის მეფთხილვანნიმე-მადლი მაგრილობელი ღირსთა და სხიე-კამკამი დიდებათა მეჰამო-ვა. მოლვაწეთა ბანაკ-მწყობრედობადობა ასკიტთა, ირემთა სახე ვლდომა რა განვსვკვრიტენ, ვფუცავ არის პარადისო.

თეიმურაზობა გვარეულადვე ისახელმოდგამობს, შამშისა ნა-კვეთიაო, ქართულთა შარავანდთა დიადიმათმე განდგმულეზ. ძისა ირაკლიოსა, თანამოსახედ პირველთა ირაკლიოთა, ორთავე სპარსთა მემუქარეთა სიმჩქეფარეთა ველთა აღენენო, ვთქვი არის პარადისო.

ესთენი მცირაკნი ქარტნი უნამკვო ვძღვენენ თქვენ ორიონთა აღმომკვირებულთა დიდებისა სეპის პირობათა წინამი მე, უნდოთა უნდომა, ვინ თქვენ ახლისა ქრისტეს სტრატეოტობისა თავდგმუ-ლებისა პატივსა და ტომკეთილობათადმე ბედსვიანთა გონება-ცხოველობითისა და სული მიდრეკისადმი მეტრფე. სამარადისომან-

მე უვნ-უესთა წიაღთამი აღგიქვას და ჟამნი სამზეგრძლო უძვე-
ლოდსა შარავანდითა გან-სავსე- გინიქოსთ და ნიაღაგმცა ყმდებით
აწ, და მუნ სამკვიდროდთა, სადა არის პარადისო. A, 59r-v.

ათონი ყინვითა სპეტი, ახარისხებით ღრუბელთადმი ზეაღ-
წევნით, ბეზეკ-ელვარეთა ნაკადთა აღენენ ზედა აღვისა ნორჩთა.
სარო-ფიქვ-ნაძვნარობათამი და კბოდეთა ჩქერა წყაროთაგან ცხრომა-
თამი ზღვისათა იშთა მოებენ და მდინარეთა პერეულთა მჩქეფა-
რება ველთა მწვანედ ახავედებულთა ცვარსა აცვრევენ. ვფუცავ,
არის პარადისო.

სახედ სამოთხე ვითა მიღ-მო არენი, ნარინჯ-თურინჯოვანნი
მალნარნი, უჰამრავ რტო-კოწოლ ხეხილთა და უდ, დაფნნი, ფურ-
ჩენილთა ვარდთათა ფშვა და ზედ ხვეულთა უსურვაზთა და ვენახ
ჩრდილ ფურცელთა შინა მკვირცხე აედონთა ყივილი ვასახენ ტბილ-
საშეებელ სამოთხესა და ვფუცავ, არის პარადისო.

ღვისურთა მდელითადნი ფერადობა მე ყვავილთა ასფოდე-
ლოებ კორდნი იათა მცენ. გვერდნი—ყარამფილთა ზამბახ-სოსან-
ნარგიზულეები, ვითა ედემით აღმონერგულეებ ფავარათა თანა მოა-
რულობდა. ვინმე მთქმელი, ვითარმედ ყნოსა აღმევსო, სუნი მეხა-
თავეთურა, ვფიცავ, არის პარადისო.

მონაზონთამი სიმრავლე, ესეთთა ურაკპარაკთა შინა უმეულ-
ლოთა სპარაზენნი, მწყობრნი საბაოთისა. და შინა ამათსა ფთხილ-
ვანნი მონასტერნი, და სისავსე მოღვაწეთა, ბანაკ-ბანაკნი და ზოგ-
თა სახედ ირემთა ზე მათთა მძოვარ მოარულობა განვსკვირტენ,
ვფუცავ, არის პარადისო.

შორად განკიდებულ ამათგან მსოფლიოთა ზღაპრვათა რი-
ტორება. და რომელნი იტყვიან: ნარგისით გვრგვინებულთ და ეთე-
რით ტფობილნი ცვარნი არღავანისა პობილისა ნაკადთა შეერთ-
ვისო. სიმუხთლით ტრფიალთა წარტაცებისა სიღრმენი აღივსე-
ბიან. ვფუცავ მე, არა არს ესე მათ თანა პარადისო. C, 307v.

55. 51,14 (და მოვიწიე...)] და მიერ წარვედით მონასტრად-
ვე ჩვენსა, და საუნჯეთა წიგნთასა ვეძიებდი წიგნსა წმიდისა მაკარი-
სასა, რომელი ქართლად არღარა იპოების და ვპოვე ძველი და-
მცირედნი რაჟმე, აღმოვსწერეთ წიგნსა ამას სმენად ქართველთა-
თვის. B, 62r-v.

56. 53,19 (და ამოდ...)] და ტბილად და ამოდ მოგვიკითხა და
ზედასაზედან გვიბრძანებდა და გვკითხვიდა თათრულად, რამეთუ
ფრიად ესწავა ენა იგი. A, 61v.

57. 54,16 (კვალად...) და გამოვესალმენით პატრიქთა და მზა ვიქმენით კვალად მთაწმიდადღე წარსლვად, რამეთუ ეამი იყო ფრიადი. ხოლო იქ ყოფასა ჩვენსა შევიტყვევით: მაკარიოს, იმერეთს რომ იყო და ქართლს, პატრიქის ბერი, ქართლიდამ მოსრული დაექირათ, მრავალი კვერთხი ეცათ პატრიარქსა და ეპისკოპოზთა. რუსთა ელჩს შევედრებოდა და გაპარულიყო და იქილამ გამოეყვანათ და მთაწმიდას ექსორია ექმნათ, იქ ვნახეთ. ამისა შემდგომად წარვედით ნავით მთაწმიდას. A, 62r.

58. 55,2 (ამისთვის ვკითხვედი...) და ვკითხვედი თარგმანთაგან წერილთა შინა, ვითარმედ ბერძულისაგან შპანიურად ვთარგმნეო—ქართულთა იტყოდა. და ამისთვის ვკითხე ევგენიოს ფილოსოფოსსა, თუ ვითარ ქართველთა შპანია ეწოდების. ხოლო მან მომიგო, ვითარმედ წერილთა შინა აღმომიკითხავს, ვითარმედ ოჯრობასა ქართლისასა მეფე და ერნი ქართველნი მოსრულან შპანიას, და მეფესა მათსა შპანიათასა ერქვა ქართველი; და კვალად განმრავლდა რა შპანია, წარვიდენ შპანიელნი ქართლად პირველ ქრისტეს მოსლვისა და ამისთვის უწოდეს შპანია ქართველთა. A, 62v.

59. იტყოდენ] + და კვალად მოგვესმა ვისთვისმე შეეყენებულისა მონაზონისა, სახელით აექსენტისა, ვითარმედ მრავალთა სასწაულთა იქმსო. და გვითხრეს, ვითარმედ დედაკაცსა ვისმე შეერთო თურქი, და აღუარა ცოდვა იგი აექსენტის, ხოლო მან ფრიად შერისხა და უბრძანა დატევება თურქისა. და ვითარ განეყო ქმარსა მას, განრისხდა თურქი იგი და მოიწია აექსენტისა ზე და ორისავე ჯელითა ტაბანჩანი მოულო, რათამცა სროლითა მოეკვდინა, და უკულმართ ექცნეს ჯელნი, და დასცვიენეს ტაბანჩანი. და მრავალთა ბრმათა, იტყვიან, მხედველობა მიმადლაო. და სხვასა მრავალსა სასწაულსა იტყვიან: ვითარ იგი მოვიდა კოსტანტინუპოლედ და ესმა რა მისთვის ხონთქარსა, წარავლინა კაცნი, რათა შეიპყრან. და მივიდნენ კაცნი და შეიპყრეს, და ბორკილი შეასხეს ფერჯთა და ნავითა მიყვანდათ, — მსწრაფლ იხილეს აექსენტი ჯმელად, და ბორკილი ნავსა დაურჩათ. ამისი მხილველი მეც ვიხილე მრავალი. კაცი არს მონაზონი, დიაკონი კურთხევეითა, არამედ დიდისა მარხვეითა და მოღვაწეებითა განლუული, დღესაცა საილუმლოდ კოსტანტინუპოლედ იქცევის. ამათ ჩემთა წერილთა შინა სასწაულნი და ამბავნი სხვადასხვანი რაოდენიცა აღვსწერენით. ვითაცა სარწმუნოთა კაცთაგან შევისმინეთ, ეგრეთ აღვსწერენით, რომელიც თვალით ვიხილეთ, ის აღვსწერენით. ნაცილი და ჩემით რამე არარა შემეიწყვიეს და აღმიწერიეს, სარწმუნოდ მოიხსენეთ. A, 63r-v.

60. 57,1 (თოფ-იარაღიანი...)] ათი თოფ-იარაღიანი კაცი გა-
ატანოთ, მშვიდობით მივიდეს.—B, 75v.

61. შეწყნარებისა.] + გვითხრობდენ, ვითარმედ დედა ჯელ-
მწიფისა სულთანისა ამის იყო საიდუმლოდ ქრისტიანე. დღესა ერთ-
სა შეესწრა ძე თვისი სულთანი, რამეთუ წინაშე ჯვარისა ილო-
ცვიდა და პირსა ჯვარსა იწერდა. ხოლო სულთანი ეტყოდა: დე-
დავ, ჩემთვის ჰყოფ ლოცვასა, ანუ მოსკოვისათვის? ხოლო დედა.
ეტყოდა: არა, ჯელმწიფეო ჩემო, შენთვის არს ვედრება ჩვენი. და
დასწულდა რა დედა ჯელმწიფისა სურვილისათვის ზიარებისა, მი-
ზეზ-იდგა, ვითარმედ ნავით სლვა მიწებს, და შთაჯდა ნავსა და.
მღვდლისა ვისგანმე საიდუმლოდ ზიარება მიიღო, და მისრული სამ-
ყოფად მიიცვალა. B, 76v.

62. 55,15 (სახლსა გარდავკედით...)] და გარდავკედ კვალად.
სტავრაკ მდიდრისა ექიმისასა და ძესა მისსა გიორგის ვევედრე.
ჯელმწიფისა ფერმანისათვის. და მქონდა თათრული წიგნი წარმო-
ტანებულნი ფაშისა მიერ ახალციხისა ვეზირთანა და სხვათა დიდ-
თა კაცთა თანა. და უჩვენე იგინი. და აღმოიკითხა რა, განკვირდა,
რამეთუ ფრიადი პატივისცემა და მშვიდობით გასტუმრება ჩემი
ეწერა მათ შინა. და წარიღო და მიართვა ვეზირსა და სხვათა კაცთა.
მათ აღმოეკითხათ რა, მსწრაფლ ებრძანათ მისლვა ჩვენი. ხოლო
მე მიზეზი ვთქვი სწულებისა, რამეთუ არა მენება თვალითა ჩემი-
თა ხილვა მათი შიშისათვის, არამედ მათ ფრიად მოწყალება იკმა-
რეს ჩემზე და წარმოავლინეს თვით იგივე გიორგი სტავრაკის ძე,
რამეთუ ყაფი ქება იყო იგი და დიდ წინაშე კარისა მათისა. და
მიბოძეს სრა, დიდად პატიოსანი და მრავალფერითა შადრევნითა
და აუზებითა და ბალითა შემკული, და მოგვიფინეს ნატიითა და
ბალიშითა მდიდრითა. და უბრძანეს საზღო ჩვენი დღითი-დღედი.
და ვიყავით სოფლი(ს) წარმავალთა შვებასა, რამეთუ ჯორციელთა.
შექცევათა სულიერიცა ნუგეში გვეცემოდა, რამეთუ ზედასა-ზედან
ვიახლებოდით პატრიაქსა,—უფალსა კვირილეს კოსტანდინუპოლი-
სასა, რამეთუ ფრიადცა გვწყალობდა. და ებოძნეს საფასენი არა-
მცირედნი და პანდახუსა წიგნი პატრიარქისა, ვითარმედ ძმა ჩვე-
ნი და მღვდელთმთავარი საქართველოსა არს ესე და ჩვენისა მალ-
ლისა ეკლესიისაგან და ჩვენგან ნება აქვსა, იერუსალემს წარვალს-
სადაცა მოიწიოს, უცხოებისათვის და ქრისტეს მოყვარებისა პატი-
ვი მიუპყარით, ვითარცა ჯერარს ეპისკოპოსისა.

და ზედასაზედან მოვიხილევდით მიტროპოლიტსა თესალო-
ნიკისასა და ხალკიდონისასა და კიზიკიოსასა და სხვათა მრავალ-

თა სამღვდელთა ნავითა ამოთა მცურვალთა იწროსა ზღვასა. და რამცა იყო იქა ყოფისა და მათ პატიოსანთა კაცთა აღერისისა უამე და სადგური, სავანე ჩვენი, მალლისა ჯელმწიფისაგან ბოძებრთ გარიგებული? სრულიად დამაეიწყდა, რაოდენიცა საქართველოთა შინა დღეკეთილობა მენილვა. ეამი იყო შემოდევისა, ჰავითა კეთილთა და ამოთა საესე. ხოლო ამისა შემდგომად მალლისა თურქთა ჯელმწიფისაგან მომივიდა წყალობა, წიგნი დიდი ფერმანი, ვითარმედ ესე ეპისკოპოსი ჩვენი სტუმარი არსო უცხოს ქვეყნიდამ, ჩვენის მალლის კარისათვის მოუმართავსო; ფაშათა და ენგიჩარალასთა გიბრძანებო და ყოველთავე—არავინ რა აენოთო. მე და ბერნი და ერნი, ვინცა ვინ მახლდეს, შთაეწერათ. და მადლობა შევსწირე ღმერთსა, უცხოებასა შინა ჩენსა ესრეთ მამებრივ და კაცთმოყვარებით დამცველსა ჩემსა, რომელმან ყვნის წყალობა და სამართალი დაწუნებულთა, რომელმან არა მოიხსენა ბრალნი ჩემნი ეამსა მწირობისა და უცხოებისა ჩემისასა, დიდება მისა! ამინ. და მეძნელებოდა განსლვა კოსტანტინუპოლით და მოშორებდა სულიერთა მამათა. და ზამთარიცა მოიწია, და დავადგერიო მუნვე, რამეთუ უმჯობეს ვიჩინეთ დაზამთრება მუნ. თვით ეს ქართველნი აღელნიც მუნ სრასა ჩემ თანა იყენეს და ესენი მოახსენებენ აქაურსა და ჩვენსა ამბავთა. ხოლო ზაფხულისად გზისათვის იერუსალემისა ვიღვწით, ნუუკვე ღმერთმან არა უგულებელს გვეყენეს. A, 63v—65v.

63. 58,26 (მუნ ყოფასა ჩვენსა...)] აქავე ყოფასა ჩვენსა ექსორია ყვეს პატრიარქი კირილე კვიპრეს და დასვეს პატრიარქი კალინიკე, ძველისა ლავრისა მიტროპოლიტი. რამეთუ შემოკრბენ მღვდელთმთავარნი საბერძნეთისანი კრებითა და პალატით მალალსა ეკლესიასა შემოიყვანეს. და თქვა ხალკიდონისა მიტროპოლიტმან „კურთხეულარსი“ და ნიკიისამან და ნიკომიდისამან სხვანი ლოცვანი. და აკურთხეს და აღიყვანეს ტახტსა ყოვლისა სოფლისა პატრიარქი კალინიკე, კაცი ბრძენი, საღმთოთა წერილთა მეცნიერი. ხოლო მე ვიყოფოდე კოსტანტინუპოლის, სახლსა მდიდრისა ძველისა თავადისა გიორგი ლოლოთეტისასა და ბიძისა მისისა იოანიკიოს ხალკიდონისა მიტროპოლიტის თანა, რამეთუ გიორგიმ ქართული უწყოდა კეთილად და იყო ფილოსოფოსი სრული, მეცნიერ ასტრონომიისა და ლეომეტრიისა და ფისიკისა, და ქართულად ვმზრახველობდით მრავალთა. და დავეთხოვე პატრიარქსა და მიტროპოლიტთა ნიკიისასა და ნიკომიდისასა და ხალკიდონისასა. წარვედით გზასა იერუსალემად მიმყვანებელსა, უკეთუ ნებავს უფალსა. A 65v—66r.

64. 60,7 (და მიერ...)] და მივიწინით ხარისხსა ნიკიისასა გუმ-
ლეკად და ქრისტიანეთა მიგვიყვანეს სასახლესა აჯი პავლესასა,
უცხოდ რასმე აღშენებულსა და განვათიეთ მუნ ჟამნი რაოდენიმე
მ, 79v.

65. პრუსად მ, 79v.

66. ბოლაისარს მ, 83r.

67. კალოლიმონას მ, 85r.

68. სტანქოგს მ, 85r.

69. 68,23 (და წარგვიძღვა...)] ხოლო ვზრუნევედით წარსლვი-
სათვის იერუსალიმისა, რამეთუ შიში არაბთა იყო ფრიად. დღე-
სა ერთსა მოვიდა თურქი, უფროსი რემლისა, და წარმოვედით
შიშითა და სატანჯველითა არაბთა მიერ. და მოვიწინით რემლად,
მონასტრად ბერძენთა, და დავადგერით მუნ. ხოლო რემლიდამ ახ-
ლოდ არს სოფელი ლუდია, საფლავი წმიდის გიორგისა. ხოლო
აწ ლუდიისათვის მოსახსენებელი ისმინეთ. მ, 90v.

70. 72,18 (და მივიწინით...)] ხოლო მივედით ახლო და შეე-
ღეთ კარი დავითისი და მივედით მონასტრად აღშენებულსა ქარ-
თველთაგან, და აწ ბერძენი იყოფებიან. მოგვეგებენ ვეჭილი და
სხვანი და დავასადგურეს სრასა ეკლესიისასა. ამისა შემდგომად
შეგვიძღვნენ დიდსა ეკლესიასა და თაყვანის-ვეციით ცხოვრების მომ-
ცემელსა საფლავსა უფლისასა. და ვიშიშვოდი და ვძრწოდი და
ვიტყოდი, თუ ვითა უკადრითა სულითა და უღირსითა ბაგითა შეე-
კადრო შესვლად ცოდვილთაგან შეუვალსა მას ადგილსა. და მომე-
გონებოდეს მწვირენი ცოდვათანი. და კადნიერად ჯელ-გყავ შეს-
ლვად და ნუჟლნი დავიდგენ. და პირ იატაკთა დამდები მოწყალისა
საფლავსა, გლახაკითა და მოწლითა ჳმითა ცოდვათაგან ჳსნასა ვეა-
ჯებოდი. არამედ კანდელთა სიმრავლისა ცეცხლმთებარე სიმჭურ-
ვალე შემწვევედა ჩვენ, და გამოველ და თაყვანის-ვეციით დიდსა მას
კათოლიკე ეკლესიასა. და აღველ გოლგოთად, სისხლითა საბაო-
თისათა დაღტობილსა მას ალაგსა მრავლისათვის სულგრძელებისა
და კაცთმოყვარებისა მისისა. ცოდვილსა არა შემწვევედა მე, რა-
მეთუ უღირსი პირი და ჳელი შემწიკვლებული წმიდათა მათ ალაგ-
თა მოეხვევოდა. კლდე იგი განხეთქილი და ახლოდ ჳვარისა ად-
გილი საკვირველად იხილვებოდა. ხოლო იყო ახლოდ ჳვა ერთი,
ტახტის ფერქი ჳვა, და ეწერა, ვითარმედ მეფემან ქართველთა და
კახთამან, უფალმან ლეონ, წარმოავლინა იოაკიმ ჳვარის მამა და
დაქცეული საფლავი ქრისტესი მან ახლად აღაშენაო და გოლგო-
თა. მას წელს აქეთ წელნი 220. მ, 94r—95r.

71. 77,20 (უკეთუ გენებოს...) უკეთუ იკითხვიდე, თუ იერუსალიმი ვითა ჰელ-ეყვის საქართველოთა, წერილ არს ესრეთ, რამეთუ პირველი მეფე ქრისტიან ქმნილი მირიან ხოსროიანი ნინოს მიერ წარმოვლენილ არს. B, 99r.

72. მრავალნი + ვახტანგ სპართაგან მიიღო იმრუსალიმი, — მისირისა ნაცილია. D, 67v.

73. 77,25 (რამეთუ ესე...) ესე არს აღგილი იგი, რომელი ლოთ სამი ხე — სარო, ფიჭვი და ნაძვი — დანერგა მუნ და აღმოვიდა ხე დიდ. და მოსჭრა იგი სოლომონ შენებასა ტაძრისასა, არამედ უქმად იპოვა. და მდებარე იყო, და მას ზედა აცვეს უფალი. და აწცა აჩნია მოკვეთილისა მის ხისა ძირი. ხოლო შემდგომად პროხორე შავშეთელი მოსრულ არს, ღირსი, მონასტერსა საბა(ს) ლავრასა, და მუნ დაყუდებულა. და მეფეს ბაგრატ კურატპალატს მოუცია ხარჯი და მას აღუშენებია მონასტერი ჯვარისა ქართველთათვის. მირიან ხოსროიანისა შემდგომად მოსრულ არს დიდი სახელოვანი მეფე საქართველოსა ვახტანგ გურგასლან ხოსროიანი. რამეთუ სპარსთა მეფეთაგან მას მიუღია იერუსალიმი და სრულიად პალესტინე, და მრავალი მონასტერი აღუშენებიათ და მრავალ ეამს ქერიათ. რამეთუ მცველნი საქართველოს კაცნი, რომელიცა ზენ დაუდგენიათ მაშინ, ენა ქართული დავიწყებვისთ და აწ არაბნი იერუსალემელნი ქართველნი არიან. [კვალად მეფე გიორგი და ათაბაგი ყვარყვარე წარვიდენ ჯარითა და აღიღეს იერუსალიმი და დაიპყრნეს სრულიად. მას აქეთ წელიწად არს წარსრული 1529 — ჩ ფ მ თ] (B, 99r-v. კვადრატულ კავებში მოთავსებული ტექსტი აშიაზეა მიწერილი მხედრულით).

74. 78,15 (იაკობ აღფეს...) იაკობ მოციქულის აღფეს საფლავი აღუშენებია გიორგი მეფესა ქართველთასა, აწ რომ სომეხთ უჭირავს. იტყვიან, ზარათხანა მეფეთა ჩვენთა იმ მონასტერში ყოფილა. ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათს უკან დაუხატეინებია შოთამს რუსთველს, მელექსეს, მექურქლეთ უხუცესს, თითონაც შიგ ხატია მოხუცებული. ამისა შემდგომად კვალად დაძველებულა და განუახლებია და დაუხატავს დადიანს ლეონს და მეუღლესა მისსა ნესტან-დარეჯანს, დედოფალს, ქილაძის ასულს. შიგ ხატიან. როშაქიშვილი-ჩოლოყაშვილი ომანის ძე, მეტეხის წინამძღვარყოფილი და ჯვარის მამა ნიკიტორე, მიზეზი ყოფილა, ლეონ დადიანს იმის გამო გაუკეთებია, ჯვარის მამაც შიგ ხატია და თეოდოსი მანგლელი. იერუსალიმს კვალად გოლგოთა უმოვნია ბაგრატს მეფეს, აღექსანდრეს მეფის ძმისწულს, ბერძენთა რა წაურთმევიათ

იერუსალიმი ქართველთათვის. ამის შემდგომად მოუოჯრებიან იერუსალიმი თურქთა და დიდის ქრთამით და ცდით უშოვნია სახელოვანს ბაგრატიანს ქართველთა და კახთ მეფეს ლეონს, აღექსანდრეს მეფის მამას, ბატონის თეიმურაზის პაპის მამას, და მას ჯვარის მამა იოაკიმ მრავლის თეთრით წარმოუგზავნია, და მას აღუშენებია დაქცეული ქრისტეს საფლავი მარმარითა და გოლგოთა. ესე სწერია პატრიარქის ტახტის ქვეშეთ ქვენა კერძო ქვაზე გოლგოთას. მას აქეთ არის წელნი სკბ. ამისა შემდგომად არაბთა ქრისტიანეთა პატრიარქთა დაუპყრის დიდი ეკლესია, არამედ გოლგოთა, იაკობის მონასტერი და ჯვარისა კვალად ქართველთავე სქერია. კვალად მოოჯრებულა ესრეთ, რამეთუ სულთანი ვინმე იპყრობდა იერუსალიმს, და ტყვე ერთი ქრისტიანი მიიბარა პატრიარქსა სულთანმან და თვით განილაშქრა. ხოლო პატრიარქმან ტყვე იგი იდუმალ წარუგზავნა მამასა მისსა, არამედ კვალად ტყვე იქმნა მუნ და შთავარდა კვალად გელთა სულთანისათა. ხოლო სულთანი მოსრული იერუსალიმად ეტყოდა პატრიარქსა: მომეც. ტყვე იგი, რომელიცა მოგაბარე. ხოლო პატრიარქი ეტყოდა, ვითარმედ მოკვდა ყრმა იგი. მაშინ სულთანმა ფიცი მოსთხოვა, და ვითარცა შეჰფიცა, ყრმა იგი წარმოუყენეს. ამისთვის განწყრა სულთანი და პატრიარქი და სრულიად ქრისტიანენი მოსრა, და ოვერ იყო იერუსალიმი მრავალ ეამ. ხოლო ამისა შემდგომად სულთან სელიმ წარვიდა რა დაპყრობად მისირ-ეგვიპტისა, იტყვიან, მას იახლავო მეფე საქართველოსი გიორგი. და მადლობასა უბრძანებდა რა სულთანი, ეტყოდა: რა გნებავს ჩემგან. ხოლო იგი სთხოვდა მამულსა თვისსა სამკვიდროსა იერუსალიმს. და უბოძა. და მას აქეთ ორმოცდაათი წელი კვალად მათ ეპყრათ. B, 99v—101r.

75. 80,13 (აქა თუ ვის მიერ...)] არის იერუსალიმს აღშენებული მონასტერი ქართველთაგან ესენი:

- ქ. წმიდა საფლავი და გოლგოთა მეფის ლეონისაგან.
- ქ. იაკობის მონასტერი საქართველოს მეფის გიორგისაგან.
- ქ. ჯვარის მონასტერი ბაგრატ კულატპალატისაგან.
- ქ. წმიდაის ნიკოლოზის მონასტერი კახთ დედოფლის ელენე-ყოფილისა ელისაბედისაგან. თვით წმიდა ნიკოლოზ მუნ მდგარა, კელია ყოფილა მისი.
- ქ. წმიდის ბასილის მონასტერი ამირახორის ამირინდოსაგან დღეს დედათ უჭირავს.

ქ. მეორე ჯვართან წმიდის ნიკოლოზის მონასტერი. ქაიხოს--
რო და პაატა წულუკიძისაგან.

ქ. წმიდის თეოდორეს მონასტერი ბეჟანისაგან და ბაადურ.
ჩოლაყაშვილისა.

ქ. აბრაამ რომ ისაკ შესწირა, — ის მონასტერი გიორგი აბა-
შიძისაგან, ლეონის ძისა.

ქ. წმიდის თეკლას მონასტერი ჯვარის მამის ზედგინიძის
ქრისტეფორეს აღშენებული.

ქ. წმიდის გიორგისი, დადიანთ აღუშენებია, ურიათ უბანში.

ქ. წმიდის დიმიტრისი ქსნის ერისთავთ ვირშელს შალვას.

ქ. ყოვლად წმიდისა რაქის—ერისთავთა, ჩხეტის გვართა—
მირაქმისა მონასტერი.

ქ. მონასტერი ეკატერინესი—ფარასკენტელ-ციციშვილსა ამილ-
ლაბარს და მაჩაბელთა.

ქ. ბეთლემს და გესამანიას სამწირველო არის ქართველთი,
და სხვა მონასტრები; კვალად რომელიცა ვერ შევიგენ, ვის მიერ
აღუშენნეს. ხოლო მონასტერთა აღმაშენებელთა დღესამომდე მათი.
მოქსენება არის და მომავალთა მათთა, და კანდელნი მათნი ზოგი
გოლგოთას, ზოგი ქრისტეს საფლავზე და ზოგი გესამანიას კიდიან.

ქ. ჯვარის მონასტერში ხატიან დიდნი საქართველოს მეფენი:
მირიან ხოსროიანი, დედოფალი ნანა, შუაზე—ბაქარ, ძე მათი.

ქ. მეფე დიდად სახელოვანი ვახტანგ გურგასლან ხოსროიანი,
რომელმან დაიპყრო იერუსალიმი და პალესტინე. რომელმან აღა-
შენა მცხეთა და ძველი საქართველოს არქიეპისკოპოზის უმაღლეს.
მცხეთას არქიეპისკოპოზი განაწესა, კოსტანტინე მონომახის მო-
წმობით.

ქ. ხატია კვალად სახელოვანი დიდი მეფე საქართველოსი ბაგ-
რატ კურაპალატი ბაგრატოანი, აღმაშენებელი ქუთათისისა ეკლე-
სიისა და ჯვარის მონასტრისა.

ქ. მუნ ხატია შოთა რუსთველი მექურქლეთ უხუცესი, ბო-
როტი მელექსე.

ქ. მუნ ხატია ლეონ დადიანი თავისის მეუღლითა. კვალად
მარიამ, დედოფალი ქართლისა.

ქ. მუნ ხატია აფხაზეთისა კათალიკოზი ღირსი მაქსიმე.

ქ. მუნ ხატიან ტფილელი ელისე, მანგლელი თეოდოსი, ბე-
დიელი, ჯვარის მამა ნიკიფორე.

ქ. მუნ ცხოვრებულა ვაჩნაძე არსენი, კაცი ფილოსოფოსი და
მთარგმნელი ღრმათა წერილთა, დავით აღმაშენებლის მოძღვარი.

ქ. მუნ არს სამარხო ღირსისა მამისა ჩვენისა პროხორესი, მონასტრის აღმაშენებელისა და თვითც ხატია.

ქ. მუნ წამებულია წმიდა მოწამე სალომე ივლის კ, რამეთუ შეუპყრესთ უსჯულოთა. B, 101r—102v.

76. რამეთუ წმიდათა ამათ მოწამეთა და მამისა ღირსისა პროხორესი სვინაქსარიც აღუწერიათ და დღესასწაულიც განუწესებიათ სამარადისო. B, 107r.

77. 84,32 (მრავალნი მეფენი...) მრავალნი მეფენი ქრისტეანენი, ფრანგნი თუ რუსნი, თუ სხვანი მრავალნი იღვწიან — აქ კანდელი აღანთონ და მოხსენება დააწესონ, არამედ არა აქვსთ ადგილი. თუცა ქართველთ მონასტერი ერთი ფრანგს და ერთი სომეხს თათართაგან მიუღია, ოჯრობისათვის უპატრონო ყოფილა. ესეოდენი წმიდა ადგილი — საფლავი ქრისტესი და გოლგოთა — და ამდენნი მონასტერნი მათ ნეტარად მოხსენებულთა ქართველთ აღუშენებია, და მრავალი ქართველთ კანდელი ენთება. ეს ვერ უქნიათ, ორი მღვდელი წარმოგზავნონ, აქა ქართულნი მოსახსენებელნი აღმოიკითხონ ძველთა და ახალნი შიგ ჩაუერთონ, კანდელნი აღანთონ. იქაური რაც მამულეები არის, იმავე ხარჯით წარმოავლინონ. რასათვის დაგვივიწყებდეს უფალი და ანუ ჩვენის სულის მოხსენება ამის უბრწყინვალეს ალაგს როგორმე უნდა იყოს? იქავე მოხსენებაში ვნახე ჩვენის მეფეების მოსახსენებელი — მეფის ლეონისა, ალექსანდრესი, თეიმურაზისა — და ბოლოს ეწერა: მეფე ნიკოლოზ ყოფილი ერეკლეო და ძე მისი გიორგი და ასულნი მისნი მარია და ბორაშანო. ავდეგით, მიტროპოლიტნი და სინოდნი მათნი ვაწვიე, გოლგოთასა ჟამი ვაწირვინე. ჩემის მეფეების სახელი ძველებთან გავაახლე: მეფის თეიმურაზისა, ძისა მათისა მეფის ერეკლესი, დედოფლისა თამარისი, ბატონიშვილის ანნასი და სხვათა ამა მეფეთ ძეთა და ასულთა და სხვაც ვინც დედოფალნი ბრძანდებიან. მრავლის თემის ქვეყნის სმენაში დაეწესა სახელის მოხსენება მათი ... რამეთუ არს მოკსენება სრულიად საქართველოთა დიდთა და მცირედთა ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა, რაჭისა, ოდიშისა, გურიისა თითოეულად. ერთი მღვდელი არ არის, ქართულად აღმოიკითხედე. რაოდენ უწყიან მონასტერთა შინ, აღმაშენებელთა და მომავალთა მათთა იქსენებენ. და ამის ამბავსა, თუ იერუსალემად ესე იყო, არა უწყოდნი, არავისგან მსმენოდა. ერთი ასეთი რასათვის არავინ მოიწია აქ, ესენი შეეტყო და ქართველთათვის ეუწყებინა.

ქ. კვალად მომხსენებელ ვიქმენ პატროსნისა და უფროსად ბრძნისა იმერთა კათალიკოზ-პატრიარქისა უფლისა ბესარიონისა, და ვიტყოდნი: მრავალჟამიერ ყოს უფალმან. B, 107v—108v.

78. 92,9 (და ჰერეს...) ჰერეს ძელსა, თუჯთა და ილეკროსათა ამოდ და მიმომყოვრებით. ხოლო ფრანგთა ორლანოსა ვმას ცემდა ძლიერი. და სომეხთა მწყობრისა და ძნობისა ვმეხსა ტკბილად აგემებდეს ეგრეთვე ყუფთთა, სირიანთა და ხაბაშთა, მსგავსად მათისა განწესებისა. ხოლო კვალად მგალობელნი ბერძენნი გალობდენ გალობასა. B, 111v—112r.

79. 96,4 (წარვედით ქალაქსა...) და მიერითგან ნავით წარვედით სერფოს. რამეთუ ფრიად სთნდა მღვდელთ მთავარსა მუნებურსა და კეთილად გვისტუმრნა. და მიერითგან ნავით წარგვეზავნეს ქალაქსა და მონასტერსა მთავარანგელოზისასა სერფოს, და მიერითგან ნავით მივედით თერმისს, და თერმიიდან ნავით ჯიას ქალაქსა, და მიერითგან ქრისტიანეთა ნავითა წარგვეზავნეს სახელოვანსა მას ქალაქსა ათინას. B, 115r-v.

80. 97,7 (გვეწადა...) და გვეწადა სპირიდონ საკვირველთ მოქმედისა ზეზედ მდგომისა ხილვა, რომელი ასვენია კერკირიას. არამედ მოგვესმა ზორას თურქთა ბრძოლა და არეულობა და უკმოვიტყვიით მიერითგან ზღვით. და მოვიწიენით ქალაქსა ანდროს და მივედით მონასტერსა წყაროსა ყოვლად წმიდისასა და მიერითგან სხვასა მონასტერსა ყოვლად წმიდისასა პანახრანტეს. და მიერ წარვედით ქალაქსა დინოს და დინოდგან ზღვით ვლეთ სამასი მილი, და მივიწიენით მთაწმიდას, მონასტერსა ვათოპედს, რამეთუ პატრიარქი კოსტანტინუპოლისა კირილე მუნ ექსორია ქმნილ იყო და ზოგად ცხოვრებულთა მათ მამათა თანა მონაზვნად აღრაცხილ იყო. და ფრიად ვიდრევე შეგვიტკბო და ახლოდ მისა სავანე გვიყო. და აღვიღეთ ლოცვა და წარწოვედით მონასტერსა ჩვენ ქართველთასა და დავადგერით მუნ კეთილსა მას და მიმდემსა ლოცვასა, და განკრძალულსა დამისთევასა თანა ვიმყოფოდი უღირსი ესე. [და იყო მუნ უმსჯავროდ თურქთაგან ექსორია ქმნილი პატრიარქი კირილე ზემოხსენებული და ვიყოფოდი მის თანა მრავალ ჟამ კეთილმეუბარეობასა შინა]. B, 119r-v. (კვადრატულ კავებში ჩასმული ტექსტი ავტორის მიერ გადაშლილია).

81. 97,27 (და მუნით...) და მუნით გამოვლეთ მაკედონია ქალაქი, ალექსანდრე მაკედონელის ადგილი. და ვიდრე დღესმომდე იხილევების რქიანისა მის ცხენისა დუჩიპალის ახური მარმარილოსი, ცხენისა მის ალექსანდრესი. და მივიწიენით ენეზს. B, 119v—120r.

ტ ე ქ ს ტ ი ს ა თ ვ ი ს
ს ა მ ი ე ბ ჯ ე ბ ი
ჯ ე ქ ს ი კ ა ნ ი

ტექსტისათვის

წინამდებარე გამოცემისათვის გამოყენებულია „მიმოსღვის“ ავტოგრაფული ნუსხები. ჩვენს განკარგულებაში იყო „მიმოსღვის“ სამი ავტოგრაფი და ერთი ავტორის მიერ გასწორებული ნუსხა. ესენია:

საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი H—842, ავტოგრაფი, გამოცემაში A ლიტერით აღნიშნული.

საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი Q—80, ავტოგრაფი, გამოცემაში B ლიტერით აღნიშნული.

საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი S—3244, ავტოგრაფი, გამოცემაში C ლიტერით აღნიშნული.

საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილების ხელნაწერი E—31, განოცენაში D ლიტერით აღნიშნული. ხელნაწერი ტიმოთეს ხელითაა ნასწორები.

გამოცემას საფუძვლად დაედვა „მიმოსღვის“ C ხელნაწერი, როგორც „მიმოსღვის“ უკანასკნელი რედაქციის ავტოგრაფი. ადგილ-ადგილ ტექსტი შეივსო და გასწორდა დანარჩენი ხელნაწერებით. B ავტოგრაფის მიხედვით აღვადგინეთ თხზულების სათაური, ტექსტის უკანასკნელი აბზაცი (მოგზაურობა გუმისხანიდან სურამამდე) და ზოგიერთი გეოგრაფიული და პირთა სახელი.

D ხელნაწერის მიხედვით გასწორდა ავტორის უნებლიე შეცდომები, დაშვებული C ავტოგრაფში.

ვინაიდან „მიმოსღვის“ ზემოთ დასახელებული ხელნაწერები ერთმანეთისაგან რედაქციულად სხვაობენ და ტექსტზე ტიმოთეს მუშაობის რამდენიმე ეტაპს ასახავენ, ამიტომ ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ცალკე, დანართის სახით, რედაქციული სხვაობების ამსახველი ძირითადი მასალის გატანაც. დანართშივე გატანილია გეოგრაფიულ და პირთა სახელების ზოგიერთი ვარიანტული წაკითხვა.

C ავტოგრაფის გვერდების კიდეებზე ვხვდებით სამი სახის მინაწერებს. პირველი სახის მინაწერებია ტექსტის საილუსტრაციოდ საღვთო წერილიდან მოტანილი ციტატები, ანდა მითითება ციტატის წყაროზე. ამ რიგის მინაწერები ჩატანილია სქოლიოში.

მეორე სახის მინაწერები წარმოადგენენ ტექსტის ამა თუ იმ ადგილის ავტორისეულ განმარტებას. ეს მინაწერებიც ჩავეიტანეთ სქოლიოში.

მესამე სახის მინაწერები შეიცავენ ახალ, დამატებით მასალას, რომლითაც ავტორი მუშაობის პროცესში ტექსტის შევსებას ვარაუდობდა. ამ რიგის მინაწერების კიდევ ავტორი ჩვეულებრივ ჯვარს სვამს. ჯვრითვეა მითითებული ტექსტში მინაწერის ჩართვის ადგილი: ამგვარი მინაწერები, როგორც წესი, შეგვაქვს ტექსტის სათანადო ადგილას. გამონაკლისია ის შემთხვევები, როდესაც მინაწერსა და ძირითად ტექსტს შორის არ არის დაცული სინტაქსური შეთანხმება და მინაწერის შეტანით ირღვევა ტექსტის აზრობლივი წყობა. ამ შემთხვევაშიც მინაწერები ჩაგვაქვს სქოლიოში, ანდა სინტაქსურად ვმართავთ D ხელნაწერის მიხედვით, თუ არის ამის შესაძლებლობა.

ძირითადი ტექსტისაგან გამოსარჩევად ტექსტში შეტანილი მინაწერები ჩასმულია კვადრატულ კაეებში. ტექსტის გაშართვის მიზნით ჩვენ მიერ აღდგენილი სიტყვები და ასოები ჩასმულია ტეხილ კაეებში. სხვა ავტოგრაფების მიხედვით აღდგენილი სიტყვები და ასოები ჩასმულია კვადრატულ კაეებში.

მართლწერისა და გრამატიკული ფორმების ხმარების მხრივ „მიმოსღვის“ ავტოგრაფებში დიდი სიჭრელეა; სხვაობები და მერყეობა შეიმჩნევა არა მარტო ავტოგრაფებს შორის, არამედ ერთი ავტოგრაფის ფარგლებშიც.

ტიმოთე გაბაშვილი მწიგნობრულ ტრადიციებზე აღზრდილი ფართოდ განათლებული პიროვნება იყო. საღვთისმეტყველო და ფილოსოფიურ ლიტერატურაში მისმა ნაკითხობამ თავისებური კვალი დააჩნია „მიმოსღვის“ ენასა და სტილს. ტიმოთე გაბაშვილი საეკლესიო მწერლობაში დამკვიდრებული სახეებით აზროვნებს, საღვთო წერილისა და საღვთისმეტყველო ლიტერატურის ენით მეტყველებს. ტვირთავს ტექსტს მძიმე სქოლასტიკური მსჯელობებით და პეტრიწონული სკოლის მწიგნობართა ენისათვის დამახასიათებელი ხელოვნური ფორმებით: მიწლებებით, რომლებიც ქვემდებარედ იხმარება, რამდენიმე სიტყვისაგან წარმოებული კომპოზიტებით¹ და მი და მე ნაწილაკების ხმარებით².

¹ ქ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I. უნივერსიტეტის შრომები, ტ. I, გვ. 109—113.

² ქ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. III, 1955, გვ. 232.

„მიმოსლვა“ ზოგადად ძველი ქართული ენით არის დაწერილი. ენის სიძველე „მიმოსლვაში“, უმეტესად, წინადადების ძველ წყობასა და ლექსიკურ არქაიზნებში იჩენს თავს. ავტორი თავისუფლად ფლობს და სარგებლობს ძველი ქართული ენის (V—XI სს.) გრამატიკული ფორმებით. ამავე დროს თავისი დროის სალაპარაკო ენის გავლენით, რომელიც ამ ხნისათვის საუბედნიანად იყო შეჭრილი სამწერლობო ენაშიც, ტიმოთე ძველთან ერთად ახალ ფორმებსაც იყენებს. ამით აიხსნება ის დიდი მრავალფეროვნება და სიჭრელე, რომელიც ახასიათებს ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვას“ მართლწერისა და გრამატიკული ფორმების მხრივ. ეს მერყეობა ტიპიურია ტიმოთე გაბაშვილის დროისა და განათლების ადამიანთათვის და მეტ-ნაკლებად XVIII საუკუნის ყველა მწერალს ახასიათებს.

„მიმოსლვაში“ ძველი და ახალი გრამატიკული ფორმების ერთმანეთის გვერდით ხმარების შემთხვევები მრავლად შეიძლება მოვიყვანოთ. ჩვენ ვკმაყოფილდებით რამდენიმე მაგალითით.

1. რიგ შემთხვევაში ძველი ქართული ნორმების მიხედვით ხმარობს ტიმოთე ბრძანებითის III პირის ფორმებს, მაგ.: „მწნე იყავნ და განძლიერდინ გული ჩვენი“ (გვ. 29₃₆).

2. ოდ-საერცობიან ზმნებში უწყვეტლის I და II პირის დაბოლოებად ავტორი ხშირად ე-ს ხმარობს, მაგ., „ვევედრებოდე ყოვლად წმიდასა ღმთისმშობელსა და ცრემლითა ვეტყოდე“ (გვ. 40₁₉).

3. ძველი ქართული ენის ნორმების შესაბამისად ავტორი ზოგჯერ ხმარობს უწყვეტლის ხოლმეობითისა და მეორე ხოლმეობითის ფორმებს, მაგ.: „განიპყრნის განთიადიდგან ჳელი მწუხრადმდე და ილოცვიდის კჳითა გალობისა კილოსათა“ (გვ. 25₃₁).

4. ზმნის ფორმებში ტიმოთე რიგ შემთხვევაში მართებულად იყენებს პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის გამომსახველ ნარს, მაგ.: „წარვედ და მოვიყიდენ სანთელნი, და შეველი ეკლესიად და აღვანთენ სანთელნი“ (გვ. 40₁₈).

5. ობიექტის პირველი პირის მრავლობითობის აღმნიშვნელ გვ პრეფიქსის გვერდით იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით შანის ხმარების შემთხვევებსაც, მაგ.: „არა მიტევებს ჩვენ წარსლვად“ (გვ. 55₂₆).

6. ენებითი გვარის აწმყოს III პირის ეს დაბოლოების გვერდით ტიმოთე ხმარობს ა დაბოლოებასაც—ახალი ქართულისათვის

დაძახასიათებელს: „წყალი... უქმად მდგომარედ იხილვების“ (გვ. 8₃₉)-
მეორე მხრით: „დატევება სჯულისა ჩემგან არა იქნება“ (გვ. 40₃₂)

7. უწყვეტლისა და წყვეტილის III პირის დაბოლოებად ავტორი ერთმანეთის გვერდით ხმარობს ენ-სა და ეს-ს. მაგ.: „უცხოებასა ჩვენსა ჯეროვნად შეიწყნარებდეს“ (გვ. 8₇). მეორე მხრით: „შეგვიძღვნენ კმევითა სუნნელთათა, და მგალობელნი გალობდენ ტბილად“ (გვ. 13₃₁).

8. საკუთარ სახელს მიცემითს, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში ტიმოთე ხმარობს ემფატიკური ანის გარეშე, როგორც ამას ძველი ქართული ენის ნორმები მოითხოვდა, მაგ.: „ლუსკუმასა ათანასესსა ჰქონდა პირსა მორღვეული ნაქცივი“ (გვ. 25₁₂). თუმცა ამის პარალელურად ხმარობს ემფატიკურ ან-საც.

9. „მიმოსლვაში“ საკუთარი სახელები მოთხრობით ბრუნვამში ხან სუფთა ფუძითაა წარმოდგენილი, ხან კი ზოგადი სახელების მოთხრობითის ფორმით. მაგ.: „თაყვანი-სცა ათანასე გამოჩინებულსა მას“ (გვ. 24₂₆) მეორეს მხრით: „მაშინ გამოითხოვა ძე თვისი იოანეშ“ (გვ. 24₂₉).

10. მცირე გამონაკლისით ტიმოთე იცავს მცა ნაწილაკის ხმარების წესს: „გაბრიელ ეტყოდა, ვითარმედ არ არს ნება ყოვლად წმიდისა, რათამცა დაკრძალულსა შინ ესვენა ხატი მისი“ (გვ. 19₈).

11. ტიმოთე „მიმოსლვაში“ ზოგჯერ იყენებს კითხვით ა-სა და ტმესსაც.

„მიმოსლვის“ ტექსტისათვის დამახასიათებელ გრამატიკული ფორმების ნაირ სახეობას გამოცემაში უცვლელად ვტოვებთ.

ასევე არ ვასწორებთ: 1. სინტაქსური შეუთანხმებლობის შემთხვევებს, როგორცაა: ა) ერთპირიან ზმნებთან სუბიექტის მოთხრობით პირში დასმა, მაგ.: „აღმღებელთა ცოდვათა მათანი წარმოვედით მუნით“, (გვ. 37₉) „ძიებათა შინავერმპოვნელთა აღვიდეს სენაკსა გაბრიელისასა“ (გვ. 19₆); ბ) შეუთანხმებლობა რიცხვში, მაგ.: „საბარბაროზო მთავრობა იმონებენ ეკლესიათა ღმთისათა“ (გვ. 52₃₃), „წარვაგლინენით კაცი“ (გვ. 16₂₈), „სულთა შესამატი სიტყვა იხილნოთ“ (გვ. 4₃₁).

2. ავტორის ენისათვის დამახასიათებელ კონსტრუქციებს: „და განაღვიძეს რა ყრმა და ჰკითხვიდენ“ (გვ. 45₁₄), „და განვიხილვიდით რა მონასტერი მცირე და კეთილი ადგილი მთა, და ვიკითხეთ ვის მიერ აღშენებულობა“ (გვ. 45₂₀).

3. ავტორის ენისათვის დამახასიათებელ ფორმებს: საქართ-ველოთა, საქართველოთი, ღელათი (გვ. 81₃₃).

4. ზოგიერთ გაუმართავ წინადადებას, რომელიც ყველა ხელნაწერში ერთნაირად არის წარმოდგენილი: „და ასულმანცა ტვიროსისამან ძღვნითა პირსა შენსა ლიტანიობდეს“ (გვ. 66₂₅), „და ქმნულება საკვირველებისა ამისი მის უქმნოსადმე აღამჰვედეს“ (გვ. 74₁₃).

„მიმოსლვის“ ტექსტში მართლწერის მხრივ დიდი სიჭრელეა. ავტორი ხმარობს პარალელურ ფორმებს: რადმე—რაიმე, რადთა—რათა, ქსენება—ხსენება, ვენაკი—ვენახი, იერუსალიმი—იერუსალიმი — იერუსალემი, კონსტანტინეპოლი — კოსტანდინუპოლი — კოსტანტინუპოლი, ცხორება—ცხოვრება, ეპისკოპოსი—ეპისკოპოზი, ვეცხლი — ვერცხლი, ჯომლი — ხომლი, სამწყსო—სამწყსოთ, იყუ-ნეს—იყვენეს, სიყუარული—სიყვარული და სხვ.

მართლწერის ერთიანი პრინციპის დაცვის მიზნით „მიმოსლვის“ ძირითად ტექსტში ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა დაწერილობა შემთხვევაში უპირატესობა მივეციტ ავტორისათვის უფრო დამახასიათებელსა და, მაშასადამე, „მიმოსლვაში“ უფრო ხშირად ხმარებულ ფორმებს. ამ საფუძველზე გაუმართეთ „მიმოსლვის“ მზალოდ ძირითადი ტექსტი, ხოლო რედაქციების მასალა უცვლელად დავტოვეთ. ასევე უცვლელად დავტოვეთ ნუსხურით ნაწერი სათაურები და მინაწერები, სადაც ტიპოთე უფრო თანამიმდევრულად იცავს ძველი მართლწერის ნორმებს, უფრო კანონზომიერად ხმარობს ჟ, ჯ, ც, ჯ, ძ-ს.

ბერძნულ წარმოძავლობის სიტყვებში ტიპოთე ასო ფ-ს ჯ-თი გადნოსცემს (სეკოჯლაკი). ამ სიტყვებში ჯ ფართი შევცვალეთ.

ტიპოთე გაბაშვილი ქარაგმის იშვიათად ხმარობს, იაგრამ რამდენიმე სიტყვას ის ძიოლოდ დაქარაგმებულად წერს. ასეთებია ღთი, მისგან წარმოებული სიტყვებით, წწმეტყველი, კდ. ამ სიტყვებს ტექსტში ვხსნით შემდეგნაირად: ღმთის, ღმთიეშვენიერი, წიხასწარფეტყველი, კვალად.

რედაქციული და ვარიანტული სხვაობების აღმნიშვნელი არაბული ციფრები „მიმოსლვაში“ დასმულია შესადაარებელი ტექსტის ბოლოში. ამავე ტექსტის დასაწყისზე მიუთითებს რედაქციულსა და ვარიანტულ სხვაობებში რიგითი ნომრების შემდეგ გვერდისა და სტრიქონის აღმნიშვნელი ციფრები და კავებში ჩასმული დასაწყისი სიტყვები.

რედაქციულსა და ვარიანტულ სხვაობებში ტექსტებს უცვლელად ვებქდავთ. ვხსნით მხოლოდ ქარაგმებს ზემოთ მოყვანილი წესით.

„მიმოსლვის“ ტექსტში ჩართულია ტიმოთეს მიერ შედგენილი ათონის ივერიის მონასტრის გეგმა, რომელიც „მიმოსლვის“ A ავტოგრაფმა შემოგვინახა, აგრეთვე იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართულ მეფეთა ფრესკების პირები, „მიმოსლვის“ B ავტოგრაფის მიხედვით.

განოცემას ერთვის ტიმოთე გაბაშვილის მოგზაურობის რუკა, რომელიც მკვლევარ პ. ინგოროყვას დახმარებითა და უშუალო მონაწილეობით შედგა. ვსარგებლობ შემთხვევით, მაღლობა მოვახსენო პატივცემულ მკვლევარს გაწეული შრომისათვის.

საძიებლები

1. ზირთა სახელები.

ა

- აბაშვილი დანიელ 86₁
აბაშიძე 103₃
აბაშიძე გიორგი, ლეონის ძე (იერუსალიმის აბრაჰამის მონასტრის განმაახლებელი) 72₁₁, 81₁₅, 123₅
აბაშიძე ლეონ 81₁₅, 123₆
აბრაამ ურია 97₃₇
აბრაამ მამამთავარი (ბიბლ.) 81₁₄; 123₅
ავქსენტი შეუენებული 60₄, 117₁₉, 21, 30
ავქსენტი წმ. 59₆, 98₂₅
ათანასე ათონელი 12₁₂, 24₃, 9, 10, 18, 20, 23, 25, 27, 36, 54₂₃, 104₁₁, 108₁, 7, 10, 12, 15, 16, 20, 28.
აღიქსანდრე შაკედონელი 27₃, 50₂₈, 33, 97₂₆, 27, 125₃₃, 35
აღიქსანდრე ლეონის ძე, კახთა მეფე (1574—1605) 37₂₇, 30, 78 სქ.***, 122₃, 124₂₁
აღიქსანდრე (I) დიდი, მეფე ქართველთა (1412—1443) 21₁₄, 105₃₅, 36
აღიქსანდრე (ბაგრატ ქართველთა მეფის ბიძა) 80₁₅, 121₃₈
აღიქსი კომნინო (კომნენე) 81₃, 39₂₉, 46₂₆, 101₁₈, 111₂₄, 25
ამბერკი წმ. 60₂
ამილღაბარი ფანასკერტელი-ციციშვილი იხ. ფანასკერტელ-ციციშვილი ამიღღაბარი
ამირახორი ამირინდო 81₁₇, 122₃₅
ამირახორი თაუა 81₁₈
ამირინდო ამირახორი იხ. ამირახორი ამირინდო
ამონა მოძღვარი, წმ. 52₈
აწფილოქე იკონიელი 9₂₂
ანანია არქიმანდრიტი 101₂₈
ანანია ტრაპიზონელი 7₃₅
ანასტასი პროშაელი წმ. 42₁₅
ანდრია კრიტელი 34₇
ანდრია მოციქული 46₂₂, 52₁₀
ანთიმე (ანთიმოს) ნიკომიდიელი (მღვდელ-მოწამე) 59₁₁, 20
ანთიმოს მიდილინის ეპისკოპოსი 103₁₁
ანთიმოს ჭავახი (დაუღლებული) 28₂₁, 109₂₇
ანთიმოს (წინამძღვარი) 102₃₂, 38
ანნა ბატონიშვილი (ერეკლე II-ის და) 124₂₇
ანნა (მღვდელთმოდღვარი) 76₂₂, 76 სქ.***, 87₈
ანნა (ღვთისმშობლის დედა) 28₈, 28, 37₆, 67₁₀
ანტოპატრო წმ. 62₁₂
ანჩაფაშვილი ხარტიჩა (მონასტრის წინამძღვარი) 81₃₅
აოლონი 27₆
არეტმა წმ. 62₁₂
არისტოტელე 27₄
არკადი ბერძენთა მეფე (395—408) 31₇, 23, 57₂₆
არსენი იზადის ძე ვაჩნაძე იხ. ვაჩნაძე არსენი
არსენი (ერეკვირის მთავარეპისკოპოსი) 15₁₂
არსენი (სურბიის მთავარეპისკოპოსი) 35₁₁
არსენი ქართლის კათალიკოზი 86₄

არტეში წმ. 28₅
არჩილ (II) იმერთა მეფე 38₂₆, 111₁₆
ასრადინ შოლა 9₃₈
ა.ტარატე (ასტარტე) 64₂₄
აფროდიტე 49₁
ალათონიკე წმ. 52₁₃
აწოთან მუხრანის ბატონი 18₁₄, 19₁₈, 21₁₈,
23₁₆, 38₂₇, 104₃₅, 105₈, 10₇, 27, 106₁₁,
111₁₉

ბ

ბაადურ ჩოლოყაშვილი იხ. ჩოლოყაშვი-
ლი ბაადურ
ბაგრატ კურაპალატი (ბაგრატ IV ქარ-
თველთა მეფე) 17₆, 77₃₅, 81₇, 82₁₆,
121₁₃, 122₃₁, 123₂₇
ბაგრატ მეფე ქართველთა (ალექსანდრეს
ძმისწული) 80₁₄, 121₃₇
ბაგრატ მუხრანის ბატონი 49₁₉, 113₃₁
ბალადიოს 69₁₃
ბ.არბაზე წმ. 65₁₈
ბარბაზე არაგვის ერისთვის ასული, დედა
ნიკიფორე ჩოლოყაშვილისა 86₁₀
ბ.ართლომე (მოციქული) 38₁₉
ბარნაბა (დუქარიოსის მონასტრის წინამ-
ძღვარი) 45₂₂
ბარუჭი (წინასწარმეტყველი) 75₂₇
ბასილი ამასიელი 9₂₃
ბასილი დიდი 26₂₃
ბასილი ულუმბელი 22₂₅
ბაქარ ქართველთა ბატონი (ძე ვახტანგ
VI-ის) 23₃₀
ბაქარ (ძე შირიან მეფისა) 123₂₁
ბენიამენი (ბიბლ.) 86₁₇
ბეჟან ჩოლოყაშვილი იხ. ჩოლოყაშვილი
ბეჟან
ბესარიონ იმერთა კათალიკოზ-პატრიარქი
124₃₈

გ

გაბაშვილი ტიმოთე, საქართველოს მი-
ტროპოლიტი, იერუსალიმელი 3₁₃, 19₂₂,
56₃₂, 57₁₁, 59 სქ. *, 70 სქ. **,
70 სქ. ***
გაბრიელ (მთაქარანგელოზი) 67₂₄

გაბრიელ (ნიკომიდის მიტროპოლიტი)
56₁₄
გაბრიელ ქართველი 18₃₄, 36, 38, 19₁, 7, 8,
12, 20₁₉, 21₂₂, 43₃₀, 113₃₈
გაბრიელ ღვანცითელი 41₂₀, 111₃₁
გაბრიელი 32₂₈
გერასიმე ატოცელი სამარლანდშილი იხ.
სამარლანდშილი გერასიმე
გერასიმე (ირაკლის მიტროპოლიტი) 54₁₉
გერასიმე იერუსალიმელი (მონაზონი)
33₁, 25, 35₂₀, 110₁₃, 24
გერასიმე კიზიკიელი (მღვდელთმთავე-
რი) 56₁₄, 63₂₈
გერმანე კოსტანტინეპოლის პატრიარქი
39₂₆
გერასიმე ნეოკესარიელი (ყოვლად სამ-
ღვდელო) 9₁₁
გერასიმე ფცელი 109₃₀
გიორგი კურაპალატი, მეფე საქართველო-
სი 78₁₆, 81₆, 84₁₇, 121₂₆, 122₃₀
გიორგი (IX) ქართველთა მეფე (1525 —
1534), ძე დავით მეფის 79₂₂, 70 სქ. ***,
121₂₁, 122₂₄
გიორგი (XI) ქართლის მეფე 38₂₆, 111₁₇
გიორგი მთაწმიდელი 17₈, 10, 23, 22₂₂, 40₂
გიორგი შილილინელი 63₅
გიორგი ნიკომიდიელი 59₁₁
გიორგი ოლთისელი (წინამძღვარი) 22₂₃
გიორგი პროტოსპათარი, ლოლოთეტი,
სტაგირაის ძე 55₁₆, 97₃₀, 118₁₄, 23,
119₃₁, 32
გიორგი (სააკაძე), დიდი მოურავი 79 სქ. ***
გიორგი, ძე ერეკლე I-ის 85₁₆, 124₂₃
გიორგი წმ. 14₂₂, 37₁₈, 44₁₃, 46₃, 6, 51₂, 3,
70₂₀, 21, 25, 70 სქ. ***, 83₃₃, 112₂₁, 113₁₁,
19, 20
გრიგოლ თესალონიკელი 34₈, 10
გრიგოლ ნოსელი 64₂₇, 95₇, 8
გრიგოლ საკვირველთმოქმედი 8₃₂
გრიგოლ ღმთისმეტყველი 31₁₆, 39₉
გრიგოლ შეყენებული 42₁₉
გრიგოლის კანი საალავერდლო 42₇,
109₃₁, 111₃₄, 112₁
გურიელნი 21₁₇, 22₃₀

დ

დადიანი 21₁₆, 22₃₀, 81₂₅, 123₉
 დადიანი ლეონ 80₇, 12
 დავით აღმაშენებელი 82₂₇, 106₁₁, 123₃₈
 დავით მეფე ქართველთა (დავით III კუ-
 რაპალატი, გარდ. 1001) 17₃₁, 104₁₄
 დავით მეფე ქართველთა (დავით X
 [1505—1525], მამა გიორგი IX-ის)
 79₂₂
 დავით წინასწარმეტყველი 53₂, 66₂₁, 24,
 71₃₁, 74₃, 87₇, 88₃, 88 სქ.* გ
 დედისიძე (ყვარყვარე ათაბაგის მეუღ-
 ლე) 19₁₅, 105₈
 დეოკლიტიანე მეფე 12₆, 59₂₄, 70₁₄, 18, 23,
 27
 დიმიტრი წმ. 44₃₀, 46₇
 დიონისიო (იკონის მღვდელთმთავარი) 9₃₄
 დიონისიო კოსტანტინეპოლის პატრიარქი
 47₉
 დიონისიო (სულიერი მამა) 39₃₃, 111₂₂
 დიონისიოს არიოპაგელი 9₆₂₈
 დიონოსი ღირსი 44₃₀
 დიონოსიო კიონელი 12₁₃
 დომენტი (IV) კათალიკოზი საქართველო-
 სი 16₁₅, 103₁₂
 დომენტია მეფე 63₂₄

ე

ევგენია წმ. 93₂₀, 98₂₈
 ევგენიოს ფილოსოფოსი, ვენედიკელი
 (ბულგარისი) 32₁₄, 21, 36, 33₃, 10, 21, 31,
 35₂₂, 49₃₁, 38, 50₆, 51₇, 10, 54₃₀, 55₁, 9,
 109₃₈, 110₈, 18, 117₁₁
 ევსტათი ანტიოქელი 82 სქ.*
 ევსტათი წმ. 37₇, 65₂₅
 ევსტრატო (მონასტრის წინამძღვარი)
 112₃₂, 34, 113₁₄
 ევსტრატო წმ. 98₂₅
 ევტიქი (კონსტანტინეპოლის პატრიარქი)
 114₂₀
 ევფემია წმ. 57₂₄, 58 სქ.*
 ეზეკიელი (ძე აშოთან მუხრანის ბატონის)
 104₃₆, 37, 105₉

ეზრა წინასწარმეტყველი 36₃₀
 ელენე დედოფალი (კონსტანტინე დიდის
 დედა) 73₂₄, 95₂₇
 ელინე-ყოფილი ელისაბედი (კახთ დედო-
 ფალი) 81₉, 122₃₂
 ელია წინასწარმეტყველი 36₂₉, 66₁₇,
 68₃, 9
 ელისაბედი წმ. 76₂₈
 ელისე ტფილელი 82₂₂, 113₃₁, 123₃₅
 ემმელიანე კიზიკოელი (მღვდელთმთავა-
 რი) 62₁₆
 ენეა ეპისკოპოსი (საქმ. მოციქ.) 69₃₅,
 69 სქ.*, 70₅
 ეპიფანე კვიპრელი 94₃₁
 ერეკლე, ერაკლი, ირაკლი, ირაკლიოს
 (ერეკლე II) 6₂₆, 22₃₃, 85₂₀, 90₁₀, 107₂₃,
 124₂₆
 ერეკლე (I) 78 სქ.*, 85₁₆, 124₂₂
 ერმალოზ (მღვდელმოწამე) 59₁₄
 ესაია წინასწარმეტყველი 87₁₁, 88₂₀,
 88 სქ.*, 88 სქ.*, 89₂
 ეფთვიმი გრძელის ძე 85₃₄
 ეფთვიმი მთაწმიდელი 17₂₂, 29, 18₂, 10,
 20₄, 6, 11, 22₂₂, 24₂₈, 32, 40₁, 103₃₁,
 104₁, 11, 19, 105₁₃, 15, 108₁₅, 24, 26
 ეფთვიმი (სარდის ეპისკოპოსი) 10₂₈,
 98₁₇, 102₃
 ეფთვიმი დიდი, წმ. 14₂₁

ვ

ვალერიანე წმ. 98₂₈
 ვარაუჯაჩე (ძმა თორნიკე-ყოფილი იოანესი)
 22₄, 106₁₀, 107₁
 ვაჩანაძე არსენი იბადის ძე 82₂₅, 85₃₂,
 123₃₇
 ვახტანგ გორგასლანი 54₇, 67₃₂, 78₂, 15,
 79₂₆, 82₁₁, 82 სქ.*, 121₅, 16, 123₂₂
 ვახტანგ (VI) ქართველი ბატონი 23₂₀,
 38₂₇, 111₁₈
 ვირშელი ივანე 81₂₈
 ვირშელი შალვა (ქსნის ერისთავი) 81₂₇,
 123₁₀
 ვუკოლე წმ. 114

ზ

ზეღვენიძე ქრისტეფორე (ჯვარის მამა)
81₂₃, 123₇

თ

თავმასიო წმ. 62₁₃

თამაზი 16₂₁

თამარ დედოფალი (თეიმურაზ II-ის მე-
ულლე) 124₂₆

თაყა ამირახორი იხ. ამირახორი თაყა

თევდორე ქართველი (სამთავისის საყ-
დრის ყმა) 40₂₆, 41_{12,13}

თეიმურაზ (II) 6₂₅, 22₃₃, 78 სქ.^{**}, 85₁₉,
90₁₀, 107₃₃, 124₂₂, 26

თეიმურაზ (I) 37₂₁, 78₂₁, 78 სქ.^{*}, 85₁₅,
122₄

თეოდორა აღვისტინა, (დედა მიხაილისა,
იოანე ციმისხის მეულლე) 17₃₂, 33, 35,
103₃₅, 104₅, 13, 15, 25

თეოდორა (ბიზანტიის დედოფალი, IV—
V ს.ს.) 9₁₄

თეოდორე სტოდვიელი 59₇

თეოდორე ქრისტინე 97₃₇

თეოდოსი მანგლელი რევიშვილი იხ. რე-
ვიშვილი თეოდოსი

თეოდოტუ წმ. 62₁₃

თეოტიხუ წმ. 62₁₂

თეოფანია დედოფალი 57₂₅

თეოფილე მეფე ბერძენთა (829—842)
18₁₇, 31₁₈

თეოქსისტე ღირსი დედა 95₂₉

თეოდინდოსი წმ. 62₁₂

თომა მოციქული 87₂₆

თორნიკ-ყოფილი იოანე, ქართლის სპასა-
ლარი 17₂₆, 29, 35, 22₃, 18, 103₃₀, 31, 37,
104₈, 9, 12, 17, 106₉, 32, 38, 107₁₆, 108₂₅

ი

იაკობ (მამამთავარი, ბიბლ.) 73₂₂, 88₃₂,
93₇

იაკობ მოციქული 72₇

იაკობ მხატვარი, ქართველი 22₂₅

იაკობ სპარსი წმ. 34₁

იეროთეოს არეოპაგელი (V ს., ფსევდო-
დიონისე არეოპაგელის მოძღვარი) 96₂₈
იეროთეოს ფილოსოფოსი (ზმირინის აკა-
დემიის მოძღვარი) 11₃₃, 102₁₃

იერემია ნიკიის მიტროპოლიტი 56₁₅

იერემია წინასწარმეტყველი 52₃₅, 87₃₂

იესე, ძე აშოთან მუხრანის ბატონისა 19₁₉

იესო ქრისტე 83₅, 37 სქ.^{*}, 69₂₆, 70₁₁,
73₉, 29, 86₂₃, 88₁₂

ივანე ვირშელი იხ. ვირშელი ივანე

ივლიანე უსჯულო 30₂₈, 62₃

იოაკიმ კავკი (მონაზონი) 15₃₇, 103₄

იოაკიმ ფილოსოფოსი (ივერიის მონას-
ტრის მონაზონი) 21₂₅

იოაკიმ (ღვთისმშობლის მამა) 67₁₀

იოაკიმ ჯვარის მამა 73₁₆, 78₂₃, 78 სქ.^{**},
120₃₈, 122₅

ილიკრატი ბრძენი 64₁₁, 12

იოანე აშბა (მოსხი, ბერძენი საეკლესიო
მწერალი VI ს.) 22₃, 106₉, 38

იოანე გლახაკი წმ. 46₂₃

იოანე დამასკელი 34₂₉, 30, 34, 88 სქ.^{**}-ე

იოანე ვლახთ ბატონი 37₉

იოანე კუჭუჭელი 25₂₆, 26₄, 5, 10, 12, 17

იოანე მთაწმიდელი 17₂₂, 22₂₁, 24₂₈,
30, 32, 108₁₄, 18, 20

იოანე მოწყალე 37₁₈, 38₁₉, 39₂₄

იოანე ნათლისმცემელი 14₁₉, 39₁₉, 47₄

იოანე ნინოწმიდელი 22₂₃

იოანე ოკროპირი 9₅, 37₁₇, 59₄

იოანე რეხვაჯს ძე იხ. რეხვაჯს ძე იოანე

იოანე სერბთა ბატონი 43₆

იოანე ქართლის კათალიკოზი 86₅

იოანე ღმთისმეტყველი 10₈, 63₁₅, 21, 38

იოანე შიხი 65₃₂

იოანე ქიშკიშელი 86₂

იოანიკე დიდი 46₂₃

იოანიკოს ყოვლად სამღვდელო ბერუთი-
სა 65₂₈

იოანიკოს ხალკიდონის მიტროპოლიტი
56₁₄

იონა წინასწარმეტყველი 66₆

იოსებ მშვენიერი (ბიბლ.) 69₁, 3, 9, 11, 93₃₄

იოსებ (ღვთისმშობლის ქმარი) 67₂₃

იოსებ (ივერიის მონასტრის უოვლად სამ-
ლედლო) 106₂₁

ირაკლი მეფე ბერძენთა (610—641) 54₃,
82 სქ^o

ირინე, ალექსი კომნენის დედა 101₁₈

ისაყ (ბიბლ.) 72₁₀, 81₁₄, 123₅

ისიდორე პილუსიოტელი წმ. მამა 37₁₉,
95₁₆

ისიდორე ქიონელი 12₆

ისტვინიანე ბერძენთა მეფე (527—565)
46₁₀, 52₃, 86₁₉, 112₁₃

იულა (მოციქული) 86₂₈

კ

კაიაფა (მღვდელთმოდღარი) 76₂₂,
76 სქ.^o, 87₈

კალინიე (კონსტანტინეპოლის პატრიარქი)
ქი) 58₂₇, 29, 119₂₃, 29

კალინიე (მღვდელთმთავარი) 63₁₂

კანდიდოს წმ. 98₂₉

კარაკალოს მეფე პროშთა 38₂₀

კვინოპ გრძნეული 63₃₆

კვიპრიანე (ათანასეს ლავრის წინამძღვარ-
რი) 27₃₇

კვიპრიანე ბრძენი (ეპეგენი ბულგარისის
მეგობარი) 54₂₂

კვირიე წმ. 9₃₃

კინდ ქართველი, ეპისკოპოსი 86₇

კირილე კონსტანტინეპოლის პატრიარქი
53₁₆, 55₈, 57₆, 58₂₇, 30, 97₁₃, 118₃₀,
119₂₃, 125₂₂, 28

კლეოპა (სახარ.) 71₁₆

კლიმი მეუღაბნოვე (ქართველი) 22₂₄

კონდრატე მოციქული 10₃₃

კორნილიოს (საქმ. მოციქ.) 68₁₈

კოსტა, ძე კონსტანტინე დიდისა 45₃₂

კოსტანტინე დიდი 35₂₅, 45₃₃, 53₃₆, 77₂₄,
82 სქ.^o, 95₂₆

კოსტანტინე ვლახთ მეფე 12₁₉, 102₁₉

კოსტანტინე მონომახი (1042—1054) 13₃₇,
14₂, 54₈, 82₁₅, 102₃₅, 123₂₅

ლ

ლავრა წმ. 98₂₃

ლაზარე დაღელი იხ. ლეონტი დაღეთელი

ლაზარე სერბთა ბატონი 44₆

ლაზარე (მკვდრეთით ამღვარი, სახარ.)
94₃

ლეონ აბაშიძე იხ. აბაშიძე ლეონ

ლეონ დადიანი 82₂₀, 121₃₂, 35, 122₃, 29,
123₃₂

ლეონ ქართველთა და კახთა მეფე (1520—
1574) 23₁₅, 37₂₁, 29, 27, 38₇, 73₁₅, 78₂₀,
78 სქ.^o, 79 სქ.^o, 81₁, 85₁₅, 89₂₀, 90₇,
120₃₅, 124₂₁

ლეონტი ბიზანტიელი 114₂₁

ლეონტი დაღეთელი 41₂₁, 111₃₁

ლოთი (ბიბლ.) 77₂₉, 121₈

ლუკა (მახარობელი) 71₁₅

ლუკა მუხიშვილი-აბაშიძე, ჭვარის მამა
83₃₈, 84₁

მ

მათე ვლახთა ბატონი 44₂₂

მაკარი [მეგვიპტელი] 51₁₈, 51 სქ.^o, 88
სქ.^o, 116₃₀

მაკარიოს, პატრიარქის ბერი 117₃

მარი ქართველი, მღვდელმოწამე 85₂₉

მარიამ დედოფალი (ქართლისა), დადიანის
ასული 49₈, 82₁₈, 113₃₀, 123₃₃

მარიამ (ერეკლე I-ის ასული) 85₁₆, 124₂₂

მარიამ მაგდალინელი 34₂₃, 43₁, 72₄, 5₈,
72₁₇

მარიამ ღვთისმშობელი 87₁

მარინე წმ. 38₁₉

მარკოზ მახარებელი 94₂₄

მარტინიანე წმ. 68₁₂

მაქსიმე აფხაზეთის კათალიკოზი 82₂₁,
123₃₄

მაქსიმიანე უსჭულო 59₂₂, 29, 29

მალნო წმ. 62₁₃

მაჩაბელი 81₃₂, 123₁₄

მაჰმად, ახალციხის ფაშა-ათაბაგი 7₄, 7₇,
55₂₃, 101₇

მელანია პროშისა წმ. 88

მელეტი, ბრუსელი მიტროპოლიტი 60₁₈

მელეტი ფილოსოფოსი (ივერიის მონასტრის მონაზონი) 21₂₅, 26
 მელეტიოზ ბრძენი 50₂₇, 82 სქ.*
 მელქისედეკ 36₂₉
 მერკვირი წმ. 38₁₉, 46₂₄
 მინდორა წმ. 60₈
 მირიან ხოსროიანი, მეფე ქართველთა 77₂₃, 38, 82₉, 10, 82 სქ.*, 121₃, 15, 123₂₁
 მიტროდორა წმ. 60₈
 მიქია წინასწარმეტყველი 86 სქ.*
 მიხაილ ბერძენთა მეფე (ძე იოანე ციმისხისა და თეოდორასი) 17₃₁, 32, 33, 103₂₄, 104₃, 14, 15
 მიხაილ სვინადელი წმ. 26₂₃
 მოსე ქართველი მღვდელმონაწამე 85₂₈
 მოსე (წინასწარმეტყველი) 75₁₉
 მუხიშვილი-აბაშიძე ლუკა (ჯვარის მამა) 83₃₈, 84₁

6

ნაპოთე (ბიბლ.) 68₃
 ნათანელ (ივერიის მონასტრის წინამძღვარი) 16₃₅, 106₁₉
 ნათანიელ ეფესოს ეპისკოპოსი 10₃₂
 ნანა დედოფალი (მირიან მეფის მეუღლე) 123₂₁
 ნეოფიტე გალიპოლელი ეპისკოპოზი 51₃₁
 ნეოფიტე ზმირინის მიტროპოლიტი 11₁₉
 ნეოფიტე კოსტანტინეპოლის პატრიარქი 102₃₃, 103₂
 ნეოფიტე (ქაოთველი) 86₁₄
 ნესტანდარეჯან კილაძის ასული იხ. კილაძე ნესტანდარეჯანი
 ნესტორ მწვანეხელი 97₂₄
 ნიკანორა წმ. 69₁₂
 ნიკიტა ბერი 47₁₅, 18
 ნიკიტა მიდიკიის მამახახლისი 61₃₉
 ნიკიფორე ბერძენთა მეფე (963—969) 108₉
 ნიკიფორე ჩოლოყაშვილი-ომანიშვილი იხ. ჩოლოყაშვილი-ომანიშვილი ნიკიფორე
 ნიკოდიმოს ყოვლად სამღვდელლო 62₂₁
 ნიკოდიმოს წმ. 69₁₃, 23

ნიკოლოზ დვალი წმ. 83₅, 19, 23, 33
 ნიკოლოზ კათალიკოზი (ამილანორი?) XVI საუკ. II ნახევრის მოღვაწე) 21₂₁, 105₂₉, 106₃, 4
 ნიკოლოზ-ყოფილი ერეკლე, მეფე იხ. ერეკლე I
 ნიკოლოზ-ყოფილი ნიკიფორე ჩოლოყაშვილი-ომანიშვილი იხ. ჩოლოყაშვილი-ომანიშვილი ნიკიფორე
 ნიკოლოზ წმ. 42₂₂, 46₃₄, 61₂, 8, 9, 14, 18, 70 სქ.***, 81₁₀, 95₈, 122₃₃
 ნიმფოდორა წმ. 60₈
 ნინო წმ. 77₂₃, 121₃
 ნუნუს, ქართველი ეპისკოპოზი 86₆

ო

ომან ჩოლოყაშვილი იხ. ჩოლოყაშვილი ომან
 ორბეტი წმ 98₂₆
 ორიგენი 50₂₁, 114₂₈
 ორხან (ძე ოსმანჯულ (ოსმან) სულთანისა, 1326—1359) 60₃₀
 ოსმანჯულ (ოსმან) სულთანი (1259—1326) 60₂₉

პ

პაატა წულუკიძე იხ. წულუკიძე პაატა
 პავლე აღმსარებელი 42₃₂
 პავლე მონაზონქმნილი, ძე მეფეთა 39₆, 43₂₇, 28, 31
 პავლე მოციქული 27₇, 38₁₅, 62₅, 97₆
 პანტილემონი წმ. 43₃, 59₁₃
 პარასკევა წმ. 52₁₄
 პარკვიარტოს (პასიკარტოს) 70₂₆, 31, 70 სქ.*, 70 სქ.*
 პართენი იერუსალიმის პატრიარქი 53₂₉, 56₁₀
 პართენი ლამფსაკოელი 62₂₈
 პართენი მღვდელმთავარი ლიმონისა 16₁₉, 103₁₉
 პართენი ტრიპოლელი, ყოვლად სამღვდელლო 65₁₁
 პართენიოს დაყუდებული 28₅
 პატრიკი მღვდელმონაწამე 60₂₂

პახუმი, მონაწონქმნილი ელახთა ბატონი 38₂₂
პეტრე ათონელი წმ. 28₂
პეტრე მოციქული 38₁₅, 68₁₇, 19, 21, 68 სქ.^{***}, 69₇, 32, 69 სქ.^{**}
პეტრე (I) რუსთა იმპერატორი 23₁₉
პითაღორა ფილოსოფოსი 63₉
პილატე 69₂, 76₁₈
პინდაროზ ბრძენი (ბერძენი პოეტი 522—448 ქ. წ.) 96₃₅
პლატონი 96₁₉, 109₃₈
პლუზერია (არკადი ბერძენთა მეფის ასული) 34₄, 57₂₆
პოლიკარპე (წმ.) ზმირინის ეპისკოპოზი 11₃, 4
პორფირიოს (ბერძენი ფილოსოფოსი) 21 სქ.^{*}, 50₂₀, 114₂₃
პორფირი ღაზის ეპისკოპოსი 68₂₅
პროკოპი წმ. 34₁, 38₁₉, 43₁₉
პროხორე შავთელი, შავშეთელი (ჯვრის მონასტრის აღმამენებელი) 77₃₃, 36, 121₁₂, 124₁, 6
პტოლომეოს მეფე 67₃

რ

რაქაელი (იოსებ და ბენიამენის დედა, ბიბლ.) 86₁₇
რევიშვილი თევდოსი, მანგლელი 80₁₂, 82₂₂, 86₁₃, 121₃₆, 123₃₅
რეხვამს ძე იოანე 22₂₄, 85₃₆
რომანოზ ბერძენთა მეფე 43₁₈
როშაქიშვილი-ჩოლოყაშვილი ნიკიფორე იხ. ჩოლოყაშვილი-ომანიშვილი ნიკიფორე
რუფუ წმ. 62₁₂

ს

საბა თუხარელი 22₂₄
საბა, სერბიის არქიეპისკოპოზი (სიმეონ სერბთა მეღის ძე) 34₃₃, 35₃, 7, 10, 11, 13
საბელიოზ ლიბიელი 97₂₅
სალომე იერუსალიმელი (ქართველი წმ.) 83₁, 124₃

სამარლანიშვილი გერასიმე, ატოცელი 109₂₉
სამფსონ (ბიბლ.) 68₂₇
სელევკოს 69₁₂
სელიმ სულთანი (1467—1520) 79 სქ.^{***}, 122₂₁
სერაპინ, სერობინ ქართველი 41₂₁, 111₃₁
სვიმონ ქართველი ბატონი 23₁₇
სიმეონ სერბთა მეფე 35₃, 6, 8
სიმონ შეყენებული 43₆, 9
სიმონ მეფე ბერძენთა, იგივე შიტროპოლიტი სოფრონიოსი 95₁₃
სოლომონ ბრძენი 65₁₄, 66₂₃, 27, 74₂₇, 77₂₈, 87₇, 88 სქ.^{**}, 121₉
სოფრონ იერუსალიმელი 22₁, 65₁₆, 106₈, 37
სპირიდონი წმ. 15₁₀, 12, 16, 21, 25, 26, 31-32, 97₈, 125₁₄
სტავრაკი, ბულდანის მეფის ვეჟილი 53₁₄, 55₁₄, 118₁₄
სტეფანე პირველდიაკონი 39₂₂, 87₃₀
სულეიმან ხონთქარი (ძე სელიმ სულთანისა, 1520—1566) 79₂₃
სფირიდონ საკვირველთმოქმედი იხ. სპირიდონ წმ.

ტ

ტაბითა (საქმ. მოციქ.) 68₁₈, 22, 68 სქ.^{***}
ტიმოთე ბრუსიის ეპისკოპოზი 60₂₅
ტიმოთე გაბაშვილი იხ. გაბაშვილი ტიმოთე
ტიმოთე მოციქული 14₂₁
ტივირფონი (ტირიფონი) წმ. 62₃₀
ტვიხონ ამათუნატელი 94₃₂, 36
ტრაიანე მეფე 62₅
უმეროს (პომპეროსი) 20₁₂

ფ

ფანასკერტელ-ციციშვილი ამილღაბარი 81₃₁
ფილიმონ, ფილიმონოს წმ. 9₂₆, 62₁₃
ფილოთეოს, კვიპრიის არქიეპისკოპოზი 94₁₀

ფილოთეოს (ივერიის მონასტრის ფილოსოფოსი) 21₂₆

ფილოთეოს (ფილოთეონის მონასტრის გამგებელი) 37₂₄

ფილოთეოს კტოლემეიდის ყოვლად სამღვდლო 67₁

ფილიპე მოციქული 14₂₁

ფლორო წმ. 98₂₃

ფოკა მღვდელმთავრე 98₂₁

ფოტი განმარტებული 36₁₅, 22

ფოტინე სამართელი 67₃₅

ქ

ქაიხოსრო ქართველი წმ. 85₃₀

ქაიხოსრო, ყვარყვარე ათაბაგის ძე 19₁₅

ქაიხოსრო წულუკიძე იხ. წულუკიძე ქაიხოსრო

ქეთევან დედოფალი წმ. 19₁₆, 105₇, 10

ქრისტეფორე ზედგენიძე იხ. ზედგენიძე ქრისტეფორე

ქსენოფორე წმ. მამა, ქსენოფის მონასტრის აღმაშენებელი 44₂₁

ქსენი წმ. 52₁₂

ქსერქსი ელენთა მეფე 96₂₄

ლ

ლელიკერია 70 სქ.^o, 70 სქ.^{oo}

ყვარყვარე ათაბაგი 19₁₅, 79₂₇, 104₃₂, 105₅, 121₂₂

შ

შალვა ვირშელი იხ. ვირშელი შალვა

შამ აბაჰ ყეენი 85₃₁

2. გეოგრაფიული სახელები

ა

აზია, ასია 10₉, 52₂₂, 57₃₂, 75₁₈

ათანასეს ლავრა (მთაწმიდაზე) 18₁₂, 24₁, 5, 11, 27, 54₂₄, 107₃₈, 108₃, 4, 15,

23, 27

ათონის მთა იხ. მთაწმიდა

შოთა (შოთაძე) რუსთველი 80₁, 80 სქ.^o, 82₁₉, 121₃₀, 123₃₀

ჩ

ჩილოყაშვილი ბაადურ 81₂₁, 123₃

ჩილოყაშვილი ბეუნან 81₂₁, 123₃

ჩილოყაშვილი ომან 86₉, 121₃₄

ჩილოყაშვილი-ომანიშვილი (ძე ომანი-სა) ნიკოლოზ-ყოფილი ნიკიფორე 80₁₀, 11, 82₂₁, 86₉, როშაქიშვილი-ჩილოყაშვილი 121₃₄

ჩხეტის ძე რაქის ერისთავი 123₁₁

ც

ციმისქია [იონანე], ბერძენთა იმპერატორ. 969—976) 108₉

კ

კილაძე ნესტანდარეჯანი, დედოფალი, ლეონ დადიანის მეუღლე 80₈, 121₃₃
კუაჰს ძე 85₃₅

წ

წულუკიძე პაატა 81₂₀, 82₂₃, 123₂

წულუკიძე ქაიხოსრო 81₂₀, 82₂₄, 123₁

ხარტიჩა იხ. ანჩაფაშვილი

ხარალამი (ხარალამი) წმ. 10₃₅, 37₇

ხარიტონი წმ. 10₄, 14₂₂

ხორაშან (ერეკლე I-ის ასული) 85₁₇, 124₂₃

ხრისანთე, ხრისანთო პატრიარქი 54₁₂, 82 სქ.^o

ხრისტოდულო, ხრისტოდულო 64₅, 109₃₃

ჭ

ჭაბიბოს, ძე გამალიელისი 69₁₂

ჭეროდე მეფე (ბიბლ.), 68₅, 6

ანატოლია 53₁₂

ანდროსი (კუნძ.) 97₁₀

ანტიოქია 65₂₇, 94₁₄

აპოლონია 27₅, 9

აპოლონიის ტბა 62₄

არაბეთი 65 24, 25

არზრუმი 98₃₅

არამათია, რუმლი, რემლი 68₂₈, 71₂,

93₃₄, 112₂₆, 113₂₄, 120₁₁, 12, 13

არიოპაგე 96₂₇

არიოპაგის აკადემია 96₂₈

ასია იხ. აზია

ასტოპალეა (კუნძ.) 95₁₈

ასურეთი 65₃

აფხაზეთი 54₅, 11, 98₁₃

აჟარის მთა 7₁₇

ახალციხე 7₄, 14, 55₂₃, 98₃₆

ახშირი 9₃₂, 101₂₁

ბ

ბათომი 7₁₉

ბარუთხანა სამეფო (კონსტანტინეპოლის

გარეუბანი) 52₁₆

ბებექი 53₁₄

ბეთანია 93₂₁, 94₂

ბეთლემი 82₁, 86₁₅, 18, 123₁₅

ბეთსაიდი 86₁₆

ბენდერმა 62₈

ბერია (მაკედონიაში) 27₉, 10

ბერუთი 65₂₄, 28, 33

ბოლაისარი, ბოლაზისარი 51₂₇, 62₃₃,

120₆

ბრუსა, პრუსა 17₃₄, 60₁₄, 30, 103₃₆, 120₅

გ

გულაყასაბა 10₅

გუმრისხანა 98₂₈, 31

გუმლექი 60₉, 120₁

გურია 124₃₁

დ

დემირყაფისი (კონსტანტინეპოლის გარე-

უბანი) 52₁₇

დინო (კუნძ.) 125₂₀

ე

ეგვიპტე 92₃₅

ეგვაოზ 71₁₅

ევროპა, ევროპია 32₁₈, 52₂₂, 57₃₂, 110₁₂

ევფრათა (სოფ.) 86₁₅

ევფრატის წყალი 30₁₆, 98₃₄

ევქსინო პონტო 53₇

ევაბატა 98₁₅

ეკლესია აიამონა 13₁₁₈, 17₅

„ ბეთლემი 86₁₉

„ წმ. ბიქტორის (ქიოსზე) 12₂₅

„ გრიგოლ ნოსელის (ტრაპიზონს) 8₂

„ გრიგოლ ნოსელის (მირან ლუკის მახლობლად) 64₂₅

„ გრიგოლ საკვირველთმოქმედისა (ნეოკესარიას) 8₂₉

„ იაკობ მოციქულის (იერუსალიმს) 72₇

„ იოანე ღმთისმეტყველის (ფილადელიფიას) 10₈, 101₂₈

„ კონსტანტინეპოლის 57₂₄

„ ლუდიას 69₃₁

„ მეტეხი (თბილისს). 80₁₀, 86₁₉

„ მთავარანგელოზისა (კელასესს) 10₁₄

„ მთავარანგელოზის (მედანიას) 61₁₇

„ მთავარანგელოზის (სიის) 61₃₃

„ მირიოფიტის 62₂₁

„ წმ. ნიკოლოზის (მედანიას) 61₂

„ - (უნიას) 8₂₅

„ პორტატის (ათონის ივერიის მონასტერში) 21₇, 18₁₃, 15

„ სამთავისი 40₉

„ სამოციქულო (იერუსალიმს) 71₃₁, 72₆

„ სპატრიარქო (იერუსალიმში) 72₉

„ სვეტიცხოველი (მუხეთას) 98₁₂

„ თოხთა (ნაზარეთს) 67₃₁

„ ფოტინე სამარიტელის (ზმირინს) 11₂₅

„ ქრისტეს აღდგომის 72₁₃

ეკლესია ქრისტეს საფლავის 38₉, 72₁₃,
16, 73₁₆, 78₁₉, 23, 78 სქ.**,
82₇
„ ქუთაისის 123₂₉
„ ლმთისმეტყველის (სარღვოს)
102₂, 10₂₅
„ ყოვლად წმიდის (კონსტანტინე-
პოლში) 97₃₃
„ ხალკიდონის 58₂₄
ერაკლია, ერაკლიოს 52₇ 54₁₈
ერისო (მთაწმიდაზე) 36₁₀
ფფესო 10₉, 63₇

ვ

ვათაბედის შკოლა 32₃₅, 33₂₆
ვენედიკთა ქვეყანა 32₁₅
ვიზინტიის მთა 53₁₀
ვლადიკია 10₁₀
ვრულა 63₈

ზ

ზებე 66₃₄
ზეთისხილის მთა 93₁₆, 20
ზიბი 66₃₃
ზილოა 9₂₄
ზნირინი, იზირირი 9₁₉, 10₉, 11₁, 4, 18, 29,
35, 108₃₃
ზმირინის აკადემია 11₃₃

თ

თაბორი (მთა) 67₂₉, 93₁₉
თარში (კუნძ.) 92₃₅
თასო (კუნძ.) 97₂₄
თვარტირი 10₉,
თეთრი ზღვა 11₉, 96₂₆
თერშია (კუნძ.) 125₁₁
თესალონიკე 27₉, 108₃₃, 118₃₇
თექირდანი 54₁₉
თივადი 96₂₄
თოხათი, კუკუსო სომხეთისა 9₇
თურქმანი უშენი 9₂₅

ი

იალბუზი 64₃₆
იაფა, იოპე 64₃₄, 68₁₄, 17, 19, 68 სქ.***,
93₃₅, 112₂₅

იერიკო 75₂₄

იერუსალიმი 3₁₈, 4₂, 8, 6₁₃, 9₁₈, 11₁₇, 36,
16₁₁, 53₂₉, 55₁₉, 56₂₉, 33, 57₁₂, 18,
64₃₃, 34, 66₃, 67₄, 33, 37, 70₆, 16, 18,
71₄, 22, 25, 28, 32, 73₂₃, 27, 74₁₆, 75_{8,10},
25, 27, 35, 77₂₁, 24, 78₅, 7, 9, 10, 12, 19,
78 სქ.**, 79₄, 8, 12, 28, 79 სქ.***, 80₁₉,
82₂, 12, 83₉, 16, 18, 84₁, 85₁₁, 24, 86₁₂,
88₈, 22, 26, 89₆, 11, 14, 90₁₄, 93₂₂,
95₂₇, 102₁₇, 107₂₇, 112₂₅, 113₁₆, 115₂₆,
118₃₄, 119₂₀, 37, 120₁₀, 121₁, 5, 17, 22,
37, 122₁₁, 12, 16, 20, 25, 27, 123₂₃, 124₃₄

ილორი 70₃₃

იმერეთი, ქვემო საქართველო 54₆,
82 სქ.*, 117₃, 124₃₁₁
იორდანე 93₂₇
ირიზა 7₂₆

კ

კავკასიის მთა 27₂₅, 109₁₉
კათრილი 60₃
კალილიმონა 64₈, 120₇
კალიოპოლი 62₂₃, 27
კანა გალილიასი 67₂₆
კარი დავითისი (იერუსალიმში) 120₁₇
კარმელის მთა 68₉
კასტელიორიზო (კუნძ.) 95₁₂
კახეთი 38₁₀, 54₆, 78 სქ.**, 86₁₁
კერკურა, კერკირია 15₁₁, 19, 125₁₅
კესარია 70₁₅
კესარია ფილიპე 68₁₁₀, 12
კიზიკო, კვიზიკო 62₉, 15, 118₃₈
კობრე, კვიპრე, კვიპროზი 15₁₀, 27, 83₁₄,
93₃₆, 94₅, 18, 37, 119₂₃
კეცვი 43₂₉
კირიტი (კუნძ.) 106₁₆
კიტეოს 93₂₄
კლარჭეთი 83₈
კოლასე, იგივე ხონა 10₁₅, 101₃₁
კომანა 9₃, 98₂₄
კორინთე 97₆
კორფო 97₈
კოსტანტინეპოლი 7₁₁, 12₂₂, 18₁, 6, 26₈,
39₂₅, 40₁₀, 51₆, 23, 52₁₅, 18, 27, 57₂₄, 34,
58₁₆, 62₂₅, 94₁₈, 25, 96₁₅, 101₁₂, 103₁

104₂, 108₂₂, 117₂₇, 34, 119₁₆, 30
კუკუსო სომხითისა იხ. თახათი.

ლ

ლამფსაკო 62₂₇, 28, 29
ლევკოსი 94₈
ლეროსი 64₇
ლიზანის მთა 65₁₃, 14
ლიმნა, ლიმონა, ილიმია 16₁₇, 103₁₆, 108₃₄
ლუდია, ლიღია 68₂₈, 30, 69₂₉, 31, 34,
69 სქ.***, 70₁₇, 29
ლუკაონი 9₂₆

მ

მაილო 62₃₃
მაკედონია 27₃, 83₁₉, 20, 97₂₅, 125₃₂
მარონიტა ქვეყანა 65₂₃
მალნისია 10₃₁
მგელი 8₃₁
მედანია 60₃₅
მეთიმნია 62₃₇
მელიტონი სომხითისა 98₂₆
მთაწმიდა 4₂, 9, 6₁₃, 16₁₁, 21, 24, 28, 18₇, 28,
24₁₁, 25₂₄, 27₁, 2, 5, 19, 22, 29₃₀ 31,
30₁₅, 35₄, 7, 27, 41₁₀, 42₁, 8, 54₂₅, 78
სქ.***, 97₁₂, 103₇, 20, 26, 33, 104₁₀,
108₃₂, 34, 109₁, 5, 12, 110₃₇, 112₃₃, 113₃,
23, 117₂, 7, 8, 125₂₁
მიდილინი (კუნძ.) 16₁₄, 62₃₇, 63₄, 103₁₀
მირონ ლუკია 64₂₄
მირონ ქალაქი 95₁₀
მისირი 78₃, 79 სქ.***, 121₆
ევეპატე 78₃, 79 სქ.***
მიხაილი 62₇
მონასტერი აბრაჰამის (იერუსალიმში)
72₁₀, 81₁₄, 123₅
„ წმ. ანნასი (მთაწმიდაზე) 28₂₈
„ წმ. ბასილის (იერუსალიმში) 81₁₇,
122₃₅
„ ბერძენთა (რუმლს) 120₁₃
„ წმ. გიორგის (ურიათ უბანში
იერუსალიმში) 81₂₅, 123₉
„ (რუმლს) 113₂₀
„ „ (ილორს) 70₃₃

მონასტერი გრიგოლისის 42₉₋₁₁
„ წმ. დიმიტრის (იერუსა-
ლიმში) 81₂₇, 123₁₀
„ დიონისიოს (მთაწმიდაზე)
39₁₄, 41₁₃
„ დუქარიო (მთაწმიდაზე) 44₂₄, 25,
112₄
„ წმ. ეკატერინესი (იერუსალიმს)
81₃₁, 123₁₃
„ წმ. ელენესი (ლუკაონის მახ-
ლობლად) 9₂₈
„ ვათაპედის (მთაწმიდაზე) 31₆, 9,
97₁₂, 125₂₁
„ ზარზმა 7₁₅
„ თაბორის 67₃₁
„ თევდორე სტოდიელისა (სიის
მახლობლად) 61₃₆
„ წმ. თევდორესი (იერუსალიმში)
81₂₁, 123₃
„ წმ. თეკლასი 81₂₂, 123₇
„ იაკობ ალფესის (იერუსალიმში)
81₅, 121₂₈, 122₁₀, 30
„ იოანე ღმთისმეტყველისა
(იერუსალიმში) 81₁₂
„ კარაკალას (მთაწმიდაზე) 34₁₃, 14
„ კარის ღმთისმშობლის (მთაწმი-
დაზე) 16₂₇, 19₁₃
„ კათსოკალივა (მთაწმიდაზე) 28₂₀
„ კოსტამონა (მთაწმიდაზე) 45₂₇, 28
„ მთავარანგელოზთა (გულაყასა-
ბას) 10₆
მთავარანგელოზის (სერფოს)
9₆₂, 125₁₀
„ მიდიკიის 61₃₈
„ მირქმის (იერუსალიმში) 81₂₉,
123₁₁
„ წმ. ნიკოლოზის (ჯეროს მონას-
ტერთან) 81₁₉, 123₁
„ წმ. ნიკოლოზის (იერუსალიმში)
122₃₂
„ პავლესი (მთაწმიდაზე) 39₅, 4
„ პანტოკრატორი (მთაწმიდაზე)
46₁₅, 16, 17, 113₂₃
როშთა, რუსთა (მთაწმიდაზე)
112₃

მონასტერი სიმონ-პეტრა (მთაწმიდაზე) 42₂₁, 26, 27, 111₃₇
 „ სიღმენოს, სიღმენოზის (მთაწმიდაზე) 33₃₅, 36
 „ წმ. სპირიდონის (ათენის მახლობლად) 96₅
 სტავრონიკიტა (მთაწმიდაზე) 46₃₁, 32, 33, 47₁₈
 უზოლრაფი (მთაწმიდაზე) 46₁, 113₂₄
 „ ფერისცვალებისა (არნაუტთა ქვეყანაში) 97₃
 „ ფენერი (კიევი) 43₂₉
 „ ფილოთეონი (მთაწმიდაზე) 37₁₂, 13, 14, 25, 78 სქ.*⁸, 111₄
 „ ქართველთა (ივერიის მონასტერი მთაწმიდაზე) 12₁₂, 18₃₆, 19₄, 20₃₆, 21₁₂, 24₄, 40₁, 51₂₅, 54₂₇, 97₁₆, 104₁₁, 106₁₉, 106₁₉, 35, 108₅, 16, 29, 124₁₁, 125₂₅
 „ ქილანდარი (მთაწმიდაზე) 34₁₇, 18, 34, 35₉, 110₃₄
 „ ქსენოფი (მთაწმიდაზე) 44₁₁, 12
 „ ქსეროპტამი (მთაწმიდაზე) 43₁₂, 13
 „ ღმთისმშობლის წყაროსი (ანდროს კუნძულზე) 97₁₁, 125₁₈
 „ ყოვლად წმიდისა (იერუსალიმში) 123₁₁
 „ ყოვლად წმიდისა (ლეროსზე) 64₇
 „ ყოვლად წმიდისა (პანახრანტეს) 125₁₉
 „ ყუთლუმიში (მთაწმიდაზე) 37₁, 2
 „ შინოლაკოს 61₃₅
 „ ხალკს 59₆, 59 სქ.*
 „ წმ. ხარიტონის (მცირე აზიაში) 10₄
 „ ჯვარის (იერუსალიმის მახლობლად) 77₂₅, 37, 80₃, 81₇, 82₁₉, 83₁₁, 18, 86₁₂, 15, 121₁₄, 21, 122₁₀, 123₁, 20

მოსკოვი 12₂₉
 მოსკონი 63₇
 მცხეთა 54₉, 82₁₂, 14, 98₁₂, 123₂₄, 25

ნ

ნაზარეთი 67₇, 12, 38, 68₂, 93₁₈
 ნაქსია ქალაქი 95₂₅
 ნეოკესარია 8₂₈
 ნიკია 18₂₀, 119₂₇, 36, 120₁
 ნიკომედია 59₁₀, 27, 70₁₅, 119₂₇, 38
 ნიმრო (კუნძ.) 51₂₆
 ნისირო (კუნძ.) 95₁₇

ო

ოლიში 86₁₁, 124₃₁
 ოლითისი 98₃₅
 ოქროქალაქი 53₁₂, 58₂₁

პ

პალესტინა 3₁₉, 70₁₆, 75₁₉, 78₉, 82₁₂, 121₁₇, 123₂₃
 პარაშამი 92₃₅,
 პაროხი (კუნძ.) 95₂₅
 პატმოხი (კუნძ.) 63₁₄, 25
 პეტრევერუხი 12₂₉
 პისიდია 64₂₈, 29, 95₃, 8, 10
 პლატონის სკოლა 96₁₉
 პრიკონისი 62₂₀
 პროპონტის 97₂₉
 პტოლემეაიდა 66₃₅, 36, 68₇

რ

რაქა 124₃₁
 რემლი, რუმლი იხ. არიმათია
 როდოსი (კუნძ.) 64₁₆, 95₁₆
 რუსეთი 26₂₀, 33₂₉

ს

საამილახვრო 111₂₇
 საბერძნეთი 18₄, 33₂₉
 სამათრაქე (კუნძ.) 27₈, 51₂₈
 სამთავრო 82₁₄
 სამოსი (კუნძ.) 63₃
 სამსონი 98₂₃
 სამცხე 7₄, 104₃₃, 105₆

ხანტო ირინა (კუნძ.) 95₂₁
 ხარდე, ხარდვოს 10₁₀, 25
 ხარეფთა 66₁₇
 ხაფრანგეთი 33₂₉, 55₈
 ხაქართველო 3₂₉, 4₁₃, 25, 6₂₄, 7₂₃, 26, 12₂₁,
 18₄, 19₂₇, 29, 34₃₇, 20₁₅, 51₁, 18, 54₄, 10,
 55₅, 77₂₃, 35, 78₁, 17, 78 სქ.***, 82₁, 13,
 82 სქ.*, 84 18, 2 3, 90₉, 98₅, 31, 32, 33,
 118₃₄, 119₄, 121₂, 16, 19, 123₂₄, 27, 124₃₀
 ხაყიზა იხ. ქიონი
 ხახლი ანნასი და კაიაფასი 76₂₂, 77₂
 ხერფო (კუნძ.) 96₁
 ხიდონი 66₇, 8, 14, 18
 ხილიმგერია 52₁₁
 ხილოამი 87₁₂
 ხინა (მთა) 61₄, 15
 ხინოპი 98₂₉
 ხიონი (მთა) 74₄, 5, 88 სქ.** ბ, 90₄
 ხიონი წმ. (იერუსალიმში) 75₃₂, 87₅, 89₂₁
 ხპარსეთი 18₂, 54₃, 104₂₂
 ხოლომონის ტაძარი (იერუსალიმში) 71₂₆,
 79 სქ.***
 ხტამბოლი იხ. კოსტანტინეპოლი
 ხტანკოვი (კუნძ.) 64₁₀, 120₈
 ხტითია 27₄
 ხუბეკი (კუნძ.) 64₁₅
 ხურამი 98₃₅

ტ

ტანტალა (სოფელი ოკრეტოზ ბრძინსია)
 96₃₅
 ტვიროსი 66₈, 13, 20, 22, 25, 32
 ტიბერიის ზღვა 67₃₄
 ტრაპეზუნტი 7₂₇, 20, 24₁₀, 108₇
 ტრილია 61₃₇
 ტრიპოლი 8₂₂, 65₁₃
 ტროადა 27₈, 62₁₀, 97₂₃
 ტფილისი 56₃₂

უ

ულიმბოს მთა. იგივე ქეშიშტალა 60₁₅, 27
 უნია 8₂₃
 უხისტყე 40₃, 111₂₃
 უსკუდარი იხ. ოქრო ქალაქი

ვ

ვილადეღვია 10₈, 10, 101₂₃, 29
 ვლორენცია 66₉
 ვოთი 54₄

ქ

ქალდეა იხ. გუმიშხანა
 ქარესი (მთაწმიდაზე) 35₂₄, 37₁, 49₂₅
 ქართველთი (მდინარე) 50₃₂
 ქართლი 40₉, 50₃₀, 33, 34, 37, 51₄, 54₅, 11₁,
 14, 55₇, 78 სქ.***, 82 სქ.*, 98₁₂, 104₃₃,
 108₁₉, 116₃₁, 117₄, 14, 120₃₀
 ქეშიშტალა იხ. ულუმბო
 ქვემო საქართველო იხ. იმერეთი
 ქვემო ტროადა („თურქნი ბოლანისარს
 უწოდენ“) 51₂₇
 ქვაბი ბარუქისა 75₂₇
 ქვიშხეთი 101₂
 ქიონი, ხაყიზა 12₂, 4, 7
 ქუთათისი 82₁₇, 96₂₈

ლ

ლაზა 68₂₄, 28

ყ

ყასაბა 10₃₀

შ

შაეი ზღვა 53₇, 57₃₃, 96₂₅, 28
 შილა 98₁₆
 შანია 50₂₆, 20, 55₁, 3, 4, 115₃, 117₁₂,
 14, 16

ქ

ქიროსი 71₈, 98₃₃

ხ

ხალიკლონი 58₂₂, 59₂, 9, 118₃₃, 119₂₆, 38
 ხოდაშენი 38₁₀
 ხონა იხ. კოლასე
 ხოფი 86₁₁

ჭ

ჭია (კუნძ.) 125₁₁

ჰ

ჰრომი 34₁₂

3. ეთნიკური სახელები

- აგარიანი 52₃₂
 ალელნი 119₁₈
 არაბნი 65₅, 7, 11, 20, 67₅, 12, 68₁, 71₂, 5,
 6, 7, 78₁₂, 13, 79₁, 5, 80₁₅, 120₁₀, 12,
 121₂₀, 122₇
 არნაუტნი 97₄, 9
 ასური 92₁₂
 ბერძენი 34₁₅, 21, 40₈, 79 სქ.*, 89₂₂, 120₁₈,
 121₃₈, 125₅, ბერძენთა მეფე 7₂₉, 31₇,
 17₃₁, 18₁₇, ბერძნული ენა 32₂₉
 ბულღარნი 34₂₁, 46₅, ბულღართა მეფე
 39₁₁, 42₂₀
 გურჯი 50₃₈
 დურძნი 65₃₅, 38
 ებრაელი იხ. ურია
 ელლენი 49₂₈, 50₂₂, 114₂₄, ელლენთა
 21₂₇, 96₂₄, ენითა ელენებრითა 32₁₅
 ვენედიკნი 52₁
 ვლახთა ბატონი 37₈, 38₂₁
 თათარი 7₁₃, 55₂₀, 61₂₈, 78 სქ.**, 124₁₁
 თურქი 50₃₇, 51₂₇, 30, 54₃₂, 34, 60₂₈, 61₂₉,
 62₃₅, 64₁₉, 117₂₁, 24, 120₁₁, 122₂, 125₂₈;
 თურქნი 16₂₂, 35₁₆, 36₁₂, 13, 38₈, 40₁₀, 30, 36,
 65₃₄, 38, 66₆, 16, 34, 68 12, 14, 23,
 71₂, 6, 78₁₉, 22, 84₆; თურქთა ენა 7₁₀,
 8₃, 9₃₇, 11₂, 12₇, 15₁₆, 21₃₂, 83₁₄, 84₂₀;
 თურქთაგან 93₂₄, 96₁₄, 97₉
 იაკობიტნი 92₁₂
 იმერელი 41₂₀; იმერელთ მეფე 38₂₆
 ისრაელი 86₃₀; ისრაელნი 75₂₃
 კახი 42₇; კახთა მეფე 23₁₅
 მალთისნი 64₁₉
 მარონიტნი 65₁₈, 19, 20
 მეგვიპტელნი 78₈
 რუსი 39₁₂, 89₂₂; რუსთა ენითა 39₁₁;
 რუსთა იმპერატორი 23₁₀; რუსნი 70
 სქ.***, 124₉
 სერბნი 34₂₀, 35; სერბთა ბატონი 43₅,
 46₅
 სკვითნი 39₂₅
 სომეხი 92₁₁, 121₁₁, 28, 125₃; სომეხნი
 58₃₂, 78₁₇; სომეხთა 84₁₄
 სპარსი 34₁, 78₁₉, 121₅; სპარსთა 22₂₀,
 84₂₀, 121₁₆; სპარსნი 18₄, 17₃₃
 სირიელი: სირიანთა 125₄
 ურია 98₁, 3; ურიასა 97₃₇; ჭურია 50₂₅,
 ჭურიანი 16₇, 70₁₀, 94₂; ჭურიათა 69₃₅
 ჭურიათასა 87₂₄; ჭურიათი 70₅
 ფრანგნი 44₁₈, 58₃₁, 66₁₀, 78₅, 7, 79₂₅, 89₂₂,
 124₉, 11, 125₂
 ქართველი 4₇, 17₁₀, 18₁, 34, 20₄, 21₁₅,
 23₁₇, 21, 55₄, 81₃₅, 85₂₈, 30-36, 86₁, 2
 4, 7, 89₂₅; ქართველნი 10₄, 55₈, 86₁₆,
 121₂₁; ქართველთ 38₂₇, 124₁₅; ქარ-
 თველთა 17₃₁, 19₃₂, 23₁₅, 24₃₁, 39₃₃,
 79 სქ.***, 83₁₁, 84₂₄, 31, 35, 87₂₀; ქარ-
 თველთაგან 22₁₇, 63₂₉, 82₂, 98₃₀, 120₁₇,
 122₂₈; ქართველთათვის 81₃₄, 85₁₁,
 116₃₂, 121₁₄, 122₁, 124₃₆₆; ქართველთა-
 ნი 4₄; ქართველთასა 17₃, 85₂₅; ქარ-
 თველი 123₁₅
 ყუვთნი: ყუვთთა 125₄
 შანიელნი 50₂₈, 55₃; შანიელთა 50₂₆,
 55₃, 115₁; სანთა ენა 54₃₆
 ხაბაში: ხაბაშთა 92₁₂, 125₄

ლექსიკონი *

ა

აბზინდა 58₈ ქაშის ბალთა
 აგარაკი 84₂₃ საუანე მიწა
 აღონა 74₂₃ უფალი
 აედონი 115₁₃ იადონი
 აიაზმა 86 წმინდა წყალი
 აკათისტო 39₂₇ ლეთისმშობლის საგალობ-
 ლის სახელწოდება
 აღამი 12₂₇ დროშა
 ამზოხი 16₂₅ შფოთი, არეულობა
 აორძილა იხ. ორძილი
 არვე 48₁₆ სამწყესო, ფარა
 არმური 35₁₈ აღმური
 ახახებდა იხ. სახვა
 ახახია იხ. სახვა
 არღვანი 14₂ წითელი ფერის ქვა
 ასკიტი, ასკატა (?) 115₂₈ ფრინველი (საბა)
 ასოეულად 40₃₁ ასო-ასოდ
 ასპარეზი 90₂₃ მოედანი
 ასფოდელი 11₁₇ ბოლქოვანი მცენარე,
 შროშანი
 აფთი 84₁₀ ბრტყელი მახვილი
 აღახვენს იხ. აღხუმა
 აღვიმსოთ იხ. აღმსობა
 აღვწმასნო იხ. აღწმასნა
 აღისურვა იხ. აღსურვება
 აღიწობენ იხ. აღწობლა
 აღიხვენ იხ. აღხუმა

აღმოცობა: აღმოცული 92₆ შემკობილი
 აღმოშვირებული 115₃₅ ამონათებული
 აღმოწოდება 19₃₂ მოწოდება, დაძახება
 აღმსობა: აღვიმსოთ 74₂₈ აღრე
 აედგეთ
 აღრამნია (ბერძნ. *ἀρχαία* ἡ) 49₁₅
 ლამისთევა დღესასწაულის წინ
 აღსურვება: აღისურვა 83₉ მოისურვა
 აღტვიფრვა: აღტვიფრა 74₁₉ აღბეჭდა
 აღძარცვა: „აღიძარცვა მონაზონებისა
 სახე“ 18₃, 104₂₀, გაიხადა მონაზვნის სა-
 მოსელი
 აღწობლა: აღიწობენ 30₂ თქველფენ
 აღწმასნა: აღწმასნო 73₃₁ დავგრი-
 ხო, დავლართო
 აღხუმა აღება (ბერის): აღიხვენ 48₂₁
 აილე, „აღახვენს კლიტენი“ 70₉
 გააღეს, ახსნეს კლიტენი
 აცვრედენ იხ. ცვარვა
 ახოვანი 70₂₅ ძლიერი, გულოვანი
 ახარისხება: ახარისხებულნი 29₁₃
 საფეხურებზე გაწყობილი
 ახური, ახორი 79₂₀ საჭინბო, ცხენთა
 ბაგა
 აღკდომა: აღკვედით 16₃₁ შეეჭებით
 აჯა: ვიიჯდი 67₂₁ ვევედრებოდი

* ლექსიკონის შედგენისას გამოვიყენეთ სულხან-საბა ორბელიანისა და დ. ჩუ-
 ბინაშვილის „განმარტებითი ლექსიკონები“, სხვა ენათა ლექსიკონები და ძველი
 ქართული ლიტერატურის ძეგლებზე დატოვებული სპეციალური ლექსიკონები.
 რამოდენიმე სიტყვა, რომელთა განმარტებაც ვერ შეეძლია, ლექსიკონში გა-
 ნუმარტავად შევიტანეთ.

ბ

ხალია 23₁₄ დიდი ჯამი
 ბაჟმაკი 92₂ სანთელი
 ბალიოზი 11₃₅, 102₁₅, ელჩი, გენერალუ-
 რი კონსული თურქეთში
 ბაღმის ქვა 14₅ წითელი ქვა
 ბანაკი 115₂₈ კრებული, გუნდი
 ბარტყულა 28₃₆ მონაზონთა კუნკულა,
 ქული
 ბარძიმი 92₆ ფეხიანი სასმისი
 ბევრი 59₂₆ ათიათასი
 ბეზეკი 115₁₆ ელვარე
 ბექსაშული 47₃₅ მხრებს შორის მანძი-
 ლი, ბექთა საშული
 ბეპი 61₁₂ ბე, არაონი
 ბისონი 22₃₆ სამღვდლო სამოსი
 ბორიო 7₂₀ ჩრდილოეთის ქარი
 ბორჯლიანი 32₆ კაპებიანი
 ბოღისარი 51₂₇ სრუტე, იზმარება დარ-
 დანელისა და ბოსფორის საკუთარ სა-
 ხელადაც
 ბრპენი 13₂₅ ტყვია
 ბურვილი 20₃₈ გადახურული; ბურვი-
 ლობა 58₄ გადახურვა

გ

გ: ჰგიეს 68₂₂, 109₂ მყოფობს, არის,
 არსებობს
 გაელაღნეს იხ. გალაღება
 გალატოზი 21₁₉ კალატოზი
 გალაღება: გაელაღნეს 11₁₅ გაეთა-
 მანენ
 გამოვედ იხ. გამოსლვა
 გამოვექვი იხ. გამოქვება
 გამოსლვა: გამოვედ 41₂ გამოღი
 გამოქვება: გამოვექვი 5₇ გამოვაკ-
 ლდი
 გამცდელმან იხ. განცდა
 განყენება: განაყენა 83₃ გააცილა, მო-
 აშორა
 განაძებდეს იხ. განძება
 განბასრვა 83₃ განციტება

განბრძნობა: განბრძნა 25₂₉ ბრძენთ
 განლა
 განეხუნეს იხ. განხუმა
 განვაქრება 70₂₈ გაყიდვა
 განვედ იხ. განსლვა
 განვიცადენ იხ. განცდა
 განთვისება: განთვისულან 40₄ გა-
 მოყოფილან
 განივლტოდა იხ. განვლტოლა
 განიოტნა იხ. განოტება
 განიპურნის იხ. განპურობა
 განკარგვა: განკარგვით 30₃₁, 91₃₁
 გაწყობით, მწყობრად
 განკვირება 83₃₂ ჩვენება
 განკითხვა: განკითხვენ 51₃₀ გამო-
 იძიებენ
 განკრება 102₂₅ გაძარცვა
 განკრთობა: განკრთა 35₃₄ შეშინდა,
 შეკრთა
 განვლტოლა: განივლტოდა 25₂₉ წა-
 ვილოდა
 განმარინა იხ. განრინება
 განმარტება: „განმარტა ლექსი ქარ-
 თული“ 20₁₃ გაშალა, გააერცო სიტყვ
 ქართული; „განმარტა ქელი“ 32₂₄ გა-
 შალა ხელი
 განმიცდილენ იხ. განცდა
 განოტება: განიოტნა 22₂₀ გააქცია (ბევ-
 რი)
 განეხული 73₈ გაპობილი
 განპურობა: „განიპურნის ქელნი“
 25₃₄ გაშლიდა ხოლმე ხელებს
 განრთხმა: განრთხა 52₃₅ გაშალა
 განრინება: განმარინა 19₃₁ გადამარ-
 ჩინა
 განსლვა: განვედ 20₃₂ წაღი
 განტევა: განუტევენეს 20₃₄ გაუშვეს
 (ბევრი)
 განცდა: განცდითა 61₉ ნახვით; გან-
 ვიცადენ 25₂₁ ვნახე (ბევრი); გამ-
 ცდელმან 41₅ მნახელმა; განმიც-
 დილენ 67₁₉ მიუურებდნენ; მგზავრ
 განცდო 62₉ გზადაგზა თვალიერება,
 ნახვა
 განცდითა იხ. განცდა

განძევა: განაძებდეს 76₂₁ აძევებ-
დენ
განხუმა: „განეხენეს თვალნი მათნი“
71₁₉ გაეხილათ თვალნი
განქვრელა 10₂₀ განვრიტა, გააკეთა ხერე-
ლი
განქმელი 31₂₂ გამხმარი
გარდამოცემა: „გარდამოცეცა სის-
ხლი“ 18₂₄ გადმოელვარა სისხლი
გარდამოქსნა 49₁₈ ჭვრიდან ქრისტეს ჩა-
მხსნის ხატი
გარდაცემული 13₂₇ გავსებული
გარდაქლომა: გარდაქედით 7₂₈,
55₁₄ გადავედით; გარდაქდები
8₃₆ გადახვალ; გარდაქდის 16₄ გა-
იელის
გარეშეწერილი 114₁₈ განსაზღვრული .
გარეშეუწერილი 50₉, 114₁₇ განუსაზ-
ღვრელი
გება: ვგებდით 28₃₁ ვუცდიდით
გვაში 50₁₅ სხეული
გვანება: ვაგვანენ 58₁₂ ვამსგავსე
(ივინი)
გვმა: მგვემდა 40₁₆ მცემდა
გვიძნდა იხ. ძნ.
გვრემა: მგვრემდა 20₃₁ მჩხელტდა
გვრემული 104₃₁ ნახვლუტი
გინგილა 32₂ დიაკვნის ოლარი
გიუნჯნეს იხ. უნჯება
გოდოლი 21₁₆ მალალი კოშკი
გოდელული 48₃ თაფლი
გულქანდებული 22₃₇ მოვარაყებელი, ოქ-
რომკედით ნაქარგი (ქანდა — ოქროს
ვარაყი)

დ

დაბირი: მედაბირი 74₃₂ „ადმართვეუ-
ლი, გინა თხემი, გინა წმიდა წმიდათა“
(საბა), *πρωτομαθυα* (ჩუბინ). წმი-
დათა-წმიდას: შესანახი ადგილი
დადგრომა: დადგრებიან 15₂₁ დად-
გებიან
დაეპატიუა იხ. დაპატიეება

დავანება: დავანებად 18₂₁ გასაჩე-
რებლად, დასადგომად
დაკვირება: დამიკვირდა 111₁₂ გო-
მიკვირდა
დაკლება: „დაკლებულ ვიქმენ“ 5₈
მოკლებული ვიყავი
დაკრძალვა: დაკრძალული 19₉ შე-
ნახული, დაფარული
დალტობილი 45₁₃ დასველებული,
დამბალი
დამარხვა 79₉ შენახვა
დამაშვრალი 7₃₂ დაღლილი
დამოკიდებული 73₁₀ ჩამოკიდებული
დანამახტავი 12₈ საკმელ-მძივა, კევი
(ჩუბინ.)
დაპატიეება: დეპატიეა 83₂₁ შესთა-
ვაზა
დასწვთა იხ. წთოლა
დაუნჯება: დაუნჯებენ 38₅ შეუნ-
ხავენ
დაუუღებული 21₂₃ ბერი მარტომყოფი
დაჩარდახებული 96₂₂ გადახურული
დაპკრთა 24₁₇ შეკრთა
დესპოტა 32₂₂ უფალი
დვირე (4₁₅ დირე, მორი, ძელი
დრაქანი 26₁₈ ოქროს ფული
დღეინდელად-დღემდღე 8₃₇ დღემღე
დღესამომღე 24₂₄ დღემღე

ე

ეზო 6₇ მოხრილი გალავანი
ელისაბათი 74₁ ხალხის ღმერთი (ჩუბინ.)
იხ. საბათი
ენგიჩარაღახი 56₃₀ ენგიჩარი, იანიჩარე-
ბი—თურქული ჭარის განსაკუთრებუ-
ლი ნაწილი
ერთობით 20₂₄ ერთად, ერთიანად
ერმაული 73₃₄
ეპისტოლე 51₉ წერილი
ეპიტროპე 71₃₂ განმგებელი
ეყვანი 26₃₁, 113₃₇ საყვარი, ეკლესიაში
სახმარებელი
ესახა იხ. სახვა
ესვენ იხ. სასო

ექსორია: „ექსორია ყვეს“ 95 გაა-
ძევეს

3

ვაგვანენ იხ. გვანება
ვარშამანი 4430 „თავზე ან ბექთ მოსახვე-
ვი“ (საბა)
ვასახენ იხ. სახვა
ვერბლით იხ. გება
ვერჩლი იხ. რჩ.
ვიაჭლი იხ. აჭა
ვეთმე 2514 ზოგიერთი
ვეშმი 177 ძვირფასი ქვა, ეშმი
ვიმეცენ იხ. ცნობა
ვინა, ვინაჲ 3624, 735 საიდან
ვინაცა 2512 სადაც
ვინაიმე: „ვინაიმე ხარ შენ“ 2418 ვინ
ხარ შენ
ვინაჲმე 610 ვინაიდან
ვინაცა 276 ოდეს
ვინაცა 4724 სხვათა
ვიუგბილმეტყველე იხ. უგბილმეტყველე-
ბა
ვიშიშვით იხ. შიში
ვიჭმენ იხ. ჭმნა
ვლდომა 11529 ხტომა
ვოივოლა 5631 მხედართმთავარი

ჯ

ჯარაფხანა 7817 ფულის მოსაქრელი ად-
გილი
ჯარის ხდა: ზარის სახდელი 11338
ჯარის ღამეცემი, შესაჯარი
ჯეგარდამო 2528 მაღალი, ზეციერი
ჯიარი 1131 საერთო
ჯმური 9114 ძვირფასი ქვა, ზურმუხტი
ჯოგადცხოვრებულობა 1923 ერთად ცხო-
ვრება
ჯოგებით 3535 ერთად
ჯრახვა: ზრახვა აღმოვთქვი 415
სიტყვა აღმოვთქვი; „იწყე ზრახვად“
ქართულითა“ 209. იწყე მებტყველება
ქართულად

ჯუჩი 2219 რკინის თავსაბურავი, რომელ-
საც ომის დროს ხმარობენ
ჯღვევა 5010 დანაშაულის გადახდევინება

თ

თავადი 7120 თვითონ
თალარი 236 წყლის საკურთხი ადგილი
თანამოზრახე 421 თანამოსაუბრე
თაეწარსხმული: თაეწარსხმულად
1230 სისრულით
თაეყვანისაცემადი 3920 თაეყვანისაცემელი
თევდორობა 2525 საეკლესიო დღესასწაუ-
ლი
თეთრი 4418 ვერცხლის ფული
თერმონი 1019 შაქარწყალი
თესლი 6827 მოღვმა
თითოფერი 78 თითოსახის, სხვადასხვა-
გვარი
თნევა: მთნდა 4936 მსურდა; სთნდე
1936 სურდათ
თომარი 1312 სამეფო თავსამოსი

ი

იავარ ყოფა 186, 10422 აობრება
იაკინთე 7434 იაგუნდი
იაშბიკო 1159 სასულიერო საგალობლის
ერთ-ერთი სახე
იასპი 177 იგივე იეშმი, ძვირფასი ქვა,
ამარტა
იაქში, იახში (თურქ.) 322 ლამაზი
იადუმალ 2529 ფარულად
ილეკრო 1251 ლითონი
ილმოთ იხ. ლმოზა
ინაქი: ინაქით ჭლომა 1924 პურის
კამისათვის მორთხმით ჭლომა
ირიხე 5814 ცისარტყელა
იროიკო 1158 სასულიერო საგალობლის
ერთ-ერთი სახე
ისოდია 1714 (ἰσὸν-μειοῦς ღვთის სწორი?)
ისმოლაეტი 1334 (ἐξ πικρῆ ἕτης.)
„მრავალქამიერი“, გალობა, რომლითაც
მიმართვენ მგალობელნი ეპისკოპოსს

კ

კანთარო 74₃₂ „ფატარი ძელი. ღამით
ცეცხლებრ მოელვარე“ (საბა)
კანონსა შთაყრა 45₁₈ განკანონება, დასჯა
კბოლდ 30₁₉, 115₁₇ წყლის კლდოვანი ნა-
პირი
კელია სადაუდებულო 27₁₄ მარტოდ-
მყოფთა სენაკი
კეროვანი 8₁₀ მსხვილი სანთელი
კერძო 21₁₄, 114₁₄ მხარე
კეც-ქაშანური 58₅ მკვიჭული თიხა. კე-
ცი—გამომწვარი თიხა
კვერთხი 24₂₂ ჭობი
კვირიაკითი-კვირიაკე 22₁₅ კვირიდან კვი-
რამდე
კიდევანობა 46₂₉ გამოყოფა, განცალკევე-
ბა
კიმიტრია 38₃₀ მამათა საქვალე
კინამო 30₂₅ სურნელოვანი ყვავილი
კირილესისონი ძაფისა 41₂₈ კრიალოსანი
კინი 73₃₃ მცირე
კინლა 17₅ კინლამ
კრება 25₂₅ საეკლესიო დღესასწაული
კრება: გა ნ კ რ ი ხ ა 61₂₀ გაძარცვა
კუკული, კუნკული 28₃₆ ბერის თავსა-
ბურავი
კუროსთავი 76₈ შავი ნარი, ტატაში (საბა),
მცენარე

ლ

ლექსი 20₁₃ სიტყვა
ლვისიური: „ლ ვ ი ს ი უ რ ი მ დ ე ლ ო“
115₂₁, ლვისი — მცენარე (?)
ლიბანი 49₃ — ლიბანის ხე, ნაძვი
ლიტანია 19₃ ვედრება
ლიტონი 113₁₈ სადა, მარტივი
ლიქნა 70₂₄ დაყვავება, მოფერება
ლმობა: ი ლ მ ო თ 5₁₁ იტკიოთ. მ ე ლ მ ო -
და 3₁₇ მტკიოდა
ლუესკუმა 17₂₂ სამარხი

მაზა 26₂₉ გემრიელი საზარღო, სასუსნაეი
მაზარა 22₉ წამოსასხამი; მაზარაიანი
107₆ წამოსასხამიანი
მაზმანი 21₁₉ ძაფის მრთველი
მაღუმსრბოლი 18₁₉ შიკრიკი, ჩქარა მა-
ვალი
მანანა 74₂₃ მცენარე
მანლიტი 73₁₂ მაგნიტი
მართლიად 25₉ ნამდვილად
მარმარი 12₃₄ მარმარილო
მანნარი 43₃₅ ტყე მთიან ადგილას
მალრიბული 91₃₁ დასავლური
მაშია 98₈ ფეხსაცმელი
მგვემდა იხ. გვემა
მგვემდა იხ. გვემა
მგზავრ განცდა: იხ. განცდა
მდაბალი 19₂₁ თავმდაბალი
მღინარი 94₂₄ სამღვდელმთავრო მანტია
მღუმრიად 3₂₆ მღუმარდ
მეზობირი 90₂₇ გზაჯვარედინი
მეერგახე 7₂₂ მეორმოცდაათე
მეთევესიკური ღმთისმეტყველება 33₁₄
მეტაფიზიკური ღმთისმეტყველება
მელმობა იხ. ლობა
მეობი 15₃₁ შუამდგომელი
მეტოქი (μετοχή) 11₁₇ მონასტრის
მონაცვლე. მომცრო მონასტერი სხვა
მონასტერზე მიწერილი
მეტრფე 6₁ მოწადინე, მსურველი
მეწამული 94₂₉ წითელი
მეცნ: ვ ი მ ე ც ე ნ 58₁₁ შევიცანი
მზეგრძელობა 5₁₂, 116₁ დღევგრძელობა
მთებარე 18₂₉ ანთებული
მთიები 58₁₁ მნათობი
მთლივ 15₁₂ მთლიანად
მთნდა იხ. თნევა
მიგვანება: ე ა გ ე ა ნ ე ნ 58₁₂ ეამსგავსე
(იგინი)
მიდგომილი 8₃₁ ფეხმძიმე
მიდმოგონება 5₂ თანდათანო მოგონება
მიერ 8₂₂ იქიდან
მევრდობა 6₂₂ მისვლა, თავის შეფარება
მიერდობად 26₃₄ მისვლად

მიზეზ დგმა: მიზეზ იდგა 118₁₀ იმი-
ზეზა
მითვალვა: „მითვალულ არიან
ლვაწლნი მისნი“ 83₃₁ დაფასებულია
მისი ლვაწლი
მილიონი 7₂₅ სიგარძის სახომი, მილი
მიმადლება: მიმადლა 117₂₆ მინიქა
მიმდემი 26₃₀ განუწყვეტელი
მცხოვევა 4₂₇ შეხედრა
მცომოყოვრებით 92₁₀ ხანდაზმულობით
მიმოსლვა 6₁ მოგზაურობა
მირულებული 6₂₀ მიძინებული
მირქმა 81₂₉ ხელში აყვანა
მიტევება 55₂₀ მიშვება.
მიჯმნიეს იხ. ჯმნა
მკვირცხე 116₁₂ სათნო, სასურველი
მშვენიერა
მნერწყვეს იხ. ნერწყვა
მოატყვას იხ. მოტყეება
მოგება: „უაჰნი არა მომეგნეს“ 6₂₁
დრო არ მომეცა
მოგზაური 33₃ თანამგზავრი
მოენე 33₃ თარჯიმანი
მოვედ იხ. სლვა
მოვრდომა 19₃₆ მოსელა
მოირეწოს იხ. მორეწა
მოისთვლიდეს იხ. მოსთელა
მოირთო იხ. მორთვა
მოიქცენ იხ. მოქცევა
მომატყეებელი იხ. მოტყეება
მომუსმური 71₈ ლურსმებით დაქედილი
მომეგნეს იხ. მოგება
მორეწა: მოირეწეს საფანეს 109₁₂ მო-
იგებს, იშოვნის
მორთვა: მოირთო 104₂₁ შეიერთა
მორფვა 3₂ შეწყობა
მონავობა 10₂ იმედიალობა
მოსთვლა: მოისთვლიდეს 5₅ მოი-
წევდნენ, შეიკრებდნენ
მონრვა 39₂₈ გაწყვეტა, მოსრვიდა 15₁₇
ანაღგურებდა, წყვეტდა
მოტყეება: მოატყვას თავსა 3₁₀ შე-
ახედროს თავს, შეძინოს თავს. მომა-

ტყეებელი 84₂₂ მომნიჭებელი, მომ-
ციემი
მოულეს იხ. მოლება
მოქცევა: „მოიქცეო და ნათელ ილეს“
69₃₁ მიილეს ქრისტიანობა
მოლება: მოულეს 70₁ გამოართვეს, წაარ-
თვეს
მოწლე: „მოწლითა კმითა“ 33₇
ტკბილი, სასიყვარულო ხმით; „მოწ-
ლედ გეთავაზებდა“ 62₂₂ სიყვა-
რულით გეთავაზობდა
მოხილვა 24₅ დათვლიერება
მარობლ-კეცი 17₂₄ ორმხრივი კეცი. იხ.
კეც-ქაშანური
მტილი 76₃₃ ბოსტანი, ბალი
მუნ 43₂₉ იქ
მუნანი 20₁₈ იქაურნი
მურასა 43₂₅ მოოქვილი, თვლებით დაფა-
რული
მუსი 73₃₃ მუზა, მუსიკა
მუსმარი 71₈ ლურსმანი
მულანბარა, მულარბარა „ინდური მურა-
სა“ (საბა), მულამბარდალმკუ-
ლი 92₆ ინდურად მოოქვილი (იხ. მუ-
რასა)
მუყაში 32₂ ოქროს ძაფი, სირმა
მყოვარუამ 53₆ მულამ ეამ
მშვიდობის მიცემა: მშვიდობა მის-
ცა 69₇ მიესალმა
მცირაკნი 115₃₄ მცირედნი
მძლავრი 79₇ მტარვალი, ძალის მქონე
მწადე 20₁ მსურველი, მოწადინე
მწიკვლევა 47₂₇ ქუქყიანი, გასერილი,
დალაქავებული
მწირი 72₂ უცხოობაში მყოფი, გადახვე-
წილი
მწუნრი 25₃₅ საღამო
მწყობრი 26₂₇, 125₃ მგალობელთა გუნდ-
მკველი 30₃₂ წყლის ნაკადი
მკვლეული 31₁ „ყანის კვლეული“ (საბა)
მკვილი 108₃₈ მკვილივე—ღამის ღარაჯი
მკმობელი 15₁₉, 30 დამძახებელი (მო-
ხელი)
მჭილი 77₁ მუშტი

ნამკი, ნამკვი 74₁₉ ნამკობი
 ნატი 118₂₅ ტყავის ქვეშაგებელი
 ნაცილი 117₃₇ მოგონილი, მოჭორილი,
 ნატყუარი
 ნატრცივი 61₂₈ ნაძარცივი
 ნახლი 91₂₀ ძვირფასი ქსოვილი
 ნახჩი 12₃₆ (სპარს. شمش) ნახატი, ქარ-
 გის მიხედვით მოხატული, ინკრუსტი-
 რებული
 ნერწყვა მ ნ ე რ წ ყ ე ე ს 77₁₁ შემაფურ-
 თხეს
 ნესტი 92₂₂ სასულე საკრავი
 ნიავწელილი 11₁₄ მსუბუქი ნიავი
 ნ.შებმოსილი 6₄ სასწაულებით მოსილი
 ნიკი 69₂₀ საბოძვარი
 ნიკმრავლობა 47₂₂ უხვი ბოძება
 ნოტოს ქარი 55₁₃ სამხრეთის ქარი
 ნუუკე 5₆ ეგების

ო

ომფორი 43₂₀ ეპისკოპოსთა მხარზე მო-
 სასხამი
 ორძილი: ა ო რ ძ ი ლ ა 74₂₅ ალაორძინა
 ორიონი 115₃₄ ნათელი, ცისკარი
 ორხოვა ხორასნული 14₃ ხალიჩა ხორას-
 ნული
 ოქრონამკი 12₃₈ ოქროთი ნაყერი, ოქრო-
 თი შემკობილი
 ოქროტურვებული 12₃₆ ოქროთი დაფე-
 რილი
 ოქსინო 14₁₇ ოქროქსოვილი ხავერდი
 ოხრა 48₁ მწუხარებით ღალადება. „კმაჟ
 სამწუხრომ“ (საბა)

პ

პალატი 11₁₅ სასახლე
 პანდაზღა (ბერძნ. πανταχούθεν η)
 118₃₂ პატრიარქის ეპისტოლე, მიმარ-
 თვა
 პარადისო 115₁₄ სამოთხე
 პარები 28₁₁ გამოქვაბული კლდეში
 პარისია 90₅ სამარადისო მოხსენება
 პერეული 57₃₄, 115₁₈ ქაფიანი

პირადობა 12₁₆ გარეგნობა
 პოღირი 37₂₉ წამოსასხამი
 პოლიელეო 17₁₉ დიდი საშანდლე
 პორტოკალი 30₂₄, 115₁₁ ფორთოხალი
 პოხილშეყოფილი 48₃₀ მსუყე, ნოყიერი,
 პროთოსნათარი 55₁₅ მეფის მეხმლე
 პროტოსინგელი 92₁₈ (πρωσι-σύγγελ-
 λος) პროტოლიაკვანი
 პურიხმტე 19₂₄, 106₁₈ თანამესუფრე

ჟ

ჟამი 27₂₂ საათი, დრო
 ჟამობა 54₁₆ შავი კირის ებიღემია

რ

რახტი 96₇ აღვირი
 რაოკი 33₃₂ უღლუთა
 რაოპანი 56₃₂ (სპარს. رهبان) ბერი, მონა-
 ზონი

რულუნება: რ უ ლ უ ნ ე ბ ი თ 19₃₃ მძიმე
 გარჯით. რ უ ლ უ ნ ე უ ლ ი 6₂₀ გარჯი-
 ლი. მუწუნებელი
 რქა საყურთხევის 92₂₄ საყურთხევის
 ზღურბლი
 რჩ: ვ ე რ ჩ ღ ი 72₂ კემორჩილებოდი

ს

სამაგნო: ს ა ა მ ა მ ა მ ა დ ალიარება 20₂₈
 საჯაროდ აღიარება
 საარებული 6₂₁ უბედური, უბადრუკი
 საბაოთი 29₂₀, 116₂₀, 120₂₉ ღმერთი
 საბრკე 79₁₁ ფეხის მატე
 საგლოელი 102₄ საგლოეელი
 საგუნდრუკე 32₄ საქმევის კურკელი
 სადგური 7₇ სადგომი
 სავანე 7₅ სადგომი, ბინა
 საწენაო ხარისხი 22₈ უმაღლესი საფე-
 ხური
 საწოგადცხოვრებო 21₁₇ საერთო საცხოვ-
 რებელი
 საფქლე 24₂₆ სახორბლე, ბეღლე
 სალამანდროს 13₂ მინის სახეობა

სალბუნი 9₁₂ მალაში
 სალმობა 20₁₀ სატივარი
 სამარაგლო 74₃₃ ძვირფასი ქვა. ზურმუხ-
 ტი
 სამარტვირო 6₄ ადგილი, სადაც მოწამე
 ან მისი ნეშტია დაკრძალული
 სამეცხო 21₃₀ სამეცნიერო
 სამწუერი 98₁₃ ფართოფრთიანი საჩრდი-
 ლობელი ქუდი
 სამოთხე 64₁₄, 115₁₃ ბალი, წალკოტი
 სამშვეალი 90₃₅ ლურსმანი
 სამძღვარი 7₂₃ საზღვარი
 სამქედური 34₅ ანკესი
 სამკრო 111₁₆ შენობის ზემო ნაწილი
 გუმბათის ქვემოთ
 საწუკარი 31₁ გემრიელი საზრდო,
 ტბილელუი
 საოხად 36₂₈ სასოდ, იმედად
 საპირონი 91₁₅ საპფირონი, ძვირფასი
 ქვა
 სარაია 33₂₈ სასახლე
 სარჯელი 76₁₇ დიდი გარჯა, „საქმის მო-
 კირეება“ (საბა)
 სასმენელი 33₂₆ ყური
 სასნელო 21₁₃ სავედმყოფო
 სასო: ესეენ 10₁ იმედოვნებენ
 საუნჯე 84₂₃ განძი
 საურავი 55₁₇ გაკირეება, საწუხარი, სა-
 დარდებელი
 საცნაურ ქმნა: საცნაურ იქმნეს
 18₂₆ განცხადდეს, გამქლავდეს
 საწადი 4₁₆ სასურველი
 საწუთო 29₃ საქაო
 სახარულევან 71₁₃ სასიხარულო
 სახელმოდგამი 75₉, 115₃₀ თანამოსახლე
 სახვა: ასახებდა 14₁₆ ამსგავსება;
 ასახია — ახტია; ესახა 8₁₄ ეხა-
 ტა; ვასახენ 30₅ ვამსგავსე (ივინი)
 სახიერება 19₂₁ სიკეთე
 საკივი 89₅ ქედის ზოაკილი
 საკმარება 77₂₈ გამოყენება
 საკმარი 108₁₁ სახსარი
 სელვინუ 58₈ მცენარე
 სეპი 115₃₅
 სონდეს იხ. თნევა

სივლტოლა 48₂₅ გაქცევა
 სიზანდრა 92₉ (ბერძნ. *σφίματρον τῷ*)
 სარეკი, ნიშნის მიმცემი
 სიმდაბლე 28₃₄ თავმდაბლობა
 სიმკვდოვნი 5₁₀ ფრიალი სილატაკე
 სიმკვდოვნ-საარებულობა
 5₁₀ სილატაკე, უმწეობა
 სიმჩქერე 115₁₉ მჩქეფარობა
 სიტუვის-გება 33₁₉ საუბარი, დიალოგი
 სეოფილაკე 25₂₁, 109₁₀ (ბერძნ.
σχεσι-φύλαξ) მონასტრის მოლარე
 სლვა: მოკედ 36₂₃ მოდი
 სორეკი 52₃₁ რჩეული
 სოფიის კენჭი 14₁₀ მოზაიკა
 სოფლიო 17₂₈ საერისკაცო
 სპა 78₆ ჯარი
 სპასალარი 17₂₆ მხედართმთავარი
 სპეტი 29₃₂ თეთრი
 სრა 7₇ სასახლე
 სტავრა 91₂₀ ძვირფასი ქსოვილი
 სტოვა 58₂ კამარა
 სტრატიატი 70₁₇ მხედართმთავარი
 სტრატოტი 115₃₆ მხედარი
 სუზნი 56₁ ხალიჩა
 სულთქმა: სულთვითქვემდი
 53₄ ვხენეშოდი, ვოხრაედი
 სურლი: სურიინ 48₂₇ სურს, სწადია
 სქიმა 50₆ სქემა

ტ

ტაბანჩა 117₂₄ (თურქ. *tabanca*)
 დამბაჩა
 ტაბლა 15₅ სუფრა
 ტაზიონი 74₃₄ ძვირფასი ქვა. ტოპაზი
 ტევიბა: არა უტევიბენ 27₁₉ არ ტევიბენ
 ტევირი 58₈ ხშირი ტყე
 ტევირიანობა 11₁₃ ტყვიანობა
 ტრაპეზი 21₁₇ სასადილო
 ტრაპეზობა 22₇ პურის კამა, სადილობა
 ტფობილი 116₂₀ გამთბარი

უ

უგბოლმეტყვილება: ვიუგბილმეტ-
 ყველე 4₁₄ ჭიუტად ვიშეტყვილე,

უმეტრად ვიმეტყველე
 უღალაჭი 30₂₄ მცენარე **دانه‌ای**
 (ჩუბინ.)
 უღბი, უღები 6₂₀ თავდაუღებელი, ზანტი
 უღებება 89₉ სიზარამაცე
 უღი 115₁₁ სურნელოვანი ხე (საბა)
 უკანა შედგომა უკანა შეუღგენ
 26₁ მიჰყენენ
 უკეთური 25₁₄ ბოროტი
 უკინენის 5₁ უმცირესი
 უკუნ ქცევა: უკუნ იქეც 24₁₆ უკან
 დაბრუნდი
 უმილია 22₅ კომილიათა წიგნი. სიტყვათა
 და სწავლათა წიგნი
 უმრწემესი 86₂₈ უმცროსი
 უმსხავროდ 20₃₃ უსამართლოდ მსხავრო-
 დაუღებლად, უღანაშეუღოდ
 უნამკვო 115₃₄ შეუღკობელი
 უნჩება: გიუნჩენეს 5₁₄ შეგინანზოს
 უოცნო 74₁₂ არასაოცნებო
 უოხენო 48₂ უსასრულო
 უოვარი 28₂₃ არაფრის მქონე
 უოვარება 109₂₈ სიღალტაცე
 ურაკაარაკი 90₂₃, 115₂₅ მოეღანი
 ურვეული 20₆ მწუხარე
 უსაშეღლოდ 74₃₄, 50₁₈ უშეღლოდ
 უსურვანი 116₁₁ „კრიკინა ვანი“ (საბა)
 უტევენი 71₂₂ ასპარეზი
 უტევებენ იხ. ტევება
 უღალი 29₃₄ ძნელად საეალი
 უშენი 9₂₅ გაუშენებელი, უღაბნო
 უჩინო-ქმნა 19₇ გაქრობა
 უცხო 44₄ განსაკუთრებულნი
 უწუღენ 193₁₇ უწუღებენ
 უქმნია იხ. ქმნა

ფ

ფავარა 23₅ (სპარს. **فوارا**) შადრქეანი
 ფერმანი 56₅ შეწყნარების წიგნი
 ფეშხუმი 92₁₆ თეფში
 ფთხიღვანი 30₇ ფრთხიღვანი
 ფღური 61₁₂ ფღული
 ფოლოცი, ფოლორცი 61₅ ქუჩა, უბანი
 ფრიაღი 109₂₈ დიღი

ქ

ქარაფი 28₁₁ კლდე წყლის პირას
 ქარტა 7₂, 115₃₄ წერილი, წიგნი
 ქაშანური 13₆ მოქიქული თიხა
 ქელი 45₁₄ კისერი
 ქესი, ქესა 56₃₆ ქისა
 ქვემოთხვიღნი 30₇ ქვე მოსიარულენი
 ქვის დაკრება: ქვა დაქკარიბე 76₃
 ჩაქოლე, ქვებით სეეეე

ქოღა (სპარს. **کَل**) 91₂₈ თხელი შალი
 ქორკანღელი 31₂₁ „საკიღარი კომლი“
 (საბა), იხ. კომლი
 ქულბაქი 21₂₈ დქეანი, სავაკრო
 ქურციკი 21₂₈ გარეული თხა
 ქუფრვილი: „მწვენედ ქუფრვილი“
 30₁₆ მწვენედ ჩამუქებული, ჩაბნელე-
 ბული.

ღ

ღადო 7₃₃ „ზღვის ღელვის ნჩქრევა“ (საბა)
 ღაღაღება 21₉ ხმაღაღა ძაბიღი
 ღაჭი 58₆ მცენარე (სპარს. **جغ** — გოგრა,
 კიტრი)
 ღეწღი 21₂₁ შრომა, გარკა

ყ

ყადი 56₂₁ მოსამართლე
 ყარაფიღი 30₂₉ მიხაკი
 ყარყუმი 29₃₂ თეთრბეწყვიანი ცხოველი
 ყასაბა (არაბ. **قصبه**) 64₂ მომცრო ქალაქი
 ყაფი ქება (ქევა?) 118₂₅ თანამღებობა
 სულთანის კარზე—მეკრეთა უფროსი (?)
 ყვრიმიღი 77₁ ყვრიმაღი
 ყშობა: „ნიღაღმცა ყშღებით აწ“ 116₂
 გაახალგაზრდაეებით, ყრმად გახღ-
 ბით
 ყურღღელი 30₅ კურღღელი

შ

შამში 115₃₄ ბწა
 შარავანდი 75₁₄ „სამეფო ევირგეინი,
 ჰსგავსი სხიეთა“ (საბა)

შებორკა: შებორკილა 63₂₅ შებორკა
შევრდომა 108₁ ორივე მუხლზე დაჩოქება
შეიწრება: შე ი წ რ და 15₂₀ შეწუხდა
შემოდგომა 119₅ შემოდგომა
შემოქცევა: შე მ ო ი ქ ც ა 18₆ შემობ-
რუნდა
შენ: შე ნ ა რ ი ა ნ 27₁₄ აშენებული არიან
შერაცხვა: ა რ ა ლ შე რ ა ც ხ ა 32₁₈ არა-
ფრად მიიჩნია
შეურვება: შე ა უ რ ვ ო ნ 108₂₈ შეაწუხონ
შეურვებული: შე უ რ ვ ე ბ უ ლ მ ა ნ 41₃
შეწუხებულმა
შეფრობა 12₂₇ ფერადობა
შეცბუნება: შე ს ც ბ უ ნ დ ი თ 69₁₈ შე-
შინდით, შეწუხდით, შეკრთით
შეწამება: შე წ ა მ ა 50₃₅ შეეჭერა, შეე-
თანხმა

შეუენებული 21₂₂ ბერად შემდგარი
შიშლოება: შ ი შ ლ ო ე ბ ი ს ა გ ა ნ 109₃₅
სიშიშვლისაგან
შიში: ვ ი შ ი შ ვ ი 4₂₈ ვშიშობ
შიხი 65₃₁ შეიხი (?)
შტახსია 32₁₀ ნელსურნელება

ჩ

ჩხრეკმსიტყველობა 3₂₄ გამოძიებით საუ-
ბარი

ც

ცადაქნილი: „ც ა და ქ ნ ი ლ ი მ ც ი რ ე პ ა-
ლატი“ 38₃₁ თალიანი მცირე პალატი
ცვარვა: ა ც ვ რ ე ე დ ე ნ 115₁₈ ცვარს აპ-
კურებდნენ
ცვილგოლეული 31₂ თაფლის სანთელი
ცთომა 3₂₇ შეცდომა
ცთომილი 4₃₃ შემედარი
ცილობა: ი ც ი ლ ე ბ ო დ ა 94₁₅ დაეობდა
ცილობა: ვ ი მ ე ც ე ნ 58₁₁ შევიცანი
ცრემლოვა: ც რ ე მ ლ ო ო დ ი ს 16₅ ტი-
როლა
ცხედარი 20₅ საგებელი, საწოლი
ცხოვარი 48₁₈, 61₂₄ ცხვარი
ცხოველი 91₂₃ ცოცხალი

ძ

ძალ დება: ა რ ძ ა ლ ი დ ე ბ ი ს 51₅ შე-
უძლებელი არის
ვერ ძ ა ლ მ ი ც ს 21₆ არ შემწევს ძა-
ლა, არ შემძლია
ძვილ 28₁₃ ძლიეს
ძვირი 91₃₁ ძვირფასი
ძვირიხილული 30₁₁ ძნელად სანახავი
ძხ: გ ვ ი ძ მ დ ა 8₂₀ გვიძნელდებოდა, გვი-
ქირდა.
ძნიალ 104₃₀ ძნელად
ძნობა 91₁₁, 12₅₃ გალობა

წ

წალკოტი 30₁₇ ბალი
წამის ყოფა 26₃₁ თვალის ჩაკერა, ნიშნე-
ბა, წ ა მ უ ყ ო ფ დ ა 106₂₅ აშინებდა
წ ა მ ი ს ყ ო ფ ი თ ა 52₂₉ ნიშნებით
წარგება: წ ა რ უ გ ი ა 78₂₁ დაუხარჯავს
წარიოტნა იხ. წაროტება
წარგარაგნა: წ ა რ გ რ ა გ ნ ი დ ე ს 72₃₁ გა-
ახევედნენ
წაროტება: წ ა რ ი ო ტ ნ ა 104₃ გააძვეა
(ბევრი)
წარუგია იხ. წარგება
წარუპარველი 84₂₃ მოუპარველი, რაც არ
მოიპარვის
წარუხვენს იხ. წარხუმა
წარხუმა: წ არ ხ ვ ე ნ ს 61₂₈ წაართვის (ბევ-
რი)
წადევა: წ დ ე ვ ა ღ ვ ი ნ ი ს 26₂₉, 101₉ ღვინის
ღასხმა
წველი 4₁₅ ჩალა
წთოლა: დასწვთა 77₁₃ დაეწვეთა
წიალი 18₂₅ უბე, კალთა
წიალ მოვლა: წ ი ა ლ მ ო გ ვ ე ე ლ ო 54₂₂
გარე მოგვევლო
წიალმტი 5₁₃ წიალის მოზიარე
წინავევირობა 74₂₇ წინაგანქვერტა
წინდობა 90₂₅ ნიშნობა

ჟ

ჟალაკი 12₉ კენძული
 ჟენება 7₃₃ დატაკება, ხეთქება
 ჟვირობა: ჟვირობად 49₈ საქვრეტად,
 სანახავად
 ჟირვეული 30₁₁ გაჟირვებული, ჟირნა-
 ხული
 ჟირმრავლობით 4₄ მრავალი ჟირით
 ჟირნახული 19₃₃ გაჟირვების მნახველი
 ჟონი 21₁₉ ბეწვეულის მკერავი
 ჟურ რჩეულობითნი 30₉ გამორჩეული

ხ

ხათვეთური 30₂₅ ხათათური, ჩი-
 ნური მუშკი
 ხალასად ნაკერი 12₂₅ ოქრომკედით ნა-
 კერი
 ხალასობა 12₂₇ ნაქარგობა
 ხალენი 30₁₁ „უნლო მაზარა“ (საბა)
 ხარისხი ეკლესია 9₂ ფუძე ეკლესია,
 შთავარი ეკლესია
 ხარისხი 22₈ კიბე, ამბიონი. ხარისხსა
 კითხვა 22₁₀ ამბიონიდან კითხვა
 ხადანი 39₂₅ ხაკანი
 ხაჯი 93₁₂ პაჯი
 ხვაიშანი: ხვაიშნისათვის 41₂₈ შეე-
 ლისათვის

ჭ

ჭელდასხმა: ჭელიდასხა 52₁₀ აკურ-
 თხა. ჭვლი დაასხეს 35₁₀ აკურ-
 თხენს

ჯელის ამჟრობელი 41₂₂ მშველელი.
 ჯელყოფა 6₁₂ დაწეება
 ჯმა ვყავ იხ. ჯმის ყოფა
 ჯმელი 117₃₁ ხმელეთი, ჯმელით 8₂₇
 ხმელეთით.
 ჯნის ყოფა: ჯმა ვყავ 77₆ დაეძახე
 ჯმის ცემა 47₁₅ პასუხის მიცემა
 ჯომლი 21₁₇ ჟორკანდელი (საბა)
 ჯომლისტოული სასანთლე 12₃₇ განტოტ-
 ვილი სასანთლე ხომლისათვის
 ჯურთი 77₉ შეკონილი ეკალი, შეკონილი
 წყებლები

კ

კერ ჩინება: კერი ჩინა 19₂₁ საჟიროდ
 მიიჩნია
 კერის სახვა 91₁₅ კერის გადასახვა, გა-
 დაწერა
 კილა 13₁₂ „დიდებულთა თავსარკობი“
 (საბა)
 კმნა 17₂₇ წასელა, გაცლა, გასელა ვიჭ-
 მენ 7₁ წავედი; იჭმნა 25₂₉ წავედა;
 მიჭმნიეს 103₂₈ წავსულვარ; უჭ-
 მნია 17₂₇ განშორებულა, წასელა
 კუბა 9₂₈ სამოსელი

კ

კახაკი 37₂₉ სხელი, ტანი
 კაგის იხ. კ
 კაგონა 24₁₈ ეკონა
 კავებოლა 76₂₀ მიჰყებოლა.

შინაარსი

წინასიტყვაობა	V
ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლეა“ (გამოკვლევა) . . .	01—0253
I. ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვის“ ტექსტის შესწავლისათვის	03—076
„მიმოსლვის“ ავტოგრაფები	03
თხზულების სახელწოდებისათვის	022
„მიმოსლვის“ ტექსტის დასასრულისათვის	029
ტიმოთე გაბაშვილის მოგზაურობის წლები	030
ტიმოთე გაბაშვილის მუშაობა „მიმოსლვის“ ტექსტის რედაქციებზე	038
ტ. გაბაშვილის „მიმოსლვის“ პირველი გამოცემა . . .	062
„მიმოსლვის“ არავტოგრაფული ხელნაწერები	068
II. ტიმოთე გაბაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა	077—0135
III. ტიმოთე გაბაშვილი—მოგზაური-მწერალი	0136—0158
IV. ტიმოთე გაბაშვილი—იერუსალიმის ქართული კოლონიის პირველი ისტორიკოსი	0159—0197
V. „მიმოსლვის“ წყაროები	0198—0253
მიმოსლეა (ტექსტი)	1— 98
რედაქციული და ვარიანტული სხვაობანი	99—125
ტექსტისათვის, საძიებლები, ლექსიკონი	127—158

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

გამომცემლობის რედაქტორი დ. ნათიშვილი
ტექნოდაქტორი ნ. ჯაფარიძე
კორექტორი ც. შალამბერიძე

გადაეცა წარმოებას 27.10.1956; ანაწყოების ზომა 6×10 ; ხელმოწერილია
დასაბეჭდად 12.8.1956; ქალაქის ზომა $60 \times \frac{1}{16}$;

ქალაქის ფურცელი 14,0; საბეჭდი ფურცელი 28,0; საავტორო
ფურცელი 23,79; საადრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 24,16;
შეკვეთა 1663; უე 06103; ტირაჟი 1000

ფასი 17 მან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ა. წერეთლის ქ. 3/5.